დიმიტრი
უზნაძე

განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები

განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებლის დიმიტრი უზნაძის ძირითად ნაშრომს, რომელშიც ჩამოყალიბებულია განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები.

მეოთხე გამოცემა

რედაქტორი
აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი

ISBN 978-994-1-406-61-4
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე"
© დიმიტრი უზნაძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე შრომის ძირითადი იდეა — იდეა განწყობის შესახებ — პირველად ამ ოცდახუთი წლის წინათ იყო ჩემ მიერ ფორმულირებული („Jmpersonalla", „ჩვენი მეცნიერება", №1, 1923 წ.). მას შემდეგ ეს იდეა დღემდე განუწყვეტლივ და ნელის თანდათანობით ვითარდებოდა. უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა ის წინ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის დამუშავებაში ჩემმა მოწაფეებმა და თანამშრომლებმა იწყეს მონაწილეობის მიღება. 1933 და 1943 წ. გამოქვეყნდა ორი კრებული — „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის", სადაც უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევები იყო ერთად თავმოყრილი.

ამჟამად საკმაოდ ფართო ლიტერატურა მოიპოვება განწყობის მრავალფეროვანი პრობლემატიკის შესახებ, და მე შესაძლებლობა მეძლევა მკითხველს განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები მივაწოდო, როგორც ეს ჩვენი კვლევა-ძიების დღევანდელ საფეხურზე მესახება, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ შრომაში ყველა ჩემს თანამშრომელს უდევს წილი, რამდენადაც საკითხი განწყობის პრობლემატიკას ეხება. მე ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მათ ყველას განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო, მეტადრე *ნ. ელიავას* და *ა. ფრანგიშვილს*, რომელთაც ამ წიგნის საბოლოო ტექსტის დადგენის საქმეში უახლოესი დახმარება გამიწიეს.

დ. უზნაძე

დიმიტრი უზნაძემ შექმნა ფსიქოლოგიური მეცნიერების ორიგინალური მიმართულება, განწყობის თეორია, რომელმაც აღიარება პოვა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამ თეორიის ბაზაზე დღესაც მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მისი თაოსნობით დაარსდა და მის სახელს ატარებს. განწყობის თეორიის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსეთის, უნგრეთის, გერმანიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნის ფსიქოლოგებმა. რუსეთის ცნობილი ფსიქოლოგების აზრით უზნაძის ფსიქოლოგიურმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უზნაძემ ფსიქოლოგიური განათლება გერმანიაში მიიღო. იგი იყო სტუდენტი ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტისა, სადაც იმ დროს ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას მეცნიერული ფსიქოლოგიის დამაარსებელი ვილპელმ ვუნდტი ასწავლიდა.

ვუნდტმა 1878 წელს ლაიპციგში დააარსა მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია, სადაც ჩამოყალიბდა ექსპერიმენტულ-მეცნიერული ფსიქოლოგია, რომლის დასაუფლებლად სხვადასხვა ქვეყნებიდან ახალგაზრდები ჩადიოდნენ. შემდეგში სწორედ ვუნდტის მოწაფეებმა შექმნეს ცნობილი ფსიქოლოგიური ცენტრები გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შემქმნელი უზნაძე კელერთან, მიუნსტენბერგსა და შემდგომში სხვა ცნობილ ფსიქოლოგებთან ერთად მუშაობდა ვუნდტის სემინარიაში. ლაიპციგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ლაიბნიცის ფილოსოფიის შესახებ შესრულებულ შრომაში პრემია მიანიჭა, შემდგომში კი ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიური მოძღვრებისადმი მიძღვნილ შრომაში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიიღო ჰალეს უნივერსიტეტში, რადგან იქ რუსული ფილოსოფიის უფრო კომპეტენტური სპეციალისტები იყვნენ, ვიდრე ლაიპციგის უნივერსიტეტში.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ უზნაძე პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას ქუთაისში ეწეოდა. მალე იგი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ჩაება ქართველ მეცნიერთა იმ დიდ მუშაობაში, რასაც ი. ჯავახიშვილის მეთაურობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება მოჰყვა. 1918 წელს უზნაძის ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიის კათედრა და ფსიქოლოგიური ლაბორატორია დაარსდა, რომელიც საქართველოში ფსიქოლოგიური მუშაობის ცენტრად იქცა. 1920 წელს უნივერსიტეტის შრომებში მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „ანრი ბერგსონი." მისი კრიტიკული მოსაზრებები ბერგსონის ინტუიტივიზმის წინააღმდეგ საფუძვლად დაედო მის მოძღვრებას განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ.

ოცდაათიან წლებში უზნაძემ გამოაქვეყნა ათამდე გამოკვლევა, რომლებიც პარალელურად გერმანულ ჟურნალში იბეჭდებოდა. მათში გამოყენებული იყო „ბიოსფეროს" ცნება ქცევისა და ფსიქიკური პროცესების ახსნისა და კანონზომიერებათა დახასიათებისთვის. ამ პერიოდის შრომებიდან აღსანიშნავია ზოგადფსიქოლოგიური მონოგრაფია „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები".

ამ ოცდაათფორმიან გამოკვლევაში, პირველად ქართულ ენაზე, დალაგებული იყო ფსიქოლოგიის ძირითადი თემები და პრობლემები და ისინი ერთიანი ფსიქოლოგიური თეორიის თვალსაზრისით იყო განხილული. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის გარკვეული პრინციპები უკვე ამ შრომაში იყო გაერთიანებული. ისინი „ბიოსფეროს" ცნებაში იყვნენ განზოგადებული. განწყობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისთვის ჯერ კიდევ საჭირო იყო არსებითი მეთოდოლოგიური ძვრები, რაც შემდგომში თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე განხორციელდა: „ბიოსფერო" ქვეფსიქიკური ფენომენის სახით იყო განსაზღვრული, რომლითაც ფსიქიკური პროცესის ახსნა იყო ნაცადი. ამ თვალსაზრისით ფსიქიკურის ახსნა ფსიქიკის მიღმა არსებული კანონზომიერებით უნდა მომხდარიყო.

შემდგომ მუშაობაში უზნაძე მიდის იმ აზრამდე, რომ უნდა შეიქმნას ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ცნებათა სისტემა, რაც მოგვცემს ფსიქიკის სინამდვილეში მოქმედი კანონზომიერების ნვდომის საშუალებას. ბიოსფეროს მაგიერ მან დაიწყო ფსიქიკისა და სინამდვილის ფენომენის საფუძვლის ძიება, რაც მათ გარეთ მესამე სინამდვილის სახით არ იქნებოდა წარმოდგენილი. მას სურდა, მოენახა ისეთი რეალური ფენომენი, რაც სინამდვილის, არაცნობიერი ფსიქიკისა და ცნობიერების თავისებურებათა დახასიათებისათვის გამოდგებოდა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც უზნაძემ აღქმის ილუზიების შეცვლა დაიწყო. ფსიქოლოგიაში ცნობილი იყო ე.წ. შარპანტიეს ილუზია. ექსპერიმენტულად დადგენილი იყო, რომ ტოლი სიმძიმის დიდი და პატარა ობიექტები, ანევის დროს, არატოლად განიცდებიან. დიდი ობიექტი მსუბუქად განიცდება, პატარა ობიექტი კი — მძიმედ. ამ ილუზიის ასახსნელად მიულერისა და შუმანის მიერ მოტორული განწყობის თეორია იყო გამოყენებული. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც ადამიანი სხვადასხვა სიდიდის ობიექტების ანევას განიზრახავს, თავისდაუნებურად სხვადასხვა ძალის იმპულსებს იყენებს. დიდი ობიექტის ასანევად შესატყვისად ძლიერ იმპულსს იყენებს, პატარა ობიექტის ასანევად უფრო სუსტ იმპულსს აგზავნის, რადგან შესაფასებელი ობიექტები ტოლი სიმძიმის არიან, ამიტომ დიდი იმპულსით ანეული ობიექტი ადვილად წყდება საყრდენს და სწრაფად ინევა, „ზევით მიფრინავს," სუსტი იმპულსით ანეული იგივე ნონის ობიექტი კი ძნელად იძვრის ადგილიდან — „საყრდენს ენებება." ადვილად ანეული, „აფრენილი ობიექტი" ადამიანს მსუბუქად ეჩვენება, ძნელად ანეული, „საყრდენს მინებებული ობიექტი" კი — მძიმედ.

უზნაძის მიერ აღქმის სხვადასხვა სფეროში ჩატარდა ანალოგიური ექსპერიმენტები, სადაც „ზემოთ აფრენისა" და „საყრდენზე მინებების" ეფექტები გამორიცხული იყო. სმენის, მხედველობის, დაწოლის სფეროში ჩატარებულ ექსპერიმენტებში განწყობის ანალოგიური ეფექტები იყო მიღებული, საიდანაც გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნული ილუზიების ახსნა შეუძლებელია მოტორული განწყობის თეორიის საფუძველზე.

უფრო გვიან მიულერმა ლ. მარტინთან ერთად ჩამოაყალიბა ახალი უფრო ფართო თეორია, რომელიც ფსიქოლოგიაში „გაცრუებული მოლოდინის" სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც ცდისპირს იმისი მოლოდინი აქვს, რომ დიდი ობიექტი უფრო მძიმე იქნება, ან შემდგომში ცდისპირს მოუხდება უფრო დიდი ფიგურის, ძლიერი ბგერის, ძლიერი სინათლის ან ძლიერი დაწოლის განცდა, ადგილი აქვს მისი მოლოდინის გაცრუებას და მცირე

ზომის, მცირე ბგერის, სუსტი სინათლის, სუსტი დაწოლის აღქმასთან აქვს საქმე, ხდება მისი მოლოდინის გაცრუება, ამიტომ შესაფასებელი საგანი კიდევ უფრო მცირე ინტენსიობის ობიექტად განიცდება, ვიდრე ის რეალურად არის.

უზნაძემ საგანგებო ექსპერიმენტების საფუძველზე უჩვენა „გაცრუებული მოლოდინის" თეორიის მართებულობა. იგი საგანნყობო ცდებს ცდისპირებს ჰიპნოზური ძილის პირობებში უტარებდა. მათ ჰიპნოზურ მდგომარეობაში ეძლეოდათ დიდი და პატარა ბურთები შესაფასებლად. კრიტიკულ ცდებს კი — ტოლი ბურთების შეფასებას, სიფხიზლის პროცესში უტარებდათ, როცა მათ არ იცოდნენ, თუ რა ცდა ჩაუტარდათ ჰიპნოზური ძილის პროცესში. ამიტომ მათ არ ჰქონდათ დიდ-პატარა ბურთების აღქმის მოლოდინი. ცხადია, არ შეიძლებოდა მათ მოლოდინის გაცრუების განცდა არ ჰქონოდათ.

აღნიშნული ექსპერიმენტის შემდეგ უზნაძემ უჩვენა, რომ საგანნყობო ცდების საფუძველზე ცდისპირებს უყალიბდებათ გარკვეული შინაგანი მდგომარეობა, რომელიც მას გაცნობიერებული შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ ეს მდგომარეობა, განნყობა გავლენას ახდენს მისი ცნობიერების მუშაობაზე — ცვლის ტოლი ბურთების შეფასებას. უზნაძემ უჩვენა, რომ საჭიროა შეიქმნას უფრო ადეკვატური თეორია, რომელიც აღნიშნული ფენომენის ახსნის საშუალებას მოგვცემს. თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე უზნაძემ ნარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა. მან განნყობა დაახასიათა, როგორც ადამიანის გარკვეული ქცევისათვის მომზადების მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს განახორციელოს საჭირო საქმიანობა. განნყობის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ დროს განნყობის შესახებ არსებული მონაცემების გაერთიანება.

განნყობის თეორიის ჩამოყალიბების დროს უზნაძემ განნყობა განიხილა არა როგორც კერძო, კონკრეტული ფსიქიკური ფენომენი, რომელიც ახსნილი უნდა იყოს რომელიმე ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე, არამედ როგორც ადამიანის ფსიქიკური აქტივობის საფუძველი. განნყობა შუამავლის როლს თამაშობს ადამიანის ცნობიერებასა და გარემოს შორის, აშუქებს მათ ურთიერთობას, საფუძვლად ედება ადამიანის ქცევასა და მისი მიზანშეწონილი განხორციელების საშუალებას ქმნის. განნყობა ამ ფუნქციის განხორციელებას იმის გამო ახერხებს, რომ იგი იქმნება ადამიანის მოთხოვნილების, ამ მოთხოვნილების შესატყვისი საგნობრივი სინამდვილის ასახვისა და საჭირო ქცევისათვის გამოსადეგ ოპერაციათა სისტემის მომზადებით. განნყობის ცნების ასეთმა გაგებამ ფსიქოლოგიის საკვლევი საგნის ახლებური გაგების საჭიროება გააჩინა, საჭირო იყო დაძლეულიყო ფსიქიკის ისეთი გაგება, რომლებიც ძირითად ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში იყო ნარმოდგენილი. განნყობის თეორიით დაძლეული უნდა ყოფილიყო ფსიქოლოგიაში ფსიქიკის გაგების სხვადასხვა თეორია. მათში ფსიქიკა ნარმოდგენილი იყო როგორც შინაგანი გამოცდილება, უშუალოდ მოცემული ფენომენი, მიზეზშედეგობრივი კავშირების პარალელური პროცესი, აქტი, ქცევა, ცნობიერება.

განნყობის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ფსიქოლოგიის საგნის ისეთი გაგება, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში, მაგრამ ამავე დროს მასში დაძლეულია ყველა ის ნაკლი, ცალმხრივობა, მეთოდოლოგიური უზუსტობა, რაც მათ ჰქონდათ.

განნყობის თეორიის საფუძველზე დადგინდა, რომ ყოველი ქცევის წინ ადა-

მიანი თურმე ნინასნარ, შინაგანად ემზადება გარკვეული საქმიანობისათვის, თუმცა, შესაძლებელია, მას ეს სულაც არ პქონდეს გაცნობიერებული. გარკვეული ქცევისათვის ნინასნარ ფსიქოლოგიური მომზადების ფაქტს უზნაძემ განნყობა უწოდა. მან ჩამოაყალიბა ამ მოვლენების შესნავლის მეთოდი, რომელსაც შემდგომში განნყობის შესნავლის კლასიკური მეთოდი ენოდა. მისი გამოყენებით შესრულდა მრავალი ასეული შრომა, რომლებშიც დადგინდა, რომ განნყობის აღმოცენების სიადვილის, დროში გამძლეობის, ზემოქმედების ძალისა და შეცვლის სიადვილის მიხედვით შესაძლებელია დახასიათდეს ადამიანის ბევრი ფსიქიკური თავისებურება.

მოგვიანებით განნყობის კვლევის მეთოდის მეცნიერული ღირებულება ნათლად დადასტურდა ფსიქოლოგთა ფართო ნრეებისათვის. ოპტიკურ სფეროში განნყობის მეთოდით გამოვლენილ ეფექტს დიდმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ „უზნაძის ეფექტი" უნოდა და მისი მახასიათებლები სინამდვილესთან ადამიანების შეგუების ეტაპების გამოსაყოფად გამოიყენა. მათ საფუძველზე მან ფსიქიკის განვითარებაში გეშტალტთეორიის პრინციპების უარყოფა მოახდინა. „უზნაძის ეფექტის" მახასიათებელთა მნიშვნელობის შესახებ პიაჟემ გამოსცა მონოგრაფია, რამაც უზნაძის მოღვაწეობა ფსიქოლოგთა ნრეში კიდევ უფრო პოპულარული გახადა (J. Piaget et M. Lambercier (Essia sur un Effet de „Einstelung" survenant au cours de Percepions visualles successives (Efet Usnadze) 1944.30 Archives de Psychologie).

განნყობის თვისებების საფუძველზე ახსნილი და გაგებული იქნა ადამიანის მრავალი ფსიქიკური აქტივობის თავისებურებანი. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი უზნაძის მიერ განზოგადდა ფუნდამენტურ შრომაში „ზოგადი ფსიქოლოგია". იგი 1940 ნელს გამოვიდა და დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ ითვლება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. განნყობის თეორიის განვითარების ამ ეტაპზე მიღებული შედეგი განზოგადდა შრომაში „განნყობის ფსიქოლოგიისათვის". ეს შრომა საქართველოს გარდა გამოქვეყნდა სკანდინავიის ქვეყნების ჟურნალში Acta Psychologica-ში 1939 ნელს, ამ შრომებში ჩამოყალიბდა განნყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია.

ჩვეულებრივად ფსიქოლოგიაში ორი რანგის თეორიის შესახებ ლაპარაკობენ. არსებობს ცალკეული ფსიქიკური პროცესების ამხსნელი თეორიები. ასეთი პროცესებია: აღქმა, აზროვნება, ემოცია, ნებელობა... და სხვა ასეთ თეორიებს „მცირე თეორიებს" უნოდებენ. ფსიქოლოგიაში არც ისე დიდი რაოდენობის „დიდი თეორია" არის ცნობილი. მათ შორის აღსანიშნავია: ასოციაციონიზმი, ფსიქოანალიტიკური თეორია, გეშტალტთეორია, ბიჰევიორიზმი. განნყობის თეორია ხშირად უნდოდათ მცირე თეორიის სახით ნარმოედგინათ. ამ თეორიით თავად განნყობის ეფექტის ახსნას სხვა დიდი თეორიის საფუძველზე ცდილობენ. უზნაძის ფსიქოლოგიაში მოღვაწეობის ერთ-ერთი დიდი დამსახურება იმაშია, რომ მან განნყობის თეორიებთან დაპირისპირებით განნყობის ზოგადფსიქოლოგიური, დიდი თეორია შექმნა, რომელიც ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ძირითადი კანონზომიერების შემეცნებისაკენ არის მიმართული. განნყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიით ხდება ადამიანის ფსიქიკური აქტივობის, მისი მოქმედებისა და ცნობიერების მიმდინარეობის ზოგადი კანონზომიერების წვდომა

და შემეცნება. განწყობის თეორიის საფუძველზე დადგინდა ადამიანთა ფსიქოლოგიური ტიპები. აღმოჩნდა, რომ ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპებს საფუძვლად უდევს განწყობის ტიპები. ისიც დადგინდა, რომ ადამიანის ფსიქოპათოლოგიურ ცვლილებათა მიმართულება განწყობის ტიპებზეა დამოკიდებული.

1940-50 წლები უზნაძის მეცნიერული მოღვაწეობისა და განწყობის თეორიის განვითარების მეორე ეტაპად უნდა ჩაითვალოს. წინამდებარე მონოგრაფიაში კარგად ჩანს, რომ ამ დროს მოხდა განწყობის თეორიის რეკონსტრუქცია. ეს ცვლილება დაკავშირებული იყო იმ მეთოდოლოგიურ ცვლილებებთან, რაც მეცნიერებაში ხდებოდა. სულ უფრო ნათელი იყო, რომ ადამიანისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობაში არსებითი წვლილი შეაქვს ადამიანთა სოციალურ ცხოვრებას. სხვა ფსიქოლოგიურ მიმართულებებთან შედარებით განწყობის ფსიქოლოგიას ამ მიმართულებით კარგი შესაძლებლობები აღმოაჩნდა. ამ მიმართულებით უზნაძემ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მან გამოსცა შრომები: „ყურადღების პრობლემა" და „ობიექტივაციის პრობლემა". ამ შრომებში უზნაძემ ფსიქიკურისა და განწყობის ბუნების დახასიათების დროს უარი თქვა ქვეფსიქიკურის ცნებაზე. იგი განწყობას უკვე განიხილავდა არა როგორც ქვეფსიქიკურ ფენომენს, არამედ როგორც არაცნობიერ ფსიქიკურ მოვლენას.

მაგრამ განწყობის თეორიის განვითარების ძირითად თავისებურებებად განწყობის თეორიის შემდგომი გაფართოება უნდა ჩაითვალოს. ორმოციანი წლების ბოლოსათვის უზნაძემ ქართველ ფსიქოლოგთა მიერ შესრულებული ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები განაზოგადა. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ განწყობის თეორიაში ნათლად უნდა გამოკვეთილიყო ცნობიერების როლი ადამიანის აქტივობაში. უზნაძემ ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა. ამ მიმართულებით მისი მუშაობის შედეგები განზოგადებულია მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები," რაც 1949 წელს გამოქვეყნდა. ამ შრომაში მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა განწყობის იერარქიული თეორია, რომელშიც ადამიანის არაცნობიერი და ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის კანონზომიერებანი ერთიანი განწყობის თეორიის საფუძველზეა განხილული. მასში გათვალისწინებულია, როგორც ცხოველისა და ადამიანის იმპულსური ქცევის, ისე ადამიანის ცნობილი აქტივობის თავისებურებანი. ეს შრომა რუსულად 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ინგლისურად – 1966 წელს „განწყობის ფსიქოლოგიის" სახელწოდებით ამერიკის შეერთებულ შტატებში (Uznadze D. N. The Psychology of Set, N-Y. 1966.). უზნაძის განწყობის თეორია ფსიქოლოგთა ფართო წრისთვის ამ წიგნის საფუძველზე გახდა ცნობილი, მან დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირში ფსიქოლოგიის განვითარებაზე.

განწყობის თეორიის განვითარების ამ ეტაპზე უზნაძემ განწყობის თეორიაში ობიექტივაციის ცნება შემოიტანა. ობიექტივაციის ცნებაში ასახულია ადამიანის სპეციფიკური აქტივობა, რასაც ადამიანი თავისი ქცევის დაბრკოლების დროს მიმართავს, როდესაც ცხოველი წარმატებით ვერ ახერხებს თავისი ქცევის განხორციელებას, ვერ იკმაყოფილებს თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებას, ამ დროს იგი იმეორებს თავის მცდელობას, რათა მიაღწიოს წარმატებას. როგორც ფსიქოლოგიაშია ცნობილი, იგი „ცდისა და შეცდომის მეთოდით" მოქმედებს და ცდილობს საჭირო საგნის მოპოვებას. ადამიანიც ხშირად მოქმედებს ამ პრინციპით, მაგრამ ადამიანისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ იგი წყვეტს

აქტივობას და ცდილობს, გაარკვიოს თავისი ქცევის წარუმატებლობის მიზეზი. იგი წყვეტს პრაქტიკულ საქმიანობას და თავის ცნობიერებას ქცევის დამაბრკოლებელ ფაქტებზე, თავისი ცნობიერების საგნად ქცევის დამაბრკოლებელ მოვლენებზე წარმართავს, ამ საგნებს ცნობიერების ობიექტად აქცევს, უპირისპირდება მათ და თავად იმ ობიექტთან დაპირისპირებული სუბიექტი ხდება. ობიექტივაციის აქტი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური შინაარსით ხასიათდება. ფიზიკური თვალსაზრისით იგი აქტივობის შეჩერებაა, მაგრამ ფსიქიკური თვალსაზრისით — ახალი სპეციფიკური ბუნების აქტივობის დაწყებაა. მისი დახმარებით ადამიანი უპირისპირდება სინამდვილეს და მასთან სპეციფიკურ-ადამიანურ შემეცნებით ურთიერთობას ამყარებს. ჩვეულებრივად ადამიანი ობიექტივაციის აქტს მაშინ მიმართავს, როდესაც იგი განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევით ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, როცა მისი ქცევის განწყობაში სათანადოდ არ არის ასახული გარემო. სინამდვილის არათვალსაჩინო მიმართებები მხოლოდ აზროვნების საშუალებით შეიძლება აისახოს. ობიექტივაციის აქტს ადამიანი აზროვნებაზე გადაჰყავს. აზროვნებით მოპოვებული ინფორმაცია უნდა შევიდეს ადამიანის ქცევის განწყობაში, რათა მის საფუძველზე განხორციელდეს შეგნებული, გააზრებული მოქმედება.

ობიექტივაციის უნარი და მასთან დაკავშირებული ფსიქიკური პროცესები ადამიანს სოციალურ ურთიერთობათა პროცესში ჩამოუყალიბდა. როდესაც კოლექტიური საქმიანობის დროს საჭირო იყო იმ საგანზე მითითება, რომელზეც ინდივიდთა საერთო ქცევა ხორციელდებოდა, სოციალიზაციის პროცესში ყალიბდებოდა ობიექტივაციის, აზროვნების, მეტყველების და სხვა სპეციფიკური ადამიანური უნარის გამომუშავება. ყოველივე ამის საფუძველზე აღმოცენდა ისეთი პროცესები, როგორიცაა საგანთა ობიექტივაცია, კატეგორიზაცია, კლასიფიკაცია და სხვა პროცესები, რომელთა საფუძველზე ხორციელდება ლოგიკური პროცესები და სინამდვილის შემეცნება. პირველი დონის განწყობაში თუ სასიცოცხლო, პრაგმატული აქტივობის პრინციპებია გათვალისწინებული, ობიექტივაციის დახმარებით ისეთი განწყობების ფორმირებაა შესაძლებელი, რომელიც ადამიანის მეორე დონის შემეცნებისა და შემოქმედების, აქტივობისათვის საჭირო პრინციპებს ითვალისწინებს.

განწყობისა და ობიექტივაციის ცნებათა გაერთიანების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ფსიქოლოგიურ ცნებათა ისეთი სისტემის შექმნა, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის შესწავლა, რომელშიც გათვალისწინებულია ადამიანის პრაქტიკული, თეორიული და შემოქმედებითი აქტივობა.

აღნიშნული თვალსაზრისის საფუძველზე ფსიქოლოგების მიერ შემეცნებასა და შემოქმედების პროცესების მრავალი საინტერესო ასპექტები იყო შესწავლილი. ამ მხრივ მუშაობა დღესაც წარმატებით ხორციელდება.

ადამიანის აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობა არსებითად არის დაკავშირებული ობიექტივაციასთან. ადამიანის, როგორც პიროვნების აქტივობა ყოველ მოქმედებაში არსებითად არის დაკავშირებული მის განწყობასთან, მაგრამ ადამიანის აქტივობის განმსაზღვრელი განწყობა სულ სხვა პირობებში და სხვა ფსიქიკური რესურსების საფუძველზე იქმნება. ქცევის დამაბრკოლებელი ფაქტორების ობიექტივაცია, მათში აზროვნების საშუალებით მიმართებათა გა-

ცნობიერება, რასაც სუბიექტი აქტივობის გარკვეული სახეების აღიარებამდე მიჰყავს, ხოლო ნებელობის წყალობით იგი ახერხებს ისეთი განწყობის ფორმირებასა და აქტუალიზებას, რომლის შესატყვისი ქცევა პიროვნების მიერ მიზანშეწონილად და მისაღებად არის მიჩნეული. ობიექტივაციის უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს და მისი დახმარებით იგი სხვების მიერ განხორციელებული ქცევების საფუძველზე მათ შესატყვის განწყობებს ეუფლება. განათლებისა და აღზრდის გავლენით ადამიანი ეუფლება განწყობათა მთელ სისტემას, რომელიც მხოლოდ ობიექტივაციის დონეზე არის შესაძლებელი.

საბოლოოდ უზნაძე ასკვნის, რომ ადამიანის ფსიქოლოგია, მისი მთლიანი ფენომენის, მისი განწყობის საფუძველზე უნდა აიგოს. მისი ცალკეული ფსიქიკური პროცესები, როგორებიცაა: დაკვირვება, წარმოდგენა, ყურადღება, მოგონება, აზროვნება, წარმოსახვა და ნებელობა, ის დიფერენცირებული ფსიქიკური პროცესებია, რომლებიც მისი ქცევის განწყობას, ფორმირებასა და მოქმედებას ემსახურებიან.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში უზნაძის მიერ განზოგადდა განწყობის თეორიის განვითარების მეორე დონის მონაცემები. განწყობის თეორიაში ცალკეული ფსიქიკური პროცესის გარდა შემოყვანილი იქნა პიროვნება. უზნაძის მიერ დასახული ეს ახალი პერსპექტივა წარმატებით რეალიზირდა. განწყობის ფსიქოლოგია დღესაც ვითარდება, როგორც ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელშიც პრიორიტეტული ადგილი პიროვნებას უკავია. უზნაძის მიერ დასახული ამოცანების შესატყვისად წარმატებით ყალიბდება განწყობის ანტროპული თეორია, რომელშიც ადამიანის სოციალური განწყობებს ფორმირების, მოქმედების და შეცვლის კანონზომიერებები შეისწავლება.

უზნაძის გარდაცვალების შემდეგ მრავალი კონფერენცია და სიმპოზიუმი მოეწყო, სადაც განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემები იყო განხილული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლაიპციგში ჩატარებული ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესი, სადაც განწყობის ფსიქოლოგიას ცალკე სიმპოზიუმი მიეძღვნა, რომლის მუშაობას ქართველი ფსიქოლოგი ხელმძღვანელობდა. სიმპოზიუმის წევრებმა წარმოადგინეს ახალი მონაცემები განწყობის კანონზომიერებათა შესახებ და აღნიშნეს უზნაძის დამსახურება განწყობის თეორიის ფორმირებასა და განვითარებაში.

განწყობის ფსიქოლოგიის მეორე გამოცემა ფსიქოლოგებს, ადამიანის შესახებ არსებულ მეცნიერებათა წარმომადგენლებს და ფართო საზოგადოებას აცნობს პიროვნების აქტივობის კანონზომიერებებს და იმ პრობლემებს, რომლის წინაშე პიროვნება დგება.

დ. უზნაძის მონოგრაფია „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" ქართულ ენაზე თავდაპირველად გამოქვეყნდა პერიოდულ გამოცემაში „ფსიქოლოგია," ტ.VI, 1949 წ. მონოგრაფიასთან ერთად იბეჭდება დ. უზნაძის შრომა „განწყობის თეორიის ძირითადი დებულებანი," რომლის საბოლოო დამუშავება ავტორს არ დასცალდა. ეს ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომებში (დ. უზნაძე. შრომები. ტ. VI) ორივე ტექსტი სარედაქციო ცვლილებების გარეშე ქვეყნდება.

აკადემიკოსი
შოთა ნადირაშვილი

განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები

განვითარების საკითხი ფსიქოლოგიაში

1. **ფსიქიკური, როგორც ცნობიერი პროცესი.** ფსიქიკის მრავალფეროვანი შინაარსი ტრადიციულად სამს მთავარ ჯგუფშია გაერთიანებული: შემეცნება, გრძნობა და ნებელობა ფსიქიკის ყველაზე უფრო ძველის, ყველაზე უფრო ცნობილი კლასიფიკაციის ძირითადი ერთეულებია. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის ისტორიაში არაერთი ცდაა ცნობილი, რომელიც ფსიქიკის მოვლენათა განსხვავებული კლასიფიკაციის შემუშავებას ეხებოდა, დღესდღეობით მაინც ეს ძველად ძველი კლასიფიკაციაა ძალაში.

იქ, სადაც ახალი კლასიფიკაციის შემუშავებას ცდილობენ, საკითხი ამ ძირითად რომელობათა კანონიერებას როდი ეხება, — იქ ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ ფსიქიკურ მოვლენათა კლასიფიკაციის ცდას სხვა უფრო ძირითადი ხასიათის საფუძველი უნდა მოეძებნოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ იგულისხმება. „აქტები" იქნება ეს თუ „შინაარსები", „ფუნქციები" თუ „მოვლენები", სულერთია, საკითხი აქ ყველგან თვალსაზრისს ეხება, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ტრადიციულ რომელობათა განსხვავების საფუძვლიანობას არ უარყოფს. იგი მხოლოდ ძირითად, დაუყვანად კატეგორიათა ცხადყოფას ესწრაფვის.

რა არის ყველა ამ ჯგუფისათვის სპეციფიკური, რაც მათ ფსიქიკის მოვლენათა ძირითად კატეგორიებად აქცევს? უდავოა, მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, ის, რომ მათთვის ყველასათვის ცნობიერებაა დამახასიათებელი: შემეცნება, ისე როგორც გრძნობაცა და ნებელობაც, ცნობიერ მოვლენათა კატეგორიებს შეადგენენ. ამ თვალსაზრისით, ფსიქიკა და ცნობიერება ერთმანეთს ფარავენ: ფსიქიკური ყველაფერი ცნობიერია და ის, რაც ცნობიერია, ფსიქიკურია.

როგორ მოჩანს ამ კონცეფციის ფარგლებში ფსიქიკის განვითარების საკითხი? თუ ვიგულისხმებთ, რომ ფსიქიკური სინამდვილე მხოლოდ იქა გვაქვს, სადაც ცნობიერი პროცესები დასტურდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ფსიქიკა მთლიანად მკვეთრად გამოეყოფა ყველაფერს, რაც მოკლებულია ცნობიერებას — ყველაფერს მატერიალურს — და სინამდვილის თავისთავადს, დამოუკიდებელს, სრულიად დახშულ არეს ქმნის. ამ შემთხვევაში ფსიქიკურსა და მატერიალურს შორის ძირითადი, შეუთანხმებელი წინააღმდეგობა უნდა

ვიგულოთ, და ბუნებრივია იფიქროს კაცმა, რომ შეუძლებელია მათ შორის რაიმე კავშირი არსებობდეს, შეუძლებელია ისინი რაიმე გავლენას ახდენდნენ ურთიერთზე.

ფსიქიკის ამ კონცეფციის ნიადაგზე ფსიქიკურისა და მატერიალურის ურთიერთობის საკითხი მხოლოდ *პარალელისტურად* შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. ე. წ. ფსიქოფიზიკური პარალელიზმი ფსიქიკის ამგვარი გაგების ბუნებრივსა და, შეიძლება ითქვას, სრულიად კანონიერ დანასკვს წარმოადგენს. მაშასადამე, ამ კონცეფციის თანახმად გამოდის, რომ ფსიქიკური იმთავითვე, როგორც ცნობიერი იგულისხმება, რომ შეუძლებელია ფსიქიკის განვითარების ისეთი საფეხური წარმოვიდგინოთ, რომ ის ცნობიერებას სრულიად მოკლებული იყოს, რომ არაცნობიერი ფსიქიკა შინაგან წინააღმდეგობას (contradictio in abjecto) შეიცავს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ფსიქიკის ეს კონცეფცია ფსიქიკური განვითარების პრობლემას მთლიანად განზე ტოვებს: რამდენადაც ფსიქიკურად მას მხოლოდ ცნობიერი მიაჩნია, იგი იძულებული ხდება დასკვნას, რომ ფსიქიკის ისტორია შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერების აღმოცენებით იწყებოდეს, რომ ცნობიერების გარეთ მისი ძიება სრულიად ფუჭად უნდა ჩაითვალოს.

რაკი ცნობიერ სულიერ ცხოვრებაში ჩვენ მხოლოდ შემეცნების, გრძნობებისა და ნებელობის პროცესებს ვხვდებით, საფიქრებელია, ამ კონცეფციის მიხედვით, რომ მთელი ფსიქიკური ცხოვრების შინაარსს სწორედ ესენი ამოსწურავდნენ: სხვა ცნობიერი პროცესი ჩვენ არ ვიცით, და, მაშასადამე, არც სხვა რამ ფსიქიკური პროცესია შესაძლებელი არსებობდესო.

ასეთია ემპირისტულ მეცნიერებაში ერთი, ყველაზე უფრო გავრცელებული, გაგება ფსიქიკისა.

2. ფსიქიკური, როგორც არაცნობიერი. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია მეორე მიმართულებაც, რომელიც არსებითად სხვაგვარად წყვეტს ჩვენს საკითხს. ამ მიმართულების მიხედვით, არ შეიძლება ითქვას, ჩვენს სულიერ ცხოვრებას ჩვენი ცნობიერება ამოწურავდეს. პირიქით, ცნობიერი სულიერი ცხოვრება მხოლოდ უმნიშვნელო მონაკვეთს შეადგენს მთელი ჩვენი ფსიქიკის აქტივობისას. არსებობს მეორე, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი არეც ფსიქიკური ცხოვრებისა, რომელიც *ქვეცნობიერის* ან *არაცნობიერის* სახელით არის ცნობილი და ჩვენი ფსიქიკის მთელი აქტივობის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. მაშასადამე, იმისათვის, რომ რაიმე მოვლენა სულიერ მოვლენად ჩაითვალოს, სრულიად

არაა აუცილებელი, ის უთუოდ ცნობიერიც იყოს.

მოკლედ, გამოდის, რომ ფსიქიკა ორს დიდ მონაკვეთს შეიცავს: ერთს — ცნობიერ სულიერ მოვლენათა და მეორეს — არაცნობიერ სულიერ მოვლენათა მონაკვეთს, და ორივე ფსიქიკის თანაბრად აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფსიქიკური ცხოვრების ამ კონცეფციის მიხედვით, ფსიქიკა თავისი აქტივობის პროცესში განვითარების ორს საფეხურს გაივლის, რომელთაგანაც პირველი არაცნობიერის საფეხურია, ხოლო შემდგომი — ცნობიერი სულიერი ცხოვრების საფეხური. შეიძლებოდა კაცს მართლაც ასე ეფიქრა. მაგრამ ფსიქოლოგიის ეს მიმართულება სრულიადაც არ მსჯელობს ასე. მისი აზრით, ცნობიერი და არაცნობიერი სფერო სულიერი ცხოვრებისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება როგორც განვითარების ეტაპები წარმოვიდგინოთ, სახელდობრ, როგორც ეტაპები ფსიქიკური ცხოვრების განვითარებისა.

მართალია, ჩვენ გვაქვს შემთხვევები, რომ რაიმე ფსიქიკური განცდა არაცნობიერი სფეროდან ცნობიერში გადადიოდეს. მაგრამ ეს არაა აუცილებელი გზა, რომელსაც ყველა ფსიქიკური განცდა გაივლის. პირიქით, არაა იშვიათი მოვლენა, რომ საწინააღმდეგო ვითარებამაც იჩინოს თავი — რაიმე ცნობიერმა პროცესმა არაცნობიერ სფეროში გადაინაცვლოს.

მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, რომ არაცნობიერი უთუოდ განვითარების საფეხურია, რომელსაც, როგორც შემდგომი ეტაპი, ცნობიერების საფეხური სდევს თან. რომ ეს ასეა, ეს არაცნობიერი შინაარსის არსებითი განხილვიდანაც ნათლად ჩანს. მართლაც და, რა უნდა ვიგულოთ არაცნობიერად? როგორ უნდა დახასიათდეს, როგორც გარკვეული რომელობა, ეს არაცნობიერი?

ვთქვათ, სუბიექტს რაიმე სურვილი აღმოუცენდა, რომელიც მას თავისთვის შეუფერებლად მიაჩნია, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზის გამო, სასირცხვილოდაც. რა ხდება ასეთ შემთხვევაში? არაცნობიერის ფსიქოლოგია *განდევნის* ცნებას მიმართავს. ის ფიქრობს, რომ სუბიექტი ამ სურვილს თავისი ცნობიერების ზღუდეთაგან *არაცნობიერებისაკენ* დევნის, რომ იგი მას საბოლოოდ კი არ სპობს, არამედ არაცნობიერის წიაღში მალავს. ეს განდევნილი სურვილი ამიერიდან არაცნობიერი ხდება — ის სუბიექტის მიერ ცნობიერად აღარ განიცდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს იგი ძირიანფესვიანად დაკარგულიყოს. ის მაინც რჩება და მაინც აქტივობს სუბიექტში, ოღონდ ისე, რომ სუბიექტმა მის შესახებ არაფერი

იცის. ასე ჩნდება არაცნობიერი არის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რა ემართება ასეთს ფსიქიკურ შინაარსს არაცნობიერს მდგომარეობაში?

ვნახოთ ჯერ, რა ხდება საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში, ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე ფსიქიკური განცდა, პირიქით, არაცნობიერი მდგომარეობიდან ცნობიერ მდგომარეობაში გადადის. პასუხი ნათელია: საკმარისია განცდა ცნობიერი შეიქნეს, რომ იგი ჩვეულებრივი ცნობილი ფსიქიკური განცდის სახით, ვთქვათ, შიშის ემოციონალური განცდის სახით, წარმოდგეს ჩვენ წინაშე.

მაშასადამე, ნათელია, რომ ე. წ. არაცნობიერი განცდა, როგორც თავის აღმოცენებამდე, ე. ი. სანამ არაცნობიერი შეიქნებოდეს, ისე მას შემდეგაც, რაც არაცნობიერ მდგომარეობას თავს დააღნევს, ჩვეულებრივს ცნობიერ პროცესს წარმოადგენს.

არაცნობიერის ფსიქოლოგია ფსიქიკის არაცნობიერ მდგომარეობას მხოლოდ უარყოფითად, ე. ი. მხოლოდ როგორც ცნობიერებას მოკლებულს, როგორც არაცნობიერ მდგომარეობას განსაზღვრავს. დადებითი დახასიათებისათვის მას არაფერი გააჩნია; იგი მას მხოლოდ როგორც არაცნობიერს სახავს, რომელიც, იქცევა თუ არა ცნობიერ ფსიქიკურ შინაარსად, ჩვეულებრივი ცნობიერი განცდების სახით გვევლინება. არაცნობიერის ფსიქოლოგია არაცნობიერს მხოლოდ უარყოფითად აღნიშნავს — მხოლოდ როგორც არაცნობიერს. მისი დადებითი დახასიათება მას არსად არა აქვს ნაცადი. უნდა ვიფიქროთ, რომ მას არაცა აქვს ამის შესაძლებლობა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ არაცნობიერის ცნება ახალს არაფერს იძლევა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის, სახელდობრ, განვითარების საკითხის გადასაჭრელად. არაცნობიერი პროცესი ფსიქიკის განვითარების საფეხურს როდი წარმოადგენს, საფეხურს, რომელიც წინ უსწრებს და ამზადებს ცნობიერის ფსიქიკური განცდების აღმოცენებას. არაცნობიერი, ისე როგორც ცნობიერიც — ორივე განვითარების ერთისა და იმავე დონის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო განვითარების განსხვავებული საფეხურების წარმომადგენლებად ისინი ვერ გამოდგებიან. მოკლედ, არაცნობიერების ცნება განვითარების ფაქტის დასასაბუთებლად ფსიქოლოგიაში ვერ გამოდგება.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ ემპირისტული ფსიქოლოგიისათვის, რომელიც ფსიქიკურს მხოლოდ სუბიექტურში — ცნობიერში თუ არაცნობიერში — ჭვრეტს, ფსიქიკის განვითარების თვალსაზრისი

სრულიად უცხოა. რა თქმა უნდა, არსებობს არაერთი ცდა, რომელიც ამ თვალსაზრისის გატარებას ცდილობს — არა ერთი ცდა, რომელიც ონტოგენეზურისა და ფილოგენეზური ფსიქიკური განვითარების შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველგან ცნობიერი ფსიქიკური პროცესების შემდგომ განვითარებაზეა ლაპარაკი. ხოლო რაც შეეხება საკითხს, თუ განვითარების რა საფეხურები უსწრებენ წინ ამ ცნობიერი პროცესების აღმოცენებას, როგორ მზადდება მათი წარმოშობა და აქტიურ მდგომარეობაში გადასვლა, ეს საკითხი ემპირისტულ მეცნიერებას ყოველთვის ყურადღების გარეშე რჩებოდა. თითქოს იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ ცნობიერი სულიერი ცხოვრება ისევე პირველადია, ისევე თავისთავადი და გამოუყვანელია, როგორც ფიზიკური, მატერიალური სინამდვილე. იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ სული, რომელიც შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის აქტებში იჩენს თავს, დამოუკიდებელი რეალობაა, და მისი წინასაფეხურებზე დაყვანის აზრი თავში არავის მოუვიდოდა.

ყოველ შემთხვევაში, მეცნიერების ისტორიაში ფსიქიკის, როგორც ასეთის, ასე ვთქვათ, წინა ისტორია არასდროს სერიოზული შესწავლის საგანი არ ყოფილა.

3. ფსიქიკის განვითარების დასაბუთება. სულ სხვა სურათი გადაიშლება თვალწინ, თუ საქმის ვითარებას მატერიალისტური თვალსაზრისით შევხედავთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ ფსიქიკა სინამდვილის განვითარების პროცესში ჩართული რეალობაა, უეჭველია, სრულიად ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია იგი ცნობიერების ფარგლებით იყოს შეზღუდული, რომ დაუსაბუთებელი იქნებოდა აზრი, რომლის მიხედვითაც ცნობიერი ფსიქიკური მოვლენების აღმოცენებას წინ არ უსწრებს საფეხური ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკური რეალობისა.

როგორია ეს წინასაფეხურები?

აი საკითხი, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად უნდა გადაწყდეს. დღემდე, შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად მეცნიერული ყურადღების გარეშე იდგა. ამიტომ ბურჟუაზიული მეცნიერების მინაღწევართა შორის ჯერ კიდევ ვერაფერს შევხვდებით ისეთს, რაც ჩვენი საკითხის პასუხად შეიძლება გამოდგეს. საკითხი ჩვენს წინაშე არსებითად პირველად ისმის, და საჭიროა, მისი გადაწყვეტის გზები იქნეს მოძებნილი.

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით ფსიქიკის ეს ადრეული საფეხური შევისწავლოთ, რომელიც ცნობიერების აღმოცენებას უსწრებს წინ და განწყობის სახელწოდებით უნდა იქნეს აღნიშნული.

თავი I

ზოგადი მოძღვრება განწყობის შესახებ

I. განწყობის პრობლემის დაყენება

1. წონის ილუზია და მისი ტრადიციული ახსნის ცდის უკმარისობა. ვთქვათ, ცდისპირს მივცეთ ამოცანა განმეორებით, რამდენიმეჯერ ასწიოს ხელში წყვილი არათანასწორი სიმძიმის საგანი — უფრო მძიმე მარჯვენა ხელში, უფრო მსუბუქი კი მარცხენაში. ამ ამოცანის განმეორებითი შესრულების შედეგად ცპ-ს (ცდისპირს) უმუშავდება ჩვევა მარჯვენა ტვირთის ასაწევად უფრო ძლიერი კუნთური იმპულსის მობილიზაციისა, ვიდრე წყვილის მეორე წევრის ასაწევად. თუ ცდის საკმარისი რაოდენობით განმეორების შემდეგ ცპ-ს მივეცით ორივე ხელში თანაბარი წონის საგანთა წყვილი, მას ეს საგნები არატოლი სიმძიმისად მოეჩვენება, სახელდობრ: საგანი მარჯვენა ხელში — უფრო მსუბუქად, ვიდრე მარცხენაში. და აი ეს, ამ პირობებში აღმოცენებული ილუზიაა, რომ ფსიქოლოგიაში წონის ილუზიის სახელწოდებით შეიქნა ცნობილი.

დგება საკითხი: როგორ უნდა აიხსნას ეს ილუზია?

პირველი ცდა ამ ილუზიის ახსნისა ასეთი იყო: იმის გამო, რომ მარჯვენა ხელით უფრო მძიმე საგნის აღებას ვეჩვევით, ტვირთის ანევისას ეს ხელი — მოცემული ცდის პირობებში — უფრო მძლავრი იმპულსის მობილიზაციას ახდენს ხოლმე, ვიდრე მარცხენა ხელი. მაგრამ, რადგან ამ შემთხვევაში ფაქტიურად თანაბარი წონის საგნების ანევა გვიხდება, მარჯვენა ხელი, უფრო მძიმის ასაწევად მობილიზებული იმპულსის წყალობით, უფრო სწრაფად და იოლად „მოწყვეტს" ხოლმე საგანს ადგილიდან, ვიდრე მარცხენა ხელი, და ტვირთი მარჯვნივ უფრო მსუბუქად „მიფრენს ზევით", ვიდრე მარცხნივ.

მაშასადამე, წინამდებარე ილუზიის ფსიქოლოგიური საფუძველი, ამ თეორიის თანახმად, ტვირთის ანევის სისწრაფის განცდაში უნდა ვიგულვოთ: როდესაც იგი სწრაფად აიწევა, თითქოს „მიფრენსო"

ზევით, იგი მსუბუქი გვეჩვენება, და, პირიქით, როცა იგი ნელა იწევა ზევით, მაშინ როგორც შედარებით მძიმე ტვირთი განიცდება.

ასეთია ამ ილუზიის ერთ-ერთი თეორია. ის მოკლედ შემდეგში გამოიხატება: ორი ტვირთის წონაში განსხვავების განმეორებითი განცდის საფუძველზე ჩვენში მუშავდება შესატყვისი მოტორული მიდრეკილება ან განწყობა, რომელიც თანაბარ ტვირთთა შედარებისას „ზევით აფრენის" შთაბეჭდილებას იმ ხელში აპირობებს, რომელიც უფრო მძიმე ტვირთის აწევასაა მიჩვეული, და „დასაყრდენზე მიწებებისას" — იმაში, რომელიც ნაკლებ მძიმე სხეულს სწევდა. სწორედ ეს „ზევით აფრენისა" და „დასაყრდენზე მიწებების" განცდებია რომ „წონის ილუზიას" განსაზღვრავენ. ეს განცდები რომ არ ყოფილიყო, წონის ილუზიაც არ იქნებოდა. მაგრამ არც ეს განცდები იქნებოდნენ, რომ მათთვის შესატყვისი „მოტორული განწყობის" გამომუშავების ფაქტს არ დაესწრო წინ.

მაშასადამე, წინასწარ ცდებში გამომუშავებული „მოტორული განწყობა" აპირობებს „ზევით აფრენისა" ან „დასაყრდენზე მიწებების" ფაქტს, ე. ი. ფაქტს, რომელიც თავის მხრივ ილუზორულ განცდას ქმნის, თითქოს სხეული, მაგალითად, მარცხნივ, უფრო მსუბუქი იყოს, ვიდრე მარჯვნივ. ასეთია მთელი აზრი ამ თეორიისა, რომელიც *გ. მიულერს* ეკუთვნის.

მაგრამ განა სწორია ეს? შესაძლოა განა მივიჩნიოთ, რომ წონის ილუზიის აღმოცენებაში „ზევით აფრენისა" და „დასაყრდენზე მიწებების" განცდებს ეგოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს?

ამ საკითხისათვის პასუხის გასაცემად ჩვენ მივმართეთ ცდათა მთელ რიგს, რომლებშიც „ზევით აფრენის" ან „საყრდენზე მიწებების" ფენომენი სრულიად გამორიცხული იყო, მაგრამ შედარების შესაძლებლობა, წონის ილუზიის ცდების პირობების ანალოგიურად, მაინც ხელთ გვრჩებოდა.

ამ მიზნისათვის მარტივი გზა ავირჩიეთ, სახელდობრ, იგივე ცდები ჩვენ სხვა გრძნობად მოდალობათა სფეროში გადავიტანეთ და, ამგვარად, ექსპერიმენტული საგნების სიმძიმის მხრივ შედარების (ხელით გასინჯვის საშუალებით) შესაძლებლობა გამოვრიცხეთ. მიულერის თეორია რომ მართალი ყოფილიყო, ე. ი. „ზევით აფრენის" ან „საყრდენზე მიწებების" მოვლენები რომ ეგოდენ გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ილუზიის აღმოცენებისათვის, ცხადია, მაშინ ჩვენს ახალ ცდებში, სადაც ეს მოვლენები სრულიად გამორიცხული იყო, ილუზიას ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა.

ვნახოთ, გამართლდა ეს, თუ არა?

2. ცდები წოლვის აღქმის სფეროში. ჯერ კიდევ 1929 წელს გამოქვეყნებული იყო შედეგები ჩვენი ცდებისა, რომლებითაც განზრახული გვქონდა შეგვემოწმებია შარპანტიეს ფენომენის ანალოგიური ილუზიის აღმოცენების შესაძლებლობა წოლვის შეგრძნებათა არეში.[1] შედეგებმა ჩვენი მოლოდინი გაამართლეს: შარპანტიეს ილუზიის ანალოგი აღმოჩენილ იქნა პასიური წოლვის შეგრძნებათა არეში, სადაც კუნთურ იმპულსებზე, და, მაშასადამე, ტვირთის „ზევით აფრენაზე" ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

მაგრამ თუ ამ ცდებში საქმე მაინც არა ჩვენთვის უშუალოდ საინტერესო ილუზიებს, არამედ შარპანტიეს ილუზიას ეხებოდა, ჩვენს შემდეგს ცდებში საკითხი უკვე პირდაპირ იყო დასმული. ჩვენ ჩავატარეთ ცდები, რომლებიც თავის მიზნად წოლვის არეში ორი შთაბეჭდილების შედარებას ისახავდა.

ცდისპირს ბარესთეზიომეტრით ერთიმეორის შემდეგ ორი წოლვითი გაღიზიანება ეძლევა — ჯერ ძლიერი, შემდეგ სუსტი. ეს მეორდება 10-15 ჯერ, რათა მას ამ ცდების პროცესში შესაფერი *განწყობა* განუმტკიცდეს, — განწყობა ჯერ ძლიერისა და შემდეგ სუსტი გაღიზიანებისადმი (განწყობის განმტკიცებისათვის განკუთვნილ ცდებს *საგანწყობო* ცდებს ვუწოდებთ). ამათ მოსდევს ე. წ. კრიტიკული ცდა, ე. ი. ცდა, რომელმაც უნდა გადაჭრას საკითხი ახალ შთაბეჭდილებებზე განწყობის გავლენის შესახებ. ცდა მდგომარეობს იმაში, რომ ცპ-ი წნევის განსხვავებული შთაბეჭდილების მაგიერ ორს თანაბარი ინტენსივობის შთაბეჭდილებას ღებულობს.

ამ ცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ ცპ-ს ეს შთაბეჭდილებები, როგორც წესი, არათანაბარი ინტენსივობისად ეჩვენება, სახელდობრ: პირველი გამღიზიანებელი უფრო სუსტი ეჩვენება, ვიდრე მეორე. ცხრილი 1, რომელიც ჩვენი ცდების შედეგებს შეიცავს, გვითვალისწინებს, რომ ასეთ ილუზორულ აღქმათა რიცხვი საგრძნობლად აღემატება ადეკვატურ აღქმათა რიცხვს.

ცხრილი 1

	+	−	=	?
წოლვის ილუზია % %	45,6	25,0	15,0	14,4

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ, ანალოგიურ ცდებში ჩვენ სხვადასხვაგვარ ილუზიებთან გვაქვს საქმე: უფრო ხშირად გვხვდება ილუზია, რომელსაც *კონტრასტულს* ვუწოდებთ და რომელიც შე-

[1] *ა. ბოგორიშვილი,* სიმძიმის ანალოგი ილუზიის წნეხვის არეში. უნივერსიტეტის მოაზბე. 1927 წ.

მდეგში მდგომარეობს: ცპ-ი კრიტიკული ცდის საგნებს, ე. ი. ტოლ ექსპერიმენტულ გამღიზიანებლებს არატოლად აფასებს, სახელდობრ: საგანი იმ მხარეზე, რომელზედაც საგანწყობო ცდებში უფრო ძლიერი გამღიზიანებელი ეძლეოდა (უფრო ძლიერი წნევა ამ ჩვენ ცდებში, უფრო დიდი მოცულობის საგანი და სხვ. — სხვა ქვემომოტანილ ცდებში), ფასდება როგორც უფრო სუსტი ან უფრო მცირე მოცულობის მქონე და ა. შ., ხოლო საგანი მეორე მხარეზე, პირიქით, — როგორც უფრო ძლიერი ან უფრო დიდი გამღიზიანებელი.

მაგრამ სხვაგვარ ილუზიებსაც აქვთ ადგილი: გამღიზიანებლები გვეჩვენება არათანასწორღირებულოვანად არა ასიმეტრიულ, არამედ სიმეტრიულ მიმართებაშიც, ე. ი. კრიტიკულ, ტოლ გამღიზიანებელთა შორის უფრო ძლიერად ის გამღიზიანებელი გვეჩვენება, რომელიც იმ მხარეზეა, სადაც საგანწყობო ცდებში უფრო ძლიერი გამღიზიანებელი გვეძლეოდა. ამგვარ ილუზიებს ჩვენ *ასიმილაციურს* ვუწოდებთ, რადგან ვგულისხმობთ, რომ ეს ილუზიები კრიტიკულ ცდებზე საგანწყობო ცდების უშუალო და პირდაპირი ზეგავლენითაა გაშუქებული (ცხრ. №1-ში „+"-ით კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი აღინიშნება, „—"-ით — ასიმილაციურთა რიცხვი, „="-ით ადეკვატურ შეფასებათა და „?"-ით გაურკვეველ შეფასებათა რიცხვი. ქვემომოტანილ ცხრილებში ეს ნიშნები ყველგან ამ მნიშვნელობას ინარჩუნებენ).

ჩვენ ვხედავთ, რომ კრიტიკულ ცდებში, მოქმედი თანაბარი გამღიზიანებლების შეფასებით 70%-ზე მეტ შემთხვევაში, ჩვენს ცდისპირებთან ილუზორულ აღქმას აქვს ადგილი. მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ *მიულერის* ილუზიის ანალოგს ადგილი აქვს აგრეთვე წნევის არეშიც, მიუხედავად იმისა, რომ აქ „ზევით აფრენის" ან „დასაყრდენზე მიწებების" განცდებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

3. სმენის ილუზიები. შემდგომი ჩვენი ცდები სმენის შთაბეჭდილებებს ეხება. ცდები შემდეგი წესით მიმდინარეობდნენ: საგანწყობო ცდებში ცპ-ი ჩვეულებრივი Fallap parat-ის საშუალებით, სმენითს გამღიზიანებლებს წყვილ-წყვილად ღებულობდა; ამასთანავე წყვილის პირველი წევრი საგრძნობლად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ამავე წყვილის მეორე წევრი. ამ ცდების 10-15-ჯერ განმეორების შემდეგ კრიტიკული ცდები მიმდინარეობდა, რომლებშიც ცპ-ს წყვილი თანაბარი ინტენსივობის მქონე სმენითი გამღიზიანებლები ეძლეოდა და მათი შედარება ევალებოდა. ამ ცდების შედეგები ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ილუზიათა რიცხვი შემთხვევათა 76%-ს აღწევს. საჭიროა აღინიშნოს, რომ აქ ისევე, როგორც ნნევის ილუზიების ცდებში (ცხრილი 1), ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი საკმაოდ დიდია, ხოლო კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი, შედარებით, უფრო, დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევებში, სადაც იგი ხშირად 100%-ს აღწევს.

ცხრილი 2

	+	−	=	?
სმენითი ილუზიები % %	57,0	19,0	21,0	3,0

ეს უნდა აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ აქ ორსავე შემთხვევაში ამოცანა სუქცესიურ შთაბეჭდილებათა შედარებას ეხებოდა, ე. ი. ცპ-ი ღებულობდა შესადარებლად გამღიზიანებლებს ერთიმეორის შემდეგ და არა სიმულტანურად, ე. ი. ერთდროულად. ჩვენ კი არაერთხელ გვქონია შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, რომ ცდების ამ წესით ჩატარების შემთხვევაში ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი კონტრასტულ ილუზიათა ხარჯზე მატულობს.

ამ ცდების შედეგად მიღებული ციფრები არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, რომ მიულერის ილუზიის ანალოგს სმენითი შთაბეჭდილებების არეშიც აქვს ადგილი.

4. ილუზიები სინათლის აღქმის არეში. მე ჯერ კიდევ 1940 წ. გამოვთქვი მოსაზრება, შესაძლებელია ე. წ. სინათლის ადაპტაციის შემთხვევაში დადასტურებული ფენომენი სინათლის თუ სიბნელის დასაწყისი გადაფასებისა მოვლენათა იმავე კატეგორიას ეკუთვნოდეს, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი განწყობის ილუზიებიც-მეთქი.[1]

ამ მოსაზრების შესამოწმებლად მაშინ ჩვენს ლაბორატორიაში დაყენებული იყო შემდეგი ცდები. ცპ-ს ეძლეოდა შესადარებლად ორი წრე — ერთი ბნელი, მეორე — ნათელი. საგანწყობო ცდებში (10-15 ექსპოზიცია) ცპ-ს ამ წრეთა ექსპოზიციას გარკვეული თანრიგით ვაწოდებდით: ჯერ ბნელ წრეს, შემდეგ — ნათელს, კრიტიკულ ცდაში იგი ორს თანაბარი სინათლის წრეს ღებულობდა. ცპ-ი ადარებდა მათ სინათლის მხრივ. შეფასების შედეგები, როგორც ამას ცხრილი 3 გვიჩვენებს, არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, რომ კრიტიკულ ცდებში, საგანწყობო ცდების ზეგავლენით, წრეები არათანაბარი სინათლისა ჩანან: 73%-ზე მეტს შემთხვევაში ჩვენს ცპ-ებს ისინი საგრძნობლად განსხვავებული ეჩვენებათ.

---

[1] Д. Узнадзе, К вопросу об основном законе смены установки. Психология, вып. 9, стр. 316-335, 1930.

ამგვარად, ილუზიებს აქაც აქვთ ადგილი.

ცხრილი 3

	+	–	=	?
განათებულობის ილუზიები.....	56.6	16.6	21,6	3,2

5. რიცხობრივი მეტნაკლებობის ილუზიები. საჭიროა აღინიშნოს, რომ შესაფერის პირობებში რიცხობრივ მიმართებათა ურთიერთშედარების დროსაც ანალოგიური ილუზია იჩენს თავს. ცპ-ს ეძლევა საგანნყობო ცდებში ორი წრე: ერთში წერტილების თვალსაჩინოდ მეტი რიცხვია მოთავსებული, ვიდრე მეორეში. მან უნდა აღნიშნოს, რომელ მხარეზე უფრო დიდია წერტილების რიცხვი. ექსპოზიციათა რიცხვი აქაც 10-15-ს შუა ირხევა.

კრიტიკულ ცდაში მინოდებული წრეები წერტილების თანაბარ რიცხვს შეიცავენ. მაგრამ ცდისპირი, როგორც წესი, ამას ვერ ამჩნევს. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში მას ეჩვენება, რომ წერტილები ერთ-ერთ წრეში უფრო მეტია, ვიდრე მეორეში, სახელდობრ, იმ წრეში, რომელიც საგანნყობო ცდებში იგი წერტილთა ნაკლებ რიცხვს ხედავდა.

ამრიგად, ილუზია აქაც იჩენს თავს.

6. მოცულობის ილუზია. თუ *მიულერის* მოსაზრებათა თანახმად, *შარპანტიეს* ილუზიას საფუძვლად მოტორული განნყობის ნიადაგზე აღმოცენებული „ზევით აფრენის" განცდა უდევს, მაშინ გამღიზიანებელთა საწინააღმდეგო თანმიმდევრობა უნდა ადეკვატურად აღიქმებოდეს, ე. ი. თუ ცპ-ს ხელთ ვაძლევთ ორს, თანაბარი მოცულობის, მაგრამ განსხვავებული სიმძიმის ბურთს, დავალებით, შეადაროს ეს ბურთები ერთიმეორეს მოცულობის მხრივ, ილუზია არ უნდა ჩნდებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ბურთების შედარებისას არავითარ „ზევით აფრენას" არა აქვს ადგილი. მაგრამ, როგორც შემთხვევა მქონდა აღმენიშნა მოხსენებაში ფსიქოლოგთა ინტერნაციონალურ მე-8 კონგრესზე, ეს მოსაზრება არ მართლდება. პირიქით, ჩნდება სრულიად გარკვეული ილუზია, რომლის თანახმად ნაკლები სიმძიმის ბურთი უფრო ფართო მოცულობის ჩანს, ვიდრე მეტი წონის ბურთი, ე. ი. თავს იჩენს შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური ფენომენი.

ამ ილუზიის უფრო ზუსტი შემოწმებისათვის ჩვენ იგი გავამარტივეთ და *მოცულობის* ილუზიაზე დავიყვანეთ. ამისათვის შემდეგნაირად მოვიქეცით: ცპ-ს ერთდროულად ვაძლევდით ხელთ ორს ხის ბურთს: უფრო დიდს – ერთ ხელში და უფრო პატარა მოცულობისას – მეორეში. ცპ-ის ამოცანა მდგომარეობდა ამ ბურთების

მოცულობათა შეფასებაში: თითოეულ შემთხვევაში მას უნდა აღენიშნა, სახელდობრ, რომელ ხელში აქვს მოცულობით უფრო დიდი ბურთი (მაგალ., „მარჯვნივ – უფრო დიდი...“). 10-15-ჯერ, ერთი და იმავე წესრიგით (მარჯვნივ უფრო დიდი ბურთი, მარცხნივ – უფრო პატარა) განმეორებითი ექსპოზიციის შემდეგ, კრიტიკულ ცდაში შესადარებლად მას ორი თანაბარი მოცულობის ბურთს ვაძლევდით.

ცდების შედეგები სრულიად გარკვეულად გვიჩვენებს, რომ ამ პირობებში ცპ-ბი ვერ ამჩნევენ ბურთების ტოლობას: როგორც წესი, ბურთები აღიქმებიან როგორც უტოლო და შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში – კონტრასტულადაც, ე. ი. უფრო დიდად ეჩვენებათ ბურთი იმ ხელში, რომელშიც საგანწყობო ცდებში უფრო მცირე მოცულობის ბურთი ეძლეოდათ.

იმის გამო, რომ მოცულობა აღიქმებოდა არა მარტო ჰაპტურად, არამედ ოპტიკურადაც, ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო ამ ცდების მხედველობის მოდალობაში გადატანის აზრი.

ჩვენ ვაწოდებდით ცპ-ბს ტაქისტოსკოპურად წყვილ-წყვილად წრეებს, რომელთა შორისაც ერთი საგრძნობლად უფრო დიდი იყო, ვიდრე მეორე, და ვავალებდით შეედარებინათ ისინი ერთმანეთთან და აღენიშნათ, რომელი უფრო დიდი იყო. ამგვარ ექსპოზიციათა საკმაო რაოდენობის (10-15) შემდეგ ჩვენ გადავდიოდით კრიტიკულ ცდებზე: ტაქისტოსკოპში ვაჩვენებდით ორ თანაბარ წრეს და ვავალებდით ცპ-ს მათ ურთიერთშედარებას მოცულობის მხრივ.

ამ ცდების შედეგები ჩვეულებრივი აღმოჩნდა: ცპ-ები ილუზიურად აღიქვამდნენ ბურთებს; ამასთან ერთად, როგორც წესი, ილუზიები თითქმის ყოველთვის კონტრასტული იყვნენ, უფრო იშვიათად კი მათ ასიმილაციური ხასიათი ჰქონდათ. ჩვენ მოგვყავს ამ ცდების მონაცემები – ამგვარ პირობებში ილუზიათა რიცხვი თითქმის ყოველთვის 100%-ს აღწევს.

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენთვის საინტერესო ილუზიის ანალოგები, როგორც ჰაპტურს, ისე ოპტიკურ სფეროშიც გვხვდება.

7. **„გაცრუებული მოლოდინის“ თეორია.** ყველა ზემოხსენებული რომ შევაჯამოთ, სრულიად ცხადი გახდება, რომ *სიმძიმის ილუზია* მხოლოდ სახესხვაობას წარმოადგენს რომელიღაც საერთო ილუზიისას, რომელიც, იმ გრძნობათა მოდალობების მიხედვით, რომლებშიც ვლინდება, შესაფერის გარეგან გამოხატულებას ღებულობს: ტაქტილურ არეში იგი წნევის ილუზიად გვევლინება, ოპტიკურში – მოცულობის ილუზიად, კუნთურში – წონის ილუზიად და ა. შ. არსებითად კი იგი ერთიან ილუზიად რჩება, რომლის არსის გაგები-

სათვის ცალკეულ გრძნობად მოდალობათა თავისებურება არსებითს როლს არ ასრულებს. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ *ილუზიის ახსნის ის გავრცელებული ცდა, რომელიც მიულერის თეორიის სახელითაა ცნობილი*, ყალბია. მაშასადამე, საჭიროა ახალი უფრო მართებული თეორია იქნეს აგებული.

და, აი, უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი: რას ვნახულობთ ჩვენი ცდების პირობებში, ცალკეულ მოდალობათა მოქმედებაში ისეთს, რომ ყველა ჩვენ მიერ დადასტურებული ანალოგიური ილუზიის საფუძვლად იყოს შესაძლებელი მივიღოთ.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ვხვდებით ერთს თეორიას, რომელიც თითქოს სრულიად აკმაყოფილებს ჩვენ მიერ დასმულ კითხვას.

ესაა ე. წ. „გაცრუებული მოლოდინის" თეორია, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ გაკვრით. ახლა მას უფრო ახლოს უნდა გავეცნოთ. საჭიროა აქვე დავურთოთ, რომ ამ თეორიის დამუშავებისას წონის ილუზიების ჩვენ მიერ ჩატარებული ანალოგები, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

„გაცრუებული მოლოდინის" თეორია ცდილობს ახსნას *სიმძიმის* ილუზია (მაშასადამე, მისი ანალოგებიც) შემდეგნაირად: ტვირთების განმეორებითი ანევის შედეგად (ან, როგორც ჩვენ შეგვეძლო დაგვემატებია — შედეგად მხედველობითი, სმენითი ან სხვა რომელიმე განმეორებითი შთაბეჭდილებისა) ცპ-ს უმუშავდება *მოლოდინი*, რომ მას განსაზღვრულ ხელში ყოველთვის უფრო მძიმე საგანი აქვს, ვიდრე მეორეში, და, როდესაც კრიტიკულ ცდაში ის ამ ხელში აღარ ღებულობს მძიმე საგანს, მისი მოლოდინი ცრუვდება და მიღებული საგანი მას უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე მეორე ხელში, ასე აღმოცენდება, ამ თეორიის თანახმად, წონის კონტრასტული ილუზია და, შესაფერის პირობებში, ამ ილუზიის ჩვენ მიერ აღმოჩენილი ყველა ანალოგიც.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ თეორიას *მიულერის* თეორიასთან შედარებით, გარკვეული უპირატესობა აქვს, რამდენადაც იგი ამ ილუზიათა გამოვლენის შესაძლებლობას ყველგან ცნობს, სადაც კი აზრი აქვს „გაცრუებული მოლოდინის" შესახებ ლაპარაკს. და მართლაც, ცდები გვიჩვენებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ილუზია არ იფარგლება ერთი რომელიმე გრძნობადი მოდალობით — მას საგრძნობლად უფრო დიდი გავრცელებულობა აქვს.

ამისდა მიუხედავად, ამ თეორიის მიღება მაინც შეუძლებელი ჩანს. უპირველეს ყოვლისა, იგი ნაკლებ დამაკმაყოფილებელია იმდე-

ნად, რამდენადაც არ იძლევა პასუხს ჩვენი ილუზიების პრობლემის არსებითს საკითხზე, მაგალითად, საკითხზე იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რატომ აღმოცენდება ხოლმე ერთ შემთხვევაში კონტრასტული ილუზია, მეორეში კი — ასიმილაციური. „გაცრუებული მოლოდინის" თეორია არსებითად საკმარისად თვლის, თუ მართებულად იქნა მითითებული მოვლენათა ის სფერო, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენთვის საინტერესო ფაქტები, ე. ი. თუ ეს ფაქტები სწორად იქნა სუბსუმირებული. მაგრამ განა ეს კმარა? უდავო არაა, რომ მოვლენათა სწორი სუბსუმირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ ახსნას.

8. განწყობა, როგორც საფუძველი ყველა ამ ილუზიისა. „გაცრუებული მოლოდინის" თეორია მაინც საჭიროა შემოწმდეს და, თუ მოხერხდა, შემოწმდეს ექსპერიმენტული გზით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ამ თეორიის მისაღებობის შესახებ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ.

ჩვენ დავაყენეთ სპეციალური ცდები, რომელთაც უნდა გამოერკვიათ საკითხი „გაცრუებული მოლოდინის" თეორიული მნიშვნელობის შესახებ. ამ შემთხვევისათვის გამოვიყენეთ ჰიპნოზური ძილის მდგომარეობა, რამდენადაც იგი განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს გვაძლევს ჩვენი საკითხის გადასაჭრელად. ამ პირობებს *რაპორტის* ფაქტი ქმნის — ცნობილი ფაქტი, რომლის შესაძლებლობაც ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში დასტურდება. წინასწარ ჩვენ ჰიპნოზური ძილის მდგომარეობას ვუქმნიდით ცდისპირებს და ამ მდგომარეობაში მათზე ჩვენს ჩვეულებრივს საგანწყობო ცდებს ვატარებდით: ვაძლევდით ხელში საგანწყობო ბურთებს — ერთს დიდს, მეორეს პატარას — და მათთან *რაპორტის* საფუძველზე ვავალებდით შეედარებინათ ეს ბურთები (10-15 ექსპოზიციის შემდეგ) ერთიმეორისათვის სიდიდის მხრივ. ცდების დამთავრების შემდეგ, მიუხედავად ჩვეულებრივი პოსტჰიპნოზური ამნეზიის ფაქტისა, სპეციალურად შთავაგონებდით მათ, რომ სრულიად დავინყებოდათ ყველაფერი, რასაც ძილის დროს აკეთებდნენ. შემდეგ ცდისპირი მეორე ოთახში გაგეყავდა, იქ ვაღვიძებდით და რამდენიმე ხნის შემდეგ ფხიზელ მდგომარეობაში ჩვენს კრიტიკულ ცდებს ვაწარმოებდით, ე. ი. ვაძლევით ხელთ მოცულობით ტოლ ბურთებს და ვავალებდით შეედარებინათ ისინი ურთიერთისათვის და ეთქვათ, თუ როგორი იყვნენ ისინი. ჩვენი ცდისპირები თითქმის ყველა შემთხვევაში უტოლობას უჩვენებდნენ, — სახელდობრ, ისინი ამბობდნენ, რომ ბურთი მარცხნივ (ე. ი. იმ ხელში, რომელშიც საგანწყობო ცდებში, ჰიპნო-

ზური ძილის დროს, ეძლეოდათ დიდი ბურთი) საგრძნობლად უფრო მცირეა, ვიდრე ბურთი მარჯვნივ.

ამგვარად, ჰიპნოზურ ძილში ჩატარებული, საგანწყობო ცდების ზეგავლენით აღმოცენებული მოცულობის ილუზიის ფაქტი უდავოდ ამტკიცებს, რომ ეს ილუზია ისეთ პირობებში გაჩნდა, სადაც არავითარ *მოლოდინზე* არ შეიძლებოდა ლაპარაკი. ხომ სრულიად უდავოა, რომ ჩვენს ცდისპირებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ იმის შესახებ, თუ რა ემართებოდათ მათ ჰიპნოზური ძილის დროს, როდესაც მათზე საგანწყობო ცდებს ვატარებდით. მაშასადამე, ვერც რაიმე „მოლოდინი" ექნებოდათ მათ.

ამრიგად, ამ ექსპერიმენტებში დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საგანწყობო ცდების შედეგად სუბიექტს ერთგვარი შინაგანი მდგომარეობა ექმნება, რომელიც, თუმცა მის ცნობიერებაში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ მაინც დიდ გავლენას ახდენს ცნობიერების პროცესების რიგზე და, ამრიგად, მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა, რომელიც სუბიექტის ქცევას განსაზღვრავს.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ავხსნათ საგანწყობო ცდების გავლენის ფაქტი სუბიექტის ქცევაზე, სრულიად არ არის საჭირო *მოლოდინის* ცნებას მივმართოთ — იმ ფენომენის ცნებას, რომელიც როგორც ცნობიერების მდგომარეობაა ცნობილი და ამ შემთხვევაში მის ასახსნელად ვერ გამოდგება.

ამრიგად, „გაცრუებული მოლოდინის" თეორია ჩვენი ილუზიების მოვლენათა ასახსნელად უსუსურია, და მაშასადამე, უფრო ადეკვატური თეორია სხვა მიმართულებით უნდა ვეძიოთ.

ყველა ზემოთ აღნიშნული ექსპერიმენტიდან ნათლად ჩანს, რომ წინასწარი ცდები, რომელთაც ჩვენ *საგანწყობოს* ვუწოდებთ, სრულიად აუცილებელია ამ ცდების პირობებში ილუზიების აღმოცენებისათვის: საკმარისი რაოდენობის საგანწყობო ცდების გარეშე ილუზია არასოდეს არ ჩნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საგანწყობო ცდებს რაღაც აქვთ ისეთი, რაც მათ ილუზიათა აღმოცენების აუცილებელ ფაქტორად აქცევს. ეჭვს გარეშეა, ეს ცდები ერთგვარ მდგომარეობას უნდა ინვევდნენ სუბიექტში, რაც აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენს ილუზიების აღმოცენებისათვის.

როგორია ეს მდგომარეობა? უდავოა, რომ იგი არ უნდა იყოს ცნობიერების გარკვეული შინაარსი — რომელიმე ფაქტი, რომლის დადასტურებაც შესაძლებელი იქნებოდა ცნობიერებაში.

ჩვენი პოსტჰიპნოზური შთაგონების ცდები, როგორც ეს ზემოთაც დავინახეთ, გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში სპეციფიკურ მდგომარე-

ობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს სუბიექტის ცნობიერებაზე. ამ მდგომარეობის უახლოესი დახასიათება იმ როლით განისაზღვრება, რომელსაც იგი ცნობიერების მუშაობისათვის ასრულებს.

ჩვენ ვიცით, რომ იგი — ეს როლი — იმაში გამოიხატება, რომ მოცემული მდგომარეობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს ჩვენი ცნობიერების მოქმედებაზე, სახეს უცვლის მის შესატყვის შინაარსებს, მიიმსგავსებს მათ, როგორც ამას ყველა ზემომოტანილ ცდებში ჰქონდა ადგილი. ეს გარემოება საკმაო საბუთს გვაძლევს ამ მდგომარეობის აღსანიშნავად ტერმინი „განწყობა" შევინარჩუნოთ, ტერმინი, რომელიც, თუმცა სხვა გაგებით, მაგრამ დღეს უკვე საკმაოდ მტკიცედ არის მეცნიერებაში დამკვიდრებული. მართალია, დღემდე იგი მეცნიერულ ტერმინად, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება, რადგანაც მისი შინაარსის გახსნის სერიოზული ცდები ჯერ არსად ჩანს.

წინამდებარე გამოკვლევას ამ ხარვეზის შევსება აქვს მიზნად დასახული და ამიტომ აქ განწყობის ცნების არსებითი შინაარსის გაშლაა ნაცადი. ჯერხნობით კი პოსტჰიპნოზური შთაგონების ზემოხსენებული ცდების საფუძველზე, ჩვენ დადგენილად ვთვლით, რომ განწყობა არ წარმოადგენს ისეთ ცნებას, რომელშიც ჩვენი ცნობიერების რაიმე კონკრეტული ფენომენი იყოს განზოგადებული. პირიქით, იგი უფრო ერთგვარ რეალურს, აქტიურ მდგომარეობას გამოსახავს, რომელიც თუმცა ცნობიერების გარეშეა, მაგრამ მაინც გარკვევით მისი პროცესების მოქმედებას განსაზღვრავს.

ამრიგად, ვფიქრობ, ჩვენი ცნებიდან სრულიად ნათელი ხდება, რომ ორი მოცულობით თვალსაჩინოდ განსხვავებული ბურთის განმეორებითი მიწოდების შედეგად, ცდისპირს ერთგვარი შინაგანი მდგომარეობა ექმნება, რომელიც, ასიმილაციის პროცესის შუალობით, ცნობიერების უახლოეს შინაარსს განსაზღვრავს. ამ მდგომარეობას, მე ვიმეორებ, *განწყობა* შეიძლება ვუწოდოთ. მისი აქტივობა იმაში გამოიხატება, რომ კრიტიკულ ცდებში ორი მოცულობით ტოლი ბურთი არაადეკვატურად, სახელდობრ, როგორც უტოლო აღიქმება, და ეს გრძელდება, სანამ განწყობა არ ჩაქრება.

საჭიროა განსაკუთრებით ხაზი გაესვას, რომ განწყობა ამ შემთხვევაში რაოდენობითს (კვანტიტატურ) მიმართებებს ეხება, სახელდობრ, მიწოდებულ საგანთა მოცულობის მიმართებებს. მაშასადამე, საკითხი ეხება აქ განწყობის არა *აბსოლუტურ სიდიდეებს*, არამედ სიდიდეთა *ურთიერთმიმართებებს*.

იმის გამო, რომ სიმძიმის ცენტრი ამ შემთხვევაში სწორედ ამ ურთიერთმიმართებაში მდებარეობს, ცხადი ხდება, რომ განწყობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა საგნობრივი შინაარსი აქვთ ურთიერთმიმართების წევრებს: საკითხი ეხება არა იმას, თუ რა არის უფრო დიდი ან პატარა, არამედ იმას, თუ *როგორია* ერთი წევრი მეორესთან შედარებით — უფრო დიდია იგი, თუ უფრო პატარა.

თუ ვცანით, რომ ეს მართლაც ასეა, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ჩვენს ცდებში არსებითს როლს ის კი არ თამაშობს, თუ რა მასალას ვიყენებთ — ორი გამღიზიანებლის კანზე დაწოლვის სიძლიერის შეფასებას ვცდილობთ, თუ გამღიზიანებელთა წონისას, მოცულობისას, თუ სხვა რამეს. არსებითია ყველა ამ შემთხვევაში მხოლოდ მიმართება, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია მისი რელატები.

ამ მოსაზრებათა შესამოწმებლად ჩვენ მიერ შემდეგი ცდები იყო მოწყობილი, ჩვენ ვაძლევდით ცდისპირებს ჩვეულებრივს საგანწყობო ბურთებს: მათ უნდა შეედარებინათ ისინი ერთმანეთთან მოცულობის მხრივ. საგანწყობო სერია, მაშასადამე, ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. ახალი მომენტი მხოლოდ კრიტიკულ ცდებში იქნა შეტანილი. ჩვეულებრივ, კრიტიკულ ცდებში ჩვენი ცდისპირები ხელში ორს ტოლ ბურთს ღებულობდნენ, რომელნიც უმცირესი საგანწყობო ბურთის ტოლები იყვნენ. ცდათა ამ სერიაში კი შეტანილი იყო, კრიტიკული სახით, ისეთი ბურთები, რომლებიც მოცულობით უდიდეს საგანწყობო ბურთზე უფრო დიდები იყვნენ. ასე მოვიქეცით ცდათა ერთ სერიაში. მეორე სერიაში — კრიტიკული ბურთები სხვა ფიგურებით შევცვალეთ — კუბებით, ხოლო ოპტიკურ სერიაში — სხვა ფიგურათა რიგით.

ამ ცდების შედეგებმა დაადასტურეს ჩვენი ზემოხსენებული მოსაზრება: ცდისპირებს ეს კრიტიკული სხეულებიც უტოლოდ ეჩვენებოდათ. ვინაიდან კრიტიკულ ცდებში ამ შემთხვევაში სრულიად სხვა ოდენობა მონაწილეობდა, სახელდობრ, ბურთები, რომლებიც მოცულობით განირჩეოდნენ საგანწყობოთაგან, — უფრო დიდები იყვნენ, ვიდრე რომელიმე ამათგანი და სხვა მასალაზე მიღებული განწყობის პრიზმაში იყვნენ აღქმული, — უეჭველი ხდება, რომ თვითონ მასალას ჩვენს ცდებში მნიშვნელობა არა აქვს, და განწყობა მხოლოდ *ურთიერთმიმართებაზე* მუშავდება, — მაშასადამე, ისეთ რამეზე, რაც მუდამ იმადვე რჩება, როგორც უნდა შეიცვალოს მასალა და როგორ გრძნობად მოდალობასაც უნდა ეხებოდეს იგი.

ეს დაკვირვება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სწორედ

ამავე გარემოებას აქვს ადგილი *მიულერის* ცდებში, ისე როგორც ყველა ჩვენ მიერ დადასტურებულ შემთხვევაშიც. აქ ყველგან განწყობა არა „ზევით ფრენის", „დასაყრდენზე მიწებების" ან რომელიმე სხვა ანალოგიური ფენომენის ნიადაგზე იქმნება, არამედ მხოლოდ ცვალებადი რელატების ურთიერთმიმართებაზე.

აქედან უდავოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ზემოაღწერილ შემთხვევაში განწყობის აქტივობასთან გვაქვს საქმე: და, თუ ჩვენი ქცევის ამ თავისებურისა და, როგორც ჩანს, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორის შესწავლას დავისახავთ მიზნად, ანალოგიური ცდების ნიადაგზე საკმაოდ დიდი მასალის დაგროვებას შევძლებთ.

9. ფიგურათა მიმართების ცდები. ჩვენი საკითხის კვლევას ჩვენ მეორე მხრიდანაც შეგვიძლია მივუდგეთ. დავუშვათ, რომ ჩვენ ვანარმოებთ საგანწყობო ცდებს მნიშვნელოვნად განსხვავებული მოცულობის ფიგურათა წყვილების რიგით[1]. მაგალითად, ცდისპირს ტაქისტოსკოპურად ვაწოდებთ თანამიმდევრობით, ურთიერთს შემდეგ, ფიგურათა მწკრივს: ჯერ სამკუთხედებს — დიდსა და პატარას, შემდეგ კვადრატებს, ექვსკუთხედებსა და სხვა ფიგურათა რიგს, ვაწოდებთ წყვილ-წყვილად, იმავე თანრიგით. ერთი სიტყვით, საგანწყობო ცდები აგებულია ისე, რომ ცდისპირი განმეორებით მხოლოდ ფიგურათა გარკვეულ ურთიერთმიმართებას ღებულობს, სახელდობრ, მარჯვნივ უფრო დიდ ფიგურას, მარცხნივ მომცროს, თვითონ ფიგურები კი არასოდეს არ მეორდებიან — ისინი ცალკე ექსპოზიციაში იცვლებიან. ცხადია, ცდების ამგვარი დაყენებისას მუდმივი მხოლოდ ურთიერთმიმართება (დიდ — პატარა) რჩება, დანარჩენი ყველაფერი იცვლება. მაშასადამე, ცპ-ს განწყობა ამ ურთიერთმიმართებაზე უმუშავდება და არა სხვა რამეზე. კრიტიკულ ცდებში კი იგი ღებულობს ტოლ ფიგურათა წყვილს (მაგ., წრეებს, ელიფსებს, კვადრატებს და სხვ.), რომელთა წევრებიც ერთიმეორეს უნდა შეადაროს.

როგორია ამ ცდების შედეგები? ამათგან ჩვენ აქ მხოლოდ ისეთებზე შევჩერდებით, რომლებიც უშუალო ინტერესს წარმოადგენენ ჩვენ მიერ დასახული პრობლემის თვალსაზრისით.

სახელდობრ, აღმოჩნდა შემდეგი: ყოველთვის, როცა საგანწყობო ფიგურები განუწყვეტლივ იცვლება, მაგრამ მათი *მიმართება* ხელუხლებელი რჩება, ჩვეულებრივი ილუზიის ფაქტი ყოველ ეჭვს გარეშე ჩანს. ცპ-ბი, როგორც წესი, კრიტიკული ფიგურების ტოლობას ვერ ამჩნევენ. ილუზიათა დომინირებულ ფორმად აქაც კონტრასტული ილუზია რჩება.

[1] **ზ. ბოჯაკა.** ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XVII, 1941.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ კონკრეტული მასალიდან აბსტრაქციის პირობებში, განწყობის მოქმედება, როგორც წესი, უფრო ნაკლებ ეფექტური ჩანს, ვიდრე საგანწყობო და კრიტიკულ ფიგურათა მსგავსების ან სრული შესატყვისობის პირობებში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კრიტიკულისა და საგანწყობო ცდების ფიგურათა შესატყვისობის შემთხვევაში ჩვენ ისევ ამ ფიგურათა ურთიერთმიმართების შეფასებასთან არ გვქონდეს საქმე. ამოცანა ასეთ შემთხვევაშიც არსებითად იგივე რჩება. ხოლო მისი ნაკლები ეფექტიანობა თავისთავადაც გასაგები ხდება.

10. **კონტრასტის ილუზიის პრობლემა.** მაგრამ აქ ერთი საკითხი კიდევ დგება, რომელიც მანამ უნდა გადაწყდეს, სანამ საბოლოოდ მივიღებდეთ, რომ ამ ცდებში მართლა განწყობასთან გვაქვს საქმე. ეს არის შემდეგი: როდესაც განწყობაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ ეს გარკვეული მდგომარეობაა, რომელშიც თითქოს წინასწარ წყდება ამოცანა, ცპ-ის წინაშე რომ დგას — თითქოს წინასწარ იგულვება მასში ის მიმართულება, რომლითაც ნამდვილად უნდა გადაწყდეს ამოცანა. ჩვენს ექსპერიმენტებში მოსამზადებელს ან საგანწყობო ექსპოზიციათა პროცესში განწყობა იმ მიმართულებით ყალიბდება, რომ, მაგალითად, ბურთი მარცხნივ უფრო დიდი ჩანს, ვიდრე ბურთი მარჯვნივ. მაგრამ შემდეგ ექსპერიმენტული ბურთების კრიტიკული ექსპოზიცია გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი უმეტეს შემთხვევაში არ მართლდება. პირიქით, სრულიად წინააღმდეგ — ბურთი მარცხნივ უფრო დიდი კი არა, უფრო პატარა გვეჩვენება, ვიდრე ბურთი მარჯვნივ.

ამრიგად, კონტრასტული ილუზიების ფაქტი — ეგოდენ ხშირი ჩვენს ცდებში — ეჭვს ქვეშ აყენებს ჩვენს ვარაუდს, რომ აქ, ამ ცდებში სწორედ განწყობა იკვლევა და არა სხვა რამ.

საკითხავია, როგორ უნდა გავიგოთ ჩვენს ცდებში ისეთი ილუზიის აღმოცენება, რომელიც ნავარაუდევი განწყობის მიმართ კონტრასტულია. უპირველეს ყოვლისა, ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცდებში სწორედ განწყობის აქტივობასთან უნდა გვქონდეს საქმე. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ილუზიების აღმოცენების ფაქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც ტოლი ობიექტების ექსპოზიციას არატოლი ობიექტების მრავალგზისი ექსპოზიცია უსწრებს წინ — ამ წინასწარი ცდების გარეშე ილუზიები, ჩვეულებრივ, არ იჩენენ თავს. მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ექსპოზიციები სრულიად აუცილებელ პირობას წარმოადგენენ ილუზიის აღმოცენებისათვის, და ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში შეგვეძლო და-

გვეშვა, ეს არის შემდეგი: საგანწყობო განმეორებითი ცდების ზეგავლენით, სუბიექტში კვლავ უტოლო ობიექტების აღქმის მზაობა მტკიცდება. ჩვენ შეგვეძლო ეს მზაობა სრულიად უეჭვოდ როგორც განწყობა განგვეხილა, საქმე რომ გვქონოდა არა მის მიმართ კონტრასტულს, არამედ მასთან შეთანხმებულს, ასიმილაციურ ილუზიებთან.

სპეციალური ცდები, რომელიც ამ შესაძლებლობის შესამოწმებლად დავაყენეთ, შემდეგში მდგომარეობდა: ცპ-ბი ღებულობდნენ საგანწყობო ობიექტების სახით წრეებს, რომელნიც თანდათან სულ უფრო და უფრო განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან თავისი ფართობის სიდიდით: ჩვენ ვიწყებდით 25 და 26 მმ. დიამეტრიანი წრეების ექსპოზიციით, ამას მოსდევდა ექსპოზიცია 24 და 26 მმ. დიამეტრის წრეებისა და ბოლოს 22 და 26 მმ. ამ ცდების შედეგები შეჯამებულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

გამლიზიან.	–	+	=
25-26	58%	28%	14%
24-26	33,7%	50%	16,3%
22-26	25,1%	58%	16,6%

ჩვენ ვხედავთ, რომ რეაქციები, რომელსაც ჩვენი ცპ-ბი მათზე მოქმედ გამლიზიანებლებზე იძლევიან, იმით განსხვავდებიან, რომ მათში ნაწილი ასიმილაციურია, ნაწილი კი კონტრასტული (გარდა იმისა, რომ ზოგი ტოლადაც აფასებს მათ). საინტერესოა ამ რეაქციათა განაწილება: ჩვენ ვხედავთ, რომ ეს რეაქციები რაოდენობრივ მით უფრო განირჩევიან ერთიმეორისაგან, რაც უფრო დიდია განსხვავება საგანწყობო ობიექტთა შორის, და ამასთანავე (ეს კი განსაკუთრებით საინტერესოა) ეს განსხვავება ილუზიათა ორსავე სახეობისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ნაწილდება: რაც უფრო დიდია განსხვავება ამ წრეთა შორის, მით უფრო მაღალია (ასიმილაციურებთან შედარებით) კონტრასტულ ილუზიათა მაჩვენებელი და, პირიქით, რაც უფრო მცირეა განსხვავება საგანწყობო ფიგურათა შორის, მით უფრო მაღალია ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი. აქვე განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ჩვენს ცდებში საგანწყობო ფიგურათა სიდიდეების ისეთი ურთიერთმიმართება გვხვდება, რომელიც განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს სწორედ ასიმილაციური ილუზიების გამოვლენისათვის. ესაა 25 და 26 მმ. დიამეტრიანი წრეების ურთიერთმიმართება. ამ მიმა-

რთების შემთხვევაში ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი შემთხვევათა 58%-ს უდრის. საერთოდ, მხედველობაში მისაღებია, რომ, რაც უფრო დაბალია საგანნყობო ფიგურათა სიდიდეების განსხვავება, მით უფრო მაღალია ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი. ეს დაკვირვება ამ შემთხვევაში საინტერესოა იმ მხრივ, რომ ყოველ ეჭვს გარეშე აყენებს ჩვენს ცდებში ისეთი განნყობის არსებობის ფაქტს, რომელსაც უშუალო მოქმედება, არსებითად, მხოლოდ ასიმილაციურად შეუძლია.

მაგრამ, მეორე მხრივ, ამავე ცდებში ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ასიმილაციურ ილუზიებთან. არა! არც კონტრასტულ ილუზიათა რიცხვია აქ იშვიათი მოვლენა. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, სახელდობრ, საგანნყობო ობიექტთა შორის შედარებით მაღალი განსხვავების შემთხვევაში, — ეს ილუზიები არა თუ უპირატესს, არამედ სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ასიმილაციური ილუზიებისათვის თითქმის სრულიად აღარ რჩება ადგილი. ეს მდგომარეობა ამოცანას აყენებს ჩვენს წინაშე გამოვარკვიოთ, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ განნყობის არსებობისას ჩვენ სწორედ ამ განნყობის საწინააღმდეგო კონტრასტულ ილუზიათა შემთხვევებს ვღებულობთ.

მაშ, საკითხი ასე დგას: როგორ გავიგოთ ჩვენი ცდების მონაცემებიდან ის შემთხვევები, სადაც მოსალოდნელი ასიმილაციური ილუზიების მაგივრად კონტრასტის ილუზიები ვლინდება? ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ მდგომარეობას ადგილი აქვს უპირატესად იმ შემთხვევაში, როცა საგანნყობო ცდებში ცპ-სათვის მიწოდებული ობიექტები მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან — როდესაც, ვთქვათ, ოპტიკურ ცდებში, ექსპერიმენტული ბურთები ან წრეები მკაფიოდ არატოლი მოცულობის არიან. როგორ უნდა გავიგოთ ამგვარი ფაქტები?

თუ ვცანით, რომ კონტრასტული ილუზია განსაკუთრებით ხშირად ისეთ შემთხვევებში ჩნდება, როდესაც საგანნყობო ობიექტთა შორის რაიმე მხრივ მკვეთრი განსხვავებაა დადასტურებული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებული განნყობის რეალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორის აქტივობა სწორედ ამ პირობებში მეღავნდება. როდესაც ცპ-ზე განმეორებით მოქმედებს ორი მკვეთრად განსხვავებული ობიექტი, ცხადია, მას შესაფერისი განნყობა ან მზაობა გამოუმუშავდება, ხელში სწორედ მკვეთრად განსხვავებული ობიექტები მიიღოს. მაგრამ, აი, ახლა იგი ღებულობს მოცულობით არა განსხვავებულს, არამედ ტოლ საგნებს. ეს მდგომარეობა, უნდა ვიფი-

ქროთ, იმდენად მკაფიოდ განირჩევა იმისაგან, რის მიმართაც ცპ-ს განწყობა ჰქონდა შემუშავებული, იმდენად განსხვავდება იმისაგან, რისი ხელში მიღების მოლოდინიც მას ჰქონდა, რომ იგი უძლური ხდება აღიქვას მიწოდებული ობიექტები ამ განწყობის საფუძველზე. ამისი ბუნებრივი შედეგი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: ცდისპირმა უნდა აღკვეთოს ეს სრულიად შეუფერებელი განწყობა და ცადოს მოქმედი შთაბეჭდილება ადეკვატურად აღიქვას. მაგრამ თუ ჩვენ მივიღებთ, რომ საერთოდ, როგორც ეს დასაბუთებული გვექნება ქვემოთ, აღქმა, შესაფერისი განწყობის გარეშე, არ არსებობს, მაშინ გასაგები გახდება, რომ აღკვეთილი, არაადეკვატური განწყობის ნაცვლად, სუბიექტში ახალმა, სიტუაციის მიმართ უფრო ადეკვატურმა განწყობამ უნდა იჩინოს თავი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მართლაც ასე ხდება, ოღონდ არა მაშინვე, არამედ მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდგომ. მანამდე კი ახალი განწყობა, აღმოცენებული ნაცვლად არსებული მკაფიოდ შეუფერებული განწყობისა, ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოა, და ცპ-ი სიტუაციას აღიქვამს ამ ობიექტურად დაუსაბუთებელი კონტრასტული განწყობის საფუძველზე. ეს განწყობა, ჩვეულებრივ, შედარებით მალე ქრება, და ცპ-ს ისეთი განწყობა უმტკიცდება, რომელიც მასზე მოქმედი გამღიზიანებლების ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას იძლევა. ასე ვლინდება ცპ-ში მასზე მოქმედი შთაბეჭდილებების მიმართ თანდათანობითი შეგუების პროცესი.

უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება კონტრასტული ილუზიის წარმოშობის შესახებ მეტად თუ ნაკლებად ხელოვნური ანაგების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი მოსაზრებებიც, და ჩვენც აუცილებლად აქვე უნდა შევეხოთ მათ.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში პრობლემატურია, პირველ რიგში, ილუზიის კონტრასტულობის ფაქტი. მართლაც და, საიდან ჩნდება ეს კონტრასტი, როდესაც განწყობის მოქმედება არსებითად მხოლოდ მის ასიმილაციურ გავლენაში იჩენს თავს? ამ შემთხვევაში, ერთ გარემოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ აქ, ამ ცდებში, ჩვენ მხოლოდ რაოდენობრივ მიმართებებთან გვაქვს საქმე: აქ ყველგან ამოცანა შედარებაშია — წოლვის ძალის, წონის, მოცულობის მხრივ, ე. ი. ისეთ მოვლენათა შედარებაში, რომელთა გამოხატვაც მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეიძლება. მაგრამ ცნობილია, რომ რაოდენობრივი მოვლენების ურთიერთმიმართება შეიძლება კონტრასტული ხასიათის იყოს. სინამდვილის სხვა რომე-

ლიმე სფეროსთვის კი ეს კატეგორია, ე. ი. კონტრასტის კატეგორია, სრულიად გამოუსადეგარია. ამიტომ საფიქრებელია, რომ თუ ჩვენ განწყობის კვლევის წარმოება არა რაოდენობრივის, არამედ რომელობითი მიმართებების არეში ვცადეთ, მოსალოდნელია, ჩვენ წინაშე სულ სხვა სურათი გადაიშალოს.

ქვემოთ ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთხვევა ურთიერთისაგან რომელობით განსხვავებულ მოვლენათა სამკვიდროსადმი მიმართულ განწყობათა შესახებ ვილაპარაკოთ. აქ კი ამ კატეგორიის ფაქტთა ექსპერიმენტული შესწავლის ერთ-ერთი შემთხვევის დასახელებით დავკმაყოფილდებით.

ვთქვათ, ცპ-ი ლათინური შრიფტით კითხვას მივაჩვიეთ და ცოტა ხნის შემდეგ, დროდადრო, რომელიმე რუსული სიტყვებიც მივანოდეთ, ოღონდ ინდიფერენტული (ლათინურად საერთო შრიფტით შედგენილი სიტყვები მაგ. (Bor). აღმოჩნდება, რომ ცპ-ი ერთხანს ამ რუსულ სიტყვებსაც ლათინურად კითხულობს[1].

ეჭვს გარეშეა, რომ აქ ლათინური სიტყვების კითხვის პროცესში შესატყვისი განწყობა აქტივირდება — ლათინურად კითხვის განწყობა — და როდესაც ცპ-ს რუსულ სიტყვას ანვდიან, ე. ი. სიტყვას, მისთვის კარგად ცნობილ ენაზე, იგი ამ სიტყვასაც ლათინურად კითხულობს და თავისი შეცდომის შემჩნევას მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ იწყებს.

ამ ცდებიდან ცხადი ხდება, რომ ამოცანის გადაჭრის პროცესში, რომელიც აქ ცპ-ის წინაშე დგას, კონტრასტის ილუზიათა აღმოცენების შემთხვევები სრულიად გამორიცხულია, და ცპ-ი ადეკვატური კითხვისადმი შეგუების ყველა საფეხურს გაივლის, გარდა კონტრასტის ილუზიის საფეხურისა. აქედან უდავო ხდება, რომ ჩვენ სხვა ყველა ანალოგიურ ცდაში ნამდვილად განწყობის აქტივობის ფაქტთან გვაქვს საქმე, და ამიტომ კონტრასტული ილუზიების შემთხვევები, რომელიც რაოდენობრივი შინაარსის ცდებში გვხვდება, მხოლოდ და მხოლოდ როგორც იმავე განწყობის ჩვეულებრივი ასიმილაციური მოქმედების პროდუქტი უნდა იქნეს კვალიფიცირებული.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განწყობის გამოვლენის ფაქტი რომელობითი შინაარსის ცდებში სრულიად უდავოდ ხდის იმას, რომ რაოდენობრივს ცდებშიც, სადაც კონტრასტული ხასიათის ილუზიები გვხვდება, ნამდვილად იმავე განწყობის აქტივობასთან გვაქვს საქმე.

---

[1] ზ. ბოჯანა. განწყობის სიმტკიცე და ფაზური ხასიათი კითხვის ჩვევის მოქმედებაში. „ფსიქოლოგია". III, გვ. 509-538.

მაშასადამე, შეიძლება საბოლოოდ დადასტურებულად ჩავთვალოთ, რომ განწყობა სინამდვილის იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც თავის გამოვლენის შესაძლებლობას სულ სხვადასხვა პირობებში — როგორც რომელობით, ისე ოდენობით განსხვავებულ პირობებში პოულობს.

II განწყობის ზოგადი ხასიათი

1. ორგანიზმის, როგორც მთელის, აქტივობის შესწავლის შესაძლებლობის შესახებ. თუ თვალს გადავავლებთ ყველა იმ შემთხვევას, რომელშიც ზემოთ განწყობის მონაწილეობა დავადასტურეთ, მაშინ დავინახავთ, რომ არ არსებობს არც ერთი, სინამდვილისადმი სუბიექტის მიმართების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სფერო, რომ ეს მონაწილეობა გამორიცხული იყოს. სინამდვილესთან მიმართებას ჩვენ ვამყარებთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი რეცეპტორების მეოხებით, და მათ შორის უპირატესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, *დისტანტურ* რეცეპტორებს აქვთ, ე. ი. რეცეპტორებს, რომელნიც, პირველ რიგში, მხედველობისა და სმენის შთაბეჭდილებებს აპირობებენ. ჩვენ მიერ ზემოთ დადასტურებული მოცულობის ილუზიის ფაქტები, ისევე, როგორც სმენის ილუზიებიც, რეცეპტორთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ განწყობის მოქმედება ეხება აგრეთვე *კონტაქტურ* რეცეპტორებსაც და, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ტაქტილურსა და კუნთურ გრძნობათა რეცეპტორებს. განწყობის ილუზიები, როგორც ვიცით, ამ გრძნობად მოდალობებშიც დასტურდება. უწინარეს ყოვლისა, ესაა *მიულერის* წონის ილუზია და ჩვენ მიერ გამოვლენილი ტაქტილური ილუზიები. რაც შეეხება დანარჩენ კონტაქტურ გრძნობებს — გემოსა და ყნოსვას, — უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ილუზიები აქაც შეგვეძლო დაგვედგინა; მაგრამ, რამდენადაც მათ შედარებით უმნიშვნელო როლი აქვთ სინამდვილესთან ჩვენს, ადამიანურ ურთიერთობაში, ჩვენ შეგვეძლო ისინი სრულიად უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. მაგრამ ილუზიათა გამოყენების წრე ამით სრულიად არ შემოიფარგლება: როგორც ვიცით, ეს ილუზიები არა მარტო რაოდენობითი, არამედ რომელობითი მიმართებების შეფასების დროსაც გვხვდებიან. საკმარისია მოვიგონოთ ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნული ცდები ინდიფერენტულ შრიფტზე, რომ ეს ნათელი გახდეს. მაგრამ რას გვეუბნება ყოველივე ეს?

თუ მივიღეთ, რომ ჩვენი ილუზიები გარკვეულ პირობებში ადამი-

ანური გრძნობების ყველა მოდალობაში აღმოცენდება, მაშინ ცხადია, ამ ილუზიებს ზოგადი ხასიათი აქვთ და ისინი პირობადებულნი არიან არა რომელიმე ჩვენი ორგანოს თავისებური მოქმედებით, არამედ მთელი ორგანიზმის, როგორც მთლიანის აქტივობის კანონზომიერებით. მოკლედ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ილუზიათა ფაქტებში ცოცხალი ორგანიზმის, როგორც რაღაც ერთიანისა და განუყოფელი მთლიანის, კანონზომიერება ხდება აშკარა. ამ თვალსაზრისით, ეჭვს გარეშეა, რომ ამ ილუზიათა შემთხვევებში ჩვენ ისეთ ფენომენებთან გვაქვს საქმე, რომელთაც ბევრად დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე რომელიმე სხვა ჩვეულებრივს ფსიქიკურ ფენომენს.

მაშასადამე, უდავოა, რომ პირველად განწყობის ეს ილუზიების ცდები იძლევიან სტიმულს დავსვათ საკითხი ცოცხალი ორგანიზმის, როგორც მთლიანის, აქტივობის შესწავლის შესაძლებლობის შესახებ და მოვაგროვოთ ამისათვის საჭირო მასალა.

2. განწყობის ირადიაციის პრობლემა. — თუ ჩავუკვირდებით ჩვენი ილუზიების ფენომენებს, დაინახავთ, რომ არსებითად შეუძლებელია ისინი როგორც ლოკალური ხასიათის მოვლენები იქნენ გაგებული. მართალია, *მიულერი* ისევე, როგორც, საერთოდ, ყველა თანამედროვე ფსიქოლოგი, რომელსაც კი განწყობის შესახებ უხდება აზრის გამოთქმა, იხილავს მას, როგორც ფსიქიკის ერთ-ერთს ჩვეულებრივ პროცესს, მაგრამ ამ ფენომენის უფრო დაკვირვებით სპეციალური შესწავლა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს თვალსაზრისი მოძველდა და განწყობის მოვლენებში სინამდვილის უდავოდ ახალ სფეროსთან გვაქვს საქმე, რომლის შესწავლაც ფსიქიკური ცხოვრების გაგებისათვის უეჭველად დიდ ინტერესს წარმოადგენს.

სპეციალური ცდები, რომელიც ამ საკითხის გაშუქებისთვის ჩავატარეთ, სრულიად ამართლებენ ამ მოსაზრებას.

ამ ცდებს საფუძვლად შემდეგი მოსაზრება დაედო: თუ დავუშვით, რომ განწყობა ჩვეულებრივს ლოკალურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც სადღაც ჩვენს ფსიქოფიზიკურ ორგანიზმში მიმდინარეობს, მაშინ, ცხადია, იგი უნდა ეხებოდეს მის ისეთ სფეროებს, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობენ საგანწყობო ცდებში, იმ დროს, როდესაც ორგანიზმის სხვა სფეროები განწყობის მიერ ხელუხლებელი უნდა რჩებოდნენ. ასე, მაგალითად, თუ განწყობა აქტივირებულია ერთ — მარცხენა ან მარჯვენა — ხელში ან ერთ-ერთს რომელსამე თვალში, ამ ორგანოთა წყვილის მეორე ნევრი განწყობის გავლენის გარეშე უნდა დარჩეს. ამრიგად, მათში განწყობის აქტივი-

რებისათვის ჩატარებული უნდა ყოფილიყო სპეციალური საგანწყობო ცდები. მაგრამ, თუ დავუშვით, რომ წყვილ ორგანოთა რომელიმე წევრზე საგანწყობო ცდების ჩატარება სრულიად საკმარისია წყვილის მეორე წევრშიც განწყობის შექმნისათვის, მაშინ ეს მოგვცემდა არგუმენტს იმ წინასწარი მოსაზრებისათვის, რომ განწყობა შედარებით მთლიანს და არა ვიწროდ შემოფარგლულ ლოკალურ პროცესს წარმოადგენს.

ეს საკითხი უარყოფითადაა გადაჭრილი *სტეფენსის* ცდებში. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „მოტორული" განწყობა, რომელსაც ეს ავტორი შეისწავლიდა, წმინდა ლოკალურ ფენომენს წარმოადგენს და, ერთ ხელში გამოწვეული, მხოლოდ ამ ხელშივე რჩება და მეორეზე არ გადადის. ამასვე გულისხმობს, ალბათ, *ახიც*, რომელიც, ლაპარაკობს რა განწყობის სპეციფიკური სახის, ე. წ. „სენსორული განწყობის" მიღების აუცილებლობაზე, ხაზს უსვამს, რომ „მოტორული განწყობა" არ ვრცელდება კორესპონდულ ორგანოზე, რის თქმაც, მისი აზრით, არ შეიძლება სენსორული განწყობის შესახებ. *სტეფენსის* აზრით, განწყობა როგორც პერიფერიული ხასიათის პროცესი უნდა გავიგოთ, და ამიტომ არაფერია განსაცვიფრებელი იმაში, რომ განწყობა იმ არეთი შემოიფარგლება, სადაც იგი სპეციალურად შემუშავდა — ერთი კორესპონდული ორგანოდან მექანიკურად მეორეზე არ გადადის.

დასაწყისში, როდესაც განწყობის ილუზიათა კვლევას მოვკიდეთ ხელი, ორჯერ მოგვიხდა ჩვენი ცდების შედეგების სისწორის შემოწმება. ჯერ ჩვენი კვლევის ჩვეულებრივი თანმიმდევრობით ჩავატარეთ ცდები კორესპონდულ ორგანოებზე განწყობის ირადიაციის შესამოწმებლად, სახელდობრ, საგანწყობო ცდებს ერთ რომელიმე ხელში ვატარებდით. მაგალ., მარჯვენაში, ტოლ ბურთებს კი, როგორც კრიტიკულთ, მარცხენაში ვაძლევდით. ცდების შედეგები, რომელიც, შეჯამებულია მე-5 ცხრილში, სრულიად გარკვეულად გვიჩვენებს, რომ განწყობა — გარეშე სპეციალური საგანწყობო ცდებისა — თავისთავად ვრცელდება ერთი ორგანოდან მეორეზე: ილუზიურ აღქმათა რიცხვი ამ შემთხვევაში მარცხენა ხელში 84% აღმოჩნდა (ცხრილი 5) და ამათ შორის 60% კონტრასტულ ილუზიას შეადგენდა.

ცხრილი 5

ცდების რიცხვი	+	–	=
85	60%	23,5%	16.5

ამრიგად, ეჭვი არაა, რომ მოტორული განწყობა, ფიქსირებული ერთ კორესპონდულ ორგანოში, მექანიკურად გადადის მეორეში.

სტეფენსისა და სხვათა შრომების გაცნობამ, რაც შედარებით გვიან მომიხდა, მაიძულა, ჩვენს მეხუთე ცხრილში შეჯამებული ცდების შედეგების შესამოწმებლად, კვლავ განმემორებია იგივე ცდები. ჩვენი დავალებით ცდები ჩაატარა ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა (*ბ. ხაჭაპურიძემ*), და ამ ცდებში მიღებული შედეგები შეჯამებულია მე-6 ცხრილში.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ცდები არ იფარგლება ერთი რომელიმე ხელიდან მეორე ხელზე გადასვლის შემთხვევებით, არამედ ორსავე შესაძლებლობას ეხება — ირადიაციის შესაძლებლობას მარჯვენა ხელიდან მარცხენაზე ისევე, როგორც პირიქით — მარცხნიდან მარჯვენაზე.

ცხრილი 6

ცდათა რიგი	+	–	=
მარჯვნიდან მარცხნივ	56%	32%	12%
მარცხნიდან მარჯვნივ	64%	24%	12%

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ამ საკონტროლოდ დაყენებული ცდების შედეგები სავსებით ადასტურებს მეხუთე ცხრილში მოტანილი შედეგების სისწორეს.

უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ილუზორულ აღქმათა რაოდენობა ორსავე კრიტიკულ ცდაში ერთგვარია: იგი — როგორც მარცხნივ ირადიაციის, ისე მარჯვნივ ირადიაციის შემთხვევაში — 88%-ს უდრის. განსხვავება მხოლოდ კონტრასტულ და ასიმილაციურ ილუზიათა განანილებას ეხება, მაგრამ უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს მონაცემები სრულიად შეესატყვისება ცხრ. 5-ში შეჯამებულ მონაცემებს. განსაკუთრებით, ეს ითქმის ამ ცდებში მეტად დამახასიათებელ, კოტრასტულ ილუზიათა რიცხვის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცდების შედეგები სრულიად ადასტურებენ სტეფენსის შეცდომას, და ჩვენს დებულებას ერთი კორესპონდული ორგანოდან მეორეში (ამ შემთხვევაში ერთი ხელიდან მეორეში) ირადიაციის შესაძლებლობის შესახებ უდავოდ ამართლებენ. შემდგომი ჩვენი კვლევითი პრაქტიკის ვითარებაში ეს საკითხი — ერთი ორგანოდან მეორეზე განწყობის ირადიაციის შესაძლებლობის შესახებ — საბოლოოდ გადაჭრილად ითვლება და ჩვენ მას აღარ ვუბრუნდებით. ჩვენ ვაყენებთ ცდებს მხოლოდ თითოეულ

კერძო შემთხვევაში განწყობის ირადიაციის ხარისხის გამოსარკვევად. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ირადიაცია სპეციალურად ერთს რომელსამე მოდალობაში კი არ ახასიათებს განწყობას, არა — იგი მას საერთოდ ახასიათებს. ჩვენ მიერ სპეციალურად ამ თვალსაზრისით იყო ჩატარებული ცდები ჩვენი გრძნობების სხვადასხვა მოდალობაში.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გამორკვევა: ხდება თუ არა ერთ თვალში ფიქსირებული განწყობის ირადიაცია მეორე თვალზეც. ამ მიზნით ცდების შემდეგი ვარიაცია იქნა ჩატარებული. ცდისპირი ერთ თვალს (მარცხენას) ხუჭავს, მეორეთი კი — მარჯვენათი — ტაქისტოსკოპში ნაჩვენებ გამღიზიანებლებს აკვირდება. საგანწყობო ცდებში მას ორს, სიდიდით განსხვავებულ წრეს ვაძლევთ, ხოლო კრიტიკულ ცდაში — ორ თანაბარ წრეს, ოღონდ ეხლა ამ თანაბარ წრეებს მარცხენა თვალით უნდა უყუროს და ასე შეადაროს ისინი ერთიმეორეს. ამრიგად, ეს ცდები გულისხმობენ განწყობის გავრცელებას (ირადიაციას) ერთ თვალიდან მეორეზე.

ცხრილი 7

ცპ-თა რიცხვი	+	—	=
86	69,8%	7%	23,2%

ცხრილი მე-7, რომელიც ამ ცდების შედეგებს შეიცავს, გვიჩვენებს, რომ ირადიაციის ფაქტი ამ შემთხვევაშიც იჩენს თავს: 76,8% საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რათა აღარავითარი ეჭვი არ გვეპარებოდეს მხედველობის მიმართაც ირადიაციის ფაქტის მართებულებაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განწყობა, რომელიც ფიქსირებული იყო წინასწარ წყვილეული ორგანოს ერთს რომელსამე წევრში, მეორეზეც ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება სრულიად გამორიცხული იქნეს საგანწყობო ცდებში მონაწილეობიდან.

მაგრამ აქვე დგება ახალი საკითხი: შემოიფარგლება განწყობის ირადიაციის ფაქტი მხოლოდ კორესპონდული ორგანოს საზღვრებით, თუ მისი გავრცელებულობის ფარგლები მნიშვნელოვნად უფრო ფართოა? საფიქრებელია, რომ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს, თუ განწყობის მდგომარეობა ორგანიზმის რომელიმე ცალკე ნაწილის ლოკალური მდგომარეობა კი არა, მისი, როგორც მთლიანის, მდგომარეობაა. ამ საკითხისათვის მიმართულ ცდათა შედეგები

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ, რამდენადაც ისინი მოწოდებული არიან განნყობის ძირითადი თავისებურების საკითხი საბოლოოდ გადაჭრან.

1) ცდების ერთ სერიაში ჩვენ ამგვარად ვიქცევით: ცპ-ს ხელთ ვაძლევთ 15-25-ჯერ ნყვილს ხის ბურთს: მარჯვენაში — მეტი მოცულობის ბურთს, მარცხენაში კი — ნაკლები მოცულობისას. ამ საგანნყობო სერიის შემდეგ კრიტიკულ ცდას ტაქისტოსკოპით ვაყენებთ: ცპ-მა ოპტიმალურად უნდა შეადაროს ერთიმეორეს ორი სიდიდით ობიექტურად თანაბარი წრე. ამ ცდების შედეგებმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენთვის აქ საინტერესო საკითხი, სახელდობრ, უნდა გვიჩვენოს, ახდენს თუ არა ზემოქმედებას ჰაპტურ სფეროში შექმნილი განნყობა მხედველობით აღქმათა მიმართების შეფასებაზე? ან უფრო ზუსტად: შემოიფარგლება ხელებში ფიქსირებული განნყობა მხოლოდ ხელების არეთი, თუ იგი მხედველობის სფეროსაც ითრევს თავისი გავლენის სფეროში?

ამ ცდების შედეგები შეჯამებულია მე-8 ცხრილში.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ შედეგები კარგად ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას განნყობის ირადიაციის შესაძლებლობაზე ისეთს ურთიერთისაგან დაშორებულ სფეროებშიც კი, როგორც ჰაპტური და ოპტიკური სფეროებია. როგორც ვხედავთ, ირადიაციას ადგილი აქვს შემთხვევათა არა ნაკლებ 56,4%-ისა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისათვის, რომ ამგვარი ფენომენის ფაქტიურ სინამდვილეში ეჭვი არ შევიტანოთ.

ცხრილი 8

ცდათა რიცხვი	+	–	=
71	48%	8,4%	22,5%

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა! ამ ცდებში კრიტიკული ობიექტების როლს ასრულებენ ფიგურები, რომელნიც ურთიერთისაგან, დაახლოებით, 1-2 მმ-ით განსხვავდებიან. სახელდობრ, როცა საგანნყობო სერიაში დიდი მოცულობის ბურთი ცპ-ს მარჯვენა ხელში ეძლევა, ხოლო მცირე მოცულობისა — მარცხენა ხელში, მაშინ კრიტიკულ ცდებში მარჯვნივ უფრო დიდ წრეს ვანოდებთ, მარცხნივ კი — უფრო პატარას. ამისდა მიუხედავად, ამ პირობებში მიღებულ კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი ყველა შემთხვევათა 48%-ს აღწევს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაჩვენებელი გაიზრდებოდა, რომ კრიტიკულ ცდებში, ჩვეულებისამებრ, თანაბარი გამღიზიანებლები მიგვე-

წოდებია. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ამ პირობებში მიღებულ, კონტრასტულ ილუზიათა 48% ისეთ მაჩვენებელს წარმოადგენს, რომ ილუზიის უდავო ფაქტიურობაში არავითარ ეჭვს არ ტოვებს.

2) მაგრამ თუ ჩვენ დავსვამთ საკითხს ირადიაციის პირუკუ მიმართულებით, ე. ი. მხედველობითი სფეროდან ჰაპტურის მიმართულებით გავრცელების შესაძლებლობის შესახებ, მაშინ იმ ცდების სერიიდან, რომელიც ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარდა[1], ცხადად ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიც ირადიაციის ფაქტთან გვაქვს საქმე. მართალია, საექსპერიმენტო კრიტიკულ ობიექტთა ტოლობის კონსტატაციის რიცხვი აქაც, ისევე როგორც საერთოდ, ირადიაციის ყველა ცდაში, შედარებით დაბალია, მაგრამ მაინც ცხადია, რომ განწყობის ირადიაცია — ერთად, კონტრასტულის და ასიმილაციური ილუზიების ჭარბობის ფორმით — ყველა შემთხვევათა 46%-ზე მეტ შემთხვევაში დასტურდება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ ცდებში, რომელთაც ირადიაციის მდგომარეობის შემოწმება ყველა გრძნობად მოდალობაში ევალებოდა (ჰაპტური გრძნობიდან ოპტიკურზე და პირიქით, კუნთურიდან ჰაპტურზე და პირიქით, ოპტიკურიდან კუნთურზე და პირიქით), ცპ-ებს ყურადღების მიპყრობა არა ექსპერიმენტულ ობიექტთა მასალაზე, არამედ მათ ურთიერთმიმართებებზე მოეთხოვებოდა. ასეთ შემთხვევაში კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ილუზორულ აღქმათა რიცხვი ცოტაოდენ მცირდება, და უნდა ვიფიქროთ, ამ ცდებში ილუზორულ ჩვენებათა რიცხვის შემცირება ამით თუ აიხსნება. ამისდა მიუხედავად, ეს რაოდენობა მაინც საკმაოდ მაღალია, რომ სრული საბუთი გვქონდეს გადაჭრით ვილაპარაკოთ ჩვენი ილუზიის სხვადასხვა მიმართულებით ირადიაციის ფაქტის შესახებ.

3) შემდგომ, ინტერესს წარმოადგენს საკითხი — ხდება თუ არა ირადიაცია ფიქსირებული განწყობის კუნთური სფეროდან ჰაპტურში, და პირიქითაც, და თუ ხდება, საკითხავია, რა სიძლიერით ხდება ეს. სპეციალურად ამ მიზნისათვის ჩატარებული ცდების შედეგები წარმოდგენილია აქვე, მე-9 ცხრილში.

ცხრილი 9

ირადიაცია % %	+	−	=	გაურკვეველი
1. ოპტ-დან ჰაპტურზე	13,2	33,3	26.6	26,6
2. კუნთ-ჰაპტურზე . .	46,6	6,6	13,3	33.3
3. ჰაპტ-კუნთურზე . .	13,3	13,3	20.0	53,3
4. ოპტ-კუნთურზე . .	26,6	6,6	13.3	53,3
5. კუნთ-ოპტურზე . .	20.0	33,3	26,6	10,6

[1] *ნ. ადამაშვილი.* განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია. თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XVII, 1941.

ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის ირადიაციის მაჩვენებლები ამ შემთხვევაში საკმაოდ მაღლა დგანან: კონტრასტულ და ასიმილაციურ ილუზიათა საერთო ჯამი (53%) არც ისე მცირეა.

ეს უფრო უდავო შეიქნება, თუ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენი ცხრილის მონაცემების განაწილებას, განსაკუთრებით კი კონტრასტულ ილუზიათა რიცხვს — ყველაზე უფრო სიმპტომურ მაჩვენებელს ამ რაოდენობითს ცდებში.

4) შემდგომი საკითხი ეხება განწყობის ირადიაციას პირიქით — ჰაპტურ სფეროდან კუნთურში. იგივე მე-9 ცხრილი გვეუბნება, რომ ამასაც აქვს ადგილი, ოღონდ შემთხვევათა უფრო მცირე რაოდენობით (26,6% კონტრასტულ და ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი ერთად). მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ გაურკვეველი პასუხების შედარებით მაღალ პროცენტს (სულ 53,3%), გასაგები გახდება, რომ ილუზიების 26,6% ამ პირობებში სრულიად საკმარისად მიგვაჩნია, რათა დავასკვნათ, რომ განწყობის ირადიაცია აქაც ხელთ გვაქვს, ისევე როგორც მოწინააღმდეგე შემთხვევებშიც, სადაც, როგორც დავინახეთ, ირადიაციათა რაოდენობა 53%-ზე მეტს უდრის.

5) რაც შეეხება განწყობის ირადიაციას ოპტიკურიდან კუნთურის მიმართულებით (ცხრილი 9), თვალთ გვეცემა გაურკვეველ პასუხთა რიცხვი, რომელიც აქაც ძალიან მაღალია (53,3%). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება გავლენას ახდენს ირადირებული ილუზიების მაჩვენებლების სიმაღლეზე, და ირადიაციის შემთხვევათა საერთო რაოდენობა აქ 33,2%-ს ვერ აჭარბებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევათა რიცხვი, სადაც ილუზიები სულ არ აღმოჩნდა, შედარებით მცირე რაოდენობისაა (13,3%), მაშინ უდავო შემთხვევათა 32,2% ამ პირობებში როგორც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი უნდა შეფასდეს.

6) დაბოლოს, თუ განვიხილავთ განწყობის ირადიაციის მონაცემებს პირიქით, — კუნთური სფეროდან ოპტიკურზე, — ჩვენ დავინახავთ, რომ ამათი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (ცხრილი 9). ირადიაციის შემთხვევათა საერთო რაოდენობა აქ 53%-ს უდრის, მაშინ როდესაც ირადიაციის უქონლობის შემთხვევათა მაჩვენებელი შედარებით დაბალია — 26,3%. ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს გარკვევით ვამტკიცოთ, რომ სიმძიმეთა სხვაობაზე შემუშავებული განწყობა ოპტიკურ სფეროზეც ვრცელდება და აქ ტოლი ობიექტების უტოლოდ აღქმას აპირობებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ეს ცდა განწყობის ერთი გრძნობადი სფეროდან მეორეში ირადირების ფაქტის არსებობას

ყოველ ეჭვს გარეშე აყენებს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ აქ განხილულ გრძნობად მოდალობებს, რომელთაც თავისი სახეობის ქმნადობის ისტორიაში დიფერენციაციის სრულიად გარკვეული დონისათვის მიუღწევიათ, თავისი ერთიანობა არსებითად მაინც არ დაუკარგავთ: ისინი ახლაც ერთიანი მთლიანის ორგანოებს წარმოადგენენ, ერთიანი მთლიანისა, რომელიც მათ (ამ ორგანოებს), როგორც სახმარ იარაღებს, გამოიყენებს მის წინაშე აღძრულ ამოცანათა გადასაჭრელად.

3. განწყობის გენერალიზაცია. ახლა ჩვენ განწყობის კიდევ ერთ თვისებას უნდა შევეხოთ — თვისებას, რომლის შესახებაც უკვე ზემოთაც გვქონდა შემთხვევა გველაპარაკა.

ჩვენ ეს-ესაა დავინახეთ, რომ განწყობის ერთ-ერთს ძირითად ნიშნად მისი ირადიაცია უნდა ჩაითვალოს. მაგრამ განწყობაში ამ უკანასკნელის გვერდით კიდევ ჩანს ერთი თვისება, რომელიც ეტყობა, ახლო დგას ირადიაციის უნართან. მე მას **გენერალიზაციას** ვუწოდებ.

როდესაც სუბიექტს რომელიმე ფიქსირებულ განწყობას გამოუმუშავებთ, — ვთქვათ, განწყობას, რომ ბურთი მარჯვნივ უფრო მცირეა, ვიდრე ბურთი მარცხნივ, — მაშინ კრიტიკულ ცდებში აღმოჩნდება, რომ ეს განწყობა ძალაში რჩება მთელ რიგ საგანთა მიმართ, რომელთაც ბურთთან ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო, მაგ., კუბებისა და მრავალწახნაგოვანი ფიგურების მიმართ. განწყობის ეს თვისება უფრო ნათლად ჩანს ტაქისტოსკოპურ ცდებში, სადაც კრიტიკულ ფიგურათა ვარიაცია ბევრად უფრო ადვილია. როდესაც ზემოთ განწყობის მოქმედებაში ფიგურის ფაქტორის შესახებ გვქონდა ლაპარაკი, მაშინ ჩვენთვის აქ საინტერესო ფაქტების მონათესავე მოვლენებსაც გავეცანით[1]. 1) ჩვენ დავინახეთ, რომ ორი წრის სიდიდის სხვაობაზე ფიქსირებული განწყობა ისეთ კრიტიკულ ფიგურათა ასიმილაციას ახდენს, რომ მათ სულ ცოტა რამ აქვთ წრეებთან საერთო. როგორც ვიცით, ეს იმდენად შორს მიდის, რომ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში განწყობა ფიქსირდება არა მოცემულ ფიგურათა ურთიერთმიმართებაზე, არამედ ურთიერთმიმართებაზე, საერთოდ[2].

თუ ამ მონაცემებს დავეყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის გენერალიზაციის ფენომენთან

---

[1] *ზ. ბოჯანა.* განწყობის მოქმედება მასალის აბსტრაქციის პირობებში. სტალინის სახ. თბ. უნივერსიტეტის შრომები. IX. 1939.

[2] *ნ. ელიავა.* განყენებულ მიმართებაზე შექმნილი განწყობის აღკვეთის პროცესი. სტალინის სახ. თბ. უნივ. შრომები. XVII, 1941.

გვაქვს საქმე. ეს უფლებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ აბსტრაქციას კონკრეტული მასალიდან, რაც ზემოთ დავადასტურეთ, საფუძვლად სწორედ ეს გენერალიზაციის ფენომენი უდევს.

4. განწყობა არ არის ცნობიერების ფენომენი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ განწყობა, რომელიც სუბიექტის რეცეპტორული ორგანოების საშუალებით მიღებულ მასალას ეხება, უნდა განხილულ იქნეს არა როგორც ამ ორგანოთა სპეციალური ფუნქცია, არამედ როგორც ინდივიდის საერთო მდგომარეობა. ირადიაციისა და გენერალიზაციის ფაქტები, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ შევაჩერეთ ყურადღება, ადასტურებენ და განსაზღვრავენ ამ დებულებას.

დგება საკითხი: როგორ უნდა გავიგოთ ეს მდგომარეობა?

თუ იგი — განწყობის ეს მდგომარეობა — ცნობიერების ფენომენს წარმოადგენს, მაშინ იგი ერთ-ერთ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც სხვა მრავალ მოვლენასთან ერთად არსებობს ცნობიერებაში. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ განწყობის სრული მიკუთვნება ამგვარ მოვლენათა კატეგორიისათვის შეუძლებელია. იგი უფრო სუბიექტის საერთო მდგომარეობას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც არა მის ცალკეულ ორგანოებს, არამედ მის, როგორც მთლიანობის, მოქმედებას ეხება.

ამ საკითხისათვის მასალის მისაღებად ჯობს კვლავ ექსპერიმენტს მივმართოთ. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა პოსტჰიპნოზური შთაგონების ცდები „მოლოდინის" საკითხის, როგორც ჩვენი განწყობის საფუძვლის საკითხის, გადასაჭრელად გამოგვეყენებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგივე ცდები გარკვეულ პასუხს გვაძლევს, პირველ რიგში, სწორედ ჩვენ მიერ ახლა დასმულ კითხვაზეც.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ცდები. ცპ-ს, მას შემდეგ, რაც იგი ღრმა ჰიპნოზურ ძილშია გადასული, ვანვდით ხელთ ბურთებს — ერთს დიდს, მეორეს — მცირეს — და ვავალებთ მას შეადაროს ისინი ერთიმეორეს და თქვას, რომელია მათში უფრო დიდი. ამ საგანწყობო ცდების საკმაოდ მრავალგზისი განმეორების შემდეგ ცპ-ი მეორე ოთახში გადაგვყავს, აქ ჰიპნოზური მდგომარეობიდან განთავისუფლების შემდეგ მასზე კრიტიკულ ცდებს ვატარებთ, ე. ი. ვაძლევთ ხელთ ტოლ ბურთებსა და თან ვავალებთ შეადაროს ისინი ერთიმეორეს[1].

ზემოთ ჩვენ ამ ცდებს სხვა თვალსაზრისით შევეხეთ, მაგრამ მიღებული შედეგები დიდ ინტერესს წარმოადგენენ აგრეთვე ახლა

---

[1] *დ. უზნაძე.* პოსტჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის. ფუნქც. ნერვ. დაავად. ინსტიტუტის შრომები, I. 1936.

წამოყენებული საკითხის თვალსაზრისითაც. საქმე იმაშია, რომ, თუმცა ცპ-ბმა სრულიად არაფერი იციან იმ საგანწყობო ცდებისა, რომელიც მათზე ჰიპნოზურ ძილში ყოფნის დროს ჩატარდა, ისინი მაინც ამჟღავნებენ ჩვეულებრივ ილუზიას: ერთ-ერთი ბურთი მათ მეორეზე დიდი ეჩვენებათ, და ეს უდავოდ საგანწყობო ცდების ზეგავლენით ხდება.

საჭიროა აღინიშნოს, როგორც ეს უკვე ზემოთაც იყო თქმული, რომ, მიუხედავად ამგვარი შემთხვევისათვის ჩვეული პოსტჰიპნოზური ამნეზიის ფაქტისა, ჩვენ მაინც ვახდენდით ცპ-ზე შთაგონებას, რომ მათ სრულიად არაფერი ეხსომებოდათ იმის შესახებ, რასაც ჰიპნოზურ ძილში აკეთებდნენ. მაშასადამე, უდავოა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ცპ-ებს ცნობიერად არაფერი ახსოვდათ ჰიპნოზურ ძილში ყოფნის დროს ჩატარებული საგანწყობო ცდების შესახებ, ისინი ფაქტიურად მაინც ამ ცდების გადამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

სრულიად ცხადია, რომ საგანწყობო ცდების შედეგად მათში ერთგვარი მდგომარეობა გამომუშავდა, რომელიც თუმცა მათი ცნობიერების ფარგლების გარეთ რჩება, მაინც ინარჩუნებს უნარს მათზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს: რომ არ ჩაგვეტარებინა ეს საგანწყობო ცდები, კრიტიკული ექსპოზიციების ტოლ ბურთებს ისინი, როგორც წესი, ადეკვატურად აღიქვამდნენ.

ამრიგად, უდავო ხდება, რომ ჩვენში უთუოდ არსებობს ერთგვარი მდგომარეობა, რომელიც თვითონ ცნობიერების შინაარსს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც აქვს ძალა მასზე გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინოს. ჩვენს ცდებში ეს მდგომარეობა საგანწყობო ექსპოზიციათა ზემოქმედების შედეგად მუშავდება, და კრიტიკული ტოლი ბურთების უტოლოდ აღქმა ამ ცნობიერების გარეშე ნაგულისხმები *მდგომარეობის* აქტივობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

მოკლედ, ამ ცდების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გადაჭრით ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცნობიერების მდგომარეობანი არა უთუოდ სხვა ცნობიერი პროცესების ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობენ — მათ შეიძლება ისეთი პროცესებიც განსაზღვრავდნენ, რომლებსაც არა აქვთ გარკვეული ადგილი ცნობიერებაში, და, მაშასადამე, ცნობიერ ფსიქიკურ ფაქტებს არ მიეკუთვნებიან. ჩვენ უნდა ვცნოთ, როგორც ეს ჩვენი ცდებიდან ჩანს უდავოდ, რომ გარდა ცნობიერი ფსიქიკური პროცესებისა, „ცნობიერების გარეშენიც“ არსებობენ და ისინი ხშირად მეტად არსებითი როლის შესრულებას კისრულობენ.

ჩვენ შემთხვევაში ამ როლს, როგორც დავინახეთ, განწყობა ასრუ-

ლებს, განწყობა, რომელიც ჩვენს ცპ-ებს წინასწარ ჰიპნოზურ ძილში უფიქსირდებათ. ეს განწყობა ჩვენს ცდებში არც ერთხელ არ ყოფილა რომელიმე ჩვენი ცპ-ის ცნობიერების შინაარსად განცდილი. მიუხედავად ამისა, იგი გარკვეულად მოქმედებდა მათი ცნობიერების შემდგომ შინაარსზე: ობიექტურად ტოლი ბურთები მათ მიერ როგორც გარკვეულად უტოლონი განიცდებოდნენ.

ამრიგად, შეგვიძლია დადასტურებულად ჩავთვალოთ, რომ ცნობიერი განცდები შეიძლება ჩვენი განწყობის გარკვეული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, განწყობისა, რომელიც თავის მხრივ არავითარ შემთხვევაში ჩვენი ცნობიერების შინაარსად არ ჩაითვლება.

5. არაცნობიერის ცნება ზედმეტი ცნებაა. ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცნობილი მოძღვრებისათვის ადამიანის ფსიქიკაში არაცნობიერის პოზიტიური როლის შესახებ რაღაც არსებითი მნიშვნელობის საბუთი უნდა მოიპოვებოდეს. მაგრამ ამ მოძღვრების ახლო გაცნობა გვიჩვენებს, რომ ეს საბუთი ყოველ შემთხვევაში ბოლომდე გააზრებული არაა, და ამიტომ მთელი კონცეფცია ნაკლებ დამაჯერებელს, ხელოვნურ ნაგებობას წარმოადგენს. *ფროიდის* მოძღვრების ყველაზე უფრო სუსტ პუნქტს არაცნობიერის შესახებ უთუოდ შემდეგში უნდა ვეჭვრეტდეთ: მისი აზრით, განსხვავება ცნობიერსა და არაცნობიერ პროცესებს შორის ძირითადად მხოლოდ იმაზე დაიყვანება, რომ ეს პროცესები არსებითად მარტო იმით განსხვავდებიან ურთიერთისაგან, რომ პირველს მათგანს ცნობიერება ახლავს თან, მეორეს კი არა. რაც შეეხება მათს შინაგან ბუნებასა და სტრუქტურას, ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არაფერია.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა თითქოს გასაგებს ხდის მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც არაცნობიერ პროცესებს, ეგოდენ დიდ როლს რომ ასრულებენ, მაგალ., ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევებში, შეუძლიათ ცნობიერი შეიქნენ ჯერ ფსიქოანალიტიკოსისათვის და შემდგომ კი, გარკვეულ პირობებში, თვით ავადმყოფისთვისაც. *ფროიდის* მოძღვრების თანახმად, ავადმყოფის განცდებში არსებითად ახალი არაფერი ხდება: ხდება მხოლოდ ის, რომ, ვთქვათ, რომელიღაც შინაარსი არ იყო აქამდე ცნობიერების სხივებით გაშუქებული. ახლა იგი ამ სხივებით შუქდება, და ეს გარემოება სრულიად საკმარისი ხდება იმისათვის, რომ ავადმყოფი ერთბაშად ჯანმრთელ ადამიანად გადაიქცეს.

ამ მოძღვრების თანახმად, მთელი საქმე მხოლოდ ავადმყოფის წარსულზე დაიყვანება, — რომელიღაც განცდებზე, რომელთაც ჰქო-

ნიათ ოდესმე, ან, შეიძლება, ჰქონოდათ მის ცნობიერებაში ადგილი. მაგრამ პირველ შემთხვევაში დავიწყებული იქნენ, ხოლო მეორეში — იმთავითვე „განდევნილი" იქიდან. ჩანს, რომ „გაცნობიერება" ამ შემთხვევაში მხოლოდ „გახსენებას" ნიშნავს, და შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცნობიერების დავიწყებული შინაარსები ცნობიერების გარეშეც განაგრძობენ სიცოცხლესა და მოქმედებას და ამრიგად სუბიექტის ქცევაზე გარდამწყვეტ გავლენას ახდენენ.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო არსებითს წყაროს, საიდანაც ფროიდის მოძღვრების ყველა ძირითადი სიძნელე გამომდინარეობს, არაცნობიერების სწორედ ეს კონცეფცია წარმოადგენს.

მეორე მხრივ, ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ფროიდის მთავარ დამსახურებას მეცნიერების წინაშე მაინც სწორედ ეს მოძღვრება წარმოადგენს არაცნობიერის შესახებ. მე მგონია: რომ მოხერხდებოდეს არაცნობიერების ცნების განთავისუფლება ცნობიერი ცხოვრებისთვის ჩვეული ფსიქიკური შინაარსისაგან, რომ მოხერხდებოდეს მისთვის სხვა უფრო შესაფერისი შინაარსის მოძებნა, მაშინ ხელთ გვექნებოდა იარაღი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას უფრო ღრმად ჩავნვდომოდით საქმის ნამდვილ ვითარებას.

ჩვენ დავინახეთ, რომ განწყობის ცნება სწორედ იმ კონცეპტს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე უკეთ უდგება ამ ამოცანის გადაჭრის მიზანს. განწყობა, როგორც ჩვენ ეს პოსტჰიპნოზური შთაგონების ცდებში ვნახეთ, სუბიექტის მდგომარეობაა, რომელიც არ წარმოადგენს თავისთავად ცნობიერების შინაარსს, მაგრამ მაინც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მის მუშაობაზე. ამ შემთხვევაში მდგომარეობის ნამდვილი ვითარება შემდეგი სახით უნდა წარმოვიდგინოთ: ჩვენი წარმოდგენები და აზრები, ჩვენი გრძნობები და ემოციები, ჩვენი ნებელობის აქტები ფსიქიკური ცხოვრების შინაარსს წარმოადგენენ და, ჩვეულებრივ, როდესაც ადამიანთა ეს ფსიქიკური პროცესები იჩენს თავს, მათ როგორც წესი ცნობიერება ახლავთ თან: ჩვენ ვიცით, რომ წარმოდგენა გვაქვს, რომ ვაზროვნებთ, რომ ნებისყოფის აქტებს ვასრულებთ; და ამდაგვარ განცდათა გარდა სხვა შინაარსი ცნობიერებას არ გააჩნია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ამით უკვე ყველაფერი ამოიწურება, რაც დამახასიათებელია ცოცხალი არსებისათვის, საერთოდ, და, განსაკუთრებით, ადამიანისათვის — რა თქმა უნდა, მისი ფიზიკური ორგანოების ჩაუთვლელად. ცნობიერ პროცესებს გარდა, ადამიანში კიდევ არსებობს *რაღაც*, რაც თვითონ ცნობიერების შინაარსი არაა, მაგრამ მასზე გარკვეულ გავლენას

ახდენს — განსაზღვრავს, გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას. ჩვენ ვნახეთ, რომ ამას განწყობა შეიძლება ვუწოდოთ, *განწყობა*, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებაში, მის სინამდვილესთან ურთიერთდამოკიდებულების პროცესში ვლინდება.

ჩვენ ვიცით ჩვენი ცდებიდან, რომ განწყობა ნამდვილად არსებობს და რომ იგი ცნობიერების შინაარსის ფორმის მიუღებლად აქტივობს: იგი ცნობიერების გარეშე მიმდინარეობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარდამწყვეტ გავლენას ახდენს ცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების მთელ შინაარსზე.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მოძღვრება არაცნობიერის შესახებ, არსებითად, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სწორ წარმოდგენას ემყარება, რამდენადაც მართებულად უსვამს ხაზს, რომ ცნობიერი პროცესები სრულიადაც არ ამოწურავენ ფსიქიკის მთელ შინაარსს. მაშასადამე, აუცილებელი ხდება ვცნოთ არსებობა ისეთი პროცესებისაც, რომელნიც, ასე ვთქვათ, ცნობიერების გარეშე მიმდინარეობენ და, არსებითად, მთელს მის მოძრაობას განსაზღვრავენ.

ჩვენ დავინახეთ, რომ განწყობის ცნება, როგორც ის ჩვენი პოსტჰიპნოზური ცდების შედეგადაც ჩამოყალიბდა, მშვენივრად უდგება ამ მოთხოვნილებას. ამ შემთხვევაში ჩნდება აზრი, რომ არაცნობიერის ცნება უკუგდებულ უნდა იქნეს და მის ნაცვლად პოზიტიური შინაარსის მქონე ცნება, სახელდობრ, *განწყობის* ცნება იქნეს შემოღებული. მაშინ გასაგები იქნება, რომ განწყობის გარეშე, საერთოდ, არავითარი დასრულებული, კონკრეტული ფსიქიკური პროცესი არ უნდა არსებობდეს, რომ იმისათვის, რომ ცნობიერებამ რომელიმე გარკვეული მიმართულებით დაინყოს მუშაობა, წინასწარ განწყობის აქტივობა უნდა იქნეს აღიარებული, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ ცნობიერების მიმართულება წარმართოს.

III. ემპირისტული ფსიქოლოგიის დოგმატიკური წანამძღვრები

1. უშუალობის პოსტულატი. — თუ ვცანით, რომ ფსიქოლოგიურად ჩვენი ქცევის საფუძველი საერთოდ ყოველთვის რომელიმე გარკვეული განწყობაა; თუ, მაშასადამე, მივიღეთ, რომ იგი ფაქტიურად ყოველთვის წინ უსწრებს ჩვენი ქცევის აქტებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ცნობიერი ფსიქიკური აქტების კავშირი სინამდვილესთან უშუალო ხასიათის არაა, რომ ეს კავშირი განწყობის ფაქტორის მონაწილეობითაა გაშუალებული. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა

ვცნოთ, რომ სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობის შემთხვევაში, პირველ რიგში, მისი განწყობა აქტუალიზირდება შესაფერისი მიმართულებით, და მთელი მის ქცევა, ცნობიერების შინაარსებითურთ, სწორედ ამ განწყობის საფუძველზე ჩნდება და ვითარდება. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ფსიქიკური შინაარსებისა და აქტების მიმართება სინამდვილისადმი უშუალო ხასიათის არაა და რომ ის სუბიექტის განწყობითაა გაშუალებული.

წინააღმდეგ ამისა, ემპირისტული ფსიქოლოგია უდავოდ მთლიანად წინასწარ შეუმოწმებელს, კრიტიკულად გაუაზრებელს, დოგმატურ წარნამძღვარს ეყრდნობა, რომლის აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ვითომ ობიექტური სინამდვილე *უშუალო* ზეგავლენას ახდენდეს ფსიქიკაზე და თავის მოქმედებას ამ *უშუალო* კავშირით განსაზღვრავდეს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წარნამძღვრის საფუძველზე დაუსაბუთებელის, ყალბი პრობლემებისა და მათი გადაჭრის უნაყოფო ცდების მთელი რიგი უნდა აღმოცენებულიყო.

ვცადოთ უფრო ახლო დავახასიათოთ ჩვენი მეცნიერების ეს დოგმატური წარნამძღვარი!

ბუნებისმეტყველების სწრაფი და ნაყოფიერი განვითარება სხვათა შორის იმითაც იყო პირობადებული, რომ აქ ერთ-ერთი თვალსაზრისი ბატონობდა, რომელიც შემდგომ ფორმულირებული იყო როგორც „დახშული კაუზალობის" პრინციპი (Prinzip der geschlossenen Naturkausalität). ამ პრინციპის ძირითადი აზრი ამ შემთხვევაში იმის აღიარებაში მდგომარეობდა, რომ ვითომ ფიზიკური შედეგი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური მიზეზის ზემოქმედებით იქნეს აქტივირებული, რომ ამ მოვლენათა შორის მხოლოდ *უშუალო* კავშირის დადასტურება შეიძლებოდეს, რომ ერთის მეორეზე ზემოქმედებისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს გამაშუალებელ წევრად რომელიმე სხვა მოვლენა ჩაითვალოს, რომელიც ფიზიკურ მოვლენათა კატეგორიას არ ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი, ბუნებისმეტყველების განვითარების სწრაფი ტემპი სრულიად გაუგებარი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დარწმუნებულობა იმაში, რომ ფიზიკური მოვლენები უშუალო კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან და ამ კავშირით განისაზღვრებიან.

ამრიგად, იგულისხმებოდა, თითქოს ბუნებისმეტყველების განვითარების სწრაფი ტემპი ფიზიკურ მოვლენათა შორის უშუალო კავშირის ფაქტს ეყრდნობოდეს. ამ პირობებში საკვირველი არ იყო, რომ უშუალობის ეს პრინციპი სხვა მეცნიერებათა სფეროშიც იქნა გადმოტანილი იმ იმედით, რომ ეს გარემოება მეცნიერებათა ამ

დარგებშიც სწრაფი განვითარების პროცესს დაედებოდა საფუძვლად.

ეჭვს გარეშეა, რომ ფსიქიკური ცხოვრების მოვლენები ერთგვარ დაბრკოლებას უქმნიან მათ შორის უშუალო კავშირის არსებობის იდეის მიღებას. მათ ხომ მხოლოდ იმდენად აქვთ აზრი, რამდენადაც გარე სიტუაციის თავისებურებებს აშუალებენ, რომელნიც თვითონ ფსიქიკური სინამდვილის ფაქტს არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაშიც იყო ნაცადი კვლევა-ძიების საფუძვლად მოვლენათა იგივე უშუალო კავშირის პრინციპი დაედოთ, — ამ შემთხვევაში თვით ფსიქიკურ მოვლენათა შორის უშუალო კავშირის არსებობის პრინციპი. ამ თვალსაზრისის თანახმად, ამ მოვლენათა სამყაროში რაიმე ცვლილების მიზეზი არა სადმე, მათ გარეშე უნდა ეძებნათ, არამედ მათშივე, იმის გამო, რომ ფსიქიკური მოვლენები ფსიქიკური მიზეზებითვე მიაჩნდათ პირობადებული.

ამ თვალსაზრისის თეორიული დასაბუთება მოცემულია ზემოთ დასახელებულს „ბუნების დახშული კაუზალობის პრინციპში", რომელიც, როგორც ცნობილია, გულისხმობს, რომ ფსიქიკურის საფუძველს ფსიქიკური მიზეზების აქტივობა წარმოადგენს. მაგრამ ფაქტიურად ეს თვალსაზრისი ახალი არაა: იგი ჯერ კიდევ ჰერბარტის მიერ იყო გამოყენებული მეცნიერებაში. როგორც ვიცით, იგი ცდილობდა მთელი ფსიქიკური ცხოვრება, მთელი მისი შინაარსი, წარმოდგენათა ურთიერთზე მოქმედებით აეხსნა. დამახასიათებელია, რომ ამ ურთიერთზე მოქმედებას, ჰერბარტის მიხედვით, წმინდა მექანისტური ხასიათი აქვს. მძლავრი წარმოდგენა იმარჯვებს ნაკლებად მძლავრზე და განდევნის ამ უკანასკნელს ცნობიერების ფარგლებიდან. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს თითოეულ მოცემულ მომენტში ჩვენი ფსიქიკის შინაარსს, მთლიანად დამოკიდებულია სუბიექტში არსებული ცალკეული წარმოდგენების ინტენსივობის მხრივ ურთიერთმიმართებაზე. აქედან გასაგები ხდება, რომ ჰერბარტთან საქმე ნამდვილად მხოლოდ წარმოდგენათა *მექანიკას* ეხებოდა.

უშუალობის პრინციპი, შესაძლოა, უფრო გამოკვეთილად ე. წ. ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიაში იყო წარმოდგენილი. მეცნიერების ამ მიმართულების წარმომადგენელთა ძირითადი დებულების თანახმად, ჩვენი ფსიქიკის მთელი შინაარსი წარმოდგენათა უშუალო კავშირით, მათ შორის არსებული *ასოციაციით* განისაზღვრება: საკმარისია ჩვენს ცნობიერებაში ამ კავშირის რომელიმე წევრი გაჩნდეს, რომ მას მაშინვე მეორე, მასთან რაიმე მხრივ დაკავშირებული წარმოდგენა მოჰყვეს. ჩვენი ფსიქიკის მთელი შინაარსი წარმოდგენათა ამგვარი კავშირის საფუძველზე აიგება.

აქედან გასაგები ხდება, რომ, ასოციაციონისტების შეხედულებათა თანახმად, ჩვენი ფსიქიკის მთელი შინაარსი ფსიქიკურ მოვლენათა შორის განმტკიცებული ასოციაციის საფუძველს ემყარება — ფსიქიკური შედეგი ფსიქიკური მიზეზის საფუძველზე წარმოიქმნება, ფსიქიკური მოვლენები და პროცესები სინამდვილის კვლავ ფსიქიკურ სფეროზევე მოქმედებენ.

ვუნდტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ოპოზიციაში ედგა როგორც ჰერბარტის ფსიქოლოგიას, ისე ასოციაციონისტურსაც, იდეალიზმის ყალბ პოზიციებს ემყარებოდა და ამიტომ არა მარტო პრაქტიკულად განაგრძობდა უშუალობის პოზიციებზე დაყრდნობას, არამედ მათთვის ერთგვარი ფილოსოფიური დასაბუთების მიცემასაც კი ცდილობდა. იგი ფიქრობდა, რომ ერთადერთი უდავო დაკვირვება, რომელიც ადამიანს გააჩნია, ეს არის დაკვირვება „ცნობიერების ერთიანობის" შესახებ, ე. ი. ფსიქოლოგიური მოვლენების ურთიერთშორისი უშუალო კავშირის ფაქტის შესახებ: ფსიქიკური პროცესები თვითონ არიან ურთიერთშორის შეკავშირებული, თვითონ ახდენენ უშუალოდ ზეგავლენას ერთიმეორეზე. ფსიქოლოგია, როგორც ემპირიული მეცნიერება, მოვალეა, ვუნდტის აზრით, დაეყრდნოს ამ უდავო ფაქტებს და ეცადოს ყველა საინტერესო მოვლენა ამ ფაქტების მიხედვით ახსნას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკის მოვლენათა საფუძვლად მან ფსიქიკურივე ხასიათის მიზეზები უნდა იგულვოს; ერთი სიტყვით, ფსიქიკური ფაქტების ახსნა ასეთივე ფსიქიკური ფაქტების ფარგლების შიგნით უნდა მოძებნოს. ამ საზღვრების გადალახვის ყოველი ცდა, ე. ი. ყოველი ცდა ფსიქიკური მოვლენების ახსნა მათი ფარგლების გარეშე მოიძებნოს, ვუნდტის მიხედვით, არამეცნიერულ და ამიტომ უნაყოფო ცდად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, გამოდის, რომ ვუნდტის იდეალისტური კონცეფციის თანახმად, ფსიქიკა გაგებულ უნდა იქნას როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ და ერთიმეორეზე მოქმედ მოვლენათა ერთობლიობა.

არსებითად, ეს თვალსაზრისი დღემდე რჩება ძალაში და იდეალისტთა წრეში მომხრეებს დღესაც უგამონაკლისოდ პოულობს. თანამედროვე ბურჟუაზიულ თეორიათა შორის ყველაზე უფრო გავლენიანი თეორია ე. წ. *გეშტალტთეორია,* გარკვეულად განაგრძობს ფსიქიკურ მოვლენათა ურთიერთკავშირის უშუალობის თვალსაზრისზე დგომას. ამ ფსიქოლოგიური თეორიის ძირითადი დებულება, როგორც ცნობილია, შემდეგში მდგომარეობს: ადამიანის განცდათა არეში არა კერძო პროცესები ახდენენ ურთიერთზე გავლენას და ამ გზით რთულ განცდებს ქმნიან, არამედ, პირიქით, სწორედ ეს უკანასკნე-

ლნი განსაზღვრავენ კერძო, ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებს, რომელნიც ჩვენს ცნობიერებაში მიმდინარეობენ. მაგრამ ორივე ეს პროცესი, როგორც რთული მთლიანი, ისე კერძოული პროცესებიც, ფსიქიკურ მოვლენათა სამყაროს ეკუთვნიან.

მაშასადამე, ფსიქიკური მიზეზობრიობის პრობლემა, გეშტალტთეორიის პრინციპების თანახმად, კვლავ ფსიქიკური პროცესების უშუალო ურთიერთკავშირის აღიარების საფუძველზე წყდება. ჩვენ ვხედავთ, რომ უშუალობის იდეა აქაც ძალაში რჩება.

მაგრამ ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში სხვა მიმართულებაც არსებობს, რომელიც უარყოფს ფსიქიკურ და ფიზიკურ ფენომენთა შორის პარალელიზმის პრინციპს — ყველა ზემოხსენებული თეორიის საფუძვლად მდებარე პრინციპს. იგი შესაწყნარებლად თვლის ფსიქიკურ და ფიზიკურ მოვლენათა შორის ურთიერთმოქმედების იდეას. ამ თეორიის თანახმად, არაფერი არ გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ შეიძლება ამ მოვლენათა კატეგორიებს შორისაც მიზეზობრივი კავშირი არსებობდეს, ე. ი. ვცნოთ, რომ ფიზიკური სინამდვილე ზემოქმედებას ახდენს ფსიქიკურზე და მასში პროცესთა რიგს იწვევს, ისე როგორც პირიქითაც.

ჩვენი საკითხისათვის ეს თეორია ახალს არაფერს იძლევა. უშუალობის თვალსაზრისი აქაც ძალაში რჩება. აქ წინასწარაა მიღებული უშუალო, პირდაპირი კავშირის იდეა ისეთ სხვადასხვაგვარ ფენომენთა შორის, როგორიცაა ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენები. ე. წ. ურთიერთმოქმედების თეორიები არა რაიმე ძირითადში ან პრინციპულში განსხვავდებიან პარალელისტური თეორიებისაგან, არამედ მხოლოდ შუალობითში და მეორეხარისხოვანში, და აზრი ამ მოვლენათა კავშირის უშუალო ხასიათის შესახებ ამ თეორიებშიც დოგმატურად მიღებულ პოსტულატად რჩება.

მაგრამ, საერთოდ, ცნობილია, რომ ადამიანი, ისევე როგორც სხვა ცოცხალი არსებაც, თითოეულ მოცემულ მომენტში თავისი განვითარების არსებულ საფეხურს მხოლოდ გარემოსთან ურთიერთმოქმედების პროცესში აღწევს. უშუალობის თეორიის თვალსაზრისით კი ეს დებულება სრულიად არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. პირიქით, ის ამტკიცებს, რომ არსებითად ადამიანი კი არა, მისი *ფსიქიკა* იმყოფება გარემოსთან ურთიერთმიმართებაში, რომ წარმართველ ძალას მხოლოდ ის წარმოადგენს, რომ, არსებითად, ადამიანის მთელ ისტორიას სხვა არაფერი ქმნის, გარდა ფსიქიკისა.

ეს წმინდა იდეალისტური დებულება მეტად დამახასიათებელია მთელი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის და საინტერესოა, რომ

იგი მის ძირითად, კარდინალურ დებულებათა რიგში შედის. რასაკვირველია, სუბიექტის სრული იგნორირება და მისი მონაწილეობის გარეშე ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ მეცნიერების აგების შეუძლებლობის ფაქტი ვერც ბურჟუაზიულ მოაზროვნეებს დარჩებოდათ შეუმჩნეველი. *ჯერ კიდევ ჰეგელმა* სრულიად გარკვეულად დასვა ეს საკითხი და შეძლებისდაგვარად მისი გადაჭრაც სცადა; იგი ამტკიცებდა, რომ სუბიექტი არსებითად „ცნობიერების ანუ თვითცნობიერების" მეტს არაფერს წარმოადგენს. და როდესაც იგი ფსიქიკის გარემოსთან ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობდა, ამით მას არსებითად იმის თქმა უნდოდა, რომ ამ ურთიერთობის სუბიექტი თვითონ ადამიანია — და არა ცალკეული ფსიქიკური პროცესები — რამდენადაც იგი თავისთავად არაფერს წარმოადგენს, გარდა „ცნობიერებისა ან თვითცნობიერებისა".

ვუნდტიც ამავე გაგებით ცდილობდა ამ პრობლემების გადაჭრას. იგი ამტკიცებდა, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სუბიექტი თავისთავად მხოლოდ ფსიქიკურ მოვლენათა ერთობლიობას წარმოადგენს. სუბიექტის სხვანაირი გაგება, მისი აზრით, მეცნიერებაში სუბსტანციის ძველი ცნების აღდგენას გამოიწვევდა, რაც; სრულიადაც ვერ წასწევდა წინ ფსიქიკური ცხოვრების ფაქტების მეცნიერულ შესწავლას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ *ვუნდტიც* თავის დამოკიდებულებას ჩვენთვის საინტერესო პრობლემის მიმართ ძველი, იდეალისტური ფილოსოფიის პოზიციების მიხედვით აყალიბებდა.

ჩვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემის თვალსაზრისით, თითქოს ყველაზე უფრო მეტ ინტერესს ვ. *შტერნის* პოზიცია იმსახურებს. მისი ე. წ. „პერსონალისტური ფსიქოლოგიის" პრინციპები ძირითადში ცუდად ეთანხმება ყოველ ცდას, პერსონის ცნება ფსიქიკური ფაქტების ერთობლიობის იდეამდე იქნეს დაყვანილი. მაგრამ *შტერნი*, ფსიქიკურ მოვლენათა გარდა, სხვას ვერაფერს ხედავს, რადგანაც მთელი სინამდვილე მისთვის, თუ ფიზიკურ გარემოს მხედველობაში არ მივიღებთ, ტრადიციული ფსიქიკური მოვლენებით ამოიწურება. ამიტომ იგი, როგორც ყოველი იდეალისტი, ბოლოსდაბოლოს, იძულებული ხდება მაინც მხოლოდ პერსონის მიერ რეგულირებული ფსიქიკური პროცესების ერთობლიობის იდეას დაუბრუნდეს. რამდენადაც *შტერნს* არ მოეპოვება ზუსტი მითითება სხვა რამ განსხვავებული არის ფაქტიური არსებობის შესახებ, რაც პიროვნების ცნების სპეციფიკური შინაარსის მოცემას შეძლებდა, იგი იძულებული ხდება კვლავ ფსიქიკური ფენომენებით შემოისაზღვროს, ოღონდ და-

მატებით მათ მეტაფიზიკურ ცნებათა არსენალიდან ამოღებული განსაზღვრებანი დასძინოს.

2. ემპირისტული პოსტულატი. — ემპირიული ფსიქოლოგიის ასეთსავე ნაკლებად შემოწმებულ წარნამძღვართა რიგს ეკუთვნის კიდევ ერთი დებულება, რომლის თანახმადაც ადამიანური ცხოვრების საფუძვლად ერთგვარი, ნმინდა ემპირისტული ბუნების პრინციპი უნდა ვცნოთ, პრინციპი, რომელიც ცოცხალი არსების მთელი სიცოცხლისა და ქცევის მიმართულებას წარმართავს. ამ ემპირისტული პრინციპის აზრი შემდეგზე დაიყვანება: ცხოველურ ორგანიზმსა და გარემოს შუა ღრმა უფსკრული იგულისხმება, რომელიც საშუალებას არ აძლევს ცოცხალ ორგანიზმს ამ გარემოს მონაცემები უშუალოდ გამოიყენოს. რათა მან რისამე მისთვის აუცილებლის გამოყოფა შეძლოს გარემოდან, — რისამე მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესაფერისისა, ე. წ. „ცდათა და შეცდომათა" რიგს უნდა მიმართოს და ეს „ცდები და შეცდომები" მანამ განაგრძოს, სანამ შემთხვევითი ისეთი რამ არ ჩაუვარდება ხელთ, რაც სწორედ მის მოთხოვნილებას შეეფერება. ამისდამიხედვით ცხოველის სიცოცხლის მთელი ისტორია ექსპერიმენტული ლაბირინთის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რომელშიაც, მაგალითად, ვირთაგვა სწორედ ასეთ „ცდათა და შეცდომათა" რიგის შედეგად პოულობს ორიენტაციას. ამ თვალსაზრისით, გარემო, რომელშიც უხდება ცხოველს ცხოვრება, უზარმაზარ ლაბირინთსა ჰგავს, სადაც ორიენტაციას ის მხოლოდ ცდათა დიდი რაოდენობის საშუალებით ახერხებს, ცდათა დიდი რაოდენობისა, რომელსაც, სხვათა შორის, შეცდომათა არანაკლები რიცხვი ახლავს თან. ამისდა მიხედვით, ცხოველის ცხოვრებისა და განვითარების პირობები ყოველ მოცემულ საფეხურზე, მრავალი წინამორბედი თაობების მთელ რიგ „ცდათა და შეცდომათა" პროდუქტს წარმოადგენს.

ასეთია ემპირისტული წარნამძღვრის თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ფსიქოლოგიას. ძნელი არ იქნებოდა იმის ჩვენება, თუ რაოდენ გაბატონებული ადგილი უჭირავს ამ თვალსაზრისს ჩვენს მეცნიერებაში, მაგრამ მე არ ვფიქრობ აქ ამაზე შეჩერებას. მე მინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება იმ ცდებს მივაპყრო, რომელიც განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ ჩვენს მეცნიერებაში ემპირისტული წარნამძღვრის ბატონობა ოდნავ მაინც შეერბილებინა. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს *გეშტალტთეორიის* მოძღვრება სინამდვილისადმი ჩვენი შემეცნებითი მიმართების თავისებური ფორმის ე. წ. *ნვდომის* ან Einsichto-ს (Insingh)

შესახებ. ამ ცნებაზე განსაკუთრებით *კელერი* ჩერდება, რომელმაც, რამდენადაც ვიცით, პირველად შემოიტანა იგი მეცნიერებაში. ის მიუთითებს ამ შემეცნებითი გზის აქტივობაზე ანთროპოიდებთან იმ შემთხვევაში, როცა მხედველობის არეში მყოფი საკვების დაუფლება სპეციალურად ამ მიზნით კონსტრუირებული ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვდა, რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ანთროპოიდები ერთბაშად ფლობდნენ ამოცანას და წყვეტდნენ მას „ერთხელ და სამუდამოდ", ცდათა თანმიმდევარი განმეორების გარეშე.

კელერის აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ცხოველის მიერ ამოცანის დაუფლების არა თანდათანობითს პროცესთან, არამედ მისი გადაწყვეტის საშუალების ერთბაშად აღმოჩენის ფაქტთან. იგი თვლის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს თავისებური წვდომის (Einsicht) აქტთან, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ადამიანისათვის დამახასიათებელი აზროვნების დისკურსიული გზისაგან.

ავტორი არსებითად არ ცდილობს მოგვცეს *წვდომის* აქტის შემდგომი, უფრო მიახლოებითი დახასიათება, რომელიც მისი ჭეშმარიტი შინაარსის გახსნას შესძლებდა; და საკვირველი არაა, რომ შემდგომი ძიებანი არაფერს იძლევიან არსებითს, რაც აზროვნების ამ თვისებური გზის გაშლის საფუძვლად შეიძლებოდა გვეგულისხმებია. ამიტომაა, რომ დღემდე მეცნიერება ამ ცნების მხოლოდ ჩვეულებრივი შემეცნებითი მოვლენების პროცესებზე დაყვანის ცდებით კმაყოფილდება.

„წვდომის" ბუნების შესახებ მეცნიერული აზროვნების ასეთი შედეგი ჩვენს პირობებში თავისთავად მოულოდნელი არაა. რამდენადაც ფსიქოლოგიური მეცნიერების განკარგულებაში ჯერხნობით მხოლოდ ჩვენი ცნობიერების ჩვეულებრივი მოვლენების — ამ შემთხვევაში, შემეცნებითი პროცესების — შესახებ მოიპოვება აზრი, ძნელი წარმოსადგენია, ამგვარ დაკვირვებებს ადეკვატური კვალიფიკაცია მოენახოს. ხოლო, თუ ჩვენ ვაღიარეთ, რომ ცნობიერების ჩვეულებრივ მოვლენებს გარდა, ჩვენ კიდევ გვაქვს რაღაც, რაც, თუმცა ცნობიერების შინაარსი არაა, და, საერთოდ მისი ფარგლების გარეშეა საძიებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მას, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება შესაძლებლობას მოგვცემს ახალი თვალსაზრისით ვიმსჯელოთ Einsicht-ის მსგავს მოვლენებზე, დავასაბუთოთ მისი არსებობის ფაქტი და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მისი გარკვეული რეალური შინაარსის გამოვლენაც ვცადოთ. თუ ვაღიარეთ, რომ შესაფერის პირობებში ცოცხალ არსებას განწყობის აქტივაციით რეაგირების უნარი აქვს, თუ

მივიღებთ, რომ სწორედ ამ განწყობის სახით სინამდვილის თავისებური *ასახვის* ახალ სფეროსთან გვაქვს საქმე, მაშინ გასაგები გახდება, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ ცოცხალი არსების კავშირის ნამდვილი ბუნება გარემოს იმ პირობებთან, რომელშიც მას თავისი ცხოვრების წარმართვა უხდება.

განწყობის ცნების ჯეროვნად გაცნობის ცდა ქვემოთ შესაძლებლობას მოგვცემს დავრწმუნდეთ, რომ მისი სახით სინამდვილის თავისებური ასახვის ფაქტთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ეს სინამდვილე აქტიური სუბიექტის ამა თუ იმ ქცევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

IV. აქტივობის ძირითადი პირობები

ჩვენ ორი ძირითადი პირობიდან გამოვდივართ, რომლის გარეშეც ადამიანის, თუ სხვა რამ ცოცხალი არსების, ქცევა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ფაქტი ქცევის სუბიექტში რაიმე *მოთხოვნილების* არსებობისა და შემდეგ — *სიტუაციისაც*, რომელშიც ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს. ესაა ყოველი ქცევის და, მაშასადამე, მისადმი განწყობის აღმოცენების ძირითადი პირობა. შევჩერდეთ საგანგებოდ, რათა უფრო ახლოს გავეცნოთ ორივე ამ პირობას.

1. **მოთხოვნილება.** მეცნიერებაში ჩვენ საკმაოდ ხშირად გვხვდება ეს ტერმინი — *მოთხოვნილება*. განსაკუთრებით ხშირად იყენებენ მას ეკონომიურ მეცნიერებათა დარგში. მაგრამ ჩვენ აქ მარტო იმ მნიშვნელობას როდი ვგულისხმობთ, რომელიც ამ ცნებას სპეციალურად ეკონომიურ მეცნიერებათა პოზიციებიდან ეძლევა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობა — არა მარტო ეკონომიური. თუ ნარმოვიდგენთ, რომ ორგანიზმი რაიმე საჭიროებას განიცდის, მაგალითად, ეკონომიურ კეთილდღეობას ან რომელიმე სხვა ღირებულებას ესწრაფვის — პრაქტიკულს თუ თეორეტიკულს, სულ ერთია, თვით აქტივობას, როგორც ასეთს, თუ დასვენებას და ა. შ., — ყველა ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, უთუოდ ამა თუ იმ *მოთხოვნილებასთან* გვაქვს საქმე. ერთი სიტყვით, „მოთხოვნილება" ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის ყოველ მდგომარეობას შეიძლება ეწოდოს, რომელიც, საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისათვის აუცილებელი აქტივობის იმპულსებს იძლევა.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამ შემთხვევაში აქტი-

ვობა არა მხოლოდ როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებათა უზრუნველყოფის ხერხი უნდა იქნეს გაგებული, არამედ ამავე დროს როგორც წყაროც, რომელიც თვით იძლევა უშუალოდ მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საჭიროა განვასხვავოთ მოთხოვნილებათა ორი ძირითადი სახე — *სუბსტანციონალური* მოთხოვნილებები და *ფუნქციონალური* მოთხოვნილებები.

პირველ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლად სუბსტანციონალური რამ არის საჭირო, — საჭიროა საგნობრივი რამ, რაც მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. ასე, მაგალითად, შიმშილის მდგომარეობა გარკვეული სუბსტანციონალური მოთხოვნილების მაგალითს წარმოადგენს: შიმშილი რომ მოიკლა, აუცილებელია გვქონდეს, მაგალითად, პური. ამ შემთხვევაში პურის მოთხოვნილება უნდა კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სუბსტანციონალური მოთხოვნილების მაგალითი.

მაგრამ ეს კატეგორია ვერ ამოწურავს ყველა ჩვენს მოთხოვნილებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოცხალ ორგანიზმში თავს იჩენს მისწრაფება ამა თუ იმ სახის აქტივობისადმი, როგორც ასეთისადმი. ორგანიზმში თავს იჩენს არა მარტო რისამე სუბსტანციონალურის მოთხოვნილება: იგი ისწრაფვის *აქტივობისაკენაც*, როგორც ასეთისაკენ — იგი საჭიროებს მოქმედებას თავისთავად. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობა სრულიადაც არაა უმოძრაობა. პირიქით, ცოცხალი ორგანიზმი მუდმივი აქტივობის მდგომარეობაშია. იგი წყვეტს მას მხოლოდ დროებით და პიროობითად. ეს მაშინ ხდება, როცა ორგანიზმი იძულებულია მიმართოს დასვენებას, თუმცა მოქმედების აბსოლუტური შეწყვეტა მასში არც აქ ხდება: ორგანული პროცესები ამ შემთხვევაშიც განაგრძობენ თავის აქტივობას, იმ პირობებთან დაკავშირებით, რომელშიც ორგანიზმს თითოეულ მოცემულ მომენტში უხდება ცხოვრება, მას მოქმედებისადმი მოთხოვნილება უჩნდება, მოთხოვნილება ამა თუ იმ მიმართულებით ფუნქციობისა. ამ სახის მოთხოვნილებებს ჩვენ *ფუნქციონალურს* ვუწოდებთ[1].

ცხოველის მოთხოვნილებათა მთელ მრავალფეროვნებას ეს ორი ძირითადი ჯგუფი ამოწურავს. მაგრამ იგი იმ მოთხოვნილებათა ძირითად კატეგორიებსაც შეიცავს, რომელნიც ადამიანს მისი სოციალური ცხოვრების პირობების განვითარებასთან ერთად უჩნდება. კულტურა მთელ რიგს ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს და, რაც

[1] იხ. ჩვენი „ბავშვის ფსიქოლოგია". ტფილისი, 1948.

უფრო ვითარდება იგი, მით უფრო ფართო ხდება ამ მოთხოვნილებათა წრე.

როგორც მაგალითი ისეთი მოთხოვნილებისა, რომელიც წმინდა ადამიანურ მოთხოვნილებად შეიძლება ჩაგვეთვალა, ე. ნ. *თეორეტიკული* მოთხოვნილება უნდა დავასახელოთ, მართალია, ლიტერატურაში ხშირია შემთხვევა, რომ *ცნობისმოყვარეობის* მდგომარეობას მაიმუნშიც აღნიშნავენ, მაგრამ, ზუსტად რომ ვილაპარაკოთ, რა თქმა უნდა, ასეთი ანთროპომორფიზაციისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ჩვენ, ალბათ, ქვემოთ მოგვეცემა შემთხვევა ანალოგიურ საკითხებში უფრო დაწვრილებით გავერკვეთ. აქ კი მე მინდოდა აღმენიშნა, რომ მოთხოვნილებათა თავისებურ ჯგუფს, რომელიც ადამიანში გამომუშავდა, უთუოდ *თეორეტიკული* მოთხოვნილებებიც შეადგენენ.

მაგრამ წარმოადგენენ თუ არა ეს მოთხოვნილებები არსებითად რასმე ახალს იმ ძირითადი დაჯგუფების თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ ზემოთ დავსახეთ, ე. ი. სუბსტანციონალურია თეორეტიკული მოთხოვნილება თუ ფუნქციონალური?

თუ თეორეტიკული მოთხოვნილების ცნებას ჩავუფიქრდებით, ვნახავთ, რომ აქ საქმე ეხება შემთხვევებს, სადაც ამოცანის თეორეტიკული გადაწყვეტის წინაშე მდგომი სუბიექტი *შეჩერდება*, შეწყვეტს იმ მანიპულაციებს, რომელსაც იგი ამოცანაზე მუშაობის პროცესში მიმართავს და თავისი მსჯელობის სპეციალურ *ობიექტად* თვითონ ამ ამოცანას აქცევს. ასე ჩნდება, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, *ობიექტივაციის* მომენტი, რომელიც ამოცანისადმი თეორეტიკული მიმართების დაწყების შესაძლებლობას ქმნის[1].

საკითხავია: რასთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე? რა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ის მოთხოვნილება, რომელსაც აქ ვიკმაყოფილებთ, ფუნქციონალურ მოთხოვნილებებზე ლაპარაკი აქ, ალბათ, უსაფუძვლო იქნებოდა — თეორეტიკული აზროვნების აქტები ამა თუ იმ ფუნქციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას როდი ისახავენ მიზნად. ისინი, ეს აქტები, სრულიად გარკვეული მიზნებისათვის გვესაჭიროება, — ვთქვათ, იმ საკითხის გადასაჭრელად, თუ რაში მდგომარეობს ამოცანა, ან რა წესების გამოყენება იქნებოდა მის გადასაჭრელად ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, და არა იმისთვის, რომ უბრალოდ ჩვენი შემეცნებითი ფუნქციების ამოქმედების შესაძლებლობა მოგვცემოდა.

---

[1] *დ. უზნაძე.* ყურადღების არსის პრობლემისათვის. „ფსიქოლოგია", IV. 1947.

ეჭვს გარეშეა, რომ საგნისადმი თეორეტიკული მიმართვის ამოცანა მოთხოვნილებათა მეორე კატეგორიასთან უფრო ახლო დგას, ვიდრე პირველთან. ამ უკანასკნელი კატეგორიის, ე. ი. ფუნქციონალური მოთხოვნილების ამოცანათა გადაწყვეტისას, არსებითად, თეორეტიკული მუშაობის არავითარი მოთხოვნილება არა გვაქვს: ამ შემთხვევაში მოქმედი მოთხოვნილება სრულიად არ მოითხოვს გაცნობიერების პროცესებს, ხშირად აუცილებელს სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემთხვევაში. და ეს არცაა საკვირველი: სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს ყოველთვის შეიძლება აღიძრას საკითხი, როგორ და რამდენად შესწევს უნარი მოცემულ მასალას დააკმაყოფილოს არსებული მოთხოვნილება. ეს კი უკვე ისეთი საკითხია, რომელიც, სანამ მის პრაქტიკულ გადაჭრას შევუდგებოდეთ, მანამ მოითხოვს თეორეტიკულ პლანში გადაწყვეტას.

ამრიგად, თეორეტიკული მოთხოვნილება არსებითად მხოლოდ როგორც ჩვენი სუბსტანციონალური მოთხოვნილებების *გართულება* წარმოიშვება. რამდენადაც იგი განწესებულია მუდამ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოს, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი, არსებითად, მხოლოდ სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა შემდგომ *განვითარებას*, ან გართულებას წარმოადგენს.

მართალია, ჩვენ ვიცით არა ერთი შემთხვევა, რომ თეორეტიკული მოაზრება ფუნქციონალური მოთხოვნილების მოსაგვარებლადაც არის ხოლმე საჭირო. მაგრამ ამას, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ აქვს ხოლმე ადგილი, როცა რაიმე დაბრკოლება ჩნდება, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი აქტების შესრულებას აძნელებს. ამ შემთხვევაში ამ სიძნელეთა მიზეზის გამორკვევის ამოცანა დგება, და თეორიული მოაზრება სწორედ ამისთვის ხდება საჭირო.

მაგრამ განა ეს ფუნქციონალური ხასიათის ამოცანაა?

ცხადა, რომ არა! სრულიად ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სიტუაციასთან, რომელშიც სუბიექტის პირდაპირი მიზნების განხორციელებისათვის — მისი ფუნქციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის — მათი დამაბრკოლებელი მიზეზების გამორკვევა ხდება აუცილებელი.

ამრიგად, ნათელია, რომ თეორიული ხასიათის მოთხოვნილებებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფუნქციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც. მაგრამ ეს არ გვაძლევს, რა თქმა

უნდა, უფლებას ამის გამო ისინი თვითონაც ფუნქციონალური შინაარსის მოთხოვნილებებად დავსახოთ. თეორიული მოთხოვნილება შეიძლება გაჩნდეს როგორც სუბსტანციალური, ისე ფუნქციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სუბიექტის აქტივობის ერთ-ერთ ძირითად პირობას ამ სუბიექტში რაიმე განსაზღვრული მოთხოვნილების აქტივობა წარმოადგენს, რომელიც, შესაძლოა ან სუბსტანციონალური იყოს და ან ფუნქციონალური. განვითარების ადამიანურ საფეხურზე ჩვენ ახალი სახის მოთხოვნილების გამოვლენის მონმენიც ვხდებით. ეს ე. წ. თეორიული მოთხოვნილებაა, რომელიც, როგორც ვხედავთ, უფრო სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე ფუნქციონალურისას.

2. სიტუაცია. განწყობის გარკვეული მიმართულებით გამოვლენის აუცილებელ პირობას, გარდა მოთხოვნილებისა, მისი შესატყვისი *სიტუაციის* არსებობაც წარმოადგენს. თუ არა გვაქვს ფაქტი სიტუაციისა და მოთხოვნილების თანაზიარი და შეძლებისდაგვარად შეთანხმებული მოქმედებისა სუბიექტზე, მაშინ არც იმისთვის გვექნება საფუძველი, რომ მასში განწყობის აღმოცენების შემთხვევა და, მაშასადამე, შესაფერი მოქმედებისათვის მზადყოფნა ვიგულისხმოთ.

რა თქმა უნდა, მოთხოვნილება შეიძლება არსებობდეს სიტუაციის გარეშეც, რომელიც მის დაკმაყოფილებას შესაძლებლად გახდიდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ შეიძლება დასრულებული, ინდივიდუალურად განსაზღვრული ხასიათი ჰქონდეს. იგი ასეთ ხასიათს მხოლოდ არსებული, მისთვის შესატყვისი სიტუაციის ზემოქმედების შედეგად ღებულობს. მოთხოვნილება კონკრეტულ ფორმას პოულობს, იგი ინდივიდუალურად განსაზღვრულ მოთხოვნილებად ხდება, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ მოცემული სიტუაციის კონკრეტულ პირობებშია შესაძლო. სანამ ასეთი სიტუაცია არაა, მოთხოვნილება ინდივიდუალობას მოკლებული რჩება. მაგრამ საკმარისია ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო სიტუაცია გაჩნდეს, რომ სუბიექტში კონკრეტულად მოხაზული განწყობა აღმოცენდეს და მან (სუბიექტმა) სრულიად გარკვეული მიმართულებით მოქმედების იმპულსი იგრძნოს.

ამრიგად, განწყობის აღმოცენებისათვის, გარდა მოთხოვნილებისა, შესატყვისი სიტუაციაც აუცილებელია, სიტუაცია, რომლის პირობებშიც განწყობა სრულიად განსაზღვრულ, კონკრეტულ ხასიათს მიიღებდა. მაშასადამე, განწყობის განმსაზღვრელ, ობიექტურ ფაქტორად სწორედ ამგვარი სიტუაცია უნდა ჩავთვალოთ.

ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობა არა მარტო მოთხოვნილების და არა მარტო ობიექტური სიტუაციის არსებობის საფუძველზე წარმოიშობა: იმისათვის, რომ იგი აღმოცენდეს როგორც განწყობა განსაზღვრული აქტივობის მიმართ, აუცილებელია, რომ მისი დაკმაყოფილების პირობების შემცველი სიტუაცია და მისი დაკმაყოფილების მოთხოვნილება ურთიერთს დაემთხვნენ.

აქ საინტერესო იქნებოდა შევხებოდით *ლევინის* მოძღვრებას ე. წ. „გამომწვევი ხასიათის" შესახებ (Aufforderungscharakter), რომელიც, მისი აზრით, შეიძლება ამა თუ იმ წარმოდგენას ჰქონდეს. ავტორი ფიქრობს, რომ საჭირო საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობის შემთხვევაში ისინი მეტად თუ ნაკლებად „გამომწვევ ხასიათს" ღებულობენ. ამით მას იმის თქმა უნდა, რომ, როდესაც ჩვენში რომელიმე გარკვეული მოთხოვნილება აღიძვრის, მასთან მიმართებაში მყოფი ობიექტები და მოვლენები ჩვენს მიმართ ერთგვარ ძალას იძენენ: ისინი გვაიძულებენ ვიმოქმედოთ გარკვეული მიმართულებით, თითქოს მოგვიწოდებენ მოქმედების გარკვეული აქტები შევასრულოთ, მაგალ. პური იზიდავს მშიერს, სტაცოს მას ხელი და შეჭამოს; ლოგინი იზიდავს დაქანცულ ადამიანს მასში მოისვენოს. მაგრამ ეს გამომწვევი და წარმმართველი ძალა მხოლოდ გარკვეულ პირობებში ვლინდება, სახელდობრ მაშინ, როდესაც სუბიექტს შესაფერისი მოთხოვნილება აქვს. საკმარისია ეს უკანასკნელი დაკმაყოფილდეს, რომ საგნებმა და მოვლენებმა თავისი „გამომწვევი" ძალა დაკარგონ.

ლევინის ეს მოძღვრება იმ მხრივაა საინტერესო, რომ იგი სწორი დაკვირვების შედეგს წარმოადგენს, რომლის თანახმადაც საგნები და მოვლენები, როდესაც იგინი რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის კომპონენტებად გამოდიან, ამ მოთხოვნილების სუბიექტის მიმართ თითქოს მართლაც ძალად იქცევიან: იგინი თითქოს იზიდავენ თავისკენ სუბიექტს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

როგორც დავინახეთ, ამას მხოლოდ იმ შემთხვევებში აქვს ადგილი, როდესაც ამა თუ იმ სუბიექტში რაიმე გარკვეული მოთხოვნილებაა მოცემული. მაგრამ მარტო მოთხოვნილების ფაქტი არ კმარა: როდესაც მოთხოვნილების ფაქტთან ერთად მისი დაკმაყოფილების სიტუაციაც მოიპოვება, მაშინ — და მხოლოდ მაშინ — როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სუბიექტში *განწყობა* აღიძვრის, რომელიც მას გარკვეული ქცევის აქტისაკენ მოუხმობს. *ლევინის* „გამომწვევ ხასიათს" მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ მას საფუძვლად აზრთა ეს მიმდინარეობა დაედებოდა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეული მიმართულებით განწყობის აღმოცენებისათვის სუბიექტური და ობიექტური ხასიათის პირობებია აუცილებელი: საჭიროა არსებობდეს როგორც მოთხოვნილება, ისე სიტუაციაც, რომელშიც იგი შესაძლებელია დაკმაყოფილდეს.

ესაა ორი ძირითადი პირობა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია რომელიმე განსაზღვრული განწყობის აღმოცენებისათვის.

რასაკვირველია, სუბიექტურისა და ობიექტური პირობების გარეშეც, საერთოდ, არავითარი აქტივობა არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არა მარტო ამას ვამტკიცებთ: ჩვენ აქ იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ განწყობის აღმოცენების ნამდვილსა და აუცილებელ პირობად თითქოს ორივე ამ ფაქტორის ერთიანობა უნდა ვიგულვოთ. ჩვენს შემთხვევაში ეს ერთიანობა შემდეგში ხორციელდება: მოთხოვნილება, რომელიც სუბიექტში არსებობს, სრულიად გარკვეულ, კონკრეტულ მოთხოვნილებად მხოლოდ მას შემდგომ იქცევა, რაც ობიექტური სიტუაცია რაიმე კონკრეტული ვითარების ფორმით გამოირკვევა, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას ქმნის. ორივე მომენტი — სიტუაციაცა და მოთხოვნილებაც — როგორც ურთიერთთან კავშირსა და დამოკიდებულებაში მყოფი კონკრეტული ფაქტები განისაზღვრება.

V. აქტივობის დამატებითი ძირითადი პირობები

1. ფიქსაციის ფაქტორი. ჩვენ ვნახეთ, რომ საჭიროა განვასხვაოთ ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განწყობის აღმოცენებისათვისაა აუცილებელი. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ გამორიცხული არაა კიდევ არსებობდეს რაიმე სხვა ფაქტორიც, რომელიც მართალია, პირველადი წარმოშობის არაა, მაგრამ, მიუხედავად თავისი მეორე რიგში აღმოცენებისა, მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განწყობის შემდგომ განვითარებაზე. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს შემდეგი: მას შემდეგ, რაც განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელი ფაქტორების საფუძველზე რომელიმე მისი ფორმათაგანი წარმოიქმნება, შეიძლება მოხდეს, რომ განსაკუთრებული პირობების ზეგავლენით, ისინი — ეს ფორმები — იმდენად განმტკიცდნენ, იმდენად გაფიქსირდნენ, რომ ერთ ხანს ახალს, მათთან ახლო მდგომი განწყობის ფორმას აქტუალიზაციის შესაძლებლობა არ მისცენ. ამ შემთხვევაში

ადეკვატური განწყობის მაგიერ ყოველთვის რომელიმე ძველი, მტკიცედ ფიქსირებული განწყობა გაიღვიძებს; იგი არ მისცემს ახალს, მოცემული სიტუაციის მიმართ ადეკვატურ განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობას და, ამრიგად, მის ადგილს თვითონ დაიკავებს.

ამგვარ განწყობას ჩვენ *ფიქსირებულს* ვუწოდებთ, და ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ ეს განწყობის ფიქსაციის ფაქტი უნდა ედოს საფუძვლად ახალ ფაქტორს, რომელიც სუბიექტის აქტივობის შემდგომ მსვლელობაზე უთუოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

განწყობის ფიქსაცია შეიძლება შემდეგ პირობებში მოხდეს: ვთქვათ, რომელიმე განსაზღვრული სიტუაციის პირობებში ჩემში ამ პირობების შესატყვისი განწყობა აღმოცენდა, ჩემი ქცევის აქტზე ზეგავლენა მოახდინა, შეასრულა თავისი როლი და შემდეგ თავისი მოქმედება შეწყვიტა. მაგრამ რა ხდება ფაქტიურად მასში ამის შემდეგ? ქრება იგი სრულიად უკვალოდ, ისე, თითქოს იგი არც ყოფილიყოს ოდესმე, თუ როგორღაც მაინც განაგრძობს არსებობას და, ამრიგად, ინარჩუნებს უნარს ჩვენს ქცევაზე ერთგვარი გავლენა მოახდინოს?

თუ სწორია ზემოთ ექსპერიმენტულად დამტკიცებული დებულება, რომ განწყობა პიროვნების ან სუბიექტის, საერთოდ, მთლიან მოდიფიკაციას წარმოადგენს, მაშინ სრულიად უდავოა, რომ, შეასრულებს თუ არა განწყობა თავის როლს, მაშინვე ადგილი უნდა დაუთმოს მეორეს, უფრო აქტუალურ განწყობას. მაგრამ „ეს" არ ნიშნავს, რომ ამით იგი საბოლოოდ და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვიდეს მწყობრიდან. პირიქით, თუ მოხდა ისე, რომ სუბიექტი იმავე სიტუაციაში და იმავე განზრახვებით მოექცა, როგორც წინათ, მაშინ მისი წინანდელი განწყობა უნდა განახლდეს, და ეს გაცილებით უფრო სწრაფად უნდა მოხდეს, ვიდრე ეს ახალი განწყობის სრულიად ახალი სიტუაციის პირობებში აღმოცენებისათვის იქნებოდა საჭირო.

ეს უფლებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ერთხელ აქტივირებული განწყობა, საერთოდ რომ ვთქვათ, არ ქრება — იგი ინარჩუნებს მზაობას ხელახალი აქტუალიზაციისათვის და მაშინვე იჩენს თავს, რა წამს ამის შესაფერი პირობები აღმოცენდება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მზაობა ყოველთვის თანაბარი არაა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია განწყობის სიმტკიცეზე, რომელიც, როგორც წესი, საგანწყობო ექსპოზიციათა განმეორების რიცხვით განიზომება: რაც უფრო ხშირად მეორდება ეს ექსპოზიციები — თითოეულ ცპ-სთვის მისი ოპტიმუმის ფარგლებში — მით უფრო მტკიცედ ფიქსირდება განწყობა, და აქტუ-

ალიზაციის მით უფრო ძლიერი უნარი გამომუშავდება მასში.

მეორე მხრივ, ჩვენს ცდებში საბოლოოდ გამოირკვა ისიც, რომ არსებობს განწყობის მოქმედების ერთეული შემთხვევები, როდესაც ისინი, ყოველი განმეორების გარეშეც კი, მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ; სახელდობრ, მათ საფუძვლად მდებარე განწყობები ცდების განმეორების გარეშე ფიქსირდებიან და, ამრიგად, აქტუალიზაციის თვალსაჩინო უნარს იძენენ. ყველა ასეთ შემთხვევაში საკმარისია ამოქმედდეს აქტუალურის მსგავსი სიტუაცია, რათა იმწამსვე განწყობის აქტივაცია მოხდეს, და სუბიექტიც შესაფერისად მოიმართოს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ არის ხოლმე შემთხვევა, როცა საგანწყობო ცდების ხშირი განმეორების გამო ან მათი მაღალი პიროვნული წონის გამო, განწყობა იმდენად ადვილად აგზნებადი ხდება, რომ იგი არაადეკვატური გამღიზიანებლების ზემოქმედების პირობებშიც კი აქტუალიზირდება და ამით ადეკვატური განწყობის გამოვლენის შესაძლებლობას სპობს.

რა თქმა უნდა, აუცილებელი არაა, რომ ფიქსირებული განწყობის მოქმედების პირობებში მოცემული სიტუაციის ადეკვატური განწყობა ყოველთვის იჩრდილებოდეს და სხვა ამასთან ახლობელით, მაგრამ მაინც მისგან განსხვავებული ფიქსირებული განწყობით შეიცვლებოდეს. საქმე ისაა, რომ არაფერი გვიშლის ხელს დავუშვათ, რომ შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც იყოს, რომ სუბიექტს საქმე ჰქონდეს სიტუაციასთან, რომელიც სრულიად იდენტურია, ფიქსირებული განწყობის მოცემული ფორმა რომ შემუშავდა, იმასთან. ამგვარ შემთხვევებში, რასაკვირველია, აქტუალიზირებული ფიქსირებული განწყობა სრულიად დაემთხვეოდა მოცემული შემთხვევისათვის განწყობის ადეკვატურ ფორმას.

ამგვარად, ცხოვრების ჩვეულებრივს, არაექსპერიმენტულ პირობებში, არა მარტო ისეთ შემთხვევებს ვხვდებით, სადაც ადგილი აქვს მოცემული სიტუაციისთვის ადეკვატური განწყობის შენაცვლებას მასთან ახლობელი ფიქსირებული განწყობით, არამედ ისეთებსაც, სადაც ფიქსირებული განწყობა ადეკვატურის იდენტური აღმოჩნდება.

მეორე მხრივ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც აქტივიზაცია ხდება არა იმ განწყობებისა, რომელნიც როდისმე, მოცემული ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში, იყვნენ ფიქსირებული, არამედ იმ განწყობათა, რომელნიც ამ ინდივიდის გვარის ისტორიაში იყვნენ ოდესმე ფიქსაციაქმნილი. მე არა ერთხელ მქონია, სხვა ადგილას, შემთხვევა ამგვარი აქტივობის გამოვლენის ფაქტები

ბავშვის ცხოვრებაშიც აღმენიშნა, სადაც ფართოდაა ცნობილი შემთხვევები, რომ ბავშვი ამა თუ იმ მოქმედებას მხოლოდ იმიტომ მიმართავს, რომ მასში, მისდა უნებურად, მძლავრი მისწრაფება იჩენს ხოლმე თავს: ბავშვში ფუნქციობის მოთხოვნილება იღვიძებს, მოთხოვნილება აქტივობისა თავისთავად[1]. ეს მოთხოვნილება, რომელსაც მე, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ფუნქციონალურ ტენდენციას ვუწოდებ, უნდა ვიფიქროთ, ფიქსირებული განწყობის მემკვიდრეობით განმტკიცებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც, შეიძლება ითქვას თაობიდან თაობაზე გადადის.

2. **სენსორული რომელობის საკითხი.** განწყობის აღმოცენებისთვის, როგორც ჩანს, სრულიად საკმარისია გვქონდეს რაიმე მოთხოვნილება, რომელიც გვაიძულებს საერთოდ ჩვენი ძალების აქტივაცია მოვახდინოთ, და — სიტუაცია, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებს გვაძლევს. როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, ეს ძირითადი, აუცილებელი პირობებია განწყობისა და, მაშასადამე, ყოველი ჩვენი ქცევის აღმოცენებისაც.

მაგრამ ეს არ კმარა! უდავოა, რომ შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ კიდევ ერთ პირობას, რომლის გარეშეც სუბიექტი მოკლებული იქნებოდა განწყობის შემუშავების ყოველგვარ შესაძლებლობას. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი: იმისათვის, რომ ცოცხალ ორგანიზმში სიტუაციამ რაიმე რეაქცია გამოიწვიოს, უეჭველია, მას ამ ორგანიზმზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენისა და მასში რაიმე საპასუხო პროცესის გამოწვევის ძალა უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, ეს ორგანიზმი რომ შესაფერისი, სიტუაციის ზემოქმედების გამაშუალებელი ორგანოებით, ე. წ. რეცეპტორებით არ ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ჩვენ რეცეპტორები — ე. წ. გრძნობის ორგანოები — გვაკავშირებენ გარე სამყაროსთან, რომელზეც, მათ გარეშე, არავითარი წარმოდგენა არ გვექნებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ რეცეპტორებია საკმარისი, რათა ადამიანს ეს წარმოდგენა გაუჩნდეს. მართალია, ჩვენი რეცეპტორების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი მოწყობილნი არიან შესატყვისად იმ ფუნქციებისა, რომელთაც ასრულებენ: თვალი მხედველობისათვისაა მოწყობილი, ყური — სმენისათვის. მაგრამ ის, რასაც ვხედავთ, ან რაც გვესმის — ეს უკვე არაა თვალის ან ყურის საქმე. ეს დამოკიდებულია სხვა რამეზე, რაც ამ ორგანოების გარეშე იმყოფება — იმ

---

[1] *დ. უზნაძე.* „ბავშვის ფსიქოლოგია", თბილისი, 1947.

მოთხოვნილებებზე, რომელნიც მოცემულ მომენტში დომინანტურად უნდა ჩაითვალოს სუბიექტისათვის, და სიტუაციაზე, რომელშიც მას მოქმედება უხდება. ჩვენი სმენითი ან მხედველობითი წარმოდგენები, ისევე, როგორც სხვა რეცეპტორული ფუნქციებიც, მთლიანად ამ ფაქტორების ამა თუ იმ შეხამებაზეა დამოკიდებული.

მაგრამ, მეორე მხრივ, უდავოა ისიც, რომ ყოველი ჩვენი რეცეპტორთაგანი მხოლოდ თავის სპეციფიკურს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ენერგიას ავითარებს: თვალებით მხოლოდ მზერა შეიძლება და ყურებით — სმენა. როგორც ცნობილია, ეს ფუნქციები მთლიანად რეცეპტორების სტრუქტურაზე არიან დამოკიდებული: სრულიად არ არსებობს ისეთი პირობა, რომელიც აიძულებდა, მაგ., თვალს — ესმინა და ყურს — ეჭვრიტა: როგორც ცნობილია, მხედველობა და სმენა — შესატყვისი ორგანოების სტრუქტურული ფუნქციებია. იგივე ითქმის სხვა რეცეპტორების მიმართაც. მოკლედ რომ ვთქვათ, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სენსორული ორგანოს ფუნქცია, უშუალოდ, მისი სტრუქტურის საქმეა.

ამიტომ გასაგებია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვახერხებთ რომელიმე ჩვენი რეცეპტორის მოქმედებას მისი წარმმართველი განწყობის გარეშე მივუსწროთ — მაგ., გაღვიძების მომენტში — ერთხანს მოწმენი ვხდებით სპეციფიკური განცდებისა, რომელთათვისაც გაგვიჭირდებოდა რისამე აღქმა გვეწოდებია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაინც ასე თუ ისე გარკვეული, ვთქვათ, სმენითი თუ მხედველობითი განცდებია. მათთვის იმიტომ არ შეიძლებოდა აღქმები გვეწოდებია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განცდებთან, რომლებიც თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან გარე ლოკალიზაციას: ამ შემთხვევაში, ჩვენ, მაგ., გვესმის ბგერა, როგორც *ჩვენი სმენის ორგანოს ერთგვარი მდგომარეობა,* მოკლებული გარეგან ვრცეულ განსაზღვრულობას. ამ განცდას არ შეიძლება სმენითი აღქმა ვუწოდოთ იმიტომ, რომ იგი არაა აღქმა, ე. ი. არა განცდა რისამე, რაც ჩემს გარეთ ხდება, არამედ, თითქოს მხოლოდ თვით ჩემი სმენის ორგანოს მდგომარეობაა. ჩვენ ვამჯობინებთ ამ შემთხვევაში *შეგრძნებაზე* ვილაპარაკოთ ამ სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობით.

ჩვენ ვამტკიცებთ, მაშასადამე, რომ შეიძლება ვნახოთ შემთხვევები, როდესაც ჩვენ მართლაც ერთგვარი „შეგრძნებები" გვაქვს — ობიექტურ ლოკალიზაციას და საგნობრივ განსაზღვრულობას მოკლებული სენსორული განცდები.

მაგრამ ეს ჩვენი ორგანოებისა და საერთოდ ცნობიერების ჩვე-

ულებრივი მოქმედების დროს კი არ ხდება, არამედ ძილისგან გაღვიძების მომენტში, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით არ გადავსულვართ ფხიზლობის მდგომარეობაში, ან ძლიერი დაღლილობის დროს, როდესაც ჩვენი ფსიქიკური მოქმედების ტემპი შენელებული ან სრულიად დამუხრუჭებულია. ნორმალური ფსიქიკური ცხოვრების მდინარებაში ეს განცდები არ მოიპოვება, და ჩვენ აქ მოწმენი ვხდებით უკვე არა შეგრძნების, როგორც ასეთის, არამედ აღქმის აქტივობის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ფსიქიკა არასოდეს არ მუშაობს, თუ ამის საჭიროება და პრაქტიკული აუცილებლობა არ არსებობს.

VI. განწყობის მდგომარეობის სახესხვაობანი

1. ფიქსირებული განწყობა. თუ არსებობს მოთხოვნილება, რომელიც დაკმაყოფილებას მოითხოვს, და სიტუაცია, სადაც ეს შესაძლებელია, ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ, მიზანდასახულ ქცევას მიმართავს. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ეს ქცევა, პირველ რიგში, განწყობაში ისახება და შემდგომ დამკვირვებლისათვის მისანვდომი ქცევის შინაგან და გარეგან აქტებად იშლება. ახლა ჩვენ წინაშე საკითხი დგას, თუ როგორ და რა ფორმებში ხდება განწყობის ჩასახვის ეს პროცესი.

ჩვენს ცდებში, ჩვეულებრივ, საქმე ექსპერიმენტული ობიექტების ექსპოზიციათა რიგით (საგანწყობო ცდებით) იწყება. ამის შემდეგ კრიტიკულ ცდებზე გადავდივართ, რათა დავინახოთ, თუ როგორ იმოქმედა მათზე წინამორბედმა საგანწყობო ცდებმა.

მაშ, რაში მდგომარეობს ამ საგანწყობო ცდების როლი? ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ფიქსაციის ფენომენის შესახებ, რომელიც ცდისპირისათვის საგანწყობო ობიექტების განმეორებითი მიწოდების შედეგს წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცდების მრავალგზისი განმეორების შედეგად ცპ-ს ყოველი ცალკეული ექსპოზიციისას აღმოცენებული განწყობა უფიქსირდება, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში განმეორება გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს. ისაა, რომ შესაძლებლობას გვაძლევს ყოველი ცალკეული ექსპოზიციის შედეგად განმეორებით აღმოცენებული განწყობის ფიქსაცია მოვახდინოთ. ამიტომ ამ განმეორებითს საგანწყობო ცდებს შეიძლება *საფიქსაციოც* ვუწოდოთ.

სხვა საკითხია, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ამ შემთხვევაში განმეორება ფიქსაციის პროცესის ხელის შემწყობი ფაქტორის როლს

ასრულებს. აქ ამ საკითხს ჯერჯერობით არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საგანნყობო ობიექტების ერთხელობრივი ექსპოზიცია, უმრავლეს შემთხვევაში, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ამ ექსპოზიციის შესატყვისი განნყობა ცპ-სთვის იმდენად დომინირებული გახადოს, რომ შემდგომ მიწოდებული ტოლი ობიექტები მის საფუძველზე აღიქმებოდნენ და, მაშასადამე, უტოლონი ჩანდნენ. ამიტომ ექსპოზიციათა რიცხვი იმდენად უნდა გაიზარდოს, რომ უფლება მოგვეცეს საკმარისად მტკიცედ ფიქსირებულ განნყობაზე ვილაპარაკოთ.

2. **დიფუზური განნყობა.** მაგრამ საგანნყობო ცდები არაა უსათუოდ და ყოველთვის საფიქსაციო. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი სრულიად სხვა როლს თამაშობენ. საქმე ისაა, რომ არაა გამორიცხული, რომელიმე ინდივიდუალურად განსაზღვრული განნყობის აღმოსაცენებლად სუბიექტზე სიტუაციის ზეგავლენის ერთადერთი შემთხვევაც საკმარისი აღმოჩნდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ რომელიმე ახალი განნყობის აღმოცენების დასაწყის სტადიებში იგი ერთბაშად როდი ყალიბდება, როგორც ინდივიდუალურად გამოკვეთილი ფაქტი. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პროცესი, რათა იგი გარკვეული სახით, როგორც ასეთი, ჩამოყალიბდეს, რათა იგი განანევრდეს, როგორც მდგომარეობა, რომელიც ქცევის არსებული პირობებისთვის სპეციფიკურად და ადეკვატურად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისი პირველი ჩასახვისას, განნყობა, ჩვეულებრივ, შედარებით ჯერ კიდევ არადიფერენცირებული, არაინდივიდუალიზირებული მდგომარეობაა. და აი, ამისათვის, რომ იგი გადიფერენცირდეს, როგორც განსაზღვრული, ამ პირობებისათვის ადეკვატური განნყობა, შესაფერისი გამღიზიანებლების "განმეორებითი მიწოდება ხდება აუცილებელი. ამგვარ შემთხვევებში საგანნყობო ცდების განმეორებას სრულიად გარკვეული, საფიქსაციოთაგან განსხვავებული, მიზანი ესახება, სახელდობრ, არა ფიქსაცია განნყობისა, არამედ ჯერ მხოლოდ მისი დიფერენციაცია.

ეს განსაკუთრებით აუცილებელი ხდება ახალი, სუბიექტისათვის ჯერ უცნობი განნყობის ჩასახვისას. როდესაც ასეთ შემთხვევებში სუბიექტზე რომელიმე ახალი, პირველად ნახული ობიექტი მოქმედებს, მაშინ მის მიერ გამოწვეული განნყობა, ჩვეულებრივ, დიფუზურს, გაურკვეველ ხასიათს უნდა ატარებდეს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ჯერ კიდევ არ უნდა იყოს საკმარისად დიფერენცირებული, და ამის გამო სუბიექტი ობიექტის ზუსტ დიფერენციაციას ჯერ

კიდევ ვერ უნდა ახდენდეს. მხოლოდ შემდგომ, ამავე ობიექტის განმეორებითი ზემოქმედების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მის მიერ გამოწვეული განწყობა თანდათან უნდა დიფერენცირდებოდეს და მოცემული ობიექტისათვის სპეციფიკური განწყობის სახით ყალიბდებოდეს.

მაშასადამე, საგანწყობო ცდები არა მარტო საფიქსაციოა, არამედ სადიფერენციაციოცაა.

რა თქმა უნდა, პრაქტიკულად, ყოველთვის არაა ადვილი საგანწყობო ცდების ამ სახეობათა ურთიერთდიფერენციაცია. მიუხედავად ამისა, მათი განსხვავება მაინც აუცილებელია, იმიტომ, რომ შესაძლებელია ზოგჯერ ისეთ შემთხვევებთან გვქონდეს საქმე, რომ საკითხი გარკვეულად განწყობის დიფერენციაციას ეხებოდეს და არა ფიქსაციას, და მაშინ, ცხადია, ეს განსხვავება პირველ რიგში უნდა იდგეს თვალწინ.

დაბოლოს, ჩვენი ცდების შედეგები გვიჩვენებენ, რომ საგანწყობო ცდების განმეორება ყოველთვის როდია აუცილებელი არა თუ განწყობის დიფერენციაციისათვის, არამედ არც მისი ფიქსაციისათვის. განწყობის კვლევის მრავალრიცხოვანი ცდების პრაქტიკაში ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა მთელი რიგი დაგვედასტურებია მოვლენათა, რომელნიც ამ დაკვირვების სისწორეს ამტკიცებენ. ასე, მაგ., არის შემთხვევები, როდესაც საკმარისია სუბიექტმა მხოლოდ ერთხელ დაიჭიროს ხელში უტოლო ბურთების ჩვეულებრივი წყვილი, რათა მას მათი ურთიერთმიმართების შესატყვისი განწყობა გამოუმუშავდეს და თანაც საკმაოდ დიდი ხნითაც.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განწყობის ფიქსაციისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად არაა აუცილებელი ცპ-ს განმეორებით მივაწოდოთ ხოლმე საგანწყობო ობიექტები.

მაგრამ, თუ ეს ასეა, და განწყობის ფიქსაციისათვის ზოგჯერ მხოლოდ ერთადერთი ექსპოზიციაც საკმარისია, მაშინ შეიძლება დადგეს საკითხი საერთოდ საგანწყობო ობიექტების განმეორებითი მიწოდების როლის შესახებ. თუ არის შემთხვევები, რომ განწყობის მტკიცე ფიქსაციისათვის კი საკმარისია ერთხელობრივი ექსპოზიცია, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ ცდების განმეორების პრინციპული აუცილებლობა საერთოდ არც კი უნდა არსებობდეს. თუ ჩვენ ვცნობთ, რომ ყოველი ცალკეული ექსპოზიცია გარკვეული ძალის კვალს ტოვებს, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამ კვალის იმ დონემდე გაღრმავებისათვის, რომ იგი შესამჩნევი გახდეს, სწორედ განმეორებათა გარკვეული რიცხვი იქნებოდა საჭირო.

მაგრამ ამის მტკიცება ძნელია! საქმე ისაა, რომ შთაბეჭდილების ძალა, რომელსაც ყოველი ცალკეული ექსპოზიცია ტოვებს, ინდივიდის მდგომარეობასთან დაკავშირებით იცვლება: ხომ არის შემთხვევები, რომ ერთადერთი ექსპოზიციაც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს განწყობის ფიქსაცია, რომელიც სხვა შემთხვევაში ექსპოზიციათა დიდი რიცხვის შედეგადაც კი შეუძლებელია. მეორე მხრივ, ჩვენმა ცდებმა გვიჩვენეს, და ეს არა ერთხელ, რომ შეიძლება ცპ-ში განწყობის არავითარი ფიქსაცია არ მოხდეს, რა გინდ დიდიც არ უნდა გავხადოთ ექსპოზიციათა რიცხვი. მაგრამ, ჩანს, ეს მისი შემთხვევითი მდგომარეობა უნდა იყოს, იმიტომ, რომ სხვა დროს იმავე პირს განწყობა შედარებით მცირერიცხოვან საგანწყობო ცდების შედეგად უფიქსირდება.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ არ არსებობს საგანწყობო ცდების განმეორებათა ერთი, ზუსტად განსაზღვრული საზომი, აუცილებელი იმისათვის, რომ სუბიექტში განწყობის ფიქსაცია მოხდეს. მაშასადამე, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ განწყობის ფიქსაციის ფაქტი ცალკეულ შთაბეჭდილებათა ზემოქმედების შედეგად დარჩენილ კვალთა სუმაციის თეორიაზე დაყრდნობით უნდა აიხსნას. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანს, შეიძლება ითქვას, გარდამწყვეტ როლს თვითონ ცპ-ის, როგორც მთლიანი ცოცხალი არსების, მდგომარეობა ასრულებს.

VII. განწყობის აგზნებადობა

1. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა. შეცდომა იქნებოდა დაგვესკვნა, რომ განმეორება, როგორც ასეთი, საზოგადოდ არავითარ როლს არ თამაშობს ამ შემთხვევებში. უთუოდ არის ერთგვარი, თუმცა არა ზუსტად დადგენილი, მაგრამ მაინც მტკიცე საზომი განმეორებათა, რაც აუცილებელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განწყობის ფიქსაციისათვის. თუ ყოველი ცალკეული ცპ-ის მონაცემებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, საკმაოდ მდიდარ მასალას მივიღებთ, რომელიც აქ არსებულ ტიპიურ განსხვავებათა დადგენის შესაძლებლობას მოგვცემს.

ცდები ამისათვის სრულიად მარტივია: საგანწყობო ობიექტების (ვთქვათ, — ბურთების), მოცულობის მხრივ, შედარების თითოეული შემთხვევის შემდეგ, ცპ-ი ჩვენებას იძლევა კრიტიკულ ობიექტთა მოცულობის ურთიერთმართების შესახებ. საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვი თანდათანობით იზრდება მანამდე, სანამ ცპ-ს ამ ობიექტების უტოლობის ილუზია არ გაუჩნდება.

ამრიგად, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა დავადგინოთ, საგანწყობო ცდების რა რაოდენობაა საჭირო იმისათვის, რომ ილუზია პირველად გაგვიჩნდეს. ილუზიის აღმოცენებისათვის აუცილებელი საგანწყობო ცდების რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ხარისხი დავადგინოთ. ცდები გვიჩვენებს, რომ ცპ-ები ამ მხრივ მნიშვნელოვნად განირჩევიან ურთიერთისაგან. არის შემთხვევები, რომ კრიტიკული ობიექტების ილუზორულად აღსაქმელად ერთი საგანწყობო ექსპოზიციაც კი საკმარისია; მაგრამ ისეც ხდება, რომ ამისთვის საგანწყობო ექსპოზიციათა შედარებით მაღალი რიცხვიც არ კმარა.

მოკლედ, ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა წარმოადგენს თვისებას, რომელიც, ინდივიდუალურად, საკმაოდ ვრცელ ფარგლებში ცვალებადობს.

მაგრამ ილუზიის აღმოცენებისთვის აუცილებელი საგანწყობო ცდების მინიმუმის მითითება კიდევ არ ნიშნავს განწყობის აგზნებადობის მთლიან დახასიათებას. საქმე ისაა, რომ ამ ცდების გაგრძელება გვიჩვენებს, რომ განწყობის ოპტიმალური ფიქსაციისათვის აუცილებელი მაქსიმუმი ექსპოზიციათა სრულიად არ ემთხვევა ამ უკანასკნელთა საზურბლო რიცხვებს, ე. ი. არის შემთხვევა, რომ განწყობა, რომლის პირველდასაწყისი აგზნებისათვის ექსპოზიციათა უმნიშვნელო რაოდენობაც საკმარისია, თავისი ოპტიმალური ფიქსაციისათვის საგანწყობო ცდების დიდ რაოდენობას მოითხოვს — ბევრად უფრო დიდს, ვიდრე მინიმალურად ფიქსირებული განწყობისათვისაა საჭირო.

ერთი სიტყვით, ცდების შედეგად ირკვევა, რომ განწყობის აგზნებადობის ქვედა ზღურბლი სრულიად არ ემთხვევა მისი აგზნებადობის ოპტიმალურ ზღურბლს. ამ დაკვირვების შედეგად უდავო ხდება, რომ ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ყოველი ზღურბლი დამოუკიდებელ სიდიდეს წარმოადგენს, და მისი დადგენა ჩვენი ცპ-ების სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათების შესაძლებლობას გვაძლევს.

2. დიფუზური განწყობის აგზნებადობის საკითხი. ცპ-ბში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ხარისხის დადგენა — ეს ყველაფერი როდია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიქსაციის თვალსაზრისს გარდა, განწყობის მიმართ სხვა თვალსაზრისიც შეიძლება არსებობდეს, და ამ თვალსაზრისის უყურადღებოდ დატოვება შეუწყნარებელი იქნებოდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განწყობის *დიფერენციაციის* თვალსაზრისი. მართალია, მისი გამოყენების ასპარეზი შედარებით ვიწროა: იგი მხოლოდ არა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ

განწყობათა შემთხვევებს შეიცავს. მაგრამ იქ, სადაც ასეთებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, უეჭველად დიდად საინტერესო იქნებოდა შეგვესწავლა მათი თანდათანობითი ცვალბადობის პროცესი — სულ უფრო და უფრო გარკვეული დიფერენციაციისკენ მიმავალი განვითარების პროცესი. ეჭვს გარეშეა, როგორც ამას ჩვენი მრავალრიცხოვანი ცდებიც მიუთითებენ, მიღებული შედეგები ჩვენი ცპ-ბის დიფერენციაციის საკითხში მნიშვნელოვნად დაგვეხმარებოდა.

VIII. ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული ჩაქრობის პროცესი

ახლა ჩვენ წინაშე დგება საკითხი, როგორ მიმდინარეობს განწყობის ჩაქრობის პროცესი, ხოლო არა დროის ფაქტორის ზეგავლენის, არამედ, პირველ რიგში, ამისათვის სპეციალურად მიღებული ზომების შედეგად. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ დროის ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ დარჩენილი ფიქსირებული განწყობა სუსტდება. ბოლოს სრულიად ქრება და მოცემული პირობებისათვის ადეკვატურ განწყობას უთმობს ადგილს. ჩვენი საკითხი კი ამას როდი ეხება: ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ, რა მოხდება, თუ მივიღეთ სპეციალური ზომები იმისათვის, რომ ექსპერიმენტულ პირობებში შექმნილი განწყობა ჩაქრეს?

1. ექსპერიმენტული მეთოდიკა. მეთოდიკა, რომელიც ამ მიზნისათვის გამოიყენება, მარტივია. იგი მდგომარეობს კრიტიკულ ექსპოზიციათა განმეორებაში იმ მომენტამდე, ვიდრე არ მივიღებთ სწორ პასუხთა საკმაო რიცხვს კრიტიკულ ობიექტთა შორის არსებული ურთიერთმიმართების შესახებ.

რა თქმა უნდა, ამ ობიექტების ტოლობის დადასტურების ერთი შემთხვევა არაა საკმარისი იმისათვის, რომ ცდები დასრულებულად ჩაითვალოს. ცდები შეიძლება დამთავრებულად მხოლოდ ამ ტოლობის ხუთჯერ ზედიზედ დადასტურების შემდეგ ჩავთვალოთ, როგორც ეს თავის დროზე იყო ამ საკითხის სპეციალურ გამოკვლევაში ნაჩვენები[1]. ცპ-ი ხშირად საკმაოდ გრძელსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, რთულ გზას გაივლის, სანამ კრიტიკული ობიექტების ტოლობის აღიარებას მიაღწევდეს. სპეციალური შრომა, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა, საკმაო მასალას გვაძლევს იმისათვის, რომ ნათელი სურათი მივიღოთ საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ[2]. გამოირკვა,

---

[1] *ნ. ელიავა.* განყენებულ მიმართებაზე შექმნილი განწყობის აღკვეთის პროცესი. თბ., სახ. უნივ. შრომები. XVII. 1941.

[2] *ბ. ბაჟაპურიძე,* განწყობის შეკვლის ფაზური ხასიათი. მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის. I, 1938.

რომ აქაც ისე, როგორც ფიქსირებული განწყობის ბუნებრივი ჩაქრობის შემთხვევებშიც, მისი ლიკვიდაციის პროცესი მთელ რიგ გარკვეულ საფეხურებს გაივლის, სანამ სრული რეალიზაციის მდგომარეობას მიაღწევდეს.

მაშ, როგორ მიმდინარეობს ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის პროცესი ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტულ პირობებში?

პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს რაოდენობითს მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობასთან, — სახელდობრ, მიმართებაზე — „უფრო დიდი" ან „უფრო პატარა". ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არ შევცდეთ — არ ვიფიქროთ, რომ ამ ცდების შედეგებს საერთო მნიშვნელობა აქვთ და ისინი განწყობის მოქმედების ყველა შემთხვევაზე ვრცელდებიან. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ კრიტიკული ობიექტების მიწოდების განმეორებათა პროცესში, ცპ-ი აღიქვამს მათ, როგორც უტოლოებს, სახელდობრ, — ობიექტი, ვთქვათ, მარჯვნივ უფრო დიდი ეჩვენება, ვიდრე ობიექტი მარცხნივ. საინტერესოა, რომ, როგორც უკვე ზემოთაც მივუთითეთ, საგანწყობო ცდებში მარჯვნივ მას ყოველთვის უფრო მცირე სიდიდის ობიექტი ეძლეოდა, ვიდრე მარცხნივ. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ცპ-ი მსხვერპლი ხდება ილუზიისა, რომელიც, როგორც *კონტრასტული* უნდა შეფასდეს.

ა) **კონტრასტული ილუზიების ფაზა.** თუ ამ ობიექტის ექსპოზიციები განვაგრძეთ, ცპ-ი ერთხანს ამავე კონტრასტული ილუზიის ზეგავლენის ქვეშ დარჩება. არის ისეთი შემთხვევებიც კი, რომ ამ ილუზიათა რიცხვი უწყვეტს, დაუბოლოებელ მწკრივს იძლევა. ჩვენი ხანგრძლივი გამოცდილების მიხედვით, როცა კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი სამს ან მეტს აღწევს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში განწყობის მოქმედების *პირველი ეტაპი* ან *პირველი ფაზა* გვაქვს.

მიღებული შემთხვევების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ ეტაპთან ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც კონტრასტულ ილუზიათა მწკრივი თავიდანვე დასტურდება. ეს აუცილებელია სპეციალურად აღინიშნოს, იმიტომ, რომ ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როცა პირველი ორი-სამი ექსპოზიცია სრულიად არ გვაძლევს ილუზიას, ხოლო კონტრასტულ ილუზიათა მწკრივი, და ამასთან საკმაოდ გრძელიც, მხოლოდ მესამე მეოთხე ექსპოზიციიდან იწყება. რამდენადაც ილუზია აქ საკმაო ხანს მეორდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში განწყობის მტკიცე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ესაა ფიქსირებული განწყობის მოქმედების დასაწყისი ფაზა — ყველაზე უფრო მყარი და მტკიცე ფაზა.

ბ) ასიმილაციური ილუზიების გამოვლენის ფაზა. უშუალოდ ამის შემდეგ განწყობის მოქმედების შემდგომი, მეორე ფაზა იწყება — ფაზა, რომელიც ჩაქრობის მკაფიო ნიშნებით ხასიათდება. კრიტიკულ ობიექტთა მრავალგზისი განმეორების შედეგად თავს იჩენს ფიქსირებული განწყობის შერყევის დასაწყისი სტადია: განწყობა ერთგვარად სუსტდება, და ცპ-ი, კონტრასტულ ილუზიათა გვერდით, ასიმიაციური ილუზიების მოცემასაც იწყებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ აქ განწყობის რეგრესული განვითარების მეორე ფაზასთან გვაქვს საქმე — ფაზასთან, რომელიც არსებითად პირველად ამჟღავნებს ჯერ კიდევ მოქმედი ფიქსირებული განწყობის ძვრის მომხდარ ფაქტსა და ამის მომდევნო შესუსტებას.

უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის რეგრესული განვითარების ეს ფაზა მისი ჩაქრობის ყველა შემთხვევაში როდი იჩენს თავს. უფრო ხშირად იგი განწყობის დაავადებისას გვაქვს, მაგრამ, ზოგჯერ სრულიად ჯანმრთელ ინდივიდებშიც გვხვდება.

უფრო ხშირია შემთხვევა, რომ რეგრესული პროცესი, თავის თანდათანობითს განვითარებასთან ერთად, ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდასაც იძლევა. საქმე იქამდე მიდის, რომ თანდათანობით ასიმილაციური ილუზია ბატონობას იწყებს კონტრასტულ ილუზიაზე, რომელიც თავის მხრივ სუსტდება, ბოლოს ქრება და თავის ადგილს მთლიანად წმინდა ასიმილაციურ ილუზიებს უთმობს. იდეალურ შემთხვევაში ყოველივე ეს რამდენიმე ცალკეულ ფაზად იშლება, და ამის შედეგად განვითარების რამდენსამე დამოუკიდებელ საფეხურს ვღებულობთ.

გ) ტოლობის ჩვენების ფაზა. განვითარების ამ საფეხურზე ფიქსირებული განწყობა ჯერ კიდევ აქტიურ მდგომარეობაში იმყოფება — იგი ჯერ კიდევ იჩენს თავს და ამით ობიექტური სინამდვილის ადეკვატური ასახვის შესაძლებლობას გამორიცხავს: ცპ-ი განაგრძობს ფიქსირებული განწყობის ქვეშ ყოფნას. მაგრამ აი, ჩვენ მონმენი ვხდებით ახალი ფაზის დაწყებისა ფიქსირებული განწყობის რეგრესული განვითარების პროცესში: ცპ-ი დროდადრო ამჩნევს, რომ მას ნამდვილად არა უტოლო, არამედ ტოლ კრიტიკულ ობიექტებთან აქვს საქმე. ამას სულ უფრო და უფრო ხშირად ხედავს, დაბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, სრულიად გადადის მათი ურთიერთტოლობის აღიარებაზე. ესაა ფიქსირებული განწყობის რეგრესული განვითარების ახალი ფაზა, ფაზა, რომელიც არსებითად მთელ ამ პროცესს ამთავრებს.

რა თქმა უნდა, თეორიულად, განწყობის განვითარების რეგრე-

სული მსვლელობის სტადიათა გაცილებით მეტი რიცხვის დაშვება შეგვეძლო. მაგრამ ფაქტიურად, ჩვეულებრივ, ჩვენ მხოლოდ ამ სამი ფაზის გამოვლენის მონმენი ვართ.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია შეიძლება მიღნეულ იქნას მხოლოდ ყველა ამ სამი ფაზის განვლის შედეგად. არის არა ერთი შემთხვევა, რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია მხოლოდ ერთი ან ორი ფაზის განვლითაც სრულდება.

განწყობის ჩაქრობაში, ეტაპების მიმდინარეობის სისრულისა და წესის მიხედვით, ჩვენ შემდეგ შემთხვევებს განვასხვავებთ.

2. სტატიკური განწყობა: ტლანქი და პლასტიკური. როგორც გამოირკვა, ცპ-თა შორის მოიპოვება გარკვეული რიცხვი, რომელიც, საგანწყობო ცდების მოცემული რაოდენობის პირობებში, ფიქსირებული განწყობის მოქმედების პირველი ეტაპის საზღვრებს ვერ სცილდება: რაგინდ ხშირადაც უნდა მივაწოდოთ მათ კრიტიკული ობიექტების ექსპოზიცია, ისინი მაინც ვერ ამჩნევენ მათ ტოლობას. უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ინდივიდებთან, რომელთაც განწყობის განსაკუთრებით *უძრავი, ინერტული* ანუ *სტატიკური* ფორმების სიჭარბე ახასიათებთ.

მართალია, განწყობის კვლევის მრავალი წლის პრაქტიკის განმავლობაში ჩვენ უცვლელად ერთსა და იმავე დასკვნამდე მივდიოდით, რომლის მიხედვითაც ნორმალურ ცპ-თა შორის ეს ტიპი მცირერიცხოვნად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩაითვალოს, რომელიც, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ქარაქტეროლოგიურად ადამიანთა სრულიად თავისებურ ჯგუფს აერთიანებს.

თეორიულად ამ ჯგუფს შეიძლება ცპ-თა ორი თავისებური კატეგორია მივაკუთვნოთ: 1) ადამიანები, რომლებიც დაუსრულებლივ რჩებიან კონტრასტულ ილუზიათა მსხვერპლნი, ე. ი. ინერტული, ანუ სტატიკური განწყობის ადამიანებს წარმოადგენენ, და 2) ადამიანები, რომელთაც დროდადრო, კონტრასტულ ილუზიათა გვერდით, ასიმილაციურიც უჩნდებათ და, მაშასადამე, ფიქსირებული განწყობა, მართალია, სრულად არ აღეკვეთებათ, მაგრამ მაინც შედარებით მალე უსუსტდებათ.

მაგრამ ამ ჯგუფის გვერდით ჩვენ ვხედავთ მეორესაც, რომელიც, რამდენადაც ცდების დაწყებისთანავე ილუზიის ჩაქრობის მესამე ეტაპზე იმყოფება, საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება პირველისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პირებთან, რომლე-

ბიც გამღიზიანებელთა შეფასების დროს ილუზიების გვერდით სრულიად სწორ პასუხებსაც გვაძლევენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშე ცდისპირები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ ისეთივე სიმტკიცის განწყობა განავითარონ, როგორც ზემოხსენებული ჯგუფის პირებს აქვთ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი განწყობა იმდენად სტატიკურია, რომ არ აძლევს მათ შესაძლებლობას, საბოლოოდ მოქმედი გამღიზიანებლების სწორ შეფასებას მიაღწიონ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს *მყარ ანუ მტკიცე სტატიკურ* განწყობასთან, აქ, მეორე ჯგუფის შემთხვევაში ამას ადგილი აღარ აქვს, და ჩვენს წინაშე, მართალია, *სტატიკურის*, მაგრამ გაცილებით ნაკლები სიმტკიცის მქონე განწყობის პირები დგანან.

პირველი ჯგუფის პირთა განსაკუთრებით დამახასიათებელ თვისებად განწყობის *სიტლანქე* უნდა ჩაითვალოს. ეს შეიძლება იმ დაკვირვების საფუძველზე დავასკვნათ, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ობიექტური აგენტების ზემოქმედება სრულიად უძლურია ოდნავაც კი შეცვალოს საგანწყობო ცდების პროცესში ფიქსირებული განწყობის ხასიათი.

სამაგიეროდ, ცპ-თა შორის მეორე ჯგუფიც მოიპოვება, რომელსაც, მართალია, არასოდეს არ შესწევს ძალა კრიტიკულ ცდებში მიწოდებულ ობიექტთა ტოლობა საბოლოოდ დაადასტუროს, მაგრამ განვითარების ერთგვარი პროცესის გავლის უნარი მაინც აქვს: ეს პირები თავიდან განწყობის ჩაქრობის პროცესის მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელ მონაცემებს იძლევიან, შემდეგ — მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელს, და საქმე უკვე ამით ამოინურება — ისინი აღარ ვითარდებიან და უძლური ჩანან კრიტიკული ობიექტების ტოლობის დადასტურებას მიაღწიონ. უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში, მართალია, განწყობის ისეთ სიტლანქესთან არა გვაქვს საქმე, როგორიც პირველი ორი ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ აქ ნორმალური პლასტიკურ-დინამიკური განწყობის შემთხვევა გვქონდეს.

3. დინამიკური განწყობა: პლასტიკური და ტლანქი. ცპ-თა შემდგომს, მესამე ჯგუფს ახასიათებს კრიტიკული ცდების მიმდინარეობის შემდეგი სახე: თავიდან განწყობის ჩვეულებრივ კონტრასტულ ილუზიებს ვხედავთ, ამას მოსდევს კრიტიკულ ობიექტთა ტოლობის კონსტატაციის ცალკეული შემთხვევები, და დასასრულ, ცპ-ი საბოლოოდ მათი ტოლობის აღიარებაზე ჩერდება. ეს იმას ნიშნავს, რომ

განწყობა, რომელიც ფიქსირებული იყო ამ მიზნისათვის განკუთვნილ სპეციალურ ცდათა პროცესში, თანდათანობით სუსტდება და შემდგომ ნელნელა, საბოლოოდ, მოცემულ სიტუაციისათვის ადეკვატურ განწყობას უთმობს ადგილს. საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი, რომ ამ შემთხვევაში ადეკვატური სიტუაცია არა ერთბაშად შედის ძალაში, არამედ ის ამას თავისი თანდათანობითი ჩაქრობის საფეხურთა განვლის შედეგად ახერხებს.

მაშასადამე, აქ უკვე აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ განწყობის სიტლანქის ან მისი სტატიკურობის შესახებ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს განწყობის თვისებასთან, რომელსაც როგორც მის პლასტიკურობას ვახასიათებთ — რამდენადაც ტოლობის საბოლოო დადასტურებამდე მისვლა უშუალოდ როდი ხდება, არამედ წინამორბედი საფეხურების გავლის შედეგად, — და როგორც *დინამიკურობას*, რამდენადაც სუბიექტი რომელიმე წინამორბედ ეტაპზე კი არ ჩერდება, არამედ მიწოდებული კრიტიკული ობიექტების ტოლობის საბოლოო დადასტურებას აღწევს.

საგანწყობო ცდებში გამომუშავებული მდგომარეობის ლიკვიდაციას და მოცემული პირობებისათვის ადეკვატური განწყობის შექმნას ჩვენი ცპ-ბის შემდეგი ორი ჯგუფიც აღწევს. ესენი გადადიან კრიტიკული ობიექტების ადეკვატურ შეფასებაზე ან პირდაპირ, პირველივე ეტაპიდან, ან იწყებენ ამას მესამე ეტაპიდან და აქედან პირდაპირ ამ ობიექტების ტოლობის დადასტურებას იძლევიან. ორივე ამ ჯგუფის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ისინი კრიტიკული ობიექტების ტოლობის აღიარებას აღწევენ, მაშასადამე, განწყობის ცდების გავლენისაგან თავისუფლდებიან; მაგრამ ამას ისინი ახერხებენ არა თანდათანობით — ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლის გზით, არამედ ერთბაშად — ნახტომით — იმ ეტაპიდან, სადაც თავიდანვე დგანან, პირდაპირ, კრიტიკული ობიექტების ტოლობის დადასტურების გზით.

ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე ამ ჯგუფის განწყობა *დინამიკურია*, რამდენადაც მაინც ადეკვატური განწყობის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო, რამდენადაც პლასტიკურობას მოკლებულია, ჩვენ შეგვეძლო იგი, როგორც ტლანქი განწყობა დაგვეხასიათებინა.

4. ფიქსაციის უნარს მოკლებულობა. დასასრულ, ჩვენ მოწმენი ვხდებით ცპ-თა სრულიად თავისებური ჯგუფის არსებობისა, რომლისთვისაც დამახასიათებელი ისაა, რომ იგი, ყველა სხვა ჯგუფისგან განსხვავებით, სრულიად არ ემორჩილება საგანწყობო ცდების გავლენას, სრულიად არ ახდენს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღმო-

ცენებული განწყობის ფიქსაციას და, ამიტომ ყოველთვის ექსპერიმენტული ობიექტების სწორ შეფასებას იძლევა.

ჩვენ ვხედავთ, რომ საგანწყობო ცდების ჩვეულებრივი რაოდენობა არაა ამ პირებისათვის საკმარისი, რათა მათში სათანადო განწყობის ფიქსაცია მოხდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ პირებთან, რომლებიც მოკლებული არიან შინაგან წარმმართველ ძალას, თითქოს გარედან მომდინარე შთაბეჭდილებათა სრულ განკარგულებაში იმყოფებოდნენ და, ამრიგად, უკიდურესი *ექსტრავერტულობით* ხასიათდებიან.

IX. ფიქსირებული განწყობის ჩაძრობა ხანგრძლივი ექსპოზიციების შედეგად

1. **კრიტიკული ობიექტების ხანიერი ექსპოზიციის ცდები.** ჩვენ დავინახეთ, რომ განწყობის ჩაქრობის პროცესი ჩვენი ცდების პირობებში გარკვეული წესით მიმდინარეობს: აღმოჩნდა რიგი ეტაპები, რომელიც ფიქსირებულმა განწყობამ უნდა გაიაროს, ვიდრე მისი სრული ლიკვიდაცია მოხდებოდეს. მაგრამ შესაძლოა, რომ განწყობის ლიკვიდაციის ამ წესს მხოლოდ ჩვენი ცდების პირობებში ჰქონდეს ადგილი, რომ მისი ამ ეტაპებით მიმდინარეობა სრულიად არ იყოს სავალდებულო, რომ, მოკლედ, განწყობის ლიკვიდაციის ხასიათი იმ პირობების მიხედვით იცვლებოდეს, რომლებშიც ის მიმდინარეობს.

ამის შესამოწმებლად ჩვენ სათანადოდ შევცვალეთ ჩვენი ჩვეულებრივი ცდები. საგანწყობო ცდების წესი იგივე დარჩა, რაც ჩვეულებრივ; ცვლილება მხოლოდ კრიტიკულ ექსპოზიციებს შეეხო: კრიტიკული ობიექტების ხანმოკლე ექსპოზიციის მაგიერ, ჩვენ ხანგრძლივად ვტოვებდით მათ ცპ-ბის თვალწინ (ან ხელთ) — მანამ, სანამ ისინი მათი ტოლობის საბოლოო დადასტურებას ვერ მოახერხებდნენ. ექსპოზიციათა ხანგრძლივობის საკითხი სპეციალურ ცდებში შეისწავლებოდა, სადაც გაირკვა, რომ ოპტიმალურად უნდა ჩაითვალოს ექსპოზიციათა ხანგრძლივობა ერთ წუთამდე (ამ პერიოდში განწყობა უქრებათ ჩვენი ცპ-ბის 55%, ე. ი. 22 კაცს 40-დან). უფრო ხანგრძლივი ვადა საჭირო ხდება ცპ-თა შედარებით მცირე რიცხვისათვის 1'–2' 7,5%-სათვის; 2'–3'–12,5%; 4'–5'–10%; საბოლოოდ, ჩვენს ცდებში, ექსპოზიცია, ჩვეულებრივ ერთი წუთი გრძელდებოდა. რა მივიღეთ ამ ცდების შედეგად?[1].

---

[1]. *ქ. ბდიანი.* განწყობის ლიკვიდაციის პროცესი ხანგრძლივი ექსპოზიციის პირობებში. თბ. სახ. უნივ. შრომები, XVII.

1) საგანწყობო ექსპოზიციის მიღების შემდეგ, ცპ-ი ღებულობს კრიტიკულ ობიექტს, რომლებიც მის ხელთა რჩება ერთი წუთის განმავლობაში და გვაძლევს ჩვენებას მათი ურთიერთმიმართების შესახებ. ცდისპირთა ჩვენებები დაახლოებით ასეთია: თავიდან ჯერ კონტრასტული ილუზია ვლინდება, რომელიც ძალაში რჩება საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. შემდეგ ცპ-ს ობიექტები ტოლებად ეჩვენება, მაგრამ ეს ჩქარა გაივლის და, ცპ-ს ჰგონია, რომ „ეხლა ბურთი მარცხნივ უფრო დიდი გახდა" (ასიმილაციური ილუზია — 10'. შემდეგ ისევ ტოლობის შემთხვევა, რომელიც კვლავ ერთბაშად გაივლის: „ეხლა მარჯვნივ უფრო დიდი ხდება", — და ეს კონტრასტული ილუზია გრძელდება 15', რის შემდეგაც ცპ-ი კრიტიკული ბურთების ტოლობას უკვე საბოლოოდ ადასტურებს.

ამრიგად, ცპ-ი სამ გარკვეულ ეტაპს გაივლის, სანამ მასზე მოქმედი ობიექტების ტოლობას საბოლოოდ დაადასტურებდეს: ჯერ ხანგრძლივი კონტრასტული ილუზია გამოვლინდება, ამას მოსდევს ტოლობის ხანმოკლე შთაბეჭდილება და ასიმილაციურ ილუზიათა რიგი და, დასასრულ, — რიგი ტოლობისა და კონტრასტული ილუზიების შემთხვევებისა, რის შემდეგაც ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია უკვე საბოლოოდ ხდება.

2) ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის სხვა ტიპებიც გვხვდება. მეორე ტიპი წარმოგვიდგება შემთხვევათა ასეთი სახით: თავიდან მოქმედებს შედარებით ხანგრძლივი კონტრასტული ილუზია; შემდეგ ტოლობის შემთხვევები ჩაერევა, მაგრამ კონტრასტული ილუზია მაინც ჯერ კიდევ რეაქციათა დომინირებულ ფორმად რჩება, და, დასასრულ, ტოლობის შემთხვევები იწყებენ ბატონობას და თანდათანობით რეაქციათა საბოლოო ფორმად იქცევიან. ამ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვაქვს რეაქციის ისეთ ტიპთან, რომელიც წინამორბედი ფორმისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ იქ სრულიად არაა მეორე ეტაპი — ასიმილაციური ილუზიების ეტაპი — მოცემული, და მთელი პროცესი ორი ეტაპით ამოიწურება — კონტრასტულ ილუზიათა ეტაპითა და ეტაპით, სადაც ასეთსავე ილუზიებს გარდა, ტოლობის დადასტურების შემთხვევებიც გვხვდება.

3) ცპ-ი №15 რეაქციის ასეთ ტიპს იძლევა: მიწოდებული წრეები მას უტოლოდ ეჩვენება (45'): ჯერ წრე მარცხნივ ეჩვენება გაცილებით უფრო დიდად, შემდეგ იგი მცირდება და სიდიდით მარჯვენა წრეს უახლოვდება. დასასრულ, ეს პროცესი ჩერდება და ცპ-ი აღნიშნავს — „წრეები ტოლები გახდნენ"-ო.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ კონტრასტული ილუზიის თანდათანი შერბილების პროცესთან ამ ილუზიის სრულ ლიკვიდაციამდე.

4) დასასრულ, ამგვარი შემთხვევებიც იყო: 15 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ მაშინვე ჩნდება ილუზია და იგი უცვლელი ექსპოზიციის მთელი დროის განმავლობაში უცვლელი რჩება. ერთ-ერთი ცპ-ის ჩვენება ასეთია: „მარჯვნივ დიდია... მარჯვნივ... მარჯვნივ... მაინც მარჯვნივ, მაგრამ ისე არა, როგორც წინათ... ისევ ისე... ეხლა კვლავ მარჯვნივ დიდია, ოდნავ დიდი!.. მაინც მარჯვნივ უფრო დიდია..." ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის საბოლოო ჩაქრობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

თუ ახლა ამ ცდისპირების მონაცემებს ექსპერიმენტული ობიექტების ხანმოკლე ექსპოზიციების შემთხვევებში შევამონმებთ, დავინახავთ, რომ სურათი აქაც არსებითად იგივეა. ხანგრძლივი ექსპოზიციის ცდებში ცპ-ები ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის ეტაპთა მონაცვლეობის ისეთსავე თანმიმდევრობას იძლევიან, როგორსაც კრიტიკულ ობიექტთა ხანმოკლე განმეორებითი ექსპოზიციების ცდებშიც.

2. „გარდასვლის განცდები" ამ ცდებში. ერთადერთი, რასაც აქ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, შემდეგია: ხანგრძლივი ექსპოზიციის ცდებში ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალი ვადევნოთ, თუ რა ემართება ექსპერიმენტულ ობიექტებს ამ პირობებში, მაშინ, როდესაც ხანმოკლე ექსპოზიციების ცდებში ამ შესაძლებლობას მოკლებული ვართ — ექსპოზიციათა ხანგრძლივობა იქ იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია ადევნო თვალი, რაც ამ დროს ხდება.

სამაგიეროდ, კრიტიკული ობიექტების ხანგრძლივი ექსპოზიციების ცდებში ჩვენ ვნახეთ შემდეგი: ცპ-ები თითქოს მინმენი ხდებიან ექსპერიმენტულ ობიექტებში მიმდინარე პროცესების გარკვეული დინამიკურობისა, სახელდობრ: მაშინ როდესაც კრიტიკულ ობიექტთა ხანმოკლე ექსპოზიციების ცდებში, როგორც წესი, მათ შორის მხოლოდ სიდიდის მხრივ განსხვავებას ვადასტურებთ — ვამბობთ, რომ ერთი ბურთი, ან წრე უფრო დიდი ჩანს, ვიდრე მეორე, — აქ, ამ ცდებში, ჩვენ ხშირად მოწმენი ვხდებით იმისა, რომ ეს ობიექტები იცვლებიან სიდიდის მხრივ, რომ ისინი „იბერებიან" ან და „იკუმშებიან". თუ ხანმოკლე ექსპოზიციების ჩვეულებრივ ცდებში ე. წ. „გარდასვლის განცდა" (Uebergangserlebhis) მხოლოდ იშვიათად, როგორც გამონაკლისი ჩნდება, ხანგრძლივი ექსპოზიციების ცდებში იგი თითქმის წესად იქცევა.

გავიხილოთ რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ განიცდის ცპ-ი ამ მოვლენებს[1].

---

[1] ოქმი №6. „წრე მარჯვნივ ჯერ იბერება, თავის საზღვრებიდან გამოდის, თითქოს იშლება გარეთ. იგი თანდათან უფრო დიდი ხდება... შემდეგ პატარავდება. როცა ყურადღებით ვაკვირდებოდი, წრე პატარავდებოდა, ეიწროვდებოდა. რამდენსაც ვუყურებ, სულ უფრო პატარავდება... თითქოს მშორდება... შემდეგ წრეები თანაბარი ხდებიან".

ასეთი ჩვენება მრავალი გვხვდება: ცპ-თა 62,25% იმ წრის შეკუმშვის პროცესს აღიქვამს, რომელიც თავში მეორეზე უფრო დიდი ეჩვენებოდა. შემდეგ ცპ-ბი ამბობენ: სიდიდით ერთმანეთს უახლოვდებიან და, დასასრულ, სრულიად ტოლები ხდებიანო.

თუ ახლა უფრო ახლოს დავუკვირდებით იმ ეტაპების განაწილებას, რომელთაც ამ ცდების პროცესში გაივლიან ცპ-ბი, დავინახავთ, რომ სურათი ძირითადში ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება, რაც ხანმოკლე ექსპოზიციების ცდების პირობებში იყო. ერთადერთი, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ეს არის *ტლანქი* განწყობის მაჩვენებლების შედარებით მაღალი (67,5%) და *პლასტიკურის* დაბალი პროცენტი (32,5%), რასაც ხანმოკლე ექსპოზიციებისას ადგილი არა აქვს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტლანქი განწყობის შემთხვევათა საკმაო დაკვირვებით წარმოებული ანალიზი კარგად აგვიხსნიდა ამ გარემოებას. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცპ-ბი თავის დაკვირვებებში ხშირად ხაზს უსვამდნენ „გარდასვლის განცდის" არსებობას. ეს გარემოება საკმაოდ კარგად ამტკიცებს, რომ იქ, სადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ტლანქი განწყობის ფორმა გვქონდეს, სინამდვილეში პლასტიკური განწყობის თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე, რომელსაც შეიძლება კაცმა „ფარული პლასტიკურობის" ფორმაც უწოდოს[1]. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ სწორედ იმ მრავალრიცხოვან შემთხვევებს, რომელთაც ცდებში ვხვდებით და რომელნიც სწორედ იმით ხასიათდებიან, რომ კრიტიკული ობიექტების სიდიდეთა განცდაში ცპ-ები თითქოს შინაგანი მოძრაობის ფაქტებს ადასტურებენ. ერთი სიტყვით, ვინაიდან ტლანქი განწყობის ფენომენის დაკვირვებისას „გარდასვლის განცდის" შემთხვევები ასე ხშირად აღინიშნება, საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ აქ ჩვენ უფრო განწყობის პლასტიკურ ფორმასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ტლანქ ფორმასთან.

მართალია, პლასტიკურობას აქ ფარული ხასიათი აქვს — იგი თავს იჩენს მხოლოდ იმ შემთხვევათა დაკვირვებაში, რომელიც ხანგრძლივი ექსპოზიციების ცდებს ეხება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი არსებობის ფაქტი ყოველ ეჭვს გარეშეა. შეიძლება ჩვენი ხანგრძლივი ექსპოზიციების სწორედ ეს, მათთვის სპეციფიკური თავისებურება იყოს, რაც მათ უფლებას აძლევს, განწყობის შემსწავლელი მეთოდების არსენალში დამოუკიდებელი ადგილი დაიკავონ.

---

[1] იხ. *ქ. ბდოვანი*, Op. cit.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა დროში გაშლილი პროცესის ხასიათს ატარებს. ის ატარებს ამ პროცესის ხასიათს არა მარტო კრიტიკული ობიექტების ხანმოკლე ექსპოზიციების ცდებში, არამედ აგრეთვე იქაც, სადაც ეს ობიექტები მათ ხანგრძლივად ეძლევათ.

რათა დავრწმუნდეთ, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა, არსებითად, ხანგრძლივი ბუნების მოვლენაა, რომ თავისი ბუნებით იგი დენადი პროცესია, ჩვენ უნდა ვნახოთ, როგორაა საქმე, როდესაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ხანგრძლივი დროითი ინტერვალების გავლენის ქვეშ მიმდინარეობს, ე. ი. როდესაც ეს განწყობა თვითონ „ბუნებრივი სიკვდილით", გარედან სპეციალური ზეგავლენის გარეშე, კვდება.

X. ფიქსირებული განწყობის ბუნებრივი ჩაქრობის პროცესი

1. ფიქსირებული განწყობის სტაბილობისათვის. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ფიქსირებული განწყობა ერთგვარ წინააღმდეგობას უწევს თავისი ლიკვიდაციის პროცესს, რომ იგი მას მხოლოდ ნელის თანდათანობით გაივლის, სანამ, ბოლოს, დროის მონაცემ ნაკვეთში, სავსებით არ შესწყვეტს თავის არსებობას. მაგრამ იბადება კითხვა: ხომ არაა ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის ეს ფაქტი მხოლოდ ბუნებრივი შედეგი იმ გარემოებისა, რომ ამისათვის სპეციალური ზომები იყო მიღებული, სახელდობრ: სუბიექტზე კრიტიკული გამღიზიანებლების განმეორებითი ხანგრძლივი ზემოქმედება, ვიდრე ფიქსირებული განწყობის მოქმედების შეწყვეტამდე?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა ისეთი პირობები შევქმნათ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობისათვის, რომ იგი უშუალოდ, დროის ფაქტორის გავლენის ქვეშ, ხდებოდეს, და ვნახოთ, რა დაემართება მას — ხომ არ აქვს მას ტენდენცია ამ გავლენის გამო თავისი აქტივობა შესწყვიტოს? ერთი სიტყვით, ჩვენ თვალი უნდა ვადევნოთ ფიქსირებული განწყობის აქტივობას დროის გარკვეულს, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ მონაკვეთებში, იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ როგორ მიმდინარეობს მისი ბუნებრივი ლიკვიდაციის პროცესი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ წინ დგას საკითხი: რაოდენ სტაბილურია ფიქსირებული განწყობა, და როგორ ქრება იგი დროის მიმდინარეობაში?

ამ საკითხმა პირველად ჯერ კიდევ ფეხნერის ინტერესი გამოიწვია; შემდეგ კი იგი სპეციალურად სტეფენსის მიერ იყო დასმული.

„მოტორული განწყობა", რომელზედაც ეს ავტორი ლაპარაკობდა, შეიძლება, მისი აზრით, დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდშიც ძალაში რჩებოდეს. მაგრამ ამ საკითხის სპეციალურ კვლევას იგი არ შესდგომია. ეს პირველად ჩვენს ლაბორატორიაში იყო ნაცადი[1].

ცპ-ებს 3–4–5 დღის განმავლობაში უფიქსირებდნენ განწყობას (15-16 ექსპოზიცია). კრიტიკული ცდები დროის სხვადასხვა ინტერვალების შემდეგ ხდებოდა (1 დღე, 2-3 დღე, 1-2 თვე). ცდები მხედველობის ილუზიებზე იყო დაყენებული ტაქისტოსკოპის შუალობით.

ცხრილი 10 ამ ცდის შედეგებს შეიცავს. ჩვენ ვხედავთ, რომ აღნიშნულ პირობებში ფიქსირებული განწყობა 2-3 თვის შემდეგაც

ცხრილი 10

ინტერვალები	+	–	=
1. იმავე დღეს. . .	54	12	34
2. ერთი დღის შემდეგ	75	5	20
3. 2-3 დღის შემდეგ	75	5	20
4. 2-3 თვის შემდეგ	62	12	26

კი არ ქრება (ფიქსაციის პირველი დღიდან). ციფრები გვიჩვენებენ, რომ დრო, რა თქმა უნდა, მოქმედებს ფიქსირებული განწყობის ხარისხზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში მისი მოქმედება ერთნაირი არაა. ჩვენს ცპ-ებს შორის, ამ მხრივ, ხშირად მეტად დიდი განსხვავება აღინიშნება: მაშინ როდესაც ზოგიერთს ფიქსირებული განწყობა თვეობით ენახება, სხვებს იგი შედარებით ადრე უქრებათ. საერთოდ კი ჩვენ ვხედავთ, რომ ფიქსირებულ განწყობას სტაბილობის საკმაო ხარისხი აქვს, თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცალკეული ინდივიდები ამ მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

განწყობის სტაბილობის საკითხი იმ საკითხების რიგს ეკუთვნის, რომელნიც თავის მკვლევარებს მოელიან, მკვლევარებს, რომლებიც უფრო დიფერენცირებულად შეძლებენ შეისწავლონ ეს მოვლენა, ვიდრე ეს განწყობის შესწავლის პირველი პერიოდის ზემოთ ციტირებულ შრომაში იყო მოხერხებული — მაშინ მკვლევარის წინაშე ჯერ კიდევ ამ მოვლენის მხოლოდ ფაქტიური მართებლობა იყო გამოსარკვევი.

მაგრამ ჩვენ ახლაც შეგვიძლია დავაყენოთ საკითხი, თუ სახელდობრ, როგორ ქრება ფიქსირებული განწყობა დროის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მონაკვეთის ზეგავლენით.

---

[1] *ბ. ზაჯაპურიძე.* განწყობის შეცვლის ბუნებისათვის. 1938 (საკანდიდატო დისერტაცია).

2. ფიქსირებული განწყობის ბუნებრივი ლიკვიდაციის პროცესი. თუ დავაკვირდებით ფიქსირებული განწყობის მდგომარეობას დროის განსაზღვრული მონაკვეთის პროცესში, ჩვენს წინ სრულიად გარკვეული სურათი გადაიშლება. ჩვენ დავინახავთ, რომ ფიქსირებული განწყობა ჩაქრობის გარკვეულ საფეხურებს გაივლის და რამდენიმე ხნის შემდგომ სრული ლიკვიდაციის მდგომარეობასაც აღწევს. ნათელია, რომ ჩვენს წინაშე, არსებითად, იგივე სურათია, რაც განწყობის ლიკვიდაციის ექსპერიმენტულ პირობებში. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს დავსვათ საკითხი ბუნებრივ პირობებში განწყობის ლიკვიდაციის პროცესის საფეხურების შესახებ.

პირველ დღეებში ფიქსირებული განწყობის აქტივობის გაბატონებულ ფორმას კონტრასტული ილუზია წარმოადგენს, ე. ი. სავსებით იგივე სურათი, რაც ექსპერიმენტულ პირობებში ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის შემთხვევაში გვაქვს. ამ მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, განწყობის ლიკვიდაციის გზებს შორის განსხვავება არა ჩანს.

კონტრასტული ილუზიების ბატონობის ამ საფეხურს ასიმილაციური ილუზიების საფეხური მოსდევს. რა თქმა უნდა, აქ არაა ისეთი მდგომარეობა, რომ შეგვეძლოს ვთქვათ, თითქოს საქმე მხოლოდ წმინდა ასიმილაციური ილუზიების საფეხურთან გვქონდეს. როგორც ექსპერიმენტულ პირობებში განწყობის ლიკვიდაციის ჩვეულებრივ მსვლელობაში, ისე აქაც, შეიძლება მხოლოდ განწყობის ამ ფორმის გამოვლენის ან, ზოგჯერ, დომინირების შესახებ ვილაპარაკოთ. მაგრამ ესეც საკმარისია, რათა აღინიშნოს, რომ აქ ნამდვილად ლიკვიდაციის პროცესის ახალ ფაზასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ამ ფაზის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ჩაქრობის ბუნებრივ მსვლელობაში იგი შედარებით უფრო წმინდა სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე განწყობის ექსპერიმენტულად ლიკვიდაციის შემთხვევებში: აქ იგი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე იქ.

დასასრულ, საქმე აქაც იმით მთავრდება, რომ ილუზიების გვერდით კრიტიკულ ობიექტთა ტოლობის დადასტურების შემთხვევებიც იწყება, ვიდრე, დასასრულ არ მივაღწევთ მდგომარეობას, როდესაც ილუზია სრულიად ქრება და თავის ადგილს კრიტიკული ობიექტების სტაბილური შეფასების შემთხვევებს უთმობს.

როგორც განწყობის ექსპერიმენტული ლიკვიდაციის შემთხვევებში, ისე აქაც ხდება, რომ ზოგიერთ სუბიექტს განწყობა უფრო ხანგრძლივად რჩება ძალაში, ვიდრე სხვებს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ფიქსირებული განწყობა ექსპერიმენტულად დადასტურე-

ბულ მაქსიმალურ ვადაში (2-3 თვე) არ ქრება. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ხანგრძლივი ვადის შემდეგ განწყობის ლიკვიდაციას ალბათ აქაც ექნებოდა ადგილი.

ამგვარად, ფიქსირებული განწყობა შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას არა მარტო ექსპერიმენტულ, არამედ თავისი არსებობის ბუნებრივ პირობებშიც, და ამასთან — ორსავე შემთხვევაში ერთგვარად, სახელდობრ: აქაც და იქაც ლიკვიდაციის პროცესი ფაზებად მიმდინარეობდეს, რომელნიც ზუსტად განსაზღვრული წესით მისდევენ ერთიმეორეს. ყოველ შემთხვევაში, ამ გარემოებას ძალა აქვს რაოდენობითს მიმართებებზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევებში.

XI. კრიტიკული ექსპოზიციის მოქმედების საკითხისათვის

1. **კრიტიკულ ცდათა ფიქსაციური ზეგავლენა.** ჩვენ დავინახეთ, რომ რიგი კრიტიკული ცდების შემდგომ, ფიქსირებული განწყობა ქრება, იხშობა და მოცემული პირობების მიმართ ადეკვატურ განწყობას უთმობს ადგილს. მართალია, ყოველთვის ასე არ ხდება. როგორც ვიცით, შესაძლოა სტატიკური ფიქსირებული განწყობის შემთხვევებსაც ჰქონდეთ ადგილი. მაგრამ ნორმალურ პირობებში ეს შედარებით იშვიათად ხდება — როგორც წესი, ჩვეულებრივ, ფიქსირებული განწყობის მხოლოდ დინამიკურ ფორმასთან გვაქვს საქმე. სხვანაირად, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკული ექსპოზიციების საკმარისი რაოდენობის შემდეგ ცპ-ი ილუზიებისაგან თავისუფლდება და სწორი შეფასებების მოცემას იწყებს. მაგრამ შემდგომი ცდები გვიჩვენებს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ — ზოგჯერ უფრო ადრე და ზოგჯერ უფრო გვიან, — ილუზიები კვლავ იღვიძებენ და ცპ-ბის ჩვენება კვლავ არაადეკვატური ხდება, საკმარისია მოვიგონოთ განწყობის სტაბილობის ექსპერიმენტები, რომ ეს გარემოება უდავო შეიქნეს ჩვენთვის. და აი, ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ გავიგოთ ეს ვითარება?

ამ საკითხის გადასაწყვეტად — საკითხის, რომელიც უდავოდ დიდი პრინციპიალური მნიშვნელობის საკითხია — სპეციალური ცდები ჩავატარეთ, რათა კრიტიკული ცდების შედეგად აღმოცენებული საქმის ვითარება სათანადოდ გაგვეშუქებინა. ჩვენი საკითხი აქ ასეთია: როგორ მოქმედებს ცპ-ზე ამ ცდებში მიწოდებული კრიტიკული ობიექტების ტოლობის განმეორებითი დადასტურება? ხომ არ ფიქსირდება ამ გარემოების, ე. ი. კრიტიკული ობიექტების განმეორებითი ზემოქმედების გამო, ტოლობის განწყობა და, შემდგომ ექსპოზიცი-

ებში, ამ მიზეზის გამო, ტოლად ხომ არ აღიქმებიან ეს ობიექტები?

ამ საკითხის გადასაწყვეტად დაყენებულ ცდებში[1], ჩვეულებრივ, კრიტიკულ სერიაში მიწოდებული ობიექტების ტოლობის ხუთჯერ დადასტურების შემდეგ, ცპ-ები სიდიდით ურთიერთისაგან ოდნავ განსხვავებულ ფიგურებს ღებულობდნენ, სახელდობრ — წრეებს 20-21 მმ, 20-22 მმ, 20-23 მმ და 20-24 მმ დიამეტრით და აგრეთვე კვადრატებს — 15-16 მმ, 15-17 მმ, 15-18 მმ და 15-19 მმ. უფრო ზუსტად — ექსპერიმენტები მიმდინარეობდნენ შემდეგი წესით: საგანწყობო ცდებში ცპ-ები ღებულობდნენ წყვილ კონტურულ წრეს (20-36 მმ) 15-ჯერ. ამას მოსდევდა კრიტიკული ცდები — წყვილი ტოლი კონტურული წრე (20-20 მმ). ამ წრეების ტოლობის ხუთჯერ დადასტურების შემდეგ, ცპ-ებს შეუნაცვლებდნენ ტოლ კრიტიკულ წრეებს უტოლო წრეებით (20-21 მმ). თუ წრეები კვლავ ტოლებად ეჩვენებოდათ, კვლავ ცვლიდნენ მათ ჯერ 20-22 მმ წრეებით, შემდეგ 20-23 მმ და, ბოლოს, 20-24 მმ-იანით.

რა იქნა მიღებული ამ ცდების შედეგად? კრიტიკული წრეების წყვილის 20-21 მმ-ის ექსპოზიციაზე მიღებულ იქნა პასუხები,

ცხრილი 11

ილუზ.		ადეკვატ.
აბსოლ. რ.	4	42
% %	8,6	91,4

რომლებიც შეჯამებულია ცხრ. 11-ში, ჩვენ ვხედავთ, რომ 46 ცპ-ს შორის მხოლოდ 4-ს გაუჩნდა ილუზია, ხოლო დანარჩენმა 42-მა ცპ-მა, ყველამ სრულიად ადეკვატური პასუხები მოგვცა.

ცდების შემდგომ სერიაში ცპ-ებს ერთიმეორისგან 2 მმ-ით განსხვავებული წრეები მიაწოდეს. აქ უფრო თვალსაჩინო შედეგები იქნა მიღებული: აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ყველა 11-მა პირმა, რომელიც დაშვებული იყო ცდებზე (ამ სერიაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც წინა ცდებში თავიდანვე, ან ოდნავ მერყეობის შემდეგ, ხუთჯერადი ილუზია მოგვცეს) კრიტიკული წრეების უტოლობა დაადასტურა.

ეჭვი რომ არ დარჩეს, თითქოს აქ ფიგურის ფაქტორი თამაშობდეს რაიმე როლს, გავეცნოთ სხვა ფიგურაზე, სახელდობრ, კვადრატებზე, ჩატარებული ცდების შედეგებს. ამ ცდებმა კვადრატების 1 მმ-იანი განსხვავებით (15-16 მმ) სწორედ ისეთივე შედეგები

[1] *ა. ავალიშვილი,* კრიტიკულ ექსპოზიციათა განმაწყობელი როლის საკითხისათვის განწყობის ცდებში. ფსიქოლოგია. I. 1942.

მოგვცა, რაც წრეებმა დიამეტრის ისეთისავე განსხვავებით. სახელდობრ, 3 კაცმა ილუზია მოგვცა, ხოლო 43 კაცმა ფიგურათა ურთიერთმიმართება სრულიად სწორად შეაფასა. რაც შეეხება ერთიმეორისაგან 2 მმ-ით განსხვავებულ კვადრატებს (15-17), ამ შემთხვევაში მიღებული მონაცემები გვიმოწმებენ, რომ ილუზიების შემთხვევები აქ გამონაკლისია (3 კაცი 43-დან), ხოლო სწორი შეფასება, როგორც წესი, სულ არ გვხვდება. ჩვენ არ მოგვყავს მონაცემები, რომელნიც სხვა სერიებში მივიღეთ ამავე საკითხზე (შევსებული წრეები კონტურულის ნაცვლად პირველ სერიაში და კონტურული კვადრატები, შევსებულის ნაცვლად, წინა სერიაში): არსებითად, ისინი წინამორბედი ცდების მონაცემებს იმეორებენ და მნიშვნელოვანს მათ არაფერს არ უმატებენ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკულ ცდებში ტოლობის განმეორებითი ჩვენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ ტოლობის ფიქსაცია უთუოდ უნდა მოხდეს.

მაგრამ ეს დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სარწმუნო, თუ რომ ჩვენ შევძლებდით დაგვემტკიცებია, რომ კრიტიკული ობიექტები სწორედ იმიტომ აღიქმებიან ადეკვატურად, რომ ცპ-ებს ტოლობის ფიქსირებული განწყობა არა აქვთ, და არა იმიტომ, რომ კრიტიკული ობიექტების უტოლობა მეტად მკაფიოა და ამიტომ მათი ასიმილაცია ტოლობის ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე შეუძლებელია.

აუცილებელია, ეს დასკვნა შევამოწმოთ!

ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს სპეციალურად ტოლობაზე ფიქსირებული განწყობა, და ასეთი განწყობის მქონე ცპ-ს კრიტიკულ ობიექტებად ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ფიგურები (წრეები, ურთიერთშორის 1-2 მმ რადიუსით განსხვავებული) მივაწოდეთ. თუ ეს განწყობა მართლაც უძლური აღმოჩნდა ამ განსხვავების ასიმილაცია მოახდინოს, მაშინ მიწოდებულ ფიგურათა უტოლობის შესახებ სწორი შეფასება უნდა მივიღოთ; თუ არა და, ეს ფიგურები ტოლად უნდა იქნენ აღქმული. ამის შემოწმება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ ეს არცაა საჭირო. ჩვენ გვაქვს ცდები, საიდანაც ჩვენ მიერ დასმულ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემა შეგვიძლია[1].

ამ ცდებში ცპ-ებს უფიქსირდებოდათ განწყობა გეომეტრიული ფიგურების (წრეების, კვადრატების) ტოლობაზე, ხოლო შემდეგ მათ აჩვენებდნენ, კრიტიკული ობიექტების სახით, ფიგურებს, რომლებიც

---

[1] *რ. გ. ნათაძე,* ტოლობაზე განწყობის გამომუშავების საკითხისათვის, თ. ს. უნ. შრომები, XVII. 1941.

განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან სიდიდით 1,5 მმ-ით და 1 მმ-ით (ნრეები 25-24 მმ დიამეტრისა და კვადრატები 21-22 მმ გვერდებით). ცდების შედეგები სრულიად შეესატყვისება ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ვარაუდს, სახელდობრ: საერთო რიცხვი იმ პირთა, რომელნიც საგანწყობო ცდების ზეგავლენით, თუნდაც ერთ რომელსამე კრიტიკულ ფიგურაზე მაინც ილუზიას იძლევიან, 30-ს, ე. ი. ცპ-თა საერთო რიცხვის (42 ცპ) 70,1%-ს აღწევს.

მაშასადამე, არავითარი ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ შესაფერისი განწყობის არსებობისას, ფიგურათა შორის 1-2 მმ-ით განსხვავება არავითარ როლს არ თამაშობს: იგი ხელს უშლის ფიქსირებული განწყობის საასიმილაციო გავლენის გამომჟღავნებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ, რაკი ზემოაღნერილ ცდებში ფიგურათა შორის 1-2 მმ განსხვავება შეუმჩნეველი არასოდეს არ დარჩენილა, რაკი ეს განსხვავება იქ არასოდეს ასიმილირებული არ ყოფილა, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში სათანადო განწყობის ფიქსაციის შესახებ ლაპარაკი დაუსაბუთებელი იქნებოდა.

ამრიგად, შეიძლება დადგენილად ჩავთვალოთ, რომ ჩვენს ცდებში ტოლი ნრეების როგორც არატოლთა განმეორებითი აპერცეფცია, სრულიად არ თამაშობს საგანწყობო ექსპოზიციათა როლს და სრულიად არ აფიქსირებს ახალს, ამის შესატყვის განწყობას. სანამ ტოლი ფიგურები, როგორც არატოლნი, აღიქმებიან, მოქმედებას განაგრძობს საგანწყობო ცდებში ფიქსირებული იგივე განწყობა. ხოლო, როდესაც ცპ-ი იწყებს მათს, როგორც ტოლების, აღქმას, მაშინ ამას ტოლობაზე ფიქსირებული განწყობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ აქტუალური ვითარების შესატყვისი ადეკვატური განწყობა.

მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კრიტიკული ექსპოზიცია არავითარ ახალ განწყობას არ აფიქსირებს. იგი მხოლოდ ხელს უწყობს მოცემული სიტუაციის ადეკვატური განწყობის გამოვლენას.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთაც იყო ნაჩვენები, კრიტიკული ცდების შეწყვეტის შემდეგ, ცოტა ხნის გასვლისას, ამ ცდების განმეორებითი მიწოდება კვლავ ჩვეულებრივ საგანწყობო ილუზიების გამოწვევას იწყებს. საკითხავია, როგორ გავიგოთ ეს?

ეჭვი არაა, რომ კრიტიკულ ექსპოზიციათა ზეგავლენის შედეგად ფიქსირებული განწყობა საბოლოოდ არ ქრება: ჩანს, იგი მხოლოდ დროებით იხევს უკან, მისთვის სრულიად შეუსაბამო კრიტიკულ ექსპოზიციათა განუწყვეტელი ზემოქმედების შედეგად, და ადგილს უთმობს ამ ექსპოზიციათა ადეკვატურ განწყობას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საფიქსაციო ცდებში ჩამოყალიბებული განწყობა

საკმარისად მტკიცეა, ეს მხოლოდ დროებით ხდება — კრიტიკულ ექსპოზიციათა მუდმივი, განუწყვეტელი ზემოქმედების გავლენის გამო. მაგრამ საკმარისია ამ კრიტიკულ ექსპოზიციათა განუწყვეტელი მოქმედების პერიოდმა განვლოს, რომ ფიქსაციის ძალამ კვლავ თავი იჩინოს — კვლავ დაიბრუნოს უნარი მისთვის შესატყვისი, ჩვეულებრივი განწყობის ილუზიების გამოწვევისა.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპერიმენტებში განწყობის სტაბილობაზე ჩვენ ვღებულობთ მონაცემებს, რომელნიც ფიქსირებული განწყობის ხანგრძლივი ცხოველმყოფელობის ფაქტს მოწმობენ. მაგრამ ეს ცხოველმყოფელობა ზღვარდებულია. რამდენიმე ხნის შემდეგ — ზოგ შემთხვევაში უფრო ადრე, ზოგჯერ კი უფრო გვიან — ფიქსირებული განწყობა მაინც ქრება და წინააღმდეგობას აღარ უწევს ახალ, საქმის ვითარების შესატყვის განწყობათა აღმოცენების შემთხვევებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კრიტიკულ ექსპოზიციათა განუწყვეტელი ზემოქმედების გამო, ფიქსირებული განწყობა უკანა პლანზე გადადის, და ადგილს უთმობს აქტუალური სიტუაციის ადეკვატურ განწყობას. ვინაიდან ეს ხდება მანამ, სანამ სიტუაციის ადეკვატური განწყობის ფიქსაცია განმტკიცდებოდეს, ამიტომ საკვირველი არაა, რომ ერთგვარი დროის მონაკვეთის გავლის შემდეგ შეიძლება ძველი ფიქსირებული განწყობა გაცოცხლდეს და კვლავ სუბიექტის ქცევის სათანადო აქტები განსაზღვროს.

2. ასიმეტრიის პრობლემისათვის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, აქვე დამატებით, კიდევ ერთი გარემოება აღინიშნოს! ჩვეულებრივ დაკვირვებიდან და, განსაკუთრებით, სპეციალური ცდებიდან ცნობილია, რომ ადამიანი მთლად სიმეტრიულად აგებული არაა. ჩვენი ასიმეტრიულობის ყველაზე უფრო ცნობილ შემთხვევას ჩვენი ხელების ფუნქციონალური არათანაბარღირებულოვანება წარმოადგენს. იგივე ითქმის სხვა წყვილეულ ორგანოთა შესახებაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ აქ — თვალების, ყურების, ფეხების არათანაბარღირებულოვანება ნაკლებ თვლსაჩინოა. უეჭველია, ყველა ამ შემთხვევაში ფუნქციონალურ უთანაბრობას საფუძვლად ცოტად თუ ბევრად ცხადი მორფოლოგიური განსხვავებულობა უდევს.

სპეციალური გამოკვლევა ასიმეტრიის საკითხისათვის მისი გავრცელებულობის საოცარ ფაქტებს ამჟღავნებს. როცა ჩვენს ცდებში ცპ-ი ორს თანაბარ შთაბეჭდილებას ღებულობს (მხედველობითს, ჰაპტურს, ან რომელიმე სხვას) ურთიერთშედარების მიზნით, ირკვევა, რომ შემთხვევათა მნიშვნელოვანი რიცხვი იჩენს თავს, რომელშიც

შედარება ასიმეტრიულად წარმოებს, და მიმართების რომელიმე წევრი, როგორც წესი, ამა თუ იმ მხრივ გადაფასდება[1].

მაშასადამე, არ შეიძლება დარწმუნებული იყო, თუ რით განისაზღვრება თითოეულ ცალკე შემთხვევაში ცპ-ის ჩვენება — საქმის ვითარების ობიექტური შეფასებით, თუ მხოლოდ თვით სუბიექტის თავისებურებით, მისი ასიმეტრიულობით.

ამგვარად, თავისთავად ისმის საკითხი ბუნებრივი ასიმეტრიის აქტივობის ხარისხის შესახებ ჩვენი ცდების იმ ნაწილში, რომელშიც კრიტიკული ობიექტების ურთიერთშედარება ხდება.

წყვილეულ ორგანოთა ასიმეტრიის მოვლენათა გვერდით, ანალოგიური ფაქტი შემჩნეულია აქაც, სადაც ამ მოვლენების მორფოლოგიური საფუძველი, როგორც ჩანს, არ არსებობს. მაშასადამე, აუცილებელი ხდება ვილაპარაკოთ *ფუნქციონალური* ასიმეტრიის შესახებაც. ამ უკანასკნელის დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოდაა იგი ცოცხალ ორგანიზმებში გავრცელებული.

მართლაც: სპეციალური გამოკვლევანი — განსაკუთრებით, ფსიქოფიზიკურ ექსპერიმენტულ ძიებათა სფეროში — ამოწმებენ, თუ რაოდენ იშვიათია სხვადასხვა სენსორული წყაროებიდან მომდინარე შთაბეჭდილებების ტოლობის ადეკვატური შეფასების შემთხვევა. ექსპერიმენტულად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანი, საერთოდ, უტოლობის მოვლენებს უფრო ადვილად ამჩნევს და სწორად აფასებს, ვიდრე ტოლობის მოვლენებს. ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ ადამიანი მოწყობილია აღიქვას გარემო უფრო ასიმეტრიულად, ვიდრე, პირიქით, — სიმეტრიულად, რომ, საერთოდ, მას ფსიქიკურად უფრო ასიმეტრიის მოვლენებისადმი აქვს მიდრეკილება, ვიდრე სიმეტრიის მოვლენებისადმი.

როგორ გავიგოთ ეს? რათა ამ საკითხს ვუპასუხოთ, ჩვენ შევეცდებით ჯერ გამოვარკვიოთ, ხომ არ შეიძლება ხელოვნურად, ექსპერიმენტულად, შევუქმნათ ადამიანს მასზე მოქმედ შთაბეჭდილებათა ასიმეტრიული აღქმის მიდრეკილება. ჩვენ ვიცით, რომ საგანწყობო ცდებში ყველგან სწორედ ცპ-თა ექსპერიმენტულად სტიმულირებულ ასიმეტრიასთან გვაქვს საქმე. როცა მთელ რიგ საგანწყობო ექსპოზიციათა შედეგად ცპ-ს შესაფერი განწყობა უფიქსირდება, კრიტიკულ ცდებში, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იგი აღქმის მტკიცე ასიმეტრიულობას ამჟღავნებს: ორი ტოლი ობიექტიდან ერთ-ერთი მას უფრო დიდად ეჩვენება.

---

[1] *ბ. ი. ხაჭაპურიძე.* სენსორული ასიმეტრია და ფიქსირებული განწყობა. საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერებათა განყოფ-ის სესიის მოხსენებათა თეზისები. 1943.

ამ შემთხვევაში შთაბეჭდილება ზუსტად ისეთივეა, როგორიც მაშინ, როდესაც საქმე იმ პირებთან გვაქვს, რომელთაც სპეციალურ ღონისძიებათა გარეშეც ასიმეტრია ახასიათებთ. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს დავსვათ საკითხი — ხომ არ ეყრდნობა ასიმეტრიის მოვლენა ორსავე შემთხვევაში ერთსა და იმავე საფუძველს?

ეჭვს გარეშეა, რომ არც ჩვენი ექსპერიმენტული ასიმეტრიის შემთხვევაში და არც ბუნებრივი ასიმეტრიის შემთხვევაში არ არსებობს ორგანული ხასიათის დეფექტი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი სუბიექტების აღქმის ასიმეტრიულობას. არც ერთ დასახელებულ შემთხვევაში ასიმეტრიულობა ორგანული წარმოშობის არაა, და ცხადად ჩანს, რომ ექსპერიმენტულ ასიმეტრიას საფუძვლად განწყობა უდევს, რომელიც ჩვენი საგანწყობო ექსპოზიციების ზემოქმედების შედეგად არის ფიქსირებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ბუნებრივი" ასიმეტრიის შემთხვევებშიც ანალოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე. მართალია, აქ საგანწყობო ექსპოზიციებს სპეციალურად და განზრახ არავინ არ აწვდის სუბიექტს, როგორც მას ჩვენ ცდებში აქვს ადგილი. მაგრამ გამორიცხული არაა, ადამიანის ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში ზოგჯერ ისეთმა სიტუაციამ იჩინოს თავი, რომ მან მის განწყობაზე ისეთივე მაფიქსირებელი გავლენა მოახდინოს, როგორსაც ჩვენი საგანწყობო ცდების შემთხვევაში აქვს ხოლმე ადგილი. მართალია, უკანასკნელ შემთხვევაში ამ მიზნით ცპ-ზე მრავალგზისი განმეორებითი ზემოქმედების ხერხს მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ განწყობის ფიქსაციისათვის ეს ხერხი აუცილებლობას არ წარმოადგენს: არსებობს ხომ ისეთი შემთხვევებიც, როცა განწყობის ფიქსაციისათვის ეს ხერხი აუცილებლობას არ წარმოადგენს: არსებობს ხომ ისეთი შემთხვევებიც, როცა განწყობის ფიქსაციისათვის სიტუაციის ერთჯერადი ზემოქმედებაც საკმარისი ხდება. უნდა ვიფიქროთ, როცა ცხოვრებაში არა ერთგზის გვხვდება შემთხვევა, როცა ეს თუ ის განწყობა განმეორებითი ზემოქმედების გარეშეც გვიმტკიცდება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველი ჩვენგანი თავისი ცხოვრების განმავლობაში ფიქსირებულ განწყობათა უთვალავ რაოდენობას ატარებს, რომელნიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აქტივირდებიან და ჩვენი ფსიქიკის მუშაობას შესაფერი მიმართულებით წარმართავენ.

შემდგომ უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკულ ექსპოზიციათა ზემო-

ქმედების შედეგად, როგორც ვიცით, ფიქსირებული განწყობა ბოლოს და ბოლოს განზე დგება და ეს გარემოება შესაძლებლობას ანიჭებს ძალაში შევიდეს სიტუაციის ადეკვატურ განწყობას. ამიერიდან სუბიექტის განცდები ამ უკანასკნელით განისაზღვრება და მისი ჩვენებანი სავსებით არსებულ სიტუაციას ეთანხმებიან. ასე ხდება ხოლმე ჩვენს ჩვეულებრივ საგანწყობო ცდებში: რამდენიმე კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ ძალაში შედის მოცემული სიტუაციის ადეკვატური განწყობა, ხოლო ის განწყობა, რომელიც ექსპერიმენტულ პირობებში იყო ფიქსირებული, მოცემულ მომენტში სრულიად აღიკვეთება.

რაღა ხდება ასიმეტრიის შემთხვევაში, ე. ი. იმ შემთხვევებში, როდესაც არა ექსპერიმენტულად, არამედ „ბუნებრივად" ფიქსირებულ განწყობასთან გვაქვს საქმე? როგორ მოქმედებენ ამ შემთხვევაში კრიტიკული ცდები? იგივე ეფექტი აქვთ მათ, რაც ექსპერიმენტულ პირობებში, თუ მოცემულ შემთხვევაში ისინი როგორმე სხვანაირად გამოვლინდებიან?

ერთადერთი, რაც ამართლებს საკითხის ამგვარ დაყენებას, ისაა, რომ აქ ფიქსირებული განწყობები შეუმონმებელისა და ამიტომ ჩვენთვის უცნობი წარმოშობისა არიან. მაგრამ უდავოა, რომ მიუხედავად ამ გარემოებისა, ისინი მაინც ჩვეულებრივ ფიქსირებულ განწყობად რჩებიან, და, მაშასადამე, შესაფერის პირობებში მათ ამ განწყობების ბედი უნდა გაიზიარონ.

ეს იმას ნიშნავს, რომ არავითარი საბუთი არაა, ბუნებრივად ფიქსირებული განწყობებისთვის სხვა ბედი ვიგულოთ, ვიდრე ექსპერიმენტულად მოქმედთათვის; თუ ტოლ კრიტიკულ ობიექტთა საკმარისად ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად, ექსპერიმენტულ პირობებში ფიქსირებული განწყობა იჩქმალება, და ძალაში აქტუალური განწყობა შედის, უდავოა, იგივე უნდა მოხდეს ბუნებრივად ფიქსირებული განწყობის შემთხვევაშიც — ამ პირობებში ისიც უნდა გამოვიდეს მწყობრიდან და ადგილი დაუთმოს მოცემული სიტუაციის ადეკვატურ განწყობას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კრიტიკულ ცდებში ასიმეტრიის აღარაფერი რჩება, — ასიმეტრიისა, რომელიც მანამდე ეგოდენ მძლავრად გვაგრძნობინებდა თავს: აქ არა აქვს მნიშვნელობა, როგორ ცპ-თან გვაქვს საქმე, ისეთთან, რომელიც გარკვეულ ასიმეტრიას გვიჩვენებს, თუ ისეთთან, რომელიც სრულიად სიმეტრიული გვგონია.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ცდებში ასიმეტრიულო-

ბის მოვლენები სრულიადაც არ უნდა თამაშობდნენ ისეთ როლს, რომ მათთვის სპეციალური ანგარიშის გაწევა იყოს საჭირო.

XII. განწყობა რომელობით განსხვავებული მასალის მიმართ

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ განწყობის ჩვეულებრივი ცდების დროს მხედველობაში რაოდენობრივი მიმართებები გვაქვს და რომელობითი ხასიათის ასპექტებს ამ შემთხვევაში ყურადღების გარეშე ვტოვებთ. იბადება კითხვა: ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ექსპერიმენტებს სპეციფიკური ხასიათი აქვთ რაოდენობრივი მიმართებისათვის და, ამიტომ მათი გამოყენება სხვა კატეგორიის, კერძოდ, რომელობითი ხასიათის მოვლენათა მიმართ არაა მოსახერხებელი?

ამ საკითხის გამოსარკვევად მივმართოთ შემდეგს: ვნახოთ, ხომ არ გამოგვადგება ჩვენი ცდების ანალოგიური ხერხი რომელობითი მასალის შემთხვევაშიც? ვცადოთ ამ ხერხის გამოყენება რომელობის მოვლენათა სფეროშიც და ამ გზით გამოვარკვიოთ, რა თავისებურებებთან გვაქვს საქმე მოვლენათა ამ ორი სხვადასხვა კატეგორიის შემთხვევაში.

1. **ტოლობის განწყობის ცდები.** ვიდრე წმინდა რომელობის მასალაზე ჩატარებული ცდების შედეგებს განვიხილავთ, შევეხოთ ჩვენი ლაბორატორიის ერთ-ერთ გამოკვლევას, რომელსაც პირდაპირი მნიშვნელობა აქვს აქ დასმული საკითხისათვის[1].

ცპ-ს ეძლევა ისეთ გამღიზიანებელთა რიგი, რომ ფიქსირებული განწყობა არა განსხვავებაზე, არამედ ტოლობაზე შეუმუშავდეს. ამის შემდეგ, მას კრიტიკულ ცდაში შესადარებლად ორი არატოლი ობიექტი ეძლევა. რა ხდება ასეთ შემთხვევაში? აქ თითქოს ხელთ არის ყველა პირობა იმისათვის, რომ კრიტიკულ ცდაში ფიქსირებული განწყობის მოქმედება გამოვლინდეს. რასაკვირველია, — და ეს პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს — განწყობის კონტრასტის მიმართულებით მოქმედების შესაძლებლობა აქ სრულიად გამორიცხულია: თუ ცპ-ს ამ შემთხვევაში მართლა რაიმე განწყობა უფიქსირდება, ეს შეიძლება მხოლოდ მოცემული ობიექტების ტოლობის განწყობა იქნეს, რომლის ნიადაგზეც კრიტიკული ცდის არატოლი ობიექტები, როგორც ტოლი უნდა იქნენ აღქმული.

ვიდრე ამ ცდების შედეგების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა შეეხოთ ერთ გარემოებას. ტოლობის მიმართებას განსაკუთრებული

---

[1] *რ. ნათაძე,* ტოლობაზე შექმნილი განწყობის საკითხისათვის. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVII.

ადგილი უჭირავს სხვა მიმართებათა რიგში. საქმე ისაა, რომ ფაქტიურად, ჩვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბუნებრივ მოვლენათა სამყაროში ტოლობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ობიექტივირებულ მოვლენათა შეფასების შედეგად, ე. ი. ისეთ მოვლენათა მიმართ, რომელთაც ჩვენ გარკვეული მიზნით ვაკვირდებით — რომელიმე მოვლენის სხვა მოვლენებთან და თავისთავთან მიმართების განსაზღვრების მიზნით. ფაქტიურად, ტოლობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ იგივეობის, ე. ი. თავისთავთან მიმართების დადგენის სახით, — და ეს იმიტომ, რომ მოვლენათა ბუნებრივ მდგომარეობაში ყოველთვის ე. წ. „ინდივიდუაციის პრინციპი" (Principium individinationis) ბატონობს. აქ ორი, ზუსტად ურთიერთის ტოლი საგანი ან მოვლენა შეუძლებელია.

ამიტომაც *ერთნაირი*, ე. ი. აბსოლუტურად *ტოლი* საგნების არსებობა მხოლოდ ხელოვნურს, ადამიანის ხელით შექმნილ მოვლენათა სფეროში თუა შესაძლებელი.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ ტოლობის მიმართების დაკვირვება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე უტოლობისა. ამიტომ არაფერია საკვირველი, რომ ტოლობის განწყობის ფიქსაცია, ცდების განმეორების გზით, თავისებურ დაბრკოლებებს ხვდება, დაბრკოლებებს, რომელიც სრულიად უცხოა „დიდი — პატარა"-ზე განწყობის ფიქსაციის ცდებისათვის. ამიტომ, ტოლობის განცდის განმეორების უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა სპეციალური ზომები: ექსპერიმენტატორი განწყობის ფიქსაციის გასაადვილებლად ცპ-ის ყურადღებას საგანგებოდ საგანწყობო ობიექტების ტოლობაზე მართავდა.

მე არ შევეხები სხვა ზომებს, მიღებულს განწყობის ამ პირობებში ფიქსაციის გასაადვილებლად, და შევჩერდები კრიტიკულ გამღიზიანებელთა საკითხზე. კრიტიკული ობიექტები ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, არა ტოლი, არამედ განსხვავებული სიდიდის უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ პირველ რიგში აქ საკითხი კრიტიკულ ობიექტთა განსხვავების შესახებ იბადება.

ცხადია, ეს განსხვავება საზღურბლო განსხვავებას მხოლოდ უმნიშვნელოდ უნდა აღემატებოდეს, ვინაიდან დიდი განსხვავების შემთხვევაში ტოლობის განწყობა, მკვეთრი შეუფერებლობის გამო, მის ასიმილაციას ვერ მოახერხებს. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ხელსაყრელია 1,5 მმ განსხვავებული წრეების და 1 მმ განსხვავებული კვადრატების გამოყენება, მაგრამ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო შეიქნეს განსხვავების გადიდებაც.

ამიტომ ცდები ჩვეულებრივად შემდეგი სახით მიმდინარეობდნენ: წინასწარ, საგანწყობო ცდების დაწყებამდე, კრიტიკული ფიგურების დემონსტრაცია წარმოებდა, და იმ შემთხვევაში, თუ ცპ-ი განსხვავებას ვერ შეამჩნევდა მათ შორის, უფრო დიფერენტული სიდიდეებით ვსარგებლობდით.

ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ცპ-თა 70%-ს ტოლობის ფიქსირებული განწყობა გამოუმუშავდა — კრიტიკული ცდის არატოლ კვადრატებს და წრეებს ისინი ტოლად აღიქვამდნენ.

მაშასადამე, ჩვენი ჩვეულებრივი ცდების ანალოგიურ პირობებში შეიძლება გაჩნდეს ახალი — ტოლობის განწყობის — ილუზია. ეს გარემოება ტოლობის მიმართებაზე ჩატარებული ექსპერიმენტის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს. ამაშია მისი განსხვავება ჩვეულებრივი ცდებისაგან.

იბადება კითხვა, რა მდგომარეობა გვაქვს აქ განწყობის იმ თვისებათა მხრივ, რომელიც გამოვლინებულ იქნა განწყობის ჩვეულებრივ ცდებში. ჯერ ერთი, აღმოჩნდა, რომ განწყობის *აგზნებადობის* კვლევა ტოლობის შემთხვევაშიც ჩვეულებრივი გზით ხერხდება, ე. ი. ისევე, როგორც რაოდენობრივი განსხვავების ცდებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტოლობის შემთხვევაში აგზნებადობის მაჩვენებლები გაცილებით უფრო მაღალია, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო: როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ განწყობის ფიქსაცია გაცილებით უფრო ძნელად და უფრო დაგვიანებით ხერხდება, ვიდრე მაშინ, როდესაც საქმე სიდიდეთა განსხვავებასთან გვაქვს: ტოლობის განწყობის ფიქსაციისათვის საჭირო ექსპოზიციათა მინიმუმი — 12-15 აღწევს, და ესეც საუკეთესო შემთხვევაში. ზოგჯერ ფიქსაცია მხოლოდ 25-30 ექსპოზიციის შემდეგ ხერხდება.

ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს ტოლობაზე შექმნილი განწყობის ჩაქრობის პროცესი! ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ჩვეულებრივი ცდების დროს, ჩაქრობის ფაზობრივ მიმდინარეობაში მნიშვნელოვან როლს კონტრასტის ილუზია ასრულებს — ფენომენი, რომლის შესაძლებლობაც ამ შემთხვევაში გამორიცხულია.

თუ ჩვეულებრივი ცდების შედეგებიდან კონტრასტულ ილუზიებს გამოვრიცხავთ, დარჩება ორი შესაძლებლობა: ასიმილაციური ილუზიები და ადეკვატური პასუხები. ტოლობის განწყობის ცდებშიც სწორედ ამ ორ შესაძლებლობას ვხვდებით. აქ ყველაზე ხშირია უსასრულო ასიმილაციური ილუზია, ან რამდენიმე ილუზია და შე-

მდეგ მკვეთრი გადასვლა ადეკვატურ აღქმაზე.

მაგრამ ეს არ არის რეაქციის ერთადერთი ტიპი. ამ ცდებში ვხვდებით სხვა შემთხვევებსაც. ცპ-ი არ იძლევა ილუზიათა უსასრულო რიგს, დრო და დრო თავს იჩენს ადეკვატური აღქმა, შემდეგ რეაქციების ასეთი მონაცვლეობა საბოლოოდ უთმობს ადგილს ადეკვატურ აღქმას. აქ საქმე ისეთ მოვლენასთან გვაქვს, რომელიც ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ჩვეულებრივი პროცესის მესამე ეტაპს მოგვაგონებს.

ამგვარად, ტოლობაზე ჩატარებულ ცდებში ფაზების ის სიუხვე არ გვაქვს, რომელიც განწყობის ჩვეულებრივ ცდებში გამოვლინდა, და ეს ცდების პირობების თავისებურებით უნდა იქნეს ახსნილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტოლობაზე შექმნილი განწყობა ერთბაშად, ყოველი თანდათანობითი გადასვლის გარეშე, ხდებოდეს. მესამე ფაზის არსებობა ამ შემთხვევაშიც ეჭვს გარეშეა. აღსანიშნავია, რომ ცდების მონაცემების მიხედვით, შედარებით უფრო მაღალია სტატიკური განწყობის, ე. ი. უსასრულო ილუზიის მაჩვენებელი (შემთხვევა 20%).

განსაკუთრებით საყურადღებოა ტოლობაზე ფიქსირებული განწყობის *სტაბილობის* საკითხი.

1) 15-20 წუთის შემდეგ ფიქსირებულმა განწყობამ თავი იჩინა შემთხვევათა 38%-ში (ცამეტიდან ხუთ ცპ-თან). ამასთანავე მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ 13 ცპ-დან 5-ს აღნიშნული პაუზის შემდეგ აღმოაჩნდა ძალიან სუსტი განწყობა: უკვე 1-4 ექსპოზიციის შემდეგ სამი ცპ-ის შემთხვევაში განწყობის მოქმედება სრულიად აღიკვეთა. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ტოლობაზე შექმნილი განწყობა დაბალი სტაბილობით ხასიათდება.

2) რაც შეეხება ასეთი ფიქსირებული განწყობის სტაბილობას უფრო ხანგრძლივი პაუზის პირობებში, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული მონაცემების მიხედვით, ერთი დღე-ღამის შემდეგ, ფიქსირებული განწყობა, ჩვეულებრივ აღარ იჩენს თავს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჩვენი ექსპერიმენტალური გამოკვლევების მთელი რიგი მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ გარკვეულ მასალაზე (მაგ. წრეებზე) ფიქსირებული განწყობა ყოველივე დაბრკოლების გარეშე ტრანსპონირდება (მაგ. კვადრატებზე), რომ ეს განწყობა, საერთოდ, გენერალიზირდება.

ჩვენ ვიცით, რომ განწყობის ჩვეულებრივ ცდებში განწყობის გენერალიზაციის ფაქტი იმდენად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომ ამის გარეშე განწყობის ცდების ნამდვილი არსის ნვდომა შე-

უძლებელია. რათა ნათელი გახდეს, რომ ტოლობის ცდებში — საქმე, არსებითად, ჩვეულებრივ ფიქსირებულ განწყობასთან გვაქვს, საგანგებოდ შევეხოთ ტოლობაზე შექმნილი განწყობის ტრანსპონირების ცდებს.

ცდები ჩატარდა იმ ცპ-ებთან, რომელთაც ტოლობის ფიქსირებული განწყობა გარკვეულად უმუშავდებათ. გენერალიზაციის ფაქტის შესამოწმებლად ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა წრეები და კვადრატები: საგანწყობო ცდაში ხდებოდა განწყობის ფიქსაცია ტოლ წრეებზე. კრიტიკულ ცდაში ცპ-ს ეძლეოდა უტოლო კვადრატები. ამგვარად მოწმდებოდა წრეების ტოლობაზე შექმნილი განწყობის კვადრატებზე გავრცელების შესაძლებლობა.

ცდების შედეგების მიხედვით გამოირკვა, რომ გენერალიზაციის მოვლენა აქაც უდავო ფაქტს წარმოადგენს: წრეების ტოლობაზე შექმნილი განწყობა ვრცელდება კვადრატებზე და პირიქითაც.

„დიდ-პატარას" მიმართებაზე შექმნილი განწყობის ცდებში გამოვლინებული ფაქტი ტოლობის ცდებშიც დადასტურება.

ამგვარად, ტოლობაზე დაყენებული ცდების საფუძველზე ირკვევა, რომ აქ არსებითად იმავე შედეგებს ვღებულობთ, რასაც განწყობის ჩვეულებრივ ცდებში ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში, არსებითად, განწყობის იმავე ცდებთან გვაქვს საქმე, ოღონდ სხვა საგანწყობო მასალაზე. ტოლობის განწყობის ცდები განსაკუთრებით იმ მხრივ წარმოადგენს ინტერესს, რომ აქ საკითხი იმის შესახებ ისმის, ვრცელდება თუ არა მეტ-ნაკლები სიდიდის მიმართებათა ცდებში მიღებული შედეგები ტოლობის მიმართებაზეც. თუ ასეთი გავრცელების შესაძლებლობა დადასტურდა და გამოირკვა, რომ ფიქსირებული განწყობის ცნების გამოყენება ტოლობის შემთხვევაშიც შესაძლებელია, ბუნებრივად დადგება საკითხი: ხომ არ შეიძლება ჩვენი ცდების მონაცემების გამოყენება რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის დასახასიათებლადაც: განსაზღვრული აზრით, ტოლობაც ხომ რომელობის კატეგორიას ეკუთვნის!

გადავიდეთ ამ საკითხის განხილვაზე.

2. ცდები რომელობითს განსხვავებულობაზე. ჩვენს ლაბორატორიაში რამდენიმე ცდა იყო ჩატარებული, რომელიც რომელობითს მიმართებაზე შექმნილი განწყობის შესასწავლად სათანადო მეთოდიკის შედგენას ისახავდა მიზნად[1]. განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი ცდა. ის პირდაპირ ეხება აქ დასმულ საკითხს.

---

[1] *ზ. ხოჯავა.* „განწყობის სიმტკიცე და ფაზური ხასიათი კითხვის ჩვეულის მოქმედებაში". ფსიქოლოგია, III, 1945, *ნ. ელიავას* ცდები რომელობითი განწყობის შესახებ.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ამ გამოკვლევაში გამოყენებული მეთოდის შესახებ გველაპარაკნა. ჩვენ ვნახეთ მაშინ, რომ ეს მეთოდი რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის შესასწავლად იყო აგებული და რომ ამისათვის ის სავსებით გამოსადეგი აღმოჩნდა. ახლა საშუალება გვეძლევა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ამ ცდებში მიღებული შედეგები.

ცდა მიმდინარეობდა შემდეგნაირად:

ცპ-ს ტაქისტოსკოპურად ლათინური შრიფტით დაწერილ სიტყვათა რიგები (სულ 30) ეძლეოდა — ხუთ-ხუთი სიტყვა თითოეულ რიგში, მაგ., почва, топор, рупор და ა.შ. ამის შემდეგ მას რუსულ სიტყვათა რიგებს (სულ 35 და მეტიც) ანოდებდნენ — რიგში ხუთ-ხუთს ნეიტრალური შრიფტით დაწერილ სიტყვას. ამ უკანასკნელი გარემოების გამო მათი წაკითხვა ლათინურადაც ხერხდებოდა და რუსულადაც. ლათინური შრიფტით დაწერილი სიტყვების რიგი გამოყენებული იყო საგანწყობოდ, ხოლო რუსულით — კრიტიკულად.

ამ მეთოდებით შესწავლილი იყო განწყობის *აგზნებადობის, სტაბილობისა* და *განსაკუთრებით* მისი *ჩაქრობის* საკითხი.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში, როგორც მოსალოდნელიც იყო, გარკვეულად ლათინურ სიტყვათა კითხვის განწყობის ფიქსაცია ხდება: სიტყვათა რიგების მიწოდებისას ცპ-ი განწყობილია იკითხოს ლათინურად, როდესაც ამის შემდეგ ტაქისტოსკოპში რუსულ სიტყვათა რიგი ჩნდება, ცპ-ი ამ სიტყვებსაც წინათ გამომუშავებული განწყობის მიხედვით, როგორც ლათინურად დაწერილ სიტყვებს კითხულობს. მაგ., მისთვის კარგად ცნობილ სიტყვას ტოპორ-ს იგი კითხულობს როგორც *მონოპ*-ს, პოჩვა-ს — როგორც *ნორბა*-ს და ა.შ.

ამ ცდების საფუძველზე შემდეგი ირკვევა: განწყობის ფიქსაცია შემთხვევათა 100%-ში ხდება — ე. ი. ყველა ცპ-ს ლათინურად კითხვის განწყობა შეუმუშავდა, რის გამო ისეთი რუსული სიტყვები, როგორიცაა топор, порча და სხვა, როგორც ლათინური სიტყვები იყო აღქმული, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ცპ-ბი მიხვდნენ, რომ მათ საქმე რუსულ სიტყვებთან ჰქონდათ. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ყველა ერთნაირად არ იქცეოდა, რუსულად კითხვას ზოგი ინყებდა უფრო ადრე, ზოგი უფრო გვიან — ერთი რუსულად კითხვაზე ერთბაშად გადადიოდა, მეორე კი — თანდათანობით.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი აქაც ეტაპებით მიმდინარეობს:

1) ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში შემდეგი: გა-

ნნყობის ჩვეულებრივი ცდების დროს დასაწყისში, როგორც წესი, კონტრასტული ილუზია იჩენს ხოლმე თავს. აქ კი სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე — კონტრასტის ილუზიის ნაცვლად ჩვეულებრივი ასიმილაციური ილუზია ჩნდება: ცპ-ი რუსულ სიტყვებს ისე კითხულობს, თითქოს ეს ლათინური სიტყვები იყოს.

ზევით ჩვენ სპეციალურად აღვნიშნეთ განნყობის რომელობითი ცდების ეს თავისებურება. ამაშია ერთადერთი განსხვავება ამ ცდებსა და განნყობის ჩვეულებრივ ცდებს შორის. უნდა ვიფიქროთ, ჩვენი თვალსაზრისი კონტრასტული ილუზიის შესახებ აქაც მართლდება: კონტრასტის მოვლენა ისეთი მოვლენაა, რომელიც ინტენსივობის კატეგორიის თავისებურებას წარმოადგენს: სინამდვილის რომელობითი სფერო კონტრასტს არ იცნობს.

2) განნყობის რეგრესული განვითარების მეორე საფეხური მდგომარეობს შემდეგში: პირველად თავს იჩენენ „შერეული ასიმილაციის" (ხოჯავა) შემთხვევები: ზოგი ასო იკითხება როგორც ლათინური, ზოგი — როგორც რუსული (მაგ. топор იკითხება როგორც *მოპორ* ან *მონორ*). მაგრამ ამგვარი „შერეული ასიმილაციის" შემთხვევები ნაკლები გვხვდება, ვიდრე ლათინურად კითხვის შემთხვევები.

ამრიგად, მეორე საფეხურის თავისებურებად უნდა ჩავთვალოთ კითხვა „შერეული ასიმილაციით". ცპ-თა რაოდენობა, რომელიც ამ ჯგუფს ეკუთვნის, ე. ი. შერეული ასიმილაციით კითხულობს, 60% აღწევს.

3) შერეული ასიმილაციის შემთხვევებს *რუსულად* და *ლათინურად* კითხვის შემთხვევები მისდევს. მაგრამ რუსულად, ე. ი. ადეკვატურად, კითხვის შემთხვევა შედარებით იშვიათია. ამგვარი მდგომარეობის შემთხვევაში ჩვენ რეგრესული განვითარების *მესამე საფეხურის* შესახებ ვლაპარაკობთ. კითხვის ეს ეტაპი შედარებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე რეგრესული განვითარების მეორე საფეხურის შემთხვევები: მესამე საფეხური დამახასიათებელია ცპ-თა 73,3%-ისათვის, მაშინ როდესაც მეორე საფეხური შემთხვევათა 60%-ში გვხვდება.

4) შემდეგ ეტაპზე ასეთი სურათი გვაქვს: IV საფეხურზე რუსულად კითხვა ჭარბობს: V საფეხურზე — ლათინურად კითხვის შემთხვევებს სწრაფი კორექცია და სიტყვის ადეკვატური კითხვა (30%) მისდევს და ბოლოს, IV საფეხურზე შემდეგი ხდება: ცპ-ი, ამჟღავნებს ტენდენციას რუსული სიტყვის, როგორც ლათინურის, აპერცეფცია მოახდინოს, მაგრამ სწრაფად სძლევს ამ უნებლიე აპერცეფციას და რუსული სიტყვის რუსულად წაკითხვას (შემთხვევათა 40%) ახერხებს.

რომ დავუკვირდეთ განწყობის რეგრესული განვითარების ამ ეტაპებს, ნათელი გახდება, რომ აქ არსებითად საქმე გვაქვს — ყოველ შემთხვევაში პრაქტიკულად — არა ექვს, არამედ მხოლოდ სამ ეტაპთან. საქმე იმაშია, რომ ოთხი უკანასკნელი საფეხური არსებითად განწყობის რეგრესული განვითარების ერთს — მესამე — საფეხურს წარმოადგენს. ამ საფეხურის თავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ რუსულად, ე. ი. ადეკვატურად, კითხვა ჭარბობს ლათინურად კითხვის შემთხვევებს. ამის შემდეგ ხდება ფიქსირებული განწყობის სრული ლიკვიდაცია — ე. ი. შეცდომებით კითხვის შეწყვეტა.

თუ დავუშვებთ, რომ განწყობის რეგრესული განვითარება ამ სამ ძირითად ეტაპს წარმოადგენს, ნათელი გახდება, რამდენად ღრმა ანალოგია არსებობს განწყობის ორს სხვადასხვა — რაოდენობრივსა და რომელობითს კატეგორიას შორის, — ნათელი გახდება ის გარემოება, რომ განწყობის მექანიზმი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ეს დებულება ძალაში რჩევა განწყობის ჩვეულებრივ ცდებში გამოვლინებულ მთელ რიგ თავისებურებათა მიმართაც.

1) მართლაც, რამდენად შეიძლება ლაპარაკი განწყობის *სიმტკიცის* შესახებ, როდესაც საქმე რომელობითს კატეგორიას ეხება?

ჩვენ ვიცით, რომ განწყობის სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ განწყობას შეუფერებელი გამღიზიანებლის ზემოქმედებისათვის წინააღმდეგობის განევა და თავისი თავის მეტ-ნაკლებად ხელშეუხებლად შენარჩუნება შეუძლია. თავისთავად ცხადია, განწყობის ეს თვისება პირველ რიგში რეგრესული განვითარების პირველი ეტაპის ხანგრძლივობაში ვლინდება — იმ ეტაპის ხანგრძლივობაში, რომელიც მის ასიმილაციურ უნარს გამოსახავს. მაშასადამე, განწყობის სიმტკიცის ხარისხის შესამოწმებლად და გასაზომად კრიტიკულ ექსპოზიციათა იმ რაოდენობის დადგენაა საჭირო, რომელიც თითოეულ ცალკე შემთხვევაში განწყობის სრული ლიკვიდაციისათვისაა აუცილებელი. ცდების სათანადო მონაცემების მიხედვით აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განწყობის ასიმილაციური გავლენა მხოლოდ 5-7 კრიტიკული სიტყვის ნაკითხვისას იჩენს თავს, საქმე *ზუსტ* განწყობასთან გვაქვს (26,9% ცპ-ების მთელი რაოდენობიდან); 8 სიტყვის შემთხვევაში სიმტკიცის *საშუალო* ხარისხი (55,2%) გვაქვს; და ბოლოს, ასიმილაციური კითხვის 12 სიტყვა სიმტკიცის *მაღალი* ხარისხის მაჩვენებელს წარმოადგენს (16,7%).

ვნახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს აქ სხვა მხრივ — რამდენი საგანწყობო ექსპოზიციაა საჭირო ფიქსირებული განწყობის საკმარისი სიმტკიცით გამოსამუშავებლად?

ცდების მონაცემების მიხედვით, განწყობის სიმტკიცე ამ შემთხვევაშიც საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობაზეა დამოკიდებული, ასე რომ, რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის ცდები არც ამ მხრივ განსხვავდებიან განწყობის ჩვეულებრივი ცდებისაგან. გამოირკვა, რომ ხუთი საგანწყობო სიტყვის შემდეგ ასიმილაციური გავლენა 1-2 სიტყვაზე ვრცელდება, 15 საგანწყობო სიტყვის შემდეგ ასიმილირდება 4-5, ხოლო 30-ის შემდეგ — 5-10 სიტყვა.

2) რაც შეეხება რომელობითი განწყობის *აგზნებადობის საკითხს*, აღმოჩნდა, რომ შესაფერ პირობებში ამ განწყობის აგზნებადობის გაზომვაც ხერხდება. ამ მხრივ ირკვევა, ჯერ ერთი, რომ აგზნებადობა ამ შემთხვევაში ინტერინდივიდუალურად ცვალებადია; მაშინ, როდესაც ერთისათვის საკმარისია ერთი ლათინური სიტყვა, რომ მომდევნო რუსული სიტყვის ასიმილაცია მოხდეს, მეორეს ამისათვის საგანწყობო სიტყვების შედარებით დიდი რაოდენობა სჭირდება. ამრიგად, რომელობითი განწყობის აგზნებადობა ინტერინდივიდუალურად ვარიაბილურ სიდიდეს წარმოადგენს.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობა, რაოდენობრივი მიმართების განწყობასთან შედარებით, გაცილებით უფრო მაღალი აგზნებადობით ხასიათდება; მაშინ, როდესაც ერთი ლათინური სიტყვა უკვე საკმარისია შესატყვისი განწყობის ფიქსაციისათვის (შემთხვევათა 80%-ში), რაოდენობრივი მიმართების შემთხვევაში ოპტიკურ სფეროში მხოლოდ ოთხი განმეორების შემდეგ ჩნდება ფიქსაციის პირველი ნიშნები და ისიც ძალიან ვიწრო ფარგლებში (შემთხვევათა 29,5%-ში).

ბოლოს, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ ცდებში შესაძლებელი აღმოჩნდა განწყობის სტაბილობის კვლევაც.

გამოირკვა შემდეგი:

1) განწყობას ერთი დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებს ცპ-თა 100%. მეორე დღისათვის განწყობა ცპ-თა 60%-ს შერჩა, უფრო ხანგრძლივი ინტერვალების, მაგ., ერთი თვის განმავლობაში განწყობა ძალაში დარჩა ცპ-თა 25%-თან.

ამრიგად, რაც უფრო გრძელდება ინტერვალი საგანწყობოსა და კრიტიკულ ცდას შორის, მით უფრო ნაკლებია იმ ცპ-თა რაოდენობა, რომელსაც ფიქსირებული განწყობა რჩება. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ფაქტი გვაინტერესებს — თავისთავად ფაქტი, რომ განწყობის დროში გამძლეობა შესაძლებელი აღმოჩნდა.

2) აღსანიშნავია, რომ საგანწყობოსა და კრიტიკულ ცდას შორის ინტერვალის გადიდებასთან დაკავშირებით, განწყობა თანდათან კა-

რგავს თავის პლასტიკურ ხასიათს: ერთი დღის შემდეგ თავს იჩენს რეგრესული განვითარების სამივე ფაზა (I – 40%, II – 10% და III – 10%), ერთი თვის შემდეგ კი განწყობას სრულიად ეკარგება პლასტიკურობა – იგი განვითარების პირველ ეტაპზე რჩება.

3) განწყობის სტაბილობის საკითხთან დაკავშირებით, კიდევ ერთი გარემოება არის აღსანიშნავი: ერთი დღის ინტერვალის შემდეგ ერთი ცპ-ი ლათინურად კითხულობს ზედიზედ 8 რუსულ სიტყვას, დანარჩენი სამი ცპ-ი 4-5 სიტყვას. ერთი თვის ინტერვალის შემდეგ კი მაჩვენებლები გაცილებით უფრო დაბალია; ერთი ცპ-ი ლათინურად მხოლოდ პირველს სამ კრიტიკულ სიტყვას კითხულობს, დანარჩენი ორი – ორ-ორს.

ამრიგად, მიღებული მონაცემებიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: „ლათინურისადმი ერთხელ შექმნილი განწყობა განაგრძობს არსებობას განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგრამ ისე, რომ ამ დროითი ინტერვალის გადიდების კვალობაზე მისი მოქმედებაც კანონზომიერად სუსტდება, რაც თავს იჩენს არა მარტო მისი საერთო მასობრივი გავრცელებულობის შემცირებაში, არამედ ამასთანავე ერთად სიმტკიცისა და ფაზური მოქმედების შესუსტებაშიც"[1].

3. **რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის თავისებურებები.** რა თავისებურება იჩენს თავს რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის ჩაქრობის პროცესში?

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სრულებით არ ვხვდებით განწყობის ჩაქრობის პირველ ეტაპს – არ იჩენს თავს კონტრასტის ილუზია, რომელიც, როგორც ვნახეთ, რაოდენობრივ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ქრობის დასაწყისი სტადიისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. ამის ნაცვლად აქ თავიდანვე ასიმილაციის ილუზიასთან გვაქვს საქმე, როგორც ფიქსირებული განწყობის ზემოქმედების უშუალო ეფექტთან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კონტრასტი მხოლოდ რაოდენობრივ მიმართებათა აღქმისათვისაა სპეციფიკური, რომ რომელობითი თვისებებისათვის, პირიქით, ურთიერთმიმართების მრავალმხრივობაა დამახასიათებელი.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ კონტრასტის მოვლენა – რაოდენობრივი მიმართების თავისებურებით პირობადებული მოვლენა – არ წარმოადგენს თვით განწყობის სპეციფიკუმს; იგი განწყობის ბუნებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მხოლოდ მასალის თავისებურ ნიადაგზე აღმოცენდება.

---

[1] **ზ. ბოჯანა.** 8. Op. cit.

ამიტომ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განწყობის ჩაქრობის პროცესი, გამოაშკარავებული რაოდენობრივი მასალის შემთხვევაში, არ წარმოადგენს განწყობის სპეციფიკუმს საერთოდ; რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის ჩაქრობის პროცესი არ შეიცავს კონტრასტის ილუზიათა ეტაპს, ეტაპს, რომელიც თვით განწყობის თვისებით კი არ არის გამოწვეული, არამედ პირობადებულია რაოდენობითი მიმართების თავისებურებით.

რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის ჩაქრობის პროცესი გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ეს რაოდენობრივ მიმართებაზე შექმნილი განწყობის შემთხვევაში წარმოებულ დაკვირვებათა საფუძველზეა მოსალოდნელი. თუ გამოვრიცხავთ კონტრასტულ ილუზიათა საფეხურს, ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი შემდეგ სახეს მიიღებს:

1) დასაწყისში საქმე გვექნება ასიმილაციის ილუზიებთან; რუსული სიტყვები აქ ლათინურად იკითხება; 2) ამას მოსდევს ასიმილაციის ილუზიების და ადეკვატური აღქმის შერევის საფეხური: მაგ., თუ ცპ-ს ლათინურად კითხვის განწყობა აქვს ფიქსირებული, იგი სიტყვა чурек-ს როგორც ჩუპეკს კითხულობს, ე. ი. შერეულად — ნაწილობრივ რუსულად, ნაწილობრივ ლათინურად. ეს არის „შერეული კითხვის საფეხური" (ამ კერძო შემთხვევაში ცპ-ი მესამე ასოს როგორც ლათინურს კითხულობს, დანარჩენს კი რუსულად); 3) ამას მოსდევს არსებითად უკანასკნელი საფეხური — რუსულად კითხვის საფეხური.

ეჭვს გარეშეა, რომ რაოდენობრივ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე იგივე პროცესი რომელობითი მასალის შემთხვევაში. სამაგიეროდ, რომელობითს მასალაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში აღმოჩნდა საფეხური, რომელიც სრულიად არ გვხვდება რაოდენობრივი მიმართების ცდებში. მხედველობაში გვაქვს მეორე — „შერეული ასიმილაციის" — საფეხური, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცპ-ი ერთსა და იმავე სიტყვას ნაწილობრივ რუსულად და ნაწილობრივ ლათინურად კითხულობს. იგივე საფეხური რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის სხვა ცდებშიც იჩენს თავს; ასე მაგ., ჩვენი თანამშრომლის *ნ. ელიავას* ექსპერიმენტში განწყობის გარკვეული შინაარსის სურათზე ფიქსაციის შედეგად, ცპ-ი კრიტიკულ ცდებში ექსპონირებულ ახალ სურათს ისეთივე შერეული ასიმილაციის საფუძველზე აღიქვამს, როგორიც ლათინურად კითხვის ცდებში დადასტურდა: იგი ხედავს სურათს, რომელიც არა მხოლოდ კრიტიკულის, არამედ საგანწყობო სურათის ნიშნებსაც შეიცავს.

მოკლედ, რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის ცდებში ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ისეთი თავისებური საფეხური ვლინდება, რომელიც კრიტიკულ და საგანწყობო ობიექტთა ნიშნების, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეჯამებულ ასიმილაციის ეფექტს წარმოადგენს.

არაფერი ამის მსგავსი არ გვაქვს რაოდენობრივი მიმართების ცდებში. აქ სულ სხვანაირ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: აქ კონტრასტული ილუზიების ეტაპს ასიმილაციურ ან ადეკვატურ აღქმასთან შერეული ილუზიების ეტაპი მისდევს, და ეს მანამდე გრძელება, სანამ ძალაში სავსებით ადეკვატური ჩვენებების ეტაპი არ შევა. აქ თითოეულ ცალკე შემთხვევაში თავს იჩენს ან ტოლობის ან უტოლობის („მეტი", „ნაკლები") მიმართება. სხვა ჩვენება აქ არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან რაოდენობრივი მიმართების წევრები ერთმანეთს გამორიცხავენ: შეუძლებელია, რელაციის წევრები ერთდროულად ტოლიც იყვნენ და არატოლიც.

სულ სხვა საქმე გვაქვს რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის შემთხვევაში. აქ სულ სხვა მდგომარეობაა. ზევით ვნახეთ, რომ ფიქსირებული განწყობის რეგრესული განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ძალაში შედის ილუზიის სპეციფიკური ფორმა, რომელიც იმ ორი განწყობისეული მდგომარეობის აქტივობის, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურ გამოვლინებას წარმოადგენს, რომელთაგანაც ერთი საგანწყობო ცდების პროცესში აღმოცენდა, ხოლო მეორე კრიტიკული ცდების ზემოქმედებას შეესატყვისება. ასე, მაგ., როდესაც ცპ-ს კრიტიკულ ცდაში რუსული სიტყვა чурек ეძლევა, ის კითხულობს მას, როგორც ჩუპეკ-ს, რუსულ **р**-ს იგი აღიქვამს, როგორც ლათინურ **p**-ს. იგივე მოვლენა იჩენს თავს საკმარისად ხშირად, რომელობითს მასალაზე შექმნილი განწყობის სხვა ცდებშიც[1]. მაგ. ცპ-ი აღიქვამს კრიტიკულ ცდაში ექსპონირებულ სურათს, როგორც ახალ ხატს, რომელიც როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკული სურათის ელემენტებს შეიცავს.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ახალი ხატი, — რომელიც თითქოს ორი სხვადასხვა განწყობის ერთდროული მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს? თუ გავიხსენებთ, რომ ყოველივე განწყობა პიროვნების მთლიანობითს მდგომარეობას წარმოადგენს, მაშინ ნათელი გახდება, რომ ნაწარმოებ შედეგზე, რომელიც თითქოს ორი დამოუკიდებლად მოქმედი განწყობის ცალკე მომენტების ნარევს წარმოადგენს, ლაპარაკიც არ შეიძლება.

---

[1] შეად. განსაკუთრებით *ნ. ელიავას* შედეგები.

მაშ როგორ უნდა გავიგოთ ეს მოვლენა? ტექსტის კითხვის ცდებში თავს იჩენს ერთი თავისებური მომენტი, რომელიც სავსებით აშკარად მხოლოდ ამ ცდებში ვლინდება, მაგრამ რომელსაც, მიუხედავად ამისა, მაინც ზოგადი მნიშვნელობა აქვს. მხედველობაში მაქვს შემდეგი გარემოება: როდესაც ცპ-ს ლათინურ სიტყვათა მრავალგზისი საგანნყობო ექსპოზიციების შემდეგ, წასაკითხად რუსული სიტყვა чурек ეძლევა, და იგი მას როგორც ჩუპეკ-ს კითხულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამ სიტყვას როგორც გარკვეულ რუსულ სიტყვას როდი აღიქვამს — მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასოს, გარდა ერთისა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პირველ ორს მაინც ის რუსულად კითხულობს. შეერთება ასოებისა (ч-у-р-е-к), რომელიც მას თვალნინ აქვს, არ შეადგენს მისთვის ნამდვილ სიტყვას, იმიტომ რომ ეს სიტყვა პირველ რიგში ბგერათა მოცემული კომპლექსის *მნიშვნელობას* წარმოადგენს. ხოლო როცა ასეთი მნიშვნელობა, როგორც ამ შემთხვევაში, არა გვაქვს ან როცა სუბიექტი ვერ ხედავს მას, მაშინ სიტყვა ბგერათა უბრალო კომპლექსად იშლება, ბგერათა კომპლექსად, რომელთაც არსებითად სრულიად არაფერი არ აერთებს. ამიტომ გასაგებია, რომ ასეთ პირობებში თითოეული ცალკე ასო სრულიად დამოუკიდებელ ერთეულად იქცევა, რომელიც შეიძლება წაკითხულ იქნეს ერთი ან მეორე შრიფტის მიხედვით, ისე რომ ამით არაფერი დაირღვეს, გარდა გარკვეული შრიფტით კითხვის განნყობისა. მაგრამ თუ ამ უკანასკნელს ყოველ ცალკე შემთხვევაში მნიშვნელობის აღქმამ ვერ უშველა, მაშინ იგი თანდათან დაკარგავს მოქმედების ძალას და თავის ადგილს სხვა განნყობას დაუთმობს, რომელიც ამა თუ იმ ვითარების გამო წინა პლანზე ნამოიწევს.

მოკლედ: როდესაც ასოების კომპლექსს მისი მნიშვნელობის გარეშე ვკითხულობთ, მაშინ რაიმე გარკვეულ ენაზე კითხვისათვის საფუძველი არ რჩება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში, ადვილად შეიძლება ასოების კომპლექსები ისეთ ცალკეულ ერთეულად დაიშალონ, რომ ზოგი როგორც ერთი ანბანის ასო იქნეს აღქმული და ზოგი კიდევ როგორც მეორე ანბანისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში სრულიად არა გვაქვს საქმე განნყობის იმ გაორებასთან, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

მაგრამ როგორი მდგომარეობა გვაქვს სხვა შემთხვევაში, მაგალ., სურათების ცდების შემთხვევაში? როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ცპ-ები, საგანნყობო სურათის ექსპოზიციების შემდეგ, ახალ კრიტიკულ ცდებში ექსპონირებულ სურათს, როგორც რთულ ხატს აღიქვამენ,

რომელიც საგანწყობო სურათის ელემენტთა გვერდით კრიტიკული სურათის ელემენტებსაც შეიცავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში, სწორედ იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რასთანაც ლათინური შრიფტით კითხვის ცდებში გვქონდა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ, როდესაც ერთ შემთხვევაში საქმე ასოების კომპლექსთან გვაქვს, ამ უკანასკნელი მნიშვნელობის გარეშე, მეორე შემთხვევაში — ნახატთან, რომელიც რისამე სურათს წარმოადგენს და ამიტომ, როგორც აზრის მქონე მთლიანი უნდა იქნეს აღძრული. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩვენ უაზრო ხაზებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ სურათთან, რომელიც რაღაცას განასახიერებს. ამიტომაა, რომ ამ ცდებში ჩვენ არ ვხედებით იმ შედეგების ზუსტ განმეორებას, რომლებმაც კითხვის ცდებში იჩინეს თავი.

მაგრამ, განა ნიშნავს ეს იმას, რომ სურათების ცდებში იძულებული ვართ ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი განწყობის ერთდროული არსებობის ფაქტი ვაღიაროთ?

თუ სათანადო შემთხვევებს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, როდესაც კრიტიკულ ცდებში სურათს ვხედავთ, რომელშიც თითქოს საგანწყობოსი და კრიტიკული სურათის ობიექტთა თვისებებია შეჯამებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მართლა შეჯამებულ სურათთან გვქონდეს საქმე. პირიქით, აღქმული სურათი ერთიანს, სავსებით მთლიან ხატს წარმოადგენს, ხატს, რომელიც არავითარ შემთხვევაში საგანწყობოსი და კრიტიკული სურათის შეჯამებულ გამოხატულებად არ ჩაითვლება.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ცდებში მიღებულ შედეგებს, ნათელი გახდება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთლიან, თავისთავადს ხატთან, რომელშიც ანალიზის შედეგად შეიძლება საგანწყობო სურათის ელემენტებიც გავარჩიოთ. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ კრიტიკულ ცდებში საქმე ორი სხვადასხვა განწყობის ერთდროულ აქტივობასთან კი არა გვაქვს, არამედ სპეციფიკური განწყობის ფაქტთან, რომელიც კრიტიკულ ცდებში ექსპონირებული სურათის აღქმას უდევს საფუძვლად.

დასკვნა

ასეთია ძირითადი ცნობები, რომელიც ამჟამად განწყობის შესახებ მოგვეპოვება. რას გვეუბნება ეს ცნობები?

პირველი, უმთავრესი დებულება ასეთია: ცნობიერი ფსიქიკური

პროცესების აღმოცენებას უდავოდ წინ უსწრებს მდგომარეობა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

ამ პროცესს ჩვენ *განწყობას* ვუწოდებთ — გარკვეული აქტივობისაკენ მიმართულს მზაობას, რომელიც ჯერჯერობით შესწავლილი არსად არ ყოფილა.

იმისათვის, რომ განწყობა აღმოცენდეს, ცოცხალ ორგანიზმს რაიმე ობიექტურად დასაბუთებული *მოთხოვნილება* უნდა გაუჩნდეს, და ის შესატყვის ობიექტურ *სიტუაციაში* უნდა იყოს მოქცეული. ეს განწყობის აღმოცენების ორი აუცილებელი და სრულიად საკმარისი პირობაა: მოთხოვნილებისა და ობიექტური სიტუაციის გარეშე არავითარი ქცევის განწყობა არ შეიძლება გაჩნდეს, და არ არსებობს შემთხვევა, რომ განწყობის აღმოსაცენებლად დამატებით კიდევ სხვა რამ პირობა იყოს საჭირო.

განწყობა პირველადი, მთლიანი უდიფერენციაციო მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის დაპირისპირების საჭიროება ჯერ კიდევ არ განიცდება. ის არაა ლოკალური პროცესი; პირიქით, მისთვის ირადიაციისა და გენერალიზაციის მდგომარეობაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, რაკი განწყობის ექსპერიმენტული კვლევა მაინც ხერხდება, მისი მრავალმხრივ შესწავლისა და დახასიათების შესაძლებლობა ჩნდება.

სახელდობრ, ირკვევა, რომ განწყობა, ჩვეულებრივ, პირველად *დიფუზური* სახით იჩენს თავს, და მის ჩამოსაყალიბებლად სიტუაციის განმეორებითი ზემოქმედება ხდება ხოლმე საჭირო. განსაზღვრულ საფეხურზე, შემდგომი ზემოქმედების შედეგად, განწყობა ფიქსირდება, და ამიერიდან მის *ფიქსირებულ* ფორმასთან გვაქვს საქმე.

განწყობა როგორც რაოდენობრივის, ისე რომელობითი თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებაზე მუშავდება, მაგრამ არსებითი განსვლა განწყობის ამ ორ სახეობას შორის, შეიძლება ითქვას, არ დასტურდება. მოქმედების კანონზომიერება ორსავე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია.

ეს კანონზომიერება სხვადასხვა მიმართულებით იჩენს ხოლმე თავს და სხვადასხვა მხრივ ახასიათებს განწყობის მდგომარეობას. ჩვენ ვნახეთ, რომ განწყობის ფიქსაცია ისე როგორც მისი დიფერენციაციაც სხვადასხვა სისწრაფით ხდება (განწყობის *აგზნებადობა*). ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი გარკვეული წესზომიერებით მიმდინარეობს — იგი რამდენიმე

საფეხურს გაივლის, სანამ ლიკვიდაციის მდგომარეობას მიაღწევდეს. მაგრამ აქ ინდივიდუალური განსხვავებულებაც იჩენს თავს — განწყობის ლიკვიდაციის მეტნაკლებობის ასპექტით, *სტატიკური*, ან *დინამიკური* განწყობა ჩნდება, ხოლო მისი მეტნაკლები თანდათანობის თვალსაზრისით — *პლასტიკური* ან *ტლანქი*. საგულისხმოა აგრეთვე, რომ განწყობის ფიქსაციის გამძლეობაც განსხვავებულია — იგი ან უფრო *სტაბილურია*, ან უფრო *ლაბილური* — ისე, როგორც მისი ტიპოლოგიური სიმტკიცეც თითოეული სუბიექტისათვის — იგი *კონსტანტურია* ან *ვარიაბილური* და ა. შ.

ერთი სიტყვით, განწყობა სხვადასხვა მხრივ შეიძლება დახასიათდეს, მისი თავისებურება სხვადასხვა მხრივ გამოვლინდეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, მთელი სფერო აქვს აქტივობისა, რომელიც წინ უსწრებს მის ჩვეულებრივს ცნობიერ ფსიქიკურ ცხოვრებას და რომლის შესწავლაც სრულიად განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ამიტომ უეჭველია, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის გაგებაზე ლაპარაკი ფუჭი იქნებოდა, თუ ეს უდავო ფაქტი მხედველობის გარეშე იქნებოდა დატოვებული.

ამჟამად ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანა დგება: რა უნდა ითქვას განწყობის შესახებ ცხოველის შემთხვევაში და, თუ აღმოჩნდა, რომ იგი ამა თუ იმ სახით, თუ ფორმით ცხოველთანაცაა წარმოდგენილი, რა სახისაა იგი ადამიანთან?

თავი II

განწყობა ცხოველთან

I. ცხოველთა განწყობის პროგლემისათვის

ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანთან განწყობის აღმოცენების ძირითად პირობას მისი რომელიმე მოთხოვნილების აქტუალობა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია წარმოადგენს. რაც შეეხება სხვას, ამისათვის აუცილებელ პირობებს, ისინი ორგანიზმის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ — ორგანიზმის სტრუქტურაში, რომელიც ამ მოთხოვნილების არა მხოლოდ აღმოცენების, არამედ დაკმაყოფილების პირობებსაც იძლევა. რამდენადაც აქ, ე. ი. განწყობის, *როგორც ასეთის,* აღმოცენების პროცესში არაფერია ისეთი, რაც მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელს, მისთვის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენდეს, ბუნებრივად ისმის საკითხი, რომ არ შეიძლება ცხოველებთანაც განწყობის აქტივაციის შესახებ ვილაპარაკოთ.

არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოთხოვნილებისა და სიტუაციის ბაზაზე შესატყვისი აქტივობის განწყობა მხოლოდ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს. პირიქით, რამდენადაც ცნობიერება, რომელსაც მოკლებულია ცხოველი, ეგოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია, განწყობას როგორც ასეთს, განსაკუთრებით დიდი, *უშუალო* მნიშვნელობა სწორედ ცხოველებთან ჰქონდეს.

რათა დავრწმუნდეთ, რომ განწყობა ცხოველის შემთხვევაშიც უდავო ფაქტს წარმოადგენს, მივმართოთ ჩვენს ჩვეულებრივ ექსპერიმენტს.

ჩვენ საკმარისად მდიდარი გამოცდილება გვაქვს ადმიანთა განწყობის ექსპერიმენტალური შესწავლის საქმეში. ვისარგებლოთ ამით და ვცადოთ ცხოველის განწყობის საკვლევადაც ჩვეულებრივი ცდებისდაგვარი მეთოდიკა შევადგინოთ.

მართალია, ჩვეულებრივ ცდებში ჩვენს ცპ-ებთან მეტყველების ფა-

ქტი იგულისხმება, მაგრამ ამ გარემოებას აქ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, და მეტყველების გამორიცხვით შედეგების ღირებულება არ დაირღვევა. სამაგიეროდ, ამ ახალი ექსპერიმენტების შედეგად ჩვენ მივიღებთ მასალას, რომელიც არა მხოლოდ იმისათვის გამოგვადგება, რომ გადავწყვიტოთ საკითხი ცხოველთან განწყობის ფაქტის არსებობის შესახებ, არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ ცხოველის განწყობა იმას შევადაროთ, რაც უკვე ვიცით ამ მხრივ ადამიანის შესახებ.

დღესდღეობით საშუალება გვაქვს განვიხილოთ განწყობის საკითხი ფრინველებთან (კერძოდ შინაურ ქათმებთან), თეთრ ვირთაგვებთან, და ბოლოს, მაიმუნებთანაც. მეთოდიკა ყველა ამ შემთხვევაში ძირითადად ერთიდაიგივე რჩება, თუმცა მასში შეტანილია ზოგიერთი ისეთი ცვლილებაც, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში და რა ცხოველთან ტარდება ეს ცდები. აქ ჩვენ შევჩერდებით არა მხოლოდ თითოეულ ცალკე შემთხვევაში მიღებულ შედეგებზე, არამედ აგრეთვე ცდების დაყენების წესზეც.

ყველაზე ადრე ცხოველის ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტალური გამოკვლევა ჩატარებულ იქნა უდაბლეს მაიმუნებზე *ნ. ეოიტონისის* მიერ[1]. ამ ექსპერიმენტების საფუძველზე ავტორმა დადებითი შედეგები მიიღო, მიუხედავად ამისა, ჩვენ აქ მათზე არ შევჩერდებით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს გამოკვლევა ჩვენი ლაბორატორიის გარეთ იყო ჩატარებული და, გარდა ამისა, ის გამოყენებულია ავტორის მიერ არა სპეციალური საკითხის გადასაჭრელად, რომელიც აქ გვაინტერესებს, არამედ უფრო ფართო ფარგლებში დაყენებული საკითხისათვის.

აქ უფრო დაწვრილებით იმ გამოკვლევებს განვიხილავთ, რომელიც ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით იყო შესრულებული.

II. ფრინველზე ჩატარებული ცდები

1. **საკითხის დაყენება.** პირველ რიგში საკითხი შინაური ქათმის შესახებ დაისვა[2]. აქვს ქათამს განწყობისეული მდგომარეობის მსგავსი რამ, თუ არა, და თუ აქვს, რამდენად შესაძლებელია მისი ფიქსაცია და როგორია მისი მიმდინარეობა?

2. **მეთოდიკა.** ამ საკითხების გადასაჭრელად შემდეგი ცდა იქნა დაყენებული.

---

[1] Н. *Войтонис*. Форма проявления установки у животных и особенно у обезьян. ფსიქოლოგია. III. 1944.

[2] *ნ. ჯრელაშვილი*. განწყობის ილუზიები ქათმებთან. ფსიქოლოგია. IV. 1947. გვ. 245-269.

ქათამს ეძლევა დაფაზე დაყრილი საკენკი — ხორბლის მარცვლები. დაფა ორი თანაბარი ნაწილისაგან შედგება — ერთი მუქია, მეორე უფრო ნათელი. მარცვლები დაფის ნათელ ნახევარზე ისეა დაწებებული, რომ მათი აკენკვა არ შეიძლებოდეს. პირიქით, მეორე — მუქ ნახევარზე — ამას წინ არაფერი ეღობება. დაფის ექსპოზიცია მცირე ხნით ხდება, ისე რომ ქათამს ორჯერ-სამჯერ შეუძლია მოასწროს აკენკვა. შემდეგ დაფას იღებენ და ქათამი მას ველარ ხედავს. ეს ცდა რამდენჯერმე მეორდება (ე. წ. საგანწყობო ცდები), რის შემდეგაც კრიტიკული ცდა წარმოებს: ქათამს იგივე დაფა ეძლევა, ოღონდ ერთფეროვანი, და საკენკი ორივე დაფაზე თავისუფლადაა დაყრილი. სად დაიწყებს ქათამი აკენკვას — დაფის მარჯვენა, თუ მარცხენა ნახევარზე, ეს საგანწყობო ცდებზეა დამოკიდებული.

3. განწყობის საკითხი ფრინველთან. ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადასტურდა განწყობის ფაქტი ქათამთან და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ განწყობის ფიქსაცია ამ შემთხვევაში მეტი თუ ნაკლები სიმტკიცით ხდება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ აქ საქმე გვაქვს განწყობის ფიქსაციის ზოგიერთ ისეთ თავისებურებასთან, რომელიც სწორედ ამ ცდების პირობებისათვისაა დამახასიათებელი. სახელდობრ: როგორც ადამიანებთან ჩატარებულ ცდებში გამოირკვა, განწყობის ფიქსაცია არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: როგორც წესი, იქ ორი-სამი ექსპოზიციაც საკმარისია, რათა ფიქსაციის ქვედა ზღურბლი იქნეს გადალახული. ქათმებთან ამისათვის საგანწყობო ექსპოზიციათა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა აღმოჩნდა საჭირო.

ცხადად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში უდავოდ თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეტყობა, განწყობის ფიქსაციის სიძნელე აქ, პირველ რიგში, მისი დიფერენციაციის სიძნელეზეა დამოკიდებული. საგანწყობო ექსპოზიციების დროს რომ ქათმის განწყობის ფიქსაცია მოხერხდეს, წინასწარ მისი დიფერენციაცია უნდა მოხდეს. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ, მართალია, განწყობის ფიქსაცია ქათმებთან უეჭველი ფაქტია, მაგრამ აქ ეს ფიქსაცია შესამჩნევად იგვიანებს, რაც, როგორც ჩანს, ქათმის განწყობის დიფერენციაციის სიძნელეზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ დიფერენციაციის დასრულებისათვის ექსპოზიციათა შედარებით დიდი რაოდენობა უნდა იყოს საჭირო.

ამ ცდების შემდგომი ანალიზი ნათელყოფს განწყობის კიდევ ერთს თავისებურებას. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანებთან ჩატარებულს კვანტიტატურ ცდებში კონტრასტული ილუზიები ჭარბობენ,

და ასიმილაციური ილუზია შედარებით იშვიათად იჩენს თავს. ქათმებთან ცდების დროს თითქმის სხვა მდგომარეობა გვაქვს. აქ მეტწილად ასიმილაციური ილუზია ჭარბობს, და მისი აღმოცენების პირობები აქ უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ადამიანებთან ჩატარებულ ცდებში. ასე, მაგალითად, ერთს ჩვენს ქათამთან (ქათამი I) ამ ილუზიების რიცხვი 85% აღწევს. მაჩვენებელი გარკვეულად მაღალია, თუ შევადარებთ ანალოგიურ მონაცემებს ადამიანებთან. გარდა ამისა, ადამიანთა შემთხვევაში ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ილუზია გარკვეულ პირობებში ჩნდება, სახელდობრ მაშინ, როდესაც საგანნყობო ობიექტები მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ან უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც განნყობის ფიქსაცია ჯერ არაა დასრულებული. ეს გარემოება, რომელიც პირველად ადამიანის ფიქსირებული განნყობის კვლევის შედეგად იქნა დადგენილი, ქათმებზე დაყენებულ ცდებში გაცილებით უფრო ხშირად იჩენს თავს.

რაც შეეხება კონტრასტის ილუზიას, აქაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ამ შემთხვევაში სნორედ განნყობასთან გვაქვს საქმე, განნყობასთან, რომელსაც პირველად ადამიანთან შევხვდით. როგორც წესი, რაც უფრო მტკიცეა ფიქსირებული განნყობა, მით უფრო ხშირია ქათმებთან კონტრასტის ილუზია.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეულ პირობებში ქათმებთან განნყობის აღმოცენების ფაქტი და მისი ფიქსაციის შესაძლებლობა ყოველივე ეჭვს გარეშე უნდა ვცნოთ. მართალია, ეს შესაძლებლობა შესამჩნევად შეზღუდულია და მისი განხორციელება გაცილებით უფრო ნელი ტემპით ხერხდება, ვიდრე ადამიანთან, და უნდა ვიფიქროთ, რომ სნორედ ამ გარემოებითაა პირობადებული ასიმილაციურ ილუზიათა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ის ადამიანებთან ჩატარებულ ცდებში იქნა მიღებული. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ გამორიცხავს იმ პირობებს, რომლებიც კონტრასტული ილუზიების საკმარისად ხშირ გამოვლინებას უნყობენ ხელს: კონტრასტული ილუზიები თან მისდევენ ასიმილაციურს, თანდათან უფრო და უფრო მტკიცდებიან და ბოლოს სრულიად აღარ უტოვებენ მას ადგილს.

ამ ცდებში ფიქსირებული განნყობის პროცესის კიდევ ერთი თავისებურება იჩენს თავს მკვეთრად — გაცილებით უფრო მკვეთრად, ვიდრე ადამიანებთან ჩატარებულ ცდებში. მხედველობაში მაქვს შემდეგი: ცდების პროცესში ქათამმა III ერთი დამახასიათებელი თვისება გამოამჟღავნა: 10 დღის ყოველდღიური ცდების შედეგად მისი

ქცევა თვალსაჩინოდ შეიცვალა — ქათამმა შეწყვიტა ცდის პირობებზე რეაგირება, სახელდობრ, როდესაც ექსპერიმენტატორი მას აწვდიდა დაფას საკენკით, იგი ზურგს უბრუნებდა მას და უმოძრაოდ იდგა, სანამ ექსპერიმენტატორი თავს არ დაანებებდა მას. ამრიგად, ქათამი 2½ დღის განმავლობაში შიმშილობდა — ცდების გარეშე მას განგებ არაფერს აჭმევდნენ. მიუხედავად ამისა, იგი ისევ ისე იქცეოდა — საექსპერიმენტო დაფას ზურგშებრუნებული ხვდებოდა. მესამე დღეს, საგანწყობო ექსპოზიციების პერიოდში, ქათამი მიუახლოვდა ექსპერიმენტალურ დაფას და შეუდგა კენკვას დადებითი ნახევრიდან, ე. ი. იქიდან, სადაც მარცვალი თავისუფლად იყო გაფანტული. მაგრამ, როდესაც 20 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ მას კრიტიკული დაფა მიაწოდეს, იგი მისი დანახვისთანავე თითქოს ერთბაშად გაშეშდა: ასწია თავი და რამდენიმე სეკუნდის განმავლობაში უმოძრაოდ იდგა... შემდეგ მოწყდა ადგილიდან და განზე გადგა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ცდები აქ ქათამთან მხოლოდ ექსპოზიციათა განსაზღვრული რაოდენობის პირობებში მიმდინარეობს ბუნებრივად. როდესაც ექსპოზიციათა რიცხვი ძალიან დიდია, მას რაღაც უცნაური ემართება: იგი კარგავს რეაგირების უნარს, სრულიად არ იძლევა რეაქციას, და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა სამი დღის შიმშილსაც კი არ შეუძლია[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ცხოველის სპეციფიკურ მდგომარეობასთან გვაქვს და ამ მდგომარეობის ბაზაზე ისეთი ფაქტები იჩენენ თავს, რომელნიც „მოჭარბებისდაგვარ" მოვლენებს შეიცავენ. ასეთი მოვლენები თავის დროზე დაწვრილებით იყო შესწავლილი *კ. ლევინისა* და განწყობის თვალსაზრისით *ე. აბაშიძის* მიერ[2].

როგორც ჩანს, არსებობს ექსპოზიციათა განსაზღვრული რაოდენობა, რომლის გადაჭარბებაც ცხოველის ქცევის სრულ „ჩაშლას" („срыв") იწვევს. შესაძლოა, ეს რაოდენობა ექსპოზიციათა იმ ოპტიმუმს ემთხვეოდეს, რომელიც მოცემული ცხოველისთვისაა დამახასიათებელი. ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ოპტიმუმის შესახებ აქ გაცილებით უფრო მწვავედ დგება, ვიდრე განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

აღწერილი ცდების საფუძველზე ირკვევა საკითხი ქათმების ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის შესახებაც. სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ქათმის ფიქსირებული განწყობის მოქმედება მხოლოდ 2-3 კრიტიკულ ექსპოზიციაზე ვრცელდება.

---

1. *ნ. ჭრელაშვილი,* op. cit. გვ. 256.
2. *ე. აბაშიძე.* მოჭარბების წელილი ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში (ხელნაწ.).

რაც შეეხება ამ განწყობის სტაბილობას, გამოირკვა, რომ კონსტანტურ ფორმაში ქათამი განწყობას მხოლოდ 24 საათის განმავლობაში ინარჩუნებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დროის ამ ინტერვალის შემდეგ განწყობა სრულიად აღიკვეთებოდეს. იგი მოქმედებს დაახლოებით სამი დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ არა კონსტანტურის, არამედ ვარიაბილური განწყობის სახით — იგი ისევ აქტუალური რჩება, მაგრამ შეცვლილ ფორმებში ვლინდება.

ამრიგად, მტკიცდება, რომ ქათმებთან განწყობის აქტივობა, მისი დიფერენციაცია და ფიქსაცია უეჭველ ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ, ცხადია ისიც, რომ ყველა ეს პროცესი აქ გაცილებით უფრო პრიმიტიულ ხასიათს ატარებს, ვიდრე ამას ადამიანის შემთხვევაში აქვს ადგილი: ქათმის განწყობა, როგორც ჩანს, თავიდანვე ნაკლებად დიფერენცირებულია, და იმისათვის, რომ მისი უფრო მეტი დიფერენციაცია მოხერხდეს და შემდეგ მისი ამ სახით ფიქსაცია, საგანწყობო ექსპოზიციათა შედარებით უფრო დიდი რიცხვია საჭირო. მაგრამ საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის გადიდების მიუხედავადაც ფიქსირებული განწყობა არ ატარებს მტკიცე ხასიათს — იგი სწრაფად, 2-3 კრიტიკული ცდის შემდეგ აღიკვეთება, და თუ არ მოხდა მისი ხელახალი განმტკიცება, ის კონსტანტური სახით მხოლოდ 24 საათისა, ხოლო ვარიაბილური სახით — 2-3 დღე-ღამის განმავლობაში იჩენს თავს.

III. ცდები თეთრ ვირთაგვებთან

1. **ცდების დაყენება.** პატარა გალიას ერთი მხრიდან შესავალი აქვს, ხოლო მეორე მხრიდან — ორი გასავალი, თითოეული იხურება მუყაოს ნაჭრით — ერთი ნათელი ნაცრისფერით, მეორე — მნიშვნელოვნად უფრო მუქი ნაცრისფერით. ექსპერიმენტატორი ვირთაგვას გალიაში უშვებს და იმ შემთხვევაში, თუ ვირთაგვა გალიიდან მუქი გასავლით გადის, მას საკვებს აწვდის. ხოლო როდესაც ცხოველი ნათელი გასავლით სარგებლობს, საკვები მას არ ეძლევა. ამ ცდების საკმაო რიცხვის შემდეგ, ორივე გასავალი იხურება — ერთი და იმავე ტონის მუყაოთი. ჩვენ ვიცით, რომ საგანწყობო ექსპოზიციათა გარკვეული რიცხვის შემდეგ ორი ერთფეროვანი მუყაო ვირთაგვას, როგორც არაერთნაირი უნდა მოეჩვენოს: ერთი უფრო მუქი, მეორე — უფრო ნათელი. თუ დავუშვებთ, რომ ვირთაგვას მუქი გასავლის გავლის განწყობა გამოუმუშავდა, ამ ცდაში ის შეეცდება იმ გასავლით გაიაროს, რომელიც მას უფრო მუქად ეჩვენება.

ცდების მეორე სერიაში ნაცრისფერი მუყაოს ნაცვლად გამოყენებულია მუყაოს ორი ნაჭერი, რომელზედაც დახაზულია სხვადასხვა სიდიდის ნრეები — ერთზე დიდი, მეორეზე შესამჩნევად უფრო პატარა. პირველი სერიის საგანნყობო ცდებში ვირთაგვა მუქ გასავალში გავლას ეჩვევა: გალიაში შესვლისთანავე ის გალიიდან მუქი გასავლით გამორბის და მაშინვე საკვებს ღებულობს. კრიტიკულ ცდებში მას საშუალება ეძლევა გამოვიდეს ორივე გასავლიდან, რომელნიც ერთი სიმუქის არიან.

2. ცდების შედეგები. შევჩერდეთ ამ ცდების ზოგიერთ შედეგზე. პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს, აქვს თუ არა თეთრ ვირთაგვას განნყობა, და თუ აქვს, რამდენად არის მისი ფიქსაცია შესაძლებელი? ჩვენი თანამშრომლის ნ. ჭრელაშვილის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტალური გამოკვლევის საფუძველზე საინტერესო მონაცემები იქნა მიღებული.

ცხრილი 12

საგანნყობო ცდები	კრიტიკული ცდების რაოდენობა	კონტრასტული ილუზიები		ასიმილაციური ილუზიები	
		აბსოლუტ. რაოდ.	% %	აბსოლუტ. რაოდ.	% %
1-137	39	6	15	25	64
137-190	38	34	89	4	10

პირველ რიგში გამოირკვა, რომ აქაც ისევე, როგორც ქათმებზე დაყენებულ ცდებშიც, განნყობა შედარებით გვიან ფიქსირდება: ილუზიის ცალკე შემთხვევები მხოლოდ 35-50 საგანნყობო ექსპოზიციის შემდეგ იჩენს თავს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდანაც ჩანს, 137 საგანნყობო ექსპოზიციის ფარგლებში ასიმილაციური ილუზიები ჭარბობენ საგრძნობლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ასიმილაცია უმთავრესად ცდების დასაწყის პერიოდში იჩენს თავს, ე. ი. მაშინ, როდესაც განნყობის ფიქსაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა სავსებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ საგანნყობო ექსპოზიციათა უფრო მაღალი რიცხვის შედეგად (137 და მეტი) თანდათან თავს იჩენს კონტრასტის ილუზია (89%). ასიმილაცია აქაც ძალაში რჩება, მაგრამ ის იშვიათად, გამონაკლისის სახით ჩნდება (10%).

შემდეგ, ამ ცდებში ყურადღებას იპყრობს იგივე გარმოება, რომელიც ქათმებთანაც იყო შემჩნეული. სახელდობრ: როდესაც ცდების რიცხვი მეტისმეტად მაღალია, ვირთაგვების ქცევის ტემპი შესამჩნე-

ვად ნელდება: თავს იჩენს ყოყმანი, რეაქცია შენელებულია, და, ბოლოს, ვირთაგვას ეკარგება რეაქციების მიზანდასახულება. ქათმებთან ანალოგიურ პირობებში ჩვენ „ჩაშლის" ან სრული ნეგატივიზმის შემთხვევები აღვნიშნეთ. ვირთაგვების შემთხვევაში ასეთ მკვეთრ მდგომარეობასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აქ საქმე იმავე კატეგორიის მოვლენას ეხება, რაც ქათმებზე ჩატარებული ცდების დროს იყო შემჩნეული. როგორც ჩანს, აქ საკითხი „მოჭარბების" ფაქტს ეხება. ეს მოსაზრება სხვადასხვა მოდიფიცირებული საგანწყობო ცდების შედეგადაც მტკიცდება. სახელდობრ: როდესაც ვირთაგვას ვანვდით არა უცვლელად ერთსა და იმასვე, არამედ მუდამ ცვალებად გამღიზიანებელს, ე. ი. როდესაც საგანწყობო ობიექტთა შეფარდება იცვლება, მაშინ ცხოველი დიდხანს და მტკიცედ ინარჩუნებს რეაგირების უნარს: კონტრასტული ილუზია ძალაში რჩება 20-25 ექსპოზიციის განმავლობაშიც კი და ვლინდება სწრაფი, გადამწყვეტი რეაქციის სახით.

• ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საგანწყობო ობიექტების ცვალებადობის პირობებში განსხვავებულ შედეგებს ვღებულობთ. როდესაც ვირთაგვაზე უცვლელად ერთი და იგივე გამღიზიანებელი მოქმედებს, განწყობის ფიქსაცია არ არის საკმარისად მტკიცე: იგი ძალაში რჩება მხოლოდ 6-9 კრიტიკული ექსპოზიციის განმავლობაში, რის შემდეგაც თავს იჩენს მერყეობა, რეაქციის ტემპის შენელება და ქცევაში მიზანდასახულობის შესუსტება.

სხვა სურათი გვაქვს ექსპოზიციათა ცვალებადობის პირობებში. ასე, მაგალითად, როდესაც ვირთაგვა ერთი და იგივე ობიექტის ნაცვლად საგანწყობოდ სხვადასხვა გამღიზიანებლებს ღებულობს, ილუზია კრიტიკულ ექსპოზიციათა დიდი რიგის გასწვრივ იჩენს თავს: მე-20-25 ექსპოზიციის დროსაც კი კონტრასტული ილუზიის მოწმენი ვრჩებით.

საგანწყობო ექსპოზიციათა ცვალებადობის პირობებში აღმოცენებულ განწყობას სხვა თავისებურებაც აქვს: მას ანალოგიურ მიმართებებზე ტრანსპონირების უნარიც გააჩნია. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: განათების ხარისხის მიმართებაზე განწყობის ფიქსაციის შემთხვევაში, აღინიშნება განწყობის ტრანსპონირება ისეთ მიმართებებზეც, რომელთა ექსპონირება საგანწყობო ცდების დროს არც კი ხდებოდა. მაგრამ მხდველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მიმართება საგანწყობოსაგან, რასაკვირველია, მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც საგანწყობო ექსპოზიციები უცვლელია, ე. ი. როდესაც განწყობა ფიქსირდება ერთი და იგივე საგა-

ნწყობო ობიექტების მრავალგზისი განმეორების გზით, ტრანსპოზიციის შემთხვევები თითქმის სრულებით არა გვაქვს.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ცვალებადი საგანწყობო ექსპოზიციების გამოყენების შემთხვევაში შემდეგი აღმოჩნდა: 10 საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად ჩნდება კონტრასტული ილუზია, რომელიც ბოლომდე ძალაში რჩება (ტლანქი-სტატიკური განწყობა); 4-5 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ კი სულ სხვა სურათი გვაქვს — კონტრასტული ილუზიების გვერდით ჭარბად იჩენენ თავს ასიმილაციის შემთხვევებიც.

რაც შეეხება განწყობის სტაბილობის საკითხს, აქ შემდეგი მონაცემები გვხვდება: რომ მივაწოდოთ ვირთაგვას, რომელსაც წინადღით სათანადო ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდა, კრიტიკულ ობიექტთა რიგი, აღმოჩნდება, რომ ფიქსირებული განწყობა ჯერ კიდევ ძალაში რჩება. როგორც წესი, ასეთი მდგომარეობა 1-2 დღის განმავლობაში გრძელდება. მაშასადამე, თეთრი ვირთაგვის ფიქსირებული განწყობის სტაბილობა 1-3 დღე-ღამის ფარგლებით განისაზღვრება.

IV. ცდები მამუნებთან

1. **ცდების დაყენება.** თბილისის ზოოლოგიურ ბაღში ამჟამად ანთროპოიდები არ მოიპოვება. ამიტომ განწყობის ცდები მხოლოდ უმდაბლეს მაიმუნებზე ჩატარდა. ჩვენი თანამშრომლის ნ. ადამაშვილის მიერ დაყენებულ იქნა განწყობის ცდები კაპუცინების ორ ეგზემპლარზე (ვოვა — 8 წლ. და ვივი — 2,5 წლ.). მეთოდიკა, ძირითადში, იგივე იყო, რაც ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივი ცდების დროს: ცდების პირველ სერიაში, რომელიც მხოლოდ ვოვასთან ჩატარდა, მაიმუნი ორ საგანწყობო ობიექტს ღებულობდა — დიდი ზომისა და ნაკლები ზომის საკვებს. ასეთ ექსპოზიციათა მრავალგზისი განმეორების შემდეგ კრიტიკულ ცდებში ორი თანატოლი ზომის საკვები ეძლეოდა.

ამას გარდა ჩატარდა ცდების მეორე სერიაც — ჯერ ვოვასთან და მერე ვივისთანაც, რომელიც, უნდა ითქვას, პირველი სერიის ცდებს სულ არ იცნობდა.

პირველი თვენახევრის მანძილზე სავარჯიშო ცდები ტარდებოდა. ეს იმ მიზნით ხდებოდა, რომ საჭირო იყო მაიმუნი სხვადასხვანაირი რეაქციის მოცემას — ტოლისა და სხვადასხვა ზომის საკვების შემთხვევებში — შეჩვეულიყო. მას სხვადასხვა ზომის საკვები ეძლეოდა. თვითონ ის უფრო დიდს იღებდა, ხოლო პატარას ცდის ხელმძღვა-

ნელი აბარებდა მას. ტოლ საკვებს კი ის ორივეს იღებდა, ერთიმეორის შემდეგ, ამ სავარჯიშო ცდების შედეგად მაიმუნი არათანატოლი საკვებიდან უფრო დიდის არჩევას ეჩვეოდა, ხოლო თანატოლობისას — ორივესი ერთი იმპულსით აღებასა და შეჭმას.

საგანწყობო ცდების ჩატარება მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა. ექსპოზიციები საკმარისად ხანგრძლივი იყო იმისათვის, რომ ორივე საკვების აღება ყოფილიყო შესაძლებელი.

2. ფიქსირებული განწყობის არსებობის შესახებ მაიმუნთან. მიუხედავად იმისა, რომ უკვე წინათ ჩატარებული ცდებიდან ნათლად ჩანს, რომ განწყობა უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელიც პრინციპში ცხოველთაგანაც ისევე შეიძლება ექსპერიმენტალურად იქნეს შესწავლილი, როგორც ადამიანის შემთხვევაში, მაინც პირველ რიგში საჭიროა დავსვათ კითხვა: მაიმუნთან ჩატარებული ცდების შემთხვევაშიც ნამდვილად განწყობის ფაქტთან გვაქვს საქმე, თუ სხვა რამ მოვლენასთან, რომელსაც არაფერი აქვს საერთო განწყობასთან?

პირველ რიგში ვნახოთ, რას ვღებულობთ ამ ცდებში. ფაქტები შემდეგია: როდესაც მაიმუნს ორი ველი ეძლევა საკვებით (საგანწყობო ცდებში), ის ეჩვევა მოცულობით უფრო დიდი საკვები აიღოს. კრიტიკულ ცდაში, როდესაც მას ორივე ველში ტოლი სიდიდის საკვები ეძლევა, მაიმუნი მას იმ მხრიდან იღებს, სადაც საგანწყობო ცდის დროს უფრო პატარა ზომის საკვები ეძლეოდა. ყველა ნიშანია იმისა, რომ აქ საქმე მოცულობის ჩვეულებრივ ილუზიასთან გვაქვს, — ილუზიასთან, რომელიც, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მაიმუნის ქცევას განსაზღვრავს. ჩვენ ვიცით, რომ ამ ილუზიას საფუძვლად წინა ცდებში ფიქსირებული განწყობა უდევს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე აქაც ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივ ილუზიასთან გვაქვს.

ამ დებულების სისწორე სრულიად არ იქნება საეჭვო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ანალოგიურ მოვლენებს, როგორც წესი, ადგილი აქვთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ფიქსირებული განწყობის კვლევას ადამიანებთან ვანარმოებთ. კიდევ უფრო დამარწმუნებლად მოგვეჩვენება ეს დებულება, თუ გავიხსენებთ, რომ იგივე მოვლენას სხვა ცხოველებთანაც ვხვდებით — ქათმებთან, ვირთაგვებთან. მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც საჭიროდ თვლის ამ თვალსაზრისით ცხოველის ქცევის სხვა შესაძლებლობაც შეამოწმოს.

პირველ რიგში, შეიძლებოდა საკითხი დაგვესვა: ხომ არ წარმოადგენს ცხოველის კრიტიკული ქცევა საგანწყობო ცდებში აღმოცენებული აქტების განმტკიცების, ფიქსაციისა და მექანიზაციის შედეგს?

ეს მოსაზრება, რასაკვირველია, შეიძლება მხოლოდ ასიმილაციურ ილუზიებს ეხებოდეს. რაც შეეხება კონტრასტის ილუზიებს, რამდენადაც მათ საგანნყობო რეაქციების საწინააღმდეგო მიმართულება აქვთ, მათზე ამას ვერ ვიტყვით: კონტრასტის ილუზია ხომ იმის საწინააღმდეგოა, რისი განმტკიცება, ფიქსაცია და ამგვარად, მექანიზაციაც საგანნყობო ცდებში ხდება. მაგრამ თუ ეს მოსაზრება არ მართლდება კონტრასტის ილუზიების მიმართ, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი ძალაში შეიძლება იყოს ასიმილაციური ილუზიების შემთხვევაში: ჩვენ ვიცით, რომ ორივე ეს ილუზია არსებითად ერთი და იმავე კატეგორიის მოვლენებს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, მივიღეთ, რომ ასიმილაციური ილუზია ისეთი თვისთავადი მოვლენაა, რომელსაც კონტრასტის ილუზიასთან არაფერი აქვს საერთო. ხომ არ შეიძლება მაშინ ვიფიქროთ, რომ იგი, ე. ი. ასიმილაციის ილუზია, აქ როგორც საგანნყობო ექსპოზიციათა ფიქსაციისა და მექანიზაციის შედეგი უნდა გავიგოთ? ეს მოსაზრება სრულიად ბუნებრივი და სავსებით გამართლებული იქნებოდა, თუ რომ ასიმილაციური ილუზიების შემთხვევაში ჩვენ წინაშე, ნამდვილად, იმ რეაქციების უდავო განმეორება გვაქვს, რომელნიც საგანნყობო ცდების დროს იჩენენ თავს.

მაგრამ განა ეს ასეა? ამ შემთხვევაში აღმოცენებული რეაქციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ საქმე სამგვარ რეაქციასთან გვაქვს: ჯერ ერთი, კრიტიკული ექსპოზიციების დაწყებისთანავე ყოველივე მერყეობის გარეშე აღმოცენებულ ასიმილაციურ რეაქციებთან, რომელთა შესახებაც სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ აქ სწორედ საგანნყობო ექსპოზიციათა შედეგზე და არა ამ რეაქციების უბრალო ფიქსაციასა და მექანიზაციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ამიტომ მათი უგულებელყოფა სავსებით დასაშვებია.

სამაგიეროდ კიდევ ორი ისეთი შემთხვევა გვრჩება, სადაც ეჭვის შეტანაც არ შეიძლება იმაში, რომ საქმე ნამდვილად ახალს, ადეკვატურს და არა მექანიზებულ, ფიქსაციის შედეგად განმეორებულ რეაქციას ეხება. ამ ორ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რეაქციას ან წინ უსწრებს, ან თან მისდევს აშკარად გამოვლინებული მერყეობის პერიოდი. თვალი რომ გადავავლოთ ამ რეაქციების სტრუქტურას, დავრწმუნდებით, რომ მათ არა აქვთ შემთხვევითი ხასიათი, რომ, პირიქით, ორივე შემთხვევაში საქმე გარკვეულად შერჩევის რეაქციასთან გვაქვს, შეუძლებელია სხვანაირად აეხსნათ მერყეობის ფაქტი, რომელიც წინ უსწრებს რეაქციებს ან მათ შემდეგ ხდება.

ამრიგად, ცხადია, რომ მოსაზრება, რომელიც ცხოველთა რეაქციებს მექანიზირებული აქტების ფიქსაციის ფაქტით ახსნიდა, მოკლებულია საკმარის საფუძველს.

შესაძლებელია სხვა მოსაზრებაც: მაიმუნის ქცევას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საგანნყობო ცდების დროს იგი ეჩვევა რეაგირებას გამღიზიანებელზე, რომელიც, მაგ., „მარცხნითაა". მისი რეაქციები, ამგვარად, წარმოადგენენ გარკვეული მიმართულებით მოქმედების ჩვევას. მაგრამ, საკმარისია გავიხსენოთ ცხოველის რეაქციის თავისებური სტრუქტურის იგივე ფაქტი, რათა დავრწმუნდეთ, რომ არც ამ მოსაზრებას აქვს საკმაო საფუძველი. მხედველობაში მაქვს ცხოველის ის რეაქციები, რომლებსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მერყეობის აშკარა ფაქტები ახლავს თან. ამ რეაქციების შემთხვევაში საქმე ჩვეულ მოძრაობათა უბრალო თანმიმდევრობასთან რომ გვქონოდა, მერყეობა არ აღმოცენდებოდა. ეს დებულება უდავოდ უნდა იქნეს მიღებული, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ამ ცდების დროს საქმე არა მხოლოდ ასიმილაციურს, არამედ კონტრასტულ ილუზიებთანაც გვაქვს: კონტრასტი ხომ ჩვეული მიმართულების საწინააღმდეგოდ ლოკალიზირდება ხოლმე.

შეიძლება გვეფიქრა, რომ მაიმუნის მოქმედების მიმართულებას მისი ის მხარე განსაზღვრავს, რომელიც მიღებულ მომენტში აქტივირდება: თუ ეს მარჯვენა ხელია, იგი მიმართული იქნება საკვებზე მარჯვნივ, თუ მარცხენა, მაიმუნი ხელს მოკიდებს საკვებს, რომელიც მარცხნივაა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ზოგიერთი ფაქტი მოწმობს განსაკუთრებით ცდის დასაწყის სტადიაში. მაგრამ საკმარისია გავიდეს დრო და მოხდეს განწყობის ფიქსაცია, რომ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალოს: მაიმუნის რეაქციები ისეთ ხასიათს იძენენ, რომ ის მხოლოდ ფიქსირებული განწყობის მოქმედებით შეიძლება იქნეს ახსნილი.

დაბოლოს, როგორც ავტორი აღნიშნავს, არის შემთხვევები, როდესაც ცხოველს ვარჯიშის შედეგად ქცევის გარკვეული რითმი შეუმუშავდება ხოლმე. შეიძლება ეფიქრა კაცს, რომ სწორედ ამგვარ რითმთან გვაქვს საქმე ჩვენი ცდების შემთხვევაშიც, მაგრამ საკმარისია დავსვათ ეს საკითხი, რომ იგი უარყოფითად გადავწყვიტოთ. ხომ უდავო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენს ცდებში მოქმედების გარკვეული რითმის შემუშავებისათვის პირობები არაა: კრიტიკულ ცდებში არაფერია ისეთი, რაც საბაბს მოგვცემდა გვეფიქრა, რომ აქ საქმე მათ რითმულ თანმიმდევრობასთან გვაქვს.

ერთი სიტყვით, არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ცხოველის რეაქციები — კონტრასტული თუ ასიმილაციური — შემთხვევითს

აქტებს წარმოადგენენ, რომ ისინი არ არიან დამოკიდებული წინამორბედ ექსპოზიციებზე, რომ ამ უკანასკნელთ საგანნყობო ექსპოზიციების მნიშვნელობა არა აქვთ. ეჭვს გარეშეა, რომ მაიმუნის განხილული მოქმედება განნყობის ჩვეულებრივ ილუზიებს წარმოადგენენ და მათი აღმოცენება იმავე პირობებში ხდება, როგორშიც ცხოველთა ქცევის სხვა, ჩვენ მიერ გამოკვლეული შემთხვევებიც.

3. ფიქსირებული განნყობა მაიმუნთან. როდესაც მაიმუნს საგანნყობო ცდაში, ვთქვათ, მარჯვენა მხარეზე უფრო დიდი მოცულობის საკვები ეძლევა, და კრიტიკულ ცდაში ორი ტოლი სიდიდის საკვებიდან ის მარცხენა საკვებს ეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარცხენა ველი მას უფრო დიდად ეჩვენება, ვიდრე მარჯვენა (კონტრასტული ილუზია), და ამის გამოა, რომ ის მის დაუფლებას ესწრაფვის. სხვა ცდების დროს, გარკვეულ პირობებში, შეიძლება მაიმუნს უფრო მიმზიდველად (უფრო დიდად) მარცხნივ მოთავსებული საკვები მოეჩვენოს, ასეთ შემთხვევაში საქმე საწინააღმდეგო — ასიმილაციურ ილუზიასთან გვექნება. ეს დაკვირვება არ ტოვებს ეჭვს იმაში, რომ გარკვეულ პირობებში მაიმუნს განნყობის ისეთივე ილუზია უჩნდება, როგორსაც ჩვენ სხვა ცხოველებთან და, აგრეთვე, ადამიანებთანაც ჩატარებული ცდებიდან ვიცნობთ.

ახლა ჩვენ წინაშე დგას ამოცანა უფრო დანვრილებით გავეცნოთ მაიმუნების ამ რეაქციებს.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას, რომ ისევე, როგორც სხვა — ადამიანის თუ ცხოველის — შემთხვევაშიც, მაიმუნი ორივე სახის რეაქციას იძლევა — ასიმილაციურსაც და კონტრასტულსაც. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ამ ილუზიების აღმოცენების კანონზომიერება აქ იგივეა, რაც სხვა შემთხვევაშიც — ასიმილაცია თავს იჩენს საგანნყობო გამღიზიანებელთა უმნიშვნელო განსხვავებისა და მათ ექსპოზიციათა უმნიშვნელო რაოდენობის შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, როდესაც საკვების რაოდენობრივი განსხვავება 0,5-1,00 მმ უდრის, მაიმუნს უმთავრესად ასიმილაციური ილუზიები უჩნდება (75%-90,3%). მაგრამ შემდეგ, განსხვავების გადიდებასთან ერთად, იზრდება კონტრასტულ ილუზიათა მაჩვენებლები, და მაშინ, როცა ეს განსხვავება 3-6 მმ აღწევს, ამ ილუზიათა მაჩვენებელი ასიმილაციურ ილუზიათა მაჩვენებელს ემთხვევა. შემდეგ ისევე როგორც სხვა შემთხვევაშიც, კონტრასტის ილუზია აშკარა უპირატესობას იძენს, გარკვეულად აღემატება ასიმილაციის შემთხვევებს, და ბოლოს სრულიად გამორიცხავს ამ უკანასკნელთა გამოვლინების შესაძლებლობას (იხ. ცხრილი 13).

განსხვავება სიდიდეში	ასიმილაციური ილუზიები	კონტრასტული ილუზიები	ტოლობა (ადეკვატური აღქმა)
0.5 მმ	75.0	8.3	16.6
1.0 „	90.3	6.5	3.2
1.5 „	61.7	28.5	9.4
3.0-6.0„	47.0	45.0	8.0

იგივე სურათი იშლება ჩვენს წინაშე საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის ვარირების შემთხვევაშიც (ცხრილი 14). აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ასიმილაციურ ილუზიათა მაქსიმუმი 1-3 საგანწყობო ექსპოზიციის პირობებში გვაქვს. ამ ექსპოზიციათა რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით კი კონტრასტის ილუზიათა მაჩვენებელიც შესამჩნევად იზრდება, მაშინ, როდესაც ასიმილაციურ ილუზიათა პროცენტი, პირიქით, კლებულობს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ასიმილაციურ და კონტრასტულ ილუზიათა აღმოცენების კანონზომიერება მაიმუნების შემთხვევაში, ძირითადად, იგივე რჩება, რაც ადამიანთა შემთხვევაში: საგანწყობო ექსპოზიციათა მცირე რაოდენობისა (ოპტიმუმი, როგორც ჩანს, უდრის 2-ს) და საგანწყობო ობიექტთა უმნიშვნელო განსხვავების პირობებში მაიმუნს ასიმილაციური ილუზიები უჩნდება; საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვის და საგანწყობო ობიექტთა განსხვავების გადიდებასთან დაკავშირებით კი კონტრასტის ილუზიათა სიხშირე თანდათან შესამჩნევად მატულობს.

მაიმუნის ფიქსირებული განწყობის სხვა მხარეებს რომ დავუკვირდეთ, პირველ რიგში აგზნებადობის საკითხზე უნდა შევჩერდეთ. სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს ორ მაიმუნზე ჩატარებული ცდების შედეგად მაიმუნის განწყობის ამ მხარის შესახებ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ. როგორც მიღებული მონაცემებიდან ჩანს, არის შემთხვევები, როდესაც ექსპოზიციათა რიგის შემდეგ მაიმუნს ფიქსირებული განწყობა უმუშავდება, მაგრამ ზოგჯერ, საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვის საგრძნობი გადიდების მიუხედავადაც, განწყობის ფიქსაცია არ ხერხდება. განწყობის აგზნებადობის ასეთი უცნაური ლაბილობა თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე იმაში, რომ განწყობის ფიქსაცია ზოგჯერ საგანწყობო ექსპოზიციათა ისეთი რაოდენობის პირობებშიც არ ხორციელდება, რომელიც სხვა დროს ამისთვის გარკვევით საკმარისი იქნებოდა.

ცხრილი 14

საგანწყობო ექსპ. რიცხვი	ასოციაციური ილუზიები	კონსტრასტული ილუზიები	ტოლობა
1	9.4	6.2	84.4
2-3	16.1	25.9	58.1
5	10.0	40.0	50.0
10-15	15.0	45.0	40.0

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ასეთი ვარიაბილობა ჩვენ მიერ გამოკვლეული მაიმუნების — და, შესაძლებელია, არა მხოლოდ ამ მაიმუნების — დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. როგორც ჩატარებული ცდებიდან ჩანს, ხშირად საკმარისია ერთი-ორი საგანწყობო ექსპოზიცია, რომ მაიმუნს საგრძნობლად მტკიცე ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართალია, მაიმუნის განწყობის აგზნებადობა ძალიან დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება (1-2 ექსპოზიცია), მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გარკვეულად ვარიაბილურ სიდიდეს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად ფართო საზღვრებში მერყეობს — ნულიდან ზევით.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით საეჭვო ხდება ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის შესაძლებლობა ჩვენი მაიმუნების შემთხვევაში. როგორც ვიცით, განწყობის ეს თვისება განუწყვეტელ კონტრასტულ ილუზიათა რიგში ვლინდება. აღმოჩნდა, რომ მაიმუნი *ვოვა* ერთხელ იძლევა ექვსისა, მეორედ ცხრა კონტრასტული ილუზიის რიგს, ხოლო ოთხ სხვა შემთხვევაში მხოლოდღა ერთხელობრივ ილუზიებს. დაახლოებით იგივე ითქმის მეორე მაიმუნის შესახებაც.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მაიმუნების შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის საკითხი სავსებით გარკვეულია: სიმტკიცე ისევე, როგორც აგზნებადობაც, მყარ სიდიდეს აქ არ წარმოადგენს. იგი ცვალებადია სხვადასხვა შემთხვევაში. ეჭვი არაა, რომ ამ ცვალებადობის ნამდვილი საფუძველი საკმარისად გარკვეულია — შეიძლება იგი საგანგებო კვლევის საგნად დაისახოს.

ახლა ჩვენი ამოცანაა გამოვარკვიოთ, როგორ მიმდინარეობს მაიმუნთან ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი. აქ ჩვენ კრიტიკულ გამღიზიანებელთა განმეორებითი ზემოქმედების ჩვეულებრივ ხერხს მივმართავთ: კრიტიკულ ობიექტთა ექსპოზიცია მეორდება მანამდე, სანამ ფიქსირებული განწყობა არ აღიკვეთება და ადგილს არ დაუთმობს ცდის პირობების ადეკვატურ განწყობას. რას ვღებულობთ ამ ექსპერიმენტების შედეგად?

ჩვენ არ შევუდგებით მიღებული მონაცემების დაწვრილებით გა-

ნხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი მაიმუნები ჩატარებული ცდების პირობებში იშვიათად აღწევენ ფიქსირებული განწყობის სრულ ლიკვიდაციას. თუმცა, რასაკვირველია, ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს, საერთოდ, არასოდეს არ ხდებოდეს. როგორც ჩანს, ვარიაბილობის ნიშანი, რომელიც სხვა შემთხვევაშიც იჩენს ხოლმე თავს, მაგ., აგზნებადობის კვლევის ცდებში, მაიმუნის განსაკუთრებით დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. მიღებული მონაცემების მიხედვით, საკმარისია ორი-სამი კრიტიკული ექსპოზიცია ერთ რომელიმე მომენტში, რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია მოხდეს. მაგრამ სხვა მომენტში ამისათვის ექსპოზიციათა გაცილებით უფრო გრძელი რიგია საჭირო, ან და იმავე ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია სულ არ ხერხდება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაიმუნთან ფიქსირებული განწყობის დინამიკურობის ნიშანიც ვარიაბილობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

რაც შეეხება მაიმუნის განწყობის პლასტიკურობას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი გაურკვეველი გვრჩება. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ, წინამდებარე ცდებში გამოკვლეული მაიმუნი კრიტიკულ გამღიზიანებელთა ტოლობის დადასტურებას ვერც ერთხელ ვერ ახერხებს: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის შემთხვევები მასთან სულ არ აღინიშნება. რომ შესაძლებელი ყოფილიყო ისეთი პირობების შექმნა, რომელშიც მაიმუნი უკანასკნელ ფაზაში გადასვლას მოახერხებდა, ორივე ცხოველთან დაახლოებით ერთნაირ სურათს მივიღებდით, და სრული უფლება გვექნებოდა გვეთქვა, რომ მათი ფიქსირებული განწყობა არც ისე მოკლებულია პლასტიკურობას, როგორც ეს პირველი შეხედვით ჩანს.

მაგრამ არც ამ პირობებში შეიძლება ითქვას, რომ აქ საქმე ფიქსირებული განწყობის ნამდვილ პლასტიკურობასთან გვქონდეს, რომელიც ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესში ყველა თანმიმდევარი საფეხურის გავლას გულისხმობს.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაიმუნის ფიქსირებულ განწყობას პლასტიკურობა, ვარიაბილობა და დინამიკურობა უმნიშვნელო ინტენსივობით ახასიათებს.

რაც შეეხება მაიმუნის ფიქსირებული განწყობის *სტაბილობის* საკითხს, აქ შემდეგი აღმოჩნდა: მაიმუნის ფიქსირებული განწყობა თავის აქტივობას საკმარისად ხანგრძლივად ინარჩუნებს. არის შემთხვევა, რომ იგი ძალაში რჩება ერთი კვირის ინტერვალის შემდეგაც. მაგრამ, გამოირკვა ისიც, რომ მაიმუნისათვის სხვა შემთხვევე-

ბში დამახასიათებელი ვარიაბილობა აქაც იჩენს თავს: ხშირად მაიმუნი კარგავს უნარს იმოქმედოს იმ განწყობის მიმართულებით, რომელიც მას ჩვეულებრივ უფიქსირდება ხოლმე. სხვა დროს კი, პირიქით, თავს იჩენს მისი ფიქსირებული განწყობის განსაკუთრებული სიმტკიცე, საკვირველი გამძლეობა.

4. ცხოველის ფიქსირებული განწყობის ზოგადი დახასიათება. თვალი რომ გადავავლოთ ცხოველთა განწყობის შესახებ მიღებულ მონაცემებს, ყურადღებას განსაკუთრებით შემდეგი მიიპყრობს:

1. ეჭვს გარეშეა, რომ *განწყობა არ წარმოადგენს სპეციფიკურ ადამიანურ თავისებურებას*. ცდების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი, პირიქით, ცხოველთა სამყაროს ყველა ჩვენ მიერ გამოკვლეულ წარმომადგენელთან გვხვდება. მეტიც შეიძლება ითქვას, სახელდობრ, რომ გარემოზე ამა თუ იმ განწყობის სახით რეაქციის უნარი ცოცხალი ორგანიზმის ყველაზე პირველად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს — სულ ერთია, განვითარების რომელ საფეხურსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. ესაა ცოცხალი ორგანიზმის გარემოს ზემოქმედებაზე რეაქციის ყველაზე უფრო პრიმიტიული და ყველაზე უფრო არსებითი ფორმა.

2. ჩვენ მიერ გამოკვლეულ ცხოველთა განწყობის ანალიზი საკმარისი სიცხადით გვიჩვენებს, რომ განვითარების ადრინდელ საფეხურებზე განწყობას შედარებით დიფუზიური ხასიათი აქვს, და, იმისათვის, რომ მისი ფიქსაცია მოხდეს, მან დიფერენციაციის ეტაპთა რიგი უნდა განვლოს. კერძოდ, ჩვენ მიერ გამოკვლეულ ცხოველებთან — ქათმებთან, ვირთაგვებთან, ისევე როგორც მაიმუნთანაც — განწყობა, გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ადამიანთან, საგრძნობად ნაკლებ დიფერენცირებულ ფორმაში ვლინდება.

3. განწყობის ნაკლები დიფერენცირებულობა თავის გამოხატულებას იმაშიც პოულობს, რომ გამოკვლეულ ცხოველებთან იგი არაა კონსტანტური თავისი გამოვლინების ფორმებში: ასე, მაგალითად, ერთს რომელიმე მომენტში იგი აქტივობის ერთ ფორმაში ვლინდება, მეორე მომენტში კი სხვა ფორმაში იჩენს თავს — შეიძლება სულ მოდუნდეს, ან პირიქით, ძლიერი აქტივობა გამოამჟღავნოს. აქ განწყობის მკვეთრად გამოხატულ ვარიაბილობასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ცხოველს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, პირველ რიგში სპეციფიკური მღგომარეობა უმუშავდება, რომელსაც ჩვენ *განწყობის* სახელწოდებით აღვნიშნავთ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ცხოველსა და ადამიანს შორის უთუოდ არის რაღაც *საერთო*, რაც სხვათა

შორის უფლებას გვაძლევს ორივე ცოცხალ ორგანიზმებად ჩავთვალოთ.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ადამიანი და ცხოველი, ორივე, განვითარების ერთი და იმავე საფეხურის წარმომადგენლებად უნდა ვიგულოთ. პირიქით, მათი განვითარების საფეხურები არსებითად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ადამიანი *სოციალური არსებაა*, და მისი სპეციფიკური თავისებურება პირველ რიგში ამ ნიადაგზეა აღმოცენებული. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ სოციალური ცხოვრების პირობებში ადამიანს საგანგებო უნარი, ე. წ. *ობიექტივაციის* უნარი უმუშავდება — ობიექტივაციის უნარი, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს მისთვის. ჩვენ ვნახავთ, რომ სწორედ ამიტომ განწყობა წამყვან როლს აღარ ასრულებს მის ცხოვრებაში — იგი მოხსნილი სახით განაგრძობს მასთან არსებობას, ხოლო წამყვანი როლი ობიექტივაციის ნიადაგზე აქტივირებულ აზროვნებას ეკისრება. მაგრამ უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე უახლოეს თავში გვექნება საუბარი.

თავი III

განწყობა ადამიანთან

I. ობიექტივაციის პრობლემა

1. ორი სფერო სინამდვილის ზემოქმედებისა ადამიანზე. რას წარმოადგენს ის, შეიძლება ითქვას, სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ეგოდენ მკვეთრად განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან? როდესაც ამ საკითხს ვაყენებთ, პირველ რიგში, რასაკვირველია, აზრი მოგვდის, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და რომ მას, როგორც ასეთს, როგორც *სოციალურ* არსებას, *მეტყველების* უნარი აქვს, უნარი, რომელსაც სხვა ცოცხალი არსება ყველა მოკლებულია აბსოლუტურად.

სხვა საკითხია, პირველადს ფენომენს წარმოადგენს ეს უნარი, თუ მეორადს, ე. ი. ისეთს, რომელიც სხვა, უფრო მნიშვნელოვანისა და ძირითადი მოვლენის საფუძველზე აღმოცენდა. ამ საკითხის განხილვის გარეშეც სრული დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ არ არის არაფერი, გარდა ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილისა, რასაც ძალა შესწევდეს ეგოდენ დიდი გავლენა მოხდინოს ჩვენს ქცევაზე, ეგოდენ განსაზღვროს იგი, როგორც ეს ჩვენი სოციალურობის ნიადაგზე აღმოცენებულ მეტყველებას შეუძლია.

შეიძლება სხვანაირადაც გამოგვეთქვა იგივე აზრი: არ არსებობს არაფერი უფრო დამახასიათებელი ადამიანისათვის, ვიდრე ის ფაქტი, რომ გარესინამდვილე მასზე, როგორც სოციალურ არსებაზე, ორმაგად ახდენს გავლენას — პირდაპირ, უშუალოდ მოქმედი გაღიზიანებისა, და არაპირდაპირ, სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია, და მხოლოდ წარმომადგენელია სხვა რაიმე უცხო გაღიზიანებისა: ადამიანი აღიქვამს ან სინამდვილეში მიმდინარე პროცესების უშუალო გავლენას, ან იმ სიტყვიერ სიმბოლოთა ზემოქმედებას, მათ რომ სპეციფიკურ ფორმაში წარმოადგენენ. მაშინ, როდესაც ცხოველის

ქცევას მხოლოდ აქტუალური სინამდვილის ზემოქმედება განსაზღვრავს, ადამიანი ამ სინამდვილეს უშუალოდ არ ემორჩილება. უეჭველია, მას შეუძლია გარემსოფლიოს მოვლენათა ზემოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ გასცეს პასუხი, რაც ამ მოვლენების თავის ცნობიერებაში გარდატეხას — მათს გაცნობიერებასა და გააზრებას მოახდენს.

თავისთავად ცხადია, ეს გარემოება ადამიანის ფრიად მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს, თავისებურებას, რომლის საფუძველზეც, ვინ იცის, შესაძლოა, ფსიქოლოგიურად მთელი მისი უპირატესობა იყოს აღმოცენებული ყველა სხვა ცოცხალი არსების წინაშე.

მაგრამ ახლა დგება საკითხი: რაში მდგომარეობს ეს მისი უნარი, არსებითად რას ემყარება იგი? იმისდა მიხედვით, რაც ჩვენ უკვე ვიცით ადამიანთან დაკავშირებით, ბუნებრივად ჩნდება აზრი იმ როლის შესახებ, რომელიც განწყობას უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში. ახლა ჩვენს წინაშე ამოცანა დგას — დავადგინოთ ამ ცნების როლი და ადგილი ადამიანის ცხოვრებაში.

თუ სწორია, რომ გარემოს უშუალო ზემოქმედების პირობებში გაშლილ ქცევას საფუძვლად განწყობა უდევს, შეიძლება დადგეს საკითხი, რა ემართება მას სხვა პლანში — ვერბალური, სიტყვებში რეპრეზენტირებული სინამდვილის პლანში? სოციალურად განსაზღვრული ადამიანისათვისაც თამაშობს რაიმე როლს ჩვენი განწყობა, თუ ამ შემთხვევაში ჩვენი ქცევა სხვა საფუძველზე მიმდინარეობს?

2. ყურადღების პრობლემა. ამ საკითხის გადასანყვეტად საჭიროა გამოსავალ წერტილად ყურადღების პრობლემა ავიღოთ. უფრო ზუსტად, — საკითხი, თუ როგორ არის შესაძლებელი ყურადღების აქტი, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იგი.

როგორც ვიცით, ჩვეულებრივ მიღებულად ითვლება, რომ ყურადღება, არსებითად, შერჩევას აწარმოებს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ჩვენზე მოქმედ შთაბეჭდილებათა რიგიდან რომელიმე ავიღოთ და, ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციის გზით, მისი წარმოდგენა მაქსიმალური სინათლითა და სიცხადით მოვახდინოთ. ყურადღებას, ჩვეულებრივ, როგორც ასეთს, სპეციფიკურს შერჩევითს უნარს განსაზღვრავენ.

მაგრამ რომ დავუკვირდეთ ამ განსაზღვრებას, ვნახავთ, რამდენად გაურკვეველია იგი. მეტიც, იგი აღძრავს ისეთ საკითხთა რიგს, რომელიც წინასწარ უნდა იქნეს გაშუქებული და გადაწყვეტილი, რათა ყურადღების ესა თუ ის განსაზღვრება საზოგადოდ გახდეს შესაძლებელი.

მართლაც, როგორაა შესაძლებელი, ყურადღება ისეთს რამეს მივაპყროთ, რაც ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენი ცნობიერების საგანი? იმისთვის, რომ რამეზე შევჩერდეთ, რასმე ყურადღება მივაქციოთ, აუცილებელია, ეს რაღაც უკვე იყოს როგორმე მოცემული. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, ე. ი. რომ რამე მოცემული გვქონდეს, აუცილებელია, ჩვენი ყურადღება მასზე უკვე იყოს მიპყრობილი. პრინციპულად, რასაკვირველია საკითხს ყურადღების კონცენტრაციის დონის შესახებ აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: ჩვენი პრობლემა ეხება ყურადღების პირველადს კონცენტრაციას, ხოლო დონეს, რომელსაც ეს კონცენტრაცია აღწევს, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ ყურადღების ჩვეულებრივი განსაზღვრება არსებითად ნამდვილ განსაზღვრებას ვერ იძლევა — იგი სრულიად ვერ გვეხმარება იმის გაგებაში, თუ ნამდვილად რას ეწოდება ყურადღება.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს პირველ რიგში, ყურადღების ყველაზე გავრცელებული განსაზღვრების ცდას ეხება. მაგრამ ხომ არსებობს ამ ცნების კიდევ მრავალი სხვა გაგებაც. ითქმის თუ არა იგივე მათ შესახებაც? ვფიქრობ, ძირითადი აზრი, რომელიც აქ მხედველობაში გვაქვს, ყურადღების განსაზღვრების ყოველსავე, მეტად თუ ნაკლებად ცნობილ ცდაზე ვრცელდება. ყველგან, სადაც ნაცადია ეს განსაზღვრება, ყურადღების ძირითად ფუნქციად ერთი და იგივე იგულისხმება — წარმოდგენათა *სინათლისა* და *სიცხადის დონის ამაღლება*. ამ მხრივ ყოველ შემთხვევაში ყურადღების სხვადასხვა გაგებას შორის განსხვავება არ არის. ამიტომ, რამდენადაც საქმე არსებულ გაგებათა ძირითად აზრს ეხება, ზემოთ თქმული შეიძლება საერთოდ ყურადღების განსაზღვრების ყოველსავე დღემდე არსებულ ცდაზე იქნეს გავრცელებული.

რომ დავუკვირდეთ ამ განსაზღვრებას, ნათელი გახდება, რომ იგი რომელიმე ცალკეულ პროცესს როდი ეხება, უფრო საფიქრალია, რომ აქ ერთი და იმავე მოვლენის ორი მოცემულობა იყოს ნაგულისხმევი: თითქოს ჩვენზე მოქმედი შთაბეჭდილებები ჩვენს მიერ ორმაგად განიცდებოდნენ: ერთი მხრივ, როგორც მოვლენები, რომელთაც თან არ ახლავს ყურადღების აქტები, მეორეს მხრივ, — როგორც იგივე მოვლენები, მაგრამ უკვე გაშუალებული სწორედ ამ აქტებით. მაშასადამე, გამოდის, რომ მოვლენათა რიგის ერთ-ერთ მათი წარმოდგენის სიცხადისა და სიხალისის გარეშეც შეგვძლებია; ყურადღების აქტივობის შემთხვევაში კი, შთაბეჭდილებებს ჩვენ ნათლად და ცხა-

დად განვიცდით. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ყურადღების მოქმედების დაბალს, ხოლო მეორეში — მაღალ დონესთან. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ პირველ შემთხვევაში ყურადღების მოქმედება სრულიად გამორიცხულია.

ამგვარად, ითვლება, რომ არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ცნობიერება მუშაობს, კერძოდ, აღიქვამს მოვლენათა რიგს ისე, რომ ყურადღება ამაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ე. ი. აღიქვამს ისეთ მოვლენებს, რომელიც სრულიად მოკლებულია სინათლესა და სიცხადეს. რასაკვირველია, ყურადღების ჩვეულებრივი გაგების შემთხვევაში იგულისხმება, რომ ეს მართლაც შესაძლებელია, რომ ფსიქიკაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ისეთ მოვლენებსაც, რომელიც სიცხადისა და სინათლის პრედიკატს მოკლებულია სრულიად. მაგრამ არ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იყოს, ისეთი ფსიქიკური შინაარსის არსებობა ვცნოთ, რომელიც არაფერს არ იძენს იმის გამო, რომ იგი ფსიქიკურ შინაარსად იქცა, და სუბიექტისათვის თითქოს იგი ისევ იმადვე რჩება, რაც მანამდე იყო — უცხო, „უცნაურ", მისთვის არსებულ შინაარსად.

როგორც ჩანს, უნდა ვაღიაროთ, რომ როდესაც რაიმე ფსიქიკური შინაარსი არსებობს, მას ყოველთვის ცნობიერების ესა თუ ის ხარისხი ახლავს თან, მიხედავად იმისა, შეგვიძლია თუ არა აქ ყურადღების მონაწილეობის შესახებ ვილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი საბუთი არ გვექნებოდა გვეთქვა, რომ საქმე ნამდვილად ფსიქიკურ შინაარსთან გვაქვს.

შესაძლებელია, ყურადღების ტრადიციულ გაგებას საფუძვლად ის გაუცნობიერებელი აზრი ედოს, რომ ადამიანს ფსიქიკის მუშაობა ორ სხვადასხვა პლანში უნდა იქნეს ნაგულისხმევი: ერთ პლანში იგი მიმდინარეობს ყურადღების მონაწილეობის გარეშე, ხოლო მეორეში — მისი პირდაპირი მონაწილეობით. ამასთანავე, სინათლისა და სიცხადის პრედიკატი, როგორც ეტყობა, ორივე შემთხვევაში, როგორც აუცილებელი, უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენს ამოცანას ახლა იმის ნათელყოფა შეადგენს, რომ ცნობიერების მუშაობაში ეს ორი პლანი მართლა არსებობს, და რომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა საფეხურისა და მათი განვითარების გაშუქების დროს.

3. ფსიქიკის მუშაობის ორი პლანი. საკითხი ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ამ ორ პლანზე მიმდინარეობის შესახებ დღემდე არსად არ ყოფილა ჩვენს მეცნიერებაში გაცნობიერებული. მაგრამ სხვადას-

ხვა ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლის დროს, მეცნიერებას დებულებათა რიგის მიღება უხდებოდა, რომელნიც, მართალია, არსებითად სწორი არ იყვნენ, მაგრამ ისეთ მომენტებზე მაინც მიუთითებდნენ, რომ მათ შესწავლას შემდეგში ამ მოვლენათა ნამდვილი ბუნების გაშუქება შეძლებოდა.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ ცნობიერების მუშაობის რა პლანებზეა აქ ლაპარაკი, შევეცადოთ ჩვენი ქცევის რომელიმე ჩვეულებრივი შემთხვევის ანალიზი მოვახდინოთ. ავიღოთ სულ მარტივი ასეთი შემთხვევა: ვთქვათ, ადამიანი იღვიძებს და მიმართავს ქცევის სრულიად ჩვეულებრივ აქტებს. იწყებს ტანსაცმლის ჩაცმას, იღებს ფეხსაცმელს და აპირებს მის ჩაცმას, მაგრამ უცბად აღმოჩნდება, რომ ფეხი თითქოს თავისუფლად არ ჩასდის ფეხსაცმელში, ისე როგორც ეს ხდებოდა ჩვეულებრივ — რაღაც თითქოს ხელს უშლის ამას. ამგვარ შემთხვევაში წარმოსადგენია მომხდარი მოვლენებისადმი ორგვარი დამოკიდებულება: ან სუბიექტი არ აქცევს ყურადღებას ამ, შედარებით, უმნიშვნელო მოვლენას და ცდილობს ფეხსაცმლის ჩაცმა განაგრძოს, ან და მაშინვე სწყვეტს ამ აქტს, რათა გამოარკვიოს, რამ გამოიწვია ეს მოულოდნელი უხერხულობა. ეს მას ამ მიზეზის თავიდან ასაცილებლად, და ფეხსაცმლის ჩაცმის საჭირო აქტის შესასრულებლად სჭირია.

ეს ელემენტარული მაგალითი წარმოადგენს სრულიად ჩვეულებრივ შემთხვევას, რომლის დადასტურებაც ცხოვრების ყოველივე ნაბიჯზეა შესაძლებელი: შეიძლება ითქვას, ადამიანის მთელი ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ამგვარ პროცესთა სერიებიდან შესდგება. რომ დავუკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვანსა და არსებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, მოვლენასთან, რომელიც საკმარის შუქსა ჰფენს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებას.

საქმე ისაა, რომ ქცევის ამ შედარებით მარტივს, ჩვეულებრივ აქტში ჩვენ შეგვიძლია გამოვააშკარავოთ ცნობიერების მოქმედების ორი არსებითად განსხვავებული პლანი — „იმპულსური" და „გაშუალებული" მოქმედების პლანი. საჭიროა, სპეციალურად შევჩერდეთ ამ ორი პლანის ანალიზზე, რათა აქ დასმული საკითხის შესახებ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

4. იმპულსური ქცევის პლანი. პირველს რომ მივმართოთ, ე. ი. „იმპულსური" ქცევის პლანს, ვნახავთ, რომ მის ფსიქოლოგიურ სპეციფიკუმს, პირველ რიგში, მისი უშუალობა შეადგენს — ის გარემოება, რომ სუბიექტი ისევე როგორც მისი აქტებიც, მთლიანად ქცევის

პროცესშია ჩართული. რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმპულსური ქცევის ეს სპეციფიკუმი, საკმარისია ცხოველის ინსტიქტური ქცევა ან ადამიანის ჩვეული, მექანიზებული მოქმედებები გავიხსენოთ.

ეჭვი არაა, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილის შესაფერ მონაკვეთთა ასახვის აქტებთან გვაქვს საქმე, და სუბიექტი ამ სინამდვილეს არა მის სრულ მთლიანობითს ერთიანობაში ასახავს ყველა მისი დეტალებით, არამედ მხოლოდ იმ აგენტთა მონაკვეთში, რომელიც გარკვეულ მიმართებაში იმყოფება მისი ქცევის მიზნებთან. გარდა ამისა, ის ასახავს ამ აგენტებს საკმარისად *ცხადად* იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გადაქცევა მისი ქცევის ნამდვილ ფაქტორებად. ქათამმა, მაგალითად, უნდა შეამჩნიოს მარცვალი, რომ კენკვას შეუდგეს. რასაკვირველია, ქცევის ამ აქტის სტიმულაციისათვის არაა საჭირო მარცვლის ყოველმხრივი და დეტალური გამოკვლევა: საკმარისია დანახვა, რომ ქათამმა მათი კენკვა დაიწყოს, და ეს მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად სრულიად საკმარისია.

ან დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს: როდესაც ადამიანი დილით დგება, ტანთ რომ ჩაიცვას, მისთვის აუცილებელია გამოჰყოს ტანისამოსი ან ფეხსაცმელი გარემოში მყოფ საგანთა წრიდან, ე. ი. მან უნდა შესძლოს მათი აღქმა საკმარისი სიცხადითა და სინათლით. ეს აუცილებელია მისთვის, მაგრამ ამავე დროს მისი ცხოვრების გარკვეული, ჩვეულებრივად მიმდინარე პირობებისათვის სავსებით საკმარისიცაა, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ ყოველივე მიზანდასახულად მიმდინარე ქცევა სუბიექტზე მოქმედ აგენტთა შერჩევის აქტს გულისხმობს, მათზე შესაფერი ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციასა და მათს საკმარისი სიცხადით ფსიქიკაში ასახვას. წინაალმდეგ შემთხვევაში უნდა გვეცნო, რომ ყოველივე, ამგვარ პირობებში აღმოცენებული ქცევა წარმოადგენს ისეთ ცალკე აქტთა ქაოსს, რომელიც არავითარ კავშირში არ იმყოფება სუბიექტის მიზნებთან და იმ სიტუაციის თავისებურებასთან, რომლის პირობებშიც ეს ქცევა მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტზე მოქმედ აგენტთა შერჩევასთან, ისე როგორც მათზე ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაციასთან და ფსიქიკაში მათი ცხადი ასახვის ფაქტთანაც, ჩვენ მაინც არა გვაქვს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ამ აქტებში ყურადღების მონაწილეობის შესახებ ვილაპარაკოთ.

საქმე ისაა, რომ აღქმის ხატის მაგვარ ცნობიერების შინაარსსა და ქცევაში ჩართულ ცალკე აქტებსაც ისეთი თავისებურება ახასი-

ათებს, რომელიც სრულიად გამორიცხავს ყოველივე შესაძლებლობას, მათ პირობად ყურადღების აქტი ჩავთვალოთ: ისინი აღმოცენდებიან და მოქმედებას იწყებენ მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე, ყოველი შეფერხების გარეშე, ადგილი დაუთმონ მათ მიერ სტიმულირებულს მომდევნო აქტებს, რომელნიც, თავის მხრივ, ასევე შეუჩერებლივ აკეთებენ ამასვე. ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რგოლებს წარმოადგენენ, იმ სიგნალების როლს ასრულებენ, რომელნიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების სტიმულაციას ახდენენ. მათ არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე თავისთავად ამ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც მთლიანად, უნაშთოდ არიან ჩართული. იმპულსური ქცევა მიმდინარეობს იმ იმპულსებზე სრული დამოკიდებულების ნიშნის ქვეშ, რომელნიც გარე და შინა გარემოს შეზავებიდან მომდინარეობენ — აქტუალურ სიტუაციაზე უშუალო და აუცილებელი დამოკიდებულების ქვეშ, სიტუაციაზე, რომლითაც იგინი ყოველ ცალკე მომენტში არიან გარშემორტყმული. ერთი სიტყვით, იმპულსური ქცევის აქტების დროს, სუბიექტი მასზე მოქმედი აქტუალური სიტუაციითაა შებოჭილი და ამ სიტუაციაში მოცემული პირობებით განსაზღვრული.

ისმის კითხვა: გარდა იმ სპეციფიკური უნარისა, რომელიც ყურადღების სახელწოდებითაა ცნობილი, რასღა შეუძლია განსაზღვროს ეს პროცესები — პროცესები: 1) ჩვენზე მოქმედ აგენტთა რიგიდან სწორედ ისეთების არჩევით გამოყოფისა, რომ ჩვენი მოცემული ქცევის მიზნებს შეესატყვისებოდნენ. 2) ფსიქიკური ენერგიის მათზე კონცენტრაციისა და 3) ამის შედეგად მათი ცნობიერების სიცხადის დონის ამაღლებისა.

იმ ფსიქოლოგიისათვის, რომელიც მთლიანად უგულებელყოფს ჩვენში ძველი, ტრადიციული მეცნიერებისათვის სრულიად უცნობ ძალთა არსებობას, ეს საკითხი გადაუწყვეტელი და გაურკვეველი რჩება. ჩვენი თეორიის თვალით კი, განწყობის ცნების საფუძველზე, ამ საკითხის გადაჭრა არ წარმოადგენს არავითარს განსაკუთრებულ სიძნელეს. ჩვენ ვიცით, რომ ამ თეორიის თანახმად, როდესაც ცოცხალ ორგანიზმს, ან უკეთ, სუბიექტს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება უჩნდება, იგი ცდილობს გარესინამდვილესთან — მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციასთან — გარკვეული დამოკიდებულება დაამყაროს, რათა მასში აღძრული მოთხოვნილების მოგვარება განხორციელდეს. სინამდვილე, თავის მხრივ, როგორც აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, უშუალო ზემოქმედებას

ახდენს არა ცალკე ფსიქიკურის ან ფიზიოლოგიური ხასიათის პროცესებზე, რომელიც ამ მოთხოვნილების მატარებელს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარეობენ, არამედ ცოცხალ ორგანიზმზე მთლიანად, ქცევის სუბიექტზე, რომელშიც იგი – ეს სინამდვილე – შესატყვისს მთლიანობითს ეფექტს ინვევს. ეს ეფექტი შეიძლება სინამდვილის, როგორც აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის, მხოლოდ ერთგვარ მთლიანობითს *სუბიექტისეულ* ასახვას წარმოადგენდეს – ასახვას, რომელიც გაგებული უნდა იყოს, როგორც წინაპირობა და გეზი სუბიექტის მიერ გასაშლელი ქცევისა, როგორც *განწყობა*, რომელიც ქცევას სინამდვილის ასახვის კალაპოტში აყენებს.

თუ ამ დებულებას საფუძვლად მივიღებთ, ნათელი გახდება, რომ ქცევა, როდესაც და სადაც კი უნდა აღმოცენდეს, გარე სინამდვილის ზემოქმედებით განისაზღვრება – არა უშუალოდ, არამედ – და ეს უპირველეს რიგში უნდა გვახსოვდეს – *გაშუალებულად*, სახელდობრ, სუბიექტის ქცევაში მისი მთლიანობითი ასახვის, სუბიექტის ქცევის *განწყობის* შუალობით. ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ამისდა მიხედვით, მეორადი წარმოშობის მოვლენას წარმოადგენს.

მაშასადამე, გარკვეულ პირობებში მოქმედი სუბიექტის ცნობიერებაში გარემოდან ის შემოდის და საკმარისი სინათლით მხოლოდ ის განიცდება, რაც უკვე მის აქტუალურ განწყობაშია ასახული. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც ყურადღებას, როგორც ფორმალურ ძალას, არ შეუძლია, განწყობის ფუნქციად უნდა ვცნოთ, იმ განწყობის ფუნქციად, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურს, არამედ, აგრეთვე, წმინდა შინაარსობრივ ცნებასაც წარმოადგენს.

ამგვარად გასაგებია, რომ იმპულსური ქცევის პირობებში სუბიექტს შეიძლება საკმარისად ნათელი შინაარსები გაუჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების აქტის შესახებ ამ შემთხვევაში საკითხის დასმაც კი არ შეიძლება. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაფერი ეს შეიძლება იმ განწყობის საფუძველზე მოხდეს, რომელიც სუბიექტის ქცევას განსაზღვრავს საერთოდ და, კერძოდ მისი ფსიქიკის აქტივობას. ყოველს ცალკე მომენტში აქტუალური განწყობის საფუძველზე სუბიექტის ცნობიერებაში ფსიქიკურ შინაარსთა რიგი აღმოცენდება, რომელიც საკმარისად ნათლად და ცხადად განიცდება, რათა სუბიექტისათვის შესაძლებელი გახდეს ქცევის სიტუაციის პირობებში ორიენტაცია. მართალია, ნათლად და ცხადად მხოლოდ ის განიცდება, რაც სუბიექტის ქცევის სიტუაციასთან *უშუალო* მიმართებაში იმყოფება. ამიტომ საქმე ისე კი არ არის, რომ სუბიექტი სინათლისა და

სიცხადის შუქს ნებისმიერად მიმართავდეს სიტუაციის ამა თუ იმ მომენტზე. სუბიექტი დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც მოქმედი განწყობა აღმოცენდება და, შესაძლებელია, მოცემულ მომენტში კიდეც ფიქსირდება. თავისთავად ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მხოლოდ შედარებით მარტივი სიტუაცია, რომლის საფუძველზეც მისი პირობების შესატყვისი განწყობა წარმოიშვება და შემდეგ წარმატებით მიმდინარეობს.

5. ობიექტივაციის პლანი. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს სიტუაციის გართულების შემთხვევაში, რომელიც სუბიექტის წინაშე მდგომი ამოცანის გადასაჭრელად იმ შემთხვევაში ხდება აუცილებელი თუ რომ ქცევის განვითარების პროცესში ესა თუ ის დაბრკოლება აღმოცენდა. ქცევა, ამ პირობებში, აღარ მიმდინარეობს ისე თავისუფლად და შეუფერხებლად, როგორც ეს იმპულსური მოქმედების დროს ხდება. გაჩნდება თუ არა დაბრკოლება, ქცევის აქტი, რომელიც უნდა მომხდარიყო – მორიგი რგოლი აქტთა ჯაჭვში – ჩვეულებრივ, აღარ უთმობს ადგილს მომდევნოს, მის მიერ სტიმულირებულ აქტს, ვინაიდან დაბრკოლება სწორედ ამ სტიმულაციის პროცესს ეხება. ამის შედეგად ქცევა ფერხდება, და სათანადო რგოლი, ასე ვთქვათ, აქტთა ჯაჭვიდან გამოვარდება. რამდენადაც იგი არ იწვევს მომდევნო აქტს, მას დროებით ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლის მნიშვნელობა ეკარგება, იგი, ფსიქოლოგიურად *დამოუკიდებელ საგნად* იქცევა, *ობიექტად*, რომელსაც თავისთავადი, აქტუალურად მიმდინარე ქცევის პირობებისაგან დამოუკიდებელი არსებობა და ისეთი თავისებურებები აქვს, რომელთა წინასწარ გაცნობიერება აუცილებელია, რათა მათი მიზანშეწონილი გამოყენება, ქცევის პროცესში ხელახლად ჩართვა შესაძლებელი გახდეს.

ამგვარად, დაბრკოლებათა აღმოცენებისათანავე ქცევა რომელიმე აქტუალურ რგოლზე ფერხდება. მაგალითად, ფეხსაცმლის ჩაცმის დროს მე ვგრძნობ, რომ ფეხი ფეხსაცმელში არ ჩადის. მაგრამ საბოლოოდ არ ვწყვეტ დაწყებულ ქცევას, არამედ მხოლოდ დროებით *ვაჩერებ* მას. სამაგიეროდ ჩნდება ქცევის ახალი ფორმა: ფეხსაცმელი, რომლის ხატი ჩაცმის ქცევაში ჩართული აღქმის შედეგად მივიღე და რომელმაც მომდევნო, ჩაცმის ქცევისათვის მიზანშეწონილი, აქტის სტიმულაცია ველარ მოახერხა, ჩემთვის დამოუკიდებელ *ობიექტად* იქცევა. მე უნდა გავაცნობიერო მისი თვისებები, დავუკვირდე მას, რათა მოვიპოვო ჩაცმის გაგრძელების შესაძლებლობა; და მეც *ხელახლა* აღვიქვამ მას: ფეხსაცმელი ჩემი შემეცნებითი აქტების საგნად იქცევა – მე მას ყოველმხრივ ვაკვირდები,

ვადარებ ერთმანეთს მის თვისებებს, ვმსჯელობ შემჩნეული უხერხულობის შესაძლებელ მიზეზებზე. ერთი სიტყვით, საგნისადმი სპეციალურად *შემეცნებითი* დამოკიდებულების პროცესი აღიძვრის, დამოკიდებულებისა, რომელსაც საგნის თვისებათა უშუალო პრაქტიკულ გამოყენებასთან საერთო არაფერი აქვს. ახლა ჩვენს წინაშე არა უშუალო, პრაქტიკული, არამედ ელემენტარული *თეორიული* ქცევის პროცესი მოძრაობს.

ამ უკანასკნელის შედეგებზე დამოკიდებულია ის, თუ როგორ გაიშლება შემდეგში ჩემი ქცევა, რას ვუზამ ფეხსაცმელს, ამ ქცევის წარმატებით დამთავრების მიზნით. უეჭველია, მე მასში საჭირო ცვლილებას შევიტან, ავაცილებ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებენ ჩვენი ქცევის მიზანდასახულ მიმდინარეობას. ერთი სიტყვით, საგნისადმი თეორიული დამოკიდებულების შედეგად, მე ჯერ ვეცდები ფეხსაცმლის მოწესრიგებისათვის საჭირო პრაქტიკული აქტების შესრულებას და ფეხსაცმლის ჩაცმის, ე. ი. ჩემ მიერ შეჩერებული აქტის განხორციელებას მხოლოდ ამის შემდეგ მოვკიდებ ხელს.

ამგვარად, სიტუაციის გართულების გამო იმპულსური ქცევის პროცესი შეიძლება შეჩერდეს, და მაშინ მისი აქტუალური რგოლი, რომელიც ქცევის მიმდინარეობის პროცესში პირველად პოულობს თავის ფსიქიკურ ასახვას, შეიძლება პრაქტიკული ქცევის აქტთა უწყვეტი ჯაჭვიდან გამოვარდეს და ჩემი საგანგებო დაკვირვების საგნად გადაიქცეს, ობიექტად, რომელზედაც ჩემს შემეცნებითს ფუნქციებს მივმართავ, მისი ასახვის იმდენად ნათელი და დეტალური ფორმის მისაღებად, რამდენადაც ეს შეჩერებული ქცევის მიზანშეწონილი დასრულებისათვისაა საჭირო.

ამ აქტის შედეგად ქცევა უფრო მაღალ დონეს აღწევს, დონეს, რომელიც გაშუალებულია შემეცნებითი აქტებით და თავისუფალია უშუალო იმპულსების მოქმედებისაგან.

ერთი სიტყვით, ქცევა ამ პირობებში სპეციფიკურ ადამიანურ აქტთა დონეს აღწევს, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ყველაფრისაგან, რის მოცემაც შეუძლია ამა თუ იმ ცხოველს თავის არსებობის ჩვეულებრივ პირობებში.

ეს სპეციფიკური აქტი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას გამოჰყოფს, შეაჩერებს და *დაკვირვების* საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს, შეიძლება *ობიექტივაციის* აქტის სახელწოდებით აღვნიშნოთ.

თავისთავად ცხადია, ობიექტივაციის ეს აქტი პირველად თვითონ კი არ ჰქმნის ჩვენს გარშემო არსებულ ობიექტური სინამდვილის

საგნებს ან ობიექტებს: ეს საგნები, რასაკვირველია, სუბიექტისაგან დამოუკიდებლივ არსებობენ და თვით წარმოადგენენ ყოველგვარი ქცევის აღმოცენების პირობას. ობიექტივაციის ან ობიექტივირების აქტი, პირიქით, გულისხმობს ობიექტთა არსებობას სინამდვილეში, იმ ობიექტთა არსებობას, რომელთათვისაც ადამიანს თავისი აქტების მიმართვა შეუძლია, მათი შემჩნევისა და ამ აზრით მათი ობიექტივირების მიზნით, და შემდეგ — სპეციალური შემეცნებითი, კერძოდ, აზროვნებითი ფუნქციების გამოყენების გზით — გამორკვევას იმისას, თუ რას წარმოადგენენ ისინი.

ამგვარად, ობიექტივაცია კი არ ჰქმნის ობიექტებს, — ისინი უიმისოდაც არსებობენ აქტუალურ ობიექტურ სინამდვილეში, — იგი მხოლოდ იმას ახერხებს, რომ არსებულ ობიექტებს უწყვეტი მდინარებიდან გამოჰყოფს, აჩერებს, ასე ვთქვათ, მათ და ამრიგად, საგნებად აქცევს, რომელზედაც ჩვენ ყურადღების კონცენტრაციას ვანარმოებთ, ან სხვანაირი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რომელთა მიმართ ჩვენ ვახდენთ ობიექტივაციას — ვამყარებთ, როგორც ობიექტისადმი დამოკიდებულებას.

რომ დავუკვირდეთ ამ პროცესს, ვნახავთ, რომ ჩვენი ქცევა, რომელიც ჩართული იყო სინამდვილესთან პრაქტიკული დამოკიდებულების თანმიმდევარ აქტთა ჯაჭვში, ასე ვთქვათ, „გამოითიშება" ამ ჯაჭვიდან, „თავისუფლდება" მისგან და თავისთავადს დამოუკიდებელ პროცესად იქცევა. ქცევის ამ „განთავისუფლების", მისი უფრო მაღალს, ნამდვილ ადამიანურ დონეზე ასვლის პროცესში გადამწყვეტ როლს, უდავოდ, ობიექტივაციის აქტი ასრულებს — აქტი, რომელიც ჯაჭვში ჩართულ რგოლს თავისთავადს, დამოუკიდებელ საგნად აქცევს, რომლისადმიც ჩვენი შემეცნებითი ფუნქციების აქტივობა მიიმართება. მაგრამ ეჭვი არაა, რომ ეს სწორედ ამათზე შეჩერების, ამათი ფიქსაციის ის აქტია, რომელსაც ჩვეულებრივ *ყურადღების* სახელწოდებით ცნობილს, სპეციფიკური მოქმედების პირობებში ვხვდებით.

მაშასადამე, ყურადღება არსებითად, როგორც *ობიექტივაციის* პროცესი უნდა იქნეს გაგებული, — როგორც პროცესი, რომელშიც ჩვენი განნყობის საფუძველზე აღმოცენებულ აღქმათა უწყვეტი ნრიდან რომელიმე ერთი გამოიყოფა შემეცნებითი აქტივობის საგნად და ამის შედეგად ჩვენი ცნობიერების ყველაზე ცხად და აქტუალურ შინაარსად იქცევა.

ამგვარად, ობიექტივაციის აქტი ადამიანის სწორედ თავისებურს, სპეციფიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, მდგომარეობას, რომე-

ლსაც მოკლებულია ცხოველი და რომელზედაც ადამიანის მთელი უპირატესობა აიგება. საგანგებოდ არაა საჭირო შეჩერება იმაზე, თუ რა პირობებშია ეს აქტი შესაძლებელი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი რამ მხოლოდ ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას, შეიძლება ჰქონდეს. საგანი, როგორც *ობიექტი*, მეორე სუბიექტსაც გულისხმობს, და ამიტომაც ობიექტივაციის აქტი მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში შეიძლება აღმოცენდეს.

II. ფსიქიკური ცხოვრების ორი დონე

ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებად სამართლიანად სოციალობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული მეტყველების უნარი ითვლება — მეტყველების უნარი, რომელსაც ყოველი სხვა ცოცხალი არსება მოკლებულია სრულიად. ამასთან ერთად ამ თავისებურებას აზროვნების გართულებულს, მეტყველებასთან დაკავშირებულ ფორმებშიც სჭვრეტენ. რამდენადაც ცხოველი არსებითად საზოგადოების გარეშე ცხოვრობს და არ მეტყველებს, ის არ იძლევა აზროვნებითი ფორმირების გამოყენების ნიშნებს — შეიძლება ითქვას, რომ არსებითად ნამდვილი აზროვნება მას არცა აქვს[1]. ამ ორი უნარის დამონმება მხოლოდ სოციალურ არსებასთან, მხოლოდ ადამიანთან შეიძლება, და მისი ცხოვრება, მთელი მისი კულტურა, ძირითადად, ამ ორი უნარის ბაზაზე მიმდინარეობს.

ეჭვი არაა, რომ მეტყველება და აზროვნება ფსიქოლოგიურად ადამიანის იმ სპეციფიკური თავისებურების ნიადაგზე ჩნდება, რომელიც თავის გამოხატულებას ობიექტივაციის აქტში პოულობს. იგი — ობიექტივაცია — მეტყველებისა და აზროვნების აღმოცენების აუცილებელ ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან უდავოა, რომ იმისათვის, რომ დავასახელოთ რაიმე, ან გავშალოთ აზროვნება რისამე შესახებ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ეს რაღაც რაიმენაირად მოცემული იყოს ჩვენთვის: მეტყველებისა და აზროვნების გაშლა შესაძლებელია მხოლოდ იმ საგნის მოცემულობის პირობებში, რომელსაც ეს აზროვნება და ეს მეტყველება ეხება. მაშასადამე, ნათელია, რომ მეტყველება და აზროვნება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მეორე, უფრო მაღალ დონეზე — ობიექტივაციის დონეზე — მიმდინარეობს.

საჭიროა სპეციალურად აღვნიშნოთ ფსიქიკური ცხოვრების ამ

---

[1] ამ თვალსაზრისით ნათელია, რომ საკითხი ცხოველის „აზროვნების" შესახებ საგანგებოდ უნდა იქნეს ხელახლა შესწავლილი.

ორი დონის — განწყობისა და ობიექტივაციის დონის — არსებობა. მაშინ როდესაც პირველი, განწყობის დონე, ყოველი ცოცხალი არსებისათვის, კერძოდ, გარკვეულ პირობებში ადამიანისთვისაც დამახასიათებელია, მეორე — ობიექტივაციის დონე — სპეციფიკურია მხოლოდ ადამიანისათვის — იმ არსებისათვის, რომელიც სოციალური ცხოვრების საფუძვლებს აგებს და კულტურული არსებობის პირობებს ჰქმნის.

1. **განწყობის დონე.** რომ დავუკვირდეთ პირველს — განწყობის დონეს — ვნახავთ, რომ სიცოცხლე ამ დონეზე ცვლილებათა რიგის უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს, ახლის შეუნელებელ ქმნადობას; აქ არაფერი არ მეორდება; აქ იგივეობა შეუძლებელია: განწყობის პლანში სინამდვილის ძირითად პრინციპს ქმნადობის პრინციპი წარმოადგენს, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ აზრს მოვლენათა უცვლელი იგივეობის შესახებ. ჩვენ ვნახეთ, რომ ცნობიერებაში სინამდვილის მხოლოდ ის მონაკვეთი აისახება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოქმედებათა მიზანშეწონილი მიმდინარეობისათვისაა საჭირო. თვით ეს სინამდვილე კი, ან რომელიმე მისი მხარე, სუბიექტის ყურადღების გარეშე რჩება; იგი არ წარმოადგენს მის ობიექტს, არ წარმოადგენს საგანს, რომელიც საგანგებოდ იპყრობს მის ყურადღებას.

ერთი სიტყვით, ეჭვს გარეშეა, რომ სინამდვილე განწყობის პლანში უწყვეტ ცვლილებათა ველად გვევლინება, შეუჩერებელ მოძრაობად, სფეროდ, სადაც გამორიცხულია აზრიც კი მოვლენათა იგივეობის შესახებ. მოკლედ, სინამდვილე ამ პლანში შეუნელებელ ცვლილებათა უსასრულო, უწყვეტ მდინარებას წარმოადგენს.

2. **ობიექტივაციის დონე.** სულ სხვაა სინამდვილის მეორე პლანი, რომელიც ობიექტივაციის პრინციპითაა პირობადებული — პრინციპით, რომელიც მხოლოდ ადამიანთან გვხვდება და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. რა წამს სინამდვილე — და არა მხოლოდ მის ნიადაგზე შესაძლო აქტივობა — თვითონ იწყებს ობიექტად ქცევას ადამიანისათვის, იგი გამოეყოფა ფაქტორთა წრეს, რომელიც ადამიანის ქცევის უშუალო პირობას წარმოადგენს, და ამის შედეგად დამოუკიდებელს, თავისთავადს საგნად იქცევა, ე. ი. საგნად, რომელზეც სუბიექტის ყურადღება მიიმართება. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი უწყვეტი მოძრაობის წრეს გამოეთიშება და განმეორებითი დაკვირვების ობიექტად იქცევა.

ამ საფუძველზე აღმოცენდება აზროვნების აქტები, რომელნიც ობიექტივირებული სინამდვილის ყოველმხრივი ასახვის მიზანს ემსა-

ხურებიან, განწყობის პლანში მომხდარი ასახვისაგან განსხვავებით, აქ, ობიექტივაციის პლანში, საქმე გვაქვს ისეთ ასახვასთან, რომელიც *იგივეობის* ლოგიკურ პრინციპს ემყარება – პრინციპს, აუცილებელს ჩვენი აზროვნებითი აქტების რეგულაციისათვის. სახელდობრ: წამოვაყენებთ თუ არა ჩვენ მიერ ობიექტივირებული სინამდვილის მონაკვეთის ერთი რომელიმე მხარის იდეას, ჩვენ იმწამსვე მეორეზე გადასვლა გვიხდება, შემდეგ მესამეზე და ა. შ., სანამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საგანს მთლიანად არ ამოვწურავთ. მაგრამ გადავდივართ რა ერთი მხრიდან მეორეზე, ჩვენ მაინც ვერ ვუახლოვდებით ამოცანის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას, თუ არ დავუშვებთ, რომ თითოეული ჩვენ მიერ განხილული მხარე მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის უცვლელ იგივეობას ინარჩუნებს, *იგივეობას,* რომელიც მთლიანი საგნის ხატის აღსადგენად ამ მხარეების ნიადაგზე პირდაპირ აუცილებელია: ჩვენ თითოეული მხარის ანალიზსა და იდენტიფიკაციას ვახდენთ იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ საგნის, როგორც მთლიანის, აღდგენა მოვახერხოთ.

ერთი სიტყვით, ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ცოცხალი ნაკადი ობიექტივირებულ მოცემულობად იქცევა და მოძრავი სიცოცხლის მონაკვეთი ჩვენი აზროვნების იდენტიფიცირებულ საგნად ხდება.

III. წარმოდგენა და იდეა

1. **სიტყვა, როგორც განწყობის ობიექტური ფაქტორი.** ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრების გართულებულ პირობებში, დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, ადამიანი ობიექტივაციის აქტს მიმართავს, – აქტს, რომელიც მისი ქცევის შინაგანი და გარეგანი ბუნების მკვეთრ შეცვლას ინვევს. იმის მაგივრად, რომ განაგრძოს ესა თუ ის მოქმედება, იგი დროებით *ჩერდება,* რათა ჯერ *გაიაზროს* შექმნილი მდგომარეობა, იმსჯელოს მის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს ქცევის იმ აქტებს, რომელთა მიზანშეწონილებაც ამ მსჯელობის, ამ გააზრების შედეგად იქნება დადგენილი.

როგორ მიმდინარეობს მთელი ეს პროცესი? აქაც ასრულებს თუ არა რაიმე როლს განწყობა? აი საკითხი, რომლის გადაჭრაც აუცილებელია მანამ, სანამ ადამიანური აქტივობის ხასიათისა და შინაგანი სტრუქტურის შესახებ საბოლოო აზრს შევიმუშავებდეთ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე უკეთესი იქნება ისევ ჩვენს ჩვეულებრივ ცდებს მივმართოთ. ოღონდ, ცდების პირობები ცოტა-

ოდენ უნდა შეიცვალოს. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ არა აქტუალურად მოქმედი სიტუაციის საკითხი გვაინტერესებს, არამედ საკითხი იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც ვერბალურად არის გაშუალებული და ჩვენზე წარმოდგენის პლანში მოქმედებს. მაშასადამე, საჭიროა, ამისდამიხედვით, რაღაც ახალი იქნეს ჩვენს ცდებში შეტანილი, სახელდობრ: აქტუალურად მოქმედი სიტუაციის ადგილი წარმოსახულმა, ვერბალურად რეპრეზენტირებულმა სიტუაციამ უნდა დაიკავოს. სხვა მხრივ ცდების სტრუქტურა შეიძლება უცვლელი დარჩეს.

ახალი, ამგვარად შეცვლილი ცდა შემდეგნაირად მიმდინარეობს: იმის მაგივრად, რომ საგანწყობო ცდებში ცპ-ს საგანწყობო საგნები, მაგ. ბურთები მივცეთ, ჩვენ მას წინადადებას ვაძლევთ *წარმოიდგინოს*, რომ ერთ ხელში (მაგ. მარჯვნივ) მას დიდი მოცულობის ბურთი აქვს, ხოლო მეორეში — პატარა მოცულობისა.

როგორც ჩვეულებრივ, აქაც საგანწყობო ცდების მრავალგზისი განმეორება (15-ჯერ) ხდება. უნდა ვიფიქროთ, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენას განწყობის გამოწვევა შეუძლია, ამ 15 წარმოდგენის შედეგად სუბიექტს შესატყვისი ფიქსირებული განწყობა უნდა შეუმუშავდეს, და ეს კრიტიკულ ცდებში ტოლი ბურთების ექსპოზიციის დროს უნდა გამოვლინდეს.

ამგვარი ცდები ჩატარებულ იქნა ოპტიკურ სფეროშიც. უკანასკნელ შემთხვევაში ცპ-ს წინადადება ეძლეოდა წარმოესახა ეკრანზე, ერთიმეორის გვერდით, ორი წრე — ერთი გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე მეორე. ამ წარმოდგენათა 15-ჯერ განმეორების შემდეგ, იმავე ეკრანზე ორი თანაბარი წრის ექსპოზიცია ხდებოდა და ცპ-ს სიდიდის მიხედვით შედარება ევალებოდა.

ცდების შედეგად გამოვლინდა შემდეგი: ჩვენ ცპ-ებს განწყობის ჩვეულებრივი ილუზია როგორც ჰაპტურს, ისე ოპტიკურ სფეროშიც აღმოაჩნდათ. მაშასადამე, არ უნდა შევიტანოთ ეჭვი, რომ შეიძლება ცპ-ს სიტყვიერი ზემოქმედების გზითაც შეუმუშავდეს ფიქსირებული განწყობა: საკმარისია მან 15-ჯერ წარმოიდგინოს განსხვავებული მოცულობის ბურთები ან არა ტოლი წრეები, რომ შესაფერი ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს, რომელიც მას შემდეგში, დროებით ხელს უშლის კრიტიკული ობიექტები ადეკვატურად აღიქვას[1].

მართალია, ასეთ შემთხვევაში, ე.ი. საგანწყობო ობიექტების წარმოსახვის პირობებში, ილუზია გაცილებით უფრო იშვიათად აღმო-

---

[1] *რ. ნადაძე.* წარმოდგენით სტიმულირებული ფიქსირებული განწყობის საკითხისათვის. ფსიქოლოგია. I, 1942.

ცენდება, ვიდრე მაშინ, როდესაც საგანწყობო ცდა ობიექტთა აქტუალური ზემოქმედების პირობებში მიმდინარეობს, მაგრამ ამ ილუზიების ფაქტი მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა. ჰაპტურ სფეროში ჩვეულებრივი ცდების დროს ილუზია შემთხვევათა 100%-ში აღინიშნება, აქ კი, ე. ი. ილუზიის ვერბალური ზემოქმედებით სტიმულაციის პირობებში, მხოლოდ 71,6 პროცენტში. კიდევ უფრო დაბალია წარმოსახვით გამოწვეული ილუზიების მაჩვენებელი ოპტიკურ სფეროში — აქ იგი ძლივს აღწევს 42,2%.

ამგვარად, ამ ცდების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ განწყობა შეიძლება წარმოდგენის ნიადაგზეც, — ე. ი. სუბიექტზე *სიტყვიერი ზემოქმედების* გზითაც იქნეს ფიქსირებული.

მაგრამ ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ განწყობის ფიქსაცია ამ პირობებში უფრო იშვიათად ხდება, ვიდრე ჩვეულებრივი ცდების პირობებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცპ-ბის საერთო მასაში ყოველთვის ურევია მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პროცენტი ისეთი პირებისა, რომლებთანაც განწყობის ფიქსაცია, სიტყვიერი ზემოქმედების გზით, ვერ ხერხდება. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტებთან, რომელთაც ერთგვარი ანომალია ახასიათებთ — შესაძლოა შემთხვევითი და დროებითი, მაგრამ ზოგჯერ შედარებით მყარი და გამძლეც.

თუ განვიხილავთ ვერბალური ზემოქმედების შედეგად განწყობის ფიქსაციის შემთხვევებს, ვნახავთ, რომ აქ ცპ-ბი განწყობის ფიქსაციის სიცხოველისა და მისი გამომუშავების სიადვილის მხრივ განსხვავდებიან ურთიერთისაგან: მიღებული შედეგების საფუძველზე მტკიცდება, რომ მაშინ, როდესაც ცპ-თა უმრავლესობა ვერბალური ზემოქმედების პირობებში განწყობის სუსტი ფიქსაციის უნარს ამჟღავნებს, ცპ-თა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა, რომელსაც ძირითადად მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები შეადგენენ, ამ მხრივ განსაკუთრებულ უნარს იჩენენ: ამ პირების თითქმის 100%-ს წარმოდგენის საფუძველზე საკმარისად გარკვეული ფიქსირებული განწყობა უმუშავდება.

1. თუ განვიხილავთ ამგვარად ფიქსირებულ განწყობას სიმტკიცის მხრივ, ვნახავთ, რომ განწყობა, აღმოცენებული ვერბალური ზემოქმედების შედეგად, საერთოდ, სიმტკიცის დაბალი ხარისხით ხასიათდება. განწყობის ამ პირობებში ფიქსაციის 16 შემთხვევიდან 15 შემთხვევაში (93,8%) ფიქსაციის სისუსტე აღინიშნება. მხოლოდ ერთი ცპ-ი ამჟღავნებს ფიქსირებული განწყობის შესამჩნევ *სიმტკიცეს*.

ერთი სიტყვით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ პირობებში შექმნილი განწყობის *სიმტკიცე* გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქსაცია აქტუალური ზემოქმედების საშუალებით ხდება.

2. წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი განწყობის შედარებით ნაკლები სიმტკიცე ან გამძლეობა გავლენას ახდენს განწყობის სხვა მხარეების მდგომარეობაზეც — პირველ რიგში სტაბილობის ხარისხზე და შემდეგ აღგზნებადობაზეც. ამ ცდების შედეგად გამოირკვა, რომ 13 ცპ-იდან წარმოდგენის საფუძველზე შექმნილი განწყობა 5-15 წუთის პაუზის შემდეგ მხოლოდ 5 ცპ-ს შერჩა, ე. ი. 38%-ს; ამასთანავე, ერთი ცპ-ის გამონაკლისით, რომელსაც სტატიკური განწყობა აღმოაჩნდა, ყველამ ფიქსაციის ძალიან დაბალი ხარისხი გამოამჟღავნა, სახელდობრ: ორს ორხელობრივი და ორს — ერთხელობრივი ილუზია ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ამ ცდებში ფიქსირებული განწყობის სტაბილობის საკმარისად დაბალი ხარისხი გამოვლინდა.

ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ვერბალურად სტიმულირებული განწყობა საერთოდ გაცილებით ნაკლებ სტაბილურია, ვიდრე განწყობა შექმნილი აქტუალური სიტუაციის უშუალო ზემოქმედების პირობებში.

3. იგივე ითქმის განწყობის *აგზნებადობის* შესახებაც. იმ 13 ცპ-იდან, რომელსაც წარმოსახვითი ზემოქმედების შედეგად საერთოდ უმუშავდებათ ფიქსირებული განწყობა, მხოლოდ სამს შეექმნა განწყობა ჰაპტურ სფეროში 5 საგანწყობო ზემოქმედების შემდეგ. ეს რიცხვი რომ სათანადო მაჩვენებელს შევადაროთ განწყობის აქტუალურ სიტუაციაში შექმნის შემთხვევაში, დავრწმუნდებით, თუ რამდენად უმნიშვნელოა ის: ჯერ ერთი, აგზნებადობის უდაბლესი ზღურბლი იქ გაცილებით უფრო დაბალია (უკვე ერთი საგანწყობო ექსპოზიცია იძლევა შესამჩნევ ეფექტს), აქ კი ამისათვის არა ნაკლებ ხუთი საგანწყობო ზემოქმედებისაა საჭირო. მეორე — მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ ცდებში აღნიშნული ზღურბლის მქონეთა რიცხვი საკმარისად დიდია, აქ ამ მხრივ ძალიან დაბალი მაჩვენებელი (23%) გვაქვს: და, ბოლოს, წარმოდგენის მინიმალურ ზემოქმედებათა შედეგად შექმნილი განწყობა ძალიან სუსტი გამძლეობის აღმოჩნდა: ერთს ცპ-თან ილუზიაში მან თავი იჩინა სამის, მეორესთან — ორისა, ხოლო მესამესთან — მარტო ერთი კრიტიკული ექსპოზიციის შემთხვევაში.

ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოსახულ სიტუაციაში შექმნილი განწყობა გაცილებით ძნელად აგზნებადია, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქსირებული განწყობა.

4. შეიძლება თუ არა რაიმე თავისებურების აღნიშვნა ამ განწყობის ჩაქრობის პროცესშიც?

იმავე ავტორის მონაცემებში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება:

ა) იმ 36 ცპ-იდან, რომელნიც ამ შემთხვევაში განწყობის ფიქსაციის ეფექტს იძლევიან და ამ მხრივ განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ, 9, ე. ი. 25%, განწყობის *სტატიკურობით* ხასიათდება: ეს პირები უცვლელად, 30 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ სრულ კონტრასტულ ილუზიას იძლევიან. ჩვეულებრივ ცდების დროს, ნორმალურ ცპ-თა შემთხვევაში, ეს იშვიათად ხდება (3-5%). საჭიროა შემდეგ ცდებში, ვერბალურად ფიქსირებული განწყობის ამ თავისებურების საფუძველი გამოირკვეს.

ბ) განსაკუთრებით ხშირია (52%) ტლანქი დინამიკური განწყობის შემთხვევა: აქ კრიტიკული ცდის დასაწყისიდან თავს იჩენს განწყობის კონტრასტული ილუზია, რომელიც თითქმის უცვლელად ძალაში რჩება, სანამ ცპ-ი კრიტიკული ობიექტების ტოლობას საბოლოოდ შეამჩნევდეს.

გ) შემთხვევათა 25%-ში პლასტიკური განწყობის ტიპი გვაქვს. ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია: აქტუალური ზემოქმედების გზით განწყობის შექმნის პირობებში ჩვენ გაცილებით უფრო მაღალი პროცენტი გვაქვს.

ვერბალურად განმტკიცებული განწყობის ჩაქრობის პროცესის ყველა ეს თავისებურება ადრინდელს, ამგვარი განწყობის შესაძლებლობის გამოსარკვევად დაყენებულ ცდებში იქნა მიღებული. შემდგომმა მუშაობამ უნდა გვიჩვენოს, თუ რა უნდა დარჩეს ამ შედეგებიდან უცვლელი და რა უნდა შეიცვალოს ამა თუ იმ მიმართულებით.

2. წარმოდგენის პრობლემა. თუ გადავხედავთ ამ ცდებში მიღებულ შედეგებს, ვნახავთ, რომ განწყობის ფიქსაცია ვერბალური ზემოქმედების საფუძველზე უდავო ფაქტია. ეჭვი არაა, რომ *სიტყვა* ჩვენთვის აქტივობის იმ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ადამიანის განწყობისეულ მდგომარეობათა ახალი ფენა აიგება, ფენა, რომელიც თავის მხრივ მისი ქცევის განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს.

საკითხი, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე დგას, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: როგორ ახერხებს *სიტყვა* იმ როლის შესრულებას, რომელიც, როგორც წესი, ობიექტური სინამდვილის — ჩვენი ქცევის ამ ჩვეულებრივი ბაზის — წინაშე დგას?

მართლაც, განწყობის აღმოცენების უშუალო ფაქტორს, ამ შე-

მთხვევაში არა ფაქტიურად ჩვენზე მოქმედი სიტუაცია წარმოადგენს, არამედ სინამდვილის ვერბალურად გაშუალებული ფორმა. შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურ ფაქტორს, რომელიც, ამ შემთხვევაში, განსაზღვრავს განწყობის აღმოცენებას, არა *აქტუალური*, არამედ მხოლოდ *ვერბალურად* სტიმულირებული სიტუაცია ქმნის. ეს ნიშნავს, რომ ის, თუ რა განწყობა უჩნდება სუბიექტს, დამოკიდებულია ამ შემთხვევაში სინამდვილის არა იმ პირობებზე, რომელშიც მისი ქცევა მიმდინარეობს, არამედ იმაზე, თუ როგორ სინამდვილეს წარმოსახავს იგი, რისი გამოხატვა სურს მას თავისი სიტყვით.

ამგვარად, თუ განწყობის ჩვეულებრივ ცდებში საქმე აქტუალური სინამდვილის რომელიმე ინდივიდუალურ მონაკვეთთან, სავსებით გარკვეულ სიტუაციასთან გვქონდა, ამ შემთხვევაში განწყობის ობიექტურ პირობას *აზრითი*, ან უბრალოდ, *იდეური სიტუაცია* წარმოადგენს: სუბიექტს ანგარიშის გაწევა უხდება არა რეალურად მოცემულს, არამედ იდეურად წარმოსახულს, აზრითს სიტუაციასთან.

რასაკვირველია, განწყობის აღმოცენების ობიექტური პირობები ამ ორ სხვადასხვა შემთხვევაში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ ჩვეულებრივ შემთხვევაში ლაპარაკი რეალურად არსებული ობიექტური სიტუაციის შესახებ შეიძლება, აქ საქმე ნამდვილად არსებულ, აქტუალურად მოქმედ სიტუაციასთან კი არა გვაქვს, არამედ ისეთ სიტუაციასთან, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ *წარმოიდგინება* ან *იაზრება*.

ჩვენი განწყობის აქტივობის ჩვეულებრივი შემთხვევისათვის, მაშასადამე, მნიშვნელობა აქვს *რეალურად მოცემულს*, სინამდვილეს, როგორც სიტუაციას, რომელშიც აღძრული ამოცანის გადაჭრა უნდა მოხდეს. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს განწყობის, იდეური ზემოქმედების შედეგად, აღმოცენების შემთხვევაში. აქ მნიშვნელობა არა ობიექტურად მოცემულს, არამედ მხოლოდ *აზრითს, სიტყვაში გამოთქმულს, წარმოდგენილს* სიტუაციას აქვს.

ამგვარად გასაგები ხდება, რომ ამ შემთხვევაში განწყობის სულ ახალი ფენა ჩნდება, — ფენა, შესაძლებელი და მისაწვდომი მხოლოდ ისეთი სუბიექტებისათვის, რომელთაც, ზოგადად რომ ვთქვათ, წარმოდგენასთან, აზრთან ან იდეასთან აქვთ საქმე.

რას წარმოადგენს ეს იდეა? შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ჩვეულებრივ წარმოდგენას, ე. ი. „საგნის რეპროდუცირებულ ხატს, რომელიც ემყარება ჩვენს წარსულ გამოცდილებას" (რუბინშტეინი). მაგრამ ზემოთ აღწერილ ცდებში ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომელნიც საბუთს არ გვაძლევენ ამ მოსაზრების

სასარგებლოდ. საქმე ისაა, რომ ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის წარმოდგენები, როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, ინტენსივობის ან სიმკვეთრის ხარისხის მიხედვით. ამ ცდებში კი გამოირკვა, რომ ინტენსივობის მომენტი ჩვენს საკითხს ვერ წყვეტს: წარმოდგენა შეიძლება მაქსიმალურად ნათელი იყოს, მაგრამ უძლური იმისათვის, რომ სუბიექტის აქტივობის სტიმულაცია მოახდინოს.

როგორც ჩანს, ამ ცდებში გადამწყვეტ როლს არა წარმოდგენა, არა საგნის უბრალო ხატი, არამედ სულ სხვა რაღაც ასრულებს.

რომ საქმე ამ შემთხვევაში ინდივიდუალურ წარმოდგენებში არაა, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ აქ მეტყველებას განსაკუთრებული როლი ეკისრება. სიტყვა ხომ პირდაპირ რომელიმე კონკრეტ, ინდივიდუალურ ხატს არ გამოხატავს! იგი ყოველთვის განზოგადებას ახდენს, ყოველთვის მეტად ან ნაკლებად ზოგად შინაარსს გულისხმობს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, აქ საქმე გვაქვს ისეთ პროცესთან, რომელიც უფრო ზოგადი ბუნებისაა, ვიდრე ინდივიდუალური წარმოდგენა. არის საბუთი ვიგულოთ, რომ აქ ცალკეულად აღქმულის ან წარმოდგენილის კონკრეტ სფეროს ვცილდებით და იმ უფრო მაღალ ფენაში ავდივართ, რომელსაც *აზრითი სფერო* შეადგენს.

ეს ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ძალაში შედის ადამიანის ის განსაკუთრებული და სპეციფიკური თვისება, რომელიც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა გაფორმებული, სახელდობრ, აზროვნება.

ამგვარად ირკვევა, რომ ადამიანს უჩნდება განწყობის მეორე, უფრო მაღალი ფორმა. განწყობის ამ ფორმას პირველ რიგში ის გარემოება ახასიათებს, რომ იგი, გარდა რომელიმე მოთხოვნილებისა, რომელიც ქცევის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, როგორც მეორე ფაქტორს ისეთი სიტუაციის არსებობას გულისხმობს, რომელიც აზროვნების კატეგორიებით განისაზღვრება — არა აღქმით, როგორც ეს აქტუალურ პლანში მოქმედი განწყობის შემთხვევაში ხდება.

მდგომარეობა ასეთია: ადამიანს უმუშავდება უნარი იმოქმედოს ახალს — მეორედ ასახული სინამდვილის — პლანში და ამგვარად უპასუხოს მოქმედ გაღიზიანებას არა მხოლოდ პირდაპირ, რაც მეტად თუ ნაკლებად ცხოველსაც შეუძლია, არამედ *არაპირდაპირაც*: მის წინაშე გაშლილი სინამდვილის სურათზე იგი რეაქციების *გაშუალებულ* სახეებსაც იძლევა.

3. **წარმოდგენები სიზმარში.** იმისათვის, რომ უფრო ნათლად

წარმოვიდგინოთ ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე სპეციფიკური პროცესების ბუნება, ჩვენ ისეთ შემთხვევათა განხილვაც მოგვიხდება, რომელნიც, პირველი შეხედვით, ჩვენს ანალიზს თითქოს ძირიანად ეწინააღმდეგებიან. მხედველობაში გვაქვს მდგომარეობა, რომელშიც არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ერთგვარად თითქოს ცხოველიც წარმოდგენის, იდეის ან აზრის ანალოგიურ განცდათა მატარებლად გვევლინება.

აქ ჩვენ ვგულისხმობთ სიზმრის ხატს, რომელიც, როგორც ჩანს, არა მარტო განვითარების პრიმიტიული საფეხურის ადამიანისათვის არაა უცხო, არამედ არც ცხოველისათვის, რასაკვირველია, უნდა ვცნოთ, რომ, მართალია, სიზმრის ხატი, არსებითად, აქტუალურად მოქმედი შინაარსის განცდად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე, სადაც ნამდვილი აზროვნების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, მისი არსებობა უდავო ფაქტს წარმოადგენს, აი, ერთი მაგალითიც:

ჩემს წინაშე მონადირე ძაღლი წევს. მას სძინავს: ყველაფერზე ეტყობა, რომ ის მშვიდად არაა: იგი წკმუტუნებს, დრო და დრო ყეფს კიდეც, მართალია ყრუდ, მაგრამ საკმარისად გარკვევით იმისათვის, რომ ამ შემთხვევაში ნადირობის დროს მისთვის დამახასიათებელი ყეფა ვიგულოთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი გვარწმუნებს, რომ ძაღლი სიზმარში „ხედავს" ნადირობის სცენას, რომელშიც თვითონ მონაწილეობს.

ბავშვების სიზმარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! იგი სრულიად არავითარ ეჭვს არ იწვევს. იგივე ითქმის პრიმიტიული ადამიანის სიზმრის შესახებაც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიზმარი განვითარების პრიმიტიულ საფეხურზედაც იმდენად უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომ მასზე სრული დამშვიდებით შეიძლება დაყრდნობა.

მაგრამ თუ ეს ასეა, თუ სიზმრის ფაქტი ამ საფეხურზედაც არ იწვევს ეჭვს, მაშინ ცხადია, რომ აქ, ამ საფეხურზე, *წარმოდგენის* უნარიც ყოველივე ეჭვის გარეშე უნდა ვიგულოთ: ცხოველს, ამ შემთხვევაში ძაღლს, გარკვეული ხატები უნდა ჰქონდეს, რომელნიც მასში სათანადო რეაქციას — ყეფას განსაზღვრავენ. იგივე ითქმის ადამიანის სიზმრის შესახებაც: რომელიმე წარმოდგენის არსებობის ფაქტი აქ თითქოს სრულიად არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ რა უნდა ითქვას ამ წარმოდგენის შესახებ?

უეჭველია, სიზმარს ერთი საინტერესო და, ამ შემთხვევაში ძლიერი საგულისხმო თავისებურება აქვს: ხშირად სიზმარში ისეთი გრძნობა

გვაქვს ხოლმე, თითქოს ჩვენ არა მხოლოდ აღვიქვამდეთ მოვლენათა რიგს, არამედ ზოგჯერ წარმოვიდგენდეთ კიდეც მას. მაგრამ თუ დავუკვირდებით წარმოდგენის ამ შემთხვევებს, ვნახავთ, რომ ხშირად აქ ისეთი თავისებურის, ისეთი სპეციფიკური ხასიათის განცდასთან გვაქვს საქმე, რომ მისი ჩათვლა ნამდვილად წარმოდგენად საკმაოდ ძნელი ხდება. საქმე ისაა, რომ სიზმარში ჩვენი *წარმოდგენების ხატები* მყის აღქმის ხატებად იქცევიან *როგორც კი ყურადღებას მივაქცევთ მათ*. ის, რაც აქამდე ცნობიერებაში როგორც ცალკეული წარმოდგენა იჩენდა თავს, ამ შემთხვევაში მაშინვე ტრანსფორმირდება, მაშინვე აქტუალურ განცდად, ნამდვილ აღქმად იქცევა — ისეთ ფენომენად, რომლის გაშლაც ფაქტიურად ჩვენს თვალწინ ხდება. მაგალითად, აზრი, რომელიც თავში მოგვდის სიზმრის დროს, მაშინვე ხორცშესხმულს, ნამდვილს, აქტუალურ აღქმად განიცდება. ეს ტრანსფორმაცია იმდენად ცხადად ხდება, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს: ჩვენ ვიგონებთ მაგალ., რასმე სიზმარში, და უკვე ვხედავთ, რომ ამ მოგონების ხატი დაუყოვნებლივ ჩვენს თვალწინ აღქმის ნამდვილს, ცხად შინაარსად იშლება.

ეს დაკვირვება, ვფიქრობთ, კარგად ახასიათებს ჩვენი ცნობიერების მდგომარეობის თავისებურებას სიზმრის დროს: *სიზმარში ყველაფერი წარმოდგენილი დაუყოვნებლივ აღქმის ხატად იქცევა*.

წარმოდგენის შინაარსთა აღქმის შინაარსად გარდასახვის ეს უდავო ფაქტი განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს სიზმრის ფსიქოლოგიური ბუნების ნათელსაყოფად. თუ წარმოდგენის შინაარსის აღქმის შინაარსად ასეთი ტრანსფორმაცია მართლა შესაძლებელია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სიზმრის ამ ორ შინაარსს შორის არც არის რაიმე განსხვავება. თუ აღქმა კონკრეტი სინამდვილის, განსაზღვრული, ინდივიდუალურად მოცემული შინაარსის ასახვას წარმოადგენს, იგივე უნდა ითქვას სიზმრის წარმოდგენის შესახებაც; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი აღქმად გარდასახვა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. თუ ერთი და იგივე შინაარსი ერთნაირად შეიძლება შეადგენდეს როგორც წარმოდგენის, ისე აღქმის შინაარსსაც, აღქმა და წარმოდგენა ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდნენ. მაშასადამე, ერთი და იგივე ინდივიდუალურად კონკრეტი მოცემულობა შეიძლება ერთ შემთხვევაში აღქმისა და მეორეში — წარმოდგენის შინაარსად განიცდებოდეს.

გამოდის, რომ წარმოდგენას სიზმარში ისეთივე კონკრეტი და ინდივიდუალური შინაარსი აქვს, როგორც აღქმას.

აქედან ნათელი ხდება, რომ დებულება, რომლის მიხედვითაც თითქოს წარმოდგენას ყველა შემთხვევაში უთუოდ მეტად ან ნაკლებად განზოგადებული შინაარსი უნდა ჰქონდეს, არ არის საკმარისად დასაბუთებული. მართალია, იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის შინაარსი დიფუზურია და გაურკვეველი, ძნელი ხდება მისი აღქმის თუ წარმოდგენის ზუსტად გარკვეული განცდის შინაარსად აღიარება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ცნობიერების ფაქტები ამის გამო განზოგადებულ ხასიათს იძენდნენ: რაგინდ დიფუზიური და გაურკვეველიც უნდა იყვნენ, ისინი მაინც ინდივიდუალური შინაარსის განცდებად რჩებიან. ამგვარ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა პრინციპულად ზოგად შინაარსთან, მოვლენების ან საგნების რომელიმე ჯგუფის ნიშანთა ერთობლიობასთან, არამედ მხოლოდ ნაკლებად გარკვეულ დიფუზიურ განცდასთან.

ამგვარად დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენი წარმოდგენა სიზმრის დროს პრინციპულად არ განსხვავდება აღქმისაგან და იგი არა მხოლოდ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, არამედ ცხოველსაც.

ცხადია, არ შეიძლება წარმოდგენასთან, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, — იმ მნიშვნელობით, რომელიც აქ იგულისხმება, — იმ *იდეის* გაიგივება, რომელიც საფუძვლად უდევს ვერბალურად სტიმულირებული განწყობის ექსპერიმენტს. წარმოდგენა, როგორც ვიცით, შეიძლება განვითარების შედარებით ადრინდელი საფეხურის ცოცხალ არსებასაც, ცხოველსაც ჰქონდეს. ვერბალურად სტიმულირებული იდეა კი მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე გვხვდება — იგი მხოლოდ მეტყველ არსებას — ადამიანს შეიძლება ჰქონდეს.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიზმარში აღმოცენებული წარმოდგენა თავის სპეციფიკურ სახეს ატარებს. იგი გარკვევით კონკრეტულის, ინდივიდუალური ხასიათის განცდაა, ისეთივე, როგორც რომელიმე ჩვეულებრივი აღქმა. ამიტომაცა, რომ სიზმრის წარმოდგენა ეგოდენ ადვილად ტრანსფორმირდება აქტუალურ განცდად.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ადამიანს არა მარტო *იდეა* აქვს, რომელსაც დღემდე აგრეთვე წარმოდგენასაც უწოდებენ. არა, მას *„წარმოდგენაც“* აქვს, რომლის სპეციფიკური ნიშანი მის ინდივიდუალობაში უნდა ვეძიოთ, განსხვავებით იდეისაგან, რომელსაც გარკვეულ ფარგლებში უეჭველი ზოგადობა ახასიათებს.

რასაკვირველია, წარმოდგენას, როგორც სპეციფიკურს ინდივიდუალურ განცდას, არა მარტო სიზმარში ვხვდებით. ხშირია შე-

მთხვევა, რომ ადამიანი მას ცხადშიც მიმართავს ხოლმე. ე. წ. ოცნება, ფანტაზია სწორედ ასეთ წარმოდგენათა უნარს გულისხმობს: ტყუილია კი არ არის, რომ ოცნების ხატების განცდას ზოგჯერ „ცხადში *სიზმარს*" უწოდებენ ხოლმე (Wachtraum).

მაშასადამე, სრულიად უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანს ორგვარი წარმოდგენა აქვს: 1) წარმოდგენა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (სიზმრის წარმოდგენა) და 2) იდეა ანუ წარმოდგენა, რომელიც, განსაზღვრულ ფარგლებში, ზოგადობით ხასიათდება და, ჩვეულებრივ, ვერბალურ სტიმულაციას ემორჩილება.

შეიძლება ითქვას, დღემდე ამ ორ ფსიქოლოგიურ ფაქტს ურთიერთისაგან არ განასხვავებდნენ: ორთავეს წარმოდგენად გულისხმობდნენ, მაგრამ განწყობის ფსიქოლოგიის ასპექტით, მათ შორის საკმარისად მკვეთრი განსხვავება ჩანს და მათი გაერთიანება არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს. ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ამავე დროს მნიშვნელოვანი განსხვავება არა მარტო მათ ფენომენოლოგიურ თავისებურებაში უნდა ვეძიოთ — კერძოდ, იმაში, რომ წარმოდგენას მკვეთრად ჩამოყალიბებული ინდივიდუალობა, ხოლო იდეას ზოგადობა ახასიათებს, არამედ განსაკუთრებით იმაში, რომ ეს ორი განცდა უფრო არსებითის მხრივ შორდებიან ურთიერთს, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ წარმოდგენა ჩვეულებრივ იმავე პირობებში აღმოცენდება ხოლმე, როგორშიც აღქმა: იგი აქტუალური განწყობის უშუალო პროდუქტს წარმოადგენს. იდეის შესახებ კი ეს არ ითქმის. თავისი აღმოცენებისათვის იგი ობიექტივაციას გულისხმობს. იმისათვის, რომ სუბიექტს იდეა გაუჩნდეს, წინასწარ ობიექტივაციის აქტია საჭირო, ობიექტივაციის აქტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღმოცენებული ფსიქიური შინაარსის *საგნის* რეალობის შესახებ დადგეს საკითხი. წარმოდგენის შემთხვევაში ეს საკითხი არ დგას და, ესაა, რაც ობიექტივაციის გარეშე მისი განცდის შესაძლებლობას იძლევა.

მოკლედ, ეჭვი არ არის, რომ წარმოდგენა და იდეა ორი თვალსაჩინოდ განსხვავებული ფსიქოლოგიური კატეგორიაა, და ადამიანის ფსიქიკის მკვლევარს ეს გარემოება უთუოდ უნდა ჰქონდეს მხედველობაში.

ამრიგად, ადამიანის განვითარების საფეხურზე — ობიექტივაციის ბაზაზე — ახალი განცდები აღმოცენდება, განცდები, რომელთაც ცხოველთან ჩვენ ვერ ვადასტურებთ. ამ განცდათა შორის პირველ რიგში ობიექტივირებული წარმოდგენა ან *იდეა* უნდა ვიგულისხმოთ.

4. წარმოდგენისა და იდეის აღმოცენების შემთხვევები. ნ. ნათაძის ერთ-ერთ შრომაში გამოვლინებულია ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც იგი შემდგომ დებულებაში აყალიბებს: „სასცენო გარდასახვის არსს სასცენო სიტუაციის, ე. ი. მსახიობის მიერ წარმოდგენილი (არა რეალური) სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენება შეადგენს"[1].

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის ფიქსაცია ნიჭიერ მსახიობებს უფრო ეხერხებათ, ვიდრე სცენის გარეშე მდგომ პირებს, რომელთაც სცენური გარდასახვის უნარი არა აქვთ განვითარებული. განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ წარმოდგენის საფუძველზე განწყობის ფიქსაციის უნარი უფრო ძლიერ აქვთ წარმოდგენილი სასცენო ნიჭის მქონე სტუდენტებს, ვიდრე ამ ნიჭს მოკლებულთ. თავისი დებულების სამართლიანობას ავტორი სხვადასხვა ცდებისა და მათი კომბინაციების საფუძველზე ამტკიცებს.

რათა ნათელი გახდეს, რა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ და ამ ნიჭს მოკლებულ პირთა შორის, მივმართოთ ამ ავტორის ზოგიერთ მონაცემებს, მაგალითად მე-15 ცხრილს. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ თეატრალური ნიჭის მქონე სუბიექტები მკვეთრად განსხვავდებიან თავისი მაჩვენებლებით სცენის გარეშე მდგომი პირებისაგან.

განსხვავება ამ შემთხვევაში შესამჩნევია: მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევით შერჩეულ არამსახიობ ცპ-თა შორისაც შეიძლება ყოფილიყვნენ ისეთი პირებიც, რომელნიც არ იყვნენ მოკლებული თეატრალური ხელოვნების ნიჭს, მათი მაჩვენებლები (31%) მსახიობთა (87,8%) და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა მონაცემებთან (80%) შედარებით თითქმის სამჯერ უფრო დაბალია.

როგორც ჩანს, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ თეატრალური ხელოვნების ნიჭისა და *წარმოდგენით* სტიმულირებული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიების რაოდენობათა შორის

ცხრილი 15

		ცპ. რიცხვი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	10	10	90	22.2	33.3	33.3	11.1
2	[illegible]	7	14.3	85.27	33.3	33.3	33.3	–
3	[illegible]	10	20	80	25	25	37.5	12.5
4	[illegible]	25	69.8	30.1	75	8.3	8.3	8.3

[1] *რ. ნათაძე*, op. cit.

მაღალის დადებითი კორელაცია არსებობს. ამ ცდებში ცპ-ს სიტყვიერად წინადადება ეძლევა *წარმოიდგინოს* მარჯვენა ხელში დიდი, ხოლო მარცხენაში პატარა მოცულობის ბურთი. განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ის გარემოება, რომ არსებითად იგივე შედეგი გვაქვს ცდის გართულებულ პირობებში, როდესაც ცპ-ი აქტუალურად აღიქვამს ისეთ გამღიზიანებელს, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება წარმოდგენილს საგანწყობო ობიექტებს. სახელდობრ: 1) ცპ-ს ხელთ ეძლევა შარპანტიეს ობიექტები. მას უნდა გაუჩნდეს შესატყვისი ილუზია. მაგრამ ამავე დროს ექსპერიმენტატორი მას სთხოვს წარმოიდგინოს, რომ სიმძიმეები განლაგებულია საწინააღმდეგო მიმართულებით: იქ, სადაც მძიმე ბურთია, მან უნდა წარმოიდგინოს მსუბუქი და, პირიქით, სადაც გრძნობს მსუბუქს, იქ უნდა მძიმე წარმოიდგინოს.

მიღებული მონაცემების შედეგად ნათელი ხდება, რომ ცპ-ები ახერხებენ წარმოდგენის გზით შარპანტიეს ილუზიის დაძლევას. ამასთანავე ირკვევა ისიც, რომ ეს ადვილად ეხერხებათ სასცენო ნიჭის მქონე პირებს (65,2%), და სრულიად არ ეხერხებათ იმათ, ვისაც თეატრალურ ხელოვნებასთან (მოსამსახურენი საშუალო კვალიფიკაციისაა) არავითარი კავშირი არ აქვთ. ეჭვი არაა, მიღებული მაჩვენებლები კარგად ამჟღავნებენ იმ განსხვავებას, რომელიც ცპ-თა ამ ორ კატეგორიას შორის დასტურდება.

ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ წარმოდგენის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიების რაოდენობა გარკვეულ კორელაციაში იმყოფება თეატრალურ ნიჭთან.

ამ ცდების მეორე ვარიანტში დადასტურდა, რომ განწყობის ფიქსაცია წარმოდგენის საფუძველზე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს წარმოდგენა იმავე მოდალობის აღქმასთან გარკვეულ წინააღმდეგობაში იმყოფება: ცპ-ს, მაგალითად, ხელში ეძლევა მოცულობით ტოლი ობიექტები, და ამ პირობებში მას, წარმოდგენის საფუძველზე, უფიქსირდება განწყობის მარჯვნივ დიდსა და მარცხნივ პატარა ობიექტებზე. როგორც ირკვევა, თეატრალური ნიჭის მქონე პირები ამას გაცილებით უფრო ხშირად (77,8%) ახერხებენ, ვიდრე ჩვენი დანარჩენი ცპ-ები (23,8%).

ცდების სხვა ვარიანტების განხილვის გარეშეც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ფიქსაციის უნარი ობიექტის ისეთი წარმოდგენის საფუძველზე, რომელიც ეწინააღმდეგება აქტუალურ აღქმას, გაცილებით უფრო გავრცელებულია სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირებს შორის, ვიდრე თეატრის გარეშე მდგომ სუბი-

ექტებსა და აგრეთვე სასცენო ნიჭის თვალსაზრისით შეუფერებელ სტუდენტებს შორის.

ამგვარად, განხილული ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ფიქსირებული განწყობა წარმოდგენის საფუძველზე გაცილებით უფრო ხშირად უმუშავდებათ სამსახიობო ნიჭის მქონე პირებს, ვიდრე იმათ, ვინც მოკლებულია ამ ნიჭს.

რას გვეუბნება ეს გარემოება?

5. ცდები „წარმოდგენათა" და „იდეათა" ბაზაზე. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ცდებში, ისევე როგორც სხვა ანალოგიურ ცდებში, მნიშვნელობა აქვს არა ნათელი, ცოცხალი წარმოდგენის უნარს, არამედ უფრო ისეთ უნარს, რომელიც საერთოდ იდეის აღმოცენებას უდევს საფუძვლად. მაგრამ ცდების ის შედეგი, რომელიც სასცენო ნიჭით დაჯილდოებულ პირთაგან მივიღეთ, პირველი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას: ჩვენ ხომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ აზროვნების უნარი ამ პირებს უფრო განვითარებული აქვთ, ვიდრე დანარჩენ სუბიექტებს: არსებობს სხვა საშუალებებიც ცპ-თა გონებრივი უნარის გამოსარკვევად, და უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელთა მონაცემები ყოველთვის არ ემთხვევა ჩვენი ცდების შედეგებს. ეს გარემოება კვლავ სვამს ჩვენს წინაშე საკითხს: — რას იკვლევენ ეს ცდები?

ამ საკითხის გადასაწყვეტად მივმართოთ ზოგიერთ მონაცემებს, მიღებულს იმავე ცდების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მნიშვნელოვანი განსხვავება ცპ-თა აღნიშნულს ორ კატეგორიას შორის: მაშინ, როდესაც არტისტული ნიჭით დაჯილდოებული სუბიექტი ადვილად წყვეტს ამოცანას, მაგ., წარმოიდგინოს აღქმაში მოცემულის საწინააღმდეგო გაღიზიანება, ცპ-ს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სასცენო ხელოვნებასთან, ეს უძნელდება, და ზოგჯერ იმდენად უძნელდება, რომ იგი იძულებული ხდება უარი თქვას დავალების შესრულებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეორე ჯგუფის ცპ-ები ამ დავალების შესრულების დროს ძლიერ დაძაბულობას განიცდიან, მალე იღლებიან და ზოგჯერ, ცდების დროს, აი რას ამბობენ: „ვიკრებ ძალებს"... „არაჩვეულებრივი დაძაბულობა მაქვს"... „რა საშინელებაა", „იცით, არაჩვეულებრივად დავიღალე"... „გული დამეღალა"... და სხვა. თუ ასეთი ცპ-ი ბოლოს და ბოლოს ახერხებს დავალების შესრულებას, ეს ხდება ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად: მხოლოდ 15-26 ექსპოზიციის შემდეგ შეძლებს ხოლმე ამ კატეგორიის ცპ-ი მიღებული დავალების შესრულებას,

მაშინ, როდესაც პირველი კატეგორიის ცპ-ი ამას უკვე 3-5 ექსპოზიციის შედეგად ახერხებს[1].

ერთი სიტყვით, ვიმეორებთ, მაშინ, როდესაც სასცენო ნიჭით დაჯილდოებული პირები დავალებას შედარებით ადვილად ასრულებენ, ჩვეულებრივი ცპ-ბი ამაში მეტნილად საგრძნობ უძლურებას იჩენენ.

არსებითი მნიშვნელობა ამ დავალების შესრულების მიმდინარეობისას აქვს — იმ ხერხებს, რომელსაც სცენური ნიჭით დაჯილდოებული პირები მიმართავენ განსაკუთრებით, როდესაც მათ დავალების შესრულება უძნელდებათ — მაგ. ცპ-ი რომელიმე წარმოდგენის ფიქსაციას ახდენს, მაგრამ უცბად ეს წარმოდგენა გამოვარდება და ცპ-ი რამდენიმე ხანს, ასე ვთქვათ, ხელცარიელი რჩება, და ეს გრძელდება მანამდე, სანამ საჭირო წარმოდგენის ხელახლად გამოწვევა არ ხერხდება: „ისევ ჩაირთო"... „ისევ გამოითიშა", ამბობს ერთი. „დავიჭირე", „ისევ გაიპარა", „არის", „ისევ ვგრძნობ სიმძიმეს", ამბობს მეორე. ცდები, მათი პირობების მნიშვნელოვანი გართულების მიუხედავად, ამ კატეგორიის ცპ-თა შემთხვევაში შეუდარებლად უფრო ადვილად მიმდინარეობს, ვიდრე იმ ცპ-თა შემთხვევაში, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სცენასთან.

აქ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს განსხვავების არსი, რომელიც თავს იჩენს ცპ-თა ორი სხვადასხვა ჯგუფის ქცევაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი ჯგუფი — სცენიური ნიჭით დაჯილდოებული პირები — დავალების შესასრულებლად საჭირო განწყობას შედარებით ადვილად იმუშავებს. ამ ჯგუფის ცპ-ს სწორედ იმის აქტივაცია ეხერხება, რაც დავალების შესასრულებლადაა საჭირო — სათანადო წარმოდგენის გამოსაწვევად მისთვის 3-5 ცდაა საკმარისი. მეორეს მხრივ, ასეთივე წარმოდგენის გამომუშავების ხერხი ამ შემთხვევაში სპეციფიკურ ხასიათს ატარებს: ხდება ამ წარმოდგენის „ჩართვა" და „გამოთიშვა", ცპ-ს ან აქვს ეს წარმოდგენა, ან სულ არა აქვს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს წარმოდგენა ან სულ არ არის, ან თუ არის, — დასრულებული სახითაა მოცემული.

ეს გარემოება საკმარისად კარგად ახასიათებს ასეთი „წარმოდგენის" ბუნებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წარმოდგენა ისეთი ფსიქიკური აქტია, რომელიც გარკვეულად განსხვავდება იმისაგან, რაც განსაზღვრავს ჩვენი ექსპერიმენტების დროს სცენის გარეშე მდგომი ცპ-ბის ქცევას. ცპ-თა ამ უკანასკნელი ჯგუფის ქცევა ძირითადად *აზრის* აქტებით, ან უკეთ, *იდეებით* განისაზღვრება, სასცენო

[1] *რ. ნათაძე,* op. cit.

ნიჭით დაჯილდოებული პირები კი ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, არა აზრის აქტს, არამედ ცხოველს, ინდივიდუალურ *ხატს* მიმართავენ, — გარკვეულ წარმოდგენას, რომელიც, თუ ჩნდება და მოქმედებს ცნობიერებაში, ყოველთვის დამთავრებულ მთლიანობას წარმოადგენს, ამით განსხვავდება იგი იმ აზრისაგან, იმ იდეისაგან, რომლითაც ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულებრივი ცპ-ბი ხელმძღვანელობდნენ.

მოკლედ, ცპ-თა ამ ორი ჯგუფის განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: სცენური ნიჭით დაჯილდოებულ სუბიექტს ჩვენი ცდების პირობებში ინდივიდუალურად განსაზღვრული ხატი ან *წარმოდგენა* უჩნდება; სხვებს კი, ჩვეულებრივ ცპ-ებს ამის ნაცვლად, *იდეა*, ან აზრი აღმოუცენდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელები ობიექტივაციის აქტებს ანარმოებენ და თავის ქცევის მიმდინარეობას მის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობის საფუძველზე წარმართავენ.

რასაკვირველია, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ცპ-ების პირველი ჯგუფი სრულიად არაა მოკლებული აზროვნების უნარს და შესაფერ პირობებში მათ ამ უნარის გამოყენება შეუძლიათ. მაგრამ ჩვენი ცდების სპეციფიკუმი ისეთია, რომ ამ ჯგუფის სუბიექტთა შემთხვევაში ხატოვანი წარმოდგენის სტიმულაცია უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აზროვნების მეტად თუ ნაკლებად განზოგადებული პროცესების აქტივაცია. ის ფაქტი, რომ დანარჩენ ცპ-თა შემთხვევაში თავს იჩენს არა კონკრეტი წარმოდგენის, არამედ მეტად თუ ნაკლებად განყენებული აზრის ან იმის სტიმულაცია, რასაც ჩვენ იდეა ვუწოდეთ, ვფიქრობთ, შეიძლება იმ გარემოებით იქნეს ახსნილი, რომ აქ ხატოვანი წარმოდგენა ისე აქტუალური არ არის, როგორც სცენური ნიჭით დაჯილდოებული სუბიექტების შემთხვევაში.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის აღმოცენების დროს „წარმოდგენის" საფუძველზე, სცენური ნიჭით დაჯილდოებულ პირებს ჩვენი ექსპერიმენტის პირობებში ძალა შესწევთ წარმოდგენათა ნამდვილი ინდივიდუალური ხატები გამოინვიონ მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი ცპ-ები ამას ვერ ახერხებენ და უფრო იდეას მიმართავენ ხოლმე, ვიდრე კონკრეტ ინდივიდუალურ წარმოდგენას.

IV. აზროვნება, როგორც სპეციფიკური ადამიანური ფუნქცია

ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენა არა მარტო ცხოველს აქვს — ის ხშირად გვხვდება ადამიანთანაც. დამახასიათებელი ამ სპეციფიკური ფსიქიკური აქტისათვის, უწინარეს ყოვლისა, ისაა, რომ იგი უშუ-

ალოდ, სუბიექტის განცდაში, სრულიად არ უპირდაპირდება აღქმას. აღქმა და წარმოდგენა ორივე მხოლოდ როგორც ობიექტის მოცემულობა განიცდება. ხოლო საკითხი — აქტუალურია ეს მოცემულობა, თუ არა, ამ შემთხვევაში უგულებელყოფილი რჩება — სწორედ ისე, როგორც ამას სიზმრის შემთხვევაში აქვს ხოლმე ადგილი: წარმოდგენის აღმოცენება, ისე როგორც აღქმისაც, აქ აქტუალური განნყობის ნიადაგზე ხდება.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის განვითარების საფეხურზე ხშირია შემთხვევა, რომ იგი რაიმე უშუალო, დაუძლეველი დაბრკოლების წინაშე დგება. ამის გამო მისი ქცევა განვითარების უნარს კარგავს, და ადამიანი იძულებული ხდება შეჩერდეს, ხელი აიღოს ქცევის იმპულსურ გაგრძელებაზე. თუ ცხოველი ასეთ შემთხვევაში მართლა საბოლოოდ წყვეტს თავის ქცევას, რათა სულ სხვა ქცევაზე გადავიდეს, ადამიანზე ეს არ ითქმის: იგი მისთვის კი არ ანებებს მიმდინარე ქცევას თავს, რომ საბოლოოდ უარი თქვას მის შესრულებაზე. არა! შეჩერება, შეწყვეტა მიმდინარე ქცევის აქტებისა მას მხოლოდ მისთვის უნდა, რომ ამით სწორედ მისი წარმატებითი გაგრძელების შესაძლებლობა მოიპოვოს. ქცევის შეჩერება, მისი შეწყვეტა ამ შემთხვევაში მისი აქტივობის აღკვეთას კი არ ნიშნავს. პირიქით, აქ აქტივობის ახალი, თავისებური ფენა ისახება, რომელიც ადამიანს შეჩერებული ქცევის წარმატებითი გაგრძელების შესაძლებლობას ანიჭებს. აქ, ქცევის ამ საფეხურზე აღმოცენებული დაბრკოლების ხელმეორედ განცდა, ამ დაბრკოლების *ობიექტივაცია* ხდება; აქტუალური ქცევის შეწყვეტა, მისი აღკვეთა, მისი შეჩერება სწორედ ასეთი განმეორებითი განცდისათვისაა საჭირო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ობიექტივაციის აქტი ქცევის ცოცხალ მდინარებას კლავს და მის ადგილას ქცევის პირობების განმეორებითი განცდის, შემოწმების, შესწავლის შესაძლებლობას ქმნის.

როგორ ხდება ამ შესაძლებლობის რეალიზაცია? როგორ ხდება, რომ ადამიანი ობიექტივირებული ქცევის შესწავლას ახერხებს? რა ძალები გააჩნია მას ამისათვის?

როდესაც ჩვენი ქცევის პროცესში ისეთი ვითარება იჩენს ხოლმე თავს, რომ იძულებული ვხდებით ობიექტივაციის აქტს მივმართოთ, ყოველთვის პირველ რიგში საკითხი გვიჩნდება: „რა არის ეს?", „რატომ არის ასე?", „რა იქნებოდა, რომ ასე ყოფილიყო?" ერთი სიტყვით, გვიჩნდება საკითხი, რომელიც აქტუალურად მოითხოვს თავის გადაწყვეტას. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ქცევის განვითარების პროცესში ჩემ წინაშე სიძნელე იჩენს თავს, რო-

მლის გადაწყვეტაც უშუალოდ არ ხერხდება, და ეს გარემოება ჩემში *მოთხოვნილებას* აღძრავს პირველ რიგში ამ სიძნელის ხასიათი და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა გავარკვიოთ.

ერთი სიტყვით, აქ, ისე როგორც ჩვეულებრივი, იმპულსური ქცევის განვითარების შემთხვევაშიც, სუბიექტს მოთხოვნილება უჩნდება, რომელიც მონაცემ სიტუაციაში თავის დაკმაყოფილებას ესწრაფვის. ამ მხრივ აქ მდგომარეობა სავსებით ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი ქცევის ყველა შემთხვევაში: მოთხოვნილება და სიტუაცია ქცევის ორი აუცილებელი პირობაა.

მაგრამ ამავე დროს ამ ორ შემთხვევას შორის უეჭველი განსხვავებაც დასტურდება. საქმე ისაა, რომ ობიექტივაციის ნიადაგზე აღმოცენებული მოთხოვნილება სრულიად გარკვეული ხასიათისაა — იგი საკითხს წარმოადგენს, რომელიც შემეცნებითს პლანში უნდა იქნეს გადაჭრილი — შემეცნებითს, ან უკეთ, *თეორიულ* პლანში, და არა *პრაქტიკულში*, როგორც ეს იმპულსური ქცევის შემთხვევაში ხდება ხოლმე. იგი აქტუალური, პრაქტიკული ამოცანის გარეშე, ასე ვთქვათ, მის ზემოთ დგას, და, ცხადია, უშუალოდ მას არ ემსახურება, იგი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საქმის ვითარების გაშუქებას ესწრაფვის, იგი უფრო *თეორიულ* საკითხს წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკულს, რომელიც ჩვეულებრივ პირველ პლანში წყდება ხოლმე.

ამრიგად, ადამიანის ქცევის შემთხვევაში ჩვენს წინაშე ასეთი სურათი იშლება: სუბიექტი თავისი განწყობის ხელმღვანელობით აქტივობის საკმაოდ რთულ სურათს იძლევა; მაგრამ თუ მას რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება გადაეღობა წინ, ის იძულებული ხდება ხელი აიღოს აქტივობაზე, შეჩერდეს, და მის ნაცვლად ობიექტივაციის აქტი განახორციელოს. ეს შეჩერების მდგომარეობა, ჩვენ რომ ობიექტივაციას ვუწოდებთ, შესაძლებლობას აძლევს სუბიექტს თავისი ქცევა წმინდა თეორიულ პლანში აწარმოოს. იგი აზროვნების აქტებს მიმართავს, რათა მის წინაშე აღმოცენებული საკითხი გადაჭრას, ე. ი. ობიექტივაციის ნიადაგზე აღძრული შემეცნების მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

ასე ჩნდება ადამიანის *აზროვნება*: იგი ობიექტივაციის ნიადაგზე წარმოებული ფსიქიკური აქტივობაა, რომელიც აღძრული თეორიული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. გარეშე ობიექტივაციისა, აზროვნება შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, ქცევის პირველი პლანისათვის, როგორც ეს უკვე ზემოთ, თავის ადგილას იყო აღნიშნული, ობიექტივაცია უცხოა; სამაგიეროდ ქცევის მეორე პლანი მხოლოდ მის ნიადაგზე აღმოცენდება.

აქედან თავისთავად ცხადია, რომ აზროვნება ქცევის პირველ პლანში სრულიად გამორიცხულია — იგი მხოლოდ ობიექტივაციის ნიადაგზეა შესაძლებელი. მაგრამ უეჭველია, ამისათვის მარტო ობიექტივაცია არაა საკმარისი. ისე როგორც აქტუალური ქცევის პლანში, განწყობის მონაწილეობა, რა თქმა უნდა, აქაც აუცილებელია. დგება საკითხი: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ განწყობის მონაწილეობა აზროვნების პროცესში? რა სპეციფიკური თავისებურება იჩენს აქ თავს?

ვთქვათ, რაიმე ყოველდღიურს, ჩვეულებრივ აქტს მივმართავთ — მაგ. ვიღებთ ხელში კალამს და წერას ვიწყებთ; მაგრამ მალე ვამჩნევთ, რომ ზოგჯერ რატომღაც წერა გვიძნელდება ხოლმე — ქაღალდს ნაწერი ცუდად ემჩნევა, და იძულებული ვხდებით რამოდენიმეჯერ დავუბრუნდეთ ერთხელ დაწერილს და მკრთალად ნაწერის შევსება ვცადოთ. ბოლოს ვწყვეტთ წერას და ვიწყებთ კალმის შემოწმებას, შემდეგ მელნისას: „რატომაა, რომ წერა ვერ ხერხდება?".

როგორც ვხედავთ, აქტუალური განწყობის ნიადაგზე გარკვეული აქტივობა, სახელდობრ, წერა იჩენს თავს, მაგრამ მალე მისი შეფერხება იწყება, და აქტივობაც ყოვნდება. მაშინ სუბიექტი ობიექტივაციას მიმართავს და მის ნიადაგზე თავისი ქცევის ობიექტივირებული მომენტის გათვალისწინებას, მის *განსჯას* იწყებს, იმის გარკვევას, თუ რაა აქ ისეთი, რომ წერის წარმატებით გაგრძელებას ხელს უშლიდეს. ერთი სიტყვით, სუბიექტი ობიექტივაციის ნიადაგზე აზროვნების გაშლას იწყებს, რათა შეძლოს გაარკვიოს, თუ როგორ უნდა შეცვალოს თავისი ქცევა, რათა ის უფრო წარმატებული გახადოს. უდავოა, აზროვნების პროცესი, რომელიც ამ შემთხვევაში იშლება, არ შეიძლება განწყობის გარეშე მიმდინარეობდეს. სუბიექტის თითოეული მსჯელობის აქტი ამ შემთხვევაში უთუოდ რაიმე გარკვეული განწყობიდან მოდის, და ჩვენი ამოცანა ამჟამად ისაა, რომ გავარკვიოთ, თუ როგორია და საიდანაა ეს განწყობა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განწყობასთან, რომელიც არა აქტუალური მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზეა აღმოცენებული, არამედ მეორადს, ასე ვთქვათ, წარმოსახული მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე. თითოეულს ცალკე შემთხვევაში სუბიექტს სათანადო საკითხი და მისი გადაჭრის სიტუაციის წარმოდგენა უჩნდება, რაც მასში სრულიად გარკვეული შინაარსის განწყობას აღძრავს. აზროვნების თითოეული დამოუკიდებელი აქტი ამ განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება და, მაშასადამე, მისი რეალიზაცია ცალკე შემთხვევას წარმოადგენს.

ასე ხდება ჩვენს შემთხვევაში ობიექტივირებული შინაარსის საფუძველზე აგებული განწყობის ფსიქიკური რეალიზაცია — ასე აღიძვრის და ხორციელდება ადამიანის *ლოღიკური აზროვნება*.

ვცადოთ ჩვენი ლოღიკური აზროვნების ძირითადი პირობების ანალიზი.

როგორც ცნობილია, ჩვენი აზროვნება რამოდენსამე განსაკუთრებით დამახასიათებელს აქსიომატურ დებულებას გულისხმობს, რომელთა გარეშეც ნამდვილი აზროვნების აქტი შეუძლებელი იქნებოდა. მე მხედველობაში მაქვს აზროვნების სამი ძირითადი დებულება — დებულება *იგივეობისა, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა* და *საკმარისი საბუთიანობისა*. ჩვენთვის აქ საკმარისი იქნება, თუ ერთ-ერთზე, როგორც ყველაზე უფრო ტიპიურზე, სახელდობრ, *იგივეობის დებულებაზე* შევჩერდებით.

ლოღიკური აზროვნების ძირითადს აქსიომატურ დებულებას წარმოადგენს დებულება, რომ ყველაფერი არის ის, რაც არის, რომ ყველაფერი თავის თავს უდრის (A=A).

რას გვეუბნება ეს დებულება? უეჭველია, მხოლოდ ერთს, — სახელდობრ, იმას, რომ, ჩვენ რომ მსოფლიოს მარადიულს, უწყვეტ მდინარებას თავი დავაღწიოთ და რაიმე მოვლენას ერთხელ მაინც *მეორეჯერ* შევხედოთ, ე. ი. ჩვენ რომ რისამე *განმეორება* შევძლოთ, დავინახავთ, რომ ყველაფერი თურმე თავის თავს უდრის, რომ A ყოფილა A. ცხადია, A რომ A-ს დავუპირისპიროთ, ე. ი. რაიმე საგანი თუ მოვლენა რომ თავის თავს შევადაროთ, სრულიად აუცილებელია, ამ მოვლენაზე განმეორებით შევჩერდეთ და ის როგორც იგივე ორჯერ მაინც გავითვალისწინოთ — ერთხელ როგორც სუბიექტი და მეორეხელ როგორც პრედიკატი.

ერთი სიტყვით, ის გარემოება, რომ ლოღიკური აზროვნების უეჭველს, აუცილებელ წანამძღვარს იგივეობის აქსიომატური დებულება წარმოადგენს, სრულიად უდავოდ მიუთითებს, რომ ლოღიკური აზროვნება სინამდვილეს, როგორც ასეთს, ე. ი. *განმეორებულ სინამდვილეს* ეხება — სინამდვილეს, როგორც ობიექტს, და არა როგორც მარად ცვალებად მდინარეს.

აქედან გასაგები ხდება, რომ ჩვენი ლოღიკური აზროვნების აუცილებელ წარნამძღვარს მართლა ობიექტივაცია წარმოადგენს, რომ აზროვნება მხოლოდ განვითარების იმ საფეხურზეა შესაძლებელი, სადაც ობიექტივაციის ფაქტიური არსებობა ეჭვს არ იწვევს, რომ ეს აზროვნება, მაშასადამე, მხოლოდ ადამიანთანაა მოსახერხებელი. მაგრამ ამას, ე. ი. იდენტიფიკაციის აქტს, ერთი რამ კიდევ ემატება,

რომლის გარეშეც ნამდვილი აზროვნების პროცესი შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, სახელდობრ, რა?

რაკი სინამდვილის ობიექტივირებული მონაკვეთის თავისთავთან იგივეობის იდეა გვიჩნდება, არაფერი გვიშლის ხელს ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ ამ სინამდვილის, რამდენიც გვსურს, იმდენჯერ განმეორებითი განცდა შეგვიძლია, რაკი ეს სინამდვილე მთელი იმ დროის მანძილზე თავისი თავის ტოლი რჩება. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, ე. ი. ადამიანის ცხოვრების პირობებში, ეს წარნამძღვარს ქმნის ფსიქოლოგიურად იმისათვის, რომ ობიექტივირებული, მაშასადამე, თავისთავთან გაიგივებული სინამდვილე გარკვეული *სახელწოდებით* აღვნიშნოთ. მოკლედ, ეს *მეტყველების* ჩასახვისა და განვითარების უეჭველ შესაძლებლობას ქმნის.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, რამდენადაც ადამიანი საზოგადოებრივი არსია, მას ობიექტივაციის უნარი უმუშავდება, უნარი, რომელიც მას ლოღიკური აზროვნების შესაძლებლობას აძლევს. მაშასადამე, ცნება, მსჯელობა და დასკვნა — ლოღიკური აზროვნების ეს სამი ძირითადი ფორმა მხოლოდ ადამიანთან შეიძლება გვხვდებოდეს — ცხოველმა მათი არაფერი იცის.

V. ნებელობა, როგორც ადამიანის მეორე სპეციფიკური ფუნქცია

აზროვნება ობიექტივაციის პირობებში წამოჭრილის, ასე ვთქვათ, თეორიული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება. მაგრამ ეს ამოცანა საბოლოოდ მაინც პრაქტიკული ინტერესების სამსახურად არის განკუთვნილი: რაგინდ შორსაც უნდა მიდიოდეს თეორიული პრობლემა, ბოლოს და ბოლოს იგი, უშუალოდ თუ შუალობით, მაინც ადამიანის პრაქტიკას უკავშირდება, მის ამოცანებს ემსახურება. საქმე ისაა, რომ ობიექტივაცია ყოველთვის საქმის გართულების, თუ ამოცანის გაძნელების შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს, და აზროვნების აქტები მის ნიადაგზე მიმდინარეობენ. როგორც კი გადაწყდება საკითხების რიგი, თუ ცალკეული საკითხი, რომელიც ჩვენს აზროვნებას ამოძრავებს, სუბიექტის წინაშე ახალი ამოცანა დგება, ამოცანა ინტელექტუალურად გადაწყვეტილი საკითხის პრაქტიკული განხორციელებისა, მისი მიხედვით პრაქტიკული ქცევის გაშლისა. სხვანაირად: სუბიექტი პრაქტიკული ამოცანის წინაშე დგება — მან ქცევის ისეთ აქტს უნდა მიმართოს, რომელიც თეორიული შედეგის სრულს პრაქტიკულ განხორციელებას მოგვცემდა. საკითხი ეხლა ობიექტივაციის პლანიდან აქტუალობის პლანში გადართვას ეხება. სუბიექტის

წინაშე ამოცანა დგება: რაც მიზანშეწონილად სცნო, მისი განხორციელება მოახერხოს — მოკლედ *ნებისმიერი* აქტი შეასრულოს.

როგორ ხერხდება ეს?

ერთადერთი ამოცანა ამ ქცევის შესატყვისი განწყობის გამოწვევაში მდგომარეობს: თუ ასეთი განწყობა გაჩნდა, ქცევის გაშლას მის ნიადაგზე აღარაფერი შეუშლის ხელს.

ჩვენ ვიცით, რომ ამ განწყობას ბოლოს და ბოლოს ობიექტივაციის საფუძველზე აღძრული აზროვნების აქტები აშუალებენ. მაშასადამე, განწყობა, ასე ვთქვათ, იდეურ პლანში, უკვე მონახულია, საქმე ისაა, რომ იგი ობიექტის აქტუალურ განწყობად ჩაირთოს — მის განხორციელებას მაშინ ნინ ველარაფერი დაუდგება. ნებელობის უშუალო ამოცანას სწორედ ეს საქმე შეადგენს — მეორე პლანზე დამუშავებული განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს[1], რათა იგი ნამდვილ ძალად იქნეს განცდილი, — ძალად, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს.

დასკვნა

როდესაც ცხოველი ერთსა და იმავე აქტივობას იმეორებს, ეს არსებითად ნამდვილი განმეორება არაა: ცხოველი ყოველს ცალკე შემთხვევაში ახალ აქტს ახორციელებს — ის არ განიცდის ამას, როგორც განმეორებას: განმეორება, როგორც განმეორება, მისთვის არ არსებობს.

სულ სხვაა ადამიანი! როდესაც მის წინაშე ქცევის შესრულების სიძნელე აღიმართება, იგი წყვეტს მას და მის ერთ-ერთ მომენტზე, როგორც სიძნელის ცენტრზე ჩერდება: იგი ამ მომენტის ობიექტივაციას ახდენს, მასზე ხანგრძლივად და შეგნებულად ყოვნდება; მაშასადამე, მას ქცევის მდინარებიდან გამოჰყოფს, გამოთიშავს და ახალი ქცევის — ინტელექტუალური ქცევის, საგნად აქცევს. მოკლედ: ცხოველიც ჩერდება თავისი აქტივობის რაიმე მომენტზე, მაგრამ ეს ნამდვილი გაჩერება არაა, რამდენადაც ეს მომენტი იგივე მომენტი როდია მისთვის — მას *იგივეობის ცნობიერება* არა აქვს. ადამიანზე ეს, ცხადია, არ ითქმის; ის ობიექტივაციას ახდენს, და ესაა, რომ *იგივეობას* მისთვის აქტუალურ განცდად აქცევს.

რას ემყარება ეს რადიკალური განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის? რა თქმა უნდა, იმ კარდინალურ ცვლილებას, რომელმაც პირველად ადამიანის ცხოვრებაში იჩინა თავი, — სახელდობრ, იმ გარემოებას, რომ ადამიანი არა მარტო თავისთვის, არამედ

[1] *დ. უზნაძე,* ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 155.

სხვისთვისაც არსებობს, რომ იგი საზოგადოებრივი არსია, რომლის ყოფიერებაც საკუთარ საზღვრებს შორდება და სხვისთვისაც ფაქტიურ სინამდვილედ იქცევა. უეჭველია, რომ საზოგადოებრივი არსის, ადამიანის ცხოვრებაში, საზოგადოებრიობის ჩამოყალიბების კვალობაზე, ობიექტური არსებობის ცნობიერებაც უნდა გამოკვეთილიყო. ობიექტივაციის უნარი მხოლოდ საზოგადოებრიობის ნიადაგზე შეიძლებოდა შემუშავებულიყო, და ამიტომაა, რომ ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკუმს სწორედ ეს ობიექტივაცია შეადგენს.

რა ცვლილებები უნდა მოყოლოდა ამას ადამიანის ფსიქიკაში? პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ის, რომ ადამიანის ფსიქიკას ობიექტივაციის ნიადაგზე უნდა დაეწყო მუშაობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მართლაც ასე მოხდა, და ადამიანი *მოაზროვნე* არსებად იქცა: მასში ახალი, ინტელექტუალური ფუნქციები განვითარდნენ, რომელნიც ობიექტივაციის ბაზაზე, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სასწაულებრივ წარმატებებს აღწევენ.

ამასთან ერთად და ამავე ობიექტივაციის ნიადაგზე ადამიანის აქტივობის არეშიც არსებითი ხასიათის ცვლილება ხდება — ადამიანს *ნებელობა* უმუშავდება — უნარი თავისი ქცევის აზროვნების მიხედვით მართვისა.

ამრიგად, აზროვნება და ნებელობა ორივე ობიექტივაციის ნიადაგზე ყალიბდება. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აღქმაცა და მეხსიერებაც ობიექტივაციას დაეყრდნონ და ამის შედეგად გარკვევით აქტიურ პროცესებად იქცნენ. ოღონდ ამისთვის ერთი რამ უთუოდ აუცილებელია — სახელდობრ, საჭიროა მათ აზროვნების აქტი შეუუღლდეს და ამ არსებითად პასიურ პროცესებს მკაფიოდ აქტიური ხასიათი მისცეს. ამ შემთხვევაში პასიური აღქმის ადგილს *დაკვირვება* იჭერს და პასიური დამახსოვრებისას — *დასწავლა* და *მოგონება*.

ასეთია ის ცვლილებები, რომელიც სოციალურ არსად ქცეულს ცოცხალ არსებას — ადამიანს უდასტურდება.

ამისდა მიხედვით, ფსიქიკის ჩვეულებრივი, ტრადიციული ანალიზი, რომელიც სულიერ მოვლენათა სამს განსხვავებულ ჯგუფს ადასტურებს — *შემეცნებას, გრძნობასა* და *ნებელობას* — საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გვითვალისწინებს. ფსიქიკა განვითარების თვალით უნდა იქნეს განხილული, და მაშინ ნათელი გახდება, რომ ტრადიციული კლასიფიკაცია — რომელიც ემპირისტულ ფსიქოლოგიაში *არსებითად* დღემდე ხელუხლებელი რჩება — უდავოდ ყალბ პოზიციებზე დგას.

ჩვენ დავინახეთ, რომ ფსიქიკის მოვლენათა სწორი განლაგება მხოლოდ განვითარების ასპექტშია მოსახერხებელი. ამ თვალსაზრისით, ფსიქიკის მუშაობის ორი დონე ან ორი პლანი უნდა განვასხვაოთ: განწყობის დონე, სადაც ჩვენ, გარდა აფექტურისა ფსიქიკის პერცეპტულსა და რეპროდუქციულ შინაარსებსაც ვხვდებით — რომელნიც, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ ვერ არიან საკმაოდ მკაფიოდ ურთიერთისაგან დიფერენცირებული — და ობიექტივაციის დონე, სადაც ჩვენ ფსიქიკის მკაფიოდ აქტიურ ფორმებთან — *აზროვნებასთან* და *ნებელობასთან* გვაქვს საქმე.

განწყობის დონე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ქცევის მიმდინარეობისათვისაა დამახასიათებელი; ობიექტივაციის დონეზე კი მხოლოდ მაშინ გვიხდება ავიდეთ, როცა ჩვენ წინაშე რაიმე მეტად თუ ნაკლებად რთული ახალი ამოცანა დგება, რომელიც შესაბამისად ახალ გადაწყვეტას მოითხოვს. ამ შემთხვევაში იძულებული ვხდებით *ობიექტივაციასა* და *აზროვნებას* მივმართოთ და ამ გზით მიგნებული განწყობა მოქმედ აქტუალურ განწყობად ვაქციოთ (*ნებელობა*).

ასეთია ადამიანის ფსიქოლოგიის განსაკუთრებულობა. ესაა, რომ მას ეგოდენ მკვეთრად გამოყოფს ცხოველთა სამყაროსაგან.

თავი IV

განწყობის დიფერენციალური ფსიქოლოგია

I. განწყობის ძირითადი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ცნებები

განწყობის მოვლენათა ზოგად-ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე არსებითს მომენტთან გვაქვს — მომენტთან, რომელიც ქცევის სტრუქტურის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ ამასთანავე, ჩვენ შევხვდით ფაქტთა რიგს, რომელიც განსაკუთრებით განწყობის მოვლენათა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას. ჩვენ ვნახეთ, რომ განწყობის მოვლენები ერთნაირად ყოველთვის და ყველგან არ მიმდინარეობენ. ზოგიერთ შემთხვევაში განწყობა თავისი მიმდინარეობის ჩვეულებრივ ხასიათს იცვლის, სხვანაირი ხდება, — არა ისეთი, როგორც ყოველთვის. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ახალი ამოცანა დგება — ამოცანა განწყობის პრობლემის დაწვრილებით განხილვისა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური პოზიციებიდან. მოსალოდნელია, განწყობა ისეთი ფაქტორი აღმოჩნდეს, რომელსაც დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

1. განწყობის დიფერენცირებულობა. პირველ რიგში დავაყენოთ საკითხი განწყობის დიფერენციაციის შესახებ, დიფერენციაციისა, რომელიც ადამიანის ქცევის ცალკე აქტებს უდევს საფუძვლად.

ჩვენ ვიცით, ჩვეულებრივ შემთხვევაში სტიმულის განმეორებითი ზემოქმედებაა საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს შესატყვისი განწყობის დიფერენციაცია. ბუნებრივად ისმის საკითხი იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ინდივიდუალურ ფაქტორს აქვს ამ შემთხვევაში, და არაფერი საკვირველი არ იქნება, რომ ინდივიდთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებით განწყობის დიფერენციაციის მიმდინარეობაში მკვეთრი სხვადასხვაობა აღმოჩნდეს.

თუ დადასტურდა, რომ ეს მართლაც ასეა, განწყობის დიფერენციაციის პროცესის კვლევას, თითოეულ ცალკე შემთხვევაში, დიფერენციალური ფსიქოლოგიის საკითხთა თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ექნება.

მართლაც, თუ განწყობა ნამდვილად იმ როლს ასრულებს ქცევის ფსიქოლოგიაში, რომელსაც მას მივაწერთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ ფსიქოლოგიურად თითოეული ცალკე პირის ქცევის სურათი განწყობის დიფერენციაციის მიმდინარეობაზე, მისი აღმოცენების სისწრაფესა და გარკვეულობის ხარისხზეა დამოკიდებული. ქცევის აბნეულობა, გადაუწყვეტელობა, ქცევის შენელებული ტემპი ფსიქოლოგიურად ბუნებრივი შედეგი იქნება იმ განწყობის არასაკმარისი, თავისებური დიფერენციაციისა, რომელიც საფუძვლად უდევს ქცევას.

მთელ რიგ დაკვირვებათა შედეგად ირკვევა, რომ ადამიანთა შორის, ქცევის თავისებურებათა თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ განწყობის დიფერენციაციის პროცესებიც მათთან მკვეთრად განსხვავებული იქნება. მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ განწყობის დიფერენციაციის გზებისა და ტემპების თავისებურებათა გამოვლინება და გამორკვევა თითოეულ ცალკე შემთხვევაში, ერთ-ერთს უმნიშვნელოვანეს დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც კი განწყობის ფსიქოლოგიის წინაშე შეიძლება იდგეს.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ექსპერიმენტალური გამოკვლევები ამ საკითხზე ჯერ კიდევ მომავლის საქმედ უნდა ჩაითვალოს. უნდა ითქვას ოღონდ, რომ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ცხოველის განწყობა უფრო *დიფუზური*, ე. ი. ნაკლებ დიფერენცირებულია, ვიდრე განწყობა ადამიანთა შემთხვევაში.

2. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა. ზევით თავის დროზე ამ ცნების შინაარსი და მნიშვნელობა უკვე იყო აღნიშნული. ჩვენ ვიცით, რომ განწყობის ფიქსაციისათვის საფიქსაციო ან საგანწყობო ცდების გარკვეული რიცხვია საჭირო. მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რომ ეს რიცხვი არ შეიძლება იმ გარკვეულ რაოდენობად ჩაითვალოს, რომლის გამოყენებაც განწყობის შესწავლის მიზნით ყველა შემთხვევაში ერთნაირად ხელსაყრელი უნდა იყოს. პირიქით, მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად გამოირკვა, რომ აქ საქმე დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის სიდიდესთან გვაქვს. ზოგიერთ შემთხვევაში განწყობა იმთავითვე ფიქსირდება, მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომელთაც ეს არ ემართებათ, და

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მათთან განწყობის ფიქსაციის ყოველივე შესაძლებლობა გამორიცხული იყოს. მართალია, ასეთი ორი ურთიერთობის მოპირდაპირე კატეგორია შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ ეს უკიდურესი შემთხვევებია და მათი არსებობა ეჭვს გარეშეა.

რასაკვირველია, საგანწყობო ექსპოზიციათა საკმარისად დიდი რაოდენობა თავის გავლენას ახდენს, და ბოლოს განწყობის ფიქსაცია შეიძლება მოხერხდეს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არის შემთხვევათა მთელი რიგი, როდესაც მიუხედავად საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის გადიდებისა, ფიქსაცია მაინც არ ხერხდება. მართალია, ეს ორი უკიდურესი კატეგორია იშვიათად გვხვდება, მაგრამ ისინი საზღვრულ შემთხვევებს წარმოადგენენ, და მათი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ფიქსაცია, საგანწყობო ექსპოზიციათა საკმარისი გადიდების შედეგად, ბოლოს და ბოლოს, ამ შემთხვევაშიც ხერხდება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შემთხვევათა მთელი რიგი არსებობს, როცა ფიქსაციის მდგომარეობა მთლიანად მიუწვდომელი რჩება.

ამ ორ უკიდურესობას შორის შუამდებარე მდგომარეობათა არსებობაც უნდა აღინიშნოს, რომელნიც საგანწყობო ექსპოზიციათა უმდაბლესსა და უმაღლეს მაჩვენებელთა შუა თავსდებიან.

რაც შეეხება ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ინტერმოდალურ სხვადასხვაობას, უნდა თავიდანვე ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აგზნებადობის მონაცემების შერჩევა გარკვეული თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს. უთუოდ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ თითოეულ შემთხვევაში რამდენი საგანწყობო ცდის შემდეგ შეიძლება ფიქსაციის გარკვეული უდავო ნიშნების დადასტურება.

განწყობის შესწავლის დროს ზოგჯერ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როდის ჩნდება განწყობის ფიქსაციის პირველი ნიშნები. ამ შემთხვევაში, თავისთავად იგულისხმება, საჭიროა განწყობის ფიქსაციის დაკვირვება მისი გამოვლინების პირველივე მომენტიდან.

მაგრამ, რასაკვირველია, განწყობის აგზნებადობის პრობლემა ამით არ ამოიწურება. საკითხი ისმის აგზნებადობის ოპტიმალური საფეხურის შესახებაც, ე. ი. აგზნებადობის იმ ხარისხის შესახებ, რომელიც ამა თუ პირისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელად უნდა ჩაითვალოს. როგორც მოსალოდნელიც იყო, აგზნებადობის ამ ორი ფორმის მაჩვენებლები ერთმანეთს არ ხვდებიან. არის შემთხვევები, როდესაც მინიმალური და ოპტიმალური აგზნებადობის ზღურბლი ერთმანეთს

შესამჩნევად შორდება, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა ისინი ერთმანეთს უახლოვდებიან.

ამა თუ იმ პირის ფიქსირებული განწყობის სრული დახასიათებისათვის საჭიროა ამ ორი ზღურბლის დადგენა. მათი მაჩვენებლების განსხვავებასთან ხშირად დაკავშირებულია სუბიექტის ქცევის ზოგიერთი თავისებურება, რომელიც მას მსგავსი ქცევის სხვა სუბიექტისაგან განასხვავებს.

აგზნებადობის ზღურბლის დადგენა უბრალოდ ხერხდება: იგი საგანწყობო ექსპოზიციათა საჭირო რაოდენობით გაიზომება: 1) განწყობის ფიქსაციის დაწყებითი საფეხურისა (ქვედა ზღურბლის მაჩვენებელი) და 2) ოპტიმალური საფეხურის მაჩვენებლით.

3. განწყობის აგზნებადობა ბავშვებთან. გარდა ინდივიდუალური ფაქტორისა, აქ მნიშვნელობა აქვს ასაკსაც: ბავშვების ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგად ცნობილია, რომ მისი აგზნებადობა ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს, რომელიც ამ ასაკობრივი საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. ეხლა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს[1], რომ ხშირად ერთი საგანწყობო ექსპოზიციაც საკმარისია, რათა ბავშვს ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს: სკოლის წინარე ასაკის გამოკვლეულ ბავშვთა 80%-ის შემთხვევაში განწყობის ფიქსაცია სწორედ ამ პირობებში — ე. ი. ერთი ცდის პირობებში ხდება (ასიმილაციური ილუზია — 60%, კონტრასტული — 20%).

ამგვარად, ირკვევა, რომ სკოლის წინარე ასაკისათვის ფიქსირებული განწყობის მაღალი აგზნებადობაა დამახასიათებელი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ აგზნებადობის საწყის საფეხურებზე საქმე ფიქსაციის დაბალ ხარისხთან გვაქვს, რაც ასიმილაციურ ილუზიათა სიჭარბეში გამოიხატება.

საგანწყობო ექსპოზიციათა *ოთხამდე* გადიდების შემთხვევაში საქმე მნიშვნელოვნად იცვლება: აქ პირველი ადგილი კონტრასტულ ილუზიებს ეთმობა, ხოლო ასიმილაციურ ილუზიათა მაჩვენებელი 25% აღარ აღემატება. საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით (15 ექსპოზიცია) მნიშვნელოვნად იზრდება კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობა (74-79%)

ამგვარად, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ განწყობის აგზნებადობა სკოლის წინარე ასაკში შედარებით მაღალ დონეზე დგას: მისი ქვედა ზღურბლის მაჩვენებელი *ერთს* არ აღემატება, ხოლო ოპტიმალური ზღურბლი 4-15 ექსპოზიციის ფარგლებს არ სცილდება.

---

[1] *ბ. ხაჭაპურიძე.* ბავშვის განწყობის ზოგიერთი თავისებურება. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XVII. 1941.

რაც შეეხება სასკოლო ასაკს, აქ აგზნებადობის კოეფიციენტი თანდათან უფრო და უფრო მაღალი ხდება. მაგრამ, როგორც ჩანს, 11 წლამდე იგი არ იძლევა მკვეთრ გადახრას სკოლის წინარე ასაკის მონაცემებიდან. ყოველ შემთხვევაში ბავშვის ცხოვრების ამ მონაკვეთისათვის — სკოლის წინარე და დაწყებითი სკოლის პერიოდისათვის — განწყობის აგზნებადობის განსაკუთრებით მაღალი დონე უნდა იყოს დამახასიათებელი.

ამ პერიოდის შემდეგ ახალი პერიოდი იწყება — არასრული საშუალო სკოლის პერიოდი (ასაკობრივი საფეხურები — 12, 13, 14 და, ნაწილობრივად, 15 წელი).

აქ უკვე აგზნებადობის მკვეთრი დაქვეითების მაჩვენებლებს ვხვდებით.

ამას მოსდევს 15-16-17 წლის ასაკის პერიოდი, რომელიც გარკვეულად აგზნებადობის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდით ხასიათდება. შესაძლებელია, რომ 17 ნლის ასაკის მაჩვენებლები ამ მხრივ საერთო სურათს არღვევდნენ: აქ ჩვენ შედარებით დაბალი მაჩვენებლები გვაქვს, მაგრამ ვინაიდან 17 ნლიანებიდან მცირე რაოდენობა იყო გამოკვლეული (სულ 10, მაშინ, როდესაც სხვა ასაკობრივ საფეხურზე მათი რიცხვი 58—214-ს უდრიდა), შეიძლება ეს ასაკობრივი პერიოდი უახლოეს ასაკობრივ საფეხურთან გავაერთიანოთ, და მაშინ სასკოლო ასაკში, დაახლოებით 15 ნლიდან, განწყობის აგზნებადობის განვითარების გარკვეული სურათი გვექნება.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის აგზნებადობა სასკოლო ასაკში ჯერ ძალიან მაღალია, შემდეგ, განსაკუთრებით 11 ნლამდე, ცოტათი ქვეითდება, რათა მომდევნო პერიოდში (12-15 წელი) აგზნებადობის მაჩვენებლებმა შესამჩნევად დაიწიონ. ამის შემდეგ — 15 ნლიდან 17 ნლამდე — ისინი კვლავ მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებიან.

განწყობის აგზნებადობის თავისებური სურათი გვაქვს პათოფსიქოლოგიურ შემთხვევებშიც. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ განწყობის აგზნებადობა ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით თავისებურია: მისი მაჩვენებლები ან ძალიან მაღალია, ან, პირიქით, არაჩვეულებრივ დაბალი. მაგალითისათვის შეიძლება შიზოფრენიის ზოგიერთი შემთხვევა დავასახელოთ, სადაც განწყობის აგზნებადობა განსაკუთრებით მაღალია, და — მეორე უკიდურესობა — ფსიქასთენია — რომელიც აგზნებადობის დაბალი კოეფიციენტით ხასიათდება. ამ მოვლენებს უფრო დაწვრილებით ქვემოთ, პათოფსიქოლოგიურ შემთხვევათა განხილვის დროს შევეხებით.

4. განწყობის სიმტკიცე. შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენი ექსპერიმენტალური კვლევის საფუძველზე იჭრება, განწყობის ფიქსაციის სიმტკიცეს ეხება. საქმე ისაა, რომ განწყობის ფიქსაციის სიმტკიცე ინტერინდივიდუალური რხევის მკვეთრად გამოხატულ მრუდეს იძლევა.

მაგრამ, პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ განწყობის ამ თვისების ცნების შესახებ.

რას წარმოადგენს განწყობის სიმტკიცე? შეიძლება ეფიქრა კაცს, რომ განწყობის სიმტკიცე, მისი აღმოცენების სიადვილეს ემთხვევა და სუბიექტები, რომელთაც ადვილად უმუშავდებათ ფიქსირებული განწყობა, ამ უკანასკნელის სიმტკიცითაც ხასიათდებიან. მაგრამ ასეთ დამთხვევას ყოველთვის როდი აქვს ადგილი. პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც განწყობა, შემუშავებული საგანწყობო ექსპოზიციათა დიდი რიგის შედეგად, ნაკლებ სიმტკიცეს გვიჩვენებს, ვიდრე ისეთი განწყობა, რომელიც საფიქსაციო ექსპოზიციათა მოკლე რიგის შედეგადაა ფიქსირებული.

ერთი სიტყვით, განწყობის სიმტკიცე და მისი შემუშავების სიადვილე, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ მოვლენებს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, აქ საქმე გვაქვს პრობლემასთან, რომელიც ღირსია, საგანგებოდ იქნეს შესწავლილი.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ სუბიექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ თავისი ფიქსირებული განწყობის აგზნებით, არამედ აგრეთვე მისი სიმტკიცითაც. იბადება კითხვა: რაში ვლინდება ექსპერიმენტალურად ფიქსირებულ განწყობათა სიმტკიცის დონე?

უნდა ვიფიქროთ, რომ ფიქსირებული განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელს იმ გზის სიგრძე წარმოადგენს, რომელსაც გაივლის ხოლმე ცპ-ი, სანამ თავისი ფიქსირებული განწყობის სრულ აღკვეთას მიაღწევდეს. ეს გზა კი ორგვარად განისაზღვრება: 1) საგანწყობო ობიექტების საჭირო რიგის ექსპოზიციათა შემდეგ წარმოებს კრიტიკული ტოლი ობიექტების ხანგრძლივი ექსპოზიცია მანამდე, სანამ ცპ-ი არ დაადასტურებს მიწოდებული ობიექტების ტოლობას. ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე გაიზომება ამ შემთხვევაში დროის იმ მონაკვეთით, რომელიც ცპ-ს ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციისათვის დასჭირდება. 2) მაგრამ არსებობს განწყობის ამ თვისების გაზომვის სხვა ხერხიც: ამ ხერხს საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: კრიტიკულ ექსპოზიციათა ხანგრძლივობის როლს ამ შემთხვევაში ადვილად შეასრულებს ამ ექსპოზიციათა *განმეორების* სიხშირე, რომელიც საჭიროა განწყობის ლიკვიდაციისათვის. ამ მეორე ხერხის შემთხვევაშიც იმავე შედეგს ვღებულობთ: აქაც, ისევე,

როგორც პირველ შემთხვევაში, კრიტიკული ცდების დროს ცპ-ი ჯერ შემცდარ პასუხთა რიგს იძლევა, მაგრამ შემდეგ იგი, თანდათან მიწოდებულ ობიექტთა სწორი შეფასების შესაძლებლობას უახლოვდება.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: განწყობის სიმტკიცე კრიტიკულ ობიექტთა ექსპოზიციის ხანგრძლივობითაც გაიზომება და ამ ობიექტთა ხანმოკლე ექსპოზიციის განმეორების რიცხვითაც.

მაგრამ სიმტკიცის გაზომვის ეს ხერხი ანგარიშს არ უწევს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას. იგი ყურადღების გარეშე ტოვებს იმ უეჭველ ფაქტს, რომ განწყობის სიმტკიცე ყოველთვის მის გამძლეობას არ ემთხვევა, რომ გარკვეულად სუსტი განწყობა სტატიკურ ხასიათს ატარებდეს. მსგავს მაგალითებს არა ერთს შევხვდებით პათოლოგიური მასალის განხილვის დროს. ასეთი სუსტი — სტატისტიკური განწყობა არავითარ შემთხვევაში მტკიცე განწყობას არ წარმოადგენს. მაგრამ როგორც სტატიკური, ეს განწყობა გამძლეობის ერთგვარად მაღალი დონით მაინც ხასიათდება.

ამიტომ განწყობის სიმტკიცის გაზომვის დროს საჭიროა — და ეს პირველ რიგში — ანგარიში გაეწიოს ჩაქრობის პროცესის პირველი ფაზის ხანგრძლივობას — ე. ი. კონტრასტულ ილუზიათა კოეფიციენტის სიდიდეს. ამგვარად, ასიმილაციურ ილუზიებში გამოვლინებული განწყობის მოქმედება, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, როგორც სუსტი კვალიფიცირდება.

მაშასადამე, ფიქსირებული განწყობის სიმტკიცეს, მის სიძლიერეს, მისი რეგრესული განვითარების პირველი ფაზის კოეფიციენტი გამოხატავს.

თავისთავად ცხადია, ყველაფერი ეს მხოლოდ რაოდენობრივი მიმართულების შემთხვევებს ეხება. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს, როდესაც საკითხი რომელობითი კატეგორიის შესახებ დგას. აქ განწყობის ჩაქრობის პროცესს კონტრასტის პერიოდი სულ არა აქვს. განწყობის სიმტკიცე ამ შემთხვევაში პირველ რიგში სუფთა შეუწყვეტელ ასიმილაციურ ილუზიათა ხანგრძლივობაში ვლინდება, ე. ი. აქ მნიშვნელობა აქვს ასიმილაციური ილუზიების ისეთ პერიოდს, რომელშიც ადეკვატური პასუხების ცალკე შემთხვევები ჯერ კიდევ არა ჩანს.

ამრიგად, განსხვავებულ სუბიექტთა ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტალური კვლევის შედეგად ნათელი ხდება, რომ განწყობის სიმტკიცე ისეთ ოდენობას წარმოადგენს, რომელსაც უდავოდ დიდი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

5. განწყობის დინამიკურობა და სტატიკურობა. როცა ფიქსირებული განწყობა შემუშავებული გვაქვს, შეიძლება საკითხი მისი რეგრესული განვითარების, მისი ჩაქრობის პროცესის შესახებაც დაისვას. ამ საკითხის დაყენება აუცილებელია, ვინაიდან ამ საკითხის — ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის ზოგად-ფსიქოლოგიური საკითხის — კვლევის დროს გარკვეულად ამ მოვლენის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება იჩენს თავს. ჩვენ ვნახეთ, რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის პროცესს განვითარების ზოგადი გზები აქვს, მაგრამ გარკვეულად მნიშვნელოვან როლს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორიც ასრულებს.

რაგვარ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებთან გვაქვს საქმე ამ პრობლემასთან დაკავშირებით? ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ აქ ცპ-ის ქცევის ორი შესაძლებლობა არსებობს. ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ცპ-ი თავისი განწყობის ლიკვიდაციას ადრე თუ გვიან, ბოლოსდაბოლოს, მაინც ახერხებს, ხოლო მეორე შესაძლებლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სუბიექტი უძლური აღმოჩნდება თავისი განწყობის ფიქსირებულ მდგომარეობას საბოლოოდ თავი დააღწიოს. აქ უკვე ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაში, არსებითად, საქმე ზოგად ფსიქოლოგიურ პრობლემასთან კი არა, უფრო წმინდა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემასთან გვაქვს: რეაქციის ეს ორი შესაძლებლობა ურთიერთს გამორიცხავს.

ზევით უკვე ვნახეთ, რომ არსებობს ადამიანთა ორი ტიპი, რომელიც სწორედ ამ თვალსაზრისით განსხვავდება ურთიერთისაგან. იმ სუბიექტებს, რომელნიც მთელ რიგ ეტაპებს გაივლიან და ბოლოს კრიტიკულ ობიექტთა ადეკვატურ აღქმას აღწევენ, ჩვენ დინამიკური განწყობის ტიპს ვაკუთვნებთ. ამ ჯგუფში ყველა ის ცპ-ი უნდა ვიგულოთ, რომელიც ჩვენს ცდებში, საერთოდ, წინათ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციას ახერხებს და ამის შედეგად, საბოლოოდ, კრიტიკულ ობიექტთა სწორ შეფასებას აღწევს.

მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ არაა იშვიათი შემთხვევა, როცა ჩვენ სულ სხვა ტიპის პირებთან გვაქვს საქმე. ამ ტიპს ეკუთვნიან სუბიექტები, რომელთაც არა აქვთ უნარი თავი დააღწიონ მათში დომინირებული ფიქსირებული განწყობის მოქმედებას: როგორც ჩანს, დროს წინათ ფიქსირებული განწყობის სრული აღკვეთის ძალა არ შესწევს. როგორც ვიცით, ასეთ შემთხვევაში საქმე *სტატიკურ განწყობასთან* გვაქვს.

განწყობის სტატიკური ფორმა, დინამიკურისაგან განსხვავებით, არაა ნორმალურ პირთა შორის გავრცელებული. მის თავისებურებას

ის გარემოება შეადგენს, რომ სუბიექტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფიქსირებული განწყობის გავლენას განიცდის — თვითონ არა ადეკვატური, ეს განწყობა მეორის, უფრო ადეკვატური განწყობის აღმოცენების შესაძლებლობას არ იძლევა. ეჭვს გარეშეა, რომ განწყობის სტატიკური ფორმის ადამიანები არ წარმოადგენენ ისეთ სუბიექტებს, რომელნიც ადვილად ეგუებიან ცხოვრების პირობებს. აქ ყოველთვის ნორმიდან ერთგვარ გადახრასთან გვაქვს საქმე. ამიტომ არაა საკვირველი, რომ განწყობის სტატიკური ტიპი მეტწილად ფსიქოპათოლოგიურ შემთხვევაში გვხვდება. ქვემოთ დავინახავთ, რამდენად მაღალია განწყობის ამ ფორმის მაჩვენებელი ჩვენ მიერ შესწავლილ პათოლოგიურ სუბიექტთა შორის.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ განწყობის სტატიკურობა ისეთ სპეციფიკურ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს, რომ იგი მხოლოდ ავადმყოფებისათვის იყოს დამახასიათებელი. ჩვენი მასალების მიხედვით, არსებობს ადამიანთა ცალკე ჯგუფები, რომელთათვისაც სპეციფიკურად, ან სხვა ნიშანთა შორის, განწყობის სტატიკურობაა დამახასიათებელი. ქვემოთ, ძირითადი ქარაქტეროლოგიური ტიპების ანალიზის დროს, ჩვენ ამაზე საგანგებოდ მოგვიხდება შეჩერება. იქ ჩვენ ვნახეთ, რომ მაგ., ტლანქი-სტატიკური განწყობის მქონე ადამიანები, რომელნიც მკაფიოდ გამოხატულ ქარაქტეროლოგიურ ტიპს წარმოადგენენ, არც ისე იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალონ.

ამრიგად, განწყობის დინამიკურობა და სტატიკურობა უთუოდ საყურადღებო ნიშნებად უნდა ვიგულოთ, რომელთაც ადამიანთა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათების დროს აუცილებლად გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს.

6. განწყობის პლასტიკურობა და სიტლანქე. ზევით, ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესის დახასიათების დროს, ჩვენ შევეხეთ განწყობის ამ მხარეებს. მაშინ ჩვენ ვნახეთ, რომ განწყობის ლიკვიდაციის პროცესი გარკვეული გზით მიმდინარეობს, რომ, კერძოდ, საჭიროა მისი პლასტიკური და ტლანქი, ან ინერციული ფორმა ურთიერთისაგან იყოს გარჩეული. ეხლა ხაზს ვუსვამთ, რომ ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, და ცალკე პირების შესწავლის დროს შეუძლებელია ამ ასპექტს გვერდი ავუხვიოთ.

მაგრამ რას წარმოადგენს განწყობის ეს მხარე? რას ვგულისხმობთ, როდესაც ვლაპარაკობთ მისი პლასტიკურობისა და სიტლანქის, ან — სხვა გამოთქმა რომ ვიხმაროთ — მისი ინერციულობის

შესახებ? ზევით, განწყობის ზოგად-ფსიქოლოგიური პრობლემის კონტექსტში ჩვენ ამას უკვე შევეხეთ. იქ სპეციალურად შევჩერდით ამ ფორმების დიფერენციაციის საკითხზე. აქ კი საჭიროა ერთხელ კიდევ გაესვას ხაზი, თუ განწყობის აქტივობის რა მომენტს ეხება იგი.

თუ განწყობის დინამიკურობა-სტატიკურობის შემთხვევაში, საქმე განწყობის საბოლოო ბედს ეხება, ე. ი. მოხდება მისი ლიკვიდაცია მოცემულ პირობებში, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, — აქ, განწყობის პლასტიკურობისა და სიტლანქის განხილვის დროს, საქმე სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს: აქ საკითხი მისი ჩაქრობის მიმდინარეობას ეხება, იმ ცვლილებებს, რომელსაც განიცდის განწყობა ამ პროცესში, მისი საბოლოო ბედის მიუხედავად, ე. ი. მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მისი აღკვეთა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქსირებული განწყობა კრიტიკულ ობიექტთა ზეგავლენის შედეგად მეტ-ნაკლებად იცვლება, როდესაც ის სულ უფრო და უფრო სუსტდება, მიუხედავად იმისა, თუ რა ემართება მას ბოლოსდაბოლოს, საქმე გვაქვს განწყობასთან, რომელიც როგორც პლასტიკური განწყობა უნდა დახასიათდეს; ხოლო მაშინ, როდესაც კრიტიკული ცდების რიგი განწყობის მოქმედების ხასიათზე გავლენას არ ახდენს, და იგი თითქოს ბოლომდე უცვლელი რჩება, მაშინ ჩვენ ტლანქ, ინერციულ განწყობასთან გვაქვს საქმე.

ჩვენი ცდების პროცესში გამოირკვა, რომ განწყობის ამ მხარეებს მკაფიოდ გამოხატული დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. მათ ქარაქტეროლოგიურ ღირებულებაზე ქვევით შევჩერდებით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ განწყობის ეს თვისებები, ისევე როგორც დინამიკურობა და სტატიკურობა ისეთ მომენტებს შეადგენენ, რომ შესაძლოა მათი სხვადასხვაობა ინდივიდუალურსა და აგრეთვე სხვა (ასაკობრივ, სექსუალურ და ა. შ.) პირობებზეც იყოს დამოკიდებული.

კერძოდ, ერთგვარი მონაცემები ფიქსირებული განწყობის განვითარების ასაკობრივ თავისებურებათა შესახებ უთუოდ მოიპოვება ჩვენს განკარგულებაში. ისინი გარკვევით ადასტურებენ როგორც განვითარების ფაქტიურ მოცემულობას, ისე თავისი ნინსვლის გზების თავისებურებებს. რასაკვირველია, მათ ერთგვარი შევსება უთუოდ დასჭირდებათ, მაგრამ მათი გამოყენება ამ კონტექსტში ეხლაც შეიძლება.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ბავშვებთან საგანწყობო ცდების ოპტიმუმს 15 ექსპოზიცია შეადგენს. ამიტომ მათთვის დამახასიათებლად ის მაჩვენებლები ჩაითვლება, რომელთაც ექსპოზიციათა ამ

რაოდენობის შედეგად ვღებულობთ. თუ ვნახავთ ფაქტიურ მონაცემებს, რომელიც ასაკობრივ საფეხურებს ეხება, შევნიშნავთ, რომ განწყობის აქ განხილული ძირითადი ფორმები შემდეგნაირად ნაწილდებიან: სკოლის წინარე ასაკში გავრცელებულ ფორმად შეიძლება სტატიკური ფიქსირებული განწყობა მივიჩნიოთ; დაწყებითი სკოლის პერიოდში — ისევ სტატიკური, მაგრამ პლასტიკური, და ბოლოს, საშუალო სკოლის პერიოდში, ტლანქი დინამიკური. მართალია, ეს მონაცემები არ შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს, მაგრამ განწყობის დინამიკური ფორმების ასაკობრივი განანილების დაახლოებითი სურათი აქ მაინც არის მოცემული.

7. განწყობის ირადიაცია და გენერალიზაცია. ზევით ჩვენ უკვე შევეხეთ განწყობის ირადიაციის პრობლემას. მაგრამ იქ ეს საკითხი მხოლოდ პრინციპული თვალსაზრისით გვაინტერესებდა — ჩვენ მას როგორც ზოგად-ფსიქოლოგიურ ფენომენს ვიხილავდით. აქ ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ, რომ ამ პრობლემას თავისი დიფერენციალ-ფსიქოლოგიური ასპექტიც აქვს.

მართალია, განწყობა ფსიქოლოგიურ ფაქტს წარმოადგენს, რომელიც თავის გამოხატულებას, და შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოხატულებას იმ გარემოებაში პოულობს, რომ იგი მთელ ორგანიზმზე ვრცელდება; მაგრამ მეორეს მხრივ, არსებობს ფაქტთა რიგი, რომელიც ამტკიცებს, რომ განწყობის ირადიაციის კონსტანტირება ყოველთვის არ ხერხდება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ირადიაციის ფაქტი აშკარად ჩანს, საკითხი დგება მისი გავრცელების ხარისხის შესახებ; ერთ შემთხვევაში ირადიაციის ფენომენი მოიცავს ორგანიზმის უფრო ფართოს, მეორე შემთხვევაში უფრო შეზღუდულ არეებს. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ განწყობის ირადიაციის პრობლემა დიფერენციალ-ფსიქოლოგიურ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის.

განწყობის ირადიაციის პრობლემის ზოგად-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილვის დროს დიფერენციალ-ფსიქოლოგიური საკითხის სრული უგულებელყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, და ამჟამად ჩვენ უკვე მოგვეპოვება გარკვეული ცნობები მის შესახებ.

გამოკვლევა განწყობის ირადიაციის საკითხის შესახებ, რომელსაც ჩვენ ზემოთ შევეხეთ, გარკვეულ დასკვნამდე მივიდა, სახელდობრ, რომ განწყობის ირადიაცია, მიღებული ექსპერიმენტალური შედეგების მიხედვით, საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენს, რომ ირადიაციის ფაქტი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში დასტურდება და ამრიგად, მხოლოდ ზოგიერთი ინდივიდის განწყობისათვის არის და-

მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდიხანია, რაც ცალკე ინდივიდთა ირადიაციის მდგომარეობის დადგენისას საკითხი ამ მდგომარეობის დიფერენციალ-ფსიქოლოგიური ასპექტის შესახებ ყოველთვის დგებოდა, მისი ყოველმხრივი შესწავლა სპეციალური ექსპერიმენტალური გამოკვლევების საფუძველზე ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მოხერხდა. მაგრამ ცალკე ადამიანთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კვლევის დროს არსებული მონაცემების მიხედვითაც გვეძლევა საშუალება განწყობის ამ ასპექტის ინტერინდივიდუალურ თავისებურებებს შევეხოთ.

იგივე მდგომარეობა გვაქვს მონათესავე საკითხთან — გენერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ გენერალიზაციის პრობლემა თავისთავადს პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი საგანი გააჩნია და თავისი სპეციფიკური ამოცანა აქვს. განწყობის ამ ასპექტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიის ზოგად-თეორიული ინტერესების თვალსაზრისით. ამავე დროს ის მცირე მასალაც, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, ამ საკითხის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამიტომ, ცხადია, განწყობის გენერალიზაციის პრობლემა დიფერენციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც უნდა იქნეს განხილული.

მასალები კი, რომელიც უკვე ამჟამადაა ჩვენთვის ცნობილი განწყობის გენერალიზაციის საკითხის შესახებ, ნათლად მიუთითებს, რომ ჩვენს წინაშე ისეთი ამოცანაა, რომელიც მთელ რიგ საინტერესო მონაცემებს გვპირდება ცალკე ადამიანთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურების შესწავლასთან დაკავშირებით.

ზევით ციტირებულ შრომაში „ბავშვების განწყობის ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ" ჩვენ ვპოულობთ მთელ რიგ მონაცემებს ბავშვობის ასაკში განწყობის ირადიაციის შესახებ. თუ ამ მონაცემებს განვიხილავთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში, ვნახავთ ზოგიერთ დებულებას, რომელსაც, აქ დასმული საკითხის თვალით, უეჭველი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ დროს, როდესაც აღნიშნული შრომა ინერებოდა, გენერალიზაციის ცნება ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია ჩამოყალიბებული — ამ ცნების დიფერენციაცია ირადიაციის ცნებისაგან ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. ამიტომ აღნიშნულ შრომაში ამ ორი სხვადასხვა ასპექტის მონაცემები არ არიან გამოყოფილი ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, იმ შედეგებს, რომელთაც აქ პოვეს ადგილი, დღემდე თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ.

ეს შედეგები ასეთია:

1. სკოლის წინარე ასაკში საგანნყობო ცდები ჰაპტურ სფეროში წარმოებდნენ (საგანნყობო ობიექტების როლს ასრულებდნენ ჩვენი ჩვეულებრივი ბურთები), კრიტიკული ცდები — ოპტიკურ სფეროში (ორი თანატოლი წრე ტაქისტოსკოპით). მიღებული შედეგების მიხედვით, ირადიაციის ფაქტის არსებობა თავიდანვე დადასტურდა. როდესაც ჰატურ სფეროში „მარჯვნივ დიდია"-ს განნყობის ფიქსაციას ტაქისტოსკოპით ტოლი წრეების ექსპოზიცია მისდევდა უშუალოდ, ცპ-ს მეტნილად მარჯვენა წრე უფრო დიდად ეჩვენებოდა, ვიდრე მარცხენა, ე. ი. თავს იჩენდა ასიმილაციური ილუზია. ზოგიერთ შემთხვევაში, თუმცა შედარებით უფრო იშვიათად, კონტრასტული ილუზიაც დასტურდებოდა. მრავალგზისი და ყოველმხრივ შემოწმებული ცდების შედეგად მიღებული იქნა შემდეგი მაჩვენებლები: ასიმილაციური ილუზიები — 42%, კონტრასტული — 15%, ე. ი. ირადიაციის შემთხვევაში — სულ 57%.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ირადიაციის ფენომენი ჰაპტური სფეროდან ოპტიკურ სფეროში უეჭველ ფაქტს წარმოადგენს.

2. დანყებითი სკოლის ასაკში საგანნყობო ცდები ნარმოებდა ისევე, როგორც სკოლის წინარე ასაკშიც, ჰაპტურ სფეროში; კრიტიკულ ცდებში სწრაფი განათების გზით ხდებოდა ტოლი წრეების ექსპოზიცია ეკრანზე ისე, რომ ცპ-ი ობიექტების მკაფიოდ დანახვასა და მათ შედარებას ახერხებდა.

როგორია ამ ცდების შედეგები?

მთელი რიგი მონაცემებიდან, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვეპოვება, აქ ჩვენ ის მონაცემები მოგვყავს, რომელიც ცპ-თა ყველაზე დიდ რაოდენობაზეა მიღებული. აღმოჩნდა, რომ აქ კონტრასტულ ილუზიათა 53% და ასიმილაციურ ილუზიათა 21% გვაქვს (ყველა დანარჩენ შემთხვევაში სწორი პასუხები გვეძლევა, ე. ი. ტოლი წრეების სწორი შეფასება ხდება). ამ რიცხვებში ნათლად გამოვლინდა ირადიაციის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა სასკოლო ასაკში. მართალია, აქ ასიმილაციის შემთხვევაც საკმარისად ხშირია (21%), მაგრამ, სკოლის წინარე ასაკში მიღებულ მონაცემებთან (42%) რომ მოვახდინოთ შედარება, ნათელი გახდება, თუ რამდენად სწრაფად შეცვლილია აქ სურათი. ამ გარემოებას უდავოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების გაგებისათვის. კონტრასტული ილუზიის მაჩვენებლების ზრდა ირადიაციის შემთხვევაში იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ დანყებითი სკოლის პერიოდში ბავშვის ფსიქიკაში მკვეთრი ცვლი-

ლება ხდება – ძვრა, რომელიც მას ზრდადამთავრებულის ფსიქიკურ ცხოვრებას უახლოებს.

8. ფიქსირებული განწყობის კონსტანტობა და ვარიაბილობა.

ჩვენ ვიცით, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი ყოველთვის ერთნაირად არ მიმდინარეობს და ამასთან დაკავშირებით განწყობა შეიძლება დინამიკური ან სტატიკური, პლასტიკური ან ტლანქი იყოს. მაგრამ ჩვენი ექსპერიმენტალური ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე სუბიექტის განწყობის ჩაქრობა სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს, განწყობის ჩაქრობის ტიპი ხშირად იცვლება, არ არის *კონსტანტური*, ასე რომ ინდივიდის განწყობის რომელიმე გარკვეული ტიპისათვის მიკუთვნება შეუძლებელი ხდება. თავისთავად ცხადია, რომ ამ გარემოებასთან დაკავშირებით ისმება საკითხი საერთოდ განწყობის ბუნების შესახებ: წარმოადგენს იგი რაღაც შინაგან პირობადებულს, თუ იგი სავსებით იმ გარეგან პირობებზეა დამოკიდებული, რომელშიც სუბიექტს ცხოვრება უხდება? ამ საკითხს არსებითი, პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს: მის გადაწყვეტაზეა მრავლის მხრივ დამოკიდებული საკითხი ადამიანური ქცევის მექანიზმების შესახებ.

იმისათვის, რომ პასუხი გაგვეცა ამ საკითხისათვის, ჩატარებულ იქნა განმეორებითი ექსპერიმენტები დროის გარკვეული ინტერვალების შემდეგ (ერთი საათის ინტერვალი, ერთი დღე-ღამის, თვეებისა და ა. შ.), ისე, რომ ცდის პირობებში სხვა არაფერი იცვლებოდა. ცდების შედეგად უნდა გამორკვეულიყო, იცვლება თუ არა განწყობის ჩაქრობის მიმდინარეობა ამა თუ იმ შემთხვევაში, და თუ იცვლება, რამდენად და რა პირობებში ხდება ეს.

მთელი რიგი ცდების შედეგად გამოირკვა, რომ კონსტანტობა არაა განწყობის აუცილებელი თვისება, რომ არიან სუბიექტები, რომლებთანაც განწყობის ჩაქრობის ხასიათი ხშირად, თითქმის ყოველთვის, იცვლება, თუმცა უმრავლესობისათვის ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის უცვლელი მიმდინარეობაა დამახასიათებელი. მაგრამ, არის შემთხვევა, როდესაც ცვლილება, უმნიშვნელო ან მკვეთრი, განწყობის ჩაქრობის სურათში უცბად, მოულოდნელად იჩენს თავს. შემდეგ ხდება წინანდელი სურათის ხელახალი აღდგენა, და სუბიექტი თავის ჩვეულებრივ ტიპს უბრუნდება. ერთი სიტყვით, არის არა ერთი შემთხვევა, რომ განწყობა გარკვევით *ვარიაბილური* ხდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფიქსირებული განწყობის კონსტანტობა საყოველთო მოვლენას არ წარმოადგენს, და არსებობენ

ინდივიდები, რომელნიც განწყობის *ვარიაბილურ* ტიპს ეკუთვნიან. რომ დავუკვირდეთ ამ შემთხვევებს, უდავო გახდება დასკვნა განწყობის კონსტანტობის შესახებ — აშკარა გახდება, რომ ფიქსირებული განწყობა სავსებით ნორმალურის, ჯანმრთელი ადამიანის შემთხვევაში ყოველთვის კონსტანტური რჩება.

რაც შეეხება ვარიაბილობის საკითხს, მთელ რიგ გამოკვლევათა საფუძველზე დამტკიცდა, რომ მასთან მხოლოდ ნორმისაგან გადახრის შემთხვევაში გვაქვს საქმე — იქნება ეს გადახრა დროებითი და სწრაფად წარმავალი, თუ შედარებით მუდმივი და სტაბილური. პირველ შემთხვევაში განწყობის ჩაქრობის ტიპის რხევა წარმავალია და სიღრმეს მოკლებული, მეორე შემთხვევაში კი ეს რხევები ღრმა, ქრონიკულ ხასიათს ატარებენ.

ამრიგად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი ნორმალურ სუბიექტთა შემთხვევაში ყოველთვის ერთსა და იმავე ტიპს იძლევა: იგი კონტანტურ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს ნორმალური შემთხვევაც სხვადასხვა მხრივ უნდა იქნეს შესწავლილი, რათა შესაძლებელი იყოს დარწმუნებით იმის თქმა, თუ რასთან გვაქვს საქმე თითოეულ კერძო შემთხვევაში — სავსებით ნორმალურს, თუ მხოლოდ კომპენსირებულ მდგომარეობასთან.

9. ფიქსირებული განწყობის სტაბილობა და ლაბილობა. ზევით საკითხი დაისვა განწყობის კიდევ სხვა ასპექტის შესახებ, ასპექტისა, რომელსაც ჩვენ *სტაბილობა* ვუნოდეთ. სტაბილობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ განწყობას დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში მოქმედების უნარის შენარჩუნება შეუძლია. ამ უნარის შესამოწმებლად, ჩვეულებრივ, შემდეგ ხერხს მივმართავთ ხოლმე. საგანწყობო ცდების საკმაო რაოდენობის საშუალებით, განწყობის ფიქსაციის შემდეგ, კრიტიკულ ცდას უშუალოდ მაშინვე კი არ ვაწარმოებთ, არამედ დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ, დროის ინტერვალისა (საათი, დღეები, კვირეები და ა. შ.), რომლის ხანგრძლივობაც ცდების მიზანზეა დამოკიდებული. კონსტანტობის ცდებისაგან განსხვავებით, აქ საგანწყობო ცდები მხოლოდ ერთხელ, ცდების დასაწყისში ეწყობა. შემდგომ, ამ ცდების გაუმეორებლად, გარკვეული ინტერვალების შემდეგ კრიტიკული ობიექტების ექსპოზიცია ხდება. ამრიგად, კრიტიკული ცდების თითოეულ ცალკე შემთხვევაში ნათელი ხდება, თუ რა ბედი ეწვია ჩვენს ფიქსირებულ განწყობას — მოხდა მისი ლიკვიდაცია, თუ მას ჯერ კიდევ შერჩა მოქმედების ძალა.

ზევით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ფიქსირებულ განწყობას, საზოგადოდ, სტაბილობა ახასიათებს, მაგრამ იმავე დროს გამოირკვა ისიც, რომ განწყობის ამ თვისებას დიდი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. განწყობა შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად სტაბილური, ან კიდევ, იგი შეიძლება სულ მოკლებული იყოს ამ თვისებას. ე. ი. ღრმად ლაბილური იყოს. ამ თვალსაზრისით სუბიექტები მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. საკითხი, რასაკვირველია, სტაბილობის სიღრმის, მისი ხარისხის შესახებ შეიძლება დაისვას. რაც შეეხება ლაბილობას, არ ვფიქრობთ, რომ მისი დიფერენციაციაც ასევე იყოს შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში, ეს ძნელადაა მოსახერხებელი.

ექსპერიმენტალური მონაცემების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ შემდეგი შემთხვევები:

1. პირველ რიგში, რასაკვირველია, განწყობის ლაბილობის კვლევის დროის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ხანგრძლივობის შემდეგ აღიკვეთება მისი გავლენა კრიტიკულ ობიექტთა აღქმაზე. ამ თვალსაზრისით, ფიქსირებული განწყობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ როდის კარგავენ იგინი თავის აქტუალობას — რამდენიმე წუთის, საათის, დღეების, კვირეების თუ თვეების შემდეგ. ჩვენი ცდების მთელი რიგის მონაცემების შედეგად გამოირკვა, რომ ამ მხრივ ცპ-თა შორის მნიშვნელოვანი განსხვავების დადგენაა შესაძლებელი. მაშინ, როდესაც ზოგიერთი სუბიექტი ძალიან ლაბილურია და დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაშიც კი ვერ ახერხებს ფიქსირებული განწყობის შენარჩუნებას და მისი საჭიროებისდა მიხედვით გამოყენებას, სხვა სუბიექტთა შემთხვევაში, პირიქით, სტაბილობის სხვადასხვა საფეხური გვაქვს — ზოგიერთი ერთხელ ფიქსირებულ განწყობას დღეებისა, ხოლო ზოგი კვირეების, თვეების და — უკიდურეს შემთხვევაში — წლების განმავლობაშიც ინარჩუნებს. ამრიგად, ჩვენ აქ მნიშვნელოვან ინტერინდივიდუალურ სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე.

2. მაგრამ საჭიროა იმავე პირების შემთხვევაში კონსტანტობის ხარისხის შესწავლაც. ჩვენი ცდების შედეგად გამოირკვა, რომ აქ სხვადასხვა ხარისხია შესაძლებელი. არიან ადამიანები, რომელნიც განწყობას ყოველთვის ერთ და იმავე ფორმაში ინარჩუნებენ: ფიქსირებული განწყობის ტიპი მათთან არ იცვლება. ასეთ შემთხვევაში არ არის არავითარი ნიშანი ფიქსირებული განწყობის ძალის თანდათანობით შესუსტებისა: განწყობის ჩაქრობის პროცესი უცვლელად ერთიდაიმავე ფორმით მიმდინარეობს. აქ საქმე გვაქვს ისეთ ფიქსირებულ

განწყობასთან, რომელსაც კონსტანტურ-სტაბილური შეიძლება ვუწოდოთ.

3. დასასრულ, გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქმე სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს — როდესაც განწყობის კონსტანტობა სრულიად არ იჩენს თავს. პირიქით, ინტერვალების შემდეგ იგი ვარიაბილობის ნიშნებს იძლევა, ე. ი. თვითონ ძალაში რჩება, ოღონდ მისი ტიპი იცვლება. ასეთ შემთხვევაში საქმე განწყობის ვარიაბილურ-სტაბილურ ფორმასთან გვაქვს, ფორმასთან, რომელიც შეიძლება მთელ რიგ საფეხურებზე გამოვლინდეს.

10. ფიქსირებული განწყობის ტიპის ინტერმოდალური ბუნება. ჩვენ განვიხილეთ ფიქსირებული განწყობის ცალკე მხარეები ან ასპექტები და ვნახეთ, რომ თითოეულ ამ ასპექტს თავისი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ჩვენ არ შევხებივართ ერთ კითხვას, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საბუთი იმ დებულების სასარგებლოდ, თითქოს ფიქსირებული განწყობის განხილული ცალკე ასპექტები არსებითად არა კერძოს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს, ცალკე მოდალობის არეების მდგომარეობას წარმოადგენდნენ, არამედ ისეთს ზოგად თვისებას, რომელიც, როგორც ჩანს, მთელ ორგანიზმზე უნდა ვრცელდებოდეს. თუ ეს მართლა ასეა და აღმოჩნდა, რომ განწყობის ცალკე სპეციფიკური მხარეები, როგორიცაა მაგ., მისი აგზნებადობა, დინამიკურობა და პლასტიკურობა, მისი კონსტანტობა და სტაბილობა, ირადიაცია და დიფერენციაცია მუდმივს, აუცილებელ სიდიდეებს წარმოადგენენ, ერთნაირად დამახასიათებელს მოდალობის ყველა არეებისათვის, ჩვენ სრული საფუძველი გვექნება ვთქვათ, რომ აქ, ნამდვილად, სუბიექტის ისეთ თვისებებთან გვაქვს საქმე, რომელნიც მისთვის, როგორც მთელისათვის და არა მისი ცალკე ორგანოებისათვის არის დამახასიათებელი. თუმცა ყველაფერი ის, რაც უკვე ვიცით განწყობის შესახებ, შესაძლებლობას გვაძლევს ეს საკითხი სპეციალური ცდების გარეშეც გადავწყვიტოთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით, მაინც მივმართოთ ასეთ ცდებს, რათა მათ ნიადაგზე ზუსტი და ამომწურავი მასალის დაგროვება შევძლოთ.

ამრიგად, როდესაც სუბიექტის ფიქსირებული განწყობის ყველა ჩვენთვის ცნობილი მხარე, ყველა არსებული გრძნობითი არეების მიხედვით, გამორკვეულია, ბუნებრივად იბადება კითხვა: რა დამოკიდებულება არსებობს განწყობის გამოვლინების ამ ცალკე მხარეებს შორის? თუ გამოვიკვლევთ სუბიექტის განწყობის თავისებურებებს

მაგალ. ოპტიკურ სფეროში, და შემდეგ შეეეცდებით გამოვარკვიოთ, რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჰაპტურსა და კუნთურ სფეროშიც, რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის, ხელთ გვექნება მასალა, რომელიც დასმული კითხვის გადაწყვეტას არსებითად გაგვიადვილებს.

კვლევა ამ შემთხვევაში შემდეგი გზით შეიძლება: ცდები წარმოებს სამ გრძნობითს მოდალობაში (მზედველობა, ჰაპტური სფერო და მოტორიკა) ფიქსირებული განწყობის შემდეგი მხარეების — დინამიკურობის, პლასტიკურობის, სიმტკიცისა და აგზნებადობის გამოსაკვლევად. მიღებული მასალების მიხედვით ირკვევა, რა დამოკიდებულება არსებობს ცალკე მოდალობაში აღმოჩენილ შედეგთა შორის: მეორდება ერთში დადასტურებული შედეგი სხვა მოდალობაშიც, თუ თითოეულს მათგანს განწყობის სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს.[1]

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის ტიპი თითოეული გარკვეული ინდივიდის მტკიცე თავისებურებას, თუ იგი ამ გრძნობადს მოდალობასთან დაკავშირებით იცვლება, რომლის პირობებშიც მისი აღმოცენება ხდება.

ამისათვის, გარდა ჩვეულებრივი ზომებისა, შემდეგ ხერხსაც შეგვიძლია მივმართოთ: ირადიაციის მოსალოდნელი გავლენის თავიდან ასაცილებლად, სხვადასხვა მოდალობის ცდებს ხანგრძლივი დროითი ინტერვალების შემდეგ ვანარმოებთ და ამით ერთ მოდალობაში ჩატარებული ცდების გავლენას მეორე მოდალობის ცდებზე გამოვრიცხავთ. აღნიშნული ცდების საფუძველზე მიღებულია ამგვარი შედეგები.

რვა ცპ-იდან, რომელთა ექსპერიმენტალური მონაცემებიც სპეციალურადაა შესწავლილი, ოთხი სუბიექტი ცდების ყველა პუნქტში სავსებით გარკვეულ სურათს იძლევა: მათი განწყობის შესწავლილი მომენტების ყველა მაჩვენებელი სამივე გამოკვლეულ მოდალობაში ერთმანეთს ემთხვევა — სურათი სამივე მოდალობაში ერთი და იგივეა.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ცპ №1-ის მონაცემები! ცპ-ი ეკუთვნის ტლანქი დინამიკური, სუსტი, კონსტანტური განწყობის იმ სუბიექტთა ტიპს, რომელთათვისაც ფიქსირებული განწყობის ლაბილობა და აგზნებადობის ინტერმოდალური ერთფეროვნება არის დამახასიათებელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ცპ-ი უცვლელად ათი დღის

[1] *ა. ავალიშვილი.* განწყობის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისათვის. თბილისის სახ. უნივ. შრომები. XVII. 1940.

განმავლობაში განწყობის ჩაქრობის ერთსა და იმავე ტიპს ააშკარავებს; დასაწყისში იგი კონტრასტულ ილუზიათა უწყვეტ რიგს იძლევა, და შემდეგ, ერთბაშად, გარდამავალი ფორმების გარეშე, მიწოდებულ ობიექტთა ტოლობას ადასტურებს. მაგრამ ასეთი სურათი მხოლოდ ერთს რომელსამე გრძნობითს არეში კი არა გვაქვს, არამედ სამივე მოდალობაში: ცპ-ის №1-ის ფიქსირებული განწყობა ყველგან ჩაქრობის მიმდინარეობის ერთს გარკვეულ ტიპს ინარჩუნებს, ყოველგვარ მოდალობაში, სადაც კი ხერხდება მისი აღმოცენება.

ასეთივე სურათი გვაქვს განწყობის სხვა ასპექტების შემთხვევაშიც: მისი აგზნებადობა ერთნაირია სამივე გრძნობითს არეში. იგივე ითქმის *სტაბილობის* შესახებაც. სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რამდენად კონსტანტურია ამ სუბიექტების განწყობის სტაბილობა. მაშასადამე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მათი განწყობის სტაბილობის დიფერენციაცია მოვახდინოთ.

დანარჩენი სამი ცდისპირი იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ მათი ტლანქი სტატიკური განწყობა გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ამ უკანასკნელისა. მართალია, ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა სამივე შემთხვევაში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, მაგრამ ყველგან აქ ის გარემოებაა საერთო, რომ ფიქსირებული განწყობა ყველა გამოკვლეულ სენსორულ მოდალობაში უცვლელად ერთი და იმავე ფორმით ვლინდება.

დიდ ინტერესს იწვევს დანარჩენ ცპ-თა ჯგუფი. ეს ის პირებია, რომელნიც მკვეთრად განსხვავდებიან აქ განხილული სუბიექტებისაგან იმით, რომ მათ ფიქსირებული განწყობა სენსორულ მოდალობათა მიხედვით თვალსაჩინოდ ვარიაბილობს. ვნახოთ, რა სურათი გვაქვს ამ შემთხვევაში!

ძირითადი ჯგუფის ცპ-ებისაგან განსაკუთრებით განსხვავდება ორი ცპ-ი, რომელიც ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციის მართლაც თავისებურ სურათს იძლევა. მაშინ, როდესაც ზევით განხილულ შემთხვევაში განწყობის ჩაქრობის პროცესის სავსებით გარკვეული მიმართულებით მიმდინარეობის მონმენი ვიყავით, აქ უეჭველად ნორმიდან გადახრის ფაქტთან გვაქვს საქმე, და გასაგებია, კანონზომიერება არავითარი არ იჩენს თავს. განვიხილოთ ეს ორი შემთხვევა!

ცპ №7-ს ოპტიკურ სფეროში სუსტი ტლანქი-დინამიკური განწყობა უმუშავდება. ჰაპტურ სფეროში კი იგი სხვა სურათს იძლევა: მისი ფიქსირებული განწყობა აქ თუმცა ისევ ტლანქი-დინამიკურია, მაგრამ გარკვევით მტკიცეცაა (თანმიმდევარ კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი აქ 13 აღწევს, ოპტიკურ სფეროში კი მხოლოდ 5-ს).

კუნთურში სურათი კიდევ უფრო განსხვავებულია: აქ ჩვენი ცპ-ი სულ ვერ ახერხებს ერთხელ ფიქსირებული განწყობისაგან თავის განთავისუფლებას — ამ არეში განწყობა *სტატიკურად* ფიქსირებული აღმოჩნდა. ჩვეულებრივ პირობებში მისი ლიკვიდაცია არ ხერხდება, და ცპ-მა ბოლომდე ტოლი სიმძიმეების ტოლად აღქმა ვერ შეძლო.

ასეთივე ინტერმოდალური ვარიაბილობა ახასიათებს ამ ცპ-ის ფიქსირებული განწყობის კონსტანტობასაც: მაშინ, როდესაც ორ მოდალობაში — ოპტიკურსა და კუნთურში — ამ სუბიექტის ფიქსირებული განწყობა კონსტანტურია, მესამე სენსორულ არეში — პაპტურში — იგი გარკვეულად ვარიაბილურია: განწყობა ჯერ ტლანქსტაბილურ ფორმაში ვლინდება, ორიოდე დღის შემდეგ კი იცვლება ლაბილობის მხრივაც. ოპტიკურ სფეროში ამ ცპ-ის განწყობა სტაბილურ-კონსტანტურია — ე. ი. მუდამ კონტრასტული ილუზიები აქვს. დანარჩენ ორ მოდალობაში სულ სხვა მდგომარეობაა: ოპტიკურ სფეროში განწყობა ორი დღის შემდეგ აღიკვეთება, ჰაპტურში — ერთი დღის შემდეგ. ხოლო აგზნებადობის სურათი — ყოველ შემთხვევაში მისი ქვედა ზღურბლი — სამივე მოდალობაში ერთნაირია.

ამრიგად, ამ შემთხვევაში საქმე განწყობის მოქმედების მნიშვნელოვან ცვალებადობასთან გვაქვს, ცვალებადობასთან, რომელიც იმ გრძნობათა მოდალობაზეა დამოკიდებული, სადაც იგი აღმოცენდება. მოკლედ, ამ შემთხვევაში ჩვენ ინტერმოდალურად ვარიაბილურ ფიქსირებულ განწყობასთან გვაქვს საქმე.

სულ სხვა მდგომარეობაა ცპ №8 შემთხვევაში. სურათი აქ კიდევ უფრო გაურკვეველია: ოპტიკურ სფეროში განწყობა მტკიცეა, პლასტიკური და იმავე დროს სტატიკურიც, ასე რომ ცპ-ი ბოლომდე ვერ ახერხებს კრიტიკული ობიექტის ადეკვატურ აღქმას. დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს კუნთურ სფეროშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ განწყობა შესამჩნევად ნაკლებ მტკიცეა. მაგრამ ჰაპტურ სფეროში სურათი შეცვლილია: თუმცა განწყობა აქ ისევ პლასტიკურია, მაგრამ სტატისტიკურობის ნაცვლად დინამიკურობა გვაქვს — ცპ-ი ადვილად იცილებს თავიდან ფიქსირებული განწყობის ზემოქმედებას და ადრე იძლევა ადეკვატურ აღქმას.

ცხადია, ასეთ განწყობას კონსტანტურს ვერ დავარქმევთ, რამდენადაც იგი მუდამ იცვლის თავის სახეს.

რაც შეეხება ამ განწყობის სტაბილობას, ეს მხარეც საკმაოდ ვარიაბილურია: ოპტიკურ სფეროში იგი გარკვეულად სტაბილურ ხასიათს ატარებს, ჰაპტურში მისი ლიკვიდაცია დასტურდება მეორეს, ხოლო კუნთურში — მესამე დღეს.

მხოლოდ აგზნებადობის მხრივ ამ ცპ-ის განწყობა დაახლოებით ინტერმოდალურად კონსტანტურია: სამივე სენსორულ არეში 3-5 ექსპოზიციის შედეგად ტლანქი დინამიკური განწყობა აღმოცენდება.

ამრიგად, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ, ჩვეულებრივ, თითოეულ ნორმალურ სუბიექტს ფიქსირებული განწყობის თავისი გარკვეული ტიპი აქვს, რომელიც უცვლელად რჩება ყველა სენსორული არისთვის. მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველა არ ეკუთვნის ადამიანთა ამ, ასე ვთქვათ, მთლიან ტიპს. არსებობს სუბიექტთა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც თავისი განწყობების გამოვლინებაში არ ამჟღავნებს სრულ ერთგვაროვნობასა და შეთანხმებულობას: ორგანიზმის სხვადასხვა არეში ისინი სულ სხვადასხვა სურათს იძლევიან. ასეთ სუბიექტებს არა აქვთ ერთიანი შინაგანი არსი; ისინი შინაგანად მოუწესრიგებელს, მეტწილად შინაგანად კონფლიქტურ პირებს წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ნორმალური წყობის ადამიანთა გვერდით ისეთი სუბიექტებიც არსებობენ, რომელთა განწყობის სტრუქტურაში ნორმისაგან თვალსაჩინო გადახრის ნიშნები იჩენენ თავს. მაგრამ მათზე აქ არ შევჩერდებით. ამ პირების შესახებ ფსიქოპათოლოგიის საკითხთა განხილვის დროს შეიძლება საგანგებო მსჯელობა.

II. ხასიათის ტიპების პროგლემისათვის

უდავოა, რომ განწყობის აქტივობის ზემოაღნიშნული მხარეები შემდგომს, უფრო ზედმიწევნითს გამოკვლევებს მოითხოვენ, რომლებიც არა თუ დააზუსტებენ ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ ცნებებს, არამედ, უეჭველია, მთელ რიგ ახალსაც აღმოაჩენენ; და ეს ცნებები განწყობის შესახებ მოძღვრებაში შეიძლება წინანდელზე არანაკლებ პროდუქციული აღმოჩნდნენ. ამ მიმართულებით შემდგომი კვლევის წარმოება, უეჭველია, ჩვენს გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი განწყობის შესახებ მოძღვრებაში სრულიად არ ამოიწურება მხოლოდ იმის გადმოცემებით, რასაც ჩვენ აქ შევეხეთ. ჩვენს წინაშე სხვა საკითხების მთელი რიგი დგას, რომელსაც შესაძლებლობა გვაქვს ცოტად თუ ბევრად დღესაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცეთ. ამჟამად მხედველობაში მაქვს არა კერძო ხასიათის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური საკითხები, არამედ პირველ რიგში უფრო ზოგადი შინაარსის პრობლემებიც — პრობლემები განწყობის შესაძლო ქარაქტეროლოგიური ღირებულების შესახებ.

1. **განწყობის ცნების შესაძლო ქარაქტეროლოგიური ღირებულება.** უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ საკითხი: ჩვენ მიერ ზემოთ გამომჟღავნებული განწყობის ცალკეული მხარეები მისი გამოვლენის მხოლოდ შემთხვევითი ვარიაციებია, თუ ისინი ერთიანი სტრუქტურის მომენტებს წარმოადგენენ, რომელნიც თავის გამოხატულებას პიროვნების განწყობის ცალკეულ ასპექტთა სპეციფიკურ შეხამებაში პოულობენ? წლების მანძილზე ამ კატეგორიის მოვლენათა შესწავლის შედეგად დიდძალი მასალა დაგვიგროვდა, რაც ამ საკითხის პასუხის შესახებ არავითარ ეჭვს არ ტოვებს. ჩვენ სრულიად უდავოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ არაერთი გარკვეული თავისებურება არსებობს, რომელიც ამა თუ იმ სუბიექტის, როგორც ამა თუ იმ ტიპის წარმომადგენლის განწყობას ახასიათებს, და ახლა სწორედ ამის შესწავლაზე უნდა გადავიდეთ!

ეჭვს გარეშეა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი უდავოდ არსებითი ხასიათის საკითხთაგანია. საქმე ისაა, რომ განწყობა ადამიანის ქცევაში უთუოდ მნიშვნელოვანი მომენტია, რომელზეც ეს ქცევა აიგება; თუ აღმოჩნდა, რომ არსებობს განწყობის გარკვეული ტიპები, რომელნიც ამ აქტივობაში მონაწილე ტიპთა ინდივიდუალურ თავისებურებებში იჩენენ თავს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ განწყობას თავისი გამოვლენის ტიპოლოგიურად განსხვავებული ფორმები ჰქონია, და, მაშასადამე, მათი სპეციალური შესწავლის აუცილებლობა ჩნდება.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ადამიანის ქარაქტეროლოგიურ თავისებურებათა დადგენა ხშირად ყოფილა ნაცადი, რის შედეგადაც მთელი რიგი ტიპოლოგიური და ქარაქტეროლოგიური სისტემები მოგვეპოვება. მაგრამ დღემდე არ ვიცნობთ არც ერთს ისეთს ცდას, რომ სხვების წინაშე რაიმე გარკვეული უპირატესობა ჰქონდეს. ყოველი მათგანი ერთგვარად შეესატყვისება თავის ამოცანას — ყოველი მათგანი ახასიათებს და განასხვავებს ადამიანებს იმ თავისებურებათა თვალსაზრისით, რომელიც მას თავის ამოსასვლელ წერტილად აქვს აღებული. მაგრამ ასეთი წერტილები შეიძლება მრავალი იყოს, და, მაშასადამე, ქარაქტეროლოგიური სისტემებიც ამდენივე შეიძლება გვქონდეს. ამიტომ გასაგებია, რომ არცერთს, ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ცნობილ ქარაქტეროლოგიურ მოძღვრებას არ შეიძლება რაიმე ისეთი უპირატესობა ჰქონდეს მეორის წინაშე, რომ მართებულადა და მისაღებად მხოლოდ ის იქნეს ცნობილი;

ადამიანის მთავარი ტიპების დადგენისათვის საჭიროა გაირკვეს, თუ რა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედების ძირითად კონსტიტუტიურ მომენტს. ეჭვი არაა, რომ, მიუხედავად მათი

უდავო მნიშვნელობისა, ასეთად არ შეიძლება არც „სხეულის კონსტიტუცია" ვიგულოთ და არც ადამიანის „კულტურა", რომელზედაც ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ამჟამად ფრიად პოპულარული *კრეჩმერის* და *შპრანგერის* ტიპოლოგიური სისტემებია აგებული. სულ სხვაა განწყობის ცნება! ჩვენ ვიცით, თუ რა ადგილი უჭირავს განწყობას ცოცხალ არსებასთან საერთოდ და ადამიანთან კერძოდ. რასაკვირველია, ამ მხრივ მასთან შედარებას ვერ გაუძლებს ვერც ორგანიზმის „კონსტიტუცია", და ვერც ადამიანის „კულტურა". როგორც ვიცით, განწყობა ყველაზე უფრო ღრმა უცილობელ კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სუბიექტის ქცევას. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, არ არსებობს სხვა თვალსაზრისი, რომელიც ეგოდენ უახლოვდებოდეს ადამიანის ტიპოლოგიის ყველაზე ზოგადისა და ღრმა სისტემის დადგენის ამოცანას, როგორც ეს განწყობის შესახებ შეიძლება ითქვას, თუ რა თქმა უნდა, აქ ობიექტივაციით გაშუალებულ განწყობასაც ვიგულისხმებთ.

მაგრამ ამ ცნების უპირატესობა არა მარტო ამაში უნდა ვიგულოთ. ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი ეთმობა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ხასიათის თანდაყოლილობის იდეას. ქარაქტეროლოგიური თავისებურება იქ, როგორც წესი, თანდაყოლილს, ასე ვთქვათ, ბედისმიერ თავისებურებად ითვლება, რომელიც ხასიათის ნამდვილი განვითარების იდეას იმთავითვე ძირშივე ეწინააღმდეგება. მაგრამ სინამდვილეში, არ შეიძლება რაიმე ეჭვი გვქონდეს, რომ ადამიანი არსს წარმოადგენს, რომელსაც განვითარების უმაგალითოდ ფართო შესაძლებლობები აქვს. ეს უდავოა. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ადამიანის ხასიათი ისეთ რამედ უნდა ვიგულოთ, რაც შედარებით მყარს, არსებითად ძნელად ცვალებად მოვლენას წარმოადგენს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ ხასიათის იმგვარ საფუძველს მოვნახავდით, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ეს მისი, ასე ვთქვათ, ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული თავისებურებები გაგვეგო.

ეჭვი არაა, თუ რომ აღმოჩნდებოდა, რომ ადამიანის ქარაქტეროლოგიური ნიშნები სხვათაშორის მისი ძირითადის თუ ობიექტივაციით გაშუალებული განწყობიდანაც მომდინარეობენ, მაშინ შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ჩვენ მართლაც ძლიერ საგულისხმო ფაქტი მოვნახეთ. საქმე ხომ ისაა, რომ განწყობის აღმოცენება ისეთს პირობებს გულისხმობს, რომელთაც თანდაყოლილობის იდეასთან საერთო არაფერი აქვთ — იმისათვის, რომ სუბიექტს რაიმე განწყობა გაუჩნდეს, აუცილებელია მას რაიმე მოთხოვნილება

აღმოუცენდეს და ამ უკანასკნელის დაკმაყოფილების სიტუაციაც ჰქონდეს. როგორც ვიცით, ეს სრულიად საკმარისი პირობაა ყოველი გარკვეულის, კონკრეტულად გაფორმებული განწყობის აქტუალიზაციისათვის, და აქ არაფერი ჩანს ისეთი, რაც რისამე მესამის — რისამე თანადაყოლილის — დამატებითი მონაწილეობის საჭიროებაზე მიუთითებდეს. რასაკვირველია, არსებითად იგივე ითქმის ობიექტივაციით გაშუალებული განწყობის შესახებაც.

ერთი სიტყვით, უეჭველია, რომ განწყობის იდეას არაფერი აქვს საერთო თანდაყოლილობის იდეასთან, და, თუ აღმოჩნდა, რომ განწყობის ცნება არსებითადაა პიროვნების ხასიათისეულ თავისებურებათა ცნებასთან დაკავშირებული, მაშინ ხასიათის ცვალებადობის პრობლემაც უდავოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ხასიათს ისეთ რადმე ვეღარ ვიგულებთ, რაც უცვლელი სახით, საბედისწეროდ, აქვს ადამიანს თანდაყოლილი, და რისი აღზრდისა და განვითარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მაშინ ხასიათის აღზრდის პრობლემა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გადაიქცევა ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელიც ახალი ცხოვრების საფუძველს აგებს.

მაგრამ ქარაქტეროლოგიის პრობლემა წინამდებარე გამოკვლევის საგნად ვერ ჩაითვლება. რამდენადაც აქ ჩვენ განწყობის ცნება და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხები გვაინტერესებს, ჩვენ იძულებული ვართ, ეს პრობლემა სხვა დროისათვის გადავდოთ. ამჟამად კი ჩვენს წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა დგას — ამოცანა გულდასმით შევისწავლოთ საკითხი იმის შესახებ, თუ განწყობის რა და რა ძირითადი ტიპოლოგიური ერთეულები დასტურდება ადამიანთა შორის, და ამნაირად გავაშუქოთ საკითხი არა ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის, არამედ კერძოდ განწყობის ტიპოლოგიის შესახებ.

მაშ, განწყობის რა და რა ტიპები არსებობს ადამიანთა შორის?

საკითხის ყურადღებით შესწავლის შედეგად ჩვენ სამი ასეთი ტიპოლოგიური ჯგუფი დავადასტურეთ: 1) *დინამიკური* განწყობის ადამიანთა ჯგუფი, 2) *სტატიკური* განწყობის ადამიანთა ჯგუფი და 3) *ვარიაბილური* განწყობის ადამიანთა ჯგუფი.

შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე!

ა) დინამიკური განწყობის ადამიანი

ჩვენს ცდისპირთა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ერთი ჯგუფი აღმოჩნდა, რომლის ფიქსირებული განწყობაც, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, მკვეთრადაა განსხვავებული სხვა ჯგუფების განწყო-

ბისაგან. ეს ის ჯგუფია, რომელიც ადამიანის ყველაზე უფრო ტიპიურ წარმომადგენლებს შეიცავს — ნამდვილი, სავსებით შეგუებული ადამიანების ჯგუფი. განწყობის ცდები ამ პირებთან ჩვეულებრივი წესითა და გარკვეული თანამიმდევრობით ჩატარდა[1].

თავიდან გამოირკვა ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის საკითხი, ან, სხვანაირად — საკითხი მისი ფიქსაციის სიადვილისა სამ განსხვავებულ გრძნობადს მოდალობაში: ოპტიკურში, ჰაპტურში და კუნთურში.

აღმოჩნდა, რომ სამივე ამ მოდალობის სფეროში არსებითად, სრულიად ერთნაირ სურათს ვღებულობთ, სახელდობრ: ფიქსაციის ოპტიმალურ აგზნებადობას საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვის 15-მდე გადიდებით ვაღწევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცდისპირთა უმრავლესობა ილუზიას მხოლოდ საგანწყობო ცდათა ამ რიცხვის პირობებში განიცდის. ცდათა მეტი ან ნაკლები რიცხვის შემთხვევაში ასეთ პირთა რაოდენობა მცირდება. სხვადასხვა გრძნობად მოდალობებში ეს რიცხვი ირხევა, მაგრამ ეს იმდენად ვიწრო ფარგლებში ხდება, რომ ეს რხევა თამამად შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტიპოლოგიური თავისებურებებით მსგავს ცპ-თა ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა, ძირითადში, ერთნაირ სურათს იძლევა, ეს აგზნებადობა არც ძალიან მაღალია და არც ძალიან დაბალი.

არიან პირები, რომელნიც ძალიან ახლო დგანან ამ ძირითად ჯგუფთან, მაგრამ ტიპოლოგიურად მისგან მაინც ოდნავ განსხვავდებიან; და ამ პირთა აგზნებადობა, ჩვენი ცპ-ების ძირითადი კატეგორიის განწყობის აგზნებასთან შედარებით, ან მნიშვნელოვნად მაღალია ან და, პირიქით, მნიშვნელოვნად დაბალი. ჩვენ ცპ-თა ძირითად კატეგორიას, ამ მხრივ, საშუალო ადგილი უკავია (მაშინ, როდესაც ამ პირთა აგზნებადობის ოპტიმუმი უდრის 15, სხვებისა — ერთ შემთხვევაში ორს, ხოლო სხვაში — 25-30).

მეორე რიგში შევისწავლეთ საკითხი ამ ჯგუფის ცპ-თა ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის ტიპების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამ ცპ-თა ჯგუფში პლასტიკური და დინამიკური განწყობის ტიპი ჭარბობს (საშუალოდ — 83% სამივე შესწავლილ გრძნობად მოდალობაში), დანარჩენი ტიპები იმდენად უმნიშვნელო მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, რომ შეიძლება ყურადღების გარეშე იქნენ დატოვებული.

---

[1]. *ა. ნორაკიძე.* ადამიანის ხასიათი და ფიქსირებული განწყობა. 1948. (ხელნაწ.).

გადავდივართ საკითხზე ცპ-თა განწყობის *სიმტკიცის* ანუ *სიმყარის* შესახებ. ცდების შედეგები გვიჩვენებენ, რომ ყველა ცპ-ისათვის ციფრები, საშუალოდ, შემდეგ ფარგლებში რხევადობს: ოპტიკური სფეროს საშუალო კოეფიციენტი უდრის 13,5; ჰაპტურის — 15,7 და კუნთურის — 11,4. ეს იმას ნიშნავს, რომ ცპ-თა ჯგუფებს შორის ერთგვარი განსხვავების მიუხედავად, საერთოდ საფუძველი გვაქვს ვცნოთ, რომ მათი განწყობა შესამჩნევად მტკიცეა.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო სუბიექტების ფიქსირებული განწყობის კონსტანტობის ხარისხის საკითხს, ის შემდეგ ციფრებში წარმოგვიდგება: ოპტიკურ სფეროში — 87,8%, ჰაპტურში — 78,8% და კუნთურში — 87,8%. ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია იმისათვის, რათა უფლება გვქონდეს დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ შესნავლილი კატეგორიის პირთა ფიქსირებული განწყობა საკმაოდ კონსტანტურია.

მაგრამ იგი აგრეთვე მეტად სტაბილურიცაა: ოპტიკურ მოდალობაში ცპ-თა 84,8% (სულ 33 პირი იყო) მრავალი დღის განმავლობაში ამჟღავნებს განწყობის სტაბილურ ფორმას (ცდების 5 სერია), ჰაპტურში თითქმის მთელი 100% და, ბოლოს, კუნთურში 87,8%.

შემდგომი მონაცემები განწყობის ირადიაციის მდგომარეობას ეხება.

a) ირადიაციის ცდებში, მხედველობის სფეროდან ჰაპტურში ირადიაცია ცპ-თა 75% უდასტურდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ირადირებული განწყობა მნიშვნელოვნად სუსტია, რაც ასიმილაციურ ილუზიათა გამოვლენის შედარებით მაღალ კოეფიციენტებში გამოიხატება — ილუზიათა, რომლებსაც როგორც ვიცით, უპირატესად სუსტი ფიქსაციის შემთხვევებში აქვთ ადგილი.

b) პირუკუ მიმართულებისას ირადიაციის პროცენტი რამდენიმედ დაბალია: ჰაპტურ სფეროში ფიქსირებული განწყობა ირადიაციას ახდენს მხედველობითს სფეროზე შემთხვევათა მხოლოდ 67%-ში; ამასთან იგი აქაც სუსტი აღმოჩნდება, თუმცა არა იმდენად, როგორც სანინააღმდეგო მიმართულების ირადიაციის ე. ი. მხედველობის სფეროდან ჰაპტურში ირადიაციის შემთხვევაში.

c) დაახლოებით ასეთივე სიხშირით გვხვდება ირადიაციის შემთხვევები მხედველობის სფეროდან კუნთურში (66,3%).

მაგრამ ეს შემთხვევები ამ ჯგუფის ქვეტიპებში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ (100%-ამდეც კი).

d) დასასრულ, ირადიაცია პირუკუ მიმართულებით, ე. ი. კუნთური მოდალობიდან მხედველობითში, ჩვენ ცპ-თა მხოლოდ 62% ახასიათებს. როგორც მოსალოდნელიც იყო, განსაკუთრებით ადვი-

ლად იგი იმ პირთა შორის მიმდინარეობს, რომელნიც მას მაქსიმალურად ამჟღავნებენ პირუკუ თანმიმდევრობის ცდებში.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ განწყობის ირადიაცია ერთი გრძნობადი მოდალობიდან მეორეში საკმაოდ მტკიცედ ახასიათებს ამ ტიპის ცპ-ებს; მაგრამ ეს ირადიაცია საერთოდ უფრო ექსტენსიურია, ვიდრე ინტენსიური; უმეტეს შემთხვევაში მისი ინტენსივობა შედარებით დაბალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი.

თუ შევეკითხებით ჩვენს თავს, როგორია საერთოდ იმ პირთა ფიქსირებული განწყობა, რომელიც ზემოთ როგორც ჰარმონიულები დავახასიათეთ, ჩვენი შედეგები ამ საკითხის შესახებ შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ: ამ პირთა ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის ოპტიმუმი 10-15 საგანწყობო ექსპოზიციის ფარგლებში რხევადობს; მათი განწყობის ტიპი პლასტიკურ-დინამიკურია; ამასთანავე იგი კონსტანტურია, მტკიცეა საშუალო ფარგლებში, ლოკალურია და ინტერმოდალურად სტაბილური.

რაც შეეხება საკითხს ამ ჯგუფის ადამიანთა აქტივიზაციის უნარის შესახებ, გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს უნარი მათგან განსაკუთრებით იოლად მიმდინარეობს.

ბ) სტატიკური ადამიანები

ცდისპირებს შორის გამოიყოფა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც არა როგორც *დინამიკური*, არამედ როგორც *სტატიკური* ადამიანები შეიძლება დავახასიათოთ.

1. სტატიკურ ადამიანთა დახასიათება. მათ ცხოვრებასა და საქმიანობას რომ დავუკვირდეთ, თავიდანვე შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ ამ შემთხვევაში ძლიერს, მოქმედს, სრულიად ჰარმონიულ ადამიანებთან გვაქვს საქმე. მათი ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა გარკვევით შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ესენი სავსებით შეგუებული, აქტიური ნებისყოფის მქონე, თავისი არსებობით საკმაოდ კმაყოფილი და ცხოვრების მოხარული ადამიანებია.

მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით მათ, აღმოჩნდება, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. არსებითად ისინი სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ იმისას, რადაც გარე დამკვირვებელს ეჩვენებიან. ნამდვილად, ჰარმონიისა მათში ბევრი არაფერია. ისინი უფრო შინაგანად გახლეჩილს, თავის ფესვებშივე დისჰარმონიულად აგებულ ადამიანებს წარმოადგენენ, რომელნიც სრულ გატაცებას ვერასოდეს ვერ ახერხებენ. მათი შინაგანი არსიდან გამომდინარე

აქტების შესრულების გაორება, დანაწევრება — აი მათი ძირითადი თვისება. ისინი წმინდა შიზოფრენიკებად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, რომ მათ არ ჰქონოდათ განსაკუთრებულად მკვეთრად გამოხატული უნარი თავისი შინაგანი არსის დაფარვისა და, ქცევის ხილული აქტების მიხედვით, სრულიად შეგუებული, ნორმალური სუბიექტების როლის შესრულებისა.

მაგრამ რით აღწევენ ისინი ამას? პასუხი ძნელი არ იქნება, თუ მათ ქცევას დაკვირვებით გავაანალიზებთ.

მთელი მათი ქცევა, რომელიც სოციალური ცხოვრების ნორმალურ მოთხოვნილებებს ემსახურება, უწყვეტი შინაგანი თვითკონტროლისა და ნებისყოფის დაუცხრომელი ხელმძღვანელობის ნაყოფს წარმოადგენს, ნებისყოფის ხელმძღვანელობისას, რომელსაც ეს ადამიანები უსიტყვოდ და განუხრელად ემორჩილებიან. მათი ქცევა არა იმპულსური მოქმედების, არამედ მთლიანად *ობიექტივაციისა* და ამ უკანასკნელით გაპირობებული *ნებითი* აქტივობის ბაზაზე იშლება. ჩვენ სხვაგვარადაც შეგვეძლო ამ აზრის გამოთქმა: ამ პირთა მთელი მოქმედება არა მათი პირველადი ბუნებრივი არსიდან გამომდინარე აქტივობაა, არამედ ობიექტივირებული, გაცნობიერების ბაზაზე აგებული ნებელობითი მოქმედება. ამიტომ გასაგებია, ამ ადამიანთა ჩვენს თვალწინ გაშლილ აქტივობას რომ შევხედოთ, მოგვეჩვენება, თითქოს საქმე ჰარმონიულ ადამიანთა დასრულებულ წარმომადგენლებთან გვქონდეს.

მაგრამ საკმარისია ახლოს ჩავაკვირდეთ მათ შინაგან განცდებს, რათა დავინახოთ, რომ აქ რაიმე ჰარმონიაზე ლაპარაკი დაუსაბუთებელი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ეს პირები, როდესაც რაიმე ქცევის აქტს ასრულებენ, შინაგანად თითქოს ყოველთვის აკვირდებიან თავის თავს, თითქოს ეკითხებიან მას: „რა საჭიროა ყოველივე ეს? რათ ვაიძულებ თავს ამის გაკეთებას?". მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ უშლის მათ ხელს მაქსიმალურად დაძაბონ თავისი ნებისყოფის ძალები, რათა დაწყებული საქმე წარმატებით დაამთავრონ. მეორის მხრივ, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ეს შინაგანი გაორება ერთგვარად მაინც ასუსტებს მათი ნებისყოფის ძალას. როდესაც ისინი გადაწყვეტილებას ღებულობენ, ამა თუ იმ შემთხვევაში გარკვეული სახით მოიქცნენ, ეს არასოდეს მტკიცე, საბოლოო გადაწყვეტილება არაა. მათ ყოველთვის უხდებათ თავისი გადაწყვეტილების ხელახალი დადასტურება და ამრიგად თავისი ენერგიის განმტკიცება. უბიძგებენ რა მას კიდევ და კიდევ, ისინი სრულიად უკუაგდებენ ბუნებრივი იმპულსების დაკენებას და ნებისყოფის მო-

თხოვნებს დაქვემდებარებულნი, ამავე დროს სკეპტიკურად უთვალთვალებენ მის მოქმედებას. ასე მიმდინარეობს მათი სოციალური ცხოვრება, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივი დაკვირვების ობიექტადაც იქნეს დასახული.

მაგრამ ეს ადამიანები შინაგანად, თავისთვის, სრულიად სხვა სურათს წარმოადგენენ. აქ კვალიც არაა იმ მიზნებისა, რომელთაც სოციალურად დეტერმინირებული ნებისყოფა ესწრაფვის. აქ ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება. ჩანს, მათ კრიტიკული გამოცდილების საფუძველზე აღმოცენებული და ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული ღრმა ემოციები აქვთ, და ყველაფერი რაც მათ ირგვლივ ხდება, ამ ემოციების თვალსაზრისით იზომება.

არის შემთხვევები, როდესაც ამ ტიპის სუბიექტი სიამოვნების გრძნობებსაც კი განიცდის, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად ხდება, და მაშინ ამ სუბიექტში რაღაც შინაგანი ხმა ამეტყველდება, რომელსაც ეს მისი განცდები არარაობაზე დაჰყავს, რომელიც ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს ამაოებაა და სრულიად არაფრად არ ღირს. ეს შინაგანი ხმა, — უკიდურესად განვითარებული ობიექტივაციის პროდუქტი, — შეუძლებელს ჰყოფს ყოველგვარ უშუალო განცდას, და ამისი შედეგი ისაა, რომ ამ პირთა განცდების გაბატონებულ ფორმად უსიამოვნება იქცევა. იგი განუწყვეტლივ ღრღნის მათს შინაგან არსს, და მოსვენება და კმაყოფილება უცხოა მათთვის. ისინი რომ თავის განცდებს უშუალოდ ეძლეოდნენ და მათი ცხოვრება ცნობიერებაში სპეციალური ასახვის გარეშე მიმდინარეობდეს, უნდა ვიფიქროთ, ეს ცხოვრება მათთვის არასოდეს ეგოდენ მძიმე არ იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ ხდება: ცნობიერება თითქოს დაუძინებელ დარაჯად უდგას თავის საკუთარ განცდებს, ის აწარმოებს მათ ობიექტივაციას და, გადასცემს რა სუბიექტს, შესაძლებლობას აძლევს მას თავისი ფიქსირებული ემოციების პრიზმაში აღიქვას ისინი და ამ გზით ყოველთვის ზურგი შეუქციოს მათ. ასე იზრდება ამ ადამიანების მარად უარყოფითი დამოკიდებულება ცხოვრების ყველა შესაძლო შემთხვევისადმი — ასე ისახება და იზრდება მათი ნიჰილიზმი და პესიმიზმი.

ამ პირობებში გასაგები ხდება, რომ ისინი ზოგჯერ განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან *დარწმუნებულობის* გრძნობის უქონლობას ან მის სისუსტეს: „ჩემი უბედურება ისაა, რომ მე არასოდეს არაფერში არ ვარ დარწმუნებული"-ო, ამბობს ერთ-ერთი ცპ-ი და ამ ტიპის ადამიანთა შინაგან განწყობილებას ამით გამოხატავს... ისინი არ გრძნობენ საჭიროებას, დაემორჩილონ გარემოს მოთხოვნებს, გაურბიან მათ და ამ ნიადაგზე ხშირად უკმარობისა და

უსიამოვნების გრძნობებს განიცდიან; ან და, როცა გადაწყვეტენ მაინც დაემორჩილონ ამ მოთხოვნებს, ბუნებრივია, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მათ აქაც სდევს თან. ასე თუ ისე მათი ძირითადი განწყობილება ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე უარყოფით საღებავითაა შეფერადებული: მათი პესიმიზმი და მისი შესატყვისი განწყობილება ყოველივე ამის ბუნებრივ შედეგად გვევლინება.

ჩვენ ვხედავთ, რომ თავისი მოქმედების ჩვეულებრივ აქტებში ამ კატეგორიის პირები თავის შინაგან იმპულსებს უარყოფენ და, მათ ნაცვლად, ნებელობის მითითებებს მიჰყვებიან. მაგრამ ეს სრულიად არ აკმაყოფილებს მათ: იმპულსები ხელუხლებელი რჩება, და ეს გარემოება მათი მარადი დაუკმაყოფილებლობის წყაროდ იქცევა. რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, და გასაგებია, რომ ამ პირობებში ძალაში შედის ფანტაზია, რომელიც ამ დაუკმაყოფილებელ იმპულსებს მოქმედების თავისუფალ ასპარეზს უხსნის.

აქ, ფანტაზიის სფეროში, სუბიექტს არაფერი უშლის ხელს, თავისი იმპულსების ადეკვატური ფორმები ეძიოს და პოვოს კიდეც. ამიტომ ფანტაზიაში შექმნილი ხატები მისი სურვილების განხორციელების ცალკეულ შემთხვევებს წარმოადგენენ. მარტო აქ, ფანტაზიის ხატების სფეროში, პოულობენ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის ადამიანები თავის იმპულსურ მისწრაფებათა ადეკვატურ დაკმაყოფილებას, და უნდა ვიფიქროთ, რომ სინამდვილის მხოლოდ ეს სფერო უზრუნველუყოფს მათ ამის შესაძლებლობას.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილ დაკმაყოფილებას მაინც ვერ გვრის მათ. ამიტომაც გასაგებია, რომ ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა, ნიჰილისტური და პესიმისტური გრძნობები სტატიკურ სუბიექტთა განცდის გაბატონებულ ფორმებს წარმოადგენენ.

სტატიკური ადამიანის ფიქსირებული განწყობა. საინტერესოა გავითვალისწინოთ, რა ფორმებში მიმდინარეობს ამ პირთა ფიქსირებული განწყობა.

1. რაც შეეხება საკითხს განწყობის *ფიქსაციის* სისწრაფის ანუ მისი აგზნებადობის შესახებ, აღმოჩნდა, რომ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის პირთა დიდ უმრავლესობას იგი მნიშვნელოვნად მაღალი აქვს: ცპ-თა 88%-ს განწყობა უფიქსირდება ექსპერიმენტული ობიექტების უკვე ორი ექსპოზიციის შემდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში განწყობის, მართალია, ტლანქი, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც დინამიკური ფორმა აღმოცენდება. თუ საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვს 5-10-მდე ავიყვანთ, მაშინ განწყობის დინამიკური ფორმა სტატიკურს

უთმობს ადგილს; ახლა ცპ-თა უმრავლესობის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აქ საქმე გვაქვს საგანწყობო ექსპოზიციათა ოპტიმალურ რიცხვთან, ამრიგად, შეგვიძლია ჩათვალოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო კატეგორიის პირთა ფიქსირებული განწყობის ოპტიმალური აგზნებადობა 5-10 ექსპოზიციას უდრის.

2. როგორია ამ ცპ-თა განწყობის გაბატონებული ფორმები? ცდების მონაცემები სხვადასხვა გრძნობად მოდალობაში გვიჩვენებენ, რომ მოცემული კატეგორიის პირთა განწყობის დამახასიათებელ ფორმას ტლანქი სტატიკური ფიქსირებული განწყობა შეადგენს. სახელდობრ: აღმოჩნდა, რომ განწყობის ეს ფორმა გამოკვლეულ სუბიექტებს მეტწილად 80-100%-ის ფარგლებში უდასტურდება.

3. რაც შეეხება საკითხს განწყობის კონსტანტობის შესახებ, იგი თითქმის ყველა 100%-ის შემთხვევაშია წარმოდგენილი (90%-დან — 100%-მდე). იგივე ითქმის განწყობის *სტაბილობის* შესახებაც (100%). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში (90%) განწყობა თავის ტლანქ სტატიკურ ხასიათს ინარჩუნებს.

4. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ცპ-თა ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის ფიქსირებული განწყობის ირადიაცია ფართო მასშტაბით ხდება: იგი ვრცელდება ოპტიკური სფეროდან ჰაპტურსა და კუნთურზე და ამ უკანასკნელიდან პირიქით, — ოპტიკურსა და ჰაპტურზე.

იგივე ითქმის ჰაპტური განწყობის შესახებაც, რომელიც დაუყოვნებლივ გადადის ორ დანარჩენ სენსორულ სფეროზე. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ირადირებული განწყობა ყველა შემთხვევაში მტკიცე ტლანქ-სტატიკურ ფორმას ინარჩუნებს. დამახასიათებელია, რომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში კონსტანტური ილუზიის ფორმა მეღავნდება, რომელიც განწყობის ირადიაციის თითქმის ყველა შემთხვევაში დომინანტური რჩება.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტატიკურ პიროვნებათა ფიქსირებული განწყობა ძლიერ აგზნებადია, ტლანქი სტატიკური, ინტერმოდალური, კონსტანტური და საკმაოდ ფართოდ ირადირებული.

რომ დაგვეყენებია საკითხი ცპ-თა ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის დამახასიათებელ თავისებურებათა და მათი ფიქსირებული განწყობების ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ გარკვეული კავშირი მათ შორის თითქოს ნამდვილად არსებობს. მართალია, ამ კავშირის გამოვლენის საკითხს ჩვენ სპეციალურად აქ არ ვეხებით, მაგრამ მაინც გვინდა ის დიდი როლი აღვნიშნოთ, რომელსაც ამ კატეგორიის ცპ-თათვის ობიექტივაციის აქტი ასრულებს.

აქტივობის ეს ფორმა, რომელიც განვითარების მხოლოდ მაღალ საფეხურებზე ჩნდება, თვალნათლივ ამ კატეგორიის პირთა შორის იჩენს თავს, და შეიძლება პირველ რიგში ეს იყოს, რაც ამ სუბიექტთა სპეციფიკურ არსს ეგოდენ დიდი ნარმატებით აკორეგირებს.

ბ) ვარიაბილურ-სტატიკურ ადამიანთა ჯგუფი

შევუდგეთ ჩვენ მიერ აღნიშნულ ადამიანთა მესამე, უკანასკნელი ჯგუფის ანალიზს. თუ პირველი კატეგორია შეიძლება დახასიათდეს, როგორც *დინამიკურ ადამიანთა* ჯგუფი, ხოლო მეორე, როგორც *სტატიკურთა ჯგუფი*, მაშინ ამ უკანასკნელ კატეგორიას *ვარიაბილური* სუბიექტების ჯგუფი შეიძლება ვუწოდოთ. მხოლოდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იგი — ეს ჯგუფი — ორს ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ქვეჯგუფს მაინც შეიცავს. ესენია *სტაბილურ* და *ლაბილურ* ადამიანთა ვარიანტები.

მივმართოთ, მოკლედ, ამ ჯგუფის ყველაზე არსებითს თავისებურებათა გარკვევას.

1. **ვარიაბილურ-სტაბილური ადამიანი.** როგორია ამ კატეგორიის პირთა ფიქსირებული განწყობა?

სპეციალური ცდები გვიჩვენებენ, რომ ეს პირები ფიქსირებული განწყობის თავისებურ ფორმებს ამჟღავნებენ. ჩვენ არ შევეხებით მის ყველა მხარეს, აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე დამახასიათებელ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ ეს განწყობა მუდამ ვარიაბილურია, თანაც ყველა გრძნობად მოდალობაში თანასწორად ვარიაბილური, და რომ ამასთან ერთად იგი სტაბილური სტატიკური განწყობის თავისებურებებს ამჟღავნებს.

თუ ვარიაბილურ-სტაბილურ ადამიანთა ხასიათში ყველაზე არსებითს მომენტებს გამოვყოფთ, უნდა შევჩერდეთ შემდეგზე. ესენი პირველ რიგში ძლიერ მისწრაფებათა ადამიანებია — მოქმედი, ცხოვრების ყველა გარემოებაში აქტივობის გამოვლენის მაძიებელი ადამიანები. ის, რასაც ისინი შინაგანი განცდების სახით ატარებენ, გარეთ გამოვლენისაკენ ისწრაფვის, და არა მარტო ქცევის ჩვეულებრივი ფორმებისა და ცხოვრების სტილის, არამედ აგრეთვე გარკვეულ მიმიკურსა და პანტომიმიკურ მოძრაობათა სახით იშლება. ამ მისწრაფებათა ნამდვილი რეალიზაციისათვის შესატყვისი სიტუაციაა საჭირო, მაგრამ სწორედ ამგვარი სიტუაციის უზრუნველსაყოფად მათ ძალა არ შესწევთ. ამიტომ სუბიექტში შინაგანი იმპულსი ისახება, განთავისუფლდეს ამ მისწრაფებებისაგან.

ეს ერთდროული ტენდენცია, ერთის მხრივ, რეალიზაციისადმი, და მეორე მხრივ, ამ მისწრაფებათა ჩახშობისადმი იმ შინაგანი კონფლიქტების წყაროდ იქცევა, რომელნიც ამ პირთა ხასიათის ღრმა ფესვებზე იზრდებიან.

მიუხედავად ამისა, იმპულსების განხორციელებისადმი ტენდენცია მათში შეუპოვარი ძალით მოქმედებს; ამ მისწრაფებაში ისინი შეუდრეკელი და დაუცხრომელი არიან და ხშირად თავისი იმპულსების შესანიშნავ ძალასა და სიმტკიცეს ამჟღავნებენ. მაგრამ ასეთ პირთა მთავარი ნაკლი — მათი სუსტი ნებისყოფაა. და ეს გარემოება მათ ამ ტენდენციათა რეალიზაციის შესაძლებლობას უსპობს.

ამ საფუძველზე წარმოშობილი შინაგანი უკმარობა იმით კომპენსირდება, რომ მათი ხასიათის კონფლიქტური სტრუქტურა მაღალ მისწრაფებათა შეუპოვარ იმპლუსს ამჟღავნებს. ხშირად მათში მაღალი მორალური ტენდენციები მჟღავნდება. მაგრამ ეს უკანასკნელნი პიროვნების თავისებურებაზე როდი არიან დაყრდნობილი: ნებისყოფა მათ უმნიშვნელოდ აქვთ განვითარებული, და იგინი იძულებული ხდებიან იმპულსურ მისწრაფებათა ძალას დაემორჩილონ. ამიტომ საქმის ნამდვილ ვითარებასთან უფრო ახლო ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ ამ კატეგორიის პირები განირჩევიან არა იმდენად მტკიცე შეხედულებებით, რამდენადაც ურყევი მორალური იმპულსებით.

2. ვარიაბილურ-ლაბილური ადამიანი. შევჩერდეთ მოკლედ ცპთა მეორე კატეგორიის დახასიათებაზე — ვარიაბილურ-ლაბილურ ადამიანთა დახასიათებაზე.

აქ ყურადღებას იპყრობს, უპირველეს ყოვლისა, მათი მოთხოვნილებების მკვეთრად გამოხატული მერყეობა.

ეს ის ადამიანებია, რომელთაც არა აქვთ მოთხოვნილების დომინანტური ფორმა, არც სოციალურსა და არც ბიოლოგიურ სფეროში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არც ერთი მათი მოთხოვნილება დროის საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთზე ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორად არ იქცეოდეს. პირიქით, ჩვეულებრივ, ერთი რომელიმე მოთხოვნილება იწყებს ხოლმე წინ წამოწევას და ერთხანს სუბიექტის ქცევის წარმართველ ძალად იქცევა. მაგრამ საკმარისია გარემოება შეიცვალოს, რომ სუბიექტმა ზურგი შეაქციოს მას და მთლად ახალ მიზნებზე გადაინაცვლოს.

ერთი სიტყვით, ჩვენთვის საინტერესო ლაბილურ ადამიანთა ჯგუფის მოთხოვნილებები, და მათთან დაკავშირებით მიზნებიც, მეტისმეტად მერყეევია და მოძრავი.

ამ ადამიანთა ნებისყოფა რომ საკმარისად ძლიერი ყოფილიყო, მაშინ მათ ქცევას უფრო მტკიცე ხასიათი ექნებოდა. მაგრამ ეს ასე არაა, და გაბატონებულ ფაქტორად, რომელიც ამ ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს, *ობიექტური სიტუაცია* ხდება, სიტუაცია, სადაც მათ მოქმედება უხდებათ. იცვლება სიტუაცია — იცვლება სუბიექტიც, და მისი საქმიანობა მკვეთრად იცვლის თავის მიმართულებას: სუბიექტი, რომელიც ეს-ესაა გატაცებული იყო, მაგალითად, ლიტერატურული შემოქმედებით და პოეტურ ნაწარმოებთ აქვეყნებდა, უცბად ასეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, რომელსაც აღარაფერი აქვს საერთო იმასთან, რომ მას წინათ ეგოდენ ძლიერ იტაცებდა — ცხოვრების ახალი სიტუაცია მთლიანად ცვლის მას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომელნიც მოკლებული არიან საკუთარ შინაგან იმპულსებს, ნებითი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სადეტერმინაციო აქტებს — ადამიანებთან, რომელნიც მორჩილად მისდევენ გარე სიტუაციის მოთხოვნილებებს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეს ადამიანები არსებითად შინაგანად ინდიფერენტულნი არიან იმისადმი, რასაც აკეთებენ: უფრო მეტი — იმათ არ უყვართ თავისი საქმე, ისინი ყოველ წუთს მზად არიან ზურგი შეუქციონ მას. მაგრამ ამავე დროს, გარეგნულად ისინი აღფრთოვანებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, თუმცა არაა იშვიათი, რომ საქმისადმი მათი ამბივალენტური დამოკიდებულების მეორე ნახევარიც გამოვლინდება ხოლმე.

ამრიგად, გასაკვირი არაა, რომ ამ ადამიანებს შესწევთ ძალა ასე ადვილად და ერთბაშად მოსწყდნენ იმას, რითაც თითქოს ასე მძლავრად იყვნენ გატაცებული, და გადაინაცვლონ ახალ საქმეზე, რომელსაც წინანდელთან საერთო არაფერი აქვს. მოთხოვნილებათა სისუსტე, მტკიცე მიზანდასახულობის უქონლობა, სუსტი ნებისყოფა, გარემოს სიტუაციის პირობებზე დამოკიდებულება, ქცევის იმპულსურობა, — აი თვისებები, რომელნიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ვარიაბილურ-ლაბილური ჯგუფის ადამიანთა შორის.

თუ სპეციალურად შევისწავლით ამ ადამიანთა ფიქსირებულ განწყობას, დავინახავთ, რომ მათ არაფერი აქვთ უფრო სპეციფიკური, ვიდრე მკვეთრად გამოხატული ლაბილობა. სხვა მხრივ ისინი არსებითად ვარიაბილურ ადამიანთა ჯგუფის განწყობის თავისებურებებს იმეორებენ.

III. აღნიშნული ტიპების ზოგადი დახასიათება

თუ დავაკვირდებით ზემოაღნიშნულ მონაცემებს ყველა ამ სამი ძირითადი ჯგუფის განწყობის შესახებ, ძნელი არ იქნება შევამჩნიოთ, რომ მათ შორის საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავება არსებობს.

A სახელდობრ: ცპ-თა პირველი ჯგუფის – *დინამიკურ* ადამიანთა ჯგუფის – განწყობას უწინარეს ყოვლისა დინამიკურობა ახასიათებს, ე. ი. ამ ადამიანების ფიქსირებული განწყობა არ უწევს გადამეტებულ წინააღმდეგობას მასზე მოქმედი სიტუაციის პირობებს, არ განაგრძობს მათში უსასრულო ბატონობას. პირიქით, დროის ერთგვარი მონაკვეთის შემდეგ ფიქსაციის ფაქტორი უკუდგება და სიტუაციის პირობებისადმი ადეკვატური განწყობა კვლავ ღებულობს შესაძლებლობას სუბიექტის ქცევის რეგულაცია მოახდინოს. ესაა ნორმალური, ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებისადმი შეგუებული სუბიექტის ერთ-ერთი, ყველაზე უფრო არსებითი თავისებურება. ეს სუბიექტი რომ უცვლელად დაფიქსირებული განწყობის ბატონობის ქვეშ რჩებოდეს, მისი გავლენისაგან არ თავისუფლდებოდეს, იგი ვერსოდეს ვერ შეძლებდა გარემოს თანდათან გართულებული პირობებისადმი შეგუების ნორმალური პროცესის უზრუნველყოფას.

მაგრამ ამ ადამიანთა განწყობა გარდა დინამიკურობისა, სხვა თავისებურებათა მთელი რიგითაც ხასიათდება. იგი მტკიცე, სტაბილური და კონსტანტურია. რაც შეეხება ამ განწყობის პიროვნებაზე გავრცელებულობის, ე. ი. მისი ირადიაციის ხარისხს, იგი, როგორც წესი, ნორმის ფარგლებში რჩება და არც ძალიან მაღალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი და არც ძალიან დაბალით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკური სუბიექტი *ადვილი ობიექტივაციის* ადამიანია. ყველგან, სადაც საჭიროა, ის მნიშვნელოვანი დაბრკოლების გარეშე ახერხებს შეჩერებას და, ობიექტივაციის ნიადაგზე, თავისი ქცევის შედარებით მიზანშეწონილი გზების მონახვას. საინტერესოა, რომ მას არ უჭირს ამ გზებზე გადასვლა და თავისი აქტივობის შესაფერი ნარმართვა.

ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის სწორ გზაზე დადგომასა და თავის ქცევის მარად მიზანშეწონილად მართვას ახერხებს. ამისთვის სხვა თვისებებია საჭირო, მაგალ., აზროვნებისა და ნებელობის უნარი, რომელიც ან მეტად შეიძლება ჰქონდეს განვითარებული ამ ადამიანს და ან ნაკლებად.

B. შევჩერდეთ ახლა *სტატიკურ* ან *კონფლიქტურ* პიროვნე-

ბათა ჯგუფზე, რათა ვაჩვენოთ, რომ განწყობა და ობიექტივაციის უნარი, მათი მეტად თუ ნაკლებად შეთანხმებული აქტივობა, აქაც ძირითად როლს ასრულებს ამ ადამიანთა ტიპის ჩამოყალიბების პროცესში.

სტატიკური ადამიანის განწყობა — სტატიკური და ირადირებული, რომელიც იმავე დროს კონსტანტურია და სტაბილური — ძნელი საფიქრებელია ნორმალური, მოწესრიგებული ქცევის საფუძვლად გამოდგეს. ამიტომაა, რომ ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ეს სუბიექტი იძულებული ხდება წინააღმდეგობა გაუწიოს თავისი ჩვეულებრივი განწყობის ტენდენციებს, თავი დააღწიოს მათს იძულებას და ისეთ გზას დაადგეს, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ნორმალური, ჯანსაღი საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაფერი გამოდგეს.

ერთადერთი გზა, რომელიც პირველ რიგშია ამისათვის აუცილებელი, ეს *ობიექტივაციის* გზაა. ის შესაძლებლობას უქმნის სუბიექტს თავისი ინტელექტუალური ძალები აამოძრაოს და მათი ხელმძღვანელობით ქცევის მიზანშეწონილი სახეები და გზები აირჩიოს. მისი საკმაოდ განვითარებული ნებისყოფა მთავარი იარაღი ხდება, რომელიც არსებული ქცევის განწყობაზე გადასვლის საქმეს უზრუნველყოფს.

ასე ხდება, რომ ამ ჯგუფის სუბიექტები იძულებული ხდებიან ქცევა მათთვის შეუფერებელის, უცხო განწყობის მიხედვით, გაშალონ, — მაშასადამე, თავისი ბუნებრივი განწყობა შეაფერხონ, შეაკავონ და იგი მათთვის არა ბუნებრივს, უჩვეულო განწყობას დაუმორჩილონ.

გასაგებია, რომ ამ ნიადაგზე სუბიექტში საკმაოდ ღრმა კონფლიქტი ისახება, და ეს კონფლიქტი ამ სუბიექტის მთელს თავისებურებას თავისი სპეციფიკური დაღით აღბეჭდავს.

C. დასასრულ, ცპ-თა მესამე, უკანასკნელი კატეგორიის ადამიანების, ე. წ. ვარიაბილური განწყობის ადამიანების შესახებ იგივე შეიძლება ვთქვათ, სახელდობრ, რომ ამ პირთა თავისებურება საკმაოდ კარგად შეეხება მათი ფიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის გამოვლენის ფორმებს. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამაში ჩვენ ზემოთაც დავრწმუნდით, და ამიტომ საჭირო აღარაა — ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდეთ.

ამგვარად, უსაფუძვლო არ იქნება ვთქვათ, რომ ადამიანები, სხვა მხარეებს რომ თავი დავანებოთ, ფიქსირებული განწყობის საკმაოდ სპეციფიკური, სრულიად გარკვეული გამოვლინების ფორმებითა და

ობიექტივაციის მეტ-ნაკლები უნარითაც განსხვავდებიან ურთიერთისაგან, ობიექტივაციის უნარით, რომლის ნიადაგზეც ისინი თავისი ქცევის წარმმართველი განწყობის შერჩევასა და მისი მეტი თუ ნაკლები სიძნელით განხორციელებას ახერხებენ.

IV. ადამიანის განწყობის კონსტანტობის პროგლემისათვის

ჩვენ უნდა შევისწავლოთ შემთხვევები, სადაც, მკვეთრად შეცვლილი ცხოვრების პირობების გამო, ადამიანი რადიკალურად გარდაქმნილა, რათა გამოვარკვიოთ, რა დაემართა ფიქსირებული განწყობის ტიპიურ თავისებურებებს, ხელუხლებელნი დარჩნენ ისინი, თუ მათაც განიცადეს სპეციფიკური ცვლილებები, შესატყვისი ინდივიდში მომხდარი ძვრებისა.

მოიპოვება რიგი დაკვირვებათა, საიდანაც ცნობილია, რომ ასეთი შემთხვევები მართლაც ნამდვილად გვხვდება. შენიშნულია, რომ შესწავლილი ზოგიერთი ცპ-ის ცხოვრების მანძილზე დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამბებს ჰქონდათ ადგილი, ამბებს, რომელნიც ამავე დროს მჭიდროდ იყვნენ მათ პირად ბედ-იღბალთან დაკავშირებული. ამ ამბებმა, როგორც აღმოჩნდა, ამ ადამიანთა ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი შეასრულეს — მათ ამ ადამიანთა პიროვნების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობის ძვრები გამოიწვიეს, და ამის შედეგად მაგალ., ვარიაბილური განწყობის პირები დინამიკურ ან სტატიკურ ადამიანებად გადაიქცნენ, ისე, როგორც პირიქითაც, დინამიკური ან სტატიკური ადამიანები უცბად ვარიაბილური განწყობის ტიპიური მატარებელნი გახდნენ.[1]

ამ დაკვირვებათა შემოწმება ძნელი არ იყო, რამდენადაც საქმე გვქონდა ადამიანებთან, რომელნიც პირველად ომამდელ წლებში იყვნენ გამოკვლეული და შემდეგ — ომის შემდგომ წლებში. ზოგიერთი მათგანი პირად მონაწილეობასაც კი ღებულობდა სამამულო ომში;

ამ მასალიდან ჩვენ აქ ერთ შემთხვევას დავასახელებთ, რომელიც, საერთოდ, ტიპიურად შეიძლება ჩაითვალოს.[2]

ერთ-ერთი ცპ-თაგანი — იგი დიდი სამამულო ომის დაწყების წინ იყო ზედმიწევნით შესწავლილი — ძლიერი, დარწმუნებული, სოციალურად და თანაც ალტრუისტულად განწყობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი, ჩვეულებრივ, დიდი ენერგიით ჰკიდებს ხელმე ხელს საქმეს და ამ ენერგიას მტკიცედ ინარჩუნებს. ის არ

---

[1] ელ. *ნორაკიძე.* ხასიათი და ფიქსირებული განწყობა. 1948.

[2] Op. cit. გვ. 270-275.

ემორჩილება თავის გატაცებებს, რა გინდ ძლიერიც უნდა იყვნენ ისინი, და ამასთანავე მუდამ მზადაა დაეხმაროს ყველას, ვისაც ეს ესაჭიროება. ერთი სიტყვით, მისი სახით გარეშე დამკვირვებლის წინ ძლიერი, სოციალურისა და ალტრუისტული ტენდენციების ადამიანი დგას, რომელიც მუდამ მზადაა მტკიცედ და მედგრად იბრძოლოს თავისი მიზნების განხორციელებისათვის. მაგრამ საკმარისია უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდეთ ჩვენს ცპ-ს, რათა დარწმუნდეთ, რომ ამ შემთხვევაში უფრო გარეგან მოჩვენებითობასთან გვაქვს საქმე, რომ სინამდვილეში იგი სრული წინააღმდეგობაა იმისა, რადაც გვეჩვენება: ჩვენ აქ თითქმის დასრულებული ფაქტი გვაქვს ადამიანში საქმესა და შინაგან განცდათა შორის სრული განხეთქილებისა.

მართლაც, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ჩვენი ცპ-ის გარეგნობა: მისი სახე რაღაც ფარულის, შიგნით ჩაღრმავებული სევდის, შინაგანი ბრძოლისა და გამოუთქმელი პესიმიზმის დაღს ატარებს. დაკვირვებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყოველივე ამას ზუსტად შეესატყვისება ჩვენი ცპ-ის შინაგან განცდათა ხასიათი. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი შინაგანი ნიჰილიზმი, რომელიც მისი ცხოვრების ყოველ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ნაბიჯზე იგრძნობა. იგი გადაჭრით ემხრობა და თავდავიწყებით ეძლევა თავისი საქმიანობის მნიშვნელოვან აქტებს, მაგრამ ამასთან ერთად მიდრეკილებასაც ამჟღავნებს, მაინც გააანალიზოს ისინი და მუდამ მკაცრი სარკაზმითა და ენერგიული დაჟინებით მათი ამაოება და უძლურობა აღნიშნოს. მოყვასის გაჭირვებისადმი იგი მარად გულისხმიერია — მარად მზად არის შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინოს მას. იგი ზუსტად იცავს ჩვენი მორალის მოთხოვნილებებს; მაგრამ თავისი შინაგანი განცდებით ყველაფრის ამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, ჩვენი ცპ-ის მთელი შინაგანი არსი მის საქმიანობასა და გრძნობებს შორის შეურიგებელი ბრძოლისა და დაუცხრომელი კონფლიქტის ფართო ასპარეზს წარმოადგენს.

მისი ფიქსირებული განწყობის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ იგი ტლანქი სტატიკურია, ირადირებული, კონსტანტური და ინტერმოდალურად სტაბილური.

მაგრამ აი, 7-8 წლის შემდეგ ჩვენ კვლავ ვხვდებით ამავე სუბიექტს. ამ წლების განმავლობაში მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ქმარი ფრონტზე გაიგზავნა, და მთელი ოჯახი ჩვენი ცპ-ის ამარა დარჩა. ამ ამბების გამო ის მოულოდნელად

თავის ბავშვებზე, მათ აღზრდასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვაში ჩაება. ამავე დროს ქმრის შინ დაბრუნების აზრიც არ შორდებოდა. მისმა ინდივიდიალისტურმა და ეგოისტურმა ზრახვებმა უკან დახევა იწყეს, და მასში მძლავრი ალტრუისტულად და სოციალურად განწყობილი ინდივიდი გაიზარდა, მთლიანად განთავისუფლებული თავისი წინანდელი გაორებისაგან. შინაგანი განხეთქილება, როგორც ჩანს, უკვალოდ გაქრა, და ჩვენს წინაშე ჰარმონიული პიროვნება დადგა, რომელიც თავის წინანდელ შინაგან წამებასთან საერთოს სრულიად აღარაფერს გრძნობდა. ყოველივე ამის მიხედვით, როგორც ჩანს, ცპ-ში რადიკალური გარდატეხა მოხდა, და ოდესღაც გარკვეულად კონფლიქტური სუბიექტი ჰარმონიულ ადამიანად იქცა.

საინტერესოა ვნახოთ, რა დაემართა მის განწყობას: ისეთივე დარჩა იგი, როგორიც იყო, თუ მასში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა? ცდები გვიჩვენებს, რომ ჩვენი ცპ-ის განწყობამ მკვეთრი ცვლილებები განიცადა. ტლანქი-სტატიკური სუბიექტის ნაცვლად, იგი პლასტიკურ-დინამიკურად განწყობილ სუბიექტად იქცა, ამ მხრივ იგი სრულიად სხვა ადამიანი შეიქმნა. — რაც შეეხება განწყობის სხვა მომენტებს, ისინი თითქმის უცვლელი დარჩნენ: მისი ფიქსირებული განწყობა სტაბილურია, ირადირებული და ინტერმოდალურად კონსტანტური, თუმცა ვარიაბილობის კვალს, მართალია უმნიშვნელოს, მაგრამ მაინც ვპოულობთ მასში.

ამრიგად, ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის განწყობისეული სტრუქტურა არაფერს საბედისწეროსა და უცვლელს არ წარმოადგენს, რომ, პირიქით, შეიძლება მან არსებითი ცვლილებები განიცადოს. მაგრამ ამისათვის ადამიანის გარემო პირობებში მკვეთრი გარდატეხები, ძირითადი ძვრები უნდა მოხდეს, — ცვლილებები, რომელიც ცხოვრების ჩვეული მსვლელობის ჩარჩოებს სცილდება.

ასეთი მაგალითები ბევრია. საჭიროა შემდგომი გამოკვლევები, რამაც უფრო ახლოს უნდა გვიჩვენოს, რა პირობებშია ეს ცვლილებები შესაძლებელი და რა მიმართულებით მიმდინარეობენ ისინი. ხოლო ფაქტი ადამიანის განწყობის ტიპის შეცვლის შესაძლებლობისა ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

თავი V

განწყობის ფსიქოპათოლოგია

I. ფსიქიკურ დაავადებათა საფუძვლის მთლიანობითი ხასიათი

1. საკითხის დაყენება. ღღეს დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფსიქოზურ და ფსიქონევროზულ მდგომარეობებს საფუძვლად უდევს არა რომელიმე გარკვეული კერძო ხასიათის ანომალია, არა დაავადება რომელიმე ცალკე ფსიქიკური ფუნქციის სფეროში, არამედ ისეთი პროცესი, რომელიც მთლიანი პიროვნების დეფექტს ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფური სიმპტომების ძებნა ცალკე ფსიქიკური ფუნქციის თვალსაზრისით არასოდეს არ იძლევა დადებითს შედეგებს. საქმე ისაა, რომ ყოველი ეს ფუნქცია თავის საფუძველში ხელუხლებელი რჩება და გარკვეული აზრით, თავის ჩვეულ ფუნქციობას განაგრძობს: სენსორული ფუნქცია იმავე სენსორულ ფუნქციად და მოტორული მოტორულად რჩება. იგივე ითქმის ყველა სხვა ფსიქიკური ფუნქციის შესახებაც.

ერთი სიტყვით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური დაავადებების დროს თვით ფსიქიკური ფუნქციები, როგორც ასეთნი, ხელუხლებელი რჩებიან და ისევე ფუნქციობენ, როგორც ნორმალურ მდგომარეობაში. როგორც ეტყობა, პათოლოგია ამ შემთხვევაში არა რომელიმე ცალკე ფუნქციას ეხება, არამედ რაღაც ისეთს, რაც უფრო ძირითადი, უფრო მთლიანობითი და პიროვნებითი მნიშვნელობის უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ავადმყოფობა არა რომელიმე ცალკე ფუნქციას აზიანებს, არამედ უფრო თვითონ პიროვნებას, რომელიც ამ ფუნქციას იყენებს.

ამიტომ არაა საკვირველი, რომ ცალკე ფსიქიკური ფუნქციების — სენსორულის, მოტორულის და, შესაძლებელია, აგრეთვე ინტელექტუალური ფუნქციების დაავადების, ან, უბრალოდ, დაქვეითების შემთხვევაში პიროვნება არ სცილდებოდეს იმ ნორმის ფარგლებს, რომელთაც ფსიქიკურ დაავადებათა მდგომარეობასთან საერთო არაფერი აქვთ.

ამიტომ ფსიქოზის გამოვლინების ყველაზე უფრო მკვეთრი ფორმები არა ცალკე ფსიქიკურს და სხვა რომელსამე კერძოულ ფუნქციაში უნდა ვეძიოთ, არამედ ავადმყოფის პიროვნების უფრო მთლიანობითს სტრუქტურაში.

იმის საფუძველზე, რაც უკვე ვიცით ადამიანის განწყობის შესახებ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფსიქიკური დაავადება ძირითადად ამ მთლიანობითი სტრუქტურული არსის ცვლილებებში ვლინდება.

ეს მოსაზრება სვამს ჩვენს წინაშე ამოცანას ადამიანის განწყობის მდგომარეობის შესწავლა სხვადასხვა ფსიქოტურ დაავადებათა შემთხვევაში ცალ-ცალკე ვცადოთ.

2. ავადმყოფის განწყობის შესწავლის მეთოდისათვის. განწყობის კვლევის მეთოდი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, ძირითადად მაინც, მის ფიქსირებულ ფორმებს ეხება. ამიტომ ამ შემთხვევაშიც იძულებული ვართ დავრჩეთ ფიქსირებული განწყობის კვლევის ფარგლებში. მაგრამ ეს მეთოდი ისე, როგორც ყოველი ექსპერიმენტული მეთოდი, საზოგადოდ, არსებითად გულისხმობს ცდისპირის მზაობას ექსპერიმენტატორის მითითებები შეასრულოს. ნორმალური ცდისპირის შემთხვევაში აქ არ ჩნდება პრინციპული ხასიათის რაიმე დაბრკოლება: ასეთი ცპ ადვილად გებულობს ამოცანას და მზად არის შეასრულოს ცდის ხელმძღვანელის მოთხოვნილებები. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს, როდესაც ცდა სულიერ ავადმყოფთან ტარდება. ასეთი ავადმყოფი ყოველთვის კი არ უწევს ანგარიშს ექსპერიმენტატორის სურვილს. ამიტომ ცდების სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს ცდისპირის მზაობას მიიღოს მონაწილეობა ექსპერიმენტში, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის როდია გამოსადეგი. იბადება კითხვა: როგორ ავიცილოთ თავიდან ეს სიძნელე?

ცხოველებთან ჩატარებულ ცდებში — ცხოველები, რასაკვირველია, ანგარიშს არ უწევენ ექსპერიმენტატორის სურვილებს — ჩვენ ვსარგებლობთ შემდეგი ხერხით: ვანდით მათ საკვებს, რომელიც საკმარისად ენერგიულად იწვევს მათ აქტივობას. შესაძლებელია, იმავე მიმართულებით უნდა მოხდეს ცდების დაყენება ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების შემთხვევაშიც. მაგრამ საქმე ისაა, რომ ავადმყოფობის შეტევის დროს დადებითი შედეგი არც ამ ექსპერიმენტალურ პირობებშია მოსალოდნელი.

ამიტომ, სანამ სხვა შესაძლებლობა არა გვაქვს, უნდა დავკმაყოფილდეთ ჯერჯერობით მხოლოდ იმ მონაცემებით, რომელიც ავადმყოფობის შედარებით დამშვიდებული მდგომარეობის შემთხვევაში გვაქვს მიღებული. აქ, რასაკვირველია, არსებითი ცვლილებების შე-

ტანა ჩვენი ჩვეულებრივი ცდების სტრუქტურაში საჭირო აღარაა, და განწყობის ცდები თავისი ჩვეულებრივი სახით შეიძლება მიმდინარეობდნენ.

II. შიზოფრენია

შევჩერდეთ პირველ რიგში შიზოფრენიაზე! ამ დაავადებას წინათაც ვიკვლევდით, მაგრამ ამ გამოკვლევებს მაშინ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და სისტემატური შესწავლის საგნად ეს დაავადება ჩვენთან მხოლოდ უკანასკნელ დროს გახდა. ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის პათოფსიქოლოგიური განყოფილების თითქმის მთელი შემადგენლობა ამ დაავადების საკითხებზე მუშაობს. აქ ჩვენ ამ მუშაობის შედეგად მიღებულ ზოგიერთ მონაცემებზე შევჩერდებით და მათ საფუძველზე შეეცდებით გადავწყვიტოთ შიზოფრენიკის ფიქსირებული განწყობის პრობლემა — გამოვარკვიოთ, რა თავისებურება ახასიათებს შიზოფრენიის განწყობას და რა როლს ასრულებს ეს უკანასკნელი ამ დაავადებაში.

1. **განწყობის ცდები შიზოფრენიაზე.** ჩემი თანამშრომლის, ი. *ბჟალავას* შრომაში მოიპოვება მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ საკითხი იმ ავადმყოფთა მდგომარეობის შესახებ, რომელნიც ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენენ.[1]

ჩვენი ავტორის მიერ სულ იყო შესწავლილი 195 შიზოფრენიკი. მათ შორის 32, ე. ი. 14,5% ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ მათთან ცდების ჩატარება არ აღმოჩნდა შესაძლებელი. შიზოფრენიის კლინიკაში სხვადასხვა, ცნობილი მიზეზის გამო (მწვავე ფსიქოტური მდგომარეობა, დეგრადაცია და სხვა) ამ ავადმყოფებთან ცდის ხელმძღვანელის მითითებათა შესასრულებლად საჭირო სურვილის აქტუალიზაცია, ე. ი. ცდის პირობებში ამოცანის დანახვისა და სათანადო რეაქციის „მოთხოვნილების" გამოწვევა ვერ მოხერხდა. ამიტომ ეს 32 ავადმყოფი ცპ-თა საერთო რიცხვში ვერ შევიდა.

მეორე ჯგუფს შეადგენს ის ავადმყოფები, რომელნიც მხოლოდ დროებით თანხმდებიან ექსპერიმენტატორის მითითებების შესრულებაზე და ამრიგად ისეთ მონაცემებს იძლევიან, რომ მათი აზრი ყოველთვის საეჭვო რჩება. ამიტომ არც ეს მონაცემები (30 ცპ-ისა, ე. ი. 13,1%) მოხვდა დასამუშავებელ მასალაში.

პრაქტიკულად ეს ორი ჯგუფი შეიძლება გავაერთიანოთ, ვინა-

---

[1] ი. *ბჟალავა.* შიზოფრენიით დაავადებულთა ფიქსირებული განწყობა (ხელნაწერი).

იდან აქ საქმე გვაქვს ავადმყოფებთან, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ ცდის პირობებს და, ამრიგად, ისეთ მონაცემებს იძლევიან, რომ მათ სრულღირებულად ვერ ჩავთვლით. თუ ცპ-თა საერთო რაოდენობიდან (195) ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლებს, ე. ი. 62 პირს გამოვრიცხავთ, დარჩება ავადმყოფთა რიცხვი (133), საკმარისად მაღალი იმისათვის, რომ მათი მონაცემების საფუძველზე შიზოფრენიკის განწყობის ტიპიური ფორმების შესახებ შესაძლებელი იქნეს დასკვნების გამოტანა.

და აი, ამ ცდების შედეგებიდან პირველ რიგში ყურადღებას იწვევს შიზოფრენიკის ფიქსირებული განწყობის, ასე ვთქვათ; *გახლეჩის* ფაქტი, მონაწილე რეცეპტორთა მიხედვით. ჩვენ ვიცით, რომ ნორმაში ფიქსირებული განწყობა მოქმედებს ერთნაირად, დამოუკიდებლივ იმისა, თუ რა ორგანოა გამოყენებული სუბიექტზე მოქმედი გამღიზიანებლების სარეცეპციოდ. ცპ-თა საერთო მასაში მნიშვნელობა არა აქვს, რა გრძნობად სფეროში — ჰაპტურში თუ ოპტიკურში — ხდება ფიქსირებული განწყობის სტიმულაცია, ორივე შემთხვევაში პრაქტიკულად საქმე გვაქვს ილუზიათა ერთსა და იმავე რიცხვთან. მართალია, ოპტიკურ სფეროში ილუზიათა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე ჰაპტურში, მაგრამ ნორმაში ეს განსხვავება არც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭირო იყოს ამ გარემოებაზე სპეციალურად შეჩერება.

სამაგიეროდ აქ, ჩვენი ცდის პირების ერთ-ერთ ჯგუფთან, ეს განსხვავება იმდენად საგრძნობი ჩანს, რომ იგი ძალაუნებურად ჩვენს ყურადღებას იწვევს. ასე, ავადმყოფთა ჯგუფი, რიცხვით 37, ე. ი. გამოკვლეულ შემთხვევების 16,4%, რეცეპტორულ ორგანოთა მიხედვით, განწყობის ისეთ აშკარა დისოციაციას იძლევა, რომ არ შეიძლება მასზე საგანგებოდ არ შევჩერდეთ. სახელდობრ, ჰაპტურ სფეროში განწყობა უფიქსირდება ამ ცპ-თა 100%-ს (37 ავადმყოფს), ოპტიკურ სფეროში კი — მხოლოდ 43,3%-ს ე. ი. სულ 16 კაცს.

მაშასადამე, დისოციაციის ფაქტი ამ ორი რეცეპტორის არეში აქ ყოველ ეჭვს გარეშეა. აღსანიშნავია ისიც, რომ მხედველობითს სფეროში განწყობის ფიქსაცია უფრო ნაკლებ ხერხდება, ვიდრე ჰაპტურში. ამ გარემოებას ჩვენ საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს, და შემდეგში, ეპილეფსიის განხილვისას ამაზე სპეციალურად შევჩერდებით. ცპ-თა საერთო მასიდან რომ გამოვყოთ ეს 37 პირი, რომელიც ჰაპტურსა და ოპტიკურ სფეროებში განწყობის დისოციაციით ხასიათდება, და განვიხილოთ განწყობის მოქმედების ყველა ჩვენთვის ცნობილი მხარეები, ცალ-ცალკე ამ ორი სფეროს მიხედვით, მივიღებთ მონაცემების მკვეთრ განსხვავებას (ცხრილი 16).

სახელდობრ, ჩვენ ვნახავთ, რომ ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის მაჩვენებლები ჰაპტურ სფეროში გაცილებით უფრო მაღალია (75%), ვიდრე ოპტიკურში (37,5%). განსხვავება ამ ორ სფეროს შორის თავს იჩენს დინამიკურობის მხრივაც: მაშინ, როდესაც ოპტიკურ არეში ფართოდაა გავრცელებული განწყობის დინამიკური ფორმა (75,6%), ჰაპტური არისათვის გარკვეულად განწყობის სტატიკურობაა დამახასიათებელი (86,5%), დინამიკურობის მაჩვენებელი აქ მხოლოდ 13,5%-ს შეადგენს.

დაბოლოს, მკვეთრი განსხვავებაა ამ ორ სფეროს შორის კონსტატობის მხრივაც: ჰაპტურ სფეროში განწყობის ეს მხარე წარმოდგენილია 65%-ით, ოპტიკურ სფეროში კი მხოლოდ 25% გვაქვს. სხვა მხრივ, როგორც ეს ამავე ცხრილიდანაც ჩანს, ფიქსირებული განწყობის მაჩვენებელთა შორის შესამჩნევი განსხვავება არ აღინიშნება.

ცხრილი 16

	განწყობა ჰაპტურ სფეროში		განწყობა ოპტიკურ სფერ.	
	აბსოლუტ. რაოდენ.	%	აბსოლუტ. რაოდენ.	%
აგზნებადობა.	28	75.6	5	37.5
სტატიკურობა	32	86.5	4	25.0
კონსტანტობა	24	65.0	4	25.0
ლოკალობა	34	91.9	11	68.8
სიმტკიცე	32	86.5	8	50.0
სიტლანქე	28	75.6	15	93.7
სტაბილობა	10	27.1	7	43.7

თუ შევეცდებით ამ ჯგუფის ავადმყოფთა ფიქსირებული განწყობის დახასიათებას მისი იმ ფორმების მიხედვით, რომელნიც ორივე მოდალობაში გარკვეულად მაღალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, ვნახავთ, რომ აქ განწყობის სიტლანქე, სიმტკიცე, ლაბილობა და ლოკალობაა წარმოდგენილი. რაც შეეხება განწყობის დანარჩენ თვისებებს — მის აგზნებადობას, სტატიკურობასა და კონსტანტობას — მათი მაჩვენებლები მაღალია ჰაპტურ სფეროში, მაგრამ ოპტიკურში გარკვეულად განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.

ამრიგად, ამ ჯგუფის შიზოფრენიკები შეიძლება დავახასიათოთ უმთავრესად როგორც ტლანქი, ლაბილური, ლოკალური და საკმარისად მტკიცე განწყობის ადამიანები. ამას რომ დაემატოს განწყობის ის თვისებებიც, რომელნიც მხოლოდ ერთს — ჰაპტურ — სფეროში არიან გავრცელებული, საჭირო გახდება ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის, კონსტანტობისა და, განსაკუთრებით, სტატიკურობის აღნიშვნაც.

ბოლოს რჩება შიზოფრენიით დაავადებულთა უკანასკნელი და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი (96 ავადმყოფი), ე. ი.

შემთხვევათა 42,6%, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ზემოხსენებული ჯგუფისაგან და ამიტომ საგანგებოდ უნდა იქნეს განხილული.

განსხვავება, პირველ რიგში, მდგომარეობს იმაში, რომ აქ, შესწავლილი ჯგუფის საწინააღმდეგოდ, დისოციაცია ფიქსირებული განწყობის მდგომარეობათა შორის იმავე ორ სენსორულ მოდალობაში როდი აღინიშნება: ჰაპტურ სფეროში მიღებული მონაცემები განწყობის შესახებ ძირითადად და არსებითად ემთხვევა ოპტიკურ სფეროში მიღებულ მონაცემებს. მაგრამ ეს დებულება სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე სფეროში განწყობის ფიქსაციის ოპტიმალური ხარისხია მიღწეული. ამისათვის საკმარისია 15 საგანწყობო ექსპოზიცია, და აღსანიშნავია, რომ ამ მხრივათაც არ არის მკვეთრი სხვადასხვაობა ამ ორი მოდალობის ფიქსირებული განწყობის მონაცემთა შორის. თუ ჰაპტურ სფეროში ფიქსაციის ეფექტი ექსპოზიციათა ამ რაოდენობის შედეგად 100%-ს აღწევს, ეს ეფექტი ოპტიკურ არეშიც საკმარისად მაღალია, სახელდობრ, აქ 81,2% გვაქვს. ეს ორი მაჩვენებელი გარკვეულად უახლოვდება ერთმანეთს და, ამრიგად, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ოპტიმალური ფიქსაციის პირობებში განწყობა ორივე სენსორულ არეში ერთნაირ მაჩვენებლებს იძლევა.

განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ *აგზნებადობის* შემთხვევაში. ამ მხრივ მაჩვენებელები ოპტიკურ სფეროში მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე ჰაპტურში: ორი ექსპოზიციის შედეგად ჰაპტურ არეში განწყობა უფიქსირდება შემთხვევათა 58,3%-ს, ოპტიკურში კი მხოლოდ 36,4%-ს. მაგრამ ამ გარემოებას არა აქვს იმდენად არსებითი მნიშვნელობა, რომ საგანგებოდ ღირდეს მის განხილვაზე შეჩერება.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ამ ორი სხვადასხვა მოდალობის განწყობა. ცხრილი 17 შეიცავს ყველა იმ ცდის მონაცემებს, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით იყო ჩატარებული. რას გვეუბნება ეს ცხრილი?

ცხრილი 17

	ჰაპტური განწყობა		ოპტიკური განწყობა	
	აბსოლუტ.	%%	აბსოლუტ.	%%
სტატიკური	94	98.0	72	75
დინამიკური	2	2.0	6	6.2
ტლანქი	82	85.9	69	72.0
პლასტიკური	17	14.1	9	9.3
კონსტანტური	73	76.0	53	55.2
ვარიაბილური	23	24.0	25	26.0
სტაბილური	70	72.9	50	52.0
ლაბილური	26	27.1	28	30.0
ირადირებული	99	100	96	100
ლოკალური	–	–	–	–
მტკიცე	94	58	69	72.0

ყურადღებას, პირველ რიგში, ის გარემოება იპყრობს, რომ განწყობის პლასტიკურობისა და დინამიკურობის მაჩვენებლები აქ უკიდურესად დაბალია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჯგუფის შიზოფრენიკის განწყობა სტატიკურია (98% და 72%). და ტლანქი (85% და 75%). ამასთანავე, მას ახასიათებს სიმტკიცე (98% და 72%) და განსაკუთრებით ირადიაცია (100% და 100%). ნაკლებად მაღალი მაჩვენებლები გვაქვს ფიქსირებული განწყობის კონსტანტობისა (76% და 52,2%) და სტაბილობის (72,9% და 52%) შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენ ვხედავათ, რომ შიზოფრენიკების ამ ჯგუფის ფიქსირებული განწყობა შეიძლება იქნეს დახასიათებული როგორც ტლანქი, მტკიცე, სტატიკური, ირადირებული და, მეტწილად აგრეთვე როგორც კონსტანტური და სტაბილური განწყობა.

მაშასადამე, გამოკვლეულ ავადმყოფთა მთელი რაოდენობა ორ მნიშვნელოვნად განსხვავებულსა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ჯგუფად იყოფა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორი ჯგუფის მონაცემებს, ვნახავთ, რომ მათ შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო ჰაპტური სფეროს მაჩვენებლების შემთხვევაშია (ცხრ. 18). ცხრილი გვეუბნება, რომ ამ ორი ჯგუფის მსგავსების გვერდით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რომელიც უმთავრესად განწყობის ირადიაციის მაჩვენებლებს ეხება: მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფი იძლევა ირადიაციის შესამჩნევად დაბალ მაჩვენებლებს (8,1%), მეორე ჯგუფში ირადიაცია თავს იჩენს შემთხვევათა 100%-ში. ამაშია ყველაზე არსებითი განსხვავება ჩვენი ცდების მიხედვით ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა შორის.

გარდა ამისა, გარკვეული განსხვავება აღინიშნება განწყობის სტაბილობის მხრივაც: პირველ ჯგუფში შესამჩნევად გავრცელებულია განწყობის ლაბილობა (72,9%), მეორე ჯგუფში კი, პირიქით, სტაბილობის მაღალი მაჩვენებლები გვაქვს. სხვა მხრივ ცპ-თა ამ ორი ჯგუფის განწყობა დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებით ხასიათდება. თუ მხედველობაში ამ მივიღებთ შედარებით მნიშვნელოვან განსხვავებას მათ შორის პლასტიკურობისა და დინამიკურობის მხრივ: მეორე ჯგუფში განწყობის ეს ორი თვისება წარმოდგენილია ძალიან დაბალი პროცენტით (14,1% და 2%), პირველ ჯგუფში კი შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლები (24,4% და 13,5%) გვაქვს.

ცხრილი 18

	I ჯგუფი %%-ში	II ჯგუფი %%-ში
დინამიკური	13.5	2.0
სტატიკური	86.5	98.0
პლასტიკური	24.4	14.1
ტლანქი	75.6	85.0
კონსტანტური	65.0	76.0
ვარიაბილური	35.0	2.40
ირადირებული	8.1	100
ლოკალური	91.9	–
მტკიცე	86.5	98.0
სტაბილური	27.1	72.9
ლაბილური	72.9	27.1

რა შეიძლება ითქვას შიზოფრენიკების ამ ორი ჯგუფის შესახებ? ეჭვს გარეშეა, რომ განწყობის ირადიაციის მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი განსხვავების გამო ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამიჯნული. მართალია, სხვა მხრივ მათ შორის საგრძნობი სხვადასხვაობა არ აღინიშნება, მაგრამ განსხვავება ირადიაციის სახით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მისი ყურადღების გარეშე დატოვება. თუ მეორე ჯგუფის ცპ-ებთან ყურადღებას იპყრობს ირადიაციის მთელი 100%-ით გავრცელება, პირველი ჯგუფის ცპ-თა მთელ რაოდენობას (სამი შემთხვევის გამონაკლისით), ლოკალური განწყობა ახასიათებს. რასაკვირველია, განწყობის ლოკალობის პირველ ჯგუფში, ისევე როგორც განწყობის ირადიაციის მეორე ჯგუფში, ასეთი მასიური გავრცელება არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შიზოფრენიკების დიდი უმრავლესობისათვის განწყობის ირადიაცია დამახასიათებელსა და, როგორც ჩანს, არსებითად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, უნდა დავუშვათ, რომ პირველი ჯგუფის ავადმყოფები არ ეკუთვნიან ამ დაავადების ტიპიურ ნარმომადგენელთა რიცხვს. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე კატეგორიის შემთხვევაში საქმე შიზოფრენიის ტიპიურ წარმომადგენლებთან გვაქვს და, ამიტომ, ჩვენი ყურადღება სწორედ მათზე უნდა გამახვილდეს. ამრიგად, მეორე ჯგუფის შიზოფრენიკთა ფიქსირებული განწყობის დინამიკის სურათი უნდა ჩაითვალოს შიზოფრენიისათვის ტიპიურ სურათად. გამოკვლეულ შიზოფრენიკთა მთელი რაოდენობა (133) ამ ძირითად, ე. ი. ნამდვილ შიზოფრენიკთა ჯგუფს 73% (96 ავადმყოფი) ეკუთვნის, პირველ ჯგუფს კი — ამ დაავადების შესწავლილ ნარმომადგენელთა შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა — 27% (37 ავადმყოფი).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გამოკვლეულ პირთა უმრავლესობა

(73%) კონსტანტურად იძლევა მტკიცე, ტლანქ, სტატიკურ, სტაბილურ ირადირებულ განწყობას, და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ შიზოფრენიისათვის დამახასიათებელია განწყობის სწორედ ეს ფორმები.

ამიტომ არის შესაძლებლობა დავუშვათ, რომ შიზოფრენიულ დაავადებას საფუძვლად უდევს ავადმყოფის ფიქსირებული განწყობის შეცვლა სიტლანქის, სტატიკურობისა და ირადიაციის მიმართულებით.

ეს მოსაზრება თითქოს სრულიად უდავოა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ განწყობის იგივე ფორმები თავს იჩენენ ისეთი სუბიექტების წრეშიც, რომელთაც ვერავითარ შემთხვევაში ნამდვილ შიზოფრენიკთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. ზევით ნორმალურ ცპ-თა მონაცემების ანალიზის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომლის განწყობაც გარკვეულად სიტლანქით, სტატიკურობითა და ირადიაციით ხასიათდება, ე. ი. სწორედ იმ თვისებებით, რომელნიც ჩვენი შიზოფრენიკების ძირითადი მასის თავისებურებად მიგვაჩნია. მიუხედავად ამისა, ასეთი პირები ჯანმრთელ ადამიანთა რიგში რჩებიან, სრულიად ნორმალურად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ეს არის სტატიკურ სუბიექტთა ჯგუფი.

მაშასადამე, გამოდის, რომ სრულიად შეუძლებელია შიზოფრენიკებთან გამოვლენილი განწყობის მოქმედების ფორმები მათი ფსიქიკური დაავადების სპეციფიკურ საფუძვლად დავსახოთ, და ამჟამად ჩვენს წინაშე ამოცანა დგას მივმართოთ ავადმყოფის სპეციფიკური, წმინდა ადამიანური უნარის შესწავლას, ე. ი. — იმის შესწავლას, რასაც ზემოთ ობიექტივაცია ვუწოდეთ.

რა ვიცით ჩვენი ობიექტივაციის შესახებ შიზოფრენიის შემთხვევაში?

2. ობიექტივაცია შიზოფრენიის შემთხვევაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს უნარი შიზოფრენიკებთან უკვე საკმარისად საფუძვლიანად გვქონდა გამოკვლეული, მაგრამ მისი შესწავლის რამდენიმე ცდა უკვე ამჟამადაც მოგვეპოვება, და ეს საშუალებას გვაძლევს ამ გამოკვლევების შედეგებით ვისარგებლოთ და, ამ გზით, დასმული საკითხის გამორკვევა ეხლავე ვცადოთ.

შიზოფრენიკის ობიექტივაციის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა შემდეგი: ცპ-ს ეძლევა ცალკე სიტყვათა რიგი (სულ 8 სიტყვა) მისთვის ცნობილ ენაზე. ეს იმისათვის, რომ მოხდეს ამ ენაზე კითხვის განწყობის ფიქსაცია. მეორე სიტყვა, დაწერილი იმავე შრიფტით, მაგრამ აღებული სხვა ენის ლექსიკონი-

დან, ცპ-ს კრიტიკულ ცდაში ეძლევა. შემდეგ ისევ მეორდება საგანნწყობო სიტყვათა რიგები (სამ-სამი რიგში), რომლებსაც თითოეულ ცდაში კრიტიკული სიტყვა მისდევს. სიტყვების ექსპოზიცია ჩვეულებრივი მნემომეტრის საშუალებით ხდება.[1]

თავისთავად ცხადია, ცპ-მა უნდა შესძლოს ექსპერიმენტატორის მითითებების შესრულება, მას უნდა ჰქონდეს მზაობა ზუსტად შეასრულოს დავალება, რომელიც მას შემდეგი სახით ეძლევა: „უყურეთ ამ ფანჯარაში! აქ გამოჩნდება სიტყვები! წაიკითხეთ ხმამაღლა!" რვა საგანნწყობო სიტყვა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცპ-ს საგანნწყობო სიტყვათა ენაზე კითხვის ფიქსირებული განწყობა გასჩენოდა. მაგრამ შემდეგი — კრიტიკული სიტყვა — უკვე ახალია — ის სხვა ენას ეკუთვნის, და ცპ-ის წინაშე აქ ორი შესაძლებლობა ჩნდება: ან მან იმთავითვე განწყობისეულად და მაშ შეუფერხებლად უნდა წაიკითხოს ეს სიტყვა — მისი მნიშვნელობის გაცნობიერების გარეშე, ან და წაკითხვისთანავე უნდა შეფერხდეს, შეჩერდეს მასზე — სიტყვა უნდა გამოვარდეს საგანნწყობო სიტყვათა მანამდე მწყობრი რიგიდან და გადაიქცეს სპეციალური დაკვირვების საგნად, ე. ი. ცპ-მა უნდა მოახდინოს ამ სიტყვის ობიექტივაცია, რათა გამოარკვიოს, რას წარმოადგენს იგი.

მოკლედ, ცდის პირობები ისეთია, რომ შესაძლებელი ხდება ცპ-ში ობიექტივაციის აქტის გამოწვევა. ეს აქტი მას საშუალებას აძლევს მოცემული სიტყვის ბუნება გაიაზროს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს სხვა შესაძლებლობაც: ცპ-მა შეიძლება გამოტოვოს კრიტიკული სიტყვა — იგი შეიძლება არ შეჩერდეს მასზე, არ მოახდინოს მისი ობიექტივაცია. თავისთავად ცხადია, ნორმალურად ამ ცდების პირობების შესრულებისათვის ობიექტივაციის აქტი აუცილებელია, და გამოკვლეული ნორმალური სუბიექტები, ანალოგიურ პირობებში, ყოველთვის ობიექტივაციის აქტს მიმართავენ.

რაც შეეხება ჩვენ შიზოფრენიკებს, ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ეს ცდები მათთვის სავსებით მისაწვდომია, რომ შეიძლება ამ ექსპერიმენტების გამოყენება იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად აქვს შიზოფრენიკს უნარი საჭიროებისდა მიხედვით ობიექტივაციის აქტებს მიმართოს და შემდეგ, მათ საფუძველზე, აზროვნების აქტებიც აწარმოოს.

ცდები ჩატარდა იმ შიზოფრენიკებზე, რომელნიც ექსპერიმენტთან დაკავშირებული ყველა დავალების შესრულებას თანხმდებოდნენ. ქვევით მოყვანილია 52 ავადმყოფზე ჩატარებული ცდების შედეგები. ამ

---

[1] ბ. *კვინიკაძე,* ობიექტივაცია შიზოფრენიის შემთხვევაში. 1948. (ხელნაწერი).

ავადმყოფთა შორის არის შიზოფრენიის კატატონიური და პარანოიდური ფორმების, simplex-ის, გებეფრენიისა და პარაფრენიის შემთხვევები. როგორია ამ ცდების საფუძველზე მიღებული შედეგები?

მათი ზოგადი დახასიათება შეიძლება შემდეგი სახით იყოს ფორმულირებული: სრული ობიექტივაციის უნარი აღინიშნება მხოლოდ 9 ცპ-თან (ცპ-თა მთელი რაოდენობის 17%), დანარჩენ შემთხვევაში კი ჩვენი ავადმყოფები მიღებულ დავალებაზე იძლევიან რეაქციების სხვანაირ სახეობას. შევჩერდეთ მიღებულ მონაცემებზე, რათა მათი აზრი ნათელი შეიქმნას ჩვენთვის!

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ის 9 ავადმყოფი, რ...ელსაც ობიექტივაციის უნარი აღმოაჩნდა, ჩვენი ცდების პროცესში ნორმალური ადამიანების შთაბეჭდილოებას სტოვებენ. კრიტიკულ სიტყვათა, მაგ. ქართულ სიტყვათა რიგში რომელიმე რუსული სიტყვის წაკითხვისას ასეთი ცპ ოდნავ შეჩერდება ხოლმე, ორჯერ-სამჯერ გაიმეორებს და ბოლოს წარმოსთქვამს მას რუსული გამოთქმით. ეჭვს გარეშეა, რომ აქ ცპ კრიტიკული სიტყვის ობიექტივაციას ახდენს. ასეთ ავადმყოფთა ქცევა ამ შემთხვევაში ნორმალურ ცპ-თა ქცევისაგან არსებითად არ განსხვავდება; ხოლო თუ განსხვავდება, მარტო იმ გარემოებით, რომ ობიექტივაციის პროცესი აქ ერთბაშად კი არ ხდება, არამედ მეტად ან ნაკლებად შესამჩნევი შეფერხების შედეგად.

ამ ცპ-თა რიცხვისათვის შეიძლებოდა დამატებით კიდევ ორი სუბიექტი მიგვეკუთვნებია, რომ მათ ობიექტივირებულ შინაარსზე შეჩერება მოეხერხებიათ. მაგრამ ეს მათ არ ეხერხებათ: ობიექტივირებული შინაარსი მაშინვე მხედველობიდან ეკარგებათ, დაწყებული ობიექტივაციის აქტი ისე წყდება, რომ მის საფუძველზე სათანადო აზროვნებითი პროცესის გაშლა ვეღარ ხერხდება.

იმავე ჯგუფისათვის შეიძლებოდა კიდევ იმ შვიდი ცპ-ის მიკუთვნება, რომელთაც ობიექტივაციის აქტი გარკვეულად, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ, დროგამოშვებით, ეხერხებათ: მათ ხან შეუძლიათ ამ აქტის შესრულება, ხან არა. ყოველ შემთხვევაში საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი ამ უნარს მთლიანად მოკლებულნი არიან: მათ აქვთ ამის უნარი, მაგრამ ყოველთვის, საჭიროებისდა მიხედვით, მისი გამოყენება არ შეუძლიათ.

რაც შეეხება სხვა კატეგორიის ცპ-ებს, ე. ი. იმ სუბიექტებს, რომელნიც სრულიად არ ახდენენ მათზე მოქმედ გამღიზიანებელთა ობიექტივაციას, უნდა აღინიშნოს, რომ აქ რამდენიმე ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯგუფი შეიძლება გავარჩიოთ.

1. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ცპ-თა ის ჯგუფი (სულ, ცხრა კაცი), რომელიც მიღებულ დავალებას ყოველთვის შეუმცდარად და შეუფერხებლად ასრულებს: აქ ცხადად განიცდება ენობრივი სხვადასხვაობა საგანნყობო და კრიტიკულ სიტყვათა შორის, და ცპ-მა იცის, რომ ზოგი სიტყვა რუსულია, ზოგი კი ქართული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ისეთ სუბიექტებთან გვაქვს, რომელთაც ჩვენი ცდების პირობებში განნყობა არ უფიქსირდებათ, და ამის გამოა, რომ ისინი იმ შეცდომებს არ უშვებენ, რომელნიც განნყობის ფიქსაციის პირობებში ადვილად ჩნდება.

2. ცპ-თა მეორე ჯგუფი შეუფერხებლად კითხულობს მიწოდებულ სიტყვათა რიგებს, მაგრამ მაშინვე ირკვევა, რომ ამ ჯგუფის სუბიექტებს წაკითხულ სიტყვათა მნიშვნელობა გაცნობიერებული არა აქვთ: ცპ-ბი კითხულობენ სიტყვებს, მაგრამ მათ მნიშვნელობას ვერ ნვდებიან. როდესაც ეს პირები ამა თუ იმ სიტყვას შეცდომით ან დამახინჯებულად კითხულობენ, ისინი ამას ვერ ამჩნევენ და შეუფერხებლად განაგრძობენ კითხვას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ პირებთან, რომელთა ცნობიერებაც თითქოს გამორთულია კითხვის პროცესიდან, რამდენადაც ეს უკანასკნელი აზრის აქტიურ მუშაობას წარმოადგენს, რომელიც გრაფიკულ გამოხატულებასთან დაკავშირებული მნიშვნელობის გაგებას უზრუნველყოფს.

3. ცპ-თა მესამე ჯგუფს (12 პირი), საგანნყობო ცდების შედეგად, მტკიცედ ფიქსირებული განნყობა უმუშავდება, რომელიც გარკვეულად სტატიკურ ფორმას ღებულობს. კრიტიკული სიტყვები იკითხება როგორც საგანნყობო რიგების ლექსიკონიდან აღებული სიტყვები: მაგ. კრიტიკული სიტყვა „Гора" აღიქმება როგორც ქართული „გორა". ამ ჯგუფის სუბიექტებს მარად აქტუალური განნყობა ფლობს, და მათ ძალა არ შესწევთ, სადაც საჭიროა, ობიექტივაციის აქტებს მიმართონ.

ამრიგად, ნამდვილად ცპ-თა მხოლოდ 17% ამჟღავნებს ჩვენი ცდების პირობებში ობიექტივაციის უნარს. გამოკვლეულ ავადმყოფთა დანარჩენი რაოდენობა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მიუხედავად საჭიროებისა, ობიექტივაციის აქტებს და მათ საფუძველზე აზროვნებითი პროცესების გაშლას სრულიად ვერ ახერხებს.

მაგრამ აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა: ხომ არ არის ასეთი შედეგი მხოლოდ ჩვენი ცდების პირობებისათვის სპეციფიკური? ვინაიდან ამ ცდებში საქმე შედარებით რთულ აქტს — სიტყვათა კითხვის აქტს — ეხება და ამასთანავე — ერთი ენის კი არა, ორი სხვადასხვა ენის ლექსიკონიდან აღებულ სიტყვათა კითხვის აქტს,

მიზანშეწონილი იქნებოდა ამავე ცდების უფრო მისაწვდომ პირობებში შემოწმება.

იმავე შრომაში ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ავადმყოფები სხვაგვარს, შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობებშიც იყვნენ გამოკვლეული[1]. მათ ეძლეოდათ 17 ცალკე ნაწილიდან შედგენილი მოზაიკური ნაგებობა და ევალებოდათ გამოერკვიათ, თუ რას წარმოადგენდა იგი, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ცპ-ს ეძნელებოდა, ექსპერიმენტატორი მას, საჭიროებისადა მიხედვით, დახმარებას უწევდა. თუ ცპ დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდა, მას ეუბნებოდნენ: „ამ შენობას ეხლა დავანგრევ, თქვენ კი უნდა აღადგინოთ იგი". ნაგებობის დარღვევის შემდეგ, მისი შემადგენელი ნაწილების გროვას ცპ-სათვის შეუმჩნევლად სამი-ოთხი ერთეული ემატებოდა, რომელიც თითქმის არ განირჩეოდა გროვის დანარჩენი ეგზემპლარებისაგან. ცპ-ი ცდილობდა, ამ პირობებში, დანგრეული ნაგებობა აღედგინა.

უპასუხებენ თუ არა ეს პირობები იმ მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცპ-ს ობიექტივაციის უნარი გააჩნია? როდესაც ცპ-ს ეძლევა დავალება აღადგინოს იგივე ნაგებობა, მას ამის შესრულების მზაობა უჩნდება. მაგრამ ამოცანის გადასაწყვეტად განურჩევლად რომელიმე ნაწილის აღება და მის რაგინდარა ადგილას მოთავსება როდი კმარა. ამოცანის გადასაწყვეტად რაღაც მეტია საჭირო — საჭიროა, ცპ სპეციალურად დააკვირდეს საშენი მასალის თითოეულ ერთეულს — გასინჯოს არა მხოლოდ მისი ფორმა, არამედ მისი სიდიდეც და ამ გზით მას სათანადო ადგილი მოუნახოს. ამრიგად, დავალების სწორი შესრულებისათვის ცპ-ს მოზაიკის ცალკე ერთეულთა ობიექტივაციის საჭიროება უჩნდება: ცდის პირობები გარკვევით ობიექტივაციის უნარს გულისხმობენ. და ცპ-მა, მის წინაშე მდგომი ამოცანის გადაჭრის მიზნით, უდავოდ ამ უნარს უნდა მიმართოს.

ვინაიდან ამ შემთხვევაში ცპ-ს არ მოეთხოვება რაიმე სპეციალური ცოდნა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ცდები კითხვის ზევით აღწერილი ექსპერიმენტებისაგან განსხვავდებიან და, ამრიგად, ფსიქიკურად დაავადებული სუბიექტების შესწავლის მიზნებისათვის უფრო ხელსაყრელ ხერხს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ერთგვარი ნაკლი ცდების ამ პირობებსაც გააჩნია. საქმე ისაა, რომ აქ ობიექტივაციის საჭიროების სტიმულირება მეტისმეტად მკვეთრად ხდება: ცდების პირობები თავიდანვე აიძულებენ ცპ-ს მოზაიკის მთლიანი ყურადღებით გასინჯვასა და ყოველი ცალკე ერთეულისათვის სათანადო ადგილის მონახვას.

---

[1] *ბ. კვინიკაძე.* Op. cit.

რა მონაცემებს გვაძლევენ ჩვენი ავადმყოფები ამ ცდების შედეგად? როგორც მოსალოდნელიც იყო, ობიექტივაციის აქტის სტიმულაცია აქ ძალიან ძლიერი აღმოჩნდა. ცპ-თა უმრავლესობა (სულ 42 ავადმყოფი) თავიდანვე იძულებული ხდება თითოეული მოცემული ფიგურის თვისებები იმ ადგილის მიხედვით გაიაზროს, რომელიც მას მოზაიკის მთლიანში უჭირავს.

აღმოჩნდა, რომ იმ ავადმყოფთა რიცხვი, რომელნიც სრულიად არ ახდენენ მათ წინაშე მდებარე ფიგურების ობიექტივაციას, შედარებით მცირეა: ასეთი ც-ი რომელიმე ფიგურას იღებს ხელში და ათავსებს მას, სადაც მოხვდება. ეჭვს გარეშეა, აქ ობიექტივაციის შესახებ ლაპარაკი სრულიად ზედმეტი იქნებოდა — იგი აქ სრულიად არ იჩენს თავს. ასეთი შემთხვევა სამი გვაქვს. დაბოლოს, ექვს ცპ-თან მათი ნეგატივისტური ქცევის მიზეზით გამოცდა სრულიად არ ჩატარებულა.

ცპ-თა ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ობიექტივაციის უნარი ამ ავადმყოფებთან სხვადასხვა ხარისხითაა წარმოდგენილი და უმრავლესობას ამ აქტივობის მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი დეფექტი ეტყობა. შეიძლება ითქვას, რომ ობიექტივაციის უნარი სრული სახით მხოლოდ 15-ი გამოკვლეული ავადმყოფის შემთხვევაში გვხვდება. დამახასიათებელია, რომ ამ ჯგუფში ავადმყოფთა საკმარისად დიდი რაოდენობა ცდების დროს თვალსაჩინო დაურწმუნებლობას იჩენს საკუთარი ძალების მიმართ: მათ გონიათ, რომ ვერ შესძლებენ მიღებული დავალების შესრულებას; ერთი სიტყვით, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს ჯგუფიც განსხვავდება საკვლევი ნორმალური სუბიექტებისაგან: იგი არ იჩენს სრულ ნდობას საკუთარი ძალების მიმართ.

ნორმისაგან კიდევ უფრო შესამჩნევ გადახრას შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები იძლევიან. ჩვენ შევნიშნეთ ხუთი ასეთი ჯგუფი, რომელნიც მათ წინაშე დასმული ექსპერიმენტალური ამოცანების გადაწყვეტაში ერთგვარ თავისებურებას ამჟღავნებენ: ზოგი მათგანი მეტად, ზოგი ნაკლებად უახლოვდება მოცემულ ამოცანათა გადაჭრის შესაძლებლობას, მაგრამ ყველასათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ცპ-ს უძნელდება, ან არ ეხერხება მიღებული დავალების შესრულება, და ეს — ექსერიმენტატორის დახმარების მიუხედავადაც კი. ერთადერთი, რასაც ყველანი უჩივიან, ეს ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ ამოცანის გადაწყვეტა... რომ ისინი არ არიან შეჩვეული ამგვარი დავალების შესრულებას: „ეს ჩვენ კი არა, ინჟენერს ეხება". „ეს ინჟენრის საქმეა"-ო, იძახიან ჩვენი ცპ-ბი.

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ასეთი განცხადება არაა მოკლებული საფუძველს, რომ ამ შემთხვევაში მართლაც სპეციალური კონსტრუქტული უნარის, და არა უბრალოდ ობიექტივაციის უნარის, კვლევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ყურადღებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტატორის ინტერესი, ამ შემთხვევაში, სრულიად არაა მიმართული იმ კონსტრუქციების სისწორისადმი, რომლებსაც ავადმყოფი აგებს: კონსტრუქცია შეიძლება არც იყოს საკმაოდ სწორი. საყურადღებო იქ ისაა, თუ რამდენად ამჟღავნებს ცპ ობიექტივაციის აქტების უნარს, რათა ამ აქტების საფუძველზე შესაძლებელი შეიქნეს განზრახული კონსტრუქციების აგება.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ცპ-თა შორის ზოგჯერ მოიპოვება ისეთი პირები, რომლებსაც სრულიად ადვილად ეხერხებათ ამ ექსპერიმენტალური ამოცანის შესრულება: ისინი სწრაფად და შეუფერხებლად აგებენ საჭირო კონსტრუქციას. მაგრამ ეს ის პირებია, რომელთაც ასეთი რამ ობიექტივაციის აქტის გარეშეც ემარჯვებათ. ისინი ამ ამოცანას იმპულსურად წყვეტენ. ეს სპეციალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებია, რომელნიც გარკვეულ პირობებში შეიძლება სათანადო საქმის ოსტატებიც კი გამოსულიყვნენ. ჩვენ შემთხვევაში საკითხი ასეთ ხალხს როდი ეხება. აქ ჩვენ მხოლოდ ისეთები გვყავს მხედველობაში, რომელნიც ექსპერიმენტალური დავალების შესრულებას მარტო იმ შემთხვევაში ახერხებენ, თუ მათ უნარი აქვთ მოახდინონ კონსტრუქციის იმ მხარეთა ობიექტივაცია, რომელნიც მათ პირდაპირ და უშუალოდ როდი ეძლევათ. ამ შემთხვევაში გამოსარკვევია ცპ-თა კონსტრუქციის უნარი კი არა, არამედ ის, თუ რამდენად ეხერხება მათ კონსტრუქციის ზოგიერთი მხარეების საგანგებო დაკვირვების საგნად გადაქცევა, ამის საფუძველზე აზროვნებითი პროცესების გაშლა და ამ გზით ამოცანის შესრულებისათვის რაც შეიძლება უფრო გამოსადეგი ხერხის მონახვა.

არაა საჭირო, შევჩერდეთ აქ დავალების შესრულების ყველა იმ ცდის განხილვაზე, რომელსაც ჩვენი ცპ-ები მიმართავენ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველაზე ხშირია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი დავალების შესრულებას იწყებს, ზოგჯერ ჩერდება რომელიმე ნაკლებად მიზანშეწონილ ხერხზე, მაგრამ „დეტერმინაციის ტენდენცია", რომელიც მას ამ შემთხვევაში უჩნდება, მეტისმეტად სუსტი აქვს: იგი ქრება მანამდე, სანამ ამოცანის გადაწყვეტას უზრუნველყოფდეს, და ამრიგად ქცევის უშუალო, იმპულსურ აქტებს უთმობს ადგილს, საერთოდ შთაბეჭდილება ჩნდება, თითქოს ჩვენი ცდისპირები ვერ

ახერხებენ ობიექტივაციის საფეხურზე იმდენად ხანგრძლივად შეჩერებას, რომ ამ აქტის საფუძველზე აზროვნებითი უნარის გამოყენება და ამ გზით ამოცანის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა იყოს შესაძლებელი. ჩვენი ავადმყოფები თავს ვერ იმაგრებენ ამ მდგომარეობაში, ვერ ჩერდებიან ობიექტივაციის მიღწეულ საფეხურზე, ამოცანას ვერ წყვეტენ, და, ბოლოს, მოქანცულნი, დავალების შესრულებაზე უარს აცხადებენ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ავადმყოფები არც ამ ცდებში იძლევიან არსებითად ახალს იმასთან შედარებით, რაც ზემოთ აღნერილს კითხვის ცდებში იქნა მიღებული.

რას გვეუბნებიან საერთოდ ამ ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემები? როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ცპ-თა უმნიშვნელო რაოდენობას თითქოს ეხერხება ამოცანის სწორი და შედარებით ადვილი გადაჭრა. მაგრამ, რომ დავუკვირდეთ ამ შემთხვევებს, ვნახავთ, რომ აქ ყველგან ისეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, სადაც ჩვენი ავადმყოფები, მართალია, სიტუაციის მეტად ან ნაკლებად ადეკვატურ ქცევას იძლევიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი მსჯელობის ზერელობა მაინც არ ტოვებს ეჭვს, რომ აქ სავსებით ნორმალურ სუბიექტებთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

ეს მდგომარეობა კიდევ უფრო თვალსაჩინოდაა გამოვლინებული დანარჩენ ავადმყოფთა შემთხვევაში. აქ ცპ-ებს სულ არ ეხერხებათ მიღებული ამოცანის გადაჭრა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტად ან ნაკლებად ყოველთვის იჩენენ დავალების შესრულების მზაობას. როგორც ვნახეთ, ასეთი ცპ-ები, მართალია, ექსპერიმენტატორის წინადადებას ღებულობენ და მისი შესრულების სურვილს ამჟღავნებენ, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება არ შეუძლიათ, და ეს უმთავრესად იმ მიზეზით, რომ მათ წინაშე დასმულ ამოცანაზე ყურადღების კონცენტრაცია უძნელდებათ. ერთი სიტყვით, ყველგან, ასეთ შემთხვევაში, ობიექტივაციის საკმარისად ნათლად გამოვლენილი უკმარობა იჩენს თავს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შიზოფრენიის შემთხვევაში ობიექტივაციის უნარის მეტად ან ნაკლებად მკვეთრად გამოხატულ დეფექტთან გვაქვს საქმე და, საფიქრებელია, რომ შიზოფრენიკთა ქცევის თავისებური დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი სნორედ აქ ემარხოს.

ზევით, ობიექტივაციის მდგომარეობის აღწერის დროს, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ობიექტივაცია ადამიანის ფსიქოლოგიის ერთ-ერთს არსებითს თავისებურებას წარმოადგენს. შიზოფრენიკის ქცევის ანა-

ლიზი გვიჩვენებს, რომ პათოლოგია ამ უნარსაც ეხება: შიზოფრენიკის ობიექტივაცია გარკვეულად დეფექტურია, მაგრამ, თუ ეს ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფის ფსიქიკურ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები იჩენენ თავს, რომ აქ იმ დონის თვალსაჩინო დაქვეითებასთან გვაქვს საქმე, რომელზეც, ჩვეულებრივ, ნორმალური ადამიანის ფსიქიკა მუშაობს.

ზევით ჩვენ, საერთოდ, ფსიქიკური ცხოვრების მუშაობის პლანის საკითხი განვიხილეთ და ვნახეთ, რომ ადამიანს, სწორედ ობიექტივაციის უნართან დაკავშირებით, რამდენიმე ასეთი პლანი აქვს. აქედან ნათელი ხდება, რომ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მთელი სისტემა სულ სხვანაირი გახდებოდა, თუ მას ობიექტივაციის უნარი აღარ ექნებოდა. შიზოფრენიის შემთხვევაში ამ უნარის დაზიანების ფაქტი, როგორც ვნახეთ, თითქოს ყოველივე ეჭვს გარეშეა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ეს დეფექტი ერთადერთია და ადგილი არ აქვს სხვა დაზიანებასაც.

მაგრამ, განა ნიშნავს ეს იმას, რომ შიზოფრენიკი ობიექტივაციის უნარის დარღვევასთან ერთად, იმასთან დაკავშირებით, რომ მას აღარა აქვს შესაძლებლობა განავითაროს თავისი აქტივობა მაღალ საფეხურზე, ცხოველის ნორმალური ცხოვრების დონემდეა დაქვეითებული? საკმარისია დავსვათ ეს კითხვა, რომ მაშინვე უარყოფითი პასუხი გავცეთ მას: შიზოფრენიკი, რასაკვირველია, ადამიანად რჩება, მაგრამ ადამიანად, რომელიც მოკლებულია იმას, რაც საღი ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს: იგი ადამიანად რჩება, მაგრამ ავადმყოფ, არანორმალურ ადამიანად.

უნდა გვახსოვდეს, რომ დაავადებას წინ უსწრებს ნორმალური განვითარების საკმარისად ხანგრძლივი პერიოდი. მაშასადამე, ავად ხდება ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად ჩამოყალიბებული, ნორმალური ადამიანი, ობიექტივაციის უკვე გაფორმებული უნარის ბაზაზე ვითარდება მისი ინტელექტი — ლოღიკური მსჯელობისა და მასთან ერთად, აგრეთვე, მოწესრიგებული, წმინდა ადამიანური ქცევის — ნებელობითი ქცევის უნარი. ობიექტივაციის უნარის დაშლასთან ერთად — უნარისა, რომელიც საფუძვლად უდევს ნებელობასა და ინტელექტს — აღიკვეთება ამ სისტემათა ნორმალური მუშაობაც: როგორც ინტელექტი, ისე ნებელობაც ისეთი ფსიქიკური აქტივობის ფორმად იქცევა, რომელიც მოკლებულია თავის ჩვეულებრივ ნორმალურ საფუძველს. მის გარეშე კი როგორც აზროვნება, ისე ნებელობაც ქცევის პათოლოგიურ ფორმებში გამოვლინებას იწყებს და ეს შიზოფრენიის გამოსავალ მდგომარეობამდე გრძელდება, მდგომარეობა-

მდე, რომელშიც მათი თანადათანობითი მოხსნა ხდება. ავადმყოფი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ცხოველს, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სრული გაიგივება მასთან საზოგადოდ მაინც არასოდეს არ ხდება.

შემდგომი გამოკვლევების ამოცანას შეადგენს გამორკვევა იმისა, თუ რამდენად, რა მიმართულებითა და რა ფორმებში პოულობს ეს ძვრა შიზოფრენიკის ფსიქიკაში თავის გამოხატულებას.

3. შიზოფრენიის ტიპოლოგიური საფუძვლები. როდესაც ჩვენს წინაშე დადგა საკითხი ადამიანთა განწყობის ტიპების კლასიფიკაციის შესახებ ცხოვრების ნორმალურ პირობებში, ჩვენ შევჩერდით აზრზე, რომლის მიხედვითაც ეს კლასიფიკაცია სამს ძირითად ჯგუფად უნდა ხდებოდეს — *დინამიკურ* ადამიანთა, *სტატიკურთა* და *ვარიაბილურ* ადამიანთა ჯგუფად. არსებითად, ნამდვილად ნორმალურად მხოლოდ *დინამიკურ* ადამიანთა ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება დანარჩენთ, ჩვეულებრივი ნორმისაგან მათ ყოველთვის მეტი თუ ნაკლები გადახრა ახასიათებს.

სტატიკურისა და ვარიაბილური ჯგუფის ადამიანთა ქცევის გულდასმითი ანალიზი ამტკიცებს, რომ ცხოვრების მიმდინარეობა ნორმალურ კალაპოტს არ შორდება. მეტიც — რომ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, მათ წრეში ადამიანები შეგვხვდნენ, რომელნიც თავისი გამოჩენილი ნიჭით, ტალანტის მაღალი ხარისხით დინამიკურ ადამიანთა საშუალო დონეს თვალსაჩინოდ აჭარბებდნენ. ამიტომ არაა საფუძველი გამოვრიცხოთ ეს ადამიანები ნორმალურ ინდივიდთა, ადამიანური ცხოვრების ჩვეულებრივ მშენებელთა რიგებიდან.

მაგრამ ეს გარემოება არ სწყვეტს საკითხს იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც შეიძლება ნორმალური ადამიანის განწყობის ამა თუ იმ ტიპსა და რომელსამე ფსიქიკურ დაავადებას შორის არსებობდეს. სწორედ ამგვარი საკითხი დგება ჩვენს წინაშე ამჟამად, შიზოფრენიის საკითხთან დაკავშირებით: ხომ არ ვხვდებით ჯანმრთელი სტატიკურისა და ვარიაბილური ტიპების ჯგუფში ისეთ სუბიექტებსაც, რომელნიც, თავისი ხასიათის სტრუქტურის მიხედვით, განსაკუთრებით შიზოფრენიას უახლოვდებიან და რომელთაც, დაავადების შემთხვევაში, შიზოფრენიკთა რიგები უნდა შეავსონ?

ზევით, განსხვავებულ ადამიანთა ტიპების შესწავლისას, ჩვენ მსჯელობა გვქონდა სუბიექტთა იმ ჯგუფის შესახებ, რომელსაც მოკლედ სტატიკური განწყობის ადამიანთა ჯგუფი შეიძლება ვუწოდოთ. ამ პირთა ფიქსირებული განწყობის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ამ ჯგუფის ყველა წარმომადგენელს მტკიცე კონსტანტური,

ტლანქი, სტატიკური, სტაბილური და ირადირებული განწყობა ახასიათებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმალურ ცპ-თა ერთ-ერთი ჯგუფი სტატიკური განწყობით ხასიათდება — ისეთი ფიქსირებული განწყობით, როგორიც შიზოფრენიით დაავადებულთა ძირითადი ჯგუფისათვისაა ტიპიური. ისე, როგორც სტატიკურთა განწყობა, შიზოფრენიულთა განწყობაც მტკიცეა, კონსტანტური, ტლანქი, სტატიკური, სტაბილური და ირადირებული.

მაგრამ თავისთავად ცხადია, ამათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. სტატიკური განწყობის სუბიექტთა განხილვის დროს ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ მათ საკმარისად მკვეთრად გამოხატული *ობიექტივაციის* უნარი ახასიათებთ — უნარი, რომლის ბაზაზეც სპეციფიკურად ადამიანური აქტივობა — ინტელექტი და ნებელობა აღმოცენდება — და ობიექტივაციის ბაზაზე წამოჭრილი აქტივობის ამ მძლავრ სახეობათა თავისი ცხოვრების მსვლელობას ნორმალური ხელმძღვანელობა გაუწიეს.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ობიექტივაციის უნარი დაირღვა. მაშინ, ცხადია, ამასთან ერთად ინტელექტისა და ნებელობის მოხსნის ფაქტიც უნდა დავუშვათ. ამის შედეგი ის იქნება, რომ სუბიექტი ფიქსირებული განწყობის ზემოთ აღნიშნული ფორმების ამარა დარჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქცევა, ძირითადად, ამ ფიქსირებული განწყობის ბაზაზე გაიშლება, ე. ი. სწორედ ისე, როგორც ეს შიზოფრენიით დაავადებულთა შემთხვევაში ხდება.

ამრიგად, გასაგები ხდება, რომ ძირითად ფონდს, საიდანაც შიზოფრენიკთა რიგები ივსება, სწორედ სტატიკური განწყობის კონფლიქტური ადამიანები შეადგენენ.

III. ეპილეფსია

შიზოფრენიის ანალიზის შედეგები და მათთან დაკავშირებით მიღებული დასკვნები აყენებენ ჩვენს წინაშე საკითხს: ხომ არ უნდა ვეძიოთ იმავე მიმართულებით სხვა ფსიქიკურ დაავადებათა საფუძვლებიც? ეს საკითხი პირველ რიგში, კერძოდ, ეპილეფსიასთან დაკავშირებით ისმება. *გილიაროვსკი* თავის წიგნში ნაკვეთს ამ დაავადების შესახებ შემდეგი კითხვით ამთავრებს: „რა დამოკიდებულებაში იმყოფება ეპილეპტიკის ხასიათის თავისებურება მისი დაავადების არსთან? რომ კლინიკური სურათის ამ მხარეთა შორის გარკვეული კავშირი არსებობს, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საფიქრებელია, რომ ხასიათი, როგორც, საერთოდ,

ფსიქიკური თვისებები, წარმოადგენს რაღაც ძირითადს, ფონს, რომელზეც კრუნჩხვითი რეაქციებისადმი მიდრეკილება ვითარდება".[1]

ჩვენ არ შევეხებით აქ ხასიათის არსის პრობლემას, მაგრამ ყველა საბუთი გვაქვს მხარი დავუჭიროთ საკითხის ასეთ დაყენებას და ვიკითხოთ: ხომ არ უნდა ვეძიოთ ეპილეფსიის საფუძველიც იმავე მიმართულებით, რომლითაც შიზოფრენიის საკითხის გარკვევას ვცდილობდით? სხვანაირად, ხომ არ შეიძლება ეპილეპტიკის განწყობაშიც ისეთი სპეციფიკური ცვლილებების დადასტურება, რომელთაც მისი დაავადების არსთან აქვთ დამოკიდებულება?

1. **ეპილეფსიის ფიქსირებული განწყობა.** დასმული საკითხი გვაიძულებს დავაყენოთ ფიქსირებული განწყობის ცდები ეპილეფსიით დაავადებულ პირებზეც. ეს საქმე რამდენიმე წლის წინათ ჩვენი თანამშრომლის, ი. *ბუალავას* მიერ იყო გაკეთებული, რომელმაც მილებული შედეგები თავის სადისერტაციო შრომაში[2] შეაჯამა. აქ ჩვენ ამ ცდების მხოლოდ იმ შედეგებს შევეხებით, რომლებსაც აქ დასმულ საკითხთან აქვთ უშუალო კავშირი.

ამ გამოკვლევაში 100 გენუინური ან ესენციალური ეპილეფსიის შემთხვევა იქნა შესწავლილი და შედეგები სხვადასხვანაირი აღმოჩნდა. ცხადად გამოირკვა, რომ გამოკვლეულ ავადმყოფთა შორის სამი ჯგუფი არსებობს, რომელთაგანაც თითოეული, ძირითადში, ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის თავისებურ სურათს იძლევა. გამოირკვა ისიც, რომ ეს ჯგუფები გამოკვლეულ ავადმყოფთა მასაში რაოდენობრივად არათანაბრადაა წარმოდგენილი. მაშინ, როდესაც პირველ ჯგუფს ცპ-თა მთელი რაოდენობის 72%-ი შეადგენს, მეორე — 20%-ითა და მესამე — 8%-ით განისაზღვრება.

როგორია ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობის სურათი ცპ-თა პირველ ჯგუფში? სხვანაირად: განწყობის როგორი სურათი გვაქვს ეპილეპტიკების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში?

რომ განვიხილოთ მიღებული შედეგები განწყობის ცალკე მხარეების მიხედვით, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა ჩვენ ავადმყოფთა შემთხვევაში ერთნაირი არ აღმოჩნდა. პირველი, ძირითადი ჯგუფი — სულ 72 ცპ-ი, ე. ი. 72% — ორი-სამი საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად სტატიკურ განწყობას იძლევა. მაგრამ ეს განწყობა შემთხვევათა 45%-ში პლასტიკურია. ე. ი. იცვლის თავის ფორმას და

---

1. *В. А. Гиляровский.* Психиатрия, 3 изд. 1938.

2. *ი. ბუალავა.* ეპილეფსიის ფსიქოპათოლოგიისათვის (კლინიკურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა). 1944.

ხან კონტრასტულსა და ხან ასიმილაციურ ილუზიებში ვლინდება. საგანწყობო ექსპოზიციათა ეს რაოდენობა ამ ჯგუფის ავადმყოფებისათვის აგზნებადობის ქვედა ზღურბლის მაჩვენებელს წარმოადგენს. საგანწყობო ექსპოზიციათა ხუთამდე გადიდების შემდეგ ტლანქი სტატიკური განწყობა უკვე შემთხვევათა ყველა 100%-ში გვაქვს. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ საგანწყობო ექსპოზიციათა კიდევ მეტი გაზრდა — თხუთმეტამდე — სრულიად არ ცვლის სურათს — განწყობა ტლანქი სტატიკური რჩება. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ჩავთვალოთ, რომ ამ ჯგუფის სუბიექტთა განწყობის ოპტიმალურ აგზნებულობას 5 საგანწყობო ექსპოზიციით ვიწვევთ.

მეორე ჯგუფში, რომელსაც ცპ-თა 20% შეადგენს, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ აქ აგზნებადობის ქვედა ზღურბლი თითქმის სავსებით ემთხვევა მის ზედა ზღურბლს: ამ ჯგუფის ავადმყოფებთან განწყობის ფიქსაცია ხერხდება 2-3 საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად, და ეს განწყობის ოპტიმალური ფიქსაციისათვისაც საკმარისი აღმოჩნდა.

ამგვარად, ოპტიმალური აგზნებადობის ზღურბლი აქ უფრო დაბალია, ვიდრე პირველი ჯგუფის ცპ-თან.

დაბოლოს, მესამე ჯგუფის 8 ცპ-ი ამ მხრივ თავისებურ სურათს იძლევა: 37%-ის, ე. ი. 3 ცპ-ის შემთხვევაში ტიპიური განწყობის შემუშავება 2-3 საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად ხდება. ამ ჯგუფის დანარჩენ 5 ავადმყოფთან ფიქსაციის პირველი ნიშნები მხოლოდ 5 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ იჩენს თავს; ზედა ზღურბლის მისაღწევად კი საჭიროა არა ნაკლებ 10 ექსპოზიციისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცპ-თა ამ ჯგუფს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს — მასში შედიან სუბიექტები, რომელნიც განწყობის აგზნებადობის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდებიან: ზოგჯერ ეს უკანასკნელი არ აღემატება 2-3 საგანწყობო ექსპოზიციას, მაგრამ სხვა ცპ-თა შემთხვევაში იგი 10 ექსპოზიციასაც აღწევს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეპილეპტიკების ძირითადი მასა (72%) თავისი ფიქსირებული განწყობის ტიპიურ ფორმას უკვე ხუთი საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად იძლევა. ორი დანარჩენი უმნიშვნელო ჯგუფის შემთხვევაში კი სხვა მაჩვენებლები გვაქვს — 2-3 და 10 საგანწყობო ექსპოზიცია.

2. ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია. განწყობის ლიკვიდაციის როგორობა კრიტიკულ ობიექტთა განმეორებითი მოქმედების შედეგად დამოუკიდებელ საკითხს წარმოადგენს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც განწყობის ლიკვიდაცია კრიტიკულ ობიექტთა მი-

ხოდების იმ რაოდენობით გაიზომება, რომელიც ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაციისთვის და მოქმედ გამღიზიანებელთა ადეკვატური აღქმის მისაღწევადაა საჭირო. ჩვენ ცდებში გამოირკვა, რომ განწყობის აღკვეთის საკითხი ყველა ეპილეპტიკის შემთხვევაში ერონაირად არ წყდება. ცპ-ბის სამი ჯგუფიდან პირველი ორი მთლიანად ერთნაირ მაჩვენებლებს იძლევა: რომ მივცეთ ამ ჯგუფთა ცპ-ებს საგანწყობო ექსპოზიციათა ოპტიმალური რაოდენობა (ჩვეულებრივ, დაახლოებით 15), უთუოდ სტატიკურ განწყობას მივიღებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერცერთი ჩვენი ცპ-ი ვერ ახერხებს კრიტიკულ ობიექტთა ტოლობის დადგენას, ე. ი. არც ერთს არ შეუძლია აიცდინოს თავიდან ფიქსირებული განწყობის მოქმედება და მასზე მოქმედ გამღიზიანებელთა ადეკვატური აღქმა მოახერხოს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ეს მდგომარეობა ძალაში რჩება კრიტიკულ ექსპოზიციათა რაოდენობის 50-100-მდე გადიდების პირობებშიც კი.

სულ სხვა სურათი გვაქვს მესამე ჯგუფის შემთხვევაში. აქ გამღიზიანებელთა სწორი შეფასება საკმარისად ადვილად ხერხდება. სტატიკური განწყობის ნაცვლად ამ ცპ-ებს დინამიკური განწყობა აქვთ, და სწორედ ეს გარემოება აძლევს მათ კრიტიკულ ობიექტთა სწორი შეფასების შესაძლებლობას.

მაგრამ ამ ჯგუფში შემავალ პირთა რაოდენობა მეტისმეტად უმნიშვნელოა — სულ 8 ავადმყოფი, ე. ი. გამოკვლეულ ეპილეპტიკთა 8%. ცპ-თა დანარჩენი, ძირითადი მასა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისეთ მონაცემებს იძლევა, რომ ესენი ფიქსირებული განწყობის აშკარად სტატიკურ ხასიათს გამოხატავენ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნორმალური ცპ-ბი ჩვეულებრივად დინამიკური განწყობის მაჩვენებლებს იძლევიან, ნათელი გახდება ის გარემოება, რომ ეპილეფსიის შემთხვევაში საქმე განწყობის მკვეთრად გამოვლინებულ დეფექტთან გვაქვს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფიქსირებული განწყობის აღკვეთის საკითხი ეპილეპტიკების შემთხვევაში უარყოფითად წყდება: ამ ავადმყოფებს ფიქსირებული განწყობის სტატიკური ფორმა ახასიათებს.

3. ფიქსირებული განწყობის ფაზები. როგორც ვიცით, ნორმალური ცპ-ის შემთხვევაში კრიტიკულ ექსპოზიციათა მიმდინარეობაში განწყობის ცვალებადობის საფეხურები იჩენენ თავს: ფიქსირებული განწყობა ამ ცვალებადობის რამდენიმე ფაზას განელის და მონაცემები სიტუაციის ადეკვატურ განწყობას მხოლოდ ამის შემდეგ უთმობს ადგილს.

სხვა მდგომარეობა გვაქვს ეპილეფსიის შემთხვევაში. ჩატარე-

ბული ცდების საფუძველზე ირკვევა, რომ ეპილეპტიკი ამ მხრივაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯანმრთელი ცპ-საგან. სახელდობრ, გამოირკვა შემდეგი: როგორც წესი, ეპილეპტიკს თავიდანვე ილუზიის კონტრასტული ფორმა უჩნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობა მას დიდი სიმტკიცით უფიქსირდება მაშინაც კი, როდესაც საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობა ხუთსაც არ აღემატება. დამახასიათებელია, რომ, საგანწყობო ექსპოზიციათა მცირე რიცხვის მიუხედავადაც, ამ ილუზიათა ფაზა არაჩვეულებრივ ხანგრძლივი აღმოჩნდა: ის არ განიცდის რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას და ისე განაგრძობს ბატონობას ცპ-ებთან, არ უთმობს ადგილს რომელიმე სხვას, მისგან რომელობით ან ხარისხით განსხვავებულ განწყობას.

ამრიგად, ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობა ხასიათდება სიტლანქით — იგი ყოველთვის კონტრასტის მიმართულებით მოქმედებს — და, მაშასადამე, დიდი სიძლიერითაც: იგი არ იძლევა ასიმილაციური ილუზიების აღმოცენების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მდგომარეობა ძალაში რჩება არა მხოლოდ რომელიმე ცალკეული ჯგუფის, არამედ გამოკვლეულ ავადმყოფთა მთელი მასის, ე. ი. სამივე ჯგუფის მიმართ.

ამგვარად, სიტლანქე ეპილეპტიკის განწყობის ყველაზე უფრო გავრცელებულ თვისებას წარმოადგენს.

იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელნიც საერთოდ ეპილეპტიკის განწყობის შესწავლის შედეგად მივიღეთ, ეს ავადმყოფი, შეიძლება, როგორც ადვილად აგზნებადი, ტლანქი სტატიკური განწყობის ადამიანი დახასიათდეს.

4. განწყობის ირადიაცია. განწყობის ირადიაციის საკითხის შესწავლა, როგორც ვიცით, შემდეგი გზითაა შესაძლებელი: საგანწყობო ობიექტთა ექსპოზიცია მიმდინარეობს ერთს გრძნობადს მოდალობაში, მაგ. ჰაპტურში, კრიტიკული კი — მეორეში, მაგ., ოპტიკურში, მიღებული შედეგების მიხედვით, ჩვენ დავასკვნით განწყობის ერთი მოდალობიდან მეორე მოდალობაში ირადიაციის ხარისხის შესახებ. ამ ცდების ჩატარების შედეგად ეპილეპტიკებთან მიღებული მონაცემები ასეთია:

პირველი ჯგუფის ცპ-ებთან ჰაპტური სფეროდან ოპტიკურში ირადიაციის შემთხვევები თითქმის სრულიად არ აღინიშნება (ასეთი ირადიაცია სულ 4%-ის შემთხვევაში გვაქვს). უმნიშვნელოდ მეტია ირადიაციის შემთხვევათა რიცხვი საწინააღმდეგო მიმართულებით: ოპტიკური არიდან ჰაპტურში განწყობა გადადის შემთხვევათა 18%-ში.

ამ მონაცემების საფუძველზე პირველი ჯგუფის ეპილეპტიკის განწყობა ხასიათდება, როგორც *ლოკალური*, თითქმის სრულიად მოკლებული ირადიაციის თვისებას.

მეორე ჯგუფის ცპ-ბი ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევიან: მათთან განწყობის ირადირებული ფორმა ბატონობს, რომელიც წარმოდგენილია მაქსიმალურად მაღალი მაჩვენებლებით — 100%-ით. ეს რიცხვი რომ შევადაროთ მესამე ჯგუფის მონაცემებს, ნათელი გახდება, რამდენად უახლოვდება ეს ორი ჯგუფი ამ მხრივ ერთმანეთს: ირადიაცია ჰიპტური სფეროდან ოპტიკურში შემთხვევათა 62,6%-ში აღინიშნება, ხოლო ოპტიკურიდან ჰიპტურში — 50%.

ამრიგად, ირადიაციის ცდებში ჩვენ პირველად ვღებულობთ შედეგს, რომლის თანახმადაც მეორე და მესამე ჯგუფი, მკვეთრად განსხვავებული ურთიერთისაგან, შედარებით ახლოს არიან ერთმანეთთან. საზოგადოდ, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეს ორი ჯგუფი განწყობის ირადიაციის შედარებით უფრო დიდ უნარს იჩენს, ვიდრე ეპილეპტიკთა პირველი, ე. ი. ძირითადი ჯგუფი, რომელიც მათგან რადიკალურად განსხვავდება ფიქსირებული განწყობის მკვეთრად გამოვლენილი ლოკალობით, შეიძლება ითქვას, რომ ეპილეპტიკთა ამ ჯგუფს (გამოკვლეულ ავადმყოფთა 72%-ს) სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, და ეს იმდენად, რამდენადაც განწყობის ირადიაციის მეტად ან ნაკლებად მაღალი ხარისხის საერთო მოვლენას წარმოადგენს ცპ-თა ყველა სხვა, ჩვენთვის ცნობილ კატეგორიათა შემთხვევაში.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად შორის მიდის ეპილეპტიკის ეს თავისებურება? ჩვენ საშუალება გვაქვს გავზომოთ განწყობის ლოკალობა უფრო ვიწრო ფარგლებში — ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ, ხომ არ გადადის ფიქსირებული განწყობა რომელიმე წყვილეულ ორგანოს ერთი წევრიდან იმავე წყვილის მეორე წევრზე, მაგ., ერთი ხელიდან მეორე ხელზე, ან ერთი თვალიდან მეორეზე.

ასეთი ცდები შემდეგნაირად მიმდინარეობენ: ცპ-ი ადარებს ურთიერთს ერთნაირი სიმძიმისა და განსხვავებული მოცულობის ორ ბურთს, მაგრამ შედარებას იგი ერთი და იმავე ხელით აწარმოებს: საგანწყობო ცდებში მას შესადარებლად მარცხენა ხელში ეძლევა ჯერ პატარა, მერე დიდი ბურთი (15 ასეთი ექსპოზიცია). შემდეგ, კრიტიკულ ცდებში, ცპ-ი ღებულობს ერთი მეორის შემდეგ ტოლ ბურთებს, დავალებით — სუქცესიურად შეადაროს ისინი ერთმანეთს.

ანალოგიურად მიმდინარეობენ ექსპერიმენტები ოპტიკურ სფეროშიც. ცპ-ს ტაქისტოსკოპურად ეძლევა ზედიზედ ორი განსხვავებული სიდიდის წრე, რომელსაც იგი აღიქვამს ცალი თვალით (მეორე კი ამ დროს დახუჭული აქვს). ასეთი საგანნყობო ცდის მრავალგზისი განმეორების შემდეგ კრიტიკულ ცდაში ცპ-ს ისევ ტაქისტოსკოპურად, ეძლევა შესადარებლად ტოლი წრეები, რომელსაც იგი ეხლა უკვე მეორე თვალით ადარებს ერთმანეთს. ასეთივე ცდების დაყენება შესაძლებელია სხვა გრძნობად მოდალობებშიც.

ამ ექსპერიმენტების საფუძველზე მიღებული შედეგი სავსებით ანალოგიური აღმოჩნდა ზემოთ აღწერილ მონაცემებთან.

1. პირველი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფის ცპ-თან განნწყობა არ გადადის ერთი ხელიდან მეორეზე, არც ერთი თვალიდან მეორე თვალზე. იგი შეზღუდულია თავისი პირვანდელი აღმოცენების ფარგლებით — იმ თვალის, ან იმ ხელის ფარგლებით, რომელიც საგანნწყობო ცდაში იღებდა უშუალო მონაწილეობას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეპილეპტიკთა დიდი უმრავლესობის შემთხვევაში, განნწყობის ირადიაცია არ ხდება — განნწყობა ადგილოკალურად შეზღუდულ მდგომარეობად რჩება.

სულ სხვა სურათს წარმოადგენენ მეორე ჯგუფის ცპ-თა მონაცემები. აქ აღმოჩნდა, რომ განნწყობის ირადიაცია იშვიათი გამონაკლისის სახითაა დამახასიათებელი ამ ჯგუფის ყველა ცპ-სათვის.

მესამე ჯგუფს — ყველაზე მცირერიცხოვანს (8%) — ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ჯერ ერთი, აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის ცპ-ბი ირადიაციის ცდებში განსხვავებულ შედეგებს გვაწოდებენ. არ არის არცერთი ცპ-ი, რომელიც ცდების ყველა ვარიაციაში ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. ასე, მაგალითად, თუ ცდ. კორესპონდირებულ ორგანოებს ეხება და ირადიაცია აქ აქტუალურია, მაშინ განნწყობა, შექმნილი ამ წყვილის ერთ წევრზე, წყვილის მეორე წევრზეც გადადის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე მდგომარეობა კორესპონდირებულ ორგანოთა სხვა წყვილის, ან სხვადასხვა სენსორულ სფეროების, მაგ., ჰაპტურისა და ოპტიკურის შემთხვევაშიც გვექნება. გარდა ამისა, რომ შევაჯამოთ ცდების ყველა ვარიაციების დროს ამ ჯგუფში მიღებული ირადიაციის შემთხვევები, აღმოჩნდება, რომ ეს საერთო რაოდენობა 50%-ს აღწევს. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ეპილეპტიკთა მთელი მასის დახასიათების დროს, ამ, რაოდენობრივად უმნიშვნელო ჯგუფის მონაცემებს სრულიად ყურადღების გარეშე დავტოვებდით.

5. ეპილეპტიკის ფიქსირებული განნწყობის სტაბილურობის სა-

კითხი. ეპილეპტიკის დამახასიათებელი თვისებრიობა — მკვეთრად გამოხატული უმოძრაობა და მოუქნელობა — მისი ფიქსირებული განწყობის მოქმედების ყოველ გამოვლინებაში იგრძნობა. პირველ რიგში ეს მისი განწყობის ხანგრძლივობასთან — სტაბილობასთან — დაკავშირებით აღინიშნება. სათანადო ცდების შედეგად გამოირკვა, რომ განწყობის ეს თვისება აქ მნიშვნელოვნად მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი. ჩვენთვის, პირველ რიგში, ეპილეპტიკთა ძირითადი ჯგუფის მონაცემებს აქვს მნიშვნელობა. აქ ეს მონაცემები ისეთ დამახასიათებელ თავისებურებებს ამჟღავნებენ, რომ ესენი ამ ჯგუფის ყველა წარმომადგენლის შემთხვევაში იჩენენ თავს. აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუფის ფიქსირებული განწყობა სტაბილობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. თუ შევამოწმებთ ეპილეპტიკის ფიქსირებულ განწყობას ერთი დღის შემდეგ, ორი დღის შემდეგ, ან უფრო გვიანაც, გამოირკვევა, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში ძალაში რჩება უცვლელი სახით. ასეთივე სურათი გვაქვს მაშინაც, როდესაც ინტერვალი საგანწყობოსა და კრიტიკულ ცდებს შორის რამდენიმე კვირას, ან, თუნდაც, თვეებსაც აღწევს.

ამრიგად, ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობა სტაბილურს, თვეების გასწვრივ უცვლელად დაცულ ფენომენს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს ძალაშია ჩვენც ცპ-თა ძირითადი ჯგუფის მიმართ. იბადება კითხვა: ითქმის თუ არა იგივე ორი დანარჩენი ჯგუფის შესახებაც?

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, გამოირკვა, რომ მისი ექსპერიმენტალური მონაცემები სრულიად არ განსხვავდებიან ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელთა განხილული შედეგებისაგან: მეორე ჯგუფის ცპ-ბიც შემთხვევათა 100%-ში იძლევიან განწყობის ერთნაირად მაღალი სტაბილობის მაჩვენებლებს.

სხვა მდგომარეობა გვაქვს მესამე ჯგუფის შემთხვევაში. აქ განწყობა ცპ-თა 62,5%-თან აღმოჩნდა სტაბილური. დანარჩენი 37,5% კი განწყობის მეტად ან ნაკლებად გამოხატული ლაბილობით ხასიათდება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ გამოკვლეული 100 ცპ-დან 92%-ს მკვეთრად სტაბილური, თვეების განმავლობაში მოქმედი ფიქსირებული განწყობა ახასიათებს.

6. განწყობის კონსტანტობა. ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის მონაცემები სტაბილობის შესახებ მის კონსტანტობასაც საკმარისად თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, მაგრამ არ იქნება ზედმეტი, თუ ამ საკითხს მაინც სპეციალური შესწავლის საგნად დავსახავთ.

ჩვენ ვიცით, რომ კონსტანტობის ხარისხი გარკვეული ინტერვალების (ჩვეულებრივად 24 საათის) შემდეგ განმეორებული ცდების რაოდენობით გაიზომება — განწყობის უცვლელი სახით მოქმედების პირობებში. ამ შემთხვევაში ცდები, თითოეული 24-48 საათის შემდეგ 15 საგანწყობო ექსპოზიციით მეორდება. მიღებული შედეგი შეჯამებულია 19 ცხრილში.

19 ცხრილი

ჯგუფები	1 დღე-ღამე	2 დღე-ღამე	3 დღე-ღამე	4. დღე-ღამე	5 დღე-ღამე
I	100	100	100	100	100
II	100	100	100	100	100
III	100	62.5	75.0	62.5	62.5

ჩვენ ვხედავთ, რომ პირველის, ე. ი. ჩვენი ძირითადი ჯგუფის ცპ-ების შემთხვევაში, განწყობა 5 დღე-ღამის განმავლობაში ერთი და იმავე სახით იჩენს თავს, და ეს ყოველივე გამონაკლისის გარეშე ხდება. იგივე მდგომარეობა გვაქვს მეორე ჯგუფშიც: ეს ჯგუფი ძირითადი ჯგუფისაგან არ განსხვავდება. სულ სხვაა ჩვენი მესამე ჯგუფი, რომელსაც ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მაშინ, როდესაც ერთი დღე-ღამის შემდეგ ფიქსირებული განწყობა უცვლელი სახით იჩენს თავს ამ ცპ-თა 100%-თან, ორი დღე-ღამის შემდეგ, იმავე ფორმის ფიქსირებული განწყობა მხოლოდ 62,5%-ს აქვს. ასეთი მდგომარეობა უმნიშვნელო ცვლილებებით (75.5% 62,5%-ის მაგივრად მესამე დღეს) ცდების ბოლომდე გრძელდება.

7. განწყობის სიმტკიცე. როგორია ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე ეპილეფსიის შემთხვევაში? ამ კითხვაზე მეტად ან ნაკლებად ზუსტი პასუხის გაცემა შესაძლებელია ეპილეპტიკის განწყობის სხვა თვისებათა შესწავლის შედეგადაც. მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს ამ საკითხის სპეციალური დამუშავების შედეგებიც. მივმართოთ ჩატარებული ცდების მონაცემებს.[1]

სამივე ჯგუფის ცპ-ებისათვის კრიტიკულ ექსპოზიციათა რაოდენობა გადიდებული იქნა 100-მდე. პირველს, ძირითად ჯგუფში მივიღეთ ჩვეულებრივი რეაქციების — კონტრასტის ილუზიების — დაუბოლოვებელი რიგები. არ აღმოჩნდა სხვა რეაქციის — ტოლობის, ან ასიმილაციური ილუზიის — ერთი შემთხვევაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე ეპილეფსიის შემთხვევაში ყოველივე ეჭვს გარეშეა — ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები გვაქვს.

[1] *ი. ბეალავა.* Op. cit.

იმავე სურათს იძლევა მეორე ჯგუფიც. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, აქ, ამ შემთხვევაშიც, სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: კრიტიკულ ექსპოზიციათა მაქსიმალურად გადიდების მიუხედავად, რვა ცპ-დან ხუთს არ აღმოუჩნდა ცვლილებები რეაქციაში — მათი განწყობა ტლანქი-დინამიკური დარჩა. მაგრამ დანარჩენი სამი ცპ-ის შემთხვევაში სურათი შეიცვალა: საგანწყობო ექსპოზიციათა 30-მდე გადიდების შედეგად, დასაწყისში, ერთ ხანს კონტრასტის ილუზიათა უწყვეტი რიგი იჩენს თავს, რომელიც 30-50 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ ისევ ამ ჯგუფისათვის ჩვეულებრივი რეაქციის ტიპს უთმობს ადგილს.

ამრიგად, ცპ-ბის ამ ჯგუფს აქაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სამაგიეროდ, ავადმყოფთა ძირითად მასას (92%) განსაკუთრებით მტკიცე ფიქსირებული განწყობის მქონე სუბიექტები წარმოადგენენ.

8. ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის სპეციფიკა. იმისათვის, რომ შევაჯამოთ მიღებული შედეგები და ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის საერთო დახასიათება წარმოვიდგინოთ, საჭიროა გამოვარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიზნებისათვის სამივე განხილული ჯგუფის მონაცემებს. ვინაიდან მესამე ჯგუფის შედეგები თითქმის ყოველმხრივ განსხვავებულ სურათს იძლევიან იმასთან შედარებით, რაც ცპ-თა ძირითად მასაში გვაქვს, ეპილეპტიკის დახასიათების დროს ეს მასალები მხედველობაში არაა მისაღები, და ეს მით უმეტეს, რომ მესამე ჯგუფი ცპ-თა სულ უმნიშვნელო რიცხვს (8%) შეიცავს. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: პირველ ძირითად ჯგუფთან საერთო დამახასიათებელ თვისებათა რიგის მიუხედავად, მეორე ჯგუფი მკვეთრად განსხვავდება მისგან ერთი არსებითი გარემოებით. საქმე ისაა, რომ აქ ფიქსირებული განწყობა ირადირებული აღმოჩნდა, მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფის ცპ-თა შემთხვევაში იგი სრულიად მოკლებულია ამ თვისებას და წმინდა ლოკალურ მოვლენას წარმოადგენს. ეს არსებითი მნიშვნელობის მკვეთრად გამოვლინებული სხვადასხვაობა გვაიძულებს, ეპილეპტიკის განწყობის დახასიათებისას მეორე ჯგუფის ცპ-თა (20%) მონაცემებიც ყურადღების გარეშე დავტოვოთ.

ამრიგად რჩება პირველი, ძირითადი ჯგუფი (გამოკვლეულ ეპილეპტიკთა 72%), რომელიც ფიქსირებული განწყობის საოცრად ერთფეროვან, შეთანხმებულ სურათს იძლევა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეპილეპტიკის განწყობის ტიპიური სურათი სწორედ ესაა.

საერთოდ, ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობა უნდა იქნეს დახასიათებული, როგორც შედარებით *ადვილად აგზნებადი, ტლანქი, სტატიკური, ლოკალური, სტაბილური, მტკიცე* მდგომარეობა. იმდენად, რამდენადაც ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას მისი ტლანქი სტატიკურობა და ლოკალობა წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ ეპილეპტიკს *ტლანქი სტატიკური, ლოკალური* ფიქსირებული განწყობა ახასიათებს.

9. ეპილეფსიის ტიპოლოგიური საფუძვლები. იბადება კითხვა: ხომ არ მოიპოვება ნორმალურ ადამიანთა შორის ისეთი პირები, რომელთაც ეპილეფსიისათვის დამახასიათებელი, ტლანქი, სტატიკური, ლოკალური განწყობა აქვთ?

თუ მივმართავთ საერთოდ ცნობილ მასალებს ადამიანის ხასიათის შესახებ, ვნახავთ, რომ იმ კონფლიქტურ ადამიანთა მონაცემები, რომელთაც სტატიკური ფიქსირებული განწყობა აქვთ, ეპილეპტიკთა ფიქსირებული განწყობის მაჩვენებლებს უახლოვდება. ესაა სტატიკური განწყობის კონფლიქტური ადამიანების ერთ-ერთი ჯგუფის — ე. წ. ეპილეპტოიდების მონაცემები. ამ სუბიექტთა ფიქსირებული განწყობა ისეთივე აღმოჩნდა, როგორც ეპილეპტიკებისა, სახელდობრ — ტლანქი, სტატიკური, ლოკალური, შედარებით ადვილად აგზნებადი, კონსტანტური და სტაბილური. მაშასადამე, გამოდის, რომ არსებითად არავითარი განსხვავება არ არსებობს ამ ჯანმრთელ პირთა და ავადმყოფ ეპილეპტიკთა ფიქსირებულ განწყობას შორის.

მაგრამ, რასაკვირველია, ეპილეპტოიდის შემთხვევაში ნამდვილ ეპილეპტიკთან ჩვენ მაინც არა გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, მათ ეპილეპტიკური გულყურები, ეპილეფსიისათვის დამახასიათებელი კრუნჩხვითი მოვლენები, არა აქვთ. გარდა ამისა, ეს პირები საზოგადოების ნორმალური წევრებია, სასარგებლო მოღვაწეები, რომელნიც ზოგჯერ სოციალური მდგომარეობისა და მნიშვნელობის უმაღლეს საფეხურებსაც კი აღწევენ, და შემოქმედ, წარჩინებულ მოღვაწეთა ან ისტორიულ პიროვნებათა შორის ადამიანთა ამ კატეგორიის არა ერთი წარმომადგენელი შეიძლება დავასახელოთ.

ამრიგად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეპილეპტიკური დაავადების საფუძველს გულყურებთან დაკავშირებით უნდა ვეძიოთ, მაგრამ გულყურები ჩვენ ისტერიის, ე. ი. ისეთი დაავადების შემთხვევაშიც გვხვდება, რომელიც ეპილეფსიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. როგორც ჩანს გულყურების ფაქტი პათოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც არ არის ეპილეფსიისათვის სპეციფიკური და მის

მიხედვით ეპილეფსიის სპეციფიკუმზე ვერ ვილაპარაკებთ.

ჩვენ არ შევეხებით ამ დაავადების ნამდვილი არსის საკითხს. აქ მხოლოდ ზოგიერთს, ეპილეპტოიდისათვის და ეპილეპსიისათვის დამახასიათებელს, ფსიქოლოგიურ თავისებურებაზე შევჩერდებით. ამ მხრივ, პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს საკითხი უმაღლეს, წმინდა ადამიანურ ფსიქიკურ ფუნქციათა — ინტელექტისა და ნებელობის ფუნქციათა შესახებ. ამ ფსიქიკური აქტების საკმაოდ მაღალი დონის ფაქტები ჩვეულებრივ ეპილეპტოიდთა წრეში სპეციალური ექსპერიმენტალური ანალიზის გარეშეც ეჭვს არ იწვევს: ეპილეპტოიდთა შორის ცნობილია სუბიექტები, რომლებთანაც ინტელექტი და ნებელობა საკმაოდ მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი. ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრივ საქმე სავსებით კონპენსირებულ ადამიანებთან გვაქვს, რომელნიც ამ ფსიქიკურ ძალთა საშუალებით ადამიანური საქმიანობის მაღალ საფეხურებს აღწევენ: ისტორიულ მოღვაწეთა შორის ცნობილია პირები, რომელნიც, როგორც ჩანს, ეპილეპტოიდთა ტიპს ეკუთვნიან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ობიექტივაცია მათთან განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს, ვინაიდან უეჭველია, რომ მხოლოდ განვითარებული ობიექტივაციის ბაზაზეა შესაძლებელი მათი ნებელობითი და ინტელექტუალური ძალების ეგოდენი წარმატებით განვითარება.

სულ სხვა მდგომარეობაა, როდესაც საქმე ნამდვილ ეპილეპტიკებს ეხება. მათი ინტელექტუალური და ნებელობითი უნარის ანალიზი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ამ მხრივ საქმე აქ მნიშვნელოვნად დაბალ საფეხურთან გვაქვს. ი. ბუალავას სადისერტაციო შრომაში არა ერთი მონაცემი მოიპოვება, რომელიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს[1]. ეპილეპტიკების ცნებითი აზროვნების ექსპერიმენტალური ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია ამ შემთხვევაში შესამჩნევადაა დაქვეითებული. არც ნებელობის აქტის ანალიზი იძლევა, როგორც მოსალოდნელი იყო, უკეთეს შედეგს. აქ არ შევეხებით ეპილეპტიკის ნებელობის კონკრეტ სურათს და მხოლოდ მისი სუსტი განვითარების ფაქტს აღვნიშნავთ. სამაგიეროდ, ეპილეპტიკი ცნობილია, როგორც არა ჩვეულებრივი ჯიუტი, სტენიურ-აგრესიული აფექტების ადამიანი, ადამიანი, რომელიც უარს არ იტყვის ისეთ ნაბიჯზედაც კი, რომელიც მისი სიცოცხლისათვისაც კი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს, მაგრამ, განა ეს მისი ნებელობის სიმტკიცის საბუთს წარმოადგენს? უეჭველია, არა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ აღვნიშნავდით, რომ, პირიქით, ნებე-

[1] *ი. ბუალავა.* Op. cit.

ლობის სიმტკიცეზე ლაპარაკი აქ სრულიად უადგილოა, რომ ეპილეპტიკი ამ შემთხვევაში უფრო უშუალო იმპულსებით ხელმძღვანელობს, რომ მისი ქცევა გონიერ ნებელობას არ ემორჩილება, ნებელობას, რომლის არსიც, სხვათა შორის, იმპულსების მართვის, მათი შეზღუდვისა და ალაგმვის უნარს გულისხმობს.

მოკლედ, ეპილეპტიკის ინტელექტი და ნებელობა აშკარა დეგრადაციის ნიშნებს ატარებს. რა არის ამის მიზეზი? ნუთუ თვითონ ინტელექტისა და ნებელობის, როგორც ასეთების, უშუალო დეფექტი!

უეჭველია, არა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ინტელექტისა და ნებელობის მძლავრი გამოვლენის ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც ზოგჯერ, ავადმყოფობის გაუმჯობესების დროს იჩენს ხოლმე თავს — რემისიის შემთხვევაში ზოგი ეპილეპტიკი საკმაოდ მაღალი ინტელექტისა და ნებისყოფის ნიშნებს იძლევა.

მოკლედ, თითქოს უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეპილეფსიის შემთხვევაში ინტელექტისა და ნებელობის დეფექტური მუშაობის საფუძვლად მათი ორგანული დაზიანება როდი უნდა ჩაითვალოს, არამედ რაღაც სხვა, რაზედაც მკვეთრადაა ჩვენი ინტელექტუალური და ნებელობითი ოპერაციები დამოკიდებული.

რა არის ეს? რა აძლევს ასეთ საფუძვლებს ჩვენს ინტელექტსა და ნებელობას? პასუხი ჩვენთვის ნათელია. ეს ის სპეციფიკური უნარია, რომელიც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი და სპეციფიკურს ადამიანურ თვისებებს განსაზღვრავს — ეს *ობიექტივაციის* უნარია, რომელიც ჩვენ მხოლოდ ადამიანთან გვხვდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეპილეპტიკს სწორედ ეს ობიექტივაციის უნარი აქვს დაზიანებული — ობიექტივაციის უნარი, რომელიც ამ მაღალ ძალთა გამოყენების წარნამძღვარს და ბაზისს წარმოადგენს.

თუ ეს ასეა, ინტელექტუალურისა და ნებითი აქტივობის უქონლობის ან დეგრადაციის მიზეზი, ეპილეპტიკის შემთხვევაში, მისი ობიექტივაციის უნარის დარღვევაში უნდა ვეძიოთ. რაღაც პროცესების ძალით, რომელთაც აქ არ შევეხებით, ობიექტივაციის უნარის დაქვეითება ხდება, და ამას შედეგად სუბიექტის გონებრივის და ნებითი ძალების დაზიანება სდევს თან. ამიტომ მისი ქცევა ამ მაღალ ძალთა ხელმძღვანელობას მოკლებული რჩება. ამიერიდან ქცევა შეუფერხებლად ვითარდება, ეპილეპტიკის განწყობათა უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ. სახელდობრ, ეპილეფსიის შემთხვევაში ქცევა ტლანქი სტატიკური, ლოკალური ფიქსირებული განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, და ავადმყოფს შესაძლებლობა ეკარგება თავისი ქცევის კორექცია ინტელექტის ხელმძღვანელობით მოახდინოს.

ჩვენ ვნახეთ, რომ შიზოფრენიის შემთხვევაშიც ასე ხდება. ობიექტივაციის ნორმალური აქტივობისა და მასზე დამყარებული ინტელექტისა და ნებელობის დარღვევასთან დაკავშირებით, ფიქსირებული განწყობის უშუალო აქტივობა შედის ძალაში, რომელიც აქ ამ ავადმყოფობის შემთხვევაში უკვე სხვა ნიშნებით — სიტლანქით, სტატიკურობითა და ირადიაციით — ხასიათდება.

IV. მოსაზღვრე მდგომარეობები

ე. წ. მოსაზღვრე მდგომარეობიდან ჩვენ შევჩერდებით ფსიქასთენიაზე — თანდაყოლილ ავადმყოფურ მდგომარეობათა ტიპზე — და ისტერიაზე — ისეთს რეაქციულ ცვლილებათა ტიპზე, რომელიც ფსიქიკურ განცდებთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ეს მდგომარეობები „მოვლენათა განსაკუთრებული ინტენსივობის პირობებშიც არ წარმოადგენენ ავადმყოფობათ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით" (გილიაროვსკი). მეორე მხრივ, კიდევ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი მათი ნორმალურ, ჯანმრთელ მდგომარეობათა მოვლენებად ჩათვლა.

განვიხილოთ, როგორია ამ მდგომარეობათა შემთხვევაში დაავადებულთა ფიქსირებული განწყობა!

1. ფსიქასთენია

1. ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა. როგორია ფიქსირებული განწყობა ფსიქასთენიის შემთხვევაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ექსპერიმენტალურ ანალიზს. ფსიქასთენიის შემთხვევაში ექსპერიმენტალური კვლევის საფუძველზე მიღებული იქნა, მოკლედ, შემდეგი მონაცემები[1].

1) *ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა.* აღმოჩნდა, რომ ფსიქასთენიკთა შორის მოიპოვება ძალიან უმნიშვნელო რაოდენობა (12%-მდე) ისეთი პირებისა, რომლებთანაც, ჩვეულებრივ, საგანწყობო ობიექტთა 2-3 ექსპოზიციის შედეგად განწყობის ფიქსაციაა შესაძლებელი. ამ ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა (88%) ექსპოზიციათა ამ რაოდენობის პირობებში არ განიცდის გამღიზიანებლების ზეგავლენას ფიქსირებული განწყობის შექნის მიმართულებით. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ფსიქასთენიკის განწყობა შედარებით ძნელად ფიქსირდება: ორი ექსპოზიცია ამისათვის საკმარისი არაა.

---

[1] *ქ. მდივანი.* ფსიქასთენიის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. 1946.

[illegible]ოიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა ძალიან დაბალია, და, მისი ოპტიმუმის მიაღწევად საგანწყობო ექსპოზიციათა რიცხვის მნიშვნელოვანი გადიდებაა საჭირო.

2) *ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის სიმტკიცე.* ფიქსირებული განწყობის ეს მხარე აქ ძალიან დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. საქმე იმაშია, რომ, ფსიქასთენიკის შემთხვევაში, პირველი ფაზა, ე. ი. კონსტრასტული ილუზიების ფაზა, თითქმის სრულებით არ იჩენს თავს, ხოლო თუ იჩენს, ძალიან ხანმოკლედ: იგი მაშინვე ადგილს უთმობს შემდგომ ფაზას, რომელშიც გარკვეულად ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი ჭარბობს.

3) *განწყობის სიტლანქე.* უკვე ამ დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა ნაკლებად პლასტიკურია. იგი თანდათანობით ჩაქრობის საფეხურებს კი არ გაივლის ხოლმე, არამედ თავიდანვე ერთ რომელიმე ფაზაზე ჩერდება.

მოკლედ: ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა ტლანქ, არა პლასტიკურ განწყობად უნდა იქნეს აღიარებული.

4) *დინამიკურობა.* ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის შემდგომ თვისებას მისი დინამიკურობა წარმოადგენს. ძნელად ფიქსირებული ეს განწყობა ერთ ხანს თავის პირვანდელ ფორმაში იმყოფება, მაგრამ სწრაფად უთმობს ადგილს არაფიქსირებულ, ადექვატურ განწყობას.

5) *ირადიაცია.* თავისთავად ცხადია, რომ ძნელად აგზნებად, ნაკლებად მტკიცე ფიქსირებულ განწყობას ირადიაციის მაღალი ხარისხი არ უნდა ახასიათებდეს. ცდების საფუძველზე დამტკიცდა, რომ, მართლაც, ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის ირადიაცია ძალიან უმნიშვნელოა: ირადიაციის ფაქტი ცპ-თა მხოლოდ 8%-თან დასტურდება, ფსიქასთენიკთა დიდ უმრავლესობასთან კი მისი გამოვლინება ექსპერიმენტის გზით სრულიად არ ხერხდება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცდების პირობებში ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა გარკვეულად ლოკალურ ხასიათს ატარებს.

6) *კონსტანტობა.* ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა მნიშვნელოვნად კონსტანტური აღმოჩნდა: მთელი რიგი დღეების განმავლობაში იგი როგორც ძნელად აგზნებადი, სუსტი, ტლანქი-დინამიკური და ლოკალური ფიქსირებული განწყობა ვლინდება. ფსიქასთენიკის განწყობის ეს თვისება განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან აქ, პირველ რიგში, ის სპეციფიკური თავისებურება იჩენს თავს, რომლითაც ფსიქასთენიკი სხვა მოსაზღვრე მდგომარეობათა

წარმომადგენლისაგან, მაგალითად, ისტერიული სუბიექტისაგან გა ნსხვავდება.

7) *ფიქსირებული განწყობის ლაბილობა.* ცდების საფუძველზე ირკვევა, აგრეთვე, ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის ლაბილობაც: გამოკვლეულ ავადმყოფთა 80%-ის განწყობა არ აღმოჩნდა სტაბილური — დროის განმავლობაში იგი სწრაფად ქრება ისე, რომ მის ნაცვლად, ჩვეულებრივ ადეკვატური განწყობა იჩენს თავს.

ამრიგად, ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა უნდა იქნეს დახასიათებული, როგორც ძნელად აგზნებადი, სუსტი, ტლანქი, დინამიკური, ლოკალური, კონსტანტური და ლაბილური მდგომარეობა.

როგორც კი ჩავუკვირდებით ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობის მთლიან სურათს, ჩვენს წინაშე მაშინვე შემდეგი კითხვა დადგება: ფიქსირებული განწყობის აღწერილი თვისებები ფსიქასთენიკის განწყობის სპეციფიკურ თავისებურებად უნდა ვაღიაროთ, თუ ის, ნაწილობრივ მაინც, განწყობის ფიქსაციის მკვეთრად გამოვლინებული სიძნელის შედეგად უნდა ჩავთვალოთ?

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ განწყობის ფიქსაციის პროცესს, ჩვეულებრივ, მისი დიფერენციაციის მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პროცესი უსწრებს წინ: დასაწყისში მეტად თუ ნაკლებად დიფუზიური განწყობა შემდეგში უნდა გადიფერენცირდეს — უნდა გამოირკვეს, როგორც სუბიექტის ინდივიდუალურად გამოხატული, კონკრეტული მდგომარეობა და, მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც ასეთი. გაფიქსირდეს. საკითხი, მაშ, ასე დგას: როგორი მდგომარეობა გვაქვს ფსიქასთენიკის განწყობის შემთხვევაში — არის იგი თავიდანვე საკმარისად დიფერენცირებული, ისე, რომ საგანწყობო ცდებში ჩვენ საქმე სწორედ მის ფიქსაციასთან გვაქვს, თუ აქ საკითხი უმთავრესად მისი დიფერენციაციის პროცესს ეხება?

დაკვირვების საფუძველზე ირკვევა, რომ ფსიქასთენიკის განწყობის ფიქსაციისათვის საგანწყობო ექსპოზიციათა შედარებით დიდრიცხვია საჭირო. თუ გავუწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ პირველი, ე. ი. კონტრასტის ილუზიების ფაზა ჩვენს ავადმყოფებთან, ჩვეულებრივ, არ გვხვდება, მათი განწყობის ფიქსაციის დაბალი ხარისხი ნათელი და უდავო გახდება ჩვენთვის. იგივე ფაქტი დასტურდება სხვა უკვე აღნიშნულ მონაცემთა საფუძველზეც.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა სუსტად ფიქსირებულ განწყობისეულ მდგომარეობას წარმოადგენს.

თუ ეს ასეა, უნდა ვცნოთ, რომ აქ, საგანწყობო ექსპოზიციათა

განმეორების პროცესში, განმეორებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა, პირველ რიგში, დიფუზურად გამოვლინებული განწყობის დიფერენციაციის საქმეს ემსახურება და ამიტომაა, რომ მისი ფიქსაცია საკმარის სიმტკიცეს ვერ აღწევს.

ამრიგად, ფსიქასთენიკი შეიძლება დახასიათებული იქნეს, როგორც ადამიანი, სუსტად დიფერენცირებულითა და სწორედ ამ მიზეზით, ძნელად აგზნებადი, სუსტი, ლოკალური და ლაბილური განწყობით.

2. ობიექტივაცია ფსიქასთენიის შემთხვევაში. იმისათვის, რომ ფსიქასთენია რიგიანად გავიგოთ, საჭიროა ამ დაავადების შემთხვევაში ობიექტივაციის აქტი გავაანალიზოთ. როგორაა ეს უნარი წარმოდგენილი ფსიქასთენიკთან?

მისი ქცევის დაკვირვებიდან ჩანს, რომ ფსიქასთენიკი, ჩვეულებრივ, რომელიმე თავისი იდეითაა შეპყრობილი — იდეით, რომელიც მას პირველ რიგში და ყველაზე უფრო მეტად აწუხებს. შეიძლება ითქვას, რომ აკვიატებულ წარმოდგენათა ბატონობა ფსიქასთენიკის ერთ-ერთს განსაკუთრებით დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ავადმყოფი მუდმივი ეჭვების მდგომარეობაში იმყოფება. იგი არასოდეს არაა დარწმუნებული თავისი საქციელის სისწორეში. ყოველთვის შეპყრობილია თვითშემოწმების მოთხოვნილებით. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფსიქასთენიკს არ გააჩნია ისეთი გარკვეული, მკაფიოდ გამოხატული განწყობა, რომლის საფუძველზეც ნებისმიერი ქცევის გაშლა იქნებოდა შესაძლებელი. მისი განწყობის დაბალი დიფერენციაცია წარმოადგენს დაბრკოლებას, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას, თავისი ნებით აქტივობა გადაჭრით გაშალოს. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ძირითადი თვისება — ნებითი აქტების სუსტი განვითარება — მის განწყობათა სუსტი დიფერენციაციის საფუძველზე აღმოცენდება. ობიექტივაციის მაღალი განვითარების მიუხედავად, ფსიქასთენიკს ძნელად ეხერხება თავისი ქცევის მწყობრი სქემის აგება, და ეს იმიტომ, რომ თვით მონაცემები — ბუნდოვანი და დიფუზური — ნებითი აქტივობის საძირკველად გამოსადეგი არაა. ფსიქასთენიკს არა აქვს ქცევის რომელიმე აქტის სისწორეში *დარწმუნებულობა*, რომელიც ეგოდენ აუცილებელია ამ აქტების განსახორციელებლად.

არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთია ფსიქასთენიკის ინტელექტის ბედიც. პირიქით, ის გარემოება, რომ ამ ავადმყოფს ობიექტივაციის უნარი აქვს, უზრუნველყოფს მისი ინტელექტის აქტივობას — ინტელექტისა, რომელიც ხშირად — შეიძლება, უფრო ხშირად, ვიდრე

საჭიროა — ჩერდება კითხვაზე იმის შესახებ, თუ რომელი ქცევა უფრო მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში. დასმული კითხვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტის მთელ რიგ შემთხვევათა მიუხედავად, ფსიქასთენიკს არ ძალუძს რომელიმე მათგანზე შეჩერება; ამის გამო ის იძულებული ხდება განაგრძოს გადაწყვეტილების ახალი გზების ძებნა, ან, უკანასკნელ მომენტში, გადასდოს გადაწყვეტილების შესრულება. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ მას არა აქვს დარწმუნებულობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შესატყვის განწყობათა გარკვეულობით არის ხოლმე პირობადებული.

ფსიქასთენიკის ნებელობის უკმარობა ხშირად გავლენას ახდენს მის მაღალ ინტელექტუალურ ძალთა ნაყოფიერებაზედაც. იგი იწვევს სიმტკიცის ნაკლებობას, რომელიც ამ ძალთა გამოყენებისათვისაა საჭირო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას საფუძვლად დარწმუნებულობის სისუსტე უდევს, რომელიც განწყობის დიფერენციაციის უკმარისობით არის განსაზღვრული.

ამრიგად, ძირითადი ფენომენი, რომელიც ჩვენ ავადმყოფთა ფსიქიკის სისუსტეს განსაზღვრავს, უნდა ვეძიოთ იმ განწყობისეულ მდგომარეობათა ნაკლებ დიფერენციაციაში, იმ მკაფიოდ გამოხატულ დიფუზიურობაში, რომლის ბაზაზეც ფსიქასთენიკის დარწმუნებულობის სისუსტე, მისი ნებითი აქტების განუვითარებლობა და ინტელექტუალურ გადაწყვეტილებათა მერყეობა აღმოცენდება.

2. ისტერია

1. ფიქსირებული განწყობა ისტერიის შემთხვევაში. განვიხილოთ ეხლა ისტერიის პრობლემა — ისტერიისა, რომელიც უკვე დიდი ხანია მრავალი თვალსაზრისით შესწავლის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ ამ დაავადებას განწყობის ცნების პოზიციებიდან უნდა შევეხოთ — უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ისტერიულთა განწყობა, როგორია მისი გამოვლინებები, რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

ამ საკითხის სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე[1] გამოირკვა, რომ ისტერია სხვა დაავადებებისაგან საკმარისად მკვეთრად განსხვავდება: აქ, პირველ რიგში, მნიშვნელობა აქვს ისტერიულთა ფიქსირებული განწყობის ფართოდ გავრცელებულ ვარიაბილობას. არ მოინახება ფიქსირებული განწყობის არცერთი ფორმა, რომელიც ყოვე-

[1] *ქ. ზდიევანი.* განწყობის ილუზია ისტერიით დაავადებულთა შემთხვევაში. ფუნქც. ნერვ. დაავადებათა ინსტიტუტის შრომები; I. 1936.

ლაბორატორიულთან ძოსალოდხელი ისტერიით დაავადებულისათვის განსაკუთრებით ისაა დამახასიათებელი, რომ მისი განწყობის ფორმები მარად მერყეევს, მარად ცვალებად მდგომარეობაში იმყოფებიან.

მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული ამპლიტუდა, რომელიც ამ რყევას ახასიათებს, და ჩვენს ამოცანას, პირველ რიგში, მისი საზღვრების გამორკვევა შეადგენს.

ისტერიულთა ფიქსირებული განწყობა მკურნალობის პერიოდში ერთი არსებითი თვისებით ხასიათდება: ეს თვისება, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მისი — ამ განწყობის — გამოვლინებათა მნიშვნელოვან ცვალებადობაში მდგომარეობს. იმისათვის, რომ ამის შესახებ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ, მივმართოთ ერთი ასეთი ავადმყოფის მონაცემებს.

ავადმყოფი დ. ლ. 23 წ. განათლება საშუალო. უჩივის შეტევებს. შემოწმების შედეგად (19/XII-35) აღმოაჩნდა ტლანქი სტატიკური, კონტრასტული (პაპტურ სფეროში) და ძლიერად ირადირებული 15 კონტრასტული ილუსია, ოპტიკურ არეში პაპტურ არედან ფიქსირებული განწყობა.

22/VII — 35 წ. თავს უკეთ გრძნობს. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ავადმყოფს პაპტურ სფეროში ტლანქი სტატიკური განწყობა აქვს, მაგრამ ოპტიკურ არეში ირადიაციის ფაქტი არ აღინიშნება: ავადმყოფი მაშინვე ადასტურებს მხედველობის არეში ექსპონირებულ კრიტიკულ ობიექტთა ტოლობას.

25/XII — 35 წ. თავს უკეთ გრძნობს. შეტევები აქვს, მაგრამ უფრო იშვიათად, ვიდრე წინათ. ფიქსირებული განწყობა პლასტიკურ-დინამიკური აღმოჩნდა.

27/XII — 35 წ. თავს უკეთ გრძნობს. ცდების შედეგები იგივეა, რაც ორი დღის წინათ.

29/XII — 35 წ. ორი დღეა, რაც შეტევები აღარ აქვს. თავს კარგად გრძნობს. ცდების შედეგები დაახლოებით ისეთივეა, რაც ორი უკანასკნელი შემოწმების დროს.

1/I — 36 წ. წინადღით თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ შეტევა არ პქონდა. ცდების დროს გამოირკვა, რომ განწყობის ფიქსაცია არ ხერხდება: კრიტიკულ ობიექტებს ტოლად აღიქვამს.

7/I — 36 წ. წინადღით პქონდა ხანგრძლივი შეტევა (დაახლოებით 2½ საათის განმავლობაში). შეტევის დროს ესმოდა ხმამაღალი ლაპარაკი, რომლითაც მას მიმართავდნენ, მაგრამ კარგად ვერ არჩევდა, რას ეუბნებოდნენ. განწყობა — ტლანქი სტატიკური, ხანმოკლე ირადიაციით ოპტიკურ სფეროში.

14/I, 16/I, 20/I და 25/I გამოკითხვებიდან გამოირკვა, რომ ამ ხნის განმავლობაში შეტევები არ პქონია და თავს კარგად გრძნობდა.

ამ დღეებში ჩატარებული ცდების შედეგად აღმოჩნდა პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, რომელიც კარგად ირადირდება პაპტუ-

რიდან ოპტიკურ სფეროში. სხვა დროს — იმ პერიოდში, როცა ავადმყოფს შეტევები ჰქონდა და თავს ცუდად გრძნობდა — ფიქსირებული განწყობა სულ სხვა მონაცემებს იძლეოდა.

დაკვირვების მთლიანი პერიოდის საერთო სურათი შემდეგია:

1. წინა დღის მთელი რიგი შეტევების შემდეგ ავადმყოფთან დეპრესიული მდგომარეობის სიმპტომები აღინიშნება, თავის ტკივილითურთ. ამ მდგომარეობაში პაციენტი იძლევა კონტრასტულ ილუზიათა დაუბოლოებელ რიგს კარგი ირადიაციით პაპტურიდან ოპტიკურ სფეროში, ე. ი. ტლანქ სტატიკურ ირადირებულ განწყობას. ამ მდგომარეობაში სტატიკური განწყობის კონფლიქტურ ადამიანებს უახლოვდება. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინაა, როდესაც ავადმყოფი, წინა დღის მთელ რიგ შეტევების შემდეგ, მდგომარეობის გაუმჯობესების გზას ადგია. დამახასიათებელია, რომ ასეთ შემთხვევაში განწყობის ფიქსაცია ზოგჯერ სულ არ ხერხდება.

2. იმავე მდგომარეობის უფრო მსუბუქი ფორმისა და, შემდეგ, თვითგრძნობის შესამჩნევი გაუმჯობესების შემთხვევაში განწყობის სურათი იცვლება: იგი ტლანქი სტატიკური რჩება, მაგრამ ირადიაცია პაპტური სფეროდან ოპტიკურში არ აღინიშნება და მას ლოკალური ხასიათი ეძლევა. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამ შემთხვევაში ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობა იჩენდეს თავს.

3. რამდენიმე დღის ისეთი პერიოდის შემდეგ, როდესაც ავადმყოფი თავისუფალი იყო შეტევისაგან, იგი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, შედარებით უკეთესს გუნებაზე იყო და ნორმალური, დინამიკური ადამიანის ფიქსირებულ განწყობას ააშკარავებდა — პლასტიკურ დინამიკურ განწყობას, რომელიც პაპტურიდან ოპტიკურ სფეროში ადვილად იძლეოდა ირადიაციას.

ასეთია ერთი პაციენტის მონაცემები, რომელნიც სხვა გამოკვლეულ ავადმყოფთა მონაცემებიდან არსებითად არ განსხვავდებიან.

ამრიგად, შეიძლება გავიმეოროთ, რომ ისტერიულთა დამახასიათებელ თავისებურებას ფიქსირებული განწყობის მკვეთრად გამოვლინებული ვარიაბილობა წარმოადგენს: ავადმყოფის მდგომარეობასთან დაკავშირებით მისი ფიქსირებული განწყობა ზოგჯერ სულ არ განირჩევა ნორმალური ჰარმონიული ადამიანის განწყობისაგან, მაგრამ ზოგჯერ ტლანქი სტატიკური და ლაბილური, ე. ი. ეპილეფსიისათვის დამახასიათებელი, განწყობის ფორმებში ვლინდება, ანდა სტატიკური ადამიანის ირადირებულ განწყობას უახლოვდება.

ასეთია ისტერიულთა განწყობის სურათი. ჩვენ ვხედავთ, რომ ისტერია სხვა განხილულ პათოლოგიურ მდგომარეობისაგან ფიქსი-

რებული განწყობის მკვეთრად გამოხატული ვარიაბილობით განსხვავდება, — იმით, რომ ამ განწყობას კონსტანტობა არა აქვს, რომელიც განხილულ პათოლოგიურ მდგომარეობასთან სხვა შემთხვევებში ჩვეულებრივ დასტურდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფიქსირებული განწყობის ეს თავისებურება, რომელიც საკმარისად კარგად ახასიათებს სწორედ ისტერიული ქცევის ვარიაბილობას, ამ ავადმყოფის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს.

მაგრამ ისტერიულებს აქვთ სხვა თავისებურებებიც, რომელთა შესწავლა საჭიროა, რათა ამ დაავადების არსის შესახებ უფრო გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ.

2. განწყობის სტაბილობა წარმოდგენის შემთხვევაში. პირველ რიგში უნდა გამოვარკვიოთ, შეუძლიათ თუ არა ისტერიით დაავადებულთ განწყობის სტიმულირება წარმოდგენის ბაზაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა სპეციალური ექსპერიმენტები[1]. აღმოჩნდა, რომ ისტერიას ამ მხრივ სპეციფიკური მაჩვენებლები აქვს, რომელნიც მკვეთრად განსხვავდებიან იმისაგან, რასაც ჩვენი ნორმალური ცპ-ბი იძლევიან, და იმისაგანაც, რაც სხვა პათოლოგიურ მდგომარეობათა შესახებ არის ცნობილი.

თუ შევადარებთ ნორმალურ ცპ-ისაგან მიღებულ მონაცემებს წარმოდგენის საფუძველზე სტიმულირებული განწყობის შესახებ იმას, რაც მიღებული გვაქვს, ამ მხრივ, ისტერიულების შემთხვევაში, ამ უკანასკნელთ მნიშვნელოვანი უპირატესობა აღმოაჩნდება: ასე, მაგალითად, ისტერიით დაავადებულს განწყობა წარმოდგენის საფუძველზე გაცილებით უფრო ადვილად და უფრო ხშირად უჩნდება, ვიდრე ჩვეულებრივ ცდისპირებს. აღსანიშნავია და განსაკუთრებით საინტერესო, რომ ეს განწყობა ისტერიულთან გაცილებით უფრო მტკიცეა და გამძლე, ვიდრე ჯანმრთელ პირთა შემთხვევაში.

რამდენად დიდი შეიძლება იყოს განსხვავება ამ მხრივ მათ შორის, ეს შემდეგიდანაც ჩანს: მაშინ როდესაც წარმოდგენით სტიმულირებული განწყობის ძლიერი ილუზია ჩვენი ისტორიულობის 60%-ს პაპტურ სფეროში და 46%-ს ოპტიკურში უჩნდება, ამგვარი ილუზია ჯანმრთელთა შემთხვევაში მხოლოდ ერთ ცპ-თან (17%) აღინიშნება.

ეჭვს გარეშეა, რომ წარმოდგენის ბაზაზე აღმოცენებული განწყობა ისტერიულთან შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე ჯა-

---

[1] *ე. �ჩნაძე,* წარმოდგენის საფუძველზე სტიმულირებული განწყობის საკითხისათვის ისტერიის შემთხვევაში. 1947წ. (ხელნაწერი)

ნმრთელ ადამიანთან. შეიძლება ითქვას, რომ მას ისეთივე ძალა აქვს, როგორიც აქტუალური სიტუაციით სტიმულირებულ განწყობას: განსხვავება მაჩვენებელთა შორის აქ 10%-ს არ აღემატება. ე. ი. რაოდენობას, რომელიც თავისუფლად შეიძლება უგულებელ იქნეს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენის საფუძველზე აღმოცენებული განწყობა ისტერიულთან ისეთივე სიმტკიცით ხასიათდება, როგორითაც სიტუაციის აქტუალური ზემოქმედების შედეგად სტიმულირებული განწყობა.

თუ დავუკვირდებით ფიქსირებული განწყობის სხვა ფაქტებს, ვნახავთ, რომ მისი განვითარების მთელი ხაზის გასწვრივ იმავე შედეგებთან გვაქვს საქმე. ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წარმოდგენით სტიმულირებული ფიქსირებული განწყობა საერთოდ არაფრით არ ჩამორჩება აქტუალური სიტუაციის ზემოქმედებით გამოწვეულ განწყობას. ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმ დიდი როლის შესახებ, რომელსაც წარმოდგენათა სამყარო ასრულებს ისტერიულ სუბიექტებთან.

ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორია, ამ შემთხვევაში, ისტერიული წარმოდგენის ბუნება?

ზევით აღვნიშნეთ, რომ არსებობს ამ მოვლენის ორი არსებითად სხვადასხვა ფსიქიკური ასპექტი: ჯერ ერთი, „წარმოდგენები", რომლებიც მიმდინარეობენ ჩვენი ცნობიერების არადიფერენცირებულ ან ნაკლებად დიფერენცირებულ პლანში. ეს ის წარმოდგენებია, რომელნიც სრულიად არ არიან, ან ნაკლებად არიან ცნობიერების აქტივობის სხვა ასპექტებისაგან დიფერენცირებული, პირველ რიგში იმისაგან, რასაც, ჩვეულებრივ „აღქმას" ეუწოდებთ. ამგვარ „წარმოდგენებთან" საქმე გვაქვს, მაგ., სიზმრის მდგომარეობის დროს. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოდგენად ისეთ სპეციფიკურ განცდებსაც ვთვლით, რომელნიც „აღქმისაგან" დიფერენცირებულია და აქტუალურად მოქმედი გამღიზიანებლისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობენ.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ „წარმოდგენის" ეს დიფერენციაცია ობიექტივაციის პროცესის საფუძველზე ხდება — პროცესის საფუძველზე, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ წარმოდგენის ცნების ამ ორ მნიშვნელობას და ისტერიულის „წარმოდგენას" ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ნათელი გახდება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისტერიულის განცდებთან, რომელნიც ჩვენი ცნობიერების პირველს, ნაკლებად დიფერენცირებულ პლანზე მიმდინარეობენ. ამიტომ გასაგებია, რომ ისტერიულის „წარმოდგენის" საფუძველზე აღმოცენე-

ბული განწყობა არაფრით განსხვავდება განწყობისაგან, რომელიც აქტუალური აღქმებითაა სტიმულირებული: აკი ისტერიულის „წარმოდგენა" ჯერ კიდევ არაა აღქმისაგან დიფერენცირებული!

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ისტერიულის „წარმოდგენები" სიზმრის წარმოდგენებისდაგვარ განცდებს შეადგენენ, და ამიტომაც ნათელია, რომ „წარმოდგენების" ფაქტის აღიარება ისტერიულთან ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასთან ობიექტივაციის უნარის აღიარებასაც — ისტერიულის „წარმოდგენა" ცნობიერების ობიექტივირებულ შინაარსად ვერ ჩაითვლება. ავადმყოფობის გამწვავების პერიოდში ისტერიულის ცნობიერება ისეთ მდგომარეობაში იძირება, რომელიც ჩვენი სიზმრის ცნობიერების მდგომარეობას მოგვაგონებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მიმართებაშია ისტერიულის წარმოდგენით სტიმულირებული ფიქსირებული განწყობა მის აქტუალურ სიტუაციაში ფიქსირებულ განწყობასთან? ჩვენ ვნახეთ, რომ უკანასკნელი თავისი გამოვლინების მკვეთრი ვარიაბილობით ხასიათდება. იჩენს თუ არა თავს ეს თვისება წარმოდგენის საფუძველზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაშიც? თუ დავუკვირდებით განწყობის ამ ფორმის მონაცემებს, ვნახავთ, რომ აქ, ამ მხრივ, სწორედ ისეთივე სურათი გვაქვს, რაც აქტუალურ პირობებში ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში, ე. ი. ვარიაბილობა წარმოდგენით სტიმულირებული განწყობის შემთხვევაშიც ისტერიულის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

ზემო ნათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ ისტერიულები წარმოადგენენ ადამიანებს, რომელთაც როგორც აღქმით, ისე მისგან ნაკლებად დიფერენცირებული წარმოდგენით სტიმულირებული განწყობის მნიშვნელოვანი ვარიაბილობა და აგზნებადობა ახასიათებთ.

იბადება საკითხი იმ პრემორბიდული მდგომარეობის შესახებ, რომლის ნიადაგზეც, ჩვეულებრივ, ეს დაავადება აღმოცენდება. ზევით, განწყობის ტიპოლოგიურ ერთეულთა შესწავლისას, ჩვენ, სხვათა შორის, ე. წ. ვარიაბილურ-ლაბილური ტიპის ანალიზზეც შევჩერდით. მაშინ ჩვენ ვნახეთ რომ ამ ტიპის ადამიანთა ყველაზე უფრო დამახასიათებელ თავისებურებას ფიქსირებული განწყობის ვარიაბილობა და ლაბილობა შეადგენს, ისევე როგორც იმ შემთხვევათა სიხშირეც, როცა განწყობის ფიქსაცია სულ არ ხერხდება. როგორც ისტერიულის, ისე ამ სუბიექტთა ფიქსირებული განწყობაც მოკლებულია კონსტანტობას: იგი შემთხვევიდან შემთხვევაზე ვარიაბილობს, ე. ი. გამოვლინების ფორმებს იცვლის და, ამასთანავე, ან გარკვეულად სწრაფი ჩაქრობის ტენდენციას ამჟღავნებს, ან და სრულიად არ ფიქსირდება.

ამრიგად, თუ ვარიაბილურ-ლაბილურ ადამიანთა და ისტერიულთა განწყობის თვისებებს ერთმანეთს შევადარებთ, მათი სიახლოვე ჩვენთვის ყოველივე ეჭვის გარეშე დარჩება. მეტიც – შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ მხრივ არც არის რაიმე განსხვავება მათ შორის.

მაგრამ, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მწვავე შემთხვევებს, ვნახავთ, რომ ისტერიულსა და ვარიაბილურ-ლაბილურ ტიპს შორის არსებითი მნიშვნელობის განსხვავება არსებობს: მაშინ, როდესაც ვარიაბილურ-ლაბილური ადამიანი ჩვეულებრივს ჯანმრთელ სუბიექტს წარმოადგენს, რომელიც ნორმალურსა და, ზოგჯერ, საკმარისად პროდუქტიულ ცხოვრებას ატარებს, ისტერიული გარკვეულად ავადმყოფი ადამიანია, რომელიც, გამწვავების პერიოდებში, ნორმალურ მუშაკთა რიგებიდან გამოითიშება და მთლიანად სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ დგება.

ბუნებრივად ჩნდება საკითხი, რაში უნდა ვეძიოთ ვარიაბილურ-ლაბილური სუბიექტის ამ არსებითი ცვლილებების საფუძველი. მე შევჩერდები მხოლოდ ერთ მომენტზე, დანარჩენს კი, შესაძლებელია მნიშვნელოვანს, აქ არ შევეხები. საქმე ისაა, რომ ვარიაბილურ-ლაბილური სუბიექტები, ისევე, როგორც კონფლიქტური ტიპის სხვა პირებიც, ცხოვრების ნორმალურ წარმომადგენელთა დონეზე რჩებიან: საჭიროების მიხედვით ასეთ ადამიანს შეუძლია საკუთარი ქცევის მოწესრიგება ობიექტივაციის პოზიციებიდან – პოზიციებიდან, რომელნიც მას მეტად ან ნაკლებად მაინც შერჩენია: ცხოვრების გადამწყვეტ მომენტებში ასეთი სუბიექტი ობიექტივაციისათვისაც საჭირო ძალთა მობილიზაციას და ამ ობიექტივაციის საფუძველზე სათანადო ქცევის გაშლას ახერხებს. შეტევის მდგომარეობაში კი ის მოკლებულია ამ უნარს, და მისი ქცევა ბუნებრივ, არაგაშუალებულ განწყობათა საფუძველზე მიმდინარეობს.

განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები

I. ზოგადი მოძღვრება განწყობის შესახებ

1. ფსიქიკის შინაარსი თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით და ამ მეცნიერების კრიზისი. ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება სულის შესახებ, პირველად არისტოტელეს მიერ იქნა ჩამოყალიბებული და შეიძლება ითქვას, არსებითად იგი დღემდე ინარჩუნებს იმ საფუძვლებს, რომელზედაც ამ მეცნიერებას არისტოტელე აგებდა. იგი დღესაც კმაყოფილდება ფსიქიკური ცხოვრების ტრადიციული ფორმების — შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის შესწავლით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესების არსის შესახებ აზრთა საკმარისი სხვადასხვაობა არსებობს, სადავოდ არ ითვლება, რომ ჩვენი მეცნიერების არსებით შინაარსს სწორედ ეს პროცესები წარმოადგენს. მიღებულია, რომ ფსიქოლოგიას საქმე აქვს „ცნობიერების" პრობლემასთან და რომ „ცნობიერება" მხოლოდ და მხოლოდ შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის ფაქტებში ვლინდება.

ასეთი თვალსაზრისი საეჭვოდ არ მიაჩნიათ ისეთ მკვლევარებსაც კი, რომელნიც თვლიან, რომ ფსიქიკა თავის თავში მოიცავს არა მარტო ცნობიერი, არამედ არაცნობიერი ცხოვრების მოვლენებსაც, მკვლევარებს, რომელნიც შესაძლებლად მიიჩნევენ ფსიქოლოგიაში „არაცნობიერის" პრობლემის არსებობას, მაგ.: ე. წ. „ფსიქოანალიზის" წარმომადგენლებს (ფროიდი და სხვ.), საქმე ისაა, რომ ფროიდის არაცნობიერის ცნება არ შეიცავს რაიმე დადებით შინაარსს. იგი გამოხატავს მხოლოდ ცნობიერი მდგომარეობის უარყოფას, მხოლოდ იმ აზრს, რომ არის შემთხვევები, როცა ჩვენ მართალია, ვერ ვადასტურებთ ჩვენში რაიმე ცნობიერ ფსიქიკურ აქტსა ან შინაარსს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში უდავოდ არის რაღაც ფსიქიკური შინაარსი. ასეთი სახის შინაარსები, როგორც წესი „არაცნობიერ" შინაარსებადაა წოდებული. მაგრამ წარმოადგენენ თუ არა ისინი — ეს განცდები — რაიმე განსაკუთრებულს, რაღაც ისეთ შინაარსს, რომელიც არ თანხვდება ჩვენს ცნობიერ ფსიქიკურ განცდებს?

ეს საკითხი არავითარ სიძნელეს არ იწვევს, თუ მოვიგონებთ, რომ არაცნობიერმა მდგომარეობამ შეიძლება დატოვოს არაცნობიერის ფარგლები და ასეთ შემთხვევაში იგი საკუთარი ჩვეულებრივი ცნობიერი ფსიქიკური განცდის სახით წარმოგვიდგება.

ერთი სიტყვით, არაცნობიერის ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც

არსებობს მხოლოდ გარკვეული ფსიქიკური შინაარსები — შემეცნება, გრძნობა, ნებელობა, რომელიც შეიძლება იყოს ან ცნობიერ ან არაცნობიერ მდგომარეობაში. ფსიქიკის რაიმე სხვა შინაარსებს დღემდე არსებული ფსიქოლოგია არ იცნობს და, ბუნებრივია, იგი მათი შესწავლით შემოიფარგლება. არისტოტელედან დაწყებული ფსიქოლოგია ყოველთვის აღნიშნულ მდგომარეობათა კვლევის გზით ანარმოებს ძიებას და თავისი განვითარების უკანასკნელ საფეხურებზეც კი, ფსიქიკური პროცესების ექსპერიმენტული დაუფლების საფეხურზეც კი, ვერ ბედავს ფსიქიკური ცხოვრების კვლევის ამ ჩვეული საზღვრების გადალახვას.

მაგრამ როგორია შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის მოვლენათა ამ მრავალსაუკუნოვანი კვლევის შედეგები? მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან, შეიძლება ითქვას, ყოველი მხრიდან გაისმის ხმა ჩვენი მეცნიერების კრიზისის შესახებ. დგება პრობლემები ჭეშმარიტად მეცნიერული ფსიქოლოგიის შესაძლებლობის შესახებ, დგება ამოცანა ფსიქოლოგიის გადახალისებისა და ძველი პოზიციების — ფსიქოლოგიის, როგორც ცნობიერების შესახებ მეცნიერების (გეშტალტ-ფსიქოლოგია) პოზიციების ჩარჩოებში, ან და სრულიად ახალ საფუძვლებზე ფსიქიკის შესწავლის უარყოფისა და მთელი მეცნიერული ძიების ქცევის აქტების პრობლემათა შესწავლისაკენ წარმართვის (ბიჰევიორიზმი) საფუძველზე. მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა, რომელიც აღინიშნება როგორც აღნიშნული, ისე ბევრი სხვა ნაკლებ რადიკალური მიმართულებით, საკითხი ჩვენი მეცნიერების კრიზისის შესახებ დღესაც ძალაში რჩება. უდავოა, რომ ბურჟუაზიული ფსიქოლოგია იმყოფება ჩიხში, რომლიდანაც მას გამოსავალი ვერ უპოვნია.

2. ფსიქოლოგიის ამოსავალი პუნქტი არის არა ფსიქიკური მოვლენები, არამედ თვით ცოცხალი ინდივიდი, რომელსაც ეს ფსიქიკური მოვლენები გააჩნია. რითია გაპირობებული აღნიშნული ვითარება? ემპირისტული ფსიქოლოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი საფუძველშივე მანკიერია და რეფორმები, რომელიც მხოლოდ მის ზედაპირულ საკითხებს ეხება, ვერ მოგვცემენ ჩვენი მეცნიერების პრობლემის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგია იმთავითვე მიისწრაფვის ფსიქიკური ცხოვრების პროცესების შემეცნების, გრძნობის, ნებელობის პროცესების შესწავლისაკენ. თანაც თვლის, რომ ყველა ეს პროცესი უშუალოდ და იმთავითვეა მოცემული და ამიტომ, მათი შესწავლა შეიძლება რაიმე პრინციპული სიძნელეების გარეშე განხორციელდეს; ფსიქიკური პროცესების

დეტალური ანალიზის საშუალებით შეიძლება უშუალოდ დავადგინოთ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებანი, უშუალოდ გავიგოთ ჩვენი ქცევის თავისებურებანი.

რა თქმა უნდა, ემპირისტულ ფსიქოლოგიას არ შეუძლია გვერდი აუაროს პიროვნების გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტს, არ შეუძლია სრულიად არ მიიღოს მხედველობაში ის გარემოება, რომ სასიცოცხლო ურთიერთობათა პროცესში აქტიურად მოქმედებს არა ადამიანის რომელიმე ფუნქცია უშუალოდ, არამედ თვითონ ადამიანი, როგორც აქტიურად მოქმედი სუბიექტი, მაგრამ როცა საკითხი იმის შესახებ დგება, თუ რას წარმოადგენს იგი ფაქტიურად, რა არის ადამიანის პიროვნება, ტრადიციული ფსიქოლოგია მიმართავს ფსიქიკური პროცესების ამოსავალ ცნებებს და პიროვნების იდეის აგებას ამ უკანასკნელთა საფუძველზე ცდილობს.

ამგვარად, პიროვნება იქცევა ნაწარმოებ ცნებად, იგი გამოიყენება ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ცალკეული კერძო ცნებებიდან და, მიუხედავად ამისა, მისი ფსიქიკური ცხოვრების საწყისად და საფუძვლადაა გამოცხადებული, როგორც ჩანს, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიის კურსებში პიროვნების ცნებას ან სრულიად არ ეხებიან, ანდა იხილავენ მხოლოდ კურსის უკანასკნელ ნაწილში, მას შემდეგ რაც ფსიქიკური ცხოვრების მოვლენათა საკითხი უკვე ამოწურულია და იქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ პიროვნების ცნების აღნიშნულ მოვლენებზე დაყვანას შევეცადოთ.

მაგრამ სადავო არაა, რომ სინამდვილესთან აქტიურ ურთიერთობას ამყარებს უშუალოდ თვითონ სუბიექტი და არა მისი ფსიქიკური მოქმედების ცალკეული აქტები და თუ ამ უეჭველ ფაქტს ამოსავალ დებულებად მივიღებთ, მაშინ უდავოა, რომ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ამოსავალ ცნებას უნდა წარმოადგენდეს არა ცალკეული ფსიქიკური პროცესები, არამედ *თვით სუბიექტი*, როგორც მთელი, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში იძულებული ხდება მიმართოს თავის ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პირველადი თვით სუბიექტია, ხოლო მისი ფსიქიკური აქტივობა რაღაც წარმოებული.

ფსიქოლოგიური მეცნიერება თავისი კვლევის საგნის გარკვევისას ამოდის ფსიქიკურ მდგომარეობათა ცნებებიდან, რომელიც კონკრეტული ფსიქიკური აქტივობის მოვლენებს კი არ წარმოადგენს, არამედ რაღაც უდავოდ აბსტრაქტულს, ადამიანის *მოქმედების* ცოცხალი სინამდვილისაგან სრულიად განყენებულს. ფსიქოლოგიის ამოცანა კი პირველ რიგში სწორედ ამ მოქმედების შესწავლაა, მოქმედებისა,

რომლის საფუძველზეც აღიმართება შემდეგ მთელი ჩვენი ფსიქიკური შინაარსები — ჩვენი შემეცნება, ჩვენი გრძნობა, ჩვენი ნებელობა. ამ აუცილებელი პოზიციის მიღებისას ფსიქოლოგიამ პირველ რიგში უნდა დააყენოს საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს მოქმედება, როგორია მისი კონკრეტული შინაარსი, რომლის დანახვაცა და კვლევაც ჩვეულებრივი მეცნიერული მეთოდებით უნდა იყოს შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეცნიერება მოწოდებულია დააყენოს საკითხი ადამიანის მოქმედების კანონზომიერებათა ფსიქოლოგიური ანალიზისა და შესწავლის შესახებ, რამდენადაც ეს მოქმედება წანამძღვარია ფსიქიკური ცხოვრებისა, რომელიც მის საფუძველზე აიგება და ვითარდება. ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ამგვარი გაგება, რომლის თანახმადაც ფსიქიკური აქტივობა თავის თავში შეიცავს *სუბიექტის, როგორც მთელის, აქტივობას,* გულისხმობს, რომ ფსიქოლოგიამ თავის ძიება პირველ რიგში სუბიექტის, *პიროვნების,* როგორც *მთელის,* და არა მისი ფსიქიკური მოქმედების ცალკეული აქტების კვლევით უნდა დაიწყოს. სინამდვილის ამ სფეროს შემდგომი შესწავლა გვაჩვენებს, რომ ადამიანის ფსიქიკური მოქმედებაც — მისი ცნობიერების მოვლენები, რომელთაც დღემდე შეისწავლიდნენ, როგორც გარკვეული აზრით დამოუკიდებელ არსს, — მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის შემდგომ სპეციფიკაციას, სუბიექტის განსაზღვრას, ამ პიროვნული მთელის განსაზღვრას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგია წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერება სუბიექტის კონკრეტული სულიერი ცხოვრების შესახებ და არა როგორც მეცნიერება აბსტრაქტული, ე. წ. სულიერი მოვლენების შესახებ, როგორც ეს თანამედროვე ფსიქოლოგიაში — ბურჟუაზიული ქვეყნების ფსიქოლოგიაშია წარმოდგენილი.

3. ადამიანის ცხოველმოქმედების პირველადი ფორმების შესწავლის შესაძლებლობისა და მნიშვნელობის საკითხისათვის. თუ ადამიანის ფსიქიკას განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი ფსიქიკური პროცესები — შემეცნების, გრძნობების, ნებელობის აქტები — წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ განვითარების სრულიად გარკვეულ პროდუქტს, რომ ისინი, როგორც ასეთნი, შეიძლება გაჩენილიყვნენ ან შემუშავებულიყვნენ მხოლოდ საკმარისად ხანგრძლივი ევოლუციური გზის გავლის შედეგად, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ განვითარების პროცესი სრულიადაც არ წარმოადგენს განვითარებადი მოვლენის მხოლოდ რაოდენობრივი ზრდის პროცესს; ჩვენ ვიცით, რომ მასში ჩართულია თვისობრივი

ცვლილებების საფეხურები. მაშასადამე, როდესაც საკითხს ფსიქიკის განვითარების შესახებ ვაყენებთ, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ მისი თანამედროვე ფორმები წარმოადგენს მის მარადიულ ფორმებს, რომლებიც არ ექვემდებარება რაიმე თვისობრივ ცვლილებებს. უნდა დავუშვათ, რომ ადამიანის ფსიქიკამ, ვიდრე იგი თავისი შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის თანამედროვე ფორმებში ჩამოყალიბდებოდა, ცვლილებათა გრძელი გზა გაიარა, რომ მას აქვს თავისი აღმოცენების საწყისი ფორმები, რომელიც წინ უსწრებდა მის თანამედროვე ფორმებს.

ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ ფსიქიკის ეს ფორმები და ამასთან ერთად დავაყენოთ საკითხი აღნიშნულ ფორმათა მონაწილეობისა და როლის შესახებ თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში.

მაგრამ როგორ განვახორციელოთ ეს? ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნებოდა შეგვესწავლა ცხოველთა სამყაროს განვითარების ფილოგენტურად დაბალი საფეხურის წარმომადგენლები და გვენახა რა მდგომარეობაა აქ, რას წარმოადგენს მათი ცხოველმოქმედება, ხომ არა აქვთ მათ ქცევის ისეთი ფორმები, რომელთა მართვა ადამიანთა ცნობილი ფსიქიკური აქტების — შემეცნებითი, ემოციონალური და ნებელობითი პროცესების — გარეშე ხორციელდება. მაგრამ ასეთი გზა ამ შემთხვევაში ნაკლებ მიზანშეწონილი იქნებოდა. რაკი ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს ფსიქიკური ცხოვრების პრიმიტიული ფორმების შესახებ — ცხოველმოქმედების საფუძვლად მდებარე საწყისი ფაქტორების შესახებ — ცხოველთან ჩვენ ვერაფრის დანახვას ვერ მოვახერხებთ — იმდენად უცხოდ და ნაკლებ მისაწვდომად წარმოგვიდგება იგი განვითარების ჩვენს საფეხურზე.

ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დავკვირვებოდით ჩვენ თავს, დავკვირვებოდით ქცევას ადამიანის საფეხურზე. მასალები აქ უფრო ფართოა, და, რაც მთავარია, უფრო გასაგები, ვიდრე ეს ცხოველთა დაკვირვების შემთხვევაში იქნებოდა: ამიტომ ახალი, აქამდე სრულიად შეუმჩნეველი მოვლენების პოვნა ან შემჩნევა აქ უფრო მისაწვდომია, ვიდრე ცხოველთან, რომლის გაგება ჩვენ გვიჭირს, ან სრულიად არ შეგვიძლია. აქ უფრო ადვილად შევძლებდით დაგვენახა ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ეს ახალი მომენტები და არა მარტო დაგვენახა, არამედ გაგვეხადა ისინი დაკვირვების სპეციალურ საგნად მრავალმხრივი თვალსაზრისით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარმოგვიდგებოდა ისინი ყოველ მოცემულ შემთხვევაში. ერთი სიტყვით, უდავოა, რომ ამ მოვლენათა შესწავლა ადამიანის საფეხურზე უფრო მისაწვდომი ჩანს, ვიდრე ცხოველის განვითარების საფეხურზე, რომელიც ესოდენ შორსაა ჩვენგან.

მაგრამ აქ იბადება კითხვა – ექნებოდა თუ არა ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა ცხოველმოქმედების განვითარების დაბალი საფეხურების შესწავლას ისეთ მაღალ საფეხურზე, როგორიც ადამიანს უკავია? თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადრეული, მათი წინამორბედი ფორმები კი არ ისპობა და შეინაცვლება ახალი ფორმებით, არამედ, მართალია მოხსნილი სახით, მაინც შემონახულია, ნათელი გახდება, რომ ჩვენი საკითხი შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს. ამ ადრეული საფეხურების შესწავლა ადამიანთან გვაძლევს, თუმცა პირველდაწყებით, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო ნათელ წარმოდგენას ყველაფერზე, რისი მიღებაც არ შეგვეძლო სხვა გზით, და ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ შემდგომში იგი სპეციალური დაკვირვების საგნად გავხადოთ არა ადამიანთან, არამედ უკვე თვით ცხოველთან. ამიტომ, უეჭველია, რომ მეცნიერების ძირითადი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, ცხოველმოქმედების იმ პირველადი ფორმების შინაარსის გარკვევაა, რომელიც თანამედროვე ადამიანთანაა წარმოდგენილი.

4. განწყობა, როგორც მთლიან-პიროვნული ფაქტორი და მისი აღმოცენების პირობები. მაგრამ რას წარმოადგენენ ქცევის ეს ადრეული ფორმები ადამიანებთან? უდავოა, რომ ცხოველმოქმედება, თავისი ყველაზე უფრო ზოგადი სახით, წარმოადგენს აქტივობას, რომელიც სუბიექტის სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისკენაა მიმართული. ამიტომ, უეჭველია, რომ ქცევის შესწავლისას, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, ძირითად როლს *მოთხოვნილების* ცნება თამაშობს, მოთხოვნილებისა, რომლის გარეშეც სიცოცხლე საერთოდ შეუძლებელია.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს ცხოველმოქმედება განხორციელდეს, გარკვეული პირობებია აუცილებელი: პირველ რიგში აუცილებელია სათანადო საკვები, რომელსაც ირგვლივ არსებული ბუნება იძლევა. ცხოველმა აქტიური ურთიერთობა უნდა დაამყაროს ამ ბუნებასთან იმისათვის, რომ მიიღოს, მოიპოვოს მისგან საკვები. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმს ნამდვილად ესაჭიროება ეს საკვები, თუ მას შესატყვისი მოთხოვნილება აქვს.

მაშასადამე, ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოცენდება და განვითარდება აქტიური ხასიათის ურთიერთმოქმედება, თუ ორგანიზმს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება უჩნდება, ხოლო გარემოში კი ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალება არსებობს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოცხალი არსების ყოველგვარი ქცევა განვითარების რომელ საფეხუ-

რზეც არ უნდა იდგეს იგი, უდავოდ გულისხმობს ამ ორი პირობის არსებობას: მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობას.

თვალი რომ გავადევნოთ ცოცხალი ორგანიზმის განვითარების მთელ რთულ ერთობლიობას ადამიანის, მისი რთული ფსიქიკური ცხოვრების ჩათვლით, ვნახავთ, რომ ქცევა ყოველთვის ამ ორ ძირითად ფაქტორს ემყარება. მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი პირობების გარეშე, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გარეშე, რა თქმა უნდა, ვერავითარი ქცევა ვერ განხორციელდება. სრულიად უდავოა, რომ სიცოცხლის განვითარებასთან ერთად მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად იცვლება, ჩნდება სრულიად ახალი მოთხოვნილებები, ხოლო ძველი ზოგჯერ იმდენად რთულდება, რომ მათი ცნობა თითქმის შეუძლებელი ხდება, მაგრამ მათი არსი — სწორედ ის, რომ ისინი მოთხოვნილებას წარმოადგენენ — იგივე რჩება. თავისთავად ცხადია, რომ იგივე უნდა ითქვას მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალებების შესახებაც: მოთხოვნილებათა შეცვლასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეს საშუალებებიც იცვლება, მაგრამ ამის გამო ისინი არ კარგავენ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალებების სახეს. ერთი სიტყვით, მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის ცნებები წარმოადგენს აუცილებელ ცნებებს, რომელთა გარეშე ადამიანისა ან ცოცხალი არსების ქცევა საერთოდ წარმოუდგენელია.

მაგრამ აქ ჩვენ გვაინტერესებს საკითხი მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთობის ფსიქოლოგიური შინაარსის შესახებ, რომლის საფუძველზე აღმოცენდება ცოცხალი არსების, და კერძოდ ადამიანის გარკვეული ხასიათის ქცევაც. აქ ჩვენ შეგვიძლია დავემყაროთ ჩვენი დაკვირვებების ზუსტ მონაცემებს. ავიღოთ მაგალითისათვის რომელიმე გარკვეულად გამოხატული მოთხოვნილების შემთხვევა: ვთქვათ, ძლიერ წყურვილს განვიცდი და ასეთ მდგომარეობაში გავიარე იმ ადგილას, სადაც გამაგრილებელი წყლები იყიდება და სადაც, სხვათა შორის, ყოველდღე რამდენჯერმე მიხდება ჩავლა. ამჯერად ვგრძნობ, რომ გამაგრილებელი სასმელი მიზიდავს, თითქოს თავისკენ მეწევა. მე ვემორჩილები ამ სწრაფვას, ვჩერდები, ვთხოულობ წყალს, რომელიც ახლა განსაკუთრებით მიმზიდველად მეჩვენება. როგორც კი დავიკმაყოფილებ წყურვილს, წყალი ჩემთვის მიზიდულობის ყოველგვარ ძალას კარგავს და, თუ მე ახლა, ამ მდგომარეობაში გავივლი იმავე ადგილას, იგი ჩემი ინტერესის გარეთ რჩება, ან და ზოგჯერ მე სრულიად ვერ ვამჩნევ მას.

ამ მოვლენისათვის წინათაც მიუქცევიათ ყურადღება (ლევინის Aufforderungscharater), მაგრამ იგი არ ყოფილა სათანადოდ გაგებული და გამოყენებული მეცნიერებაში. ანალიზი ამ მოვლენისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველასათვისაა ცნობილი და რომელსაც ყოველ წამს ვხვდებით, გვიჩვენებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობის მოვლენასთან, რომელიც სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიაში.

ამგვარად, როცა მე რაიმე მოთხოვნილება მიჩნდება, საგანი, რომელსაც მისი დაკმაყოფილება შეუძლია, მიზიდავს და მაიძულებს განვახორციელო აქტი, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობისას სუბიექტში აღმოცენდება სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მიდრეკილება, როგორც მიმართულება, როგორც მზაობა ისეთი აქტის განხორციელებისაკენ, რომელსაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. მართალია, ეს მიდრეკილება ყოველთვის არ განიცდება და ისიც მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ფერხდება დროის გაურკვეველი, მაგრამ ისეთი შუალედით, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ სუბიექტში ძალების ერთგვარი დაძაბულობა გამოიწვიოს. ჩვეულებრივ საქმე იქამდის არ მიდის, რომ აღნიშნულმა მდგომარეობამ სუბიექტის ემოციებში თავისი ასახვა პოვოს. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში მისი ასახვა სუბიექტში სრულიად არ ხდებოდეს. ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ რაიმე მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობისას სუბიექტში აღმოცენდება როგორც მისი *მზაობა*, როგორც მისი განწყობა გარკვეული მოქმედების შესრულებისაკენ, რომელიც მისი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველი ცოცხალი არსების, მათ შორის ადამიანის მოქმედება შეიძლება აქტივირებულ იქნეს მისი ცალკეული შემეცნებითი, ემოციონალური და ნებელობითი აქტების გარეშე, იგი შეიძლება აქტივირებული იქნეს მისი განწყობის საფუძველზე, რომელიც გამოხატავს არა რომელიმე ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციას, არამედ მთელი სუბიექტის, როგორც ასეთის, მდგომარეობას.

თუ მხედველობაში გვექნება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სწორედ მთლიანი სუბიექტის, როგორც მთელის აქტივობასთან, მა-

შინ გასაგები იქნება, რომ ამგვარი აქტივობის არსებობა შეიძლება დავუშვათ განვითარების იმ საფეხურებზე, სადაც საქმე ჯერ კიდევ არ მისულა სპეციალიზებული ცნობიერი ფსიქიკური ფუნქციების, — შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის მსგავსი ფუნქციების აღმოცენებამდე. ასეთ შემთხვევაში სავსებით დასაბუთებული იქნება იმის მტკიცება, რომ ქცევა ჩვენში ცნობიერი ფუნქციების გაჩენამდე ბევრად უფრო ადრე აღმოცენდება, რომ ქცევის ფსიქიკური საფუძვლები დადასტურებულ უნდა იქნეს და შეიძლება კიდეც დადასტურდეს ყველგან, სადაც საქმე გვაქვს ცოცხალ ორგანიზმთან მისი განვითარების ყველა საფეხურზე. მაშასადამე, სავსებით ბუნებრივად დგება საკითხი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ, მისი სულ უფრო წინ და სულ უფრო ზევით სვლის თანმიმდევრულად ცვლადი საფეხურების შესახებ — ფსიქოლოგიის წინაშე განწყობის საკითხი დგება.

უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, გვაქვს თუ არა განწყობის შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული იმ ჩვეულებრივ განცდებთან შედარებით, რომელნიც დღემდე შეისწავლება ფსიქოლოგიაში, ხომ არ წარმოადგენს განწყობა რაიმე კერძო ფაქტს — შემეცნებითს, ემოციონალურს, ან ნებელობითს. ფსიქოლოგებს არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება ისეთი მოვლენებისათვის, რომელიც პირველად მათ მიერ იყო აღმოჩენილი და მანამდე არავის მიერ არ ყოფილა აღწერილი; მაგრამ შემდეგ ყოველთვის ირკვეოდა, რომ ეს მოვლენა წარმოადგენს ერთ-ერთ კერძო შემთხვევას ცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების ძირითადი კატეგორიების სფეროდან — შემცნების, გრძნობის და ნებელობის სფეროდან — და ჯერჯერობით არავის პქონია სერიოზული ცდა გაერღვია ფსიქიკის ჩვეული საზღვრები და დაედასტურებინა რაღაც პრინციპულად განსხვავებული ყოველივე იმისაგან, რაც ტრადიციულად იყო დადგენილი მასში. და ეს არ ეხება მხოლოდ ფსიქიკური აქტივობის შინაარსებს, სავსებით იგივე უნდა ითქვას პიროვნების, თვით ამ აქტივობის სუბიექტის შესახებაც, — რამდენადაც ძირითად, ე. ი. პირველად მოცემულობად ფსიქიკური ცხოვრების ჩვეულებრივ კლასებს მიიჩნევდნენ — პიროვნების საკითხის შემთხვევაშიც ძალაუნებურად იგივე ფაქტებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამგვარად, ტრადიციული ფსიქოლოგია თვით მისმა ამოსავალმა გეზმა, რწმენამ, რომ არსებობს მხოლოდ ფსიქიკური აქტივობის ცნობიერი ფორმები, რომ შემეცნების, გრძნობისა და ნებელობის გარეთ არ არის არავითარი ფსიქიკა, მიიყვანა იქამდე, რომ მან

ფაქტიურად უარყო ფსიქიკური ცხოვრების მთლიანი აქტიური სუბიექტის არსებობა და პიროვნების ცნება მისი ფსიქიკური განცდების ერთობლიობაზე დაიყვანა.

ნ. განწყობის პრობლემა, როგორც ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა. როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს საკმარისი საფუძვლები, რომელიც არა მარტო ამართლებს, არამედ აუცილებელსაც კი ხდის ფსიქიკური ცხოვრების ანალიზისას, ამოსავალი ცნების სახით სწორედ მთლიანი სუბიექტის ცნების — პიროვნების ცნების შემოტანას... ცოცხალი, მთლიანი ადამიანის, თვით ადამიანისა და არა მისი აქტივობის ცალკეული ფაქტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ სუბიექტის რაიმე მოთხოვნილებისა და მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მასში ჩნდება მზაობა, ტენდენცია ან უფრო უკეთ — *განწყობა* გარკვეული აქტივობისაკენ, რომელსაც მისი დაკმაყოფილება შეუძლია. განწყობა წარმოადგენს სუბიექტის მოდუსს მისი მოქმედების ყოველ მოცემულ მომენტში, სუბიექტის მთლიან მდგომარეობას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მისი ყველა დიფერენცირებული ფსიქიკური ძალებისა და უნარებისაგან.

როცა განწყობის მეცნიერულ შესწავლას ვიწყებთ, პირველ რიგში ყოველგვარი ქცევის ანალიზისას ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში აუცილებლად არსებობს მოქმედი სუბიექტის განწყობისეული მდგომარეობის რაიმე რომელობით თავისებური, სპეციფიკური ცვლილება; მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამოცანის გადაწყვეტის ყოველ სიტუაციაში, პირველ რიგში მოქმედებს სუბიექტი, როგორც ასეთი, სუბიექტი, როგორც მთელი და არა როგორც მატარებელი ცალკეული ფსიქოფიზიკური ძალებისა, რომელიც მის წინაშე არსებული ამოცანის გადაჭრის საშუალებას, იარაღს წარმოადგენს.

ამიტომ უეჭველია, რომ ფსიქიკური მოქმედების ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, აქტიური სუბიექტის, როგორც მთელის, მოდიფიკაციის შესწავლით უნდა დავიწყოთ;

ჩვენი ამოსავალი თეზისი არსებითად განსხვავდება ყოველივე იმისაგან, რასაც დღემდე ემყარებოდა ფსიქოლოგია. ჩვენი თეზისების მიხედვით, ფსიქიკურ ფუნქციებსა და სინამდვილეს შორის უშუალო კავშირის პოსტულატი, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ბურჟუაზიული მეცნიერების ფსიქოლოგიურ აზრს, ყალბ თეზისად უნდა ჩაითვალოს. მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება არსებობს არა გარე სიტუაციას, ან გარემოსა და სუბიექტის ფსიქი-

კურ უნარებსა და ძალებს შორის, როგორც ამას ზემოხსენებული თეზისი გვიკარნახებს, არამედ უპირველეს ყოვლისა, თვით სუბიექტსა და იმ სიტუაციას შორის, რომელშიც იგი თავის ამოცანას წყვეტს. ამიტომ ბუნებრივია, რომ სუბიექტის, პიროვნების ცნება კი არ უნდა ავხსნათ მისი ცალკეული ფსიქიკური ძალებისა და უნარების მეშვეობით, არამედ პირიქით, აღნიშნული ფსიქიკური ძალები და უნარები, სუბიექტის ცალკეული ფსიქიკური ფუნქციები სუბიექტის ცნების საფუძველზე უნდა ავხსნათ და გავიგოთ. თუ სუბიექტის ძირითადი ფსიქოლოგიური არსი აქტივობის ყოველ მოცემულ მომენტში მისი განწყობის გარკვეულ მოდიფიკაციაში გვეძლევა, ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტის ფსიქოლოგიის ძირითად, განმსაზღვრელ პრობლემად განწყობის პრობლემა უნდა ჩაითვალოს.

6. „აღქმა", როგორც განწყობის ფაქტორი: ამ ტერმინის ორი მნიშვნელობა. ჩვენ ვნახეთ, რომ რაიმე მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის არსებობისას ცხოველში აღმოცენდება სპეციფიკური, მთლიანობითი მდგომარეობა — განწყობა — გარკვეული მოქმედებისაკენ, რომელმაც არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა შესძლოს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეს აქტუალური სიტუაციის წინასწარი აღქმის გარეშე? იმისათვის, რომ სუბიექტმა გარკვეულ სიტუაციას მიმართოს, რათა ეს უკანასკნელი ამჟამად არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენოს, საჭიროა, რომ მან შეამჩნიოს ეს სიტუაცია, საჭიროა, რომ მან აღიქვას ობიექტი, რომელსაც მისი დაკმაყოფილება შეუძლია. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მოთხოვნილებისა და ობიექტის, როგორც მისი დაკმაყოფილების პირობის, არსებობისას სუბიექტს შეუძლია მიმართოს შესატყვის აქტივობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან შეამჩნია ამ ობიექტის არსებობა, თუ იგი თავისი აღქმის საგნად აქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ აქ ძიების რთულ პრობლემას არ შევეხებით) იგი უმოქმედოდ დარჩება.

მაშასადამე, როგორც ჩანს, უნდა ვაღიაროთ, რომ აქტუალური მოთხოვნილებისა და ობიექტის, როგორც მისი დაკმაყოფილების პირობის, არსებობის შემთხვევაში სუბიექტმა პირველ რიგში უნდა შენიშნოს, „აღიქვას" ეს ობიექტი, რათა შემდეგ, მიღებული განწყობის საფუძველზე მიმართოს მოქმედების სათანადო აქტებს, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის იქნება გამიზნული. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ქცევასთან დაკავშირებული ობიექტების „აღქმა" უფრო ადრე აღმოცენდება, ვიდრე თვით განწყობა ამ ქცევისადმი.

მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ თავისთავად რისამე

აღქმა არ წარმოადგენს უფრო ნაკლებ სრულსა და დამოუკიდებელ აქტივობას, ვიდრე ყოველგვარი სხვა ქცევა. განსხვავება შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ჩვენს მიერ ქცევად წოდებული აქტივობის შედგენილობის მეტ ან ნაკლებ სირთულეს. ასეთ შემთხვევაში კი ბუნებრივია, აღქმის ფაქტი არ შეიძლება წინ უსწრებდეს მის განწყობას. იგი შეიძლება მხოლოდ თან სდევდეს მას. იმისათვის, რომ სუბიექტმა რომელიმე გარკვეული მიზანმიმართული აქტი, კერძოდ, მაგ. აღქმის აქტი განახორციელოს, მასში, როგორც ამ ქცევის სუბიექტში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოცენდეს ერთგვარი მთლიანი მდგომარეობა, რომელიც შესძლებს განსაზღვროს ეს მისი აქტივობა — სუბიექტში ამ აღქმის განწყობა უნდა აღმოცენდეს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, აღქმა უნდა გვესმოდეს ერთი მხრივ, როგორც მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს განწყობის აქტს, ხოლო მეორე მხრივ — როგორც განცდა, რომელიც თან სდევს მას; მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეს?

ყურადღებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვენი აღქმის უნარის აქტივობის ორ სხვადასხვა საფეხურთან. განვიხილოთ ჯერ პირველი საფეხური.

თუ დავუშვებთ, რომ ჩვენს გრძნობის ორგანოზე გამღიზიანებელი უშუალოდ მოქმედებს ჩვენი პირვანდელი ინტერესებისა და განზრახვის მონაწილეობის გარეშე, თუ ეს გამღიზიანებელი არ უბიძგებს თვითონ პიროვნებას სათანადო მოქმედებისაკენ და მხოლოდ მის ორგანოს ეხება. მაშინ ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ გამღიზიანებელზე რეაქციას იძლევა არა სუბიექტი, არა პიროვნება, არამედ მხოლოდ ორგანო, რომელიც ღიზიანდება. საკვლევით გასაგებია, რომ აქ სუბიექტის განწყობა ხელუხლებელია, იგი გამღიზიანებლის გავლენის მიღმა რჩება, რადგან ეს უკანასკნელი ეხება არა თვით სუბიექტს, არამედ მისი სხეულის რომელიმე ორგანოს. ასეთი რამ ყველაზე ადვილად ისეთ შემთხვევაში მოხდება, როცა სუბიექტს არავითარი ინტერესი არა აქვს გარემო სინამდვილის მიმართ, როცა იგი, როგორც სუბიექტი, როგორც პიროვნება, სრულიად გამოთიშულია მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენათა ჯაჭვიდან. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაგ., მაშინ, როცა გვძინავს. ცნობილია, რომ ძილის დროს პრაქტიკული კავშირი ცოცხალ ორგანიზმს და მის გარემოს შორის სავსებით შეწყვეტილია: ძილი — ეს არის უარის თქმა ჩვენს ირგვლივ არსებულ სინამდვილესთან რაიმე აქტიურ კავშირზე.

მაგრამ როცა ჩვენ ვიღვიძებთ, მაგ. რაიმე გარე შთაბეჭდილების,

ვთქვათ, ძლიერი სმენითი გამღიზიანებლის ზემოქმედებით, ხდება ხოლმე, რომ დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ არა ვართ საბოლოოდ გამოფხიზლებული, ჩვენ არ განვიცდით ამ შთაბეჭდილებას, როგორც რაღაც ისეთს, რაც გარედან მოქმედებს ჩვენზე; ჩვენ მას განვიცდით უფრო, როგორც ჩვენი სმენითი ორგანოს მდგომარეობას, როგორც ხმაურს ყურში, და არა, როგორც ბგერას, რომელიც ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროდან მოდის, როგორც, ვთქვათ, აბობოქრებული ზღვის ხმაური.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მდგომარეობას მხოლოდ ძილიდან გამოსვლის მომენტში როდი აქვს ადგილი, იგი საერთოდაა დამახასიათებელი ცოცხალი ორგანიზმისა და, კერძოდ, ადამიანისათვის და მისი ყოველი აღქმა სწორედ ამ მდგომარეობით იწყება. მართალია, ჩვეულებრივ ჩვენ მას ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სუბიექტი სწრაფად ჩაირთვის პრაქტიკულ ურთიერთობაში გარემოსთან, სწრაფად ამყარებს კავშირს მასთან და კერძოდ, ყველა შთაბეჭდილებასთან, რომელიც მოქმედებს მასზე გარე სამყაროდან.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განწყობის, როგორც სუბიექტის ან პიროვნების მდგომარეობის, საფეხურს წინ უსწრებს მის რომელიმე გრძნობის ორგანოზე გამღიზიანებლის ზემოქმედების ერთგვარი პირველადი ეფექტი, რომელიც ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული, გარე სამყაროში ლოკალიზებული ობიექტური გამღიზიანებლის ნამდვილ, დასრულებულ აღქმად, ამიტომ ყველაზე ბუნებრივი იქნება, თუ ამ საფეხურს დავახასიათებთ, როგორც გარემოდან მოქმედი გამღიზიანებლის *შემჩნევის,* ან — უფრო ზუსტად — *შეგრძნების* საფეხურს.

ნამდვილი აღქმის განსახორციელებლად აუცილებელია სუბიექტის ჩარევა, აუცილებელია გარკვეულად განწყობილი პიროვნების მონაწილეობა. თუ დავუშვებთ, რომ არსებობს მოთხოვნილება, მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაცია და ამ სიტუაციაში მოქმედი გამღიზიანებლების შეგრძნება, მაშინ ხელს არაფერი გვიშლის ჩავთვალოთ, რომ ასეთ პირობებში აქტივობაში უნდა ჩაირთოს სუბიექტი, როგორც მთლიანი ცოცხალი ორგანიზმი და რომ მაშასადამე, ამისათვის მას პირველ რიგში, უნდა შეექმნას ამ აქტივობის შესატყვისი განწყობა — უნდა შეუმუშავდეს მისთვის საინტერესო აღქმის განწყობა.

ასეთ საფუძველზე მიღებული აღქმა — ნამდვილი დასრულებული აღქმა, უნდა განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმის პერცეფციის უნარის განვითარების მომდევნო საფეხური. ესაა განვითარების მეორე საფეხური, აღქმის საფეხური, რომელიც შემდგომ, ადა-

მიანთან, იცვლება მესამე საფეხურით, ობიექტივაციის საფეხურით, რომლის განხილვასაც ჩვენ მხოლოდ უფრო ქვემოთ შევძლებთ, განწყობის სპეციფიკური თავისებურებების განხილვისას.

იმისათვის, რომ დავასრულოთ განწყობის აღმოცენების პირობების ანალიზი, საჭიროა, რამდენიმე სხვა თვალსაზრისით, შევეხოთ ამ წინასწარი „შემჩნევის" თუ „შეგრძნების" ცნებას, რომელიც წინ უსწრებს განწყობის აღმოცენებას. როგორ უნდა გვესმოდეს იგი?

როგორც ცნობილია, ფსიქიკა არ წარმოადგენს ახალს, მატერიისაგან დამოუკიდებელ არსს. პირიქით, იგი უნდა იაზრებოდეს, როგორც თვისება, რომელიც მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება. მართალია, „ნათლად გამოხატული ფორმით" ფსიქიკა შეგრძნების სახით მატერიის მხოლოდ უმაღლეს ფორმებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს მისი უფრო ადრეული ფორმები, რომელიც წინ უსწრებდა შეგრძნებას, როგორც მისი განვითარების „ნათლად გამოხატულ ფორმას".

მაგრამ თუ ასეა, თუ ფსიქიკური თვისებები, საერთოდ მატერიის განვითარების პროცესში და მისი განვითარების კვალდაკვალ გამოვლინდება, მაშინ, რაღა თქმა უნდა, უეჭველია, რომ შეგრძნება და მით უფრო, აღქმა განვითარების რიგ საფეხურს გაივლის — უეჭველია, რომ არ არსებობს ერთიანი აღქმა, რომელიც მისი განვითარების ყველა შესაძლებელ ფორმას წარმოგვიდგენს; პირიქით, უფრო სწორი იქნება მივიღოთ, რომ არსებობს განვითარების სხვადასხვა საფეხურის აღქმა და რომ მათი განსხვავება აუცილებელია.

ამგვარად, შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ არსებობს, კერძოდ განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურების აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ არ ვაპირებთ ამ საფეხურების განვითარების საკითხის კვლევას, მაინც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ განვითარების ერთ-ერთი ხაზი ამ ფუნქციის დამოუკიდებლობის ზრდის მიმართულებით უნდა წასულიყო. აღქმა შედარებით დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენდა შემეცნებით პროცესებში და განვითარების მაღალ საფეხურებზე სრულიად დამოუკიდებელ ფსიქიკურ აქტად ყალიბდებოდა. ცნობილია შემთხვევებიც, როცა ადამიანის წინაშე, სავსებით დამოუკიდებელი ამოცანის სახით, რომელიმე კონკრეტულ ფაქტზე მთელი რიგი დაკვირვებების წარმოების აუცილებლობა ჩნდება იმისათვის, რომ ამის შემდეგ მოიძებნოს აღნიშნული ფაქტის ადგილი ანალოგიურ მოვლენათა სისტემაში.

საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ადრეული, უკვე განვლილი საფეხურები არ ისპობა განვითარების ახალი, უფრო მაღალი საფეხურე-

ბის გაჩენასთან ერთად. ისინი მართალია, მოხსნილი სახით, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობას მათ გვერდით.

ამგვარად, ქცევის შესახებ მოძღვრების ძირითადი დებულება შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: იმისათვის, რომ ქცევის რომელიმე ფაქტი აღმოცენდეს, აუცილებელია დავუშვათ, რომ პრიმიტიული აღქმის უნარის მქონე ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს რაიმე აქტივირებული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც გარემოს მოცემულ პირობებშია შესაძლებელი, ამ უკანასკნელთან ურთიერთობას ამყარებს მასში აღმოცენებული განწყობის მთლიანი მდგომარეობის საფუძველზე, რასაც იგი მოქმედების მიზანშეწონილი აქტების განხორციელებისაკენ მიჰყავს.

7. დიფუზური, დიფერენცირებული და ფიქსირებული განწყობა. დავუბრუნდეთ ადამიანის აქტივობის პროცესის მიმდინარეობის საკითხს. ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქტივობის დაწყებას უშუალოდ უსწრებს წინ მოქმედი პიროვნების განწყობა, როგორც მისი მთლიანი მდგომარეობა და პიროვნების მთელი აქტივობა შემდეგში ამ განწყობის წარმმართველი გავლენის ნიშნით მიმდინარეობს. პიროვნების აქტივობა, მისი მოქმედება მოცემული ამოცანის გადაჭრისათვის, არსებითად, მხოლოდ და მხოლოდ განწყობის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს. ვნახოთ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. დავუშვათ, რომ ჩვენს წინაშე არის სუბიექტი, რომელსაც პირველად აღეძრა მოთხოვნილება მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის პირობებში. ჩვენ ვიცით, რომ მოცემულ სიტუაციაში მას უნდა გაუჩნდეს განწყობა გარკვეული აქტივობისაკენ, რომელმაც მისი დაკმაყოფლება უნდა შესძლოს. დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის გამოცდილება არავითარ როლს არ ასრულებს და რომ მას თავის ცხოვრებაში პირველად უხდება მის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა. რა უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში? ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში სუბიექტი თავისი აქტივობის სიტუაციას საკმარისად სპეციფიკურად ვერ გაითვალისწინებს, ე. ი. ვერ მოახერხებს განავითაროს საჭირო აქტივობა სინამდვილის ყველა იმ პირობის შესატყვისად, რომელიც აუცილებელია მის წინაშე არსებული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. ასეთ შემთხვევაში აღმოცენებული განწყობა ვერ იქცევა სუბიექტის ისეთ მდგომარეობად, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. იგი უფრო რამდენადმე გაურკვეველი, თავისებურად *დიფუზური* ხასიათისა იქნება და იმისათვის, რომ სუბიექტის სავსებით გარკვეულ მდგომარეობად იქცეს და ამ სიტუაციის შესატყვისი აქტი-

ვობა განაპირობებს, იგი ამოცანის გადაწყვეტის პირობების თავისებურებათა შემდგომ ზემოქმედებას საჭიროებს.

ამგვარად, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ განწყობა, სუბიექტზე სიტუაციის საწყისი ზემოქმედებისას, ჩვეულებრივ, როგორც წესი, დიფუზური ხასიათისაა.

ეს აყენებს განწყობის შემდგომი დიფერენციაციისათვის გარკვეული ზომების მიღების საკითხს და ერთადერთი საშუალება, რომელიც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაქვს სუბიექტზე მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი მოცემული პირობების განმეორებითი ზემოქმედების ორგანიზაციაა.

უნდა ველოდეთ, რომ სიტუაციის ასეთი განმეორებითი ზემოქმედების შედეგად, სუბიექტს შეუმუშავდება, ჩამოუყალიბდება შესატყვისი განწყობა და როგორც ასეთი, გაუფიქსირდება კიდეც. ამგვარად, გარკვეული ხარისხით დიფერენცირებულსა და ამ მდგომარეობაში გაფიქსირებულ განწყობას მივიღებთ.

8. ფიქსირებული განწყობის ცდები. უეჭველია, რომ ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში განწყობის ყველაზე დამახასიათებელი ფორმა სწორედ დიფერენცირებული განწყობაა, რომელიც ამავე დროს, როგორც წესი, მის ფიქსირებულ ფორმასაც წარმოადგენს. ეს გარემოება განწყობის აქტივობის ფაქტების ექსპერიმენტული ანალიზის ფართო შესაძლებლობას გვიქმნის და ამდენად საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად და მრავალმხრივად შევისწავლოთ იგი. ჩვენ შეგვიძლია ვთხოვოთ სუბიექტს, რომელსაც წინასწარ ვუქმნით მიწოდებული ექსპერიმენტული ამოცანის გადაწყვეტის მოთხოვნილებას, გვიჩვენოს, მაგ. მიწოდებული ობიექტებიდან რომელია მოცულობით უფრო დიდი (ჩვეულებრივ, ჩვენს ცდაში ცდისპირს აწოდებენ ორ, მოცულობით მნიშვნელოვნად განსხვავებულ ბურთს). ამ ობიექტების ექსპოზიცია მეორდება რამდენჯერმე (10-15) იმისათვის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღმოცენებული განწყობის („უფრო დიდის" და „უფრო პატარას" შეფასების განწყობის) საკმარისი ფიქსაცია მოხდეს. იგულისხმება, რომ ამის შემდეგ სუბიექტს აქვს ფიქსირებული განწყობა — ორი განსხვავებული სიდიდის ობიექტის მოცულობის შეფასება (ამ შემთხვევაში მაგ. ხის ბურთებისა), ამიტომ მომდევნო (ვთქვათ მე-11, მე-16) ექსპოზიციისას ჩვენ ვცვლით ჩვეულებრივ ბურთებს, რომლითაც მასთან განწყობის ფიქსაციას ვახდენდით, ორი თანაბარი სიდიდის, ერთნაირი მოცულობის ბურთით და ვთხოვთ სუბიექტს გვითხრას როგორია ისინი (ამ ცდამ უნდა გამოავლინოს ფიქსირებული განწყობა ჩვენს ცდისპირთან და ამიტომ მას

კრიტიკული ცდა ეწოდება). თუ სუბიექტს ნამდვილად გაუჩნდა განწყობა და თუ იგი გაფიქსირდა მასთან განმეორებითი ექსპოზიციების პროცესში, მაშინ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიწოდებული ტოლი მოცულობის ბურთები მან უტოლოდ უნდა აღიქვას იმ განწყობის შედეგად, რომლის ფიქსაციაც მოხდა წინამორბედ ექსპოზიციაში, რომელთაც საგანწყობო ექსპოზიციებს ვუწოდებთ.

9. ცდები განწყობის მთლიან-პიროვნული ბუნების შესახებ. ეს ცდები საშუალებას გვაძლევს ექსპერიმენტულად შევისწავლოთ განწყობა — ყოველ შემთხვევაში მისი ფიქსირებული ფორმა — და აქ ჩვენ მათ გამოვიყენებთ პირველ რიგში განწყობის მთლიან-პიროვნული ხასიათის კარდინალური საკითხის გასარკვევად.

შევჩერდეთ, უპირველეს ყოვლისა, იმ საკითხზე, რომ განწყობა ადამიანთან წინ უსწრებს ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებს, რომ იგი ადამიანის აქტივობის ისეთი სფეროს ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც დღემდე არაცნობიერი ფსიქიკის სფეროს უწოდებენ.

ჩავატაროთ ჩვენს ცდისპირებთან საგანწყობო ცდები, მაგრამ სპეციფიკურ მდგომარეობაში, ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში! ეს ნიშნავს, რომ ჰიპნოზური შთაგონების ზეგავლენით დაძინების შემდეგ ცდისპირს თანმიმდევრულად აწვდიან 10-15-ჯერ განსხვავებული მოცულობის ბურთებს. შემდეგ უბრძანებენ დაივიწყოს ყველაფერი ამ ცდების შესახებ; იგი გაჰყავთ მეორე ოთახში და გამოჰყავთ ჰიპნოზური მდგომარეობიდან. ცდისპირს ეკითხებიან, რომ მას არაფერი ახსოვს დაყენებული ცდების შესახებ, აწვდიან ორი ტოლი მოცულობის ბურთს (კრიტიკული ობიექტები) და თხოვენ შეადაროს ისინი ერთმანეთს.

ეს ცდები, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა პირთან იქნა ჩატარებული, როგორც წესი, ერთსა და იგივე შედეგს იძლევა. კრიტიკულ ცდაში ბურთები გარკვეულად უტოლოდაა შეფასებული: ერთი ბურთი მნიშვნელოვნად უფრო დიდად განიცდება და სწორედ იმავე სახით, რა სახითაც განიცდება უტოლობა არა ჰიპნოზურ, არამედ ჩვეულებრივ საგანწყობო ცდებში.

რას გვეუბნება ჩვენი ჰიპნოზური ცდების შედეგები? უეჭველია, რომ კრიტიკულ ექსპოზიციებში ცდისპირი ტოლ ბურთებს უტოლოდ განიცდის იმიტომ, რომ მასთან ჩატარებულია საგანწყობო ცდები. მაშასადამე, ამ ცდების ეფექტი ცდისპირებთან სავსებით შენარჩუნებულია, ე. ი. საგანწყობო ცდებში ცდისპირს უმუშავდება განწყობა, რომელიც ცნობიერებაში არავითარ კვალს არ ტოვებს — ცდისპირებს სრულიად არაფერი ახსოვდათ ამ ცდების შესახებ. მიუხედავად

ამისა, განწყობა ცნობიერების გარეშეა შენარჩუნებული და კრიტიკულ ცდაში შესატყვის გავლენას ახდენს ტოლი ბურთების აღქმაზე — ისინი ცდისპირს აშკარად უტოლო ეჩვენება საგანწყობო ცდების გარკვეული გავლენის გამო, ამ ცდების შედეგების შესახებ კი, ვიმეორებთ, ცდისპირებს არაფერი ახსოვთ.

მაშასადამე, ამ ცდების თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ ცდისპირს ექმნება განწყობა და რამდენადაც ცდისპირმა ამ განწყობის არსებობის შესახებ არაფერი იცის, იგი არ შეიძლება მისი ცნობიერების შინაარსს წარმოადგენდეს. ანდა რაც იგივეა, არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო ფსიქიკურ ფაქტად. იგი — ეს განწყობა — უდავოდ უნდა გვესმოდეს, როგორც თვით სუბიექტის, როგორც მთელის მდგომარეობა. ასეთია პოსტჰიპნოზური შთაგონების ფაქტების შედეგი.

მაშასადამე, განწყობა წარმოადგენს პიროვნების მდგომარეობას, მის მოდუსს ყოველ მოცემულ მომენტში და არა რომელიმე მის კერძო ფსიქიკურ ფუნქციას, რომელსაც ადგილობრივი გავრცელება და ამის შესატყვისი მნიშვნელობა აქვს.

ვცადოთ ექსპერიმენტის საშუალებით ვაჩვენოთ, რომ განწყობა წარმოადგენს არა ლოკალური წარმოშობის ფაქტს, არამედ ფუნქციას, რომელიც მთლიან პიროკნებას მოიცავს და ამის შესატყვის მნიშვნელობას ატარებს.

ცდისპირს, მაგ., მარჯვენა ხელში თანაბიმდევრობით აწოდებენ ორ ბურთს — ჯერ მოცულობით დიდს, შემდეგ კი უფრო პატარას. ეს მეორდება 10-15-ჯერ (საგანწყობო ცდები). ამას მოსდევს კრიტიკული ცდები: ცდისპირი ღებულობს მეორე ხელში (ამ შემთხვევაში — მარცხენაში) ორი ტოლი მოცულობის ბურთს. როგორც წესი, ერთი ამ ბურთთაგანი (პირველი ბურთი) მას უფრო დიდი ეჩვენება, ვიდრე მეორე. მაშასადამე, მოცულობის ილუზიას ვღებულობთ იმ ხელშიც, რომელსაც საგანწყობო ცდებში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. და თუ ამ ცდების შედეგად, „პირველი ბურთი უფრო დიდია"-ს განწყობა შემუშავდა, იგი, რა თქმა უნდა, იმ ხელში უნდა შემუშავებულიყო, რომელიც საგანწყობო ცდებში მონაწილეობდა. მაგრამ ეს ხომ მარჯვენა ხელი იყო და არა მარცხენა. მიუხედავად ამისა, ილუზია სწორედ ამ ხელში მივიღეთ. რას ნიშნავს ეს? ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, ისაა, რომ მარჯვენა ხელზე ჩატარებული საგანწყობო ცდები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ განწყობა შექმნილიყო არა მხოლოდ ამ, არამედ მარცხენა ხელშიც, ე. ი. კორესპონდულ ორგანოში.

მაშასადამე, ერთ ხელში ჩატარებული საგანწყობო ცდები განწყობას ქმნიან არა მარტო ამ ხელში, არამედ მეორე ხელშიც, რომელსაც საგანწყობო ცდები უშუალოდ არ ეხება. ცხადია, ერთი ხელის სფეროში ფიქსირებული განწყობა თავისთავად ვრცელდება მეორე ხელზეც.

გავიმეოროთ იგივე ცდები მხედველობის სფეროში. საგანწყობო ან უფრო სწორედ საფიქსაციო ცდები ჩავატაროთ ერთ-ერთ თვალზე (ვთქვათ, მარჯვენაზე), კრიტიკული კი — მეორეზე. ვღებულობთ წინამორბედი ცდების ანალოგიურ შედეგებს, ე. ი. მარჯვნივ მიწოდებულ ტოლ ობიექტებს უტოლოდ აღვიქვამთ: პირველი უფრო დიდი გვეჩვენება, ვიდრე მეორე — აქაც განწყობის ჩვეულებრივ ილუზიასთან გვაქვს საქმე. მარჯვენა თვალის მონაწილეობით აღმოცენებული განწყობა ავტომატურად ვრცელდება მარცხენა თვალზეც.

შემდეგ დავაყენოთ საგანწყობო ცდები ხელში, ხოლო კრიტიკული — მხედველობით სფეროში. ე. ი. მარჯვენა ხელში მივანოდოთ დიდი, ხოლო მარცხენაში — უფრო მცირე მოცულობის ბურთი. კრიტიკული ცდები დავაყენოთ მხედველობის სფეროში, ე. ი. ვაჩვენოთ ცდისპირს შესადარებლად ორი განსხვავებული ბურთი და ვკითხოთ, როგორია მათი მოცულობა.

შედეგები ამ შემთხვევაშიც ადასტურებს, რომ ჰაპტურად შემუშავებული განწყობა ოპტიკურ სფეროშიც მოქმედებს. შესატყვისი ცდები გვიჩვენებს, რომ იგივე გარემოება ძალაში რჩება საგანწყობო და კრიტიკული ცდების შებრუნებული თანრიგით დაყენებისას: ოპტიკურ სფეროში შემუშავებული განწყობა ჰაპტურ სფეროშიც მოქმედებს.

მაშასადამე, მოკლედ რომ ვთქვათ, გრძნობის ერთ მოდალობაში ფიქსირებული განწყობა ერთდროულად ყველა დანარჩენ გრძნობის მოდალობაში ფიქსირდება.

რას მიუთითებს ყველა ეს მონაცემი? აქ უდავოდ მხოლოდ ერთი პასუხია შესაძლებელი. განწყობა, როგორც ჩანს, არ წარმოადგენს კერძო ხასიათის მოვლენას, იგი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ჩვენი რომელიმე ორგანოს მდგომარეობა; იგი ლოკალური ბუნებისა კი არაა, არამედ, პირიქით, ჩვენი აღქმის ყველა ორგანოზე ვრცელდება, იგი წარმოადგენს მთელი ორგანიზმის, როგორც მთელის, მთელი სუბიექტის, როგორც ასეთის, მდგომარეობას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განწყობა არის არა კერძო ფსიქიკური ფენომენი სხვა ასეთივე ფენომენთა შორის, არამედ რაღაც მთლიანობითი, სუბიექტის, ასე ვთქვათ, პიროვნული მდგომარეობის დამახასიათებელი.

ამგვარად, ყველა ეს ცდა გვიჩვენებს, რომ განწყობა არ მიეკუთვნება სულიერი ცხოვრების ჩვეულებრივ კატეგორიებს — შემეცნების, გრძნობის, ნებელობის კატეგორიებს: პირიქით მას არა აქვს კერძო ან ლოკალური ხასიათი და ამდენად იგი განხილული უნდა იყოს, როგორც მთლიან-პიროვნული რიგის კატეგორია.

10. **„არაცნობიერის პრობლემისათვის"**. ფილოსოფიურმა აზრმა დიდიხანია ყურადღება მიაქცია ადამიანის ფსიქიკაში ისეთი მოვლენების არსებობას, რომელთაც იგი *არაცნობიერს* უნოდებდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო როლს თამაშობს ეს ცნება ფსიქოანალიზის შესახებ მოძღვრებაში. ფროიდი თვლის, რომ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება მნიშვნელოვნად ემყარება არაცნობიერის სფეროში მიმდინარე პროცესებს. როგორც ცნობილია, მან აზრთა მთელი სისტემა შექმნა არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემათა შესახებ. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაცნობიერის ცნება ფროიდთან არაფერს შეიცავს ახალს სულიერი ცხოვრების ცნობიერ მოვლენებთან შედარებით. არაცნობიერად წოდებულია განცდა, რომელიც ოდესღაც გაცნობიერებული იყო ჩვენს მიერ როგორც გარკვეული სულიერი მოვლენა, როგორც გარკვეული სურვილი, ან აზრი და რომელიც მომავალშიც შეიძლება წარმოგვიდგეს სულიერი ცხოვრების იგივე გარკვეული ფაქტების სახით და ფსიქოანალიზის პრაქტიკული ამოცანა, ფროიდის აზრით, მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იგი ეხმარება სუბიექტს ჩამოხსნას ფარდა არაცნობიერ განცდებს და დაინახოს ისინი თავისი ნამდვილი სახით, ე. ი. გადააქციოს ისინი ჩვეულებრივ ცნობიერ ფსიქიკურ შინაარსებად.

უეჭველია, რომ ფროიდის შეხედულება არაცნობიერის ბუნების შესახებ სრულიად მცდარია. თავისი სისტემის აღნიშნული ცნების საფუძველზე აგებისას ფროიდი იძულებულია არაცნობიერის დახასიათებისათვის, ძირითადად, შემოიფარგლოს უარყოფითი ცნების გამოყენებით, რომელიც მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ არსებობს ფაქტები, რომელთაც ცნობიერების ნიშანი აქვთ და რომ ისინი მოკლებულნი არიან ამ ნიშანს და ამიტომ არაცნობიერის სახელს ატარებენ. რაც შეეხება პოზიტიურ დახასიათებას, ისინი ამ უკანასკნელს სრულიად არ ექვემდებარებიან (ფროიდთან) და ამიტომ ავტორი იძულებულია მათ არაცნობიერი უნოდოს. და საოცარია არაცნობიერის ასეთი, მხოლოდ უარყოფითი გაგებისას ფროიდი ფსიქოზების მკურნალობისას არა ერთხელ აღწევდა პრაქტიკულად დადებით შედეგს. ამგვარი შედეგების უარყოფა ფროიდთან არ იქნებოდა სერიოზული — ისინი, უდავოდ, არსებობენ. მაგრამ, მეორე

მხრით, უდავოა ისიც, რომ არაცნობიერი სულიერი ცხოვრების თეორია, იმ სახით, როგორც ის ფროიდს ესმის, მეცნიერებას პოზიტიურს არაფერს აძლევს. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან — ამ თეორიამ — ავადმყოფთან წარმატებითი მკურნალობის ფაქტების ნამდვილი არსებობა განაპირობოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ფროიდი მკურნალობის პროცესში ხშირად მართლაც ახერხებდა შეხებოდა იმას, რაც მნიშვნელოვნად აპირობებდა დაავადების პროცესს — იმას, რაც მას მხოლოდ ნეგატიურად შეეძლო განესაზღვრა როგორც არაცნობიერი. მაგრამ ამ ცნების პოზიტიურ შინაარსს იგი ვერ ხედავდა და მისი მოძღვრების ყველა უკიდურესობა პირველ რიგში, სწორედ ამ გარემოებითაა გაპირობებული.

ზემოთ ვნახეთ, რომ გარდა ჩვეულებრივი ფსიქიკური ფაქტებისა, გარდა ცალკეული ცნობიერი ფსიქიკური განცდებისა, უთუოდ უნდა დავუშვათ, ამ განცდათა სუბიექტის მდგომარეობის ასეთი თუ ისეთი მოდუსის არსებობაც, მისი, როგორც პიროვნების ასეთი თუ ისეთი განწყობის არსებობაც. თავისთავად ცხადია, რომ მთლიან-პიროვნული მდგომარეობა არ აისახება სუბიექტის ცნობიერებაში მისი ცალკეული დამოუკიდებელი განცდების სახით — მას თავის როლი აქვს: იგი განაპირობებს სუბიექტის მუშაობას იმ აქტივობის მიმართულებით, რომელსაც სუბიექტი მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე მიჰყავს. სუბიექტის, როგორც მთელის, ეს მდგომარეობა არ შეიძლება განიცდებოდეს მის მიერ რიგი ცალკეული შინაარსების სახით, რომელნიც იმ სიტუაციას ახასიათებენ, სადაც სუბიექტის აქტივობა მიმდინარეობს.

განწყობა შეუძლებელია წარმოადგენდეს სუბიექტის ცნობიერების ცალკეულ აქტს, იგი მხოლოდ მოდუსია მისი, როგორც მთელის, მდგომარეობისა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ თუ ჩვენში მართლაც მიმდინარეობს რაიმე არაცნობიერად, ეს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენი განწყობა უნდა იყოს.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ არაცნობიერი ჩვენში ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს არაცნობიერი სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის განწყობა.

მაშასადამე, არაცნობიერის ცნება ამიერიდან აღარაა მხოლოდ ნეგატიური ცნება, იგი იძენს სავსებით დადებით მნიშვნელობას და მისი დამუშავება კვლევის ჩვეულებრივი მეთოდების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს.

11. განწყობის შემდგომი დახასიათება. განწყობის სპეციალურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ცნებას ზოგადი ხასიათი აქვს — იგი ეხება

როგორც რაოდენობრივ მიმართულებათა, ისე თვისობრივ განსხვავებათა მოვლენებს და ყოველივე ამის შესასწავლად არსებობს მეთოდები, რომლებიც მათი ექსპერიმენტული ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს.

მაგრამ ამ საკითხს, ისევე როგორც განწყობის ზოგადი პრობლემატიკის მთელ რიგ სხვა საკითხებს აქ სპეციალურად არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ განწყობის საკითხების კვლევის საფუძველზე მიღებულ ზოგიერთ დასკვნას, რომელსაც ზოგადი ხასიათი აქვს.[1]

ამჟამად ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მეტ-ნაკლებად დეტალურად დავახასიათოთ განწყობა შემდეგი საკითხების მიმართულებით: 1) განწყობის ნაირსახეობანი, 2) მისი აგზნებადობა, 3) მისი ჩაქრობის პროცესი, 4) მისი ჩაქრობა ხანგრძლივი ექსპოზიციის პირობებში და მისი მიმდინარეობის ბუნებრივ პირობებში.

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ამჟამად შესაძლებლობა გვაქვს განვასხვავოთ *დიფუზური, არადიფერენცირებული* და *ფიქსირებული* განწყობა, შემდეგ – *ადვილად აგზნებადი* განწყობა, რომელიც საგანწყობო ცდების უმნიშვნელო რიცხვის საფუძველზე ფიქსირდება და ძნელად ან სრულიად *არააგზნებადი* (*არაფიქსირებადი განწყობა*) განწყობა; შემდგომ – განწყობის ჩაქრობის ექსპერიმენტებში ცდების მოცემულ სერიაში განწყობის საბოლოო ჩამოყალიბებამდე მისი რამდენიმე სახესხვაობა ვლინდება: 1) *დინამიკური* განწყობა, რომელიც რამდენიმე განმეორებითი კრიტიკული ცდის შემდეგ ქრება და სტატიკური განწყობა, რომელიც ცდების მოცემულ სერიაში საერთოდ არ ქრება; 2) პლასტიკური განწყობა, რომელიც თანდათან სუსტდება და მხოლოდ მთელი რიგი საფეხურების გავლის შემდეგ უთმობს ადგილს ახალს, ცდების მოცემული სიტუაციის შესატყვის განწყობას, და *ტლანქი* განწყობა, რომელიც ერთბაშად ქრება, მისი ჩაქრობის საფეხურების თანდათანობით გავლის გარეშე.

შემდეგ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ განწყობა გაივლის თავისი ჩაქრობის ჩვეულებრივ საფეხურებს, განურჩევლად იმისა, თუ როგორ ხდება კრიტიკული ცდების მინოდება: ჩვეულებრივი, ე. ი. კრიტიკული ობიექტების თანმიმდევარი ექსპოზიციებს სახით, თუ ცდისპირზე მათი ხანგრძლივი ზემოქმედების სახით, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ ფიქსირებული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიები საბოლოოდ არ აღიკვეთება. ორივე შემთხვევაში

---

[1] *დ. ნ. უზნაძე*, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტ. საფუძვლები. „ფსიქოლოგია". ტ. VI. 1949.

შედეგი ერთნაირია: ჯერ თავს იჩენს კონტრასტული ილუზია, შემდეგ — ასიმილაციური და ბოლოს, კრიტიკული ობიექტების ტოლობაც დასტურდება.

და ბოლოს, თუ კრიტიკულ ცდებს დავაყენებთ არა უშუალოდ საგანწყობო ცდების კვალდაკვალ, არამედ ამ უკანასკნელთა ჩატარებიდან დროის სხვადასხვა შუალედების შემდეგ (საათების, დღეების, თვეების), ვნახავთ, რომ არსებობს ფიქსირებული განწყობის მეტად ან ნაკლებად ლაბილური (განწყობა ადრე ქრება) და მეტად ან ნაკლებად სტაბილური (იგი მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით ინარჩუნებს თავის აქტივობას) ფორმები.

განწყობის შესახებ ზოგად მოძღვრებაში განიხილება მთელი რიგი სხვა საკითხებიც, როგორც მაგ., საკითხი ტოლობის განწყობის შესახებ და სხვა... მაგრამ ამ ზოგადი მოძღვრებიდან აქ მოკლედ შევეხებით მხოლოდ იმას, რაც უთუოდ აუცილებელია ჩვენი შემდგომი მსჯელობის გასაგებად.

ახლა ჩვენს წინაშე დგება ამოცანა, თვალი გავადევნოთ განწყობის პრობლემას მისი ფილოგენტური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე — ცხოველის და ადამიანის განწყობას.

II. განწყობის პრობლემა ცხოველთან

1. განწყობის საკითხი ცხოველთან და მისი კვლევის მეთოდიკა. როგორც ზემოთ ვნახეთ, განწყობის აღმოცენებისათვის იმდენად ელემენტარული პირობებია აუცილებელი, რომ მისი არსებობა ცხოველური სამყაროს განვითარების უმდაბლეს საფეხურზეც კი არაა საეჭვო. მართლაც, როგორი ელემენტარულიც არ უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურა, მას აქვს გარკვეული *მოთხოვნილებები*, რომელთა დაკმაყოფილებაც გარემოს შესატყვის პირობებში ხდება განწყობის აქტივობის ამ ორი ძირითადი წანამძღვრის მსგავსად, ელემენტარულია, აგრეთვე, მისი მესამე წანამძღვარიც: აღქმის პრიმიტიული საფეხური, რომელიც აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ყოველგვარი განწყობის აღმოცენებისას. ამრიგად, ცხოველთან განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელი სამივე პირობაა წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ცხოველს მართლაც აქვს განწყობა, უმჯობესია მივმართოთ ამ შესაძლებლობის ექსპერიმეტულ დასაბუთებას.

ამ შემთხვევაში შესაძლო ყველა ექსპერიმენტიდან ჩვენ შევჩე-

რდებით ექსპერიმენტებზე, რომლებიც ძირითადად ისეთივე ცდებს წარმოადგენს, როგორც ადამიანთან დაყენებული ზემოთ მოტანილი ცდები. რა თქმა უნდა, ეს ცდები სათანადო გამარტივებას მოითხოვს, რათა ცხოველისათვისაც მისაწვდომი გახდეს.

სანიმუშოდ მოვიტანოთ ცხოველთან განწყობის კვლევის ერთ-ერთი ექსპერიმენტული მეთოდიკის მოკლე აღწერა. ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ასეთი მეთოდიკა უნდა აკმაყოფილებდეს, შემდეგში მდგომარეობს: მან უნდა მოახდინოს ცხოველთა ისეთი მოთხოვნების აქტივაცია, რომელიც საფუძვლად დაედება ამოცანის გადაწყვეტისაკენ წარმართულ აქტივობას. ადამიანის შემთხვევაში ამას მასზე დაკისრებული დავალების სიტყვიერი რეაქციით ვაღწევთ. ცხოველთან ეს შეუძლებელია და ამიტომ აქ ცდა იმგვარად უნდა ავაგოთ, რომ ცდის პირობებმა უშუალოდ გამოიწვიოს მასში მოთხოვნილება, რომელიც აიძულებს მას ფაქტიურად მიმართოს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ წარმართულ ქცევას. სხვა მხრით მეთოდიკა სპეციფიკურს არაფერს შეიცავს, გარდა, რა თქმა უნდა, ცდების საერთო პირობებისა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ცდის ობიექტის ქცევის თავისებურებას ყოველი ცალკეული ცხოველის შემთხვევაში. მაგ. ქათამს აწვდიან მარცვლებით მოფენილ ორ ველს. თანაც ერთ-ერთი მათგანიდან სახელდობრ შავიდან მარცვლის აკენკვა თავისუფლად შეიძლება, მეორეზე კი, უფრო ღია ფერისაზე ამის გაკეთება შეუძლებელია, იმიტომ, რომ მარცვლები აქ დაწეპებულია ველის ზედაპირზე. საგანწყობო ცდებში ქათამი ეჩვევა კენკვას შედარებით მუქ ველზე, ხოლო ღია ფერის ველიდან იგი ბოლოს და ბოლოს, სულ აღარ კენკავს. ასე უფიქსირდება მას, საფიქსაციო ცდების საკმარისი რიცხვის მეშვეობით, უფრო მუქი ფონიდან კენკვის განწყობა. კრიტიკულ ცდაში ქათამს აწვდიან ორ ველს, რომელთაგან ერთი, შეფარდებულია ღია ფერის ფიქსირებული ფონის ტონში. რომელზედაც იგი საფიქსაციო ცდებში უკვე აღარ იძლევა რეაქციას, ხოლო მეორე კიდევ უფრო ღია ფერისაა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ქათამი — კენკავს ღია ფონიდან, მიუხედავად იმისა, რომ საგანწყობო ცდებში მას სრულიადაც არ უხდება რეაქციის მიცემა ასეთი შეფერილობის ფონზე.

ასეთია ქათმის ჩვეულებრივი რეაქციები და ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ცდების პირობებში, რომელიც კელერის ცნობილი ცდების ანალოგიურია, ქათამთან უფრო მუქი ფონიდან კენკვის განწყობის ფიქსირება ხდება. ვფიქრობთ, რომ ქათმის რეაქციების ასე გაგება ამ ცდებში ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მათი სხვაგვარი ახსნა.

ცხოველის განწყობის მიმართულებით ჩატარებული რიგი სხვა ცდებისა აშკარად ადასტურებს, რომ განწყობის აქტივაცია ცხოველთანაც ხდება და რომ მისი მოქმედება სწორედ ამ განწყობითაა განსაზღვრული!

ამჟამად, სხვა ცხოველებზეც (თეთრ ვირთაგვებზე, მაიმუნებზე. ძაღლზე) ჩატარებული მთელი რიგი ცდების შედეგად სრულიად უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ, ცხოველის აქტივობასაც ნამდვილად განწყობა უდევს საფუძვლად და რომ იგი ისევე ადვილად ექვემდებარება ექსპერიმენტულ ანალიზს, როგორც ადამიანთან ჩატარებულ ცდებში დადასტურებული განწყობა.

2. განწყობის თავისებურებანი ცხოველთან. რისი თქმა შეიძლება სახელდობრ ცხოველის განწყობის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, გამოირკვა არა მარტო ის, რომ მისი აღმოცენება აქ სავსებით შეესატყვისება იმას, რაც ჩვენ მიერ ზემოთ იყო აღნიშნული განწყობის აღმოცენების შესახებ საერთოდ, არამედ ისიც, რომ განწყობა ცხოველთან, ძირითადად, იმავე სახით მიმდინარეობს, როგორც ადამიანთან. იგი გაივლის ჩაქრობის იგივე სტადიებს, ე. ი. კონტრასტის, შემდეგ ასიმილაციისა და ბოლოს, ტოლობის სტადიებს, და ავლენს იმავე ტიპებს (დინამიკური და სტატიკური განწყობა, პლასტიკური და ტლანქი), იმავე სახეებს (დიფუზური და დიფერენცირებული განწყობა, აგზნებადობის იმავე ხარისხებსა და სხვა.

მაგრამ ყველაფერი ეს ცხოველებთან, მათი განვითარების შედარებით დაბალი საფეხურის შესაბამისად, მეტად თავისებურად ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, ხშირად ყურადღებას იპყრობს ცხოველის განწყობის მნიშვნელოვანი დიფუზურობა, იქ, სადაც ადამიანთან, როგორც წესი, განწყობა გარკვეული ფიქსირებული დიფერენცირებული სახით ვლინდება, ცხოველთან მოკლებულია ამ გარკვეულობას და მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ატარებს დიფუზურ ხასიათს, ვიდრე ადამიანთან.

შემდეგ, — ცხოველის განწყობა, როგორც წესი, შეუდარებლად უფრო ვარიაბილურია, ვიდრე ადამიანისა. მაშინ როცა ადამიანთან იგი *კონსტანტურ* ხასიათს ატარებს, ე. ი. თავისი ყოველი აქტივიზაციისას მიმდინარეობის ერთსა და იგივე ტიპს ავლენს, ცხოველებთან, პირიქით, იგი იცვლის თავის ტიპს და ამგვარად, *ვარიაბილობით* გამოირჩევა.

გარდა ამისა, — ცხოველის განწყობა, რომელიც ადამიანის განწყობასთან შედარებით უფრო დიფუზურია, თავის მიმდინარეობის პროცესში ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდება. ადამიანთან ფი-

ქსირებული განწყობა თავიდან კონტრასტული სახით ვლინდება და ასიმილაციურ ფორმას მხოლოდ უფრო გვიან, თავისი შესუსტების კვალობაზე ღებულობს, ცხოველთან საქმის ვითარება რამდენადმე სხვაგვარია: ხშირად, თითქმის ყოველთვის, ფიქსირებული განწყობა იმთავითვე ასიმილაციური ილუზიების ფორმით წარმოგვიდგება და კონტრასტული ილუზიები მხოლოდ ამის შემდეგ იჩენს თავს. რამდენადაც ილუზიათა შეცვლის ეს თანმიმდევრობა ცხოველთან გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ადამიანთან, ჩვენ იგი შეგვიძლია ცხოველის განწყობის დამახასიათებელ თავისებურებად მივიჩნიოთ.

ამასთანაა დაკავშირებული ცხოველთან განწყობის აგზნებადობისა ან ფიქსაციის გაძნელების ფაქტიც. ჩვენ ვიცით, რომ განწყობის აგზნებადობის ხარისხი ცდისპირისათვის მიწოდებული საგანწყობო ან საფიქსაციო ცდების რიცხვით განისაზღვრება. ცხოველზე ჩატარებული ცდების შედეგად ირკვევა, რომ აქ განწყობის ფიქსაციისათვის საგანწყობო ცდების მნიშვნელოვნად უფრო დიდი რიცხვია საჭირო, ვიდრე ადამიანთან და თანაც მისი საკმარისი ხარისხით ფიქსაცია არც თუ ყოველთვის ხერხდება.

ყურადღებას იპყრობს ცხოველის განწყობის კიდევ ერთი თავისებურება. ადამიანზე ჩატარებული ცდებიდან ვიცით, რომ განწყობა მასთან სტაბილობის მეტი ან ნაკლები ხარისხით გამოირჩევა. ე. ი. ფიქსაციის შემდეგ იგი მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი დროით აგრძელებს თავის აქტივობას; თანაც, შემჩნეულია, რომ ამ, ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ფიქსირებულ მდგომარეობაში, იგი ხშირად იცვლის თავის ტიპს — თანდათან სუსტდება და ბოლოს, როგორც წესი, სავსებით აღიკვეთება, რამდენადმე სხვაგვარია განწყობის სტაბილობა ცხოველთან: იგი ხშირად ან სულ არ არის, ან და თუ არის, დიდხანს რჩება ძალაში და მუდმივად ინარჩუნებს თავის პირვანდელ ტიპს: ცხოველი შედარებით უფრო ხანგრძლივადაა დამონებული ამ განწყობას.

3. ფსიქიკური პროცესების, კერძოდ აზროვნების პრობლემისათვის ცხოველთან. ჩვენ არ შევეხებით ცხოველთან განწყობის გამოვლენის სხვა თავისებურებებს და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ანალიზზე შევჩერდებით. იგი, ჩვენი აზრით, განწყობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ, შეიძლება ითქვას, სპეციფიკურ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს — და მისი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ არა მარტო ცხოველი, არამედ ძირითადად, ადამიანიც.

ჩვენ ვნახეთ, რომ რაიმე მოთხოვნილების არსებობისას მისი დაკმაყოფილების პირობებში ცხოველი ღებულობს განწყობას შესა-

ტყვისი აქტივობისაკენ, რომლის განხორციელებისაკენაც მიისწრაფვის იგი, როგორც წესი, წყურვილის განცდისას, ე. ი. წყლის დალევის მოთხოვნილებისას, ცხოველი წყლის არსებობის შემთხვევაში გარბის მისკენ ამ თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ანალოგიურად იქცევა იგი სხვა მოთხოვნილებების აქტუალობის შემთხვევაშიც. მაშასადამე, მოცემული მოთხოვნილებისაკენ წარმართული აქტივობის რომელიმე გარკვეული ფორმა რომ აღმოცენდეს, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება აუცილებლად სახეზე უნდა იყოს. სანამ ცხოველი ამ საშუალებას არ დაინახავს, მას არ შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალურად გარკვეული აქტივობის რაიმე განწყობა. ასეთი განწყობა ცხოველს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუჩნდება, როცა არსებობს არა მარტო მოთხოვნილება, არამედ მისი დაკმაყოფილების გარკვეული საშუალებაც. კონკრეტული აქტივობის განწყობა, როგორც ცოცხალი ძალა, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუჩნდება, როცა სახეზეა მოცემული ინდივიდუალურად კონკრეტული პირობებიც. მაშასადამე, შეგვიძლია უფრო ზუსტად გავიმეოროთ, რომ გარკვეული ქცევისაკენ განწყობა ცხოველთან მაშინ ჩნდება, როცა აქტუალურად არსებობს არა მარტო მოთხოვნილება, არამედ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი გარემო პირობებიც. თუ გავადევნებთ თვალს ცხოველის აქტივობის ნებისმიერ შემთხვევას, დავრწმუნდებით, რომ იგი ყოველთვის მხოლოდ ამ ორი პირობის საფუძველზე აღმოცენდება და ვითარდება.

საკითხავია, მაშ რაღა ვთქვათ ქცევის მთელი რიგი სხვა ფსიქოლოგიური პირობების შესახებ, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად არაა გათვალისწინებული. თუ დავიჯერებთ, რომ ცხოველისთვის ქცევის აქტის გასახორციელებლად საკმარისია მხოლოდ მისი შესატყვისი განწყობის შემუშავება და რეალიზაცია, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ მისთვის საკმარისია მხოლოდ ის ფსიქიკური პროცესები, რომელიც მასთან განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელი პირობების როლს ასრულებს. ჩვენ ვნახეთ, რომ ასეთ როლს თამაშობს მხოლოდ ფსიქიკური პროცესები, რომელთაგან შემდგომ, განვითარების უფრო მაღალ საფეხურებზე გამომუშავდება ცალკეული აქტები, რომელიც ადამიანთან აღქმის სახელითაა ცნობილი. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ეს ფსიქიკური პროცესები უნდა გვესმოდეს, როგორც შეგრძნებები, რომელთა ორგანოები ცხოველური სამყაროს განვითარების უფრო დაბალ საფეხურებზეცაა წარმოდგენილი. რაც შეეხება სხვა, უფრო რთულ ფსიქიკურ პროცესებს, ყურადღებითი

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში მოქმედებისათვის ცხოველს ისინი არ სჭირდება, იგი მათ არ მიმართავს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მას საერთოდ არა აქვს.

ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა მივმართოთ აზროვნების პრობლემას ცხოველთან. როგორც ცნობილია, ჩვენს დროში ამ პრობლემას განსაკუთრებით ხშირად ეხებიან. ცდილობენ აჩვენონ, რომ აზროვნება ძირითადად სრულიადაც არაა უცხო ცხოველისათვის, შეისწავლიან ცხოველთან მისი აქტივობის ფორმების გამოვლენის შემთხვევებს ფილოგენეტური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტულ პირობებში ცხოველთა კვლევა მართლაც გვიდასტურებს ისეთ ფაქტებს, რომელიც შეიძლებოდა მისი აზროვნებითი უნარის აქტივობის ფაქტებად ჩაგვეთვალა, მაგრამ ყველა ეს ფაქტი დასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცხოველი იძულებულია მკვლევარის მიერ შექმნილ სპეციალურ ექსპერიმენტულ პირობებში იმოქმედოს, ე. ი. პირობებში, რომელიც ისეა აგებული, რომ ცხოველის წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს, თუ ეს უკანასკნელი ამ პირობებით გათვალისწინებულ აქტივობას მიმართავს. მაგრამ ცხოველის ცხოვრების ბუნებრივი პირობები, რომელშიც მას ამოცანის დაყენება და გადაჭრა უხდება, არსებითად განსხვავდება იმ ექსპერიმენტული პირობებისაგან, სადაც იგი იძულებით მოქმედებს. ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენი, ვთქვათ, რომელიმე ექსპერიმენტული ცხოველი, რომელიც ექსპერიმენტში აზროვნების საკმარის უნარს ავლენს, თავის ცხოვრების ჩვეულ პირობებში, მაგ. მაიმუნი ტყეში, არასოდეს არ მიმართავს მას. უეჭველია, რომ ცხოველის ცხოვრების პირობები არ წარმოადგენს რაღაც აბსტრაქტულს, რაღაც ისეთს, რაც შეიძლება ჩამოვაშოროთ მისი აქტივობის შინაგან შესაძლებლობებს და ნებისმიერი სხვა პირობებით შევცვალოთ: არა, ცხოვრების შინაგანი და გარეგანი პირობები ბუნებრივადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და იმისათვის, რომ ნამდვილად გავიგოთ ესა თუ ის ცხოველი, აუცილებელია შევისწავლოთ იგი მისი ცხოვრების ბუნებრივ პირობებში. ასეთ პირობებში კი, ჩვენ არ ვიცით ისეთი ფაქტები, რომელიც გვაიძულებდა დაგვეშვა ცხოველთან ისეთი პროცესების არსებობა, ადამიანთან აზროვნების პროცესების სახელით რომაა ცნობილი.

ამგვარად, ცხოველს მისი არსებობის ბუნებრივ პირობებში აზროვნება არა აქვს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ აზროვნება მხოლოდ ადამიანთან შეიძლება იყოს ცხოვრების მარეგულირებელი ფაქტორი

და რომ მოაზროვნე არსებას სწორედ მხოლოდ ადამიანი წარმოადგენს. მაგრამ თუ უნდა ვაღიაროთ, რომ ცხოველს, როგორც ასეთს, თავისი ცხოვრების ბუნებრივ პირობებში აზროვნება არ ესაჭიროება, და მაშასადამე, არც აქვს, მაშინ, თავისთავად ნათელი გახდება, რომ მას არ შეიძლება ჰქონდეს არც სხვა ფსიქიკური ფუნქციები, რომელთა ჩვეულებრივი აქტივობა აზროვნების მოქმედებასთანაა დაკავშირებული, ასე, მაგ. აღქმის ფუნქცია, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, გულისხმობს არა მარტო ფუნქციის, არამედ მისი საგნის შესახებ აზრის არსებობასაც. იგივე უნდა ითქვას, როგორც ამას ქვემოთ სპეციალურად ვნახავთ, ყურადღების შესახებაც, ისევე როგორც მეხსიერების შესახებ, რომელიც თავის თავში შეიცავს აზრს იმის შესახებ, რაც გვამახსოვრდება. მით უფრო უნდა ითქვას ეს ნებელობის შესახებ, ცნობიერი მიზნის რეალიზაციის უნარის შესახებ, რომელიც მხოლოდ აზროვნების საფუძველზეა შესაძლებელი.

ამგვარად, ცხოველს არ შეიძლება ჰქონდეს ჩვენთვის ცნობილი ფსიქიკური პროცესები, როგორც ისეთი აქტები, რომლებიც თავის საგანს გულისხმობს და მაშასადამე, მჭიდროდ არის დაკავშირებული აზროვნებასთან, რომელიც ცხოველს ფაქტიურად არა აქვს.

4. ცხოველის ფსიქიკის სპეციფიკა. იგივეობის იდეის უქონლობა. ეს გვიჩვენებს ცხოველის ფსიქიკის სპეციფიკას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მისი ქცევის გაგებისათვის, ქცევისა, რომელიც ესოდენ განსხვავდება ყველაფრისაგან, რაც კი ადამიანისათვის სპეციფიკური მოქმედების აქტების შესახებაა ცნობილი.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი აზროვნების ძირითად წანამძღვარს *იგივეობის* ცნობიერების უნარი წარმოადგენს. რაღაცის შესახებ რომ ვიაზროვნოთ, რაღაცის პრედიცირება რომ მოვახდინოთ, საჭიროა დავუშვათ, რომ იგი — რაღაც — მოცემული გვაქვს. აზროვნება სწორედ პრედიკაციის უნარია, ან რაც იგივეა, მსჯელობის უნარია. ერთი სიტყვით, აზროვნების აქტების უნარი იგივეობის იდეის წინასწარ მოცულობას გულისხმობს, იდენტიფიკაციის უნარს გულისხმობს.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც არ არსებობს აზროვნება, არც რისამე იგივეობის იდეა შეიძლება არსებობდეს, იქ არ შეიძლება არსებობდეს რისამე თავის თავთან გაიგივების აზრი, და სრულიად არ შეიძლება არსებობდეს *გამეორების* იდეაც, რადგან ეს უკანასკნელი გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უნარი გვაქვს შევამჩნიოთ და დავადასტუროთ, რომ ამჟამად

მოცემული მოვლენა არის ის მოვლენა, რომელსაც წინათ ჰქონდა ადგილი.

ამგვარად, ცხოველთა სამყაროში არ არსებობს მოვლენათა *იდენტიფიკაციის* უნარი, მათი *განმეორებითი* დანახვისა და ცნობიერების უნარი.

მაგრამ თუ ასეა, თუ ცხოველი მოკლებულია განმეორების განცდისა და შემჩნევის უნარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის მიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული ყოველი სიტუაცია და ამ სიტუაციის ყოველი მოვლენა მისთვის უნდა წარმოადგენდეს რაღაც ახალს, ან უფრო სწორად, უნდა განიცდებოდეს ერთნაირად ძველისა და ახლის ატრიბუტების გამოყენების გარეშე. იგი ყოველ სიტუაციას უნდა განიცდიდეს მისი გამეორების თვალსაზრისით დახასიათების შესაძლებლობის გარეშე.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ცხოველის ქცევაში ახალსა და ძველს შორის არავითარი განსხვავება არ არის, რომ ორივე მათგანი, როგორც ქცევის აქტი, სავსებით ერთნაირად მიმდინარეობს, განურჩევლად იმისა, პირველად ხორციელდება იგი, თუ განმეორებით?

უეჭველია, რომ გამეორება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოველის ცხოვრებაში. მაგ. როცა ცხოველი ვერ აღწევს საკვებს პირდაპირი გზით, იგი ხელმეორედ ცდილობს იგივე გზით, ან უკიდურეს შემთხვევაში რაიმე ახალი გზით მოიპოვოს იგი, ე. ი. იგივე საკვები. უდავოა, იმისათვის, რომ სიცოცხლის შესაძლებლობა ჰქონდეს, ცხოველს ხშირად უხდება თავისი ქცევის აქტების გამეორება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საგნებისა და მოვლენების იდენტიფიკაცია, მათი იგივეობის დანახვა. მაშასადამე, თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ ცხოველი მოკლებულია იდენტიფიკაციის უნარს, რომ მისთვის უცხოა იგივეობის ლოგიკური კანონი, არ უნდა იყოს დასაბუთებული.

ამ უნარის არსებობა ცხოველთან განსაკუთრებით უდავოა, ალბათ, იმ ექსპერიმენტებში გვეჩვენება, რომელიც პირობითი რეფლექსის საკითხს იკვლევს. ცნობილია, რომ პირობითი რეფლექსების გამომუშავება და განმტკიცება სათანადო გამღიზიანებლების განმეორებითი მიწოდების გზით ხორციელდება. თუ *ერთსა* და *იგივე* გამღიზიანებელს განმეორებათა საკმარისი რიცხვით განვამტკიცებთ, მაშინ ამ გამღიზიანებლის მიმართ გამომუშავდება ცხოველის გარკვეული მოძრაობა, გამომუშავდება გარკვეული პირობითი რეფლექსი. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ცხოველისათვის გამეორება ნამდვი-

ლად მისაწვდომია, რომ, მაშასადამე, მას შეუძლია შეიცნოს საგნები, როგორც იგივენი, შეიმჩნიოს მათი იგივეობა?

რა თქმა უნდა, არა! სწორედ პირობითი რეფლექსების შესახებ მოძღვრება გვიჩვენებს, რომ ისინი — ეს რეფლექსები — გარკვეული გამღიზიანებლის განმეორებითი მიწოდებისას სავსებით ობიექტურად შემუშავდება, სუბიექტური განცდების გავლენის გარეშე. განმეორება სრულიად გარკვეულ ობიექტურ ეფექტს გვაძლევს, ამ შემთხვევაში — ნერწყვის გამოყოფას, რომელიც ხორციელდება არა როგორც შეგნებულად რეგულირებული, არამედ როგორც წმინდა ფიზიოლოგიურად გაპირობებული ფაქტი. სავსებით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ობიექტურ ეფექტს გვაძლევს არა განმეორების ცნობიერება, არამედ მხოლოდ მისი ფაქტიური არსებობა. ამიტომ ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა, თუ აქ საერთოდ არ ვილაპარაკებდით გამეორებაზე, რადგან გამორკვევა იმისა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ნამდვილად გამეორების ფაქტთან გვაქვს საქმე, შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შესწევს უნარი ზემოქმედი შთაბეჭდილებების უშუალო პრაქტიკულ მნიშვნელობას მოსწყდეს და მხოლოდ მათი ურთიერთმიმართების საკითხს მიმართოს. ეს არ შეუძლია, ყოველ შემთხვევაში, ცხოველს.

ამგვარად, უეჭველია, რომ ცხოველზე გამღიზიანებლის განმეორებითი ზემოქმედების საშუალებით შეიძლება გამოვიწვიოთ საპასუხო მოძრაობითი აქტების რიგი. მაგრამ ცხადია, რომ ისინი აიხსნებიან წმინდა ფიზიოლოგიური პროცესებით, რომელიც ორგანიზმში ცნობიერების აუცილებელი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. ასე რომ, შეიძლება უდავოდ ჩავთვალოთ, რომ ცხოველი განმეორებას, როგორც რაღაც ცნობიერს, მოკლებულია და რომ, მაშასადამე, მის წინაშე მიმდინარე მოვლენათა იგივეობის ცნობიერების შესახებ ლაპარაკი აქ უსაფუძვლოა.

ამგვარად, აშკარაა, რომ ცხოველის სამყაროსთვის სრულიად უცხოა ის, რაც შეიძლება დახასიათდეს, როგორც რაღაც თავის თავის სწორი, თავის თავთან იდენტური. აქ ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება, აქ შეუძლებელია გამეორება. ცხოველის ცხოვრების ასეთი გაგება არავითარ ეჭვს აღარ იწვევს იმაში, რომ მის ფსიქიკაში არ შეიძლება არსებობდეს არაფერი ისეთი, რისი არსებობაც არ იქნებოდა გამართლებული ამ მარად სრულიად განუმეორებად სამყაროში ცხოვრების პირობებით: იქ არ არის აზროვნების პროცესები და ნებელობის აქტები; ჩვენი ფსიქიკიდან იქ არაფერი არაა ისეთი, რასაც შეეძლო მეტი ან ნაკლები ხარისხით განეპირობებინა

ამ ორი, ადამიანისათვის სპეციფიკური ფსიქოლოგიური ფაქტის არსებობა.

5. ინსტინქტის პრობლემისათვის. მაგრამ თუ ყოველივე ეს უდავოა, მაშინ დგება საკითხი ცხოველის ისეთი ქცევების ნამდვილი შესაძლებლობის შესახებ, რომელთა არსებობა ძნელად იქნებოდა გამართლებული იმ მუდმივად მიმდინარე, განუმეორებადი სამყაროს პირობებში, რომელშიც ცხოველი ცხოვრობს და მოქმედებს, მაგ. ინსტინქტის შესაძლებლობის საკითხი. შევჩერდეთ ერთხანს ამ პრობლემაზე და მოკლედ შემოვხაზოთ მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც ინსტინქტის პრობლემის დამაკმაყოფილებელ გადაჭრამდე მიგვიყვანდა.

საქმე ისაა, რომ ინსტინქტური მოქმედება ატარებს ისეთი რთული აქტივობის სახესხვაობის ხასიათს, რომლის აღმოცენებისა და მიმდინარეობისათვის, ჩვეულებრივ, ცნობიერების შესამჩნევი მონაწილეობაა საჭირო. მაგრამ ინსტინქტების შემთხვევაში ეს არ ხდება: ისინი უდავოდ ცნობიერების მონაწილეობის გარეშე აღმოცენდება და მიმდინარეობს და როცა საკითხი იმის შესახებ დგება, თუ რა ანესრიგებს აქტივობის ამ რთულ სახეს — რაკი ცნობიერი რეგულაციის მონაწილეობის შესახებ ლაპარაკი აქ უსაფუძვლოა — დაასკვნიან, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონია თავისებურ არაცნობიერ აქტივობასთან, რომელსაც არაცნობიერი აქტივობის სხვა სახეებისაგან განსხვავებით *ინსტინქტურს* უწოდებენ. მაგრამ პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა აშკარად მეტისმეტად თვითნებურ ხასიათს ატარებს და ამიტომაა, რომ ინსტინქტის თეორია ვერასოდეს ვერ იქცა საკმარისად დამაკმაყოფილებელ თეორიად. იგი ყოველთვის აღძრავდა ახალ ეჭვებს, რომელიც ახალ თეორიულ ძიებას მოითხოვდა.

რა თქმა უნდა, ინსტინქტის საკითხი უშუალოდაა დაკავშირებული ცხოველის ქცევის გაგების ზოგად საკითხთან საერთოდ. ცხოველის ფსიქოლოგია ცხოველის აქტივობის გაგებისას პრინციპულად ადამიანური აქტივობის პოზიციებზე რჩებოდა და იძულებული იყო მიეღო ინსტინქტის ჩვეულებრივი, ზემოხსენებული თეორია. აღნიშნული პოზიციების დათმობის შემთხვევაში კი, იგი იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა ინსტინქტური მოქმედების აქტების თავისებურებაზე და მათ რეფლექსებთან გაიგივებისა და რთული „ჯაჭვური" რეფლექსების სახით გაგებას ცდილობდა.

მაგრამ თუ განწყობის ცნების თვალსაზრისზე დავდგებით, ცხოველის მთელი აქტივობა სრულიად ახალი სახით წარმოგვიდგება. ჩვენ ვხედავთ, რომ მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების პირობები

სრულიადაც არ წარმოადგენს ერთი მეორის მიმართ შემთხვევით მოვლენებს. აქტივობის განწყობა, რომელიც ამ აქტივობის აღმოცენებას უდევს საფუძვლად, გვიჩვენებს, რომ აქტივობას შინაგანი კავშირი აქვს მოთხოვნილებასთან, რომლის დაკმაყოფილებაც მან უნდა შესძლოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველის ყოველ მოქმედებას, რომელიც ასეთი თუ ისეთი განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, არსებითად მიზანშეწონილი ხასიათი აქვს. ამ თვალსაზრისით ცხოველის ქცევის აქტები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან — ისინი ყველა შინაგანად დეტერმინირებულ, მიზანმიმართულ აქტებს წარმოადგენს.

ეს შეიძლება ცხოველის მთელი ქცევის შესახებ ითქვას. მაშასადამე, ძნელად თუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ე. წ. ინსტინქტური მოქმედება რითიმე არსებითით განსხვავდება მოქმედების სხვა აქტებისაგან. ყველა ისინი, მოქმედების ეს აქტები, მიზანშეწონილია და წარმოადგენს მოქმედების მეტ-ნაკლებად რთულ თანმიმდევრობას, გარკვეულ სისტემას, რომელიც ცხოველის აქტუალური მიზნების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული. ამ სისტემაში შემავალი ცალკეული მოქმედებები არ წარმოადგენს ცნობიერი შერჩევის შედეგს; ყველა ისინი განისაზღვრება იმ განწყობის ბუნებით, რომლის რეალიზაციასაც ისინი ემსახურება და მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არ არის. ასეთი ინსტინქტური ქცევები არსებითად არაფრით არ განსხვავდება სხვა კონკრეტული შემთხვევებისაგან, რომელსაც ცხოველი მის წინაშე არსებული ამოცანების გადასაწყვეტად მიმართავს. ინსტინქტის პრობლემა შეიძლება და უნდა გადაწყდეს კიდეც მხოლოდ ამ ასპექტში, როგორც სწორედ ცხოველის მიზანშეწონილი აქტივობა, რომელიც მისი მოქმედების კონკრეტულ პირობებში აღმოცენებული ამოცანების გადაჭრისკენაა მიმართული.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სპეციალური პრობლემა ინსტინქტისა არ არსებობს. ცხოველის მთელი მოქმედება, განურჩევლად მისი შედგენილობის სირთულისა, ძირითადად რეგულირდება მისი განწყობით, რომელშიც გამოხატულია სიტუაციის ობიექტურად მოცემული პირობების მიმართება იმ მოთხოვნილებასთან, რომელიც ამ პირობებმა უნდა დააკმაყოფილოს.

III. განწყობა ადამიანთან

1. განწყობის პირობების სპეციფიკა ადამიანთან. განწყობა არის სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც იცვლება იმ ამოცანების შესატყვისად, რომელსაც სუბიექტი თავის თავს უყენებს და იმ პირობების შესაბამისად, რომელშიც იგი წყვეტს ამ ამოცანებს. ამ სუბიექტს შეიძლება ცხოველი წარმოადგენდეს, მაგრამ იგი შეიძლება ადამიანიც იყოს, რამდენადაც როგორც ერთის, ისე მეორის ცხოვრება, ძირითადად იმ პრობლემების გადაჭრაზე დაიყვანება, რომელსაც მათ ცხოვრება უყენებს.

მაგრამ ადამიანის ცხოვრება არსებითად განსხვავდება ცხოველის ცხოვრებისაგან. მაშინ როცა ამ უკანასკნელის ცხოვრება მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტია, ადამიანის ცხოვრება, ძირითადად, წარმოადგენს რაღაც უფრო რთულს — იგი სოციალურად დეტერმინირებული პროცესია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მათი ცხოვრების კანონზომიერებანი არ არის იდენტური — სოციალური განპირობებულობის ფაქტი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობის სპეციფიკაზე, მისი გართულებული შინაარსის შესაბამის კანონზომიერებებზე.

მაშ რაში მდგომარეობს ადამიანის ქცევის სპეციფიკა, რომელიც ძირითადად მის ბუნებაში არსებული ამ მოვლენებით განისაზღვრება? ჩვენ ვხედავთ, რომ ცხოველთან მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე აღმოცენდება მისი ცხოველმოქმედების ძირითადი ფაქტი — ძირითადი ფაქტი, რომელიც ფსიქოლოგიურად მთელ მის აქტივობას წარმართავს. რამდენადაც ადამიანიც, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალ არსებას წარმოადგენს, მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობა, რა თქმა უნდა, არავითარ ეჭვს არ იწვევს. მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების სიტუაცია აქაც იმავე როლს ასრულებს, რასაც ცხოველთან და მათ საფუძველზე აღმოცენებული განწყობა აქაც ის განსაკუთრებული თავისებურებაა, რომელიც უშუალოდ განაპირობებს და წარმართავს ადამიანის მოქმედებას.

მაგრამ, ამ შემთხვევაში მაინც ძალიან ბევრი რამ იცვლება. უპირველეს ყოვლისა იცვლება თვით მოთხოვნილებები: ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველისაგან და *იცვლება სიტუაციებიც*, რომელშიც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხდება, იცვლება მათი დაკმაყოფილების პირობები. თავისთავად იგულისხმება, რომ არც ამ მოთხოვნილების სუბიექტი —

ისტორიულ არსებად ქცეული ადამიანი, დარჩება უცვლელად იგივე: იგი ზრდისა და განვითარების უწყვეტ პროცესში იმყოფება და თვითონაც მნიშვნელოვნად იცვლება.

სრულიად აშკარაა, რომ ასეთ პირობებში ცოცხალი არსების აქტივობის ძირითად კანონზომიერებას მეტ-ნაკლებად უნდა აესახა ყველა ეს ცვლილება და ადამიანის განწყობა ველარ იქნებოდა ზუსტად ისეთივე, როგორც ცხოველისა: იგი რამდენადმე უნდა შეცვლილიყო.

განვიხილოთ ჯერ ადამიანის განწყობის აქტივობის პროცესის ყველაზე რადიკალური ცვლილება, რომელსაც, შეიძლება ითქვას, თვისობრივი ხასიათი აქვს, რათა შემდეგ, უფრო ქვემოთ ამ ცვლილებათა ნაკლებ არსებით მხარეებს შევეხოთ.

2. ცნობიერების ფაქტი ადამიანთან. ცხოველი აქტივობას მიმართავს იმიტომ, რომ იგი იძულებულია ეძებოს თავისი უშუალოდ არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი. ამ შემთხვევაში აღმოცენებული განწყობა წარმოადგენს აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების დაკმაყოფილების განწყობას, რადგან სხვა მოთხოვნილებები ცხოველს ახლა სრულიად არა აქვს. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არსებასთან, რომლის ცხოვრება შემოზღუდულია განუწყვეტლივ ცვალებადი, შეუჩერებლად მიმდინარე აწმყოს ფარგლებით. სხვა საქმეა ადამიანი! ადამიანი ხედავს, რომ ამ სინამდვილის აქტიური მოქმედია. იგი უპირისპირდება ამ სინამდვილეს, როგორც რაღაც ისეთს, რაც მის გარეთ არსებობს და რაც მას გარკვეული სახითა აქვს წარმოდგენილი. იგი არა მარტო ფაქტიური და უშუალოდ აქტიური ქმედითი საწყისია; იგი ამავე დროს არის ის, ვისაც მის გარეშე არსებული სინამდვილე წარმოდგენილი აქვს. ცხოველი ცხოვრობს და მოქმედებს ამ სამყაროში, მაგრამ მან ამასთან ერთად არ იცის, რომ არსებობს ისიც და ეს სამყაროც მის გარეთ. ადამიანი ცნობიერი არსებაა, რაც არ ითქმის ცხოველის შესახებ. თუ ადამიანს მისი ფსიქიკის თავისებურების თვალსაზრისით შევხედავთ, ვნახავთ, რომ ძირითადი განსხვავება ცხოველსა და ადამიანის ფსიქიკას შორის სწორედ ესაა: ცხოველი მხოლოდ ცხოველია, იგი ცხოვრობს და მოქმედებს და სხვა არაფერი, მაშინ როცა ადამიანი არა მხოლოდ ცხოვრობს და მოქმედებს, მან იცის კიდეც, რომ სწორედ ისაა, რომ ცხოვრობს და მოქმედებს ამ, მის გარეთ არსებულ სამყაროში.

ასეთია ფაქტიური განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. ჩვენს წინაშე დგება სპეციალური ფსიქოლოგიური ამოცანა — ვაჩვენოთ როგორია ადამიანის ფსიქიკის ეს ცვლილებები, რომელთაც

ესოდენ არსებითი სხვაობა განუპირობებია მასსა და ცხოველს შორის. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის სტრუქტურა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს არა მარტო მოქმედებდეს ამ სამყაროში, არამედ ხედავდეს, რომ არსებობენ ორივე: ეს სამყაროც და თვითონ იგიც ამ სამყაროში.

3. შეფერხება, შეჩერება, როგორც სპეციფიკური ადამიანური აქტი. იმისათვის, რომ ეს გავიგოთ, საჭიროა დავაკვირდეთ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევებს. უმჯობესი იქნება, თუ ავიღებთ ისეთ შემთხვევებს, როცა ჩვენ ერთგვარ გარდამავალ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამ დაკვირვების წარმოება ყველაზე ადვილად გამოღვიძების მომენტში შეიძლება, ე. ი. ძილიდან სიფხიზლის მდგომარეობაში გადასვლის მომენტში. ვთქვათ, ისმის რეკვა კედლის საათისა, რომელიც იქვეა, სადაც მე მძინავს. საათის რეკვა მაღვიძებს და მე ის მესმის. მაგრამ აი, მე გავიღვიძე და მაშინვე ვგრძნობ სურვილს, გავიგო — მაინც რომელი საათია ახლა. და ვხედავ, რომ ჩემს ცნობიერებაში თითქოს ხელახლა, განმეორებით ისმის ის ბგერები, რომელიც ფაქტიურად დარეკილია. თითქოს ისინი ხელმეორედ მესმის იმდენად მკაფიოდ, რომ მათი დათვლაც შემიძლია — და ამგვარად, მე ვარკვევ რომელი საათია. ასეთი დაკვირვება საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ საათის რეკვა ამ შემთხვევაში თითქოს ნამდვილად გაორებულია — იგი თითქოს მეორდება.

ეს შემთხვევა და მთელი რიგი სხვა მსგავსი შემთხვევებისა, უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა ჩვენი ფიზიელი ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობის პროცესის სპეციფიკის შესახებ. ჩვენ ვხედავთ, რომ ფაქტიურად ჩვენი ფსიქიკური პროცესები — ამ შემთხვევაში საათის რეკვის ფსიქიკაში ასახვის აქტები — დროში თანმიმდევრულად მიმდინარეობს, ერთი მეორეს მოსდევს. მაგრამ თუ ჩვენ მოვახერხეთ მათზე შეჩერება, მაშინ ჩვენ გვეჩვენება, რომ საათი თითქოს განმეორებით რეკს და ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ ეს რეკვა და ანგარიში მოვიცეთ მის შესახებ.

როგორია ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობა ჩვეულებრივ პირობებში, როცა სუბიექტის წინაშე არ არის ისეთი ამოცანა, რომელიც სინამდვილისადმი ერთგვარ ფიზიელ დამოკიდებულებას მოითხოვს, როდესაც სუბიექტი არ გრძნობს არა მარტო განცდის, არამედ არც განცდილის შესახებ ანგარიშების აუცილებლობას. ეხლახან აღწერილი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევებში სავსებით საკმარისია მხოლოდ ცხოველმოქმედების პროცესის მიმდინარეობა — მოხდება ფსიქიკის ერთგვარი აქტივობა და ყველაფერი მხო-

ლოდ ამით შემოიფარგლება. მაგრამ თუ დავუშვებთ სრულიად სხვა მდგომარეობას, სახელდობრ, რომ ჩვენი განცდა რატომღაც თვითონ წარმოადგენს ჩვენთვის დამოუკიდებელ ინტერესს, მაშინ საქმის ვითარება სრულიად იცვლება; ამ შემთხვევაში მე, ასე ვთქვათ, ერთხანს უნდა შევაჩერო ჩემი განცდა, შევაჩერო მისი მიმდინარეობა და იგი ჩემი დაკვირვების საგნად ვაქციო. ერთი სიტყვით, როგორმე ისე უნდა მოვიქცე, რომ ჩემი განცდა მეორდებოდეს და ამგვარად, საშუალება მეძლეოდეს შევხედო მას და მის შესახებ რაიმე ვთქვა.

რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი შემთხვევა? ეს საკითხი, უდავოდ, ძალიან საინტერესოა. ჩვენ ვხედავთ, რომ ცხოველის ცხოვრება წარმოადგენს პროცესს, რომლისთვის სრულიად უცხოა ამგვარი ამოცანები. სხვა საქმეა ადამიანი! შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური, სავსეა ამგვარი შეფერხების, შეჩერების, განმეორების შემთხვევებით, რაც საშუალებას გვაძლევს შევხედოთ და გავარკვიოთ თუ რა არის ბოლოს და ბოლოს ის, რაც ფერხდება, შეჩერდება, ის, რაც მეორდება. ეს ადამიანის და ცხოველის ცხოვრების განსხვავებულობის უაღრესად არსებითი პუნქტია. ჩავუკვირდეთ ამ პროცესის სპეციფიკას და ვცადოთ მისი სათანადო გაანალიზება.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ადამიანი თითქოს თავისი აქტივობის შეჩერებას ახდენს. და ნაცვლად იმისა, რომ გააგრძელოს ეს აქტივობა, იგი დაყოვნდება მისთვის საინტერესო მომენტზე, თავისი დაკვირვების საგნად აქცევს მას. ტრადიციული მეცნიერება და ყოველდღიური დაკვირვებაც კი, დიდიხანია ხაზს უსვამს ამ ფაქტს და განიხილავს მას, როგორც ჩვენი ყურადღების აქტივობის ისეთ შემთხვევას, რომელიც თავის თავად იგულისხმება. მაგრამ მეცნიერებაში ამ შემთხვევის სათანადო ანალიზი დღემდე არა გვაქვს. სრულიად უეჭველია, ამგვარ შემთხვევებში საქმე გვაქვს ქცევის ორ სრულიად განსხვავებულ აქტთან და ისინი აუცილებლად ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად უნდა დავახასიათოთ. სახელდობრ, ესაა, ჯერ ერთი, რაიმეზე შეჩერების ან დაყოვნების მომენტი და, მეორე — სრულიად განსაკუთრებული, სავსებით დამოუკიდებელი მომენტი — შეჩერების შედეგად მიღებულ ფაქტზე ფსიქიკური აქტივობის მიმართვის მომენტი. რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ავრიოთ ეს მომენტები ერთიმეორეში და არ გამოვყოთ ისინი ერთმანეთისაგან. სინამდვილეში ეს სრულიად დამოუკიდებელი აქტებია, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც თავისი სტრუქტურით, ისე თავისი ფუნქციებით.

4. ობიექტივაციის ცნება. შევჩერდეთ ჯერ პირველ მათგანზე. მეორეს კი სულ ბოლოს შევეხოთ! არსებითად იგი — ეს პირველი მომენტი — ჩვენს მიერ აქ შემოტანილი ახალი ფსიქოლოგიური ცნების ნამდვილ შინაარსად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რა არის ეს?

ცხოვრების შეუნელებელ ნაკადში, რომელიც წარმოადგენს ცოცხალი არსების განუწყვეტელ გადასვლას ერთი განწყობის რეალიზაციიდან მეორეზე, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს შეჩერების აქტს. ნაცვლად იმისა, რომ მოცემული განწყობის რეალიზაცია სცადოს, სუბიექტი ჩერდება, შეჩერდება ამ განწყობაზე და, ამგვარად, შეწყვეტს მისი რეალიზაციის ცდას. ერთი სიტყვით, იმის მაგივრად, რომ გააგრძელოს აქტივობა, იგი უცებ, ერთხანს, ასე ვთქვათ, უმოძრაო, უმოქმედო ხდება. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ნაცვლად იმისა, რომ თავისი განწყობის მიმართულებით იმოქმედოს, სუბიექტი ამჯობინებს შეაჩეროს ეს მოქმედება, ამჯობინებს ერთხანს უმოძრაოდ დარჩეს.

მაგრამ გვაქვს აქ ფაქტიურად სუბიექტის აქტივობის ნამდვილი შეწყვეტა, მისი, ასე ვთქვათ, სრული ჩაკვდომა, თუ, პირიქით, ასეთი რამ სინამდვილეში არ ხდება და სუბიექტი, ამ შემთხვევაშიც, განაგრძობს ერთგვარად თავის მოქმედებას?

რა თქმა უნდა, ფსიქიკის მუშაობის სრული შეჩერება აქ არა გვაქვს! პირიქით, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ჩვენი ფსიქიკის აქტივობა განსაკუთრებით მკვეთრად სწორედ ამ შემთხვევებში იგრძნობა. ნაცვლად იმისა, რომ გააგრძელოს თავისი უწყვეტი მოძრაობა წინ, იგი ადგილზე ჩერდება. მაგრამ არა იმისათვის, რომ სრულიად შეწყვიტოს თავისი მოქმედება, არამედ იმისათვის, რომ თავს ძალა დაატანოს და ხელახლა განიცადოს ისევ ის, რაზედაც იგი შეჩერდება. აი, ეს განმეორებითი განცდა ისევ იმისა, ეს შეჩერება ისევ იმასზე, არა იმისათვის, რომ სრულიად არაფერს განიცდიდე, სრულიად არ მოქმედებდე, არამედ იმისათვის, რომ ხელახლა განიცადო ისევ ის, რაც ეხლახან იყო შენი განცდის საგანი, აი ეს თავისებური, განმეორებითი განცდა ისევ იმისა, ნარმოადგენს, ჩვენს შემთხვევაში, სუბიექტის სპეციფიკურ მდგომარეობას. როცა ზემოთ იგივეს განმეორებითი განცდის მდგომარეობაზე ვლაპარაკობით, ჩვენ სწორედ ეს გარემოება გვქონდა მხედველობაში. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაიმეზე აქტიური გაერთნერტილიანების შემთხვევაში სუბიექტი ახორციელებს სწორედ ამგვარ შეჩერებას იმაზე, რაც ეხლახან განიცადა. აქ ჩვენ თითქოს განვიცდით რაღაც მოცემულს, განვიცდით სინამდვილეს, როგორც რაღაც ჩვენს გარეთ არსებულს, როგორც

რაღაც ობიექტურს. მოკლედ, რომ ვთქვათ, ჩვენ ვახორციელებთ *ობიექტივაციის* აქტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ რაღაც, როგორც მოცემული, როგორც რაღაც ობიექტი.

ეს ადამიანის აქტივობის მეტად არსებითი მომენტია. ჩვენ არა მარტო მოქმედებით განვიცდით, არამედ განვიცდით განმეორებით და ხანგრძლივად.

5. **იგივეობის ან იდენტიფიკაციის იდეა.** მაგრამ აი, მეორე მომენტი, რომელიც აუცილებლადაა დაკავშირებული ამ განცდასთან და ყოველთვის თან სდევს მას! სახელდობრ: ჩვენში იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ეს — რა არის ის, რის ობიექტივაციასაც ჩვენ ვახდენთ, რასაც, როგორც მოცემულს განვიცდით. პირველი, რაც ყველაზე ადრე აღმოცენდება ამ კითხვის პასუხად, ესაა ცნობიერება იმისა, რომ ეს *იგივეა*, რასაც ჩვენ *განვიცდით*; ჩვენში ჩვენი განცდის საგნის *იგივეობის* ან იდენტურობის ცნობიერება ჩნდება. ასე წარმოიშვება იდეა, რომლისგანაც ვითარდება შემდგომ იგივეობის აქსიომატური კანონი, რომელსაც, როგორც ცნობილია, მთელი ჩვენი ლოგიკური აზროვნება ემყარება.

მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ იგივეობის იდეა სრულიადაც არ თანხვდება იმას, რაც მხედველობაში გვაქვს მაშინ, როცა ობიექტივაციის შესახებ ვლაპარაკობთ. უეჭველია, რა თქმა უნდა, რომ ობიექტივაცია რომ არ გვქონოდა, ეს იდეა საერთოდ არ გაჩნდებოდა. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც ობიექტივაცია იქნებოდა შესაძლებელი, იგივეობის იდეა რომ არ გვქონოდა. ხომ სრულიად უდავოა, რომ იგი გულისხმობს საგნის ერთგვარ პერმანენტულ მოცემულობას, ე. ი. მის ერთგვარ იგივეობას თავის თავთან. მაგრამ თუ აღვნიშნავთ, რომ რისამე ობიექტივაცია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ იგი დავიპირისპირეთ, მაშინ არ შეიძლება *ერთდროულად* არ აღმოცენდეს იდეაც იმის შესახებ, რომ იგი გარკვეულად თავის თავის იდენტურია. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია წინასწარ გვქონდეს იდეა იმისა, რაც შემდგომ შეგვიძლია დავიპირისპიროთ, და ამგვარად, მისი თავის თავთან იდენტურობის იდეა მივიღოთ. და ამ იდეას სწორედ ჩვენს მიერ ხაზგასმული ობიექტივაციის აქტი გვაძლევს. ჯერ უნდა მოვახდინოთ რაღაცის ობიექტივაცია, რათა შემდეგ ფაქტიურად შევძლოთ გაცნობიერება იმისა, რომ ჩვენს მიერ ობიექტივირებული თავის თავის იდენტურია. ასეთია ამ აქტების თანმიმდევრობის ფსიქოლოგიური პროცესი.

ერთი სიტყვით, უდავოდ არსებობს განსაკუთრებული, ფსიქოლო-

გიური დამოუკიდებელი აქტივობა, რომელიც უნდა დავახასიათოთ, როგორც ობიექტივაცია. იგი შესაძლებელს ხდის დამატებითი, მაგრამ არსებითი აქტის აღმოცენებას, რომლის გარეშეც შემდგომი განვითარების ფაქტი შეუძლებელი იქნებოდა: ესაა იდენტიფიკაციის ან იგივეობის ლოგიკური კანონის აქტი – აქტი, რომელსაც ემყარება, როგორც ცნობილია, ჩვენი ლოგიკური აზროვნების დანარჩენი ორი ძირითადი აქტიც.

6. მეტყველება. შემდგომი მსჯელობისას საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ადამიანს მეტისმეტად გაუძნელდებოდა იგივეობის ცნობიერების ფაქტის გამოყენება, რომ არ ყოფილიყო *სიტყვა*, რომელმაც აზრის ამ გადამწყვეტი მონაპოვრის ფიქსირებით, ადამიანს საშუალება მისცა აღადგინოს იგი ყოველ მოცემულ მომენტში. სიტყვა ჩვენ პრაქტიკულად შესაძლებლობას გვაძლევს ვისარგებლოთ იგივეობით საჭიროებისა და სურვილის მიხედვით.

ჩვენ აღარ შევეხებით იმ უდიდეს უპირატესობას, რომელიც ჰქონდა და აქვს სიტყვას ყველა სხვა ნიშნის წინაშე, რომელთა გამოყენებაც შეეძლო ადამიანს თავისი აზრების შინაარსის იგივეობის ფაქტის აღსანიშნავად და ამ პრობლემის მხოლოდ ყველაზე არსებით მომენტებზე შევჩერდებით.

როცა ადამიანის ცნობიერებაში რომელიმე შესაძლებელი შინაარსთაგანი აღმოცენდება, იგი მასთან სიტყვის ფორმას იღებს და კავშირი სიტყვასა და მის შინაარსს შორის იმდენად მჭიდროა, რომ მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააზრების შესაძლებლობა, შეიძლება ითქვას, სრულიად გამორიცხულია: ადამიანის ცნობიერებაში ისინი მჭიდრო განუყრელი კავშირით არიან წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, სიტყვა, რომელიც მოცემულ აზრს გამოხატავს, შეიძლება, მეტ-ნაკლები წარმატებით, სხვა სიტყვითაც შეიცვალოს. მაგრამ აზრების არსებობა და მათი განმეორებითი გამოყენება ყოველგვარი სიტყვიერი საშუალების გარეშე სრულიად შეუძლებელია. ეს კავშირი იმდენად მჭიდრო და არსებითია, რომ მეცნიერებაში ცნობილია უკიდურესი მიმართულებანი (მაგ. ბიჰევიორიზმი), რომელსაც სწორად მიაჩნია აზრის სიტყვასთან იდენტიფიკაციაც კი. ერთი სიტყვით, აზროვნება, რომელიც აუცილებლობით ემყარება იგივეობის პრინციპს, რა თქმა უნდა, სიტყვასთან სავსებით იდენტური არ არის, მაგრამ მასთან განუყრელ ერთიანობაში მიმდინარეობს.

რას გვეუბნება ეს გარემოება? თუ ჩვენ, ჯანმრთელ, ნორმალურ ადამიანებს ფაქტიურად არა გვაქვს დამოუკიდებელი, სიტყვისაგან სრულიად თავისუფალი აზრები, თუ ჩვენში არ შეიძლება მიმდინა-

რეობდეს მეტყველებისაგან სრულიად მოწყვეტილი აზროვნების პროცესი, ეს იმას ნიშნავს, რომ აზრს ძირითადად მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, რომ აზრი, რომელიც არაა მეტყველების იდენტური, მეტყველების თანახმად უნდა ყალიბდებოდეს. ჩვენ არა გვაქვს წმინდა, სიტყვისაგან სრულიად დაცლილი აზრები და ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ მათ კავშირს სიტყვასთან შემთხვევითი, არააუცილებელი ხასიათი აქვს. აზროვნება არა მარტო ფაქტიურად, არამედ აუცილებლობითაა დაკავშირებული მეტყველებასთან. ტყუილად კი არ იყო, რომ ბერძნები, როგორც ერთს, ისე მეორეს ერთი და იგივე სიტყვით აღნიშნავდნენ.

7. ადამიანი, როგორც სოციალური არსება. რას ნიშნავს ეს? მეტყველება უდავოდ სოციალური ბუნების მოვლენაა. იგი მოლაპარაკესა და მსმენელს გულისხმობს და მათ გარეშე წარმოუდგენელია. მაშასადამე, აზროვნებაც პირველ რიგში სოციალური კატეგორიის ფაქტად უნდა ჩავთვალოთ. უეჭველია, რომ ადამიანმა როგორც აზროვნება, ისე მეტყველებაც მაშინ დაიწყო, როცა იგი საზოგადოების წევრად იქცა, რადგან საზოგადოებაში ერთად ცხოვრება და ერთად მოქმედება აუცილებლობით მოითხოვს როგორც ერთს, ისე მეორეს. მართალია, აზრი ყოველთვის მხოლოდ ენობრივ ფორმაში გვეძლევა და ამ ფორმის გარეშე აზროვნება, როგორც ასეთი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მეორე მხრივ უდავოა ისიც, რომ აზრი და სიტყვა არ წარმოადგენს იდენტურ მოვლენებს და ისინი ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. უეჭველია, რომ სიტყვის ფაქტს, ისევე როგორც აზრის ფაქტს წინ უსწრებს მათი სუბიექტი, ადამიანის პიროვნება, რომელიც მიისწრაფვის სიტყვებში გამოხატოს ის, რისი თქმაც სურს. გამოთქმული აზრი ადამიანის აქტივობის პროდუქტია, ადამიანისა, რომელიც მიისწრაფვის გამოთქვას რაღაც, რათა გარკვეულ მიზანს მიაღწიოს, მიისწრაფვის მისცეს იმას, რაც მას აინტერესებდა, საზოგადოების სხვა წევრებისათვის მისაწვდომი აზრის სიტყვიერი ფორმა. ასე იქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ ადამიანი, როგორც ინდივიდი, ამავე დროს ფსიქოლოგიურად საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე ხდება და მისი ინდივიდუალური ფსიქიკის მექანიზმი ერთდროულად მისი სოციალურად წარმართული აქტივობის ორგანოდაც იქცევა.

ამგვარად, აუცილებლობა სიტყვისა, რომელიც ადამიანთან ობიექტივაციის აქტის შედეგად და შემდეგ — იდენტიფიკაციის საფუძველზე აღმოცენდება, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ როგორ უნდა

გადაქცეულიყო ინდივიდუალური ადამიანის პერსონა სოციალურ ადამიანურ პიროვნებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტივაციის ძირითადი ფსიქოლოგიური ფაქტი, რომლის არსთანაც პირველადაა დაკავშირებული როგორც იდენტიფიკაციის, ისე ნომინაციის ფაქტი, არსებითად იმ ფუნდამენტალური გადატრიალების შედეგია, რომელმაც სიცოცხლე სოციალურად დეტერმინებული ადამიანური ფორმების განვითარებამდე მიიყვანა. ობიექტივაცია, არსებითად, სოციალური მექანიზმია და არა ქცევის ინდივიდუალურ-ცხოველური ფორმების მექანიზმი. ობიექტივაცია არის ქცევის აქტი, რომელიც სოციალურად წარმართული მიზნების საფუძველზე ალმოცენდება.

როგორ უნდა გავიგოთ ეს?

ადამიანის სოციალური ცხოვრების სპეციფიკური თავისებურება, მისი გამოვლენის ყველაზე პრიმიტიულ ფორმებშიც კი, შემდეგში მდგომარეობს: როცა ადამიანი თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ წარმართულ მოქმედებას ავითარებს, ირკვევა, რომ იგი მხოლოდ თავისი პირადი საჭიროების მკაცრ შემოსაზღვრულ სფეროში კი არ რჩება, იგი ხშირად სცილდება პირადი მოთხოვნილებების ფარგლებსა და გარკვეული ხარისხით თავის ორბიტაში მოაქცევს მასთან მეტნაკლებად ახლო მყოფი ინდივიდების ინტერესების მომსახურებასაც. სოციალური არსება სწორედ იმით განსხვავდება არასოციალურისაგან, რომ იგი პირადი ხასიათის მოთხოვნილებათა სფეროში ჩააბამს მთელ რიგ ისეთ მოთხოვნილებებსაც, რომლებიც აშკარად მოკლებულია ამ პირად ხასიათს და ადამიანთა რომელიმე მეტ-ნაკლებად ფართო წრის საჭიროებისა და მოთხოვნილებისკენაა მიმართული. ცხოვრების განვითარებასთან ერთად სოციალური საზრუნავი თანდათან იზრდება, ადამიანის ინტერესების დომინირებულ ფორმად იქცევა და გადამწყვეტ გავლენას ახდენს მთელს მის მოქმედებაზე. სოციალური მიმართულების პროცესის გაძლიერება პირდაპირ კავშირშია სპეციფიკურ-ადამიანური თავისებურებების განვითარებასთან, რომელიც მას ამ მიმართულების დაკმაყოფილებას უადვილებს. მხედველობაში მაქვს *ობიექტივაციის* უნარი, რომელიც უვითარდება ადამიანს და მისი აქტივობის ყველა სპეციფიკურ ფორმას განსაზღვრავს. როგორც ვნახეთ, ობიექტივაცია, ძირითადად, ადამიანზე მოქმედ შთაბეჭდილებათა დაკავშირების, მათი შეჩერების განცდაზე დაიყვანება. ეს გარემოება პირობებს გვიქმნის იმისათვის, რომ ჩვენზე მოქმედი შთაბეჭდილება განვიცადოთ, როგორც რაღაც ობიექტური. ე. ი. არა მარტო ჩემთვის, არამედ ერთდროულად ყოველი სხვა ადამიანისთვის არსებულიც. სავსებით

ბუნებრივია, რომ როცა მოქმედებას ჩემს მიერ ობიექტივირებულ საგნებსა და მოვლენებზე წარვმართავ, მე შესაძლებლობა მეძლევა ამ საგნებით მანიპულაციისას ვიხელმძღვანელო არა მათი რომელიმე ამ ნიშანთაგანით, რომელსაც ჩემთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არამედ მათი ობიექტურად მოცემული თვისებების რიგით — განურჩევლად მათი დამოკიდებულებისა ჩემს მიზნებთან. ეს საშუალებას მაძლევს შევარჩიო ჩემი აქტივობის მიმართულება ჩემი მიზნისა და განზრახვის შესაბამისად. თუ მე მხედველობაში მაქვს სხვისი ინტერესები, და არა ჩემი პირადი ვიწრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაშინ ობიექტივაციის აქტი მე შესაძლებლობას მაძლევს დავინახო, რას წარმოადგენს ჩემს მიერ ობიექტივირებული მასალა და შემდეგ, არის თუ არა მასში ისეთი რამ, რაც ჩემი ინტერესების შესატყვისი იქნებოდა. ობიექტივაცია მაძლევს მასალას, რომლითაც შემიძლია ვისარგებლოთ არა აუცილებლად ჩემი აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების მიხედვით, არამედ ამა თუ იმ ისეთ მოთხოვნილებებთან დაკავშირებითაც, რომლებიც სხვებს აქვს, ანდა როდისმე მომავალში შეიძლება მე თვითონაც გამიჩნდეს. იგი ადამიანს აძლევს ძალას, განთავისუფლდეს პირადი, უსათუოდ მოცემულ მომენტში მოქმედი მოთხოვნილების ბატონობისაგან და იზრუნოს სხვა ადამიანის, ისევე როგორც თავის საკუთარ მომავალ და შესაძლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ადამიანად, ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან ობიექტივაციის უნარზე დამყარებით და ობიექტურის წვდომით საშუალება მიიღო განთავისუფლებულიყო აწმყოსა და პირადის აუცილებელი ბატონობისაგან და თავისი აქტივობა პირადისა და აქტუალურის გარეთ არსებული მოთხოვნებისა და მოთხოვნილებებისათვის დაემორჩილებინა, ე. ი. იგი ადამიანად, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან შრომის უნარი შეიძინა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის ძირითადი უნარები *ობიექტივაცია, იდენტიფიკაცია და ნომინაცია* — რომელიც სოციალური ცხოვრების პირობებში აღმოცენდება, თავის მხრით, სოციალური ცხოვრების შემდგომი წინსვლის ფსიქოლოგიურ პირობად იქცევა.

8. გამეორება, როგორც ადამიანის სამყაროს სპეციფიკა. ცხოველთან განწყობის საკითხის შესწავლისას ვნახეთ, რომ მისი ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებას წარმოადგენს განუწყვეტელი, განუმეორებადი, შეუნელებელი მოძრაობა წინ, მაგრამ ეს მხოლოდ

ცხოველთან! სრულიად სხვა სურათი გვაქვს ადამიანთან. აქ ჩვენ ვხედებით კარდინალური მნიშვნელობის ფაქტს, რომელიც თავისებურ ელფერს და აზრს აძლევს ადამიანის ცხოვრების მთელ პროცესს, მის მთელ მოქმედებას; სახელდობრ: აქ, ადამიანთან, პირიქით, შეუჩერებელი მოძრაობის ნაცვლად, მისი სამყაროს ცალკეულ მომენტებზე დაყოვნების, შეჩერების ფაქტთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანმა, რომელიც სოციალურ არსებად იქცა, ამავე დროს თავის ინდივიდუალურ ცხოვრებაში რადიკალური გარდატეხის განხორციელების უნარი მოიპოვა, მისი იდეური შეჩერების, მისი ხელმეორედ განცდის უნარი. შეუჩერებელი დინების ნაცვლად მას შესაძლებლობა ეძლევა დააკვირდეს სინამდვილეს, როგორც რაღაც მოცემულსა და გამეორებადს. ამ გზით ადამიანი მიდის იქამდე, რომ იგი სამყაროს სჭვრეტს, განიცდის მას სიმშვიდისა და უმოძრაობის ასპექტში, როგორც რაღაც თავის თავის იდენტურს, განმეორებით აღქმისა და ზემოქმედებისათვის მისაწვდომს. მოკლედ, ობიექტივაციის საფუძველმდებელი ფაქტის წყალობით ადამიანს არა მარტო ობიექტურ სინამდვილეში ცხოვრების, არამედ ამ სინამდვილის როგორც ობიექტურად მოცემულის ჭვრეტის შესაძლებლობაც ეძლევა. ეს მას არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მოქმედების საშუალებასაც აძლევს. ცხოველის მიმართ კი ამის თქმა არ შეიძლება: იგი მოკლებულია ჭვრეტის უნარს, მისთვის უცხოა თეორია, რადგან, ფსიქოლოგიურად რომ ვთქვათ, მას არა აქვს ობიექტივაცია.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ცხოველის სამყარო წარმოგვიდგება, როგორც რაღაც შეუჩერებლად მოძრავი, როგორც რაღაც განუწყვეტელი ცვლილებების პროცესში მყოფი, ადამიანის სამყაროს შესახებ ამის თქმა არ შეიძლება: ჩვენ ადამიანის სამყაროს ჭვრეტა შეგვიძლია და ფაქტიურად ვჭვრეტთ კიდეც მას, როგორც რაღაც მოცემულს, თავის თავის იდენტურს და როგორც რაღაც ისეთს, რაც შეიძლება გამეორდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც გნებავთ. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი იგივეობის ლოგიკური პრინციპის მიხედვით განიხილება. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის იმას, რომ ადამიანს სამყაროსადმი სპეციფიკური დამოკიდებულება უმუშავდება — იგი მის შემეცნებას ინყებს. რას ნიშნავს ეს?

9. დაკვირვება. გარკვეული პირობების არსებობისას ადამიანს გარკვეული აქტივობის განწყობა უჩნდება. მაგრამ იგი, როგორც წესი, უშუალოდ კი არ ახდენს ამ განწყობის რეალიზაციას, არამედ ამჯობინებს წინასწარ შეჩერდეს, ამ აქტივობის პირობების ობი-

ექტივაცია მოახდინოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს მისი რეალიზაციის ცდას. როცა მას გარკვეული განწყობა უჩნდება, იგი ჩვეულებრივ მის რეალიზაციას შესატყვის აქტივობაში ახორციელებს. მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ რეალიზაციის ცდა შეჩერდეს ან იმის გამო, რომ იგი ცუდად, ან სულ ვერ ხორციელდება, ან იმიტომ, რომ იგი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სუბიექტის მიერ ამა თუ იმ მიზეზის გამო უფრო არსებითადაა მიჩნეული. ერთი სიტყვით, შეიძლება მოხდეს, რომ მოცემული განწყობის რეალიზაცია — რა მიზეზის ან რა საფუძვლის გამო, სულ ერთია, — არ აკმაყოფილებს სუბიექტს. ამ შემთხვევაში განწყობის რეალიზაციის აქტი დაყოვნდება, ე. ი. ძალაში შედის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ობიექტივაციას ვუწოდებთ და რომელსაც უშუალოდ მოსდევს კითხვა, რატომაა, რომ ამ შემთხვევაში სასურველი რეალიზაცია არ ხდება და როგორი უნდა იყოს ის. და აი, ამ კითხვის საპასუხოდ, იწყება სუბიექტის ინტელექტუალური აქტივობა, იწყება მისი აზროვნება. აზროვნებამ სუბიექტს პასუხი უნდა გასცეს დაყენებულ კითხვაზე და ამით მიუთითოს რა მიმართულებით უნდა გაიშალოს მოქმედება, რათა მას დაკმაყოფილება მოუტანოს. საჭიროა შევჩერდეთ ამ პროცესის დახასიათებაზე!

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა სახის პროცესები იწყებს მოქმედებას აზროვნებისას, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა გავარკვიოთ, რა ხდება ფსიქიკაში აქტივობის ამ პლანზე, ობიექტივაციის პლანზე.

იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, ავიღოთ ჩვენ ცხოვრების რომელიმე კონკრეტული, მაგრამ მარტივი შემთხვევათაგანი. ვთქვათ, მონადირე, რომელმაც ფრინველი დაინახა, უმიზნებს და ესვრის მას. უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი, რომელიც მონადირის გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში ფრინველს ესვრის, მოცემული კონკრეტული სიტუაციით განსაზღვრული განწყობის რეალიზაციას ახდენს. იგი ხელში იღებს მოკლულ ფრინველს და ხედავს, რომ ეს სრულიადაც არაა ის, რაც მას ეგონა, რომ ეს, შესაძლოა, სრულიად უვარგისი იყოს მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ყოველ შემთხვევაში, მის წინაშე დგება კითხვა — რა ფრინველია ეს და თუ, მაგალითად, მისთვის საინტერესო საკითხის გარკვევამდე მან ისევ დაინახა ასეთივე ფრინველი, იგი უნდა ვიფიქროთ, თავს შეიკავებს და არ ესვრის მას. იმისათვის, რომ დაკმაყოფილოს კითხვა (რა ფრინველია ეს?), იგი, პირველ რიგში მოკლული ფრინველის ყურადღებით დათვალიერებას იწყებს; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აკვი-

რდება მის ცალკეულ თვისებებს: შესაძლოა მის მთლიან გარეგნობას, როგორც გამოიყურება ფრინველი, მისი ბუმბულის ფერს, ფორმას და მთელ რიგ სხვა თვისებებს. ერთი სიტყვით, ის, რაც მან ფრინველის დანახვისას და დამიზნებისას, არსებითად, შეგრძნებათა გარკვეული კომპლექსის სახით შეამჩნია და განიცადა, ახლა ხელახლა განიცადა მის მიერ, მაგრამ ამჯერად უკვე როგორც მისი დაკვირვების დამოუკიდებელი საგანი, როგორც ესა თუ ის თვისება, რომელსაც იგი ხელმეორედ ყურადღებითა და თანმიმდევრობით ათვალიერებს. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტი მოკლულ ფრინველზე *დაკვირვებას იწყებს*, ხელმეორედ აღიქვამს ცალკეულ ნიშნებს, როგორც მის მიერ მოკლული ფრინველის თვისებებს, რათა ბოლოს და ბოლოს აღიქვას ისინი, როგორც რომელიმე გარკვეული გარეული ფრინველის თვისებები. ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ ცალკეული ნიშნები, რომელსაც იგი შეიგრძნობს, როგორც გარკვეულ გრძნობად თვისებებს, მისთვის ახლა უკვე ნაცნობი ფრინველის თვისებებად იქცევა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მონადირის ცნობიერებაში შემდეგი რამ ხდება: ცალკეული რომელობანი, რომელიც მის მიერ სხვადასხვაგვარი შეგრძნებების სახით განიცდებოდა, ახლა აღიქმება, როგორც სრულიად გარკვეული ფრინველის — მოცემულ შემთხვევაში მისთვის ნაცნობი ფრინველის — თვისებები. ეს ხორციელდება იგივე თვისებების ხელმეორედ აღქმისა და სიტყვის საშუალებით მათი პრედიცირების შედეგად, — საბოლოო ანგარიშით, აღქმისა და ლოგიკური (ვერბალური) აზროვნების გაერთიანებული მუშაობის შედეგად, ე. ი. იმის შედეგად, რასაც ჩვეულებრივ „*დაკვირვებას*" ვუწოდებთ.

თუ ჩვენს მაგალითს დავუბრუნდებით, ობიექტივაციის უნარი მონადირეს მოკლული ფრინველის იდენტიფიკაციისა და მისი თვისებების ხელმეორედ აღქმის საშუალებას აძლევს, ე. ი. მის ცალკეულ თვისებებზე „*დაკვირვების*" შესაძლებლობას აძლევს. და აი, ეს პროცესი წარმოადგენს ჩვენი აზროვნების მუშაობის პირველ გამოვლენას — უფრო ზუსტად — იგი წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც ერთ მთელში აერთიანებს ჩვენი შეგრძნებისა და ჩვენი ვერბალური აზროვნების მუშაობას.

10. **წარმოდგენა.** დაკვირვებასთან ერთად ჩვენს ფსიქიკაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლს ჩვენი *წარმოდგენის* უნარი ასრულებს. აქტივობის მთელი ის პროცესი, რომელსაც დაკვირვების შემთხვევაში აქვს ადგილი, თავისებური ფორმით შეიძლება წარმოდგენის ყველა შემთხვევაშიც დავადასტუროთ. მაგრამ წარმოდგენის სპე-

ციფიკურ, ყველაზე უფრო დამახასიათებელ ფორმას ჩვენი მეხსიერების პროდუქტები წარმოადგენს და აქ ჩვენ მათზე შევჩერდებით;

თუ ცხოველს მივმართავთ, მასთან მეხსიერების წარმოდგენაზე ლაპარაკი უსაფუძვლო იქნებოდა. რა თქმა უნდა, სადავო არაა, რომ წარსული ცხოველთან სრულიად უკვალოდ არ მიმდინარეობს — იგი გარკვეული ხარისხით მის აწმყოშიც განაგრძობს არსებობას. მაგრამ როდესაც მეხსიერებაზე ვლაპარაკობთ, როცა ვამბობთ, რომ ჩვენ რაღაც გვახსოვს, ეს ნიშნავს, რომ ამჟამად გვაქვს არა მხოლოდ რაიმე შინაარსი ჩვენი ფსიქიკის წარსულიდან, არამედ ერთდროულად იმის ცნობიერებაც, რომ მას, ამ შინაარსს ნამდვილად ჰქონდა ადგილი წარსულში და, როგორც წესი, სწორედ გარკვეულ წარსულში. ცხოველს ამის გაცნობიერება არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, მან ხომ არ იცის გამეორება, მას ხომ არა აქვს იგივეობის ცნობიერება. მაშასადამე, მას არ შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი მნემური წარმოდგენები.

სხვა საქმეა ადამიანი! მეხსიერება მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნართაგანია, იგი ადამიანის კულტურის ჩასახვისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფსიქოლოგიური პირობაა.

მაგრამ რას ემყარება იგი?

ჩვენი მეხსიერების ფაქტების ძირითად თავისებურებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ისინი განიცდებიან არა როგორც ჩვენი ფსიქიკის ორიგინალური შინაარსები, არამედ, როგორც რაღაც ისეთი, რასაც ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი და რაც ახლა მხოლოდ მეორდება. ეს — ძირითადი ნიშანია, ურომლისოდაც მეხსიერების წარმოდგენები საერთოდ არ არსებობს. მაშასადამე, სრულიად უდავოა, რომ ჩვენი მეხსიერების შინაარსების ძირითად წყაროს ობიექტივაცია წარმოადგენს. იგი გვაძლევს იგივეობის შემეცნებისა და, მაშასადამე, ცნობიერი გამეორების შესაძლებლობასაც, რომელიც ესოდენ დიდ როლს ასრულებს ჩვენი მეხსიერების მუშაობაში. მეცნიერებაში დიდიხნის წინ დადგენილი დაკვირვება, რომლის მიხედვითაც დამახსოვრების პროცესში მნიშვნელოვანია არა გარკვეული მასალის გამეორების უბრალო ფაქტი, არამედ ცნობიერი გამეორება, გასაგები სწორედ და მხოლოდ მეხსიერების მუშაობის იმგვარი გაგების საფუძველზე გახდება, რომელიც ჩვენს მიერაა აქ მოცემული.

ამგვარად, მეხსიერება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენდება და ამიტომ გასაგებია, რომ იგი ადამიანის ერთ-ერთ სპეციფიკურ უნარს წარმოადგენს.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მეხსიერების სახესხვაობანი განვითარების ერთი და იგივე საფეხურის ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ. მეხსიერების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის მნემური უნარი თავის თავში შეიცავს განვითარების მთელ რიგ განსხვავებულ, ობიექტივაციის საფუძველზე დამყარებულ საფეხურებს. ამიტომ ადამიანის მეხსიერება უნდა განიხილებოდეს არა როგორც ერთიანი, თავის ყველა სახესხვაობაში რომელობით ერთგვაროვანი ფუნქცია, არამედ როგორც უნარი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს განვითარების მთელ რიგ განსხვავებულ საფეხურებს, რომლებიც ადამიანის განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. ასეთია მეხსიერების მუშაობის შემდეგი სახესხვაობანი: 1) პასიური ფორმები: ცნობა, უშუალო მეხსიერება, ასოციაციური მეხსიერება, და 2) აქტიური ფორმები: დასწავლა და მოგონება. მაგრამ როგორ მუშაობს თითოეული ამ ფუნქციათაგანი — ეს მეხსიერების ფსიქოლოგიის სპეციალური საკითხია და აქ მასზე არ შევჩერდებით.

11. ყურადღება. ცნობილია თუ რაოდენ დიდი როლი მიეკუთვნება მეცნიერებაში სპეციფიკურ ფუნქციას, რომელიც *ყურადღების* სახელითაა ცნობილი. ამ ფუნქციის მუშაობის ფაქტებთან ანალიზი გვიჩვენებს უაღრესად დიდ როლს, რომელსაც იგი ადამიანის ცხოვრებაში ასრულებს. მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, ყურადღების დახმარების გარეშე ვერც ცხოველი დარჩება. ამიტომ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ფუნქციის საფუძველში ადამიანისათვის სპეციფიკური არაფერია საძიებელი.

მაგრამ დაკვირვებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფაქტიურად ეს ასე არაა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ადამიანისათვის სპეციფიკურ ფუნქციასთან გვაქვს საქმე და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ცხოველთან ამ ფუნქციის არსებობაზე ვილაპარაკოთ. საქმე ისაა, რომ ყურადღების მუშაობის ცნობიერი ხასიათის ეჭვის ქვეშ დაყენება შეუძლებელია; არ არსებობს შემთხვევა, რომ რაიმე ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენდეს და ამავე დროს რაღაც არაცნობიერის მდგომარეობაში რჩებოდეს. ყურადღების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს უნარს, რომელიც ცნობიერად გადააქცევს იმას, რაც მის გარეშე მუდამ ცნობიერების გარეთ დარჩებოდა. არაცნობიერი ყურადღება არ არსებობს.

მაგრამ როგორღა უნდა გავიგოთ ის მოვლენები, რომლებიც, როგორც ჩანს, სრულიად აშკარად მიუთითებენ ცხოველთა ყურადღების არსებობის ფაქტს. თუ კი ცხოველთან ცნობიერი ფსიქიკური

განცდების ფაქტების დაშვება გადაულახავ სიძნელეებს აწყდება, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ყურადღების აქტების არსებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება დასაბუთებულად ჩავთვალოთ. ამიტომ ცხოველის რეაქციებს, რომელიც ჩვეულებრივ, ყურადღების რეაქციად მიაჩნიათ, ცხოველის უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ მეცნიერება (პავლოვი) განიხილავს როგორც საორიენტაციო ხასიათის მოვლენას. მათ სწორედ ასე, საორიენტაციო მოძრაობებს უწოდებენ: ცხოველი, რომელზეც რაიმე ძლიერი გამღიზიანებელი მოქმედებს, ისე მომართავს თავის ორგანიზმს, რომ მას სიტუაციაში მაქსიმალურად კარგი ორიენტაციის საშუალება ეძლევა.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს რეაქცია არ წარმოადგენს წმინდა რეფლექტორული ბუნების მოვლენას, რომ იგი გარკვეულ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს, არა მარტო ინდივიდის, არამედ იმ პირობების მიხედვითაც, რომელშიც იგი ხორციელდება, უფრო მარტივი და უფრო სწორი იქნებოდა ასეთი რეაქციები ჩაგვეთვალა არა რეფლექსებად ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ რეაქციებად, რომლებიც ცხოველის განწყობის საფუძველზე აღმოცენდება. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შესაძლებლობა გვექნებოდა ცხოველი წმინდა რეფლექტორულ არსებად არ ჩაგვეთვალა და, მიუხედავად ამისა, გვეთქვა, რომ ყურადღება მას არა აქვს. მაშინ ყურადღების აქტის უნარი შეიძლებოდა ადამიანის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებად მიგვეჩნია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ობიექტივაციის ცნების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი მეტად მჭიდრო კავშირშია ყურადღების ცნებასთან. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ აღნიშნული კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ გარკვეული თვალსაზრისით ამ ცნებებს შორის განსხვავება შეიძლება არც კი დაგვენახა[1]. მაგრამ გულმოდგინე ანალიზი გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში განსხვავება მათ შორის უეჭველია. ობიექტივაცია უნდა გავანსხვავოთ ყურადღებისაგან, თუმცა ადამიანის არც ერთი სხვა ფუნქცია არაა ისე მჭიდროდ დაკავშირებული მასთან, როგორც ყურადღება. ამიტომ ობიექტივაციის მოქმედებას ვერსად ისე მკაფიოდ ვერ ვხედავთ, როგორც ჩვენი ყურადღების მოქმედების ფაქტებზე დაკვირვებისას. მაგრამ მათი ერთმანეთისაგან განსხვავება მაინც საჭიროა; ობიექტივაცია არის მხოლოდ შეჩერება ჩვენს რომელიმე განწყობით მდგომარეობაზე, ჩვენს რომელიმე განცდაზე, ესაა განმეორებითი განცდა რიღაცისა, რაც შეიძლება ჩვენი ყურადღების საგანი იყოს. ობიექტივაცია გვაძლევს

[1] შეად. ღ. **უზნაძე**, ყურადღების არსისათვის. ფსიქოლოგია. IV, 1946.

მასალას, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია კონცენტრირება მეტი ან ნაკლები ხარისხით, ხოლო თუ ჩვენი განცდის *სინათლეს* გამოვყოფთ, როგორც ამ მდგომარეობის განსაკუთრებულ მომენტს, მაშინ უეჭველია, რომ სანამ ამა თუ იმ განცდის სინათლის ხარისხის საკითხი დადგებოდეს, ჩვენ უკვე უნდა გვქონდეს რაღაცის, როგორც გარკვეული სახით მოცემულის, როგორც თავის თავთან იდენტურის ცნება. მაშასადამე, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ლაპარაკი რომელიმე განცდის სინათლის ხარისხის შესახებ, საჭიროა უკვე წინასწარ გვქონდეს წარმოდგენა თვით ამ განცდაზე, როგორც მოცემულზე, როგორც თავის თავთან იდენტურზე, ე. ი. იმისათვის, რომ ყურადღების მუშაობა შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია ობიექტივაციის აქტის წინასწარი არსებობა დავუშვათ, მაშასადამე, ყურადღების მუშაობა ობიექტივაციის წინასწარი აქტივობის გარეშე შეუძლებელია.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყურადღების პროცესებიც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, როგორც ობიექტივაციის უნარის მქონე არსებას.

12. აზროვნება. მაგრამ დავუბრუნდეთ აზროვნების პრობლემას! ჩვენ ვიცით, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო — ან იმის გამო, რომ მიმდინარე აქტივობა ვერ ხორციელდება, ან იმიტომ, რომ იგი რატომღაც არასასურველი აღმოჩნდება — ადამიანი წყვეტს მოქმედებას და თავის ერთ-ერთი სპეციფიკური უნარის აქტივიზაციას ახდენს, უნარისა, რომელსაც ჩვენ *ობიექტივაციას* ვუწოდებთ. ამ შემთხვევაში მის წინაშე დგას არა მასთან ამჟამად არსებული განწყობის რეალიზაციის ამოცანა, არა პრაქტიკული საკითხი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შემეცნებითი, ასე ვთქვათ თეორიული ხასიათის საკითხი. მან უნდა გაარკვიოს, რატომ გახდა შეუძლებელი, ან რატომ აღმოჩნდა მისთვის არასასურველი მოცემული განწყობის საფუძველზე დამყარებული მოქმედება და როგორი უნდა იყოს იგი. ასე, ადამიანის ცხოვრების გართულებულ სიტუაციაში აუცილებლობით იქმნება პირობები თეორიულ პლანში მიმდინარე აქტივობის ჩასახვისა და განვითარებისათვის. სუბიექტი აჩერებს მოცემულ პირობებში არსებული განწყობებით მიმდინარე ქცევას იმისათვის, რომ აქტიურად განსაზღვროს ახალი, მისი მიზნების შესატყვისი განწყობა და მიიღოს ზომები ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის. ამგვარი განწყობის სპეციფიკურ თავისებურებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი წარმოადგენს სწორედ სუბიექტის აქტიური მოქმედების, გარკვეული მიმართულებით წარმოებულ ძიებათა პროდუქტს.

მაგრამ საკითხავია, რა ასრულებს როლს ამ ძიების პროცესში? ზემოთ ვნახეთ, რომ ამას ახორციელებს ადამიანის სპეციფიკური უნარი, რომელიც *აზროვნების* სახელითაა ცნობილი. ობიექტივაციის პირობებში სუბიექტი თავის ამ აქტივობას მიმართავს და ეს უკანასკნელი წამოჭრილი თეორიული ამოცანის გადაწყვეტისათვის იწყებს მუშაობას.

აზროვნება, რომელსაც ხელთ აქვს ფსიქიკური აქტივობის ყველა საშუალება — ყურადღება, დაკვირვება, წარმოდგენა — აღწევს იმას, რომ მთელი რიგი ძიებების შედეგად საბოლოოდ ჩერდება სუბიექტის წინაშე არსებული ამოცანის გადაწყვეტაზე. და მაშინ სუბიექტისათვის თავისი აქტივობის გადასაწყვეტი ამოცანის მნიშვნელობისაღმი შესატყვისი განწყობის გზით წარმართვის საკითხი დგება.

მაგრამ იბადება კითხვა: რაღა აზრი აქვს ჩვენი აზროვნების მუშაობასა და, მაშასადამე, ჩვენი ობიექტივაციის უნარს, თუ კი ამ მუშაობის შედეგი წმინდა სუბიექტური, პირობითი ხასიათისაა — ისეთივე ხასიათისა, როგორც იმ განწყობის შედეგი, რომელიც უშუალოდ ჩვენი მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის საფუძველზე აღმოცენდება? უეჭველია, რომ არც ობიექტივაციისა და არც მის საფუძველზე აღმოცენებული აზროვნების საჭიროება არ დადგებოდა, თუ კი ისინი არსებითად ახალს არაფერს მოგვცემდნენ იმასთან შედარებით, რისი მოცემაც შეუძლია უშუალო განწყობას, რომელიც ცხოველისთვისაცაა დამახასიათებელი. ობიექტივაცია და აზროვნება სწორედ იმიტომ აღმოცენდება ადამიანის სოციალური ცხოვრების პირობებში, რომ ისინი მას ამოცანის ობიექტურად სწორი გადაწყვეტისა და მის ირგვლივ არსებული სინამდვილის მოთხოვნებთან შეუცდომელი შეგუების შესაძლებლობას აძლევენ. შეიძლება გვეთქვა, რომ ობიექტივაცია, როგორც ადამიანის არსებობის სოციალური პირობების პროდუქტი, მას არა ინდივიდუალური, არამედ სოციალურად წარმართული აქტივობის საშუალებას აძლევს. იგი მას შესაძლებლობას აძლევს წარმართოს თავისი აქტივობა ობიექტურად დასაბუთებული, სწორი დებულებების საფუძველზე: ობიექტივაცია მისთვის ჭეშმარიტების შემეცნების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი მხოლოდ მას შემდეგ იქცა შემოქმედ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია თავისი ამოცანების შესატყვისად გარდაქმნას სამყარო და შექმნას კულტურა, რაც იგი ობიექტივაციის საფუძველზე მოაზროვნე და — შემდეგ — ნებისყოფის მქონე არსება გახდა.

ამგვარად, ობიექტივაციის ფაქტი, რომელიც ადამიანს იდენტიფი-

კაციის, ნომინაციისა და ფართო ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობას უქმნის, ამავე დროს აძლევს მას საშუალებას განახორციელოს სწორი, ობიექტურად დასაბუთებული მოქმედება, რომელიც გარდაქმნის და აშენებს ამ სამყაროს კულტურისა და პროგრესის ინტერესების მიმართულებით.

13. არასწორი აზროვნების პრობლემა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აზროვნება ყოველთვის ობიექტურად დასაბუთებულია, რომ არასწორი აზროვნების შემთხვევები საერთოდ არ არსებობს? რათქმა უნდა, ამის თქმა შეუძლებელია. მცდარი აზროვნების ბევრი ფაქტი არსებობს, იქნება არანაკლები, ვიდრე სწორი აზროვნებისა. და აი დგება საკითხი: შესაძლებელია თუ არა ასეთი აზროვნების არსებობა საერთოდ.

თუ არსებობს აზროვნების წანამძღვრები და, უპირველეს ყოვლისა, ობიექტივაცია, მაშინ მცდარი აზრების შემთხვევათა არსებობის დასაბუთება შეუძლებელი უნდა იყოს: სწორად აგებული აზროვნება არ შეიძლება მცდარი იყოს. როგორც ჩანს, ლოგიკური აზროვნება მცდარად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როცა მისი განხორციელებისას არა გვაქვს მისთვის აუცილებელი ყველა წანამძღვარი და, უპირველეს ყოვლისა, როცა არა გვაქვს მისი ძირითადი პირობა — როცა ნამდვილი, სრულყოფილი ობიექტივაცია, არსებითად, არ ხდება.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა ამგვარი შემთხვევები და რაში გამოიხატება ისინი? შესაძლებელია თუ არა, რომ ობიექტივაციის განზრახვა გვქონდეს, მაგრამ ფაქტიურად იგი არასაკმარისი აღმოჩნდეს — არ იძლეოდეს ნამდვილად სრულ ობიექტივაციას.

საკმარისია ეს კითხვა დავაყენოთ, რომ მასზე დადებითი პასუხი გავცეთ. უპირველეს ყოვლისა, არსებობს ადამიანის, როგორც ონტო, ისე ფილოგენეტური განვითარების ფაქტები, რომლებიც აზროვნების იმდენად დაუსაბუთებელი პროცესების არსებობას მიუთითებს, რომ განვითარების დღევანდელ საფეხურზე ისინი თითქმის შეუძლებელიც გვეჩვენება. მაგრამ არაიშვიათია შემთხვევები, როცა მეცნიერებაშიც გვხვდება ასეთივე ნაკლებ დასაბუთებული დებულებები. ყურადღებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევებში აზროვნების მსვლელობა, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, ხშირად სავსებით გამართულია, და მიუხედავად ამისა, მისი შედეგები მეტ-ნაკლებად აშკარა წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან. უეჭველია, რომ შეცდომის წყარო ამ შემთხვევებში უნდა ვეძებოთ არა თვით აზროვნების პროცესში, არამედ იმ წანამძღვრებში, რომელსაც იგი — ეს აზროვნება — ემყარება, შეცდომის წყარო ობიექტივაციის აქტივობაშია საძიებელი.

მაგრამ საკითხავია: რა აზრით შეიძლება იქცეს ობიექტივაცია საერთოდ შეცდომის წყაროდ? როგორც ასეთი, იგი ხომ არაფერს შეიცავს თავის თავში ისეთს, რაც რაიმე შეცდომის აღმოცენების გაპირობებას შესძლებდა. თვითონ ობიექტივაცია, როგორც ვნახეთ, არც არაფერს ამტკიცებს და არაც არაფერს უარყოფს: იგი წარმოადგენს მხოლოდ დაყოვნების ფაქტს, სუბიექტის მოქმედების მოცემულ პირობებში შექმნილი განწყობის შეჩერების ფაქტს და სხვას არაფერს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ საქმე ნამდვილად სრულ, უზადო ობიექტივაციასთან გვაქვს. ამიტომ დგება ამოცანა მივმართოთ ფსიქოლოგიურ ფაქტს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ობიექტივაციად ჩავთვალეთ და ვნახეთ, რამდენად საფუძვლიანია მისი ნამდვილად იმად მიჩნევა, რადაც იგი წარმოგვიდგება: ნამდვილად ობიექტივაციის უდავო ფაქტთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში, თუ, იქნებ, მხოლოდ შეცდომასთან, სუბიექტის ერთგვარ თავის მოტყუებასთან.

14. „აზროვნება" ფსიქიკური ანომალიების შემთხვევაში. იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, მივმართოთ ფსიქოპათოლოგიურად დატვირთული სუბიექტების ქცევას. აი ჩვენთვის საინტერესო სახის მრავალრიცხოვანი შემთხვევების ერთი ნიმუში.

დევნის იდეით შეპყრობილი ავადმყოფი ყურადღებით ათვალიერებს კედელს თავის საწოლთან და ამბობს, რომ იგი გარკვევით ხედავს მასზე საეჭვო ხაზებს. იგი იწყებს კედლის შესწავლას, აწარმოებს მთელ რიგ დაკვირვებებს კედლის ზედაპირზე და ამჩნევს ხაზების უმნიშვნელო ნაკეცებს, რომელიც შემთხვევითაა დარჩენილი კედელზე. თავისი დაკვირვების ამ მონაცემების საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ მის ლოგინთან მდევრებმა კედელში დაატანეს საშინელი მანქანა იმისათვის, რომ ააფეთქონ ავადმყოფი, როცა იგი დაიძინებს.

ეს მასალა გვიჩვენებს, რომ ავადმყოფი აწარმოებს მთელ რიგ ყურადღებით დაკვირვებებს, ისევე როგორც აზრობრივ ოპერაციებს იმისათვის, რომ გამოიტანოს გარკვეული დასკვნა თავისი მტრების ბოროტი განზრახვის შესახებ. მაშასადამე, უნდა ვთქვათ, რომ მან წინასწარ მოახდინა ობიექტივაციის აქტის რეალიზაცია, რომლის გარეშეც აზროვნების ოპერაციების წარმოება მისთვის შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ მაინც რა თავისებურება აქვს ჩვენი ავადმყოფის „ობიექტივაციას"?

მისი ქცევის ანალიზისას ჩვენ ვხედავთ, რომ იგი კედელს უკვე

ერთგვარი წინასწარაღებული აზრით უახლოვდება – აზრით იმის შესახებ, რომ მის მიმართ წარმოებული დევნა უეჭველი ფაქტია და რომ ამ დევნის კვალი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ ამ ადგილას, რომელიც ბოროტი განზრახვის განხორციელების თვალსაზრისით სწორედ ხელსაყრელი ადგილია. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში იმ აზრობრივი ოპერაციების წინამძღვარს, რომელთა შედეგადაც ავადმყოფისათვის ნათელი გახდა მის წინააღმდეგ მიმართული ბოროტი განზრახვის არსებობა, მის საწოლთან არსებული კედლის „ობიექტივაცია" წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ ნამდვილი ობიექტივაცია ამ შემთხვევაში არ ხდება, პირიქით, ავადმყოფის ცნობიერებაში გაბატონებულია გარკვეული იდეა – იდეა მისი დევნის შესახებ, რომლისგანაც განთავისუფლება მას არ შეუძლია და აი, სწორედ ეს იდეა თავის ელფერს აძლევს ავადმყოფის აზრობრივი ოპერაციების საფუძვლად მდებარე ობიექტივაციის პროცესს.

უდავოდ დიდი ფსიქოლოგიური შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ჩვენს ავადმყოფს წინასწარ ჰქონდა ცნობიერებაში რაიმე *გარკვეული* იდეა, ზუსტი წარმოდგენა მისი დევნის შესაძლებელი საშუალებების შესახებ. არა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მას ჰქონდა მხოლოდ დევნის *განწყობა*. და აი, როცა იგი კედელს მიუახლოვდა, მას ამ განწყობის გავლენით მის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების კონკრეტული წარმოდგენა გაუჩნდა: მან დაინახა კედელზე ხაზები, რომელიც აქ ჩატანებული საშინელი მანქანის კვალს ნიშნავდა.

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ ავადმყოფი ამ შემთხვევაში მთლიანად ფიქსირებული განწყობის ტყვეობაში იმყოფება: მას დროებითაც კი არ შეუძლია აირიდოს იგი, რათა ნამდვილი, სრული ობიექტივაციის შესაძლებლობა მიიღოს. ამიტომ მისი აზრობრივი ოპერაციების წინამორბედი მდგომარეობა წარმოადგენს არა ნამდვილ, არამედ მხოლოდ ისეთ ობიექტივაციას, რომელიც, მართალია, კონკრეტულ ფსიქიკურ შინაარსებს არ შეიცავს, მაგრამ სრულიადაც არაა თავისუფალი არსებული ფიქსირებული განწყობისაგან. ნაცვლად იმისა, რომ შეაჩეროს მოქმედება, დროებით გამორიცხოს თავისი განწყობა, ავადმყოფი მთლიანად მის ტყვეობაში რჩება და, ამგვარად, მოკლებულია ნამდვილი ობიექტივაციის რეალიზების უნარს.

15. იდეოლოგია. თუ ახლა ნორმალური, არაპათოლოგიური სუბიექტების ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენებს მივმართავთ, ვნახავთ, რომ ანალოგიური ხასიათის ფაქტები ამ შემთხვევაშიც ხშირია. ჩვენ ვნახავთ, რომ ხშირად ამ ადამიანების აზროვნება ისეთი

არასრულყოფილი, დეფექტური „ობიექტივაციის“ საფუძველზე აიგება, როგორც ზემოთ ჩვენს პათოლოგიურ სუბიექტთან დავადასტურეთ. ამ მხრით განსაკუთრებით ყურადსაღებია იდეოლოგიის პრობლემა კლასობრივ საზოგადოებაში. შევჩერდეთ ამ პრობლემაზე რამდენადმე უფრო დაწვრილებით.

ადამიანი ჩვეულებრივ ზრდისა და განვითარების გრძელ გზას გაივლის და თავისთავად ცხადია, ამ დროის მანძილზე მას გამოუმუშავდება მთელი რიგი სრულიად სხვადასხვაგვარი განწყობებისა, რომლებიც მეტად ან ნაკლებად ფიქსირდება კიდეც მასთან. ამ განწყობებს სხვადასხვა წყარო აქვთ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით არსებითია გარემოს ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმ კლასობრივი გარემოსი, რომელშიც ცხოვრობს და იზრდება ადამიანი. ასე, მთელი ცხოვრების პროცესში და, განსაკუთრებით, ბავშვობის პერიოდში, — როცა საფუძველი ეყრება ადამიანის მსოფლმხედველობას — მას მიღებული აღზრდისა და განათლების საფუძველზე უმუშავდება და უგროვდება რიგი განწყობებისა, რომელიც თან სდევს მას, ერთ შემთხვევაში მთელი სიცოცხლის მანძილზე, სხვა შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით. ჩვეულებრივ, ეს განწყობები ადამიანს არა აქვს გაცნობიერებული, მაგრამ ეს მათ არ უშლის ხელს დარჩნენ აქტიურ ძალად, რომელიც წარმართავს მოქმედებას ამა თუ იმ მიმართულებით.

ამგვარად, კლასობრივი საზოგადოების პირობებში ადამიანს უმუშავდება განწყობათა წრე, რომელიც მის მოქმედებას მისი ცნობიერების გარეშე წარმართავს. თუმცა მას ხშირად თავისი მოქმედების აქტების ახსნის მოთხოვნილება უჩნდება და ამისთვის, იგი, ცხადია, იძულებული ხდება თავის აზროვნებას მიმართოს, მაგრამ ყოველთვის არ შესწევს ძალა განახორციელოს საამისოდ აუცილებელი ობიექტივაციის აქტები — იგი არ აიცილებს, არ აჩერებს თავის გაუცნობიერებელ, უპირველეს ყოვლისა, თავის კლასობრივ განწყობებს და ასეთ შემთხვევაში მისი აზროვნების აქტები ამ განწყობათა გადამწყვეტი გავლენის ქვეშ რჩება.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი აზროვნების შედეგი არ იქნება ობიექტურად დასაბუთებული — იგი უფრო სუბიექტის კლასობრივი, როგორც წესი, მის მიერ ხშირად გაუცნობიერებელი განწყობის პროდუქტია და არა ობიექტურად მიმართული, წანამძღვრებისაგან თავისუფალი კრიტიკულად შემოწმებული აზროვნების შედეგი.

ნაცვლად იმისა, რომ სუბიექტის მოქმედების განწყობა განსაზღვროს, აზროვნება თვითონ განისაზღვრება მისი აქტუალური გა-

ნწყობით და ნაცვლად იმისა, რომ ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებული აქტივობის შედეგს წარმოადგენდეს, იგი იმთავითვე მოცემული, შეუკავებელი, უშუალოდ მოქმედი განნყობის აქტივობის გამოვლენად იქცევა, მოქმედება ობიექტივაციის საფუძველზე გაშლილ, შეუმოწმებელი წინამძღვრებისაგან თავისუფალი აზროვნების პროცესის პროდუქტს კი არ წარმოადგენს, არამედ სუბიექტის გაუცნობიერებელი აქტუალური განნყობების აქტივობის შედეგს.

16. ნებელობა. იქ სადაც საქმე სრულყოფილი ობიექტივაციის ფაქტებთან გვაქვს, სუბიექტი მათი განხორციელებისათვის თავის ნებელობას მიმართავს — ახალ უნარს, რომელიც ნამდვილად მხოლოდ ადამიანის განვითარების საფეხურზე აღმოცენდება და მოქმედებს. ცხოველისათვის უცხოა ნებელობითი აქტივობა, იგი მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. ის, რაც აზრის აქტებითაა მიგნებული, უნდა განხორციელდეს, სინამდვილის ფაქტად იქცეს და, ბუნებრივია, რომ ამისათვის აუცილებელია შესატყვისი ძალა — აზროვნების შედეგის ცხოვრებაში განხორციელების უნარი — აუცილებელია ნებელობის უნარი. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის განვითარების საფეხურზე აქტიურ ნარმმართველ ძალად მისი ნებელობა იქცევა.

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ ეს ძალები — აზროვნება და ნებელობა — უწყვეტსა და აუცილებელ კავშირში არიან ერთმანეთთან? დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამის თქმა არ შეიძლება. არის შემთხვევები, როცა ადამიანს ყოველთვის არ შესნევს ძალა გააკეთოს ის, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია. ზოგი ახერხებს თავის მოქმედებაში გონების კარნახს მისდიოს, ზოგს კი ეს არ შეუძლია. ამ შემთხვევაში ნებისყოფის ძალაზე ლაპარაკობენ და დაასკვნიან, რომ არსებობს მისი განვითარების განსხვავებული საფეხურები.

რას აკეთებს ნებელობა და რა თავისებურება აქვს მას? ჩვენ ვნახეთ, რომ იგი სუბიექტის ძალას წარმოადგენს, მის უნარს, განახორციელოს სინამდვილეში ის, რაც ინტელექტს მიზანშეწონილად მიაჩნია. ცხოველთან საქმის ვითარება უფრო მარტივია: მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი პირობების არსებობისას მას უჩნდება შესატყვისი მოქმედების განნყობა, რომელიც, როგორც წესი, მაშინვე რეალიზირდება. ამ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, აქტუალურად მოცემული განნყობის რეალიზაციის ფაქტებთან გვაქვს საქმე. მაგრამ ადამიანის აზროვნების მუშაობის პირობებში აქტუალური განნყობა არა გვაქვს და მის ნაცვლად იგულისხმება ისეთი აქტივობის შესატყვისი განნყობა, რომელიც მიზანშეწონილად ითვლება,

მაშასადამე, სუბიექტმა ეს ნაგულისხმევი განწყობა აქტუალურ განწყობად უნდა გადააქციოს და უშუალოდ მისი რეალიზაცია უნდა მოახდინოს და არა იმ განწყობისა, რომელიც მან მოქმედი ობიექტივაციის აქტში შეაჩერა. თვითონ აზროვნება აქ უძლურია, იგი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, თუ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ როგორ განხორციელდეს, როგორ გადაიქცეს რეალურად ის, რაც ჯერჯერობით მხოლოდ წარმოსახვით სფეროშია მოცემული, ეს აზროვნების საქმე აღარაა. სამაგიეროდ, მოქმედებას იწყებს ადამიანის ახალი უნარი — ნებელობის უნარი. სწორედ მას შეუძლია წარმოსახული მოქმედების განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს, რადგან ამგვარი გადანაცვლებისათვის აუცილებელია ძალისხმევა, რომელიც აღზრდისა და განვითარების სპეციფიკურ პირობებს მოითხოვს, ეს პირობები არ ემთხვევა ადამიანის აზროვნების უნარის განვითარების პირობებს. ნებელობა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გადაინაცვლოს განწყობაზე განურჩევლად იმისა, თუ რისი მოტანა შეუძლია ადამიანისათვის ამ განწყობას მოცემულ მომენტში. ნებელობას აქვს ძალა განაწყოს ადამიანი ისეთი მოქმედებისაკენ, რომელსაც მისთვის არა უშუალო, არამედ შორეული და გაშუალებული მნიშვნელობა აქვს. ასეთია ნებელობა!

17. განწყობა ადამიანთან. შევეხოთ ახლა ადამიანის განწყობის პრობლემას! უეჭველია, იგი როგორც პიროვნული ფაქტორი, როგორც პიროვნების კონკრეტული განსაზღვრა ყოველ მოცემულ მომენტში, ადამიანთან ისეთივე გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორსაც განვითარების წინამორბედ საფეხურებზე.

ისევე, როგორც სხვა ცოცხალ არსებასთან, ადამიანთანაც შეიძლება შეიქმნას განწყობა, გაფიქსირდეს და გააგრძელოს თავისი აქტივობა, მაგრამ ეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ხდება, როცა სუბიექტს განსაკუთრებით პრიმიტიულ პირობებში უხდება მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსების განწყობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება, როგორც ჩანს, არ არის.

სხვა სურათია ადამიანის ცხოვრებისა და მოქმედებისათვის სპეციფიკურ პირობებში! აქ საქმის ვითარება იცვლება და ჩვენ ისეთი განწყობის ჩასახვისა და განვითარების მოწმენი ვხდებით, რომელთა არსებობა მხოლოდ ადამიანის აქტივობის თავისებურ პირობებშია შესაძლებელი. ჩვენ ვიცით, რომ ამ პირობებში ამოქმედდება ობიექტივაციის უნარი, და მის საფუძველზე აღმოცენდება აზროვნება, რომელსაც ადამიანი აქტივობის გარკვეული სახეების აუცილებლო-

ბის აღიარებამდე მიჰყავს. ნებელობის წყალობით იგი ბოლოს და ბოლოს ახერხებს ისეთი განწყობის აქტუალიზირებასა და ამოქმედებას, რომელიც მიზანშეწონილადაა მიჩნეული, მაგრამ ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე არა ერთხელ აღმოჩნდება ხოლმე განმეორებით ცხოვრების ანალოგიურ პირობებში და მაშინ ამოცანის გადასაწყვეტად მან იმავე განწყობას უნდა მიმართოს. ამ შემთხვევაში მისთვის უკვე აღარაა აუცილებელი ობიექტივაციის ამოქმედება, მის საფუძველზე აზროვნების აქტების გაშლა და მისთვის საჭირო განწყობის ამგვარი გზით მოძებნა. მას შეუძლია პირდაპირ, აზროვნების აქტების შუამავლობის გარეშე, მიმართოს განწყობის შესატყვის სახეებს და საჭიროებისამებრ მოახდინოს მათი რეალიზაცია.

ასე, გამოცდილების სფეროს გაფართოებასთან ერთად იზრდება და ფართოვდება ადამიანის განწყობისეულ მდგომარეობათა მოცულობა, იგი შეიცავს არა მარტო უშუალოდ აღმოცენებულ განწყობებს, არამედ ისეთ განწყობებსაც, რომელიც როდესღაც სუბიექტის ცხოვრების მიმდინარეობაში გაშუალებული იყო ობიექტივაციის აქტებით და განხორციელებული ნებისყოფის დაძაბვით.

მაგრამ ადამიანის განწყობათა წრე სრულიადაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. ამ წრეს უნდა მივაკუთვნოთ არა მარტო ისეთი განწყობები, რომელიც პირველად აზროვნების საკუთარი აქტების საფუძველზე იყო გაშუალებული, არამედ ისეთიც, რომელიც ოდესღაც შემოქმედი, განსაკუთრებით მაღალნიჭიერი პირების ობიექტივაციის შემთხვევებზე იყო აგებული, ხოლო შემდეგ გადაეცა სხვა ადამიანებს უკვე მზა ფორმულების სახით, რომელიც აღარ მოითხოვს ობიექტივაციის პროცესებით უშუალო მონაწილეობას. ასეთი ფორმულების შეძენის წყაროს წარმოადგენს აღზრდა და სწავლა, რომელიც აუცილებელია ადამიანის საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე. მას, როგორც წესი, განეკუთვნება, სპეციალური პერიოდი, რომელიც თანდათან ადამიანის ცხოვრების სულ უფრო მნიშვნელოვან მონაკვეთებს მოიცავს.

ამგვარი განწყობის შეძენა მხოლოდ ამ პერიოდით არ შემოიფარგლება — იგი შემდეგაც გრძელდება: ადამიანის გამოცდილება და ცოდნა სათანადო უნარებთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება და ფართოვდება.

ამგვარად, ადამიანის განწყობათა სფეროს გაფართოება, არსებითად, განუსაზღვრელია. იგი მოიცავს არა მარტო აქტუალური მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძვე-

ლზე შექმნილ განწყობებს, არამედ ისეთ განწყობებსაც, რომელიც როდესღაც ნარსულში საკუთარი ან სხვა ადამიანების ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენდა, ანდა გაშუალებული იყო განათლების დახმარებით — მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემების შესწავლით.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, თუ რაოდენ შორს დგას ერთმანეთისაგან ადამიანისა და ცხოველის განწყობის სფეროები. ხომ ცხადია, რომ ცხოველს წარმოდგენა არა აქვს ობიექტივაციაზე — იგი მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. მაშასადამე, ცხოველს არ შეიძლება გაშუალებული .განწყობები ჰქონდეს. ამიტომ მას არც განათლება აქვს და მაშასადამე, არა აქვს სხვების მიერ ამა თუ იმ გზით შეძენილი განწყობების დაუფლების შესაძლებლობა. ცხოველი მხოლოდ მის ცხოვრებაში ფიქსირებული განწყობების სფეროთი შემოიფარგლება, თანაც განწყობები, მასთან მნიშვნელოვნად დიფუზურია, წინააღმდეგ ადამიანის განწყობისა, რომელიც მის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად და უფრო ნატიფად დიფერენცირდება.

ამიტომ უეჭველია, მიუხედავად იმისა, რომ განწყობა ცხოველთანაც იქმნება და მისი აქტივობა მის საფუძველზე აიგება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ცხოველი გაიგივებულია ადამიანთან, რომ იგი განსხვავდება მისგან ძალებისა და შესაძლებლობების მხოლოდ რაოდენობრივი შეფარდებით. არა, სოციალურ ადამიანთან აღმოცენებული სპეციფიკური უნარი, რომელიც ჩვენს მიერ დახასიათებულია, როგორც ობიექტივაცია, მკვეთრად ცვლის მისი განწყობების შემადგენლობასა და ხასიათს. იგი ადამიანს განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურებზე აიყვანს და მისი აქტუალური განწყობების შემდგომ გართულებას, დაზუსტებასა და დიფერენციაციას უწყობს ხელს.

მაშასადამე, განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის განწყობის სფეროშიც მეტად არსებითად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, მეორე მხრით, უეჭველია, რომ იგი — ეს განსხვავება — წარმოადგენს არა პირველად, არამედ ნაწარმოები ხასიათის ფენომენს, რაც ადამიანისათვის სპეციფიკური უნარის — ობიექტივაციის თავისებურებითაა გაპირობებული.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის ქცევას განსაზღვრავს არა მისი ცალკეული ძალები და უნარები, არამედ პიროვნების მდგომარეობა. ადამიანის მოქმედების სპეციფიკურ პირობებში, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ხასიათის მოქმედების პირობებში თავს იჩენს მისი ფუნდამენტალური უნარი — შეჩერების უნარი,

მოქმედების შეწყვეტის, დაყოვნების უნარი და — შემდეგ მისი გამეორების უნარი. თავს იჩენს ობიექტივაციის უნარი და მის საფუძველზე — იგივეობის დადგენისა და შემდგომ მეტყველების უნარიც. ამ ცვლილებათა საფუძველზე ვითარდება შემდეგ ადამიანის აზროვნება, რომელიც ობიექტივაციის ნიადაგზე შესაბამისად მოდიფიცირებული ყურადღების, დაკვირვებისა და წარმოდგენის გამოყენებით განსაზღვრავს განწყობას, რომლის საფუძველზეც — სუბიექტი თავის ნებისყოფის მეშვეობით ახორციელებს საჭირო, მის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეულ მოქმედებას.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანის ფსიქოლოგია, მისი როგორც მთელის პრინციპზე — მისი განწყობის პრინციპზე აიგება. ადამიანის ე. წ. ფსიქიკური „ფუნქციები" — მისი დაკვირვება, წარმოდგენა, ყურადღება, ისევე როგორც აზროვნება და ნებელობა, წარმოადგენს მხოლოდ დიფერენცირებულ ფსიქიკურ თვისებებს, რომელიც მის განწყობას ემსახურება.

ასეთია ადამიანის ფსიქოლოგიის ძირითადი ხაზები.

შრომები განწყობის შესახებ

ე. აბაშიძე. ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია და სტაბილურობა, 1944 (ხელნაწერი).

ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის კვლევის მეთოდისათვის, 1946 წ. (ხელნაწ.),

მოჭარბების წესლილი ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ილუზიებში, 1947. წაკითხულია მოხსენებად ინ-ტის VII სამეც. სესიაზე (6. IV – 48).

ნ. ადამაშვილი. ილუზიური აღქმის განმაწყობელი მოქმედება (ხელნაწერი, 1937 წ.).

განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია, სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივერს. შრომები, XVII. 1941 წ.

განწყობის სიმტკიცე და ირადიაცია. უნივერს. შრომები, XVII. 1941 წ.

დაბალი მაიმუნების ფიქსირებული განწყობა. ფსიქოლოგია, V. 1948 წ.

ა. ავალიშვილი. განწყობის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისათვის. უნივერს. შრომები. XVII ტომი. 1941 წ.

ი. ბუალავა. ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი გენუინური ეპილეფსიის შემთხვევაში (საკანდიდ. დისერტაცია). 1940. ეპილეფსიის ფსიქოლოგიისათვის (სადოქტორო დისერტაცია), 1944.

ფიქსირებული განწყობა სიმულაციის შემთხვევებში. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერ. განყოფილების მოხსენებათა თეზისები, 1942.

ტრაკმატული ნერვოზი. ფუნქ. ნერვ. დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, II, 1945.

ნებელობის ფსიქოპათოლოგიისათვის. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერებათა განყოფ. მოხსენებათა თეზისები, 1944.

ფიქსირებული განწყობის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ისტერიისა და ეპილეფსიის შემთხვევაში. ფსიქოლოგია, II. 1945.

შიზოფრენიათა ფიქსირებული განწყობა. 1947 (ხელნაწ.).

მანიაკალურთა ფიქსირებული განწყობა. 1940 (ხელნაწ.).

ფიქსირ. განწყობის პათოლოგიისათვის ნევროზებისა და ფსიქოზების შემთხვევებში. ამ. –კავკ. ეკაოპოსიტალთა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. 1944.

პოსტკომოციურ რეაქციათა ტიპოლოგიისათვის. ფსიქოლოგია, II. 1943.

ა. ლურია. Фиксированная установка при локальных поражениях коры головного мозга. 1949.

ტვინის „მეტყველების ზონები" და ფიქსირებული განწყობა. ფსიქოლოგია. IV. 1948.

ტვინის ქერქის შუბლის წილების ფსიქოპათოლოგიისათვის. სამედიცინო ინსტიტუტის შრომები, 1948.

კრიტიკულ ექსპოზიციათა განმაწყობელი როლის საკითხისათვის. 1942 წ. ფსიქოლოგია 1.

ა. ბოჭორიშვილი. სიმძიმის ილუზიის ანალოგი წოლვის არეში. უნივერსიტეტის მოამბე, 1927.

ნ. ელიავა. განყენებულ მიმართებაზე შექმნილი განწყობის ჩაქრობის პროცესი. უნივერ. შრომები, XVII. 1941 წ.

განწყობის გადანაცვლება და ობიექტივაციის აქტი. ფსიქოლოგია, IV ტომი, 1947 წ.

განწყობის გადანაცვლების ფორმები. მოხსენებულია საქ. მეცნ. აკადემიის ფსიქოლ. ინსტიტუტის სამეცნ. საბჭ. სხდომაზე. 1944 წ.

გადანაცვლების პროცესი და მისი მიმდინარეობა. საკანდიდატო დისერტაცია, 1946 წ.

განწყობის გადანაცვლება შიზოფრენიის შემთხვევაში. მოხს. ფსიქ. ინ-ტის სამეც. სხდომაზე, 1947 წ.

რომელობით აზრიან მასალაზე შექმნილი განწყობის საკითხისათვის. მოხსენებულია იქვე, 1948 წ.

ე. ვაჩნაძე. წარმოსახვის ნიადაგზე განწყობის თავისებურებანი ისტერიულთან (ხელნაწ.), 1946.

შიზოფრენიის ფიქსირებული განწყობა წარმოსახვის საფუძველზე (ხელნაწ.) 1948.

ე. კეფერაძე. აზრიანი მასალა და განმეორება. ფსიქოლოგია, V. 1942.

ყურადღების განვითარება სკოლის წინარე ასაკში, ფსიქოლოგია, IV. 1947.

ობიექტივაციის როლი დამახსოვრებაში, 1946.

მეხსიერების განვითარება სკოლის წინარე ასაკში, 1947.

ა. კვინიკაძე. ობიექტივაცია შიზოფრენიის შემთხვევაში, 1947 (ხელნაწ.).

ა. ლურია და ბჟალავა. Фиксированная установка при локальных поражениях коры головного мозга.

ქ. მდივანი. განწყობის ილუზიის თავისებურება ისტერიის შემთხვევაში. 1931 წ. განწყობის ილუზიის თავისებურება შიზოფრენიის შემთხვევაში. ხელნაწერი. ფიქსირებული განწყობა ფსიქასთენიის შემთხვევაში (თეზისები. 1941 წ.).

განწყობის ილუზიის დასუსტება ხანგრძლივ პირობებში. უნივერსიტ. შრომები, XVII.

განწყობის ილუზიის დასუსტება კრიტიკულ ცდებში, 1942 (ხელნაწერი).

ა. მოსიავა. წერა-კითხვის სწავლასთან დაკავშირებით ობიექტივაციის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია. V, 1948.

განწყობის ნებისმიერი შეცვლის და ყურადღების ურთიერთობის საკითხისათვის, ფსიქოლოგია. IV. 1948.

შვიდი წლის ბავშვთა ობიექტივაციის უნარი. 1946 (ხელნაწ.).

რ. ნათაძე. ტოლობის განწყობის შემუშავებისათვის. სახელმწ. უ-ტის შრომები, ტ. VII, 1940 წ.

წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საკითხისათვის. ფსიქოლოგია, ტ. 1, 1945 წ.

სასცენო გარდასახვის ფსიქოლოგიური ბუნება. პუშკინ. სახელობის პედაგ. ინსტ. შრომები, ტ. III, 1946 წ.

წარმოდგენის თვალსაჩინობა, როგორც განმაწყობელი ფაქტორი. ფსიქოლოგია, ტ. V. 1948 წ.

წარმოდგენის საგნის ინტენსია, როგორც განმაწყობელი ფაქტორი. ფსიქოლოგია, ტ. VII.

ვ. ნორაკიძე. კონფლიქტების მატარებელ სუბიექტების განწყობა. საკანდიდატო დისერტაცია, 1937 წ., შემოკლებით დაიბეჭდა ბათუმის პედ. ინსტ. შრომების კრებულში, 1941 წ.

კონფლიქტურ-ინტრავერტული პიროვნება (ტლანქი ირადირებული განწყობის პიროვნება). ხელნაწერი. წაკითხულია მეცნ. აკადემ. ფსიქ. სექტორის სამეცნ. საბჭოს სხდომაზე, 1941 წ.

პრემორბიდული პიროვნება ომის ფსიქონევროზებში. ფსიქოლოგია ტ. II, მეცნ. აკადემიის გამომცემ., 1943 წ.

ფიქსირებული დინამიკური განწყობის პიროვნება. საზოგ. მეცნ. განყოფ. II სამეცნ. სესიის თეზისები, 1943 წ.

ფიქსირებული ტლანქი დინამიკური განწყობის პიროვნება. ფსიქოლოგია, ტ. III. მეცნ. აკად. გამომც., 1945 წ.

ფიქსირებული ვარიაბილურ-ლაბილური განწყობის პიროვნება. ფსიქოლოგია, ტ. IV, საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1946 წ.

ფიქსირებული ვარიაბილურ-სტაბილური განწყობის პიროვნება. მოხსენებულია საქ. მეცნ. აკად. ფსიქოლოგიის ინსტ. სამეცნ. საბჭ. სხდომაზე 1944 წ.

ომის სიტუაციით გამოწვეული ცვლილებები ხასიათში, მოხსენებულია მეცნ. აკად. ფსიქ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს სხდომაზე. 1945 წ.

დეფექტის კომპენსაციის პრობლემა. პედაგოგიურ მეცნ. ინ-ტის II სამეცნ. სესიის თეზისები, 1945 წ.

ხასიათის ცვლილებების პრობლემა. ბათუმის პედ. ინ-ტის III სამეცნ. სესიის თეზისები. 1947 წ.

პიროვნების ხასიათი და ფიქსირებული განწყობა. მონოგრაფია. 730 გვ. 1947 წ. ხელნაწერი.

შიზოფრენიით დაავადებულთა პრემორბიდული პიროვნება. საქ. მეცნ. აკად. ფსიქ. ინსტ. III სესიის თეზისები, 1948.

პიროვნების ხასიათი და ფიქსირებული განწყობა. 315 გვ. 1948 წ. (ხელნაწ.)

პრემორბიდული პიროვნება და ისტერიული რეაქციები, ფსიქოლოგია, ტ. V, 1948 წ.

მანიაკალური აგზნებით დაავადებულთა პრემორბიდული პიროვნება. 1948 წ. მოხსენებულია საქ. მეცნ. აკად. ფსიქოლოგიის ინსტ. სამეცნ. საბჭოს სხდომაზე.

ხასიათის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები. 1948 წ. (ხელნაწ.)

ა. ფრანგიშვილი. დარწმუნებულობის პრობლემა ობიექტივაციის შუქზე. 1948.

დ. რამიშვილი. სინესთეზიის ფაქტორი ლიტერატურულ-ესთეტიკურ აღქმაში. 1944 წ. (ხელნაწ.).

სიტყვიერი ხატის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. 1948 წ.

დ. უზნაძე. Jmpersonalia. ჩვენი მეცნიერება. №1.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, I თავი, ქვეფსიქიკურის შესახებ. 1925.

აღქმა და წარმოდგენა. უნივერსიტეტის მოამბე. ტ. 6. 1926.

К вопросу об основном законе смены установки. "Психология". 1930, вып. 9.

Einstellungsumschlag als Grundage der Kontrasttauschungen. Ninth International Congress of Psycgology, 1929.

Über die Gewichtstäuschung und ihre Analoga. Psych. Forschung. 1931, B. XIV.

ძილი და სიზმარი. თბილისი, 1936.

პოსტპიანოზური შთაგონების თეორიისათვის. ფუნქ. ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, I, 1936.

განწყობის ფსიქოლოგიისათვის, ფსიქოლოგიური საზოგადოების შრომები, I, 1938.

Untersuchungen zur Psychologie der Einstellung. Acta psychologica, B. IV, 1939.

ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1940. გვ. 53-94.

განწყობის ცნების ადგილი ფსიქოლოგიაში. თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია (თეზისები), 1940.

განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. 1941. ტ. 19.

განწყობა როგორც კონკრეტული ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება. საქ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგად. განყოფილების I სესია (თეზისები) 1941.

განწყობის ცნება თანამედროვე ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (თეზისები). 1944.

К проблеме обьективации. თბილ. ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. ტ. II. 1946.

ყურადღების არსის პრობლემისათვის. ფსიქოლოგია. ტ. IV. 1947.

ენის შინაფორმა. იქვე.

ფსიქიკური ცხოვრების ორი დონე. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის VII სესიის თეზისები, 1948.

განვითარების პრობლემა ფსიქოლოგიაში. ფსიქოლ. ინსტიტუტის VIII სესიის თეზისები, 1949.

ობიექტივაციის პრობლემა. თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1949.

ბ. ხაჭაპურიძე. განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი. მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938.

ხელოვნურად შექმნილი განწყობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. იქვე.

სიტუაციის როლი განწყობის სტიმულირებისათვის. იქვე.

განწყობის ფაზური მოქმედების თეორიისათვის. თბილ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. XII. 1940.

განწყობათა ცვლის პროცესის ბუნებისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. 1938.

ბავშვთა განწყობის ზოგიერთი თავისებურებანი თბილ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1941.

სიდიდეთა აღქმის ხელმარჯვეობის ფაქტორები. თბილ. უნივერს. სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები. 1941.

ასიმეტრია სიმულტანურ შედარებათა ცდებში. ფსიქოლოგია I. 1942.

ბავშვის ფიქსირებული განწყობა სტაბილობის თვალსაზრისით. იქვე.

სენსორული ასიმეტრია და ფიქსირებული განწყობა. საქ. მეცნიერ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყოფილების სესიის მოხსენებათა თეზისები. 1943.

სენსორული ასიმეტრიის ონტოგენეტური განვითარება. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის I სესიის მოხსენებათა თეზისები, 1944.

ალკოჰოლის გავლენის საკითხისათვის ფიქსირებული განწყობის მოქმედებაზე. ფსიქოლოგია. III, 1944.

სკოლამდელი ბავშვის ფიქსირ. განწყობა კონსტანტობის თვალსაზრისით. 1942.

ფიქსირებული განწყობის ეფექტის გაზომვის პრობლემისათვის (პიაჟეს კრიტიკა), თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1947. განწყობის შექმნისა და გამოვლენის ზოგიერთი პირობა, თეზისები. 1934.

ზ. ხოჯავა. განწყობის მოქმედება მასალის აბსტრაქციის პირობებში. თ.ს.უ. შრომები, XVII. 1941 წ.

ფიგურის როლი განწყობის მოქმედებაში. თ.ს.უ. შრომები. ტ. IX, 1939 წ.

ფსიქოლოგიური სისწორე ი. გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქნა".

ი. გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული. თ.ს.უ. გამოცემა, 1940 წ.

განსხვავებული ფიგურების როლი განწყობის მოქმედებაში. დაბეჭდილია თეზისების სახით სახ. უნივერსიტეტის 1940 წ. სამეცნ. სესიის კალენდარულ გეგმაში. წაკითხულია მოხსენების სახით ამავე სესიაზე.

გამოცდილების გავლენა აღქმაზე. ბათუმის სამასწ. ინსტიტუტის სამეცნ. შრომების კრებული. 1941 წ.

განწყობა და ვარჯიში. ფსიქოლოგია. ტ. I. 1942 წ. საქ. მეცნ. აკად. გამოცემა.

ასოების ექსპოზიციით შექმნილი განწყობის როლი კითხვის ჩვევის მოქმედებაში. საქ. მეცნ. აკად-ის მოამბე, ტ. III, №6. 1942 წ.

მეომრის საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლები. ფსიქოლოგია. II. 1943 წ. საქ. მეცნ. აკად. გამოცემა.

განწყობა და შეფერხება კითხვის ჩვევაში. დაბეჭდილია თეზისების სახით საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფილების XIII სესიის კალენდარულ გეგმაში. წაკითხულია მოხსენების სახით ამავე სესიაზე 1943 წ.

განწყობის სიმტკიცე ჩვევის მოქმედებაში. ფსიქოლოგია. ტ. III. მიძღვნილი აკად. დ. უზნაძის სამეცნ. მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი. 1945 წ.

რანშბურგისეული შეფერხების ახსნის ახალი ცდა. თეზისების სახით დაბეჭდილია მეცნ. აკად. ფსიქ. ინ-ტის პირველი სამეცნ. სესიის კალენდარულ გეგმაში. წაკითხულია მოხსენების სახით ამავე სესიაზე. 1944 წ.

სწავლა და ვარჯიში განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით.

ფ. ხუნდაძე. ესთეტიკური განცდის ტიპები და განწყობა სკოლამდელ ასაკში. ფსიქოლოგია, ტ. III, 1945 წ.

ასოციაციების როლი სკოლამდელი და პირველი სასკოლო ასაკის ბავშვთა ესთეტიკურ განცდაში. ხელნაწერი. 1948 წ.

შ. ჩხარტიშვილი. განწყობის თეორიის ფსიქოლოგიური საფუძვლები. საკანდ. დისერტაცია.

განწყობის ილუზიის ზოგიერთი საკითხი (ხელნაწერი).

განწყობის ილუზიის რიცხვითი ხასიათი (იბეჭდება ფსიქოლოგიის VII ტომში).

ნ. ჭრელაშვილი. განწყობის ილუზიები ქათმებთან. ფსიქოლოგია, ტ. IV, 1947 წ.

მასალები ფიქსირებული განწყობის მოქმედების შესწავლისათვის ძუძუმწოვრებთან (ალბინოს ვირთაგვები), ხელნაწერი. 1946 წ.

სტატიკურ-კინესთეტიკურ სფეროში შექმნილი ფიქსირებული განწყობის მოქმედება ძუძუმწოვრებთან (ალბინოს ვირთაგვები). ხელნაწერი. 1948 წ.

შინაარსი

ავტორის წინასიტყვაობა 5

წინასიტყვაობა 6

განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები 13

განვითარების საკითხი ფსიქოლოგიაში 13

თავი I

ზოგადი მოძღვრება განწყობის შესახებ 18

I. განწყობის პრობლემის დაყენება 18

1. წონის ილუზია და მისი ტრადიციული ახსნის ცდის უკმარობა 18

2. ცდები წოლვის აღქმის სფეროში 20

3. სმენის ილუზიები 21

4. ილუზიები სინათლის აღქმის სფეროში 22

5. რიცხობრივი მეტ-ნაკლებობის ილუზიები 23

6. მოცულობის ილუზია 23

7. „გაცრუებული მოლოდინის" თეორია 24

8. განწყობა, როგორც საფუძველი ყველა ამ ილუზიისა 26

9. ფიგურათა მიმართების ცდები 30

10. კონტრასტის ილუზიის პრობლემა 31

II. განწყობის ზოგადი ხასიათი 36

1. ორგანიზმის, როგორც მთელის, აქტივობის შესწავლის შესაძლებლობის შესახებ 36

2. განწყობის ირადიაციის პრობლემა 37

3. განწყობის გენერალიზაცია 44

4. განწყობა არ არის ცნობიერების ფენომენი 45

5. არაცნობიერის ცნება ზედმეტი ცნებაა 47

III. ემპირისტული ფსიქოლოგიის დოგმატიკური წანამძღვრები 49

1. უშუალობის პოსტულატი 49

2. ემპირისტული პოსტულატი 55

IV. აქტივობის ძირითადი პირობები 57

1. მოთხოვნილება 57

2. სიტუაცია 61

V. აქტივობის დამატებითი ძირითადი პირობები 63

1. ფიქსაციის ფაქტორი 63
2. სენსორული რომელობის საკითხი. 66
VI. განწყობის მდგომარეობის სახესხვაობანი 68
1. ფიქსირებული განწყობა 68
2. დიფუზური განწყობა 69
VII. განწყობის აგზნებადობა 71
1. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა 71
2. დიფუზური განწყობის აგზნებადობის საკითხი 72
VIII. ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული ჩაქრობის პროცესი 73
1. ექსპერიმენტული მეთოდიკა 73
ა) კონტრასტული ილუზიების ფაზა 74
ბ) ასიმილაციური ილუზიების გამოვლენის ფაზა 75
გ) ტოლობის ჩვენების ფაზა 75
2. სტატიკური განწყობა: ტლანქი და პლასტიკური 76
3. დინამიკური განწყობა: პლასტიკური და ტლანქი 77
4. ფიქსაციის უნარს მოკლებულობა 78
IX. ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა ხანგრძლივი ექსპოზიციების
შედეგად 79
1. კრიტიკული ობიექტების ხანიერი ექსპოზიციის ცდები 79
2. „გარდასელის განცდები" ამ ცდებში 81
X. ფიქსირებული განწყობის ბუნებრივი ჩაქრობის პროცესი 83
1. ფიქსირებული განწყობის სტაბილობისათვის 83
2. ფიქსირებული განწყობის ბუნებრივი ლიკვიდაციის პროცესი 85
XI. კრიტიკული ექსპოზიციის მოქმედების საკითხისათვის 86
1. კრიტიკულ ცდათა ფიქსაციური ზეგავლენა 86
2. ასიმეტრიის პრობლემისათვის 90
XII. განწყობა რომელობით განსხვავებული მასალის მიმართ 94
1. ტოლობის განწყობის ცდები 90
2. ცდები რომელობითს განსხვავებულობაზე 98
3. რომელობით მასალაზე შექმნილი განწყობის თავისებურებები 103
დასკვნა 107

თავი II

განწყობა ცხოველთან 110
I. ცხოველთა განწყობის პრობლემისათვის 110
II. ფრინველზე ჩატარებული ცდები 111
1. საკითხის დაყენება 111
2. მეთოდიკა 111
3. განწყობის საკითხი ფრინველთან 112
III. ცდები თეთრ ვირთაგვებთან 115
1. ცდების დაყენება 115
2. ცდების შედეგები 116
IV. ცდები მაიმუნებთან 118
1. ცდების დაყენება 118
2. ფიქსირებული განწყობის არსებობის შესაბებ მაიმუნთან 119
3. ფიქსირებული განწყობა მაიმუნთან 122
4. ცხოველის ფიქსირებული განწყობის ზოგადი დახასიათება 126

თავი III

განწყობა ადამიანთან 128
I. ობიექტივაციის პრობლემა 128
1. ორი სფერო სინამდვილის ზემოქმედებისა ადამიანზე 128
2. ყურადღების პრობლემა 129
3. ფსიქიკის მუშაობის ორი პლანი 131
4. იმპულსური ქცევის პლანი 132
5. ობიექტივაციის პლანი 136
II. ფსიქიკური ცხოვრების ორი დონე 139
1. განწყობის დონე 140
2. ობიექტივაციის დონე 140
III. წარმოდგენა და იდეა 141
1. სიტყვა, როგორც განწყობის ობიექტური ფაქტორი 141
2. წარმოდგენის პრობლემა 145
3. წარმოდგენები სიზმარში 147
4. წარმოდგენისა და იდეის აღმოცენების შემთხვევები 152
5. ცდები „წარმოდგენათა“ და „იდეათა“ ბაზაზე 154
IV. აზროვნება, როგორც სპეციფიკური ადამიანური ფუნქცია 156

V. ნებელობა, როგორც ადამიანის მეორე სპეციფიკური ფუნქცია 161
დასკვნა 162

თავი IV

განწყობის დიფერენციალური ფსიქოლოგია 165
I. განწყობის ძირითადი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური ცნებები 165
1. განწყობის დიფერენცირებულობა 165
2. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობა 166
3. განწყობის აგზნებადობა ბავშვებთან 168
4. განწყობის სიმტკიცე 170
5. განწყობის დინამიკურობა და სტატიკურობა 172
6. განწყობის პლასტიკურობა და სიტლანქე 173
7. განწყობის ირადიაცია და გენერალიზაცია 175
8. ფიქსირებული განწყობის კონსტანტობა და ვარიაბილობა 178
9. ფიქსირებული განწყობის სტაბილობა და ლაბილობა 179
10. ფიქსირებული განწყობის ტიპის ინტერმოდალური ბუნება 181
II. ხასიათის ტიპების პრობლემისათვის 185
1. განწყობის ცნების შესაძლო ქარაქტეროლოგიური ღირებულება 186
ა) დინამიკური განწყობის ადამიანები 188
ბ) სტატიკური ადამიანები 191
1. სტატიკურ ადამიანთა დახასიათება 191
გ) ვარიაბილურ-სტატიკურ ადამიანთა ჯგუფი 96
1. ვარიაბილურ-სტაბილური ადამიანი 96
2. ვარიაბილურ-ლაბილური ადამიანი 197
III. აღნიშნული ტიპების ზოგადი დახასიათება 199
IV. ადამიანის განწყობის კონსტანტობის პრობლემებისათვის 201

თავი V

განწყობის ფსიქოპათოლოგია 204
I. ფსიქიკურ დაავადებათა საფუძვლის მთლიანობითი ხასიათი 204
1. საკითხის დაყენება 204
2. აკადემიკოსობის განწყობის შესწავლის მეთოდისათვის 205
II. შიზოფრენია 206
1. განწყობის ცდები შიზოფრენიაზე 206

2. ობიექტივაცია შიზოფრენიის შემთხვევებში 212
3. შიზოფრენიის ტიპოლოგიური საფუძვლები 221
III. ეპილეფსია 222
1. ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობა 223
2. ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია 224
3. ფიქსირებული განწყობის ფაზები 225
4. განწყობის ირადიაცია 226
5. ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის სტაბილურობის საკითხი 228
6. განწყობის კონსტანტობა 229
7. განწყობის სიმტკიცე 230
8. ეპილეპტიკის ფიქსირებული განწყობის სპეციფიკა 231
9. ეპილეფსიის ტიპოლოგიური საფუძვლები 232
IV. მოსაზღვრე მდგომარეობები 235
1. ფსიქასთენია 235
1. ფსიქასთენიკის ფიქსირებული განწყობა 235
2. ობიექტივაცია ფსიქასთენიის შემთხვევაში 238
2. ისტერია 239
1. ფიქსირებული განწყობა ისტერიის შემთხვევაში 239
2. განწყობის სტაბილობა წარმოდგენის შემთხვევებში 242

განწყობის თეორის ძირითადი დებულებები 246
I ზოგადი მოძღვრება განწყობის შესახებ 246
1. ფსიქიკის შინაარსი თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით და ამ მეცნიერების კრიზისი 246
2. ფსიქოლოგიის ამოსავალი პუნქტი არის არა ფსიქიკური მოვლენები, არამედ თვით ცოცხალი ინდივიდი, რომელსაც ეს ფსიქიკური მოვლენები გააჩნია 247
3. ადამიანის ცხოველმოქმედების პირველადი ფორმების შესწავლის შესაძლებლობისა და მნიშვნელობის საკითხისათვის 249
4. განწყობა, როგორც მთლიან-პიროვნული ფაქტორი და მისი აღმოცენების პირობები 251
5. განწყობის პრობლემა, როგორც ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემა 255
6. „აღქმა", როგორც განწყობის ფაქტორი: ამ ტერმინის ორი მნიშვნელობა 256

7. დიფუზური, დიფერენცირებული და ფიქსირებული განწყობა 260
8. ფიქსირებული განწყობის ცდები 261
9. ცდები განწყობის მთლიან-პიროვნული ბუნების შესახებ 262
10. „არაცნობიერის პრობლემისათვის" 265
11. განწყობის შემდგომი დახასიათება 267
II. განწყობის პრობლემა ცხოველთან 268
1. განწყობის საკითხი ცხოველთან და მისი კვლევის მეთოდიკა 268
2. განწყობის თავისებურებანი ცხოველთან 270
3. ფსიქიკური პროცესების, კერძოდ აზროვნების პრობლემისათვის ცხოველთან 271
4. ცხოველის ფსიქიკის სპეციფიკა. იგივეობის იდეის უქონლობა 274
5. ინსტინქტის პრობლემისათვის 277
III. განწყობა ადამიანთან 279
1. განწყობის პირობების სპეციფიკა ადამიანთან 279
2. ცნობიერების ფაქტი ადამიანთან 280
3. შეფერხება, შეჩერება, როგორც სპეციფიკური ადამიანური აქტი . 281
4. ობიექტივაციის ცნება 283
5. იგივეობის ან იდენტიფიკაციის იდეა 284
6. მეტყველება 285
7. ადამიანი, როგორც სოციალური არსება 286
8. გამეორება, როგორც ადამიანის სამყაროს სპეციფიკა 288
9. დაკვირვება 289
10. წარმოდგენა 291
11. ყურადღება 293
12. აზროვნება 295
13. არასწორი აზროვნების პრობლემა 297
14. „აზროვნება" ფსიქიკური ანომალიების შემთხვევაში 298
15. იდეოლოგია 299
16. ნებელობა 301
17. განწყობა ადამიანთან 302
შრომები განწყობის შესახებ 306

სარჩევი

1. აეტორის წინასიტყვაობა 5
2. რედაქტორის წინასიტყვაობა 6-12
1. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები 13-245
2. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები 246-305
3. შრომები განწყობის შესახებ 307-311

დიმიტრი უზნაძე

განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები

განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები

რედაქტორი	შოთა ნადირაშვილი
მხატვარი	ვახტანგ რურუა
კორექტორი	ლალი ბიჭაშვილი

გამოცემის სპონსორია საერთაშორისო
საძველმოძმეადო ფონდი „ძართუ“

გამომცემელი დ. ზიზნიაშვილი